Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

28

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ. ი. ლენინი

ტომი

28

1918 ივლისი — *1919* მარტი

წინასიტყვაობა

ოცდამერვე ტომში შედის ვ. ი. ლენინის ის ნაწარმოებნი, რომლებიც მის მიერ დაწერილია 1918 წლის 29 ივლისიდან 1919 წლის მარტის დამდეგამდე, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირველ პერიოდში.

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი — წიგნი «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი». ამ ნაწარმოებში ლენინი ავითარებს მოძღვრებას საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ, იძლევა საბჭოთა დემოკრატიის, როგორც კლასობრივი საზოგადოების დროს დემოკრატიის უმაღლესი ტიპის, ანალიზს, ააშკარავებს ძირეულ წინააღმდეგობას საბჭოთა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის და ამხილებს კაუცკისა და II ინტერნაციონალის სხვა ბელადების ოპორტუნიზმსა და ლაქიობას იმპერიალისტების წინაშე. საბჭოთა დემოკრატიის დახასიათებასა და ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიტიკას ლენინი იძლევა აგრეთვე მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებშიც, რომლებიც ქვეყნდება ამ ტომში: ««დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ», «წერილი ამერიკელ მუშებს», «წერილი ევროპისა და ამერიკის მუშებს», «მოპოვებული და ჩაწერილი», აგრეთვე თეზისებსა და გამოსვლებში, რომლებიც მიძღვნილია III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებისადმი.

ტომის შინაარსის მეტ ნაწილს შეადგენენ ლენინის მოხსენებანი და სიტყვები მუშათა კრებებზე, საბჭოების, პროფესიული კავშირების ყრილობებზე, სრულიად რუსეთის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, რკპ(ბ) მოსკოვის საქალაქო კონფერენციის და სხვა ორგანიზაციების სხდომებზე.

ცენტრალური საკითხი ამ გამოსვლებისა, რომლებიც ასახავენ ლენინის, როგორც პარტიის ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, მოღვაწეობას, არის სოციალისტური სამშობლოს დაცვის და წითელი არმიისადმი ყოველმხრივი დახმარების ორგანიზაცია, მისი ზურგის განმტკიცების ამოცანა.

მთელი რიგი ნაწარმოებნი ეძღვნება სოფლად სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხებს. ამას ეკუთვნის: «წერილი ელეცის მუშებს», მიმართვა «ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!», სიტყვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 6 ნოემბერს, სიტყვა მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატებისადმი 1918 წლის 8 ნოემბერს და სიტყვა საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1918 წლის 11 დეკემბერს.

ცნობილ სტატიაში «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღსარება» ლენინი აყენებს საშუალო გლეხობასთან შეთანხმების, კავშირის ლოზუნგს, რომელიც შემდეგ დაადასტურა პარტიის VIII ყრილობამ.

სიტყვაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობაზე 1918 წლის 6 ნოემბერს, მოხსენებაში წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრებაზე 1918 წლის 27 ნოემბერს და სხვა ნაწარმოებებში ლენინი ასაბუთებს რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულებას წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ამ დემოკრატიის შემობრუნებას-

თან დაკავშირებით და აღნიშნავს სოციალისტური მშენებლობის საქმეში ინტელიგენციის, ძველი სპეციალისტების ჩაბმის გზებს.

«წერილში ამერიკელ მუშებს», სიტყვაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საბჭოების VI ყრილობაზე 1918 წლის 8 ნოემბერს, სიტყვაში მუშათა კოოპერაციის III ყრილობაზე 1918 წლის 9 დეკემბერს, სიტყვაში პრესნიას რაიონის მუშათა კონფერენციაზე 1918 წლის 14 დეკემბერს, რომლებიც პირველად ქვეყნდება მთლიანად, და ბევრ სხვა დოკუმენტში ლენინი ამხილებს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმს, რომელიც მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად არ ერიდება სუსტ ხალხთა ჩახშობას და ევროპის კულტურის დანგრევას.

ოცდამერვე ტომში შეტანილია 19 ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში. მათი უმეტესობა წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა პროექტებს, აგრეთვე წერილებსა და დეპეშებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ტომში შესულ ნაწარმოებებთან.

დოკუმენტები: ბარათი ი. ბ. სტალინს სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის გამო და ი. ბ. სტალინის პასუხი ამ ბარათზე, დეპეშა ი. ბ. სტალინსა და ფ. ე. ძერჟინსკის გლაზოვში, დეპეშები სამარის ოლქის უკრაინელებს და უფის გუბრევკომს, ხელმოწერილი ერთად ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ, აგრეთვე დეპეშა მთავარსარდალს სერპუხოვში ლენინის ხელმოწერით, ი. ბ. სტალინის ხელით დაწერილი, — ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიად თანამეგობრობას ქვეყნის თავდაცვისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საკითხებისადმი მიძღვნილია: «მისალმება წითელ არმიას ყაზანის აღების გამო», «წერილი ყაზანის აღებაში მონაწილე წითელარმიელებს», დეპეშები ვ. ვ. კუიბიშევს და მეთაურთა შემადგენლობის პეტროგრადის კურსებს.

პროექტში დეპეშისა «დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ» და სიტყვაში საბჭოების, ღარიბთა კომიტეტებისა და რკპ(ბ) რაიონული კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე 1918 წლის 8 დეკემბერს ლენინი იძლევა დირექტივას მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების შესახებ.

დოკუმენტებში: «რსფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი», «პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო კონტროლის გამოყენების შესახებ», «სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს» და წერილში «განათლების სახალხო კომისარიატს» საბიბლიოთეკო საქმის დაყენების საკითხზე — ასახულია ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა საბჭოთა და კულტურული მშენებლობის დარგში.

ტომში პირველად არის შეტანილი აგრეთვე «დეპეშა დეპუტატთა ყველა საბჭოს, ყველას, ყველას» გერმანიაში რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით, პროექტი თეზისებისა «პროფკავშირთა ამოცანების შესახებ», პროექტი სრულიად რუსეთის ცაკის რეზოლუციისა «ქვეყნის თავდაცვის ძირისგამომთხრელი მენშევიკური გაზეთის დახურვის შესახებ» და «საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რადიოტელეგრამის პროექტი».



ვ. ი. ლენინი
1918 წ. ოქტომბერი

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 29 ივლისს [1]

(ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა.) ამხანაგებო, ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს პარტიულ პრესაშიც, საბჭოთა დაწესებულებებშიც, მასების წინაშე აგიტაციის დროსაც, რომ ახალი მოსავლის წინა დრო უაღრესად ძნელ, მძიმე და კრიზისულ ხანას წარმოადგენს რუსეთში დაწყებული სოციალისტური რევოლუციისათვის. ახლა, ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ კრიზისული მდგომარეობის უმაღლესი პუნქტი მიღწეულია. ასე მოხდა იმის გამო, რომ იმპერიალისტური სამყაროს, იმპერიალისტური ქვეყნების მომხრენი, ერთი მხრივ, და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მომხრენი, მეორე მხრივ, ახლა სავსებით და საბოლოოდ გამოირკვნენ. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სამხედრო მხრივ საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა მხოლოდ ახლა გამოირკვა საბოლოოდ. ჩეხოსლოვაკთა აჯანყებას ბევრი თავდაპირველად ისე უყურებდა, როგორც კონტრრევოლუციურ ამბოხებათა ეპიზოდს. ჩვენ არასაკმაოდ ვაფასებდით გაზეთების ცნობებს ამ აჯანყებაში ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მონაწილეობის, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების მონაწილეობის შესახებ. ახლა უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ გაიშალა ამბები მურმანში, ციმბირის ჯარებში, ყუბანში, თუ როგორ ცდილობდნენ ინგლისელები და ფრანგები ჩეხოსლოვაკებთან შეკავშირებით, ინგლისის ბურჟუაზიის უახლოესი მონაწილეობით, დაემხოთ საბჭოები. ყველა ეს ფაქტი ახლა გვიჩვენებს, რომ ჩეხოსლოვაკთა

მოძრაობა ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც დიდი ხანია ნავარაუდევი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის ჩასახშობად ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების სისტემატურ პოლიტიკას, იმ მიზნით, რომ რუსეთი კვლავ ჩაეთრიათ იმპერიალისტური ომების რკალში. ახლა ეს კრიზისი უნდა გადაწყვიტონ საბჭოთა რუსეთის ფართო მასებმა, რადგან იგი ახლა აღიმართა ჩვენს წინაშე როგორც ბრძოლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაცვისათვის არა მარტო ჩეხოსლოვაკებისაგან, როგორც კონტრრევოლუციური ხელყოფისაგან, არა მარტო კონტრრევოლუციური ხელყოფისაგან საერთოდ, არამედ როგორც ბრძოლა მთელი იმპერიალისტური სამყაროს შემოტევის წინააღმდეგ.

მე მინდა უწინარეს ყოვლისა მოგაგონოთ ის ფაქტი, რომ უკვე დიდი ხანია დადასტურდა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა ჩეხოსლოვაკთა ამბოხებაში; მოგაგონებთ 28 ივნისით დათარიღებულ სტატიას, რომელიც მოთავსებული იყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში, «პრუკოპნიკ სვობოდიში», და გადმობეჭდილ იქნა ჩვენს პრესაში[2]:

«7 მარტს ნაციონალური საბჭოს განყოფილებამ მიიღო პირველი შესატანი საფრანგეთის კონსულისაგან — 3 მილიონი მანეთი.

ეს ფული მიეცა ვიღაც ბ-ნ შიპს, ნაციონალური საბჭოს განყოფილების თანამშრომელს.

9 მარტს იმავე შიპს გადაუხადეს კიდევ 2 მილიონი, 25 მარტს შიპმა მიიღო 1 მილიონი, 26 მარტს ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ-მა ბოგუმილ ჩერმაკმა მიიღო 1 მილიონი, და 3 აპრილს ისევ ბ-მა შიპმა მიიღო 1 მილიონი.

სულ საფრანგეთის კონსულმა ნაციონალური საბჭოს განყოფილებას გადაუხადა 7 მარტიდან 4 აპრილამდე 8 მილიონი.

რიცხვის აღუნიშნავად მიეცა: ბ-ნ შიპს 1 მილიონი, ბ-ნ ბოგუმილ ჩერმაკს — 1 მილიონი, ბ-ნ შიპს — განმეორებით 1 მილიონი.

გარდა ამისა, უცნობ პირს მიეცა 188 000 მან. სულ 3 188 000. ზემოთ აღნიშნულ 8 მილიონთან ერთად გამოდის 11 მილიონ 188 000, რაც საფრანგეთის მთავრობამ გადაუხადა ნაციონალური საბჭოს განყოფილებას.

ინგლისის კონსულისაგან განყოფილებამ მიიღო 80 000 გირვანქა სტერლინგი. ამრიგად, 7 მარტიდან გამოსვლის დღემდე ჩეხიის ნაციონალური

საბჭოს ბელადებმა საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებისაგან მიიღეს 15 მილიონამდე მანეთი, და ამ ფასად ჩეხოსლოვაკიის არმია მიჰყიდეს ფრანგ და ინგლისელ იმპერიალისტებს».

რა თქმა უნდა, თქვენგან უმეტესობას ეს ცნობა თავის დროზე წაკითხული აქვს გაზეთებში; რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს არ შეგვდიოდა ეჭვი, რომ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები და ფინანსისტ-საქმოსნები შეეცდებოდნენ მოემოქმედნათ ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, მისთვის ყოველგვარ სიძნელეთა შესაქმნელად. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი იმ მოვლენათა მთელი ჯაჭვი, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს სისტემატურ, განუხრელ, ცხადია, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ყველა წარმომადგენლის მიერ დიდი ხნის მოფიქრებულ, თვეობით მომზადებულ სამხედრო და ფინანსურ კონტრრევოლუციურ ლაშქრობასთან საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ახლა, როდესაც მთლიანად ვიღებთ მოვლენებს, როდესაც ჩეხოსლოვაკთა კონტრრევოლუციურ მოძრაობას ვუკავშირებთ მურმანის დესანტს, ვიცით, რომ ინგლისელებმა იქ გადმოსხეს 10 000-ზე მეტი ჯარისკაცი, რომ მათ, მურმანის დაცვის საბაბით, სინამდვილეში იწყეს წინწამოწევა, დაიკავეს კემი და სოროკი, წამოვიდნენ სოროკის აღმოსავლეთით, ხელი მიჰყვეს ჩვენი საბჭოთა მოღვაწეების დახვრეტას; ვკითხულობთ გაზეთებში, რომ მრავალი ათასი რკინიგზელი მუშა და საერთოდ შორეული ჩრდილოეთის მუშები გაურბიან ამ მხსნელებსა და გადამრჩენლებს, ე. ი. სიმართლე რომ ითქვას, ამ ახალ იმპერიალისტ მოძალადეებს, რომლებიც გლეჯენ რუსეთს სხვა კუთხიდან, — როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ყველა ამ ფაქტს, ჩვენთვის ცხადი ხდება მოვლენათა საერთო ჯაჭვი. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს მიღებულია ახალი ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა ხასიათისაა ინგლის-საფრანგეთის შემოტევა რუსეთზე.

უკვე გეოგრაფიული მიზეზების გამო გასაგებია, რომ რუსეთზე იმპერიალიზმის ამ შემოტევის ფორმა არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორც გერმანიაში. არ არის ისეთი მომიჯნავე საზღვარი რუსეთთან, როგორიც გერმანიასთანაა; არ არის ჯარების ისეთი რაოდენობა. ინგლისის სამხედრო ძლიერების უპირატესად კოლონიური და საზღვაო ხასიათი უკვე დიდი ხანია, მრავალი ათეული წელია, აიძულებდა ინგლისელებს თავიანთ დაპყრობითს ლაშქრობაში სხვანაირად ეწარმოებინათ შეტევა, ცდილიყვნენ უმთავრესად მოეჭრათ მომარაგების წყაროები იმ ქვეყნისაგან, რომელსაც ისინი თავს ესხმოდნენ, და უპირატესობა მიეცათ, დახმარების საბაბით, ჩახშობის მეთოდისათვის პირდაპირი, უშუალო, მძაფრი, მკვეთრი სამხედრო ძალადობის მეთოდთან შედარებით. ამ ბოლო დროს იმ ცნობებიდან, რაც ჩვენ გვაქვს, გამოირკვა, რომ უეჭველად ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის დახმარებით ისარგებლა რუსი ჯარისკაცებისა და მუშებისათვის დიდი ხანია ცნობილმა ალექსეევმა, რომელმაც ამ ბოლო დროს ხელში ჩაიგდო სტანიცა ტიხორეცკაია. იქ აჯანყებამ უფრო გარკვეული ფორმები მიიღო, და ისევ, ალბათ, იმიტომ, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა თავისი დაღი დააჩნია.

ბოლოს, გუშინ მივიღეთ ცნობები, რომ ბაქოში ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა მოახერხა მეტად ეფექტური ფანდი განეხორციელებინა. მან მოახერხა მიეღო ბაქოს საბჭოში უმრავლესობა, დაახლოებით 30 ხმის უმრავლესობა, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ, და იმ, სამწუხაროდ, მეტად მცირერიცხოვანი მემარცხენე ესერების წინააღმდეგ, რომლებიც არ აყვნენ მოსკოველი მემარცხენე ესერების საზიზღარ ავანტიურასა და გამცემლურ ღალატს [8], არამედ დარჩნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ. აი ამ, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, ბირთვის წინააღმდეგ, რომელიც ბაქოს საბჭოში დღემდე უმრავლესობას შეადგენდა, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა ამჯერად მიიღო 30 ხმის უმეტესობა სომეხი

ნახევარსოციალისტების პარტიის, დაშნაკცუთიუნის[4] დიდი ნაწილის წყალობით, რომელიც მათ მხარეზე გადავიდა. (ქ ი თ ხ უ ლ ო ბ ს დ ე პ ე შ ა ს).

«26 ივლისს აჯიკაბულის რაზმმა სახალხო კომისრის — ყორღანოვის ბრძანებით დაიხია აჯიკაბულიდან ალიატის პოზიციებისაკენ. შემახიდან და მარაზიდან შემახის რაზმის უკანდახევის შემდეგ მოწინააღმდეგემ შეტევა დაიწყო მდინარე პირსაგატის ჭალით. სოფელ კუბალასთან მოხდა პირველი შეტაკება ავანგარდთან.

ამავე დროს მტკვრის მხრივ, სამხრეთიდან სადგურ პირსაგატისაკენ წინწამოწევა იწყო მრავალრიცხოვანმა ცხენოსანმა რაზმმა. ასეთ მდგომარეობაში სადგურ აჯიკაბულის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მთელი არსებული ძალების გაშლა სამი მხრით — აჯიკაბულის დასავლეთით, ნავაგი-პირსაგატის ველის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ფრონტის ასეთი გაშლა ჩვენ წაგვართმევდა რეზერვებს და, ცხენოსანი ჯარის უყოლობისას, შესაძლებლობას არ მოგვცემდა დაგვერტყა მოწინააღმდეგისათვის და მძიმე მდგომარეობაშიც კი ჩაგდებდა აჯიკაბულის ჯგუფს იმ შემთხვევაში, თუ ფრონტი ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან გარღვეული იქნებოდა. ასეთი ვითარების გამო, აგრეთვე ჯარების ძალთა შენარჩუნების მიზნით, გაიცა ბრძანება, რომ აჯიკაბულის რაზმს ალიატის პოზიციებისაკენ დაეხია. უკანდახევა სრული წესრიგით განხორციელდა. გზისა და სადგურ აჯიკაბულის მნიშვნელოვანი ნაგებობანი და ნავთისა და ნავთობის ცისტერნები აფეთქებულია. დაღისტანში, საერთო შეტევასთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგე აქტივობას იჩენს. 24 ივლისს მოწინააღმდეგე დიდი ჯგუფებით გვიტევდა ოთხი მიმართულებით. ერთი დღე-ღამის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ მოწინააღმდეგის სანგრები, მტერი ტყეში გაიფანტა, ღამემ ხელი შეგვიშალა შემდგომ დადევნებაში. 24 ივლისს შურიდან იუწყებიან ჩვენთვის წარმატებით მიმდინარე ბრძოლების შესახებ, საომარი მოქმედების ასპარეზი ქალაქის მიდამოებია, მოწინააღმდეგე შეუპოვრად, ორგანიზებულად მოქმედებს, მოწინააღმდეგის ძალებს ყოფილი დაღისტნელი ოფიცრები სარდლობენ, შურასთან წარმოებულ საბრძოლო მოქმედებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დაღისტნის გლეხები.

მემარჯვენე პარტიებმა ბაქოში თავი წამოყვეს და გააჩაღეს ენერგიული აგიტაცია ინგლისელთა მოწვევისათვის. აგიტაციას გაძლიერებით უჭერს მხარს არმიის მეთაურთა შემადგენლობა; ეს აგიტაცია გადააქვთ ფრონტის ნაწილებში. ანგლოფილურმა აგიტაციამ მოშალა არმია. ამ ბოლო დროს ინგლისის ორიენტაციას დიდი წარმატება ჰქონდა სასოწარკვეთილ და განაწამებ მასებში.

მემარჯვენე პარტიების თვალთმაქცური პროვოკაციული საქმიანობის გავლენით კასპიის სამხედრო ფლოტილიამ რამდენიმე ერთი-მეორის საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღო ინგლისელების შესახებ. მას ინგლისელთა

დაქირავებული კაცებისა და მოხალისე აგენტების მიერ მოტყუებულს, ბოლო დრომდე ბრმად სწამდა ინგლისელთა მხარდაჭერის გულწრფელობა.

უკანასკნელი ცნობები მოწმობენ ინგლისელთა წინწამოწევას სპარსეთში და მათ მიერ რეშთის (გილიანის) დაკავებას. რეშთში ინგლისელები 4 დღეს ებრძოდნენ კუჩუკ-ხანს და მის მხარეზე გადასულ გერმანელთა და თურქთა ბანდებს ბაქოდან გაქცეული მუსავატელების მეთაურობით. რეშთის ბრძოლის შემდეგ ინგლისელებმა გვთხოვეს დახმარება, მაგრამ ჩვენმა რწმუნებულებმა სპარსეთში უარი უთხრეს. რეშთში გაიმარჯვეს ინგლისელებმა. მაგრამ სპარსეთში მათ ძალები თითქმის არა ჰყავთ. გამორკვეულია, რომ ენზელში მათ სულ 50 კაცი ჰყავთ. ისინი ბენზინს საჭიროებენ და ამაში ავტომობილებს იძლევიან. უბენზინოდ მათ წინწამოწევა არ შეუძლიათ.

25 ივლისს შედგა დეპუტატთა საბჭოს ხელმეორე სხდომა პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის საკითხზე, და მემარჯვენე პარტიების მიერ დასმულ იქნა ინგლისელთა საკითხი. კავკასიის საგანგებო კომისარმა ამხ. შაუმიანმა, დაიმოწმა რა საბჭოების V ყრილობის რეზოლუცია და სტალინის დეპეშა, გამოგზავნილი ცენტრალური სახკომსაბჭოს სახელით, განაცხადა, რომ დაუშვებელია ინგლისელთა მოწვევა, და მოითხოვა მოეხსნათ განხილვიდან ინგლისელთა მოწვევის საკითხი. ხმების უმნიშვნელო უმრავლესობით ამხ. შაუმიანის მოთხოვნა უარყვეს, რის გამო ამხ. შაუმიანმა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელმა, მტკიცე პროტესტი განაცხადა. მოისმინეს ფრონტზე გაგზავნილი დელეგატების მოხსენება. მემარჯვენე ესერების, მემარჯვენე დაშნაკებისა და მენშევიკების 259 ხმის უმეტესობით ბოლშევიკების, მემარცხენე ესერებისა და მემარცხენე დაშნაკების 236 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია — მოიწვიონ ინგლისელები და შეადგინონ მთავრობა ყველა საბჭოთა პარტიისაგან, რომლებიც ცნობენ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას. რეზოლუცია მკაცრად დაგმო მემარცხენე სექტორმა. შაუმიანმა განაცხადა, რომ მიღებული დადგენილება მიაჩნია სამარცხვინო ღალატად და საზიზღარ უმადურობად რუსეთის მუშათა და გლეხთა მიმართ და რომ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი, ის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან მიღებული დადგენილების გამო. ბოლშევიკების, მემარცხენე ესერებისა და მემარცხენე დაშნაკების ფრაქციების სახელით განცხადებულ იქნა, რომ ისინი არ შევლენ კოალიციურ მთავრობაში და რომ სახალხო კომისართა საბჭო გადადგება. ამხ. შაუმიანმა სამი მემარცხენე ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ ხელისუფლება, რომელმაც ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევით სინამდვილეში გაწყვიტა კავშირი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან, არავითარ მხარდაჭერას არ ჰპოვებს საბჭოთა რუსეთის მხრივ. თავისი გამცემლური პოლიტიკით ადგილობრივმა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც ინგლისელები მოიწვია, დაჰკარგა რუსეთი და ის პარტიები, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას.

მემარჯვენე პარტიები სავსებით დაიბნენ იმასთან დაკავშირებით, რომ სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. შექმნილი

მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღების შემდეგ განწყობილება რაიონებში და ფრონტზე მკვეთრად შეიცვალა. მეზღვაურები მიხვდნენ, რომ ისინი სინამდვილეში მოატყუეს გამცემლებმა რუსეთთან კავშირის გაწყვეტისა და საბჭოთა ხელისუფლების მოსპობის მიზნით. მასები ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ინგლისელებისადმი. გუშინ, სახკომსაბჭოს გადადგომასთან დაკავშირებით, შედგა აღმასკომის საგანგებო სხდომა. გადაწყდა, რომ ყველა სახალხო კომისარი თავის პოსტებზე რჩება და ეწევა იმ მუშაობას, რასაც ისინი წინათ ეწეოდნენ, ვიდრე გადაწყდებოდეს ხელისუფლების საკითხი საბჭოს 31 ივლისის სხდომაზე. აღმასკომმა გადაწყვიტა მიიღოს სასწრაფო ზომები მოახლოებულ კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. მტრები თავიანთ მუშაობას ეწევიან ინგლის-საფრანგეთის პარტიების საფარველქვეშ. ბაქოს სახკომსაბჭოს ბეჭდვითი სიტყვის ბიურო».

როგორც ამას თქვენ მუდმივად ხედავთ ჩვენს ფრაქციებშიც, რომლებიც, უწოდებენ რა თავიანთ თავს სოციალისტურს, არასოდეს არ წყვეტენ კავშირს ბურჟუაზიასთან, ისე იქაც ამჯერად საჭიროდ ცნეს ინგლისის ჯარების მოწვევა ბაქოს დასაცავად [5]. ჩვენ უკვე ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტური ჯარების ასეთი მოწვევა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ეს მოწვევა ბურჟუაზიის, ესერების ნაწილისა და მენშევიკების მხრივ. ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ეს მოწვევა მენშევიკთა ბელადების მიერ თბილისში, საქართველოში.

ჩვენ შეგვიძლია ახლა ვთქვათ, რომ ერთადერთი პარტია, რომელსაც იმპერიალისტები არ მოუწვევია და მათთან მძარცველური კავშირი არ შეუკრავს, არამედ მხოლოდ უკან იხევდა, როდესაც მოძალადენი უტევდნენ, ერთადერთი პარტია იყო ბოლშევიკ-კომუნისტების პარტია. (ტაში). ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ღალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით.

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული

დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, და ამიტომ ათასჯერ მართალი იყვნენ ჩვენი ბაქოელი ამხანაგები, რომლებმაც სრულიადაც არ დაფარეს მდგომარეობის საშიშროება და უთხრეს თავიანთ თავს: ჩვენ არასოდეს არ ვიქნებოდით იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან ზავის წინააღმდეგი მისთვის ჩვენი ტერიტორიის ნაწილის დათმობის პირობით, ეს რომ ჩვენ საფრთხეს არ გვიქმნიდეს, ჩვენს ჯარებს რომ არ ბოჭავდეს მოძალადეთა ხიშტებთან კავშირით და ჩვენ შესაძლებლობას არ გვართმევდეს განვაგრძოთ ჩვენი გარდამქმნელი სოციალისტური მოღვაწეობა.

თუკი საკითხი ისე დგას, რომ, ინგლისელების მოწვევით ვითომდა ბაქოს დასაცავად, მოწვეულ იქნას სახელმწიფო, რომელმაც ახლა გადაყლაპა მთელი სპარსეთი და დიდი ხანია თავისი სამხედრო ძალებით მოიპარება კავკასიის სამხრეთი ნაწილის დასაპყრობად, ე. ი. თუ საკითხი ისე დგას, რომ ჩავარდე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ხელში, — ამ შემთხვევაში ჩვენ ერთ წუთსაც არ შეიძლება მოგვიცვას ეჭვმა და ყოყმანმა, რომ, რაც უნდა ძნელი იყოს ჩვენი ბაქოელი ამხანაგების მდგომარეობა, მათ, როცა უარი თქვეს ასეთი ზავის დადებაზე, ისეთი ნაბიჯი გადადგეს, რომელიც ერთადერთი შეეფერება არა სიტყვით, არამედ საქმით სოციალისტებს. ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან ყოველგვარი შეთანხმების გადაჭრით უარყოფა ბაქოელი ამხანაგების ერთადერთი სწორი ნაბიჯია, რადგან არ შეიძლება მათი მოწვევა ისე, თუ დამოუკიდებელი სოციალისტური ხელისუფლება, თუნდაც მოკვეთილ ტერიტორიაზე, იმპერიალისტური ომის მონად არ გადააქციე.

ამიტომ ჩვენ არავითარი ეჭვი არ შეგვდის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბაქოს ამბავს მოვლენათა საერთო ქსელში. გუშინ მიღებულ იქნა ცნობა, რომ შუა აზიის ქალაქთა ნაწილს მოედო კონტრრევოლუციური აჯანყება ინდოეთში დამკვიდრებული ინგლისელების აშკარა მონაწილეობით, რომლებმაც,

დაიპყრეს და სავსებით დაიმორჩილეს რა ავღანეთი, დიდი ხანია შექმნეს დასაყრდენი პუნქტი როგორც თავიანთ კოლონიურ სამფლობელოთა გასაფართოებლად, ერების ჩასახშობად, ისე საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელად. და აი ახლა, როდესაც ეს ცალკეული რგოლები ჩვენთვის ნათელი გახდა, სავსებით გამოირკვა ჩვენი რესპუბლიკის ახლანდელი სამხედრო და საერთო-სტრატეგიული მდგომარეობაც. მურმანი ჩრდილოეთით, ჩეხოსლოვაკთა ფრონტი აღმოსავლეთით, თურქესტანი, ბაქო და ასტრახანი სამხრეთ-აღმოსავლეთით — ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მიერ შეკრული რკალის თითქმის ყველა რგოლი შეერთებულია ერთმანეთთან.

ჩვენ ახლა ჩინებულად ვხედავთ, რომ მემამულეები, კაპიტალისტები და კულაკები, რომელნიც ყველანი, რა თქმა უნდა, მათთვის საკმაოდ კანონიერი მიზეზების გამო, გაჟღენთილი არიან სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ახლა გამოვიდნენ აქაც, ცოტა სხვა ფორმებით, ვიდრე მემამულეები, კაპიტალისტები და კულაკები გამოდიოდნენ უკრაინაში და რუსეთისაგან მოწყვეტილ სხვა ადგილებში. როგორც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ლაქიებმა, მათ ყველაფერი მოიმოქმედეს, რათა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, გაეკეთებინათ ყოველივე, რაც კი შესაძლებელია, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თვითონ რუსეთის ძალებით ამას ისინი ვერ იზამდნენ და გადაწყვიტეს ემოქმედნათ არა სიტყვებით, არა მიმართვებით, ბ. ბ. მარტოვების ყაიდაზე, არამედ ბრძოლის უფრო დიდ ხერხებს, საომარ მოქმედებას მიმართეს. ამ გარემოებას ყველაზე მეტად უნდა მიექცეს თქვენი ყურადღება; აქეთ უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი აგიტაცია, მთელი პროპაგანდა, და ამის შესაბამისად გადავწიოთ მთელი ჩვენი საბჭოთა მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

ეს ძირითადი ფაქტია, რომ ახლა მოქმედებენ სხვა კოალიციის იმპერიალისტური ძალები, არა გერმანიისა, არამედ ინგლის-საფრანგეთის კოალიციისა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ტერიტორიის ნაწილი და რომელიც მას ეყრდნობა. თუ

დღემდე გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უშლიდა მათ პირდაპირი გზით დასხმოდნენ თავს რუსეთს, ახლა, შემოვლითი გზით, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი, რომელიც უკვე ოთხი წელია სისხლით რწყავს მთელ მსოფლიოს მთელ მსოფლიოზე ბატონობისათვის, უშუალოდ მოადგა რუსეთს საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახშობად და იმისათვის, რომ რუსეთი იმპერიალისტურ ომში ჩაითრიოს. თქვენ მშვენივრად იცით, ამხანაგებო, რომ ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდან ჩვენ მთავარ ამოცანად ვისახავდით იმპერიალისტური ომის შეწყვეტას, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვეძლეოდით ილუზიებს, თითქოს ერთი რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატისა და რევოლუციური მასების ძალებით, რაც უნდა გმირულად იყვნენ ისინი განწყობილნი, რაც უნდა ორგანიზებულნი და დისციპლინირებულნი იყვნენ, — ერთი ქვეყნის პროლეტარიატის ძალებით შეიძლებოდეს საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობა, — ამის გაკეთება მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ერთობლივი ღონისძიებებით შეიძლება.

მაგრამ ჩვენ ვქენით ის, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში გაწყვეტილ იქნა ყოველგვარი კავშირი მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებთან. ჩვენს მთავრობას არა აქვს არც ერთი ძაფი, რომელიც მას აკავშირებდეს, რაგვარიც უნდა იყოს, იმპერიალისტებთან, და არასოდეს არ ექნება, რა გზითაც უნდა წავიდეს შემდგომ ჩვენი რევოლუცია. ჩვენ ვქენით ის, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენი ხელისუფლების არსებობის 8 თვის განმავლობაში უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ და რომ იმპერიალიზმის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში, გერმანიაში, 1918 წლის იანვარში საქმე მივიდა შეიარაღებულ შეტაკებამდე და ამ მოძრაობის სისხლისმღვრელ ჩახშობამდე. ჩვენ ისე გავაკეთეთ ჩვენი რევოლუციური საქმე, როგორც არც ერთ ქვეყანაში არ გაუკეთებია არც ერთ რევოლუციურ მთავრობას, საერთაშორისო, მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ თავს არ ვიტყუებდით, თითქოს ამის მიღწევა შეიძლებოდეს ერთი ქვეყნის ძალებით. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენს ღონისძიებებს გარდუვალად მივყავართ

მსოფლიო რევოლუციისაკენ და რომ იმპერიალისტური მთავრობების მიერ დაწყებული ომის დამთავრება ამ მთავრობათა ძალებით შეუძლებელია. იგი შეიძლება დამთავრებულ იქნას მხოლოდ მთელი პროლეტარიატის ღონისძიებებით, და ჩვენი ამოცანა, როდესაც ჩვენ ხელისუფლების სათავეში აღმოვჩნდით, როგორც პროლეტარული კომუნისტური პარტია, იმ მომენტში, როცა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ რჩებოდა კაპიტალისტური ბურჟუაზიული ბატონობა, — ჩვენი უახლოესი ამოცანა, ვიმეორებ, იყო შეგვენარჩუნებინა ეს ხელისუფლება, სოციალიზმის ეს ჩირაღდანი იმისათვის, რომ იგი რაც შეიძლება მეტ ნაპერწკალს აფრქვევდეს სოციალისტური რევოლუციის მზარდი ხანძრისათვის.

ეს ამოცანა ყველგან უაღრესად ძნელი იყო, და ეს ამოცანა ჩვენ გადავწყვიტეთ სწორედ იმის წყალობით, რომ პროლეტარიატი იდგა სოციალისტური რესპუბლიკის მონაპოვართა სადარაჯოზე. ამ ამოცანამ მიგვიყვანა განსაკუთრებით მძიმე და კრიზისულ მდგომარეობამდე, რადგან სოციალისტური რევოლუცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჯერ კიდევ არ დაწყებულა არც ერთ ქვეყანაში, თუმცა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და ავსტრია, იგი შეუდარებლად უფრო მოახლოვდა. მაგრამ რადგანაც იგი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, ჩვენს წინაშეა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის და, მაშასადამე, მსოფლიო იმპერიალიზმის ახალი წარმატება. თუ დასავლეთიდან გერმანიის იმპერიალიზმი ისევ დგას, როგორც სამხედრო, დამპყრობელი იმპერიალისტური ძალა, რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა შესაძლებლობა მიიღო გამაგრდეს, და იგი ცხადად, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს ძალა მზად არის კვლავ ჩააბას რუსეთი იმპერიალისტურ ომში, მზად არის ჩაახშოს რუსეთი — დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც განაგრძობს თავის სოციალისტურ მუშაობასა და პროპაგანდას მსოფლიოს მიერ დღემდე არნახული მასშტაბით. ამის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა დიდი წარმატება მოიპოვა,

ჩვენ რკალი შემოგვარტყა და მთელი ძალ-ღონე მიმართა იქითკენ, რომ დათრგუნოს საბჭოთა რუსეთი. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ეს წარმატება განუყრელად დაკავშირებულია კლასობრივ ბრძოლასთან.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, — და რევოლუციებიც ამას ადასტურებენ, — რომ როდესაც საქმე ეხება ეკონომიური ძალაუფლების, ექსპლოატატორთა ძალაუფლების საფუძვლებს, მათ საკუთრებას, რომელიც მათ განკარგულებაში აქცევს ათეული მილიონობით მუშისა და გლეხის შრომას, შესაძლებლობას აძლევს მემამულეებსა და კაპიტალისტებს გამდიდრდნენ, — როდესაც, ვიმეორებ, საქმე ეხება კაპიტალისტთა და მემამულეთა კერძო საკუთრებას, ისინი ივიწყებენ მთელ თავიანთ ფრაზებს სამშობლოს სიყვარულისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ კადეტებმა, მემარჯვენე ესერებმა და მენშევიკებმა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის მხრივ, მძარცველურ ხელშეკრულებათა დადების მხრივ, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმისათვის სამშობლოს გაცემის მხრივ რეკორდი დაამყარეს. ამის მაგალითია უკრაინა და თბილისი. ამ მხრივ საკმაოდ მაჩვენებელია მენშევიკების, მემარჯვენე ესერების კავშირი ჩეხოსლოვაკებთან. მემარცხენე ესერების გამოსვლაც, რომლებმაც განიზრახეს იაროსლაველი თეთრგვარდიელების ინტერესებისათვის ჩააბან ომში რუსეთის რესპუბლიკა[6], საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ, როდესაც საქმე ეხება კლასობრივ ზემოგებას, ბურჟუაზია ჰყიდის სამშობლოს და მევახშურ გარიგებას დებს თავისი ხალხის წინააღმდეგ, როგორიც გინდათ უცხოელებთან. ეს ჭეშმარიტება კიდევ და კიდევ ცხადყო რუსეთის რევოლუციის ისტორიამ მას შემდეგ, რაც ასზე მეტი წლის განმავლობაში რევოლუციის ისტორია გვიჩვენებდა ჩვენ, რომ ასეთია ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების, კლასობრივი პოლიტიკის კანონი ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო

მდგომარეობის ახლანდელი გამწვავება დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ ახალი მოსავლის წინა პერიოდი ამ მხრივ, სასურსათო კრიზისის გამწვავების მხრივ, ყველაზე მძიმეა. რუსეთს კარს მოადგა შიმშილობის უბედურება, რომელიც უმაგალითოდ გამწვავდა, რადგან იმპერიალისტი მტაცებლების გეგმა სწორედ ის არის, რომ მოწყვიტონ რუსეთს პურეულის ადგილები. ამ მხრივ მათი მისწრაფება სავსებით სწორად არის ნავარაუდევი და იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ პურის მოსავლიან განაპირა მხარეებში იპოვნონ სოციალურ-კლასობრივი დასაყრდენი, იპოვნონ ისეთი ადგილები, სადაც სჭარბობენ კულაკები, მდიდარი გლეხები, რომლებიც ომის წყალობით გამდიდრდნენ, რომლებიც სხვისი შრომით, ღარიბ გლეხთა შრომით ცხოვრობენ. თქვენ იცით, რომ ამ ელემენტებმა ათეული და ასეული ათასობით მანეთი დააგროვეს და რომ მათ პურის უზარმაზარი მარაგი აქვთ. თქვენ იცით, რომ ამ ადამიანებმა, რომლებიც ხალხის უბედურებაზე მდიდრდებოდნენ, რომლებსაც მით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ეძარცვათ ხალხი და გაედიდებინათ თავიანთი მოგება, რაც უფრო მეტად უჭირდა ხალხს დედაქალაქში, — სწორედ ამ კულაკურმა ელემენტებმა შეადგინეს კონტრრევოლუციური მოძრაობის მთავარი და ყველაზე სერიოზული დასაყრდენი რუსეთში. აქ კლასობრივი ბრძოლა თვით მისი მიზეზის სიღრმეს მიადგა. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც არ ხდებოდა კლასობრივი ბრძოლა სოფლის ღარიბებსა და საშუალო გლეხობის ნაწილსა, რომელსაც ნაჭარბი პური არა აქვს, რომელმაც იგი დიდი ხანია შეჭამა, რომელიც სპეკულაციაში არ მონაწილეობდა, — კლასობრივი ბრძოლა მშრომელთა ამ უდიდეს უმრავლესობასა და კულაკების სრულიად უმნიშვნელო ჯგუფს შორის; ეს კლასობრივი ბრძოლა ყოველ სოფელს მოედო.

როდესაც ჩვენს პოლიტიკურ გეგმებს განვსაზღვრავდით და ჩვენს დეკრეტებს ვაქვეყნებდით, — რა თქმა უნდა, აქ

დამსწრეთა დიდი ნაწილი მათ იცნობს, — როდესაც, ვიმეორებ, ჩვენ ვწერდით და ვახორციელებდით დეკრეტებს სოფლის ღარიბთა ორგანიზაციის შესახებ [7], ჩვენ ნათლად ვხედავდით, რომ დგებოდა მთელი რევოლუციის ყველაზე გადამწყვეტი და ძირითადი საკითხი, ყველაზე გადამწყვეტი და ძირითადი საკითხი — ხელისუფლების შესახებ, ის საკითხი, იქნება თუ არა ხელისუფლება პროლეტარიატის ხელში, შეიერთებს თუ არა იგი სოფლის მთელ ღარიბ მოსახლეობას, რომელთანაც მას არავითარი უთანხმოება არა აქვს, შეძლებს თუ არა იგი მიიმხროს გლეხები, რომლებსაც მასთან უთანხმოება არა აქვთ, და გააერთიანებს თუ არა მთელ ამ მასას, სოფლებში გაფანტულ, განცალკევებულ, დაქსაქსულ მასას, — რომელიც ამ მხრივ ქალაქის მუშაზე დაბლა დგას, — გააერთიანებს თუ არა მას მეორე ბანაკის, მემამულეთა, იმპერიალისტთა და კულაკთა ბანაკის წინააღმდეგ?

ხოლო ჩვენს თვალწინ სოფლის ღარიბნი უკვე არაჩვეულებრივი სისწრაფით ირაზმებიან. ამბობენ, რევოლუცია ჭკუის მასწავლებელიაო. მართლაც, კლასობრივი ბრძოლა გვასწავლის პრაქტიკულად, რომ ამა თუ იმ პარტიის პოზიციის ყოველ სიყალბეს ეს პარტია დაუყოვნებლივ მიჰყავს იმ ადგილამდე, რომელიც მან დაიმსახურა. ჩვენ ნათლად დავინახეთ მემარცხენე ესერების პარტიის პოლიტიკა, რომლებიც, უნიათობისა და უთაურობის გამო, შედრკნენ იმ მომენტში, როდესაც სურსათის საკითხი ესოდენ მწვავედ დაისვა, და მემარცხენე ესერების პარტია გაქრა როგორც პარტია, გადაიქცა რა პაიკად იაროსლაველ თეთრგვარდიელთა ხელში. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, ეს არის კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით, სწორედ მაშინ, როდესაც ახალი მოსავლის სიუხვე უკვე გამორკვეულია, მაგრამ არ შეიძლება რეალიზებულ იქნას, და მაშინ, როდესაც პეტროგრადისა და მოსკოვის საშინლად დამშეულ მცხოვრებთ აგულიანებენ კულაკური ელემენტები და ბურჟუაზია, რომლებიც უკიდურესად გააფთრებულნი ამბობენ: ან ახლა, ან

არასოდესო, — აქედან გასაგებია აჯანყებათა ის ტალღა, რომელიც მთელ რუსეთს ედება. მოხდა იაროსლავის აჯანყება. და ჩვენ ვხედავთ ინგლისელებისა და ფრანგების გავლენას; ჩვენ ვხედავთ კონტრრევოლუციური გენერლებისა და ბურჟუაზიის ვარაუდს. იქ, სადაც პურის საკითხი წამოიჭრებოდა, ხელს უშლიდნენ პურის მონოპოლიის განხორციელებას, უამისოდ კი არ შეიძლება იყოს სოციალიზმი. სწორედ აქ უნდა დაირაზმოს ბურჟუაზია, აქ ბურჟუაზიას უფრო ღრმა დასაყრდენი აქვს, ვიდრე სოფლელ გლეხს. გადამწყვეტი ბრძოლა სოციალიზმის ძალებსა და ბურჟუაზიულ საზოგადოებას შორის მოხდება ყოველ შემთხვევაში, ასე თუ ისე, დღეს თუ ხვალ, ამა თუ იმ საბაბის გამო. ყოველგვარი მერყეობა შეიძლება ახასიათებდეთ მხოლოდ სოციალისტებს ბრჭყალებში, როგორც, მაგალითად, ჩვენს მემარცხენე ესერებს. როდესაც ამ საკითხში, ამ ძირითად საკითხში, სოციალისტებს ყოყმანი ეტყობათ, ეს გვიჩვენებს, რომ ისინი არიან სოციალისტები ბრჭყალებში, რომლებიც გროშად არ ღირან. რევოლუციას ასეთი სოციალისტები იქამდე მიჰყავს, რომ ისინი სინამდვილეში იქცევიან უბრალო პაიკებად, რომლებითაც ფრანგი გენერლები თამაშობენ, იმ პაიკებად, რომელთა როლი მემარცხენე ესერების ყოფილი პარტიის ყოფილმა ცენტრალურმა კომიტეტმა გვიჩვენა.

ამხანაგებო, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმისა და რუსეთის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ამ გაერთიანებულ ღონისძიებას მოჰყვა ის, რომ სამოქალაქო ომი ჩვენში ახლა იმ მხრიდან გაჩაღდა, საიდანაც მას ყველა როდი მოელოდა და ყველას როდი ჰქონდა ნათლად შეგნებული, და ეს ომი შეუერთდა საგარეო ომს ერთ განუყრელ მთელად. კულაკთა აჯანყება, ჩეხოსლოვაკთა ამბოხება, მურმანის მოძრაობა, — ეს ერთი ომია, რომელიც ემუქრება რუსეთს. ჩვენ ერთი მხრივ თავი დავაღწიეთ ომს უდიდესი ზარალის განცდის, უმაგალითოდ მძიმე ზავის დადების გზით, ჩვენ ვიცოდით, რომ ძალადურ ზავს ვდებდით, მაგრამ ვამბობდით, შევძლებთ განვაგრძოთ ჩვენი პროპაგანდა და ჩვენი მშენებლობა,

და ამით ვარღვევთ იმპერიალისტურ სამყაროსო. ჩვენ ეს შევძელით. გერმანია ახლა მოლაპარაკებას აწარმოებს იმის შესახებ, თუ რამდენი მილიარდი აიღოს რუსეთისაგან ბრესტის ზავის საფუძველზე, მაგრამ მან ცნო მთელი ის ნაციონალიზაცია, რაც ჩვენ 28 ივნისის დეკრეტით[8] გავატარეთ. მას არ წამოუყენებია საკითხი მიწის კერძო საკუთრებისა რესპუბლიკაში, ამას ხაზი უნდა გაესვას იმ გაუგონარი სიცრუის საპირდაპიროდ, რასაც ავრცელებდნენ სპირიდონოვა და მისთანა მოღვაწენი მემარცხენე ესერების წრიდან, სიცრუისა, რაც სასარგებლო გამოდგა მემამულეებისათვის და რასაც ახლა იმეორებენ უაღრესად ბნელი და განუვითარებელი ელემენტები შავრაზმელების წრიდან; ეს სიცრუე უარყოფილ და მხილებულ უნდა იქნას.

ნამდვილად კი, ჩვენთვის ზავის მთელი სიმძიმის მიუხედავად, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფალი შინაური სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობა და ამ გზაზე ისეთი ნაბიჯები გადავდგით, რომლებიც ახლა ცნობილი ხდება დასავლეთ ევროპისათვის და წარმოადგენს წინანდელზე განუზომლად უფრო ძლიერ ელემენტებს პროპაგანდისათვის.

და აი, საქმე იმგვარადაა, რომ, თავი დავაღწიეთ რა ერთი მხრივ ომს ერთ კოალიციასთან, მაშინვე განვიცადეთ იმპერიალიზმის შემოტევა მეორე მხრივ. იმპერიალიზმი მსოფლიო მოვლენაა, ეს არის ბრძოლა მთელი მსოფლიოს, მთელი დედამიწის გაყოფისათვის და მტაცებელთა ამა თუ იმ მცირე ჯგუფისადმი დამორჩილებისათვის. ახლა მეორე, ინგლისსაფრანგეთის, ჯგუფი გვესხმის თავს და გვეუბნება: კვლავ ჩაგაბამთ ომშიო. მათი ომი სამოქალაქო ომთან ერთ მთელად იკვრება, და ეს შეადგენს ახლანდელი მომენტის სიძნელეთა მთავარ წყაროს, როდესაც სცენაზე ისევ გამოჩნდა ომის, საომარი მოვლენების საკითხი, როგორც რევოლუციის მთავარი, ძირითადი საკითხი. ეს იწვევს მთელ სიძნელეს, რადგან ხალხი დაიღალა ომისაგან, გაწამებულია ომით ისე, როგორც არასოდეს. ომით უკიდურესად დატანჯული, გაწამებული რუსი ხალხის მდგომარეობა გვინდა შევადაროთ ისეთ კაცს,

რომელიც ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს, რომლისაგან არ შეიძლება მოველოდეთ არც ენერგიის გამოჩენას, არც შრომის უნარის გამოჩენას. ასევე რუს ხალხში, ბუნებრივია, ამ თითქმის ოთხი წლის ომმა, რაც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას, რომელიც დაიტაცეს, დატანჯეს, წაბილწეს ცარიზმმა, თვითმპყრობელობამ, ბურჟუაზიამ და კერენსკიმ, მრავალი მიზეზის გამო ზიზღი გამოიწვია, ეს გახდა უდიდესი წყარო უზარმაზარი სიძნელეებისა, რომლებსაც ჩვენ განვიცდით.

მეორე მხრივ, მოვლენათა ასეთმა შეტრიალებამ ყველაფერი დაიყვანა გარკვეულ ომამდე. ჩვენ კვლავ მოვხვდით ომში, ჩვენ ვიმყოფებით ომში, და ეს ომი არა მარტო სამოქალაქო ომია, ომი კულაკებთან, მემამულეებთან, კაპიტალისტებთან, რომლებიც ახლა გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ, — ახლა ჩვენს წინააღმდეგ უკვე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი დგას; მას ჯერ კიდევ არ ძალუძს დასძრას რუსეთის წინააღმდეგ ურდოები, მას ხელს უშლის გეოგრაფიული პირობები, მაგრამ იგი ყველაფერს, რაც კი შეუძლია, მთელ თავის მილიონებს, მთელ თავის დიპლომატიურ კავშირს და ძალებს იძლევა ჩვენი მტრების დასახმარებლად. ჩვენ ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით, და ჩვენ შეგვიძლია ეს ომი ძლევამოსილად დავამთავროთ; მაგრამ აქ ჩვენ გვიხდება ბრძოლა ერთ-ერთ ყველაზე ძნელად დასაძლევ მოწინააღმდეგესთან: უნდა ვებრძოლოთ ომით გამოწვეული დაღლილობის, ომისადმი სიძულვილისა და ზიზღის განწყობილებას; ეს განწყობილება ჩვენ უნდა დავძლიოთ, რადგან სხვანაირად ჩვენ ვერ გადავწყვეტთ საკითხს, რომელიც ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული, — სამხედრო საკითხს. ჩვენი ქვეყანა კვლავ მოხვდა ომში, და რევოლუციის ბედი ახლა საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ომში, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან ჩეხოსლოვაკები, ნაწილდვილად კი ხელმძღვანელები, მამოძრავებელნი, წამბიძგებელნი ამ ომში ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები არიან. რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა

რესპუბლიკის არსებობის მთელი საკითხი, რუსეთის სოციალისტური რევოლუციის მთელი საკითხი სამხედრო საკითხად იქცა. ეს არის უდიდესი სიძნელის წყარო, ხალხის იმ განწყობილების დროს, რომელიც მან იმპერიალისტური ომიდან გამოიტანა. ჩვენი ამოცანა ჩვენთვის სავსებით აშკარაა. ყოველგვარი მოტყუება უაღრესად მავნებელი იქნება; მუშებისა და გლეხებისაგან ამ მწარე სიმართლის დამალვა ჩვენ დანაშაულად მიგვაჩნია. პირიქით, ყველამ რაც შეიძლება უფრო ნათლად, უფრო ცხადად იცოდეს ეს სიმართლე.

დიახ, ჩვენ გვაქვს მაგალითები, როცა ჩვენი ჯარები გვიჩვენებდნენ დანაშაულებრივ სისუსტეს, მაგალითად, ჩეხოსლოვაკების მიერ სიმბირსკის აღებისას, როდესაც ჩვენებმა უკან დაიხიეს; ჩვენ ვიცით, რომ ჯარები დაიღალნენ ომში, ზიზღს გრძნობენ მისდამი, მაგრამ ბუნებრივი და გარდუვალია აგრეთვე ისიც, რომ, ვიდრე იმპერიალიზმი არ დამარცხებულა მსოფლიო მასშტაბით, იგი ეცდება ჩააბას რუსეთი იმპერიალისტურ ომში, ეცდება გადააქციოს რუსეთი სასაკლაოდ. გვინდა ეს ჩვენ თუ არა, მაგრამ საკითხი ასეა დასმული: ჩვენ ომში ვიმყოფებით, და რევოლუციის ბედს ამ ომის შედეგი გადაწყვეტს. ეს უნდა გახდეს ჩვენი აგიტაციის, მთელი ჩვენი პოლიტიკური, რევოლუციური და გარდამქმნელი მოღვაწეობის პირველი და უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ ესოდენ ბევრი რამ გავაკეთეთ მოკლე ხნის განმავლობაში. მაგრამ ყველაფერი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. მთელი ჩვენი მოღვაწეობა სავსებით და მთლიანად უნდა დაუქვემდებარდეს იმ საკითხს, რომელზეც ახლა დამოკიდებულია რევოლუციის ბედი და მისი შედეგი, რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციის ბედი. რა თქმა უნდა, ახლანდელი ომიდან მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმი თავს ვერ დააღწევს ისე, რომ მთელი რიგი რევოლუციები არ მოხდეს. ეს ომი სხვანაირად ვერ გათავდება, თუ არა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებით. მაგრამ ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ სოციალიზმის ეს ძალა, ეს სოციალისტური ჩირაღდანი, სოციალიზმის ეს წყარო, რომელიც აქტიურად მოქმედებს

შთელს მსოფლიოზე, გავამაგროთ, დავიცვათ და შევინარჩუნოთ; ეს ამოცანა, მოვლენათა ახლანდელი მდგომარეობის დროს, სამხედრო ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ ასეთ მდგომარეობაში, და ბევრი ამბობდა, რომ, თუმცა ძვირად დაგვიჯდა ჩვენ ზავი, თუმცა ბევრი მსხვერპლი მოითხოვა მან ჩვენგან, თუმცა მტერი ყოველნაირად ცდილობს კიდევ და კიდევ წაგვართვას ტერიტორიები, მაგრამ მაინც რუსეთი ჯერჯერობით, ყოველივეს მიუხედავად, სარგებლობს მშვიდობით და რომ მას შეუძლია განამტკიცოს თავისი სოციალისტური მონაპოვარნი. ამ გზაზე ჩვენ უფრო შორსაც კი წავედით, ვიდრე ეს ბევრ ჩვენგანს ჰქონდა წარმოდგენილი. მაგალითად, ჩვენი მუშათა კონტროლი დიდად გასცილდა იმ ფორმებს, რომლებშიც იგი თავდაპირველად ჩამოყალიბდა, და ამჟამად ჩვენ იმის წინაშე ვდგავართ, რომ სახელმწიფო მმართველობა სოციალისტურ წყობილებად გადავაქციოთ. ჩვენ ძალიან შორს წავიწიეთ წინ ჩვენი პრაქტიკული მუშაობის ნიადაგზე. ჩვენ უკვე გვაქვს მრეწველობის სრული მმართველობა მუშების მიერ, მაგრამ გარემოებებმა შესაძლებლობა არ მოგვცეს მშვიდობიანად განგვეგრძო შემდგომ ეს მუშაობა; გარემოებებმა კვლავ შეგვიქმნეს სამხედრო მდგომარეობა, და უნდა დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და იარაღისაკენ მოვუხმოთ ყველას. ჩვენ რომ ამ საკითხში რაიმე მერყეობას შევხვედროდით კომუნისტების წრეში, ეს სამარცხვინო იქნებოდა.

გლეხობის მერყეობა ჩვენ არ გვაკვირვებს. გლეხთა მასას არ გამოუვლია ცხოვრების ისეთი სკოლა, როგორიც გამოიარა პროლეტარიატმა, რომელიც ათეული წლობით შეეჩვია კაპიტალისტში ხედავდეს თავის კლასობრივ მტერს და რომელმაც შეძლო დაერაზმა თავისი ძალები მასთან საბრძოლველად. ჩვენ ვიცით, რომ გლეხებს ასეთი უნივერსიტეტი არ გაუვლიათ. ერთ დროს ისინი პროლეტარიატთან ერთად მიდიოდნენ, ახლა მათ მერყეობის პერიოდი ემჩნევათ, როცა გლეხთა მასა ითიშება. ჩვენ ვიცით უამრავი შემთხვევა, როდესაც

კულაკები გლეხებს პურს მტკიცე ფასებზე უფრო იაფად აძლევენ იმისათვის, რომ თავი ისე მოაჩვენონ, თითქოს კულაკები იცავენ მათ ინტერესებს. ჩვენ ყოველივე ეს არ გვაკვირვებს; მაგრამ მუშა-კომუნისტი არ შედრკება, მუშათა მასა ურყევი იქნება, და თუ გლეხთა წრე კულაკურად არის განწყობილი, ეს ადვილად აიხსნება. იქ, სადაც ბოლშევიკები არ არიან და ჩეხოსლოვაკთა ხელისუფალნი ბატონობენ, ჩვენ ასეთ მოვლენას ვხედავდით: ჯერ ჩეხოსლოვაკებს ხვდებიან თითქოს როგორც მხსნელებს, მაგრამ ამ ბურჟუაზიის ბატონობის რამდენიმე კვირის შემდეგ ხდება უდიდესი შემობრუნება ჩეხოსლოვაკთა წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, რადგან გლეხები იწყებენ იმის შეგნებას, რომ ყოველი ფრაზა ვაჭრობის თავისუფლებისა და დამფუძნებელი კრების შესახებ მხოლოდ ერთს ნიშნავს: მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლებას.

ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ პროლეტართა რიგები და შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომ უახლოეს კვირეებში ყველაფერი მიმართული იყოს სამხედრო საკითხის გადაწყვეტისაკენ. ჩვენ ახლა ვეომებით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და ყოველივე იმას, რაც კი არის რუსეთში ბურჟუაზიული, კაპიტალისტური, რაც კი ცდილობს, რათა ჩაშალოს სოციალისტური რევოლუციის მთელი საქმე და ჩაგვაბას ჩვენ ომში. საკითხი ისე დგას, რომ უდიდესი საფრთხე მოელის მუშათა და გლეხთა ყველა მონაპოვარს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ პროლეტარიატში ჩვენ შევხვდებით ფართო თანაგრძნობას და მხარდაჭერას და საფრთხე სავსებით იქნება უკუგდებული, და პროლეტარიატის ახალი რიგები გამოვლენ თავიანთი კლასის დასაცავად, სოციალისტური რევოლუციის სახსნელად. ახლა საკითხი ისეა დასმული, რომ ბრძოლა წარმოებს ორი ძირითადი პუნქტის გამო, ყველა ძირითადი პარტიული უთანხმოება წაიშალა რევოლუციის ცეცხლში. მემარცხენე ესერი, რომელიც გაძლიერებით უსვამს ხაზს, რომ ის მემარცხენეა, რომელიც რევოლუციურ ფრაზას ამოფარებია, ნამდვილად

კი ჯანყდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, — ისეთივე მსახურია იაროსლაველი თეთრგვარდიელებისა, აი რა არის ის ისტორიისა და რევოლუციური ბრძოლის წინაშე! ახლა ბრძოლის სარბიელზე მხოლოდ ორი კლასია: მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, და იმათ შორის, ვინც იცავს მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს. ყოველი ფრაზა დამფუძნებელ კრებაზე, სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე და სხვ., რითაც ცდილობენ მოატყუონ შეუგნებელი მასები, მხილებულია ჩეხოსლოვაკთა მოძრაობის და კავკასიელი მენშევიკების მოძრაობის გამოცდილებით. მთელი ამ ფრაზების უკან დგანან იგივე მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალები და სწორედ ისევე, როგორც გერმანელთა ოკუპაციას მოაქვს მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება, მოაქვს იგი ჩეხოსლოვაკთა აჯანყებასაც. აი რის გამო წარმოებს ომი!

ამხანაგებო! პროლეტარიატის რიგები კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაირაზმონ და მოგვცენ ამ ბრძოლაში ორგანიზებულობისა და დისციპლინის ნიმუში. რუსეთი უწინდებურად რჩება ერთადერთ ქვეყნად, რომელმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა იმპერიალისტებთან. მართალია, ჩვენ სისხლით ვიცლებით ამ მძიმე ჭრილობათაგან. ჩვენ უკან დავიხიეთ იმპერიალისტური მხეცის წინაშე, ამასთან ჩვენ ვიგებდით დროს, ნაწილობრივ ვურტყამდით მას ხან აქ, ხან იქ, მაგრამ ჩვენ, როგორც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, დამოუკიდებელნი ვრჩებოდით. ჩვენს სოციალისტურ სამუშაოს რომ ვასრულებდით, ჩვენ მივდიოდით მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და ეს ბრძოლა უფრო გასაგები ხდება მთელი მსოფლიოს მუშებისათვის, მათი მზარდი აღშფოთება სულ უფრო და უფრო გვიახლოებს მომავალ რევოლუციას. სწორედ ამის გამო წარმოებს ბრძოლა, რადგან ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ხელიხელჩაკიდებული არ მიდიოდა იმპერიალიზმთან, საშუალებას არ იძლეოდა, რომ გაეჟლიტათ მილიონობით ადამიანი ფრანგების ან გერმანელების მსოფლიო ბატონობისათვის. ჩვენი

რესპუბლიკა ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ძალდატანებითი და რევოლუციური გზით დააღწია თავი მსოფლიო იმპერიალისტურ ომს და აღმართა სოციალისტური რევოლუციის დროშა, მაგრამ მას კვლავ აბამენ იმპერიალისტურ ომში, კვლავ სურთ ფრონტზე დააყენონ იგი. დეე ჩეხოსლოვაკებმა იომონ გერმანელებთან, დეე რუსეთის ბურჟუაზიამ მოახდინოს არჩევანი, დეე მილიუკოვმა გადაწყვიტოს, იქნებ, სპირიდონოვას და კამკოვის თანხმობითაც კი, საკითხი, რომელ იმპერიალისტებთან იარონ მათ ერთად. მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ: იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ ამ საკითხის გადაწყვეტას, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გავწიროთ ჩვენი სიცოცხლე, ვინაიდან საქმე მთელი სოციალისტური რევოლუციის ხსნას ეხება. (ტ ა შ ი). მე ვიცი, რომ სარატოვის, სამარისა და სიმბირსკის გუბერნიების გლეხთა შორის, სადაც შემჩნეული იყო ყველაზე მეტი დაღლილობა და საომარი მოქმედების უუნარობა, ხდება გარდატეხა. მათ, როცა განიცადეს კაზაკებისა და ჩეხოსლოვაკების შემოსევა, როცა ნამდვილად იგემეს, თუ რა არის დამფუძნებელი კრება ან ყვირილი: ძირს ბრესტის ზავიო, გაიგეს, რომ ყოველივე ამას მივყავართ იქითკენ, რომ ბრუნდება მემამულე, ტახტზე ჯდება კაპიტალისტი, — და ისინი ახლა საბჭოების ხელისუფლების ყველაზე თავდადებული დამცველნი ხდებიან. მე ოდნავი ეჭვიც კი არ მაქვს, რომ პეტროგრადისა და მოსკოვის პროლეტართა მასები, რევოლუციას რომ მიუძღვებიან, შეიგნებენ გარემოებებს, შეიგნებენ, თუ რა მრისხანე მომენტს განვიცდით ახლა, ისინი კიდევ უფრო გაბედულნი იქნებიან, და პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის ინტერესებისათვის გაანადგურებს როგორც ინგლის-საფრანგეთის, ისე ჩეხოსლოვაკთა შემოტევას. (ტ ა შ ი).

დაბეჭდილია 1919 წელს წიგნში:
«სრულიად რუსეთის ცაკის მეხუთე მოწვევა.
სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან

სიტყვა საგუბერნიო საბჭოების თავმჯდომარეთა ყრილობაზე [9]

1918 წ. 30 ივლისს

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო, თქვენ გიხდებათ ადმინისტრაციული მუშაობის წარმოება, რასაც ჩვენთან, სახკომსაბჭოში, უპირატესი მდგომარეობა უჭირავს. სავსებით ბუნებრივია, რომ თქვენ მრავალ სიძნელეს შეხვდებით. მეტწილ საგუბერნიო აღმასკომებში ჩანს, რომ ხალხის მასა, ბოლოს და ბოლოს, თვითონ ჰკიდებს ხელს მმართველობის საქმეს. სიძნელენი, რა თქმა უნდა, გარდუვალია. ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ვარჩევდით პრაქტიკულ მუშაკებს მუშათა წრიდან. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობდით შეგვეგუებინა ძველი აპარატი ახალი მართვა-გამგეობისადმი და არ ვნანობთ, რომ ძველის გაუქმებასთან ერთად ესოდენი სიძნელეებით გვიხდება ყველაფრის ახლად შენება. მუშათა და გლეხთა მასებს მშენებლობის მეტი უნარი გააჩნიათ, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. რევოლუციის დამსახურებად ჩვენ სწორედ ის მიგვაჩნია, რომ მან აღგავა მმართველობის ძველი აპარატი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ მასის მთავარ ნაკლს წარმოადგენს გაუბედაობა და ის, რომ მას არ სურს თავის ხელში აიღოს საქმე.

ზოგიერთი გუბერნიის დეპუტატთა საბჭოში დღემდე ჩანდა უწესრიგობა; ახლა კი მუშაობა უფრო და უფრო გვარდება, ასე რომ ბევრი ადგილიდან მოდის ცნობები, რომ მუშაობაში არავითარი გაუგებრობა და კონფლიქტი არ არის. რუსეთის რევოლუციამ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 8 თვემ განვლო, დაამტკიცა, რომ ახალ კლასს, რომელმაც

ხელთ აიღო მმართველობა, უნარი შესწევს თავი გაართვას ამ ამოცანას. მუშაკთა ნაკლებობის მიუხედავად, ადმინისტრაციული აპარატი სულ უფრო და უფრო ეწყობა. ჩვენი მშენებლობა ჯერ კიდევ ისეთ სტადიაშია, რომ არ ჩანს მისი გარკვეული შედეგები, რაზედაც მტრები ხშირად კიდევაც მიუთითებენ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. მიწისა და მრეწველობის გადასვლა მშრომელთა ხელში, პროდუქტების გაცვლა და სასურსათო მომარაგება, არაჩვეულებრივი სიძნელის მიუხედავად, ხორციელდება. უნდა დავაწინაუროთ მშრომელი მასები სოციალისტური სახელმწიფოს მართვის და მშენებლობის დამოუკიდებელ საქმეზე. მხოლოდ პრაქტიკით დარწმუნდებიან მასები, რომ ძველ ექსპლოატატორულ კლასს სავსებით მოეღო ბოლო.

ჩვენი მთავარი საარსებო ამოცანაა მართვა, ორგანიზაცია და კონტროლი. ეს საქმეა უმადური და უჩინარია, მაგრამ სწორედ აქ გაიშლებიან უფრო და უფრო წარმატებით მუშათა და გლეხთა საქმეურნეო და ადმინისტრაციული ძალები.

გადადის რა შემდგომ ახალ კონსტიტუციაზე [10], ამხანაგი ლენინი აღნიშნავს, რომ ეს კონსტიტუცია თავს უყრის იმას, რაც ცხოვრებამ უკვე მოგვცა, და იგი შესწორებული და შევსებული იქნება ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენებით. კონსტიტუციაში მთავარია ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ ემიჯნება ბურჟუაზიას, რომელიც მან ჩამოაშორა სახელმწიფო მშენებლობაში მონაწილეობას.

მუშათა და გლეხთა მასებს, რომლებსაც მთავრობამ მოუწოდა ქვეყნის სამართავად და რომლებიც დიდხანს ამისაგან შორს იმყოფებოდნენ, არ შეეძლოთ უარი ეთქვათ სურვილზე — საკუთარი გამოცდილების გზით ეშენებინათ სახელმწიფო. ლოზუნგმა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» იქამდე მიგვიყვანა, რომ ადგილებზე უნდოდათ სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილება საკუთარი შეცდომების გზით მიეღოთ. ასეთი გარდამავალი პერიოდი აუცილებელი იყო და კეთი-

ლისმყოფელი აღმოჩნდა. სეპარატიზმისადმი ამ მისწრაფებაში ბევრი ჯანსაღი, კეთილი რამ იყო შემოქმედებისადმი მისწრაფების აზრით. საბჭოთა კონსტიტუციამ გამოავლინა სათემო ხელისუფლების დამოკიდებულება სამაზროსადმი, სამაზრო ხელისუფლებისა — საგუბერნიოსადმი და ამ უკანასკნელისა — ცენტრისადმი.

შემდეგ ამხანაგი ლენინი აღნიშნავს, რომ მხოლოდ იმ მშენებლობას შეუძლია დაიმსახუროს სოციალისტური სახელწოდება, რომელიც დიდი საერთო გეგმის მიხედვით იწარმოებს, ეცდება რა თანაზომიერად გამოიყენოს ეკონომიური და სამეურნეო ფასეულობანი. საბჭოთა ხელისუფლებას სრულიადაც არა აქვს განზრახვა დაამციროს ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელობა და ჩაკლას მისი დამოუკიდებლობა და ინიციატივა. ცენტრალიზმის განხორციელების აუცილებლობა გამოცდილებით თვითონ გლეხობამაც შეიგნო.

კონსტიტუციის დამტკიცებისა და მისი განხორციელების მომენტიდან, — განაგრძობს ამხანაგი ლენინი, — ჩვენს სახელმწიფო მშენებლობაში უფრო იოლი პერიოდი დაიწყება. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ძნელია ამჟამად ხელი მოვკიდოთ ეკონომიურ, სამეურნეო და სამიწათმოქმედო პოლიტიკას. ჩვენ იძულებული ვართ თავი დავანებოთ ამას და მთელი ყურადღება მივაქციოთ ელემენტარულ ამოცანებს — სურსათის საკითხს. მუშათა კლასის მდგომარეობა დამშეულ გუბერნიებში ჭეშმარიტად მძიმეა. აუცილებელია ასე თუ ისე მთელი ღონე ვიხმაროთ, რათა დავძლიოთ სასურსათო გასაჭირი და მასთან დაკავშირებული სიძნელენი ახალ მოსავლამდე.

ამას ემატება კიდევ სამხედრო ხასიათის ამოცანები. თქვენ იცით, თუ როგორ მოიცვა ნახევარრკალად რუსეთი ჩეხოსლოვაკთა მოძრაობამ, რომელიც მოსყიდული და გაღვივებულია საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალიზმის მიერ. თქვენ იცით აგრეთვე, თუ როგორ ემხრობა ამ მოძრაობას კონტრრევოლუციური ბურჟუაზია და კულაკი გლეხობა. ადგილებიდან მოგვდის ცნობები, რომ იმ დამარცხებებმა, რაც ამ

ბოლო დროს განიცადა საბჭოთა რუსეთმა, გამოცდილებით დაარწმუნეს მუშები და რევოლუციური გლეხობა, რომ გარდა კონტროლისა, გარდა სახელმწიფო მშენებლობისა, აუცილებელია აგრეთვე კონტროლი სამხედრო დარგშიც.

მე დარწმუნებული ვარ, — ამთავრებს ამხანაგი ლენინი, — რომ შემდეგში საქმე უკეთესად წავა. დარწმუნებული ვარ, რომ საგუბერნიო აღმასკომები, მოაწყობენ რა გლეხობის დახმარებით მეთაურთა შემადგენლობისადმი კონტროლის ორგანიზაციას, შექმნიან მტკიცე სოციალისტურ არმიას. რევოლუციის გაკვეთილებმა, ბოლოს, ასწავლეს მუშათა და ექსპლოატირებულ გლეხთა კლასებს, რომ აუცილებელია იარაღს მოჰკიდონ ხელი. გლეხებმა და მუშებმა, მიწის, კონტროლის და სხვათა მოპოვების გარდა, შეიგნეს არმიის მართვის აუცილებლობაც. წარმართავენ რა თავიანთ მუშაობას სამხედრო საქმის დარგში, ისინი მიაღწევენ იმას, რომ მათ მიერ შექმნილი არმია სავსებით დაიმსახურებს სოციალისტური არმიის სახელწოდებას და წარმატებით იბრძოლებს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების წინააღმდეგ იმ მომენტამდე, ვიდრე საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატი მოგვეშველებოდეს. (ამხანაგ ლენინის სიტყვა იფარება მთელი ყრილობის მქუხარე ტაშით).

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 161,
1918 წ. 31 ივლისი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა ვარშავის რევოლუციური პოლკის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს [11]

საგაზეთო ანგარიში

(დარბაზში გამოჩნდება ამხანაგი ლენინი, რომელსაც აღტაცებული ტაშისა და «ინტერნაციონალის» მძლავრი მღერით ხვდებიან). მე ვფიქრობ, — ამბობს ამხანაგი ლენინი, — რომ ჩვენ, როგორც პოლონელი, ისე რუსი რევოლუციონერები, აღგზნებული ვართ ერთი სურვილით — გავაკეთოთ ყოველივე, რათა დავიცვათ მონაპოვარნი პირველი მძლავრი სოციალისტური რევოლუციისა, რომელსაც გარდუვალად მოჰყვება მთელი რიგი რევოლუციები სხვა ქვეყნებში. სიძნელე ჩვენთვის სწორედ ის არის, რომ ჩვენ მოგვიხდა გაცილებით უფრო ადრე გამოსვლა, ვიდრე უფრო კულტურული, უფრო ცივილიზებული ქვეყნების მუშები გამოვიდოდნენ.

საერთაშორისო ომი გამოწვეულია საერთაშორისო კაპიტალის ძალების — მტაცებელთა ორი კოალიციის ძალების მიერ. აი უკვე 4 წელია სისხლით ირწყვება მსოფლიო, რათა გადაწყდეს, თუ ამ ორი მტაცებლური იმპერიალიზმიდან რომელმა იმეფოს დედამიწაზე. ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ, რომ დანაშაულებრივი ომი არ შეიძლება გათავდეს არც ერთი, არც მეორე მხარის გამარჯვებით. დღითი დღე უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ მისი დამთავრება იმპერიალისტებს კი არა, არამედ მუშათა ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია. და რაც უფრო მძიმე ხდება ახლა მუშების მდგომარეობა ყველა ქვეყანაში, რაც უფრო სასტიკად დევნიან თავისუფალ პროლეტარულ სიტყვას, მით უფრო დიდია

ბურჟუაზიის სასოწარკვეთილება, რადგან მას არ ძალუძს თავი გაართვას მზარდ მოძრაობას. ჩვენ დროებით მოვწყდით სოციალისტური არმიის მთავარ მასას, რომელიც სრული იმედით შემოგვცქერის ჩვენ და ეუბნება თავის ბურჟუაზიას: რაც უნდა იმძვინვარო, ჩვენ მაინც გავყვებით რუსეთის მაგალითს და მოვიქცევით ისე, როგორც რუსეთის ბოლშევიკები მოიქცნენო.

ჩვენ გვსურდა ზავი, — განაგრძობს ამხანაგი ლენინი. — სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთმა ზავი შესთავაზა მთელ მსოფლიოს, ჩვენს წინააღმდეგ თებერვალში დასძრეს გერმანელთა ჯარები. ახლა კი ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ერთი იმპერიალიზმი მეორეზე უკეთესი როდია. როგორც ერთნი, ისე მეორენი ცრუობდნენ და ცრუობენ, როცა ამბობენ, განმათავისუფლებელ ომს ვეწევითო. როგორც წინათ ამხილა თავი მძარცველურმა გერმანიამ ყოვლად სამარცხვინო ბრესტის ზავით, ისე ახლა ამხელს თავის თავს ინგლისი-საფრანგეთის კაპიტალი. ინგლისელები და ფრანგები ახლა უკანასკნელ ღონეს ხმარობენ, რომ ჩაგვაბან ომში. მათ იყიდეს ახლა 15 მილიონად — გენერლებისა და ოფიცრების მეშვეობით — ახალი მონები — ჩეხოსლოვაკები, რათა ისინი დასძრან საავანტიუროდ, — ჩეხოსლოვაკთა ამბოხება გადააქციონ თეთრგვარდიულ-მემამულურ მოძრაობად. და უცნაურია — ყოველივე ეს, თურმე, რუსეთის «დასაცავად» კეთდება. «თავისუფლებისმოყვარე» და «სამართლიანი» ინგლისელები ახშობენ ყველასა და ყველაფერს, ხელთ იგდებენ მურმანს, ინგლისის კრეისერები მოადგებიან ხოლმე არხანგელსკს და უშენენ ბატარიებს, — და ყოველივე ეს რუსეთის «დაცვის» ინტერესებისათვის. სავსებით ცხადია, რომ მათ სურთ გარს შემოარტყან რუსეთს იმპერიალისტ მძარცველთა რკალი და დაახრჩონ იგი იმისათვის, რომ მან ამხილა და დაფხრიწა მათი საიდუმლო ხელშეკრულებანი.

ჩვენმა რევოლუციამ მიაღწია იმას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მუშები თავიანთ მთავრობათა ბრალმდებლებად გამოდიან. ინგლისში, სადაც სამოქალაქო ზავი სუფევდა

და მუშებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი იყო წინააღმდეგობა სოციალიზმისადმი, რადგან ისინიც მონაწილეობდნენ კოლონიების ძარცვაში, მუშები ახლა ზურგს აქცევენ და უკუაგდებენ სამოქალაქო ზავს ბურჟუაზიასთან.

საფრანგეთის მუშები გმობენ რუსეთის საქმეებში ჩარევის პოლიტიკას. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ქვეყნების კაპიტალისტები ყველაფერს ბედის სასწორზე დებენ.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთი არსებობს და ცოცხლობს, მათ აღშფოთებას იწვევს.

ჩვენ ვიცით, რომ ომი დასასრულს უახლოვდება; ჩვენ ვიცით, რომ ისინი ვერ შეძლებენ მის დამთავრებას; ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვყავს საიმედო მოკავშირე, — ამიტომ საჭიროა მოვიკრიბოთ მთელი ძალები, ვიხმაროთ უკანასკნელი ღონე. ან კულაკების, კაპიტალისტებისა და მეფის ძალაუფლება, როგორც ეს იყო დასავლეთის რევოლუციებში, რომლებიც მარცხით გათავდა, ან პროლეტარიატის ძალაუფლება. თქვენი ამოცანაა, ფრონტზე რომ მიდიხართ, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად გახსოვდეთ, რომ ეს არის ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა ერთადერთი კანონიერი, სამართლიანი, წმიდათა წმიდა ომი მოძალადეებისა და მძარცველების წინააღმდეგ.

ახლა ხორციელდება სხვადასხვა ერის რევოლუციონერთა კავშირი, რაზედაც ოცნებობდნენ საუკეთესო ადამიანები, ნამდვილი კავშირი მუშებისა და არა მეოცნებე ინტელიგენტებისა.

ნაციონალური მტრობისა და უნდობლობის დაძლევა გამარჯვების საწინდარია.

თქვენ წილად გხვდათ დიდი პატივი — იარაღით დაიცვათ წმიდა იდეები და, გუშინდელ ფრონტელ მტრებთან — გერმანელებთან, ავსტრიელებთან, მადიარებთან ერთად ბრძოლით, ნამდვილად განახორციელოთ ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა.

და მე, ამხანაგებო, დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენ დარაზმავთ მთელ სამხედრო ძალებს მძლავრ ინტერნაციო-

ნალურ წითელ არმიად და დასძრავთ ამ რკინისებურ ბატალიონებს მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორების წინააღმდეგ, მოძალადეების წინააღმდეგ, შავი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლო ლოზუნგით: «სიკვდილი ან გამარჯვება!» — მაშინ თქვენ იმპერიალისტების ვერავითარი ძალა ვერ გაგიმკლავდებათ! (საყვარელი ბელადის სიტყვის დასასრული იფარება ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით).

დაიბეჭდა 1918 წ. 3 აგვისტოს
მოსკოვის საბჭოს გაზეთ
«ვეჩერნიე იზვესტიაში», № 15

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სიტყვა ბუტირკის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო! დღეს მოსკოვის სხვადასხვა უბანში განიხილავენ სოციალისტური რუსეთის ბედს [12].

საბჭოთა რუსეთის მტრები ჩვენ რკინის მჭიდრო რკალად გვერტყმიან გარს, რათა წაართვან მუშებსა და გლეხებს ყოველივე ის, რაც მათ ოქტომბრის რევოლუციამ მისცა. რუსეთის სოციალური რევოლუციის დროშა, რომელიც მაღლა ფრიალებს, მოსვენებას არ აძლევს საერთაშორისო მტაცებლებს — იმპერიალისტებს, და მათ ომი გააჩაღეს ჩვენს წინააღმდეგ, ომი გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოილაშქრეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ რევოლუციის დასაწყისში ფრანგები და ინგლისელები გამუდმებით გაიძახოდნენ, ჩვენ თავისუფალი რუსეთის «მოკავშირენი» ვართო. და აი ახლა ეს «მოკავშირენი» გამომჟღავნდნენ. ამ ადამიანებმა, რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ განზრახვა არა გვაქვს რუსეთს ვეომოთო, მოტყუებისა და სიცრუის გზით დაიკავეს მურმანი, შემდეგ აიღეს კემი და იწყეს ჩვენი ამხანაგების, საბჭოთა მუშაკების დახვრეტა. დიახ, ისინი არ ეომებიან რუსეთის ბურჟუაზიას, ისინი არ ეომებიან რუს კაპიტალისტებს, არამედ მათ ომი გამოუცხადეს საბჭოებს, ომი გამოუცხადეს მუშებსა და გლეხებს.

საფრანგეთისა და რუსეთის ბურჟუაზიას აღმოაჩნდათ აქტიური თანაშემწენი ჩეხოსლოვაკების სახით, — ამ მოსყიდულმა

ადამიანებმა ომი გააჩაღეს ჩვენს წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არა უანგაროდ, და ჩვენ ვიცით, ვისმა მილიონებმა წააქეზეს ჩეხოსლოვაკები საბჭოთა ხელისუფლებასთან საომრად; ჩვენს წინააღმდეგ ისინი ინგლის-საფრანგეთის ოქრომ წააქეზა. მაგრამ ჩეხოსლოვაკების გარდა აღმოჩნდნენ კიდევ ადამიანები, რომლებიც მზად არიან მოსპონ საბჭოთა ხელისუფლება: ჩეხოსლოვაკებთან ერთად ინგლის-საფრანგეთის ოქროს ახლოს ხელს ითბობენ და რუსეთის ოქროს წვიმას ელიან ჩვენი «სამშობლოს მხსნელები»: დუტოვი, ალექსეევი და სხვები. ... მტერი საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი ჰყავს. მაგრამ მარტონი ვართ თუ არა ჩვენ, ამხანაგებო?

თქვენ გეხსომებათ, რომ იანვარში, როდესაც სოციალური რევოლუციის ალი მხოლოდ ის იყო ღვივდებოდა, — გერმანიაში უკვე იყო მასობრივი გაფიცვა; ახლა, რვა თვის შემდეგ, ჩვენ უკვე ვხედავთ მასობრივ გაფიცვებს სხვადასხვა ქვეყანაში: მუშების მასობრივი გაფიცვაა ავსტრიაში, გაფიცული არიან ჩვენი ამხანაგები იტალიაში. მშრომელთა მოძალადეების აღსასრული მოახლოებულია. ყველა ქვეყნის იმპერიალისტები თვითონვე ითხრიან სამარეს.

არ ცხრება ომი ურთიერთის გაძარცვისათვის. მძარცველურ ომში ერთმანეთს შეება ორი გველი: ინგლის-საფრანგეთის და გერმანიის იმპერიალიზმი. მათდა საამებლად, ამა თუ იმ მათგანის გასამარჯვებლად, უკვე მოკლულია 10 მილიონი გლეხი და მუშა, დასახიჩრებულია 20 მილიონი; მრავალი მილიონი სიკვდილის იარაღთა დამზადებაზე მუშაობს. ყველა ქვეყანაში თოფქვეშ იწვევენ ყველაზე ღონიერ, ყველაზე ჯანსაღ ადამიანებს, იღუპება კაცობრიობის ყველაზე ახალგაზრდა ნაწილი... და მერე რისთვის? იმისათვის, რომ ერთმა ამ სავთაგანმა გაიმარჯვოს მეორეზე...

საბჭოთა ხელისუფლებამ თქვა: ჩვენ არ გვსურს ომი არც გერმანელებთან, არც ინგლისელებთან და ფრანგებთან; ჩვენ არ გვსურს მოვკლათ ისეთივენი, როგორნიც თვითონ ჩვენა ვართ, ისეთივე მუშები და გლეხები. ჩვენთვის ისინი მტრები არ არიან. ჩვენ სხვა მტერი გვყავს — ბურჟუაზია, არის ეს

გერმახელი, ფრანგი თუ რუსი ბურჟუაზია; ეს უკანასკნელი ახლა შეუერთდა ინგლისელებსა და ფრანგებს.

და ჩვენს ლოზუნგებს, ისევე როგორც ჩვენს რევოლუციურ დროშას, მაღლა სწევენ ყველა ქვეყანაში. ამერიკაში — ამ ქვეყანაში, რომელსაც წინათ ყველაზე თავისუფალი ქვეყანა ეწოდებოდა, — საპყრობილეები გავსებულია სოციალისტებით; გერმანიაში მუშებსა და ჯარისკაცებს შორის ფართოდ ვრცელდება გერმანელი სოციალისტის, ფრიდრიხ ადლერის სიტყვები: «მიმართეთ თქვენი ხიშტები არა რუსი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგო»... კაპიტალისტების მიერ დაწყებულ ხოცვა-ჟლეტას ბოლო არ უჩანს. რაც უფრო იმარჯვებს გერმანია, მით უფრო უერთდებიან მისი მსგავსი მხეცები მოწინააღმდეგე მხარეს, და ახლა უკვე ინგლისელებთან და ფრანგებთან ერთად ომობს ამერიკაც. ომს ბოლოს მოუღებენ მხოლოდ მუშები: მსოფლიო რევოლუცია გარდუვალია. გერმანიაში უკვე დაიწყო ისეთივე «პორაჟენცული» მოძრაობა, როგორიც ჩვენში იყო, იტალიასა და ავსტრიაში მასობრივი გაფიცვები ხდება, ამერიკაში მასობრივად აპატიმრებენ სოციალისტებს. და თავიანთ დაღუპვას რომ გრძნობენ, კაპიტალისტები და მემამულეები უკანასკნელ ღონეს ხმარობენ. რათა ჩაახშონ რევოლუციური მოძრაობა; რუსი კაპიტალისტები ხელს უწვდიან ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

ახლა ორი ფრონტია: ერთი მხრით — მუშები და გლეხები, მეორე მხრით კი — კაპიტალისტები. იწყება უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. ახლა არ შეიძლება იყოს შემთანხმებლობა ბურჟუაზიასთან. ან მათ უნდა გაიმარჯვონ, ან ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

1871 წელს ბურჟუაზიამ დაამხო პარიზელი მუშების ძალაუფლება. მაგრამ მაშინ ცოტანი იყვნენ შეგნებული მუშები, ცოტანი იყვნენ რევოლუციური მებრძოლები. ახლა მუშებს მიჰყვება ულარიბესი გლეხობა და ახლა ბურჟუაზია უკვე

ვერ მოახერხებს გამარჯვებას, როგორც ეს მან 1871 წელს მოახერხა.

მუშებს მტკიცედ უჭირავთ თავიანთ ხელში ფაბრიკები და ქარხნები, გლეხობა არ მისცემს მიწას მემამულეებს. და ამ მონაპოვართა დასაცავად ჩვენც ომს ვუცხადებთ ყველა მძარცველსა და სპეკულანტს. ისინი ჩვენ გვემუქრებიან არა მარტო ზარბაზნებით და ტყვიამფრქვევებით, არამედ შიმშილითაც.

მდიდრებს ომს რომ ვუცხადებთ, ჩვენ ვამბობთ: «მშვიდობა ქოხებს». ჩვენ ჩამოვართმევთ მთელ მარაგს სპეკულანტებს და ბედის ანაბარა არ დავტოვებთ ღატაკ მუშებს. (ამხანაგ ლენინის სიტყვა მქუხარე ოვაციით იფარება).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია 1918 წ. 3 აგვისტოს სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 164

იბეჭდება გაზეთ «სოლდატ რევოლუციის» (ცარიცინი) 1918 წ. 23 აგვისტოს № 14-ის ტექსტის მიხედვით

სიტყვა წითელარმიელთა ხოდინკის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(აღტაცებული ოვაცია.) რუსეთის რევოლუციამ მთელ მსოფლიოს დაანახვა სოციალიზმის გზები და ბურჟუაზიას უჩვენა, რომ ახლოვდება მისი ზეიმის დასასრული. ჩვენი რევოლუცია მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის უაღრესად მძიმე პირობებში მიმდინარეობს.

რევოლუცია დაკვეთით არ ხდება, მაგრამ იმის სიმპტომები, რომ მთელი მსოფლიო მზად არის დიადი ამბებისათვის, უეჭველია.

ჩვენ გარს გვერტყმიან მტრები, რომლებმაც საერთო კავშირი შეკრეს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, მაგრამ თვითონ ისინი ვერ მიიღებენ ძალაუფლებას.

დეე, ნუ ზეიმობენ თეთრგვარდიელთა ბანდები — მათი წარმატება ხანმოკლეა, მათ წრეში უკვე იზრდება მღელვარება.

წითელი არმია, რომელიც ივსება რევოლუციური პროლეტარიატით, დაგვეხმარება ჩვენ მაღლა ავწიოთ მსოფლიო სოციალური რევოლუციის დროშა.

სიკვდილი — ან გამარჯვება!

ჩვენ დავამარცხებთ მსოფლიო კულაკს და დავიცავთ სოციალიზმის საქმეს!

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 164,
1918 წ. 3 აგვისტო

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

თეზისები სასურსათო საკითხზე [13]

სასურსათო, მიწათმოქმედების, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატებს

წინადადებას ვაძლევ სათანადო კომისარიატებს დღესვე (2 აგვისტოს) სასწრაფოდ განიხილონ და რედაქციულად ჩამოაყალიბონ შემდეგი ღონისძიებანი, რათა 2 და 3 აგვისტოს გატარდეს სახალხო კომისართა საბჭოში.

(ამ ღონისძიებათა ნაწილი უნდა იყოს დეკრეტების სახით, ნაწილი კი — გამოუქვეყნებელ დადგენილებათა სახით).

1. ორი სისტემიდან: მანუფაქტურის და სხვათა ფასების დაკლება თუ პურის ფასების მომატება, უსათუოდ უნდა ავირჩიოთ მეორე, ვინაიდან, ამ სისტემების სრული ტოლნიშნიანობის მიუხედავად, არსებითად, მხოლოდ მეორეს შეუძლია დაგვეხმაროს სწრაფად გავადიდოთ პურეულის ჩაბარება პურეულის მთელ რიგ გუბერნიებში (სიმბირსკის, სარატოვის, ვორონეჟის და სხვ.), შეუძლია დაგვეხმაროს გავანეიტრალოთ გლეხთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა სამოქალაქო ომში.

2. წინადადებას ვიძლევი პურის ფასები მომატებულ იქნას 30 მანეთამდე ფუთზე, ამის შესაბამისად (და უფრო მეტადაც კი, ვიდრე შესაბამისად) მომატებულ იქნას მანუფაქტურისა და სხვათა ფასი.

3. წინადადებას გაძლევთ განიხილოთ: ხომ არ დაწესდეს ეს მომატება დროებით (საქონელგაცვლის სწორ საფუძველთა შესახებ პრაქტიკის მითითებათა გასათვალისწინებლად), ვთქვათ, 1 — 1½ თვით, ამასთან შევპირდეთ ფ ა ს ე-

ბ ი ს **დ ა კ ლ ე ბ ა** ამ ვადის შემდეგ (და ამით მივცეთ პრემიები პურეულის სწრაფი ჩაბარებისათვის).

4. დავსახოთ მთელი რიგი ფრიად სასწრაფო ღონისძიებანი საქონელგაცვლისათვის ქალაქის მრეწველობის **ყველა** პროდუქტის ს ა რ ე კ ვ ი ზ ი ც ი ო დ (და მოვუმატოთ მათ ფასებს რეკვიზიციის შემდეგ **მეტი** პროპორციით, ვიდრე მომატებულია პურის ფასები).

5. პურის ფასების მომატების დეკრეტს წაემძღვაროს ამ ღონისძიების პოპულარული ახსნა-განმარტება საქონელგაცვლასთან და პურის, მანუფაქტურის და სხვათა ფასების სწორი თანაფარდობის დაწესებასთან დაკავშირებით.

6. კოოპერატივები დეკრეტით ვალდებული გავხადოთ დაუყოვნებლივ 1) მოაწყონ თვითეულ დუქანთან ჩასაბარებელი პუნქტი; 2) გასცენ საქონელი **მხოლოდ** მომხმარებელთა სასურსათო წიგნაკებით; 3) ნათესის მქონე გლეხებს **არ** მისცენ **არც** ერთი საქონელი სხვანაირად, თუ არა პურის სანაცვლოდ.

დაწესდეს ამ ღონისძიებათა განხორციელების კონტროლის ფორმები და წესები და სასტიკი პასუხისმგებლობა (მთელი ქონების კონფისკაცია) მათი დარღვევისათვის.

7. დადასტურდეს (ან უფრო ზუსტად იქნას ფორმულირებული) წესები და კანონები ქონების კონფისკაციისა სახელმწიფოსათვის **(ან კოოპერატივებისათვის)** ნაჭარბი პურის **და ყველა სხვა** სასურსათო პროდუქტის აღსარიცხავად ჩ ა უ ბ ა რ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს.

8. დაწესდეს გადასახადი **ნატურით**, პურით, მდიდარი გლეხებისათვის, ამასთან მდიდრებად ჩაითვალონ ისინი, ვისაც პურის რაოდენობა (ახალი მოსავლის ჩათვლით) ერთიორად და უფრო მეტი აქვს, ვიდრე საჭიროა საკუთარი მოხმარებისათვის (ოჯახის, პირუტყვის სარჩო-საკვების და სათესლეს ჩათვლით).

ეწოდოს ამას **საშემოსავლო** და ქონებრივი გადასახადი **და** გადავაქციოთ იგი პროგრესიულ გადასახადად.

9. დაწესდეს დროებით, — ვთქვათ, 1 თვით — 1½ ფუთი პურის შეღავათიანი გაზიდვა დამშეულ ადგილებში **მუშებისათვის**, განსაკუთრებული მოწმობისა და განსაკუთრებული კონტროლის პირობით.

მოწმობაში უნდა იყოს ზუსტი მისამართი და თავდებობა 1) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტისა; 2) სახლის კომიტეტისა; 3) პროფესიული კავშირისა; კონტროლი კი უნდა არკვევდეს პირადად მოხმარებას, ამასთან გათვალისწინებულ იქნას უმძიმესი სასჯელი, თუ არ დამტკიცდება გადაყიდვის შეუძლებლობა.

10. დაწესდეს ხელწერილის სავალდებულო გაცემა ორ (ან სამ) ცალად, უსათუოდ **ყოველი** რეკვიზიციის დროს (განსაკუთრებით სოფლად და რკინიგზებზე). დაიბეჭდოს ამ ქვითრების ფორმები. ქვითრების გაუცემლად რეკვიზიციისათვის — დახვრეტა.

11. იგივე სასჯელი დაწესდეს ყველა და ყოველგვარი სარეკვიზიციო, სასურსათო და სხვა რაზმების წევრთა მიმართ ყოველგვარი, მშრომელი მოსახლეობისადმი აშკარად უსამართლო ან წესებისა და კანონების დამრღვევი და მოსახლეობის აღშფოთების გამომწვევი მოქმედებისათვის, აგრეთვე ოქმის შეუდგენლობისა და მისი ასლის გაუცემლობისათვის ყველა იმათთვის, ვისაც რაიმე ჩამოერთვა ან ვისაც რაიმე სასჯელი დაედო.

12. დადგინდეს წესად, რომ დამშეული ადგილების მუშებსა და უღარიბეს გლეხებს უფლება აქვთ წაიყვანონ სამარშრუტო მატარებელი უშუალოდ **თავიანთი** მისამართით, თუ დაცულია მთელი რიგი პირობები: 1) მოწმობა ადგილობრივი ორგანიზაციებისა (დეპუტატთა საბჭო + აუცილებლად პროფესიული კავშირი და ა. შ.); 2) პასუხისმგებელი რაზმის შედგენა; 3) მასში სხვა ადგილების რაზმების მოქცევა; 4) სასურსათო კომისარიატის, სამხედრო კომისარიატის, გზათა კომისარიატის და სხვათა კონტროლიორისა და კომისრის მონაწილეობა; 5) მათივე კონტროლი მატარებლის მიღებისა და პურის განაწილებისას, ამასთან **აუცილებლად**

ნაწილი (⅓ — ½ და მეტიც) გადაეცეს სასურსათო კომისარიატს.

13. გამონაკლისის სახით, ზოგიერთი რკინიგზელი მ უ შ ი ს განსაკუთრებით მწვავე შიმშილის გამო და პურის მოზიდვისათვის რკინიგზების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო, დროებით დაწესდეს:

სარეკვიზიციო ან გადამღობი რაზმები, ჩამოართმევენ რა პურს, მისცემენ ქვითრებს იმათ, ვისაც ჩამოერთვა, ჩაჰყრიან პურს ვაგონებში და გზავნიან ამ ვაგონებს გ ზ ი ს ს ა ს უ რ ს ა თ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მისამართით, იმ პირობით, რომ დაცულ იქნას კონტროლის შემდეგი ფორმები: 1) დეპეშა სასურსათო კომისარიატს და გზათა კომისარიატს თვითეული ასეთი ვაგონის შესახებ; 2) სასურსათო კომისარიატისა და გზათა კომისარიატის წარმომადგენელთა გამოწვევა ვაგონის დასახვედრად და სასურსათო კომისარიატის კონტროლით პურის გასანაწილებლად.

დაწერილია 1918 წ. 2 აგვისტოს

პირველად გამოქვეყნდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მილების შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი 14

სახალხო კომისართა საბჭო ავალებს განათლების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ მოამზადოს მთელი რიგი დადგენილებანი და ნაბიჯები, რათა იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რიცხვი მეტი იქნება ვაკანსიების ჩვეულებრივ რიცხვზე, მიღებულ იქნას ეერიად საგანგებო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შესაძლებლობას ყველა მსურველისათვის, და რათა არავითარი არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიური პრივილეგიებიც შეუძლებელი იყოს მქონებელი კლასებისათვის. პირველ რიგში უსათუოდ მიღებულ უნდა იქნან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის წრიდან გამოსული პირები, რომლებსაც ფართო მასშტაბით მიეცემათ სტიპენდიები.

დაწერილია 1918 წ. 2 აგვისტოს

ბეჭდავს სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «ეზვესტიას» 1918 წ. 6 აგვისტოს № 116-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ელეცის მუშებს

მე მომიტანეს ელეცის ერთი გაზეთის[15] ამონაჭერი, სადაც გადმოცემულია მემარცხენე ესერების პარტიის ელეცის ორგანიზაციის 27 ივლისის საგანგებო კრების ანგარიში. ამ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მოჩენოვს მოხსენება გაუკეთებია ესერთა სარატოვის კონფერენციის შესახებ, სადაც 8 ორგანიზაციამ მოიწონა ტაქტიკა მათი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც ამართლებდა ბ-ნი კოლეგაევი, ხოლო 13 (ცამეტმა) ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა პარტიის რეორგანიზაციას და ტაქტიკის შეცვლას.

სხვათა შორის ამხ. რუდაკოვი დაჟინებით მოითხოვდა ელეცის კრებაზე, «გარდავქმნათ ჩვენი (მემარცხენე ესერების) პარტია», შევცვალოთ მისი სახელწოდება, გავწმინდოთ იგი და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მისი დაშლა და დაღუპვაო. შემდეგ, ვიღაც კრიუკოვი ამბობდა, თითქოს მას მოსკოვში ესაუბროს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თითქოს ამხ. ავანესოვს, სვერდლოვს, ბონჩ-ბრუევიჩს მისთვის განეცხადებინოთ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასურველია მემარცხენე ესერების პარტიის არსებობაო. თითქოს კრიუკოვთან საუბრის დროს მეც იგივე მეთქვას და მიმეთითებინოს, კომუნისტებიც იმდენად დაშორდნენ თავიანთ წინანდელ თეორიას, წიგნებს, რომ მათ ამჟამად პროგრამა სრულიად არა აქვთ, ხოლო პლატფორმებში ძალიან ბევრი რამ არის «ნაროდნიკული» თეორიიდან არაპირდაპირ ნასესხები-თქო და ა. შ., და სხვ.

ჩემ მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ყოველივე ეს ზღაპარია და რომ მე არავითარ კრიუკოვთან არ მისაუბრია. დაბეჯითებით ვთხოვ ელეცის მაზრის ამხანაგ მუშებსა და გლეხებს უაღრესი სიფრთხილით მოეპყრან მემარცხენე ესერებს, რომლებიც ძალიან ხშირად მართალს არ ამბობენ.

სხვათა შორის, ორიოდე სიტყვა მათზე ჩემი შეხედულების შესახებ. ისეთი სუბიექტები, როგორიც კოლეგაევები და მათი კომპანიაა, ცხადია, უბრალო პაიკებს წარმოადგენენ თეთრგვარდიელების, მონარქისტების, სავინკოვების ხელში, რომლებმაც იაროსლავლში დაამტკიცეს, თუ ვინ «ისარგებლა» მემარცხენე ესერების აჯანყებით. უთავობამ და უნიათობამ ბატონი კოლეგაევები ამგვარ დაცემამდე მიიყვანა; მათი გზაც იქით არის. «სავინკოვების მსახურები» — აი რას შეარქმევს მათ ისტორია. მაგრამ ფაქტები მეტყველებენ, რომ მემარცხენე ესერებს შორის მოიპოვებიან ადამიანებიც (და სარატოვში ასეთი ადამიანები უმრავლესობას შეადგენენ) — მათ შერცხვათ ამ უთავობისა, ამ უნიათობისა, მონარქიზმის და მემამულეთა ინტერესების ამ მსახურთა როლისა. თუ ასეთ ადამიანებს სურთ თავიანთ პარტიას სახელწოდებაც კი გამოუცვალონ (როგორც გაგონილი მაქვს, სურთ დაირქვან «მეთემე-კომუნისტები» ან «ნაროდნიკ-კომუნისტები» და მისთ.), ამას შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ.

ჯერ ერთი, მარქსიზმთან უთანხმოება, მეორეც, «გათანაბრებით მიწათსარგებლობის» თეორიასთან (და მის შესახებ კანონთან) სრული თანხმობა — აი რა შეადგენს წმინდა იდეურ საფუძველს ასეთი ნაროდნიკობისას, რომელთანაც კავშირზე კომუნისტ-ბოლშევიკებს უარი არასოდეს არ უთქვამთ.

ჩვენ მომხრენი ვართ ასეთი კავშირისა, საშუალო გლეხობასთან შეთანხმებისა, ვინაიდან ჩვენ, მუშა-კომუნისტები, მას არ უნდა ვშორდებოდეთ, და ჩვენ მზად ვართ მის მიმართ მთელ რიგ დათმობებზე წავიდეთ. ჩვენ ეს დავამტკიცეთ, ამას

ჩვენ ვამტკიცებდით არა სიტყვებით, არამედ საქმეებით, ვინაიდან ჩვენ განვახორციელეთ და ვახორციელებთ მტკიცედ ლოიალურად მიწის სოციალიზაციის კანონს [16], მიუხედავად იმისა, რომ ყოველივეში როდი ვეთანხმებით მას. ჩვენ, საერთოდ, საჭიროდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ულმობელი ბრძოლა კულაკებთან, მაგრამ შეთანხმება საშუალო გლეხთან და შეერთება სოფლის ღარიბებთან. საქმე ისე არ უნდა გვესმოდეს, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმება აუცილებლად მემარცხენე ესერთან შეთანხმებას ნიშნავს. არაფერი ამის მსგავსი.

სოციალიზაციის კანონი ჩვენ მაშინ განვახორციელეთ, როდესაც ჩვენ მემარცხენე ესერებთან არავითარი შეთანხმება არა გვქონია; ხოლო სწორედ ეს კანონი ნიშნავს ჩვენს შეთანხმებას საშუალო გლეხებთან, გლეხთა მასასთან და არა მემარცხენე ესერ-მოინტელიგენტო ადამიანებთან.

ამხანაგო მუშებო და გლეხებო, ნუ გამოედევნებით მემარცხენე ესერებთან შეთანხმებას, ვინაიდან ჩვენ ვნახეთ და გამოვცადეთ მათი არასაიმედობა; გაავრცელეთ კომუნიზმი ღარიბ გლეხობაში, უმრავლესობა ჩვენს მხარეზე იქნება. ეცადეთ წახვიდეთ დათმობებზე საშუალო გლეხის მიმართ, რაც შეიძლება უფრო ფრთხილად, უფრო სამართლიანად მოეპყარით მას, მის მიმართ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა წავიდეთ დათმობებზე. ულმობელნი იყავით ერთი მუჭა ექსპლოატატორებისადმი, მათ შორის კულაკებისადმი, პურის სპეკულანტებისადმი, რომლებიც ხალხის გაჭირვებაზე, მუშათა მასის შიმშილობაზე მდიდრდებიან, — ერთი მუჭა კულაკებისადმი, რომლებიც მშრომელთა სისხლს სვამენ.

ვ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

მოსკოვი, 1918 წლის 6 აგვისტო.

«სოვეტსკაია გაზეტა» (ელეცი) № 73, 1918 წ. 11 აგვისტო

იბეჭდება «სოვეტსკაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სოკოლნიკის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 9 აგვისტოს [17]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ხანგრძლივი ტაში). მეხუთე წელია გრძელდება ომი, და ახლა უკვე ყველასათვის ცხადია, თუ ვისთვის იყო იგი საჭირო. ვინც მდიდარი იყო, კიდევ უფრო მდიდარი გახდა, ხოლო ვინც ღარიბი იყო, ის ახლა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით სულს ღაფავს კაპიტალიზმის უღელქვეშ. საწყალმა ხალხმა ამ ომში სისხლიანი მსხვერპლი გაიღო, ჯილდოდ კი მან მხოლოდ შიმშილი, უმუშევრობა და თავის კისერზე წინანდელზე უფრო მაგრად მოჭერილი მარყუჟი მიიღო.

ომი დაიწყეს ინგლისისა და გერმანიის მტაცებლებმა, რომლებსაც ერთად ცხოვრება ევიწროებოდათ, და თვითეულმა მათგანმა განიზრახა ჩაეხშო მეორე მუშა ხალხის ზღვა სისხლის დაღვრით. თვითეული მტაცებელთაგანი ირწმუნება, რომ მას ხალხის სიკეთე ამოძრავებს, მაგრამ ნამდვილად კი ის თავისი ჯიბის სასიკეთოდ მუშაობს.

ინგლისი ძარცვავს დაპყრობილ გერმანულ კოლონიებს, პალესტინისა და მესოპოტამიის ნაწილს, ხოლო გერმანია, თავის მხრივ, ძარცვავს პოლონეთს, კურლანდიას, ლიტვასა და უკრაინას. ამ ქვეყნების მილიონერები 10-ჯერ უფრო მდიდარნი გახდნენ, მაგრამ ისინი მაინც შეცდნენ ანგარიშში.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეებნენ ერთმანეთს, ეს მტაცებლები უფსკრულის პირას აღმოჩნდნენ. მათ უკვე არ ძალუძთ შეაჩერონ ომი, რომელიც ხალხებს გარდუვალად რევოლუციის გზაზე აყენებს.

რუსეთის რევოლუციამ გადაისროლა ნაპერწკლები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და კიდევ უფრო მიუახლოვა უფსკრულის კიდეს თავაშვებული იმპერიალიზმი.

ამხანაგებო, მძიმეა ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ ყოველივე უნდა დავძლიოთ და შევინარჩუნოთ სოციალისტური რევოლუციის დროშა, რომელიც ჩვენ აღვმართეთ.

ყველა ქვეყნის მუშები ჩვენ იმედით შემოგვცქერიან. თქვენ გესმით მათი ხმა: გაძელით კიდევ ცოტა ხანს, — გვეუბნებიან ისინი. თქვენ გარშემორტყმული ხართ მტრებით, მაგრამ დაგეხმარებით და, ბოლოს, საერთო ძალ-ღონით გადავყრით უფსკრულში იმპერიალისტურ მტაცებლებსო.

ჩვენ გვესმის ეს ხმა და ფიცს ვდებთ: დიახ, ჩვენ გავძლებთ, ჩვენ მთელი ძალ-ღონით ვიბრძოლებთ ჩვენს პოსტზე და იარაღს არ დავყრით ჩვენს წინააღმდეგ შემოტევაზე გადმოსული მსოფლიო კონტრრევოლუციის წინაშე!

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 171,
1918 წ. 11 აგვისტო

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის
გაზეთ «იზვესტიას» ტექსტის
მიხედვით

ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!

საბჭოთა რესპუბლიკა გარშემორტყმულია მტრებით. მაგრამ იგი დაამარცხებს როგორც გარეშე, ისე შინაურ ჭტრებს. მუშათა მასაში უკვე ჩანს აღმავლობა, რომელიც უზრუნველყოფს გამარჯვებას. უკვე ჩანს, თუ როგორ გახშირდა დასავლეთ ევროპაში რევოლუციური ხანძრის ნაპერწკლები და აფეთქებანი, რაც ჩვენ გვინერგავს იმის რწმენას, რომ მუშათა საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვება მოახლოებულია.

რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარეშე მტერი ამჟამად არის ინგლის-საფრანგეთის და იაპონია-ამერიკის იმპერიალიზმი. ეს მტერი უტევს ახლა რუსეთს, ძარცვავს ჩვენს მიწა-წყალს, მან ხელთ იგდო არხანგელსკი და ვლადივოსტოკიდან წამოიწია (თუ ფრანგულ გაზეთებს დავუჯერებთ) ნიკოლსკ-უსურიისკამდე. ამ მტერმა მოისყიდა ჩეხოსლოვაკთა კორპუსის გენერლები და ოფიცრები. ეს მტერი ისევე მხეცურად და მძარცველურად უტევს მშვიდობიან რუსეთს, როგორც გვიტევდნენ გერმანელები თებერვალში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინგლისელებსა და იაპონელებს ესაჭიროებათ არა მარტო დაპყრობა და გაძარცვა რუსეთის მიწა-წყლისა, არამედ საბჭოთა ხელისუფლების დამხობაც, რათა «აღადგინონ ფრონტი», ე. ი. ისევ ჩააბან რუსეთი ინგლისის იმპერიალისტურ (უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ: ყაჩაღურ) ომში გერმანიასთან.

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ამხანაგო მუშებო!
მოგიწოდებთ უკანასკნელი,
გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!».—
1918 წ. აგვისტოს პირველი ნახევარი.

დაპატარავებულია

ინგლისელ და იაპონელ კაპიტალისტებს უნდათ აღადგინონ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება რუსეთში, რათა ერთად გაიყონ ომში ნაძარცვი დავლა, რათა დაუმონონ რუსი მუშები და გლეხები ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს, რათა აატყაონ მათ მრავალმილიარდიან სესხთა პროცენტები, რათა ჩააქრონ სოციალისტური რევოლუციის ხანძარი, რომელიც ჩვენში დაიწყო და რომელიც სულ უფრო და უფრო იმუქრება, რომ მთელ მსოფლიოს მოედება.

ინგლის-იაპონიის იმპერიალიზმის მხეცებს ძალა არ ეყოფათ იმისათვის, რომ რუსეთი დაიკავონ და დაიმორჩილონ. ასეთი ძალა არ ჰყოფნის ჩვენს მეზობელ გერმანიასაც კი, როგორც ეს დაამტკიცა მისმა «გამოცდილებამ» უკრაინის მიმართ. ინგლისელები და იაპონელები ვარაუდობდნენ ჩვენთვის მოუმზადებელს მოესწროთ. ეს მათ ვერ შეძლეს. პიტერის, მერე კი — მოსკოვის, ხოლო მოსკოვის შემდეგ აგრეთვე მთელი სამრეწველო ცენტრალური ოლქის მუშები ფეხზე დგებიან უფრო და უფრო ერთსულოვნად, უფრო და უფრო მედგრად, უფრო და უფრო დიდი მასებით, უფრო და უფრო თავგამოდებით. ეს არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ინგლისელი და იაპონელი კაპიტალისტური მტაცებლები, როდესაც ისინი მშვიდობიანი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებენ, იმედს ამყარებენ კიდევ თავიანთ კავშირზე საბჭოთა ხელისუფლების შინაურ მტერთან. ჩვენ კარგად ვიცით, თუ ვინ არის ეს შინაური მტერი. ესენი არიან კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები, მათი ნაშიერები, რომლებსაც სძულთ მუშებისა და მშრომელი გლეხების ხელისუფლება, იმ გლეხებისა, რომლებიც თავიანთ თანასოფლელთა სისხლს არ სვამენ.

კულაკურ აჯანყებათა ტალღა ედება რუსეთს. კულაკს გააფთრებით სძულს საბჭოთა ხელისუფლება, იგი მზად არის დაახრჩოს, ამოჟლიტოს ასეულ ათასობით მუშა. კულაკებმა რომ გამარჯვება მოახერხონ, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ისინი შეუბრალებლად ამოწყვეტდნენ ასეულ ათასობით მუშას, შეუკავშირდებოდნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს,

აღადგენდნენ კატორღას მუშებისათვის, გააუქმებდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, დააბრუნებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტების უღელქვეშ.

ასე იყო ევროპის ყველა წინანდელ რევოლუციაში, როდესაც კულაკები, მუშების სისუსტის გამო, ახერხებდნენ საქმის უკან შებრუნებას — რესპუბლიკიდან ისევ მონარქიისაკენ, მშრომელთა ხელისუფლებიდან ისევ ექსპლოატატორების, მდიდრების, მუქთახორების ყოვლისშემძლეობისაკენ. ასე მოხდა ჩვენს თვალწინ ლატვიაში, ფინეთში, უკრაინაში, საქართველოში. ხარბი, გამტყვრალი მხეცი — კულაკობა ყველგან უერთდებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს მუშების წინააღმდეგ და საერთოდ ღარიბთა წინააღმდეგ. კულაკობა ყველგან გაუგონარი მძვინვარებით უსწორდებოდა მუშათა კლასს. იგი ყველგან უკავშირდებოდა **უცხოელ კაპიტალისტებს** თავისი ქვეყნის მუშათა წინააღმდეგ. ასე იქცეოდნენ და იქცევიან კადეტები, მემარჯვენე ესერები, მენშევიკები; საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მათი საგმირო საქმეები «ჩეხოსლოვაკიაში» [18]. ასე იქცევიან, მეტისმეტი სიბრიყვისა და უნიათობის გამო, მემარცხენე ესერებიც, რომლებმაც მოსკოვში თავიანთი ამბოხებით დახმარება გაუწიეს თეთრგვარდიელებს იაროსლავლში, ჩეხოსლოვაკებსა და თეთრებს ყაზანში; ტყუილად კი არ დაუმსახურებიათ ამ მემარცხენე ესერებს კერენსკისა და მისი მეგობრების, ფრანგი იმპერიალისტების ქება.

რაიმე ეჭვი შეუძლებელია. კულაკები საბჭოთა ხელისუფლების გაშმაგებული მტრები არიან. ან კულაკები გაჟლეტენ უამრავ მუშას, ან მუშები ულმობლად გასრესენ ხალხის კულაკური, მძარცველური უმცირესობის აჯანყებებს მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შუათანა რამ აქ არ შეიძლება იყოს. ზავი შეუძლებელია: კულაკი შეიძლება და ადვილადაც შეიძლება შეარიგოთ მემამულესთან, მეფესთან და ხუცესთან, ისინი კიდევაც რომ წაჩხუბებულიყვნენ, მაგრამ მუშათა კლასთან მისი შერიგება **არასოდეს** არ შეიძლება.

და ამიტომ კულაკების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ **უკანასკნელ**, გადამწყვეტ ბრძოლას ვუწოდებთ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოხდეს კულაკთა მრავალგზისი აჯანყებანი, ან რომ არ შეიძლება იყოს უცხოეთის კაპიტალიზმის მრავალგზისი გამოლაშქრება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სიტყვა: «უკანასკნელი» ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ უკანასკნელი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასთაგანი აჯანყდა ჩვენს წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

კულაკები ყველაზე მხეცური, ყველაზე ტლანქი, ყველაზე ველური ექსპლოატატორები არიან, რომლებსაც არა ერთხელ აღუდგენიათ სხვა ქვეყნების ისტორიაში მემამულეების, მეფეების, ხუცების, კაპიტალისტების ძალაუფლება. კულაკები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მემამულეები და კაპიტალისტები. მაგრამ მაინც კულაკები ხალხის უმცირესობას შეადგენენ.

ვთქვათ, ჩვენში, რუსეთში, არის 15 მილიონამდე გლეხური მიწათმოქმედი ოჯახი, თუ ავიღეთ უწინდელი რუსეთი, იმ დრომდე, ვიდრე მტაცებელნი ჩამოაცლიდნენ მას უკრაინას და სხვას. ამ 15 მილიონიდან, უეჭველია, 10 მილიონამდე ღარიბი გლეხია, რომელიც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს ან მდიდრებს ემონება ან არა აქვს ნაჭარბი პური და განსაკუთრებით გაჩანაგებულია ომის სიმძიმისაგან. 3 მილიონამდე უნდა ვიანგარიშოთ საშუალო გლეხი, ხოლო საეჭვოა 2 მილიონზე მეტს შეადგენდნენ კულაკები, მდიდრები, პურის სპეკულანტები. ეს სისხლისმსმელნი გამდიდრდნენ ომის დროს ხალხის გაჭირვების წყალობით, პურისა და სხვა პროდუქტების ფასის აწევით მათ ათასობით და ასეულ ათასობით მანეთი მოაგროვეს. ეს ობობები სუქდებოდნენ ომით გაჩანაგებული გლეხების ხარჯზე, მშიერი მუშების ხარჯზე. ეს წურბელები სისხლს წოვდნენ მშრომელებს და მით უფრო მეტად მდიდრდებოდნენ, რაც უფრო მეტად შიმშილობდა მუშა ქალაქად და ფაბრიკებში. ეს

ვამპირები ეპატრონებოდნენ და ახლაც ეპატრონებიან მემამულეთა მიწებს, ისინი ისევ და ისევ იმონებენ ღარიბ გლეხებს.

ულმობელი ბრძოლა ამ კულაკების წინააღმდეგ! სიკვდილი მათ! სიძულვილი და ზიზღი მათ დამცველ პარტიებს: მემარჯვენე ესერებს, მენშევიკებს და ახლანდელ მემარცხენე ესერებს! მუშებმა რკინის ხელით უნდა გასრისონ კულაკების აჯანყებანი, კულაკებისა, რომლებიც კავშირს დებენ უცხოელ კაპიტალისტებთან თავიანთი ქვეყნის მშრომელთა წინააღმდეგ.

კულაკები სარგებლობენ სოფლის ღარიბთა სიბნელით, დაქუცმაცებულობით, დაქსაქსულობით. ისინი ამხედრებენ მათ მუშების წინააღმდეგ, ზოგჯერ მოისყიდიან მათ, აძლევენ რა საშუალებას ასიოდე მანეთით «ხელი მოითბონ» პურის სპეკულაციით (და ამავე დროს მრავალი ათასით ძარცვავენ ღარიბებს). კულაკები ცდილობენ გადაიბირონ საშუალო გლეხი, და ზოგჯერ ამას კიდეც ახერხებენ.

მაგრამ მუშათა კლასი სრულიადაც არ არის ვალდებული დაშორდეს საშუალო გლეხს. მუშათა კლასს არ შეუძლია მოურიგდეს კულაკს, ხოლო საშუალო გლეხთან მას შეუძლია ეძიოს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა და იგი კიდევაც ეძებს ამ შეთანხმებას. მუშათა მთავრობამ, ე. ი. ბოლშევიკურმა მთავრობამ, ეს დ ა ა მ ტ კ ი ც ა საქმით და არა სიტყვით.

ჩვენ ეს დავამტკიცეთ იმით, რომ მივიღეთ «მიწის სოციალიზაციის» კანონი და მტკიცედ ვახორციელებთ ამ კანონს; ამ კანონში ბ ე ვ რ ი დათმობაა საშუალო გლეხის ინტერესებისა და შეხედულებებისადმი.

ჩვენ ეს დავამტკიცეთ იმით, რომ **გავასამკეცეთ** (ამ დღეებში) პურის ფასები [19], ვინაიდან ჩვენ სავსებით ვაღიარებთ, რომ საშუალო გლეხის შემოსავალი ხშირად არ შეესაბამება სამრეწველო პროდუქტების ახლანდელ ფასებს და უ ნ დ ა გადიდებულ იქნას.

ყოველი შეგნებული მუშა განუმარტავს ამას საშუალო გლეხს და მოთმინებით, დაჟინებით, მრავალგზის დაუმტკიცებს მას, რომ სოციალიზმი განუსაზღვრელად უფრო ხელ-

საყრელია საშუალო გლეხისათვის, ვიდრე მეფეების, მემამულეების, კაპიტალისტების ხელისუფლება.

მუშათა ხელისუფლებას არასოდეს არ უწყენინებია საშუალო გლეხისათვის და იგი არც არასოდეს აწყენინებს მას. მეფეების, მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების ხელისუფლება კი მუდამ არათუ აწყენინებდა საშუალო გლეხს, არამედ პირდაპირ ახრჩობდა, ძარცვავდა, აჩანაგებდა მას ყველა ქვეყანაში, ყველგან უკლებლივ, მათ შორის რუსეთშიც.

უმჭიდროესი კავშირი და სრული შეერთება სოფლის ღარიბებთან; დათმობანი საშუალო გლეხისადმი და შეთანხმება მასთან; ულმობელი დათრგუნვა კულაკებისა, ამ სისხლისმსმელებისა, ვამპირებისა, ხალხის მძარცველებისა, სპეკულანტებისა, რომლებიც შიმშილობაზე მდიდრდებიან; — აი როგორია შეგნებული მუშის პროგრამა. აი მუშათა კლასის პოლიტიკა.

დაწერილია 1918 წ. აგვისტოს
პირველ ნახევარში

პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროექტი დეპეშისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ[20]

ღარიბთა კომიტეტები[21] აუცილებელია კულაკების, მდიდრების, ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც იმონებენ მშრომელ გლეხებს. მაგრამ კულაკებსა, რომლებიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, და ღარიბებს ანუ ნახევრადპროლეტარებს შორის დგას საშუალო გლეხთა ფენა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებას არასოდეს და არაფერში არ გამოუცხადებია და არ უწარმოებია. ყოველივე ამის საწინააღმდეგო ნაბიჯი ან ღონისძიება ყოვლად გადამწყვეტი გაკიცხვის ღირსია და აღკვეთილ უნდა იქნას. სოციალისტური მთავრობა ვალდებულია განახორციელოს საშუალო გლეხობასთან შეთანხმების პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ დაუმტკიცებია საქმეებით თავისი მტკიცე გადაწყვეტილება — მისდიოს ამ პოლიტიკას. ასეთი საქმეებიდან უმნიშვნელოვანესია: კომუნისტების (ბოლშევიკების) უმრავლესობის მიერ მიწის სოციალიზაციის კანონის მიღება და მისი სასტიკად ლოიალური გატარება, შემდეგ პურის ფასების გასამკეცება (1918 წ. ...აგვისტოს დეკრეტი). ასეთივეა აზრი დეკრეტისა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესახებ[22] და სხვ.. წინადადება ეძლევა ყველას სასტიკად დაიცვან ზემოაღნიშნული პოლიტიკა.

დაწერილია 1918 წ. 16 აგვისტოს

პირველად გამოქვეყნდა 1931 წელს

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვები პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ 1918 წ. 16 აგვისტოს [23]

საოქმო ჩანაწერი

1

•გრძნობა ძალების დიდი ნაკლებობა, მასაში კი არის ძალები, ისეთი ძალები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. შეტი ნდობით უნდა მოვეპყროთ მუშათა მასას და შევძლოთ იქიდან ძალების მოკრება. ღონისძიებანი ამისათვის: თანამგრძნობთა ჩაბმა პარტიაში ახალგაზრდობიდან, პროფესიული კავშირებიდან. დეე იყოს დაყოვნება საწევროს გადახდაში, — ეს სრულიადაც არ არის საშიში. თუ 6 ათასს გამოვყოფთ ფრონტისათვის, ნაცვლად კი ავიყვანთ 12 ათას ახალს, დიდი საშიშროება არ იქნება. მორალური გავლენა უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პარტიის წევრთა გამრავლებით.

ჩვენს მიტინგებზე ძალიან ნაკლებად გამოდიან ახალი ძალები, მათი გამოსვლა კი მეტად სასურველი იქნებოდა, რადგან მათ ნათქვამში ცოცხალ სიტყვას გავიგონებთ. რამენაირად უნდა მოვაწყოთ გამოცდა. ახალგაზრდობა უნდა ავიყვანოთ მუშათა წრიდან, ისე, რომ იყოს მუშათა მასის კონტროლი. თვითონ ცხოვრება მოითხოვს, რათა პარტიის ძალიან ბევრი წევრი წავიდეს ფრონტზე, ვიდრე იაპონელები და ამერიკელები ჯერ კიდევ არ გამაგრებულან ციმბირში. ძველების ნაცვლად უნდა შევიმატოთ ახალი ძალები — ახალგაზრდები.

2

პარტიის წევრებმა გაძლიერებული აგიტაცია უნდა განავითარონ მუშებს შორის. კანცელარულ სამუშაოზე არ უნდა დავტოვოთ ის ამხანაგები, რომლებსაც თუნდაც რაიმეს გაკეთება შეუძლიათ.

უნდა გავაფართოოთ მუშათა მასაზე ჩვენი გავლენის სფერო. უჯრედები ძალიან ცოტა ინიციატივას იჩენენ, მათი გამოსვლები ადგილობრივ მეტად სასარგებლო იქნებოდა უპარტიოებზე ზეგავლენის აზრით. უნდა მივაქციოთ ყურადღება კლუბებს, წამოვწიოთ პარტიული მუშაკები მასებიდან.

არ შეიძლება მივიღოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ადგილების გამო შემოდიან პარტიაში, ისინი უნდა განვდევნოთ პარტიიდან.

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.
22 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 19

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის
მიხედვით

წერილი ამერიკელ მუშებს [24]

ამხანაგებო! ერთმა რუსმა ბოლშევიკმა, რომელიც მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში და შემდეგ მრავალ წელს ცხოვრობდა თქვენს ქვეყანაში, შემომთავაზა, რომ იკისრებდა თქვენთვის ჩემი წერილის გადმოცემას. მე მით უფრო დიდი კმაყოფილებით მივიღე მისი წინადადება, რომ ამერიკელი რევოლუციური პროლეტარები მოწოდებულნი არიან სწორედ ახლა შეასრულონ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი, როგორც ამერიკის იმპერიალიზმის შეურიგებელმა მტრებმა, იმპერიალიზმისა, რომელიც ყველაზე ახალი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე უკანასკნელია ხალხთა იმ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობის მხრივ, რაც კაპიტალისტთა მოგების გაყოფის გამო წარმოებს. ამერიკელმა მილიარდერებმა, ამ თანამედროვე მონათმფლობელებმა, სწორედ ახლა გადაშალეს სისხლისმღვრელი იმპერიალიზმის სისხლიანი ისტორიის განსაკუთრებით ტრაგიკული ფურცელი, როცა მათ თანხმობა განაცხადეს — სულ ერთია, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ თვალთმაქცურ-ფარულად, — ინგლისელი და იაპონელი მხეცების შეიარაღებულ ლაშქრობაზე პირველი სოციალისტური რესპუბლიკის ჩახშობის მიზნით.

უახლესი, ცივილიზებული ამერიკის ისტორია იწყება ერთ-ერთი დიადი, მართლაც განმათავისუფლებელი, მართლაც რევოლუციური ომით, როგორიც ესოდენ ცოტაა უამრავ მძარცველურ ომებს შორის, რომლებიც, ახლანდელი იმპერიალისტური ომის მსგავსად, გამოწვეული იყო მეფეების,

მემამულეების, კაპიტალისტების ჩხუბით დაპყრობილი მიწების ან ნაძარცვი მოგების გაყოფისათვის. ეს იყო ამერიკელი ხალხის ომი ინგლისელი ავაზაკების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგრავდნენ და კოლონიურ მონობაში ამყოფებდნენ ამერიკას, როგორც ეს «ცივილიზებული» სისხლისმსმელები ახლაც ჩაგრავენ და კოლონიურ მონობაში ამყოფებენ ასეულ მილიონობით ადამიანს ინდოეთში, ეგვიპტეში და მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მას შემდეგ დაახლოებით 150 წელმა განვლო. ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ მთელი თავისი დიდებული ნაყოფი გამოიღო. ამერიკამ ადამიანთა გაერთიანებული შრომის საწარმოო ძალთა განვითარების დონის მხრივ, მანქანებისა და უახლესი ტექნიკის ყველა სასწაულის გამოყენების მხრივ პირველი ადგილი დაიკავა თავისუფალ და განათლებულ ქვეყნებს შორის. ამერიკა ამასთან ერთად გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იმ უფსკრულის სიღრმის მხრივ, რომელიც გათხრილია, ერთი მხრივ, გათავხედებულ, სიბინძურესა და ფუფუნებაში ჩაფლულ მილიარდერებსა და, მეორე მხრივ, მილიონობით მშრომელთა შორის, რომელნიც მუდამ სიღატაკის საზღვარზე იმყოფებიან. ამერიკელი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა ფეოდალური მონობის წინააღმდეგ რევოლუციური ომის ნიმუში, აღმოჩნდა ერთი მუჭა მილიარდერების უახლეს, კაპიტალისტურ, დაქირავებულ მონობაში, აღმოჩნდა დაქირავებული ჯალათის როლის შემსრულებელი, რომელიც არამზადა მდიდრების საამებლად 1898 წელს ახრჩობდა ფილიპინებს, მისი «განთავისუფლების» მომიზეზებით, ხოლო 1918 წელს ახრჩობს რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას, გერმანელებისაგან მისი «დაცვის» მომიზეზებით.

მაგრამ ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ოთხ წელს ამაოდ არ ჩაუვლია. ავაზაკთა ორივე ჯგუფის, როგორც ინგლისელთა, ისე გერმანელთა ჯგუფის არამზადები რომ ხალხს ატყუებენ, ეს საკვლევით მხილებულია უდავო და აშკარა ფაქტებით. ოთხი წლის ომმა თავისი შედეგებით ცხადყო კაპი-

ტალიზმის ზოგადი კანონი, მიყენებული ავაზაკთა ომისადმი, რომელსაც ისინი თავიანთი ნადავლის გაყოფის გამო ეწევიან: ვინც ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი იყო, იმან ყველაზე მეტი მოიხვეჭა და გაძარცვა; ვინც ყველაზე სუსტი იყო, იმას ბოლომდე ძარცვავდნენ, ჯიჯგნიდნენ, თრგუნავდნენ, ახრჩობდნენ.

ინგლისის იმპერიალიზმის ავაზაკები, თავიანთი «კოლონიური მონების» რაოდენობით, ყველაზე ძლიერნი იყვნენ. ინგლისელ კაპიტალისტებს არ დაუკარგავთ არც ერთი მტკაველი «თავიანთი» (ე. ი. მათ მიერ საუკუნეთა განმავლობაში მიტაცებული) მიწა, არამედ მიიტაცეს გერმანიის ყველა კოლონია აფრიკაში, მიიტაცეს მესოპოტამია და პალესტინა, ჩაახშეს საბერძნეთი და დაიწყეს რუსეთის ძარცვა.

გერმანიის იმპერიალიზმის ავაზაკები ყველაზე ძლიერნი იყვნენ «თავიანთი» ჯარების ორგანიზებულობითა და დისციპლინით, მაგრამ უფრო სუსტნი იყვნენ კოლონიებით. მათ დაკარგეს ყველა კოლონია, მაგრამ გაძარცვეს ნახევარი ევროპა, ჩაახშეს პატარა ქვეყნების და სუსტი ხალხების ყველაზე მეტი რაოდენობა. რა დიადი «განმათავისუფლებელი» ომია ორივე მხრივ! რა კარგად «იცავდნენ სამშობლოს» ორივე ჯგუფის ავაზაკები, ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიის კაპიტალისტები, თავიანთ ლაქიებთან, სოციალ-შოვინისტებთან, ე. ი. «თ ა ვ ი ა ნ თ ი» ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ სოციალისტებთან ერთად!

ამერიკელი მილიარდერები თითქმის ყველაზე მდიდარნი იყვნენ და გეოგრაფიულად ყველაზე უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ყველაზე მეტად გამდიდრდნენ. მათ თავიანთ მოხარკეებად გახადეს ყველა ქვეყანა, უმდიდრესი ქვეყნებიც კი. მათ მოხვეტეს ასეულ მილიარდობით დოლარი. და ყოველ დოლარს აჩნევია სიბინძურის კვალი: ინგლისისა და მისი «მოკავშირეების» ბინძური საიდუმლო ხელშეკრულებებისა, გერმანიისა და მისი ვასალების ასეთივე ხელშეკრულებებისა, ნაძარცვი დავლის გაყოფის შესახებ ხელშეკრულებებისა, მუშების ჩაგვრაში და სოციალისტ-ინტერნაციონალის-

ტების დევნაში ურთიერთ «დახმარების» ხელშეკრულებებისა. ყოველ დოლარს აჩნევია გუნდა ტალახი «შემოსავლიანი» სამხედრო მიწოდებებისა, რომლებიც ყოველ ქვეყანაში ამდიდრებდნენ მდიდრებს და აჩანაგებდნენ ღარიბებს. ყოველ დოლარს აჩნევია სისხლის კვალი — იმ ზღვა სისხლისა, რომელიც დაღვარეს 10 მილიონმა მოკლულმა და 20 მილიონმა დასახიჩრებულმა დიად, კეთილშობილ, განმათავისუფლებელ, წმიდათა წმიდა ბრძოლაში იმის გამო, ინგლისელ თუ გერმანელ ავაზაკს ერგება მეტი დავლა, ინგლისელი თუ გერმანელი ჯალათები აღმოჩნდებიან **პირველნი** მთელი მსოფლიოს სუსტი ხალხების ჩამხშობთა შორის.

თუ გერმანელმა ავაზაკებმა რეკორდი დაამყარეს თავიანთი მხეცური სამხედრო თარეშით, ინგლისელმა ავაზაკებმა რეკორდი დაამყარეს არა მარტო მიტაცებული კოლონიების რაოდენობით, არამედ თავიანთი ოსტატური, საზიზღარი თვალთმაქცობითაც. სწორედ ახლა ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს მრავალ მილიონ ეგზემპლარად სიცრუესა და ცილისწამებას რუსეთის შესახებ, რათა თვალთმაქცურად გაამართლოს თავისი ავაზაკური ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ მისწრაფებით — ვითომ «დაიცვას» რუსეთი გერმანელებისგან!

ეს საზიზღარი და უხამსი სიცრუე რომ გააქარწყლო, ამისათვის საჭირო არ არის ბევრი სიტყვა დახარჯო: საკმარისია აღნიშნო ერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. როდესაც 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშებმა დაამხეს თავიანთი იმპერიალისტური მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლებამ, რევოლუციური მუშებისა და გლეხების ხელისუფლებამ, აშკარად შესთავაზა სამართლიანი, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ერის უფლებათა თანასწორობის სრულ დაცვას, — შესთავაზა ასეთი ზავი **ყველა** მეომარ ქვეყანას.

სწორედ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიამ არ მიიღო ჩვენი წინადადება, სწორედ მან ლაპარაკიც კი **არ** მოისურვა ჩვენთან საყოველთაო ზავის შესახებ! სწორედ ი გ ი

მოიქცა გამცემლურად ყველა ხალხის ინტერესების მიმართ, სწორედ მან გააჭიანურა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა!

სწორედ მან, იმ მიზნით რომ კვლავ ჩაება რუსეთი იმპერიალისტურ ომში, თავი აარიდა საზავო მოლაპარაკებას და ამით ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანიის ასეთსავე ავაზაკ კაპიტალისტებს, რომლებმაც რუსეთს თავს მოახვიეს ანექსიური და ძალდატანებითი ბრესტის ზავი!

ძნელია წარმოიდგინო იმაზე უფრო საზიზღარი თვალთმაქცობა, როგორი თვალთმაქცობითაც ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზია ჩვენ გვდებს «ბრალს» ბრესტის ზავის გ ა მ ო. სწორედ იმ ქვეყნების კაპიტალისტები, რომლებზეც დამოკიდებული იყო ბრესტის გადაქცევა საყოველთაო მოლაპარაკებად საყოველთაო ზავის შესახებ, სწორედ ისინი გამოდიან «ბრალმდებლებად» ჩვენს წინააღმდეგ! ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის სვავებმა, რომლებიც გამდიდრდნენ კოლონიების ძარცვისა და ხალხთა ხოცვა-ჟლეტის წყალობით, გააჭიანურეს ომი აი უკვე თითქმის მთელი წლით ბრესტის შემდეგ, და ისინივე «გვდებენ ბრალს» **ჩვენ**, ბოლშევიკებს, რომლებმაც სამართლიანი ზავი შევთავაზეთ ყველა ქვეყანას, — **ჩვენ**, რომლებმაც დავხიეთ, გამოვაქვეყნეთ, საყოველთაოდ გავაკარით სამარცხვინო ბოძზე ყოფილ მეფესა და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებს შორის დადებული საიდუმლო დანაშაულებრივი ხელშეკრულებანი.

მთელი მსოფლიოს მუშები, რა ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, მოგვესალმებიან, თანაგვიგრძნობენ, ტაშს გვიკრავენ ჩვენ იმისათვის, რომ ჩვენ დავამსხვრიეთ იმპერიალისტური კავშირის, იმპერიალისტური ბინძური ხელშეკრულებების, იმპერიალისტური ჯაჭვების რგოლები, — იმისათვის, რომ ჩვენ უაღრესად მძიმე მსხვერპლის გაღებით მოვიპოვეთ თავისუფლება, — იმისათვის, რომ ჩვენ, როგორც სოციალისტური რესპუბლიკა, თუმცა იმპერიალისტების მიერ გატანჯული და გაძარცული, **გამოვედით** იმპერიალისტური ომიდან და მთელი მსოფლიოს წინაშე აღვმართეთ მშვიდობის დროშა, სოციალიზმის დროშა.

გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო იმპერიალისტების ბანდას ჩვენ ვძულვართ ამისათვის, რომ ისინი «ბრალს გვდებენ» ჩვენ, რომ იმპერიალიზმის ყველა ლაქია, მათ შორის ჩვენი მემარჯვენე ესერები და მენშევიკები, აგრეთვე «ბრალს გვდებენ» ჩვენ. იმპერიალიზმის ამ მოდარაჯე ქოფაკების სიძულვილი ბოლშევიკებისადმი, ისევე როგორც ყველა ქვეყნის შეგნებული მუშების თანაგრძნობა, ჩვენ გვინერგავს კიდევ უფრო მეტ რწმენას, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია.

სოციალისტი არ არის ის, ვისაც არ ესმის, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის, მუშათა ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის **დაწყებისათვის**, შეიძლება ა რ დავერიდოთ და ა რ ც უნდა დავერიდოთ არავითარ მსხვერპლს, მათ შორის ტერიტორიის ნაწილის დაკარგვას, იმპერიალიზმისაგან მძიმე დამარცხებათა მსხვერპლს. სოციალისტი არ არის ის, ვისაც **საქმეებით** არ დაუმტკიცებია თავისი მზადყოფნა — უდიდესი მსხვერპლი გაიღოს «მისმა» სამშობლომ, ოღონდ ფაქტიურად წინ იქნას წაწეული სოციალისტური რევოლუციის საქმე.

«თავიანთი» საქმისათვის, ე. ი. მსოფლიო ბატონობის შოპოვებისათვის, ინგლისისა და გერმანიის იმპერიალისტები არ დარიდებიან მთელი რიგი ქვეყნების სრულ გაჩანაგებასა და ჩახრჩობას, დაწყებული ბელგიითა და სერბიით, განგრძობილი პალესტინითა და მესოპოტამიით. განა სოციალისტებმა «თავიანთი» საქმისათვის, კაპიტალის უღლისაგან მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის, საყოველთაო მტკიცე მშვიდობის მოპოვებისათვის უნდა იცადონ, ვიდრე გამოჩნდებოდეს უმსხვერპლო გზა, განა მათ უნდა ეშინოდეთ დაიწყონ ბრძოლა, ვიდრე იოლი წარმატება არ იქნება «გარანტირებული», განა მათ «თავიანთი», ბურჟუაზიის მიერ შექმნილი, «სამშობლოს» უშიშროება და მთლიანობა უფრო მაღლა უნდა დააყენონ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ინტერესებთან შედარებით? სამგზის ზიზღის ღირსნი არიან საერთაშორისო სოციალიზმის ის

არამზადები, ბურჟუაზიული მორალის ის ლაქიები, რომლებიც ასე ფიქრობენ.

ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმის მტაცებელი მხეცები ჩვენ «ბრალად გვდებენ» გერმანიის იმპერიალიზმთან «შეთანხმებას». აი, თვალთმაქცნი! აი, არამზადები, რომლებიც ცილს სწამებენ მუშათა მთავრობას, იმ თანაგრძნობით თავზარდაცემულნი, რომლითაც გვეპყრობიან ჩვენ «მათი» საკუთარი ქვეყნების მუშები! მაგრამ მათი თვალთმაქცობა მხილებული იქნება. ისინი თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს არ ესმოდეთ, რომ სულ სხვაა «სოციალისტების» შეთანხმება ბურჟუაზიასთან (თავის და უცხო ბურჟუაზიასთან) მ უ შ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მშრომელთა წინააღმდეგ და სხვაა თავის ბურჟუაზიაზე გამარჯვებული მუშების დ ა ს ა ც ა ვ ა დ შეთანხმება ერთი იერის ბურჟუაზიასთან სხვა ეროვნული იერის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რათა პროლეტარიატმა გამოიყენოს ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ნამდვილად ყოველმა ევროპელმა ჩინებულად იცის ეს განსხვავება, ხოლო ამერიკელმა ხალხმა, როგორც ახლა ცხადვყოფ, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ «განიცადა» იგი თავის საკუთარ ისტორიაში. არის შეთანხმებაც და შეთანხმებაც, არის fagots et fagots *, როგორც ფრანგები იტყვიან.

როდესაც გერმანიის იმპერიალიზმის ავაზაკებმა 1918 წლის თებერვალში დასძრეს თავიანთი ჯარები უიარაღო რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც უკვე მოახდინა თავისი არმიის დემობილიზაცია, რომელიც უფრო ადრე დაენდო პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას, ვიდრე საერთაშორისო რევოლუცია სავსებით მომწიფდებოდა, მაშინ მე სრულიადაც არ ვყოყმანობდი გარკვეული «შეთანხმება» დამედო ფრანგ მონარქისტებთან. ფრანგმა კაპიტანმა სადულმა, რომელიც სიტყვით თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს, საქმით კი ალალმართლად ემსახურებოდა საფრანგეთის იმპერიალიზმს, ჩემთან მოიყვანა ფრანგი ოფიცერი დე ლიუბერსაკი. «მე

* — საგანიც არის და საგანიც. რ ე დ.

მონარქისტი ვარ, ჩემი ერთადერთი მიზანია გერმანიის დამარცხებაო», — განმიცხადა დე ლიუბერსაკმა. ეს თავისთავად ცხადია, — ვუპასუხე მე (cela va sans dire). ამას ჩემთვის სრულიად არ შეუშლია ხელი «შევთანხმებოდი» დე ლიუბერსაკს იმ სამსახურის გამო, რომლის გაწევაც ჩვენთვის სურდათ აფეთქების საქმის სპეციალისტებს, ფრანგ ოფიცრებს, სარკინიგზო ხაზის ასაფეთქებლად გერმანელთა შემოსევის შეფერხებისათვის. ეს იყო ისეთი «შეთანხმების» ნიმუში, რომელსაც ყოველი შეგნებული მუშა მოიწონებს, — სოციალიზმის ინტერესებისათვის შეთანხმების ნიმუში. ჩვენ, მე და ფრანგი მონარქისტი, ხელს ვართმევდით ერთმანეთს, თუმცა ვიცოდით, რომ თვითეული ჩვენგანი ხალისით ჩამოახრჩობდა თავის «პარტნიორს». მაგრამ ჩვენი ინტერესები დროებით დაემთხვნენ ერთმანეთს. შემომტევი მტაცებელი გერმანელების წინააღმდეგ ჩ ვ ე ნ რუსეთისა და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ინტერესებისათვის გამოვიყენეთ ს ხ ვ ა იმპერიალისტების ასეთივე მტაცებლური კონტრინტერესები. ამრიგად ჩვენ ვემსახურებოდით რუსეთისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის ინტერესებს, ჩვენ ვაძლიერებდით პროლეტარიატს და ვასუსტებდით ბურჟუაზიას მთელ მსოფლიოში, ჩვენ მივმართავდით ყოველ ომში უკანონიერეს და აუცილებელ მანევრირებას, ლავირებას, უკანდახევას იმ მომენტის მოლოდინში, როდესაც ს ა ბ ო ლ ო ო დ მ ო მ წ ი ფ დ ე ბ ო დ ა სწრაფად მზარდი პროლეტარული რევოლუცია მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში.

და, რაც უნდა იღმუილონ ღვარძლისაგან ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმის ონავრებმა, რაც უნდა დაგვწამონ ჩვენ მათ ცილი, რა მილიონებიც უნდა დახარჯონ მემარჯვენე-ესერული, მენშევიკური და სხვა სოციალ-პატრიოტული გაზეთების მოსასყიდად, მ ე ე რ თ წ ა მ ს ა ც ა რ შ ე ვ ყ ო ყ მ ა ნ დ ე ბ ი ა ს ე თ ი ვ ე «შეთანხმება» დავდო გერმანიის იმპერიალიზმის ავაზაკებთან იმ შემთხვევაში, თუ რუსეთზე ინგლის-საფრანგეთის შემოტევა ამას მოითხოვს. და მე ჩინებულად ვიცი, რომ ჩემს ტაქტიკას მოიწონებს რუსე-

თის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, ერთი სიტყვით, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს შეგნებული პროლეტარიატი. ასეთი ტაქტიკა გააადვილებს სოციალისტური რევოლუციის საქმეს, დააჩქარებს მის დადგომას, შეასუსტებს საერთაშორისო ბურჟუაზიას, გააძლიერებს მისი მძლეველი მუშათა კლასის პოზიციებს.

ამერიკელმა ხალხმა კი დიდი ხანია გამოიყენა, რევოლუციის სასარგებლოდ გამოიყენა, ეს ტაქტიკა. როდესაც იგი აწარმოებდა თავის დიად განმათავისუფლებელ ომს მჩაგვრელი ინგლისელების წინააღმდეგ, ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ იდგნენ აგრეთვე მჩაგვრელი ფრანგები და ესპანელები, რომლებსაც ეკუთვნოდა ახლანდელი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილი. თავის მძიმე ომში განთავისუფლებისათვის ამერიკელი ხალხი დებდა აგრეთვე «შეთანხმებებს» ერთ მჩაგვრელებთან მეორეთა წინააღმდეგ, მჩაგვრელთა დასასუსტებლად და იმათ გასაძლიერებლად, ვინც რევოლუციურად იბრძოდა ჩაგვრის წინააღმდეგ, ჩაგრულთა მ ა ს ი ს სასარგებლოდ. ამერიკელმა ხალხმა გამოიყენა ფრანგებსა, ესპანელებსა და ინგლისელებს შორის არსებული შუღლი, იგი ზოგჯერ იბრძოდა მჩაგვრელი ფრანგებისა და ესპანელების ჯარებთან ერთადაც კი მჩაგვრელი ინგლისელების წინააღმდეგ, მან დაამარცხა ჯერ ინგლისელები, შემდეგ კი იგი განთავისუფლდა (ნაწილობრივ გამოსყიდვის გზით) ფრანგებისგანაც და ესპანელებისგანაც.

ისტორიული მოღვაწეობა ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია, — ამბობდა დიდი რუსი რევოლუციონერი ჩერნიშევსკი[25]. ვინც პროლეტარიატის რევოლუციას «დაუშვებს» მხოლოდ იმ «პირობით», რომ იგი ადვილად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობდეს, რომ ერთბაშად იყოს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა შეერთებული მოქმედება, რომ წინდაწინ იყოს გარანტია დამარცხებათაგან, რომ რევოლუციის გზა იყოს ფართო, თავისუფალი, პირდაპირი, რომ საჭირო არ ხდებოდეს დროდადრო, როცა გამარჯვებისაკენ მიდიხარ, გაიღო უაღრესად მძიმე მსხვერპლი, «იჯდე ალყაშემორტყმულ

ციხეში» ან იარო მთის მეტად ვიწრო, გაუვალი, მიხვეულ-მოხ-ვეული და სახიფათო ბილიკებით, — ის რევოლუციონერი არ არის, მას თავი ვერ დაუღწევია ბურჟუაზიული ინტელიგენ-ციის პედანტობისაგან, ის ნამდვილად სულ მუდამ თავს ამო-ყოფს ხოლმე კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ბანაკში, როგორც ეს მოსდით ჩვენს მემარჯვენე ესერებს, მენშევიკებს და (თუმცა უფრო იშვიათად) მემარცხენე ესერებსაც.

ბურჟუაზიასთან ერთად ამ ვაჟბატონებს უყვართ ბრალი დაგვდონ ჩვენ რევოლუციის «ქაოსში», მრეწველობის «დან-გრევაში», უმუშევრობასა და უპურობაში. რა თვალთმაქცუ-რია ეს ბრალდებანი იმათი მხრით, ვინც მიესალმებოდა და მხარს უჭერდა იმპერიალისტურ ომს ან «ეთანხმებოდა» ამ ომის განმგრძობ კერენსკის! სწორედ იმპერიალისტური ომი არის მთელი ამ უბედურების მიზეზი. რევოლუციას, რომე-ლიც ომმა წარმოშვა, არ შეუძლია არ განიცადოს წარმოუდ-გენელი სიძნელენი და ტანჯვა-წვალება, რაც მემკვიდრეობად დაგვრჩა ხალხთა მრავალწლიანი, გამანადგურებელი, რეაქციო-ული ხოცვა-ჟლეტისაგან. ჩვენთვის მრეწველობის «დანგრე-ვის» ან «ტერორის» ბრალად დადება იმას ნიშნავს, რომ ითვალთმაქცო ან გამოამჟღავნო გონებაჩლუნგი პედანტობა, უუნარობა— გაიგო იმ გააფთრებული, უკიდურესობამდე გამ-წვავებული კლასობრივი ბრძოლის ძირითადი პირობები, რომელსაც რევოლუცია ეწოდება.

არსებითად, ამგვარი «ბრალმდებელნი», თუ ისინი «აღია-რებენ» კლასობრივ ბრძოლას, სჯერდებიან მის სიტყვიერად აღიარებას, ნამდვილად კი სულ მუდამ ეძლევიან კლასთა «შეთანხმებისა» და «თანამშრომლობის» ფილისტერულ უტო-პიას. ვინაიდან რევოლუციის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლა აუცილებლად და გარდუვალად ყოველთვის და ყველა ქვეყა-ნაში იღებდა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი ს ფორმას, ხოლო სამოქალაქო ომი წარმოუდგენელია ისე, თუ არ ხდება უმძი-მესი სახის ნგრევა, თუ არ არის ტერორი, თუ არ იზღუდება ფორმალური დემოკრატია ომის ინტერესებისათვის. მხოლოდ ფარისეველ ხუცებს — სულ ერთია, ქრისტიანი ხუცები არიან

ისინი, თუ «ერისგანნი» სალონური, პარლამენტური სოციალისტების სახით, — შეუძლიათ არ დაინახონ, არ შეიგნონ, არ იგრძნონ ეს აუცილებლობა. მხოლოდ მკვდარ «ფუტლარის კაცებს» შეუძლიათ ამის გამო ჩამოსცილდნენ რევოლუციას ნაცვლად იმისა, რომ მთელი მგზნებარებითა და გაბედულებით ჩაებან ბრძოლაში მაშინ, როდესაც ისტორია მოითხოვს კაცობრიობის უდიდესი საკითხების ბრძოლითა და ომით გადაწყვეტას.

ამერიკელ ხალხში არის რევოლუციური ტრადიცია, რაც შეითვისეს ამერიკის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომლებსაც არა ერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი სრული თანაგრძნობა ჩვენდამი, ბოლშევიკებისადმი. ეს ტრადიციაა ომი განთავისუფლებისათვის ინგლისელთა წინააღმდეგ XVIII საუკუნეში, შემდეგ სამოქალაქო ომი XIX საუკუნეში. 1870 წელს ამერიკა ზოგიერთი მხრივ, მარტო მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის «დანგრევა» რომ ავიღოთ, 1860 წელზე უ კ ა ნ იდგა. მაგრამ რა პედანტი, რა იდიოტი იქნებოდა ის კაცი, რომელიც **ასეთი** საბუთით უარყოფდა ამერიკის 1863 — 1865 წლების სამოქალაქო ომის უდიდეს, მსოფლიო-ისტორიულ, პროგრესიულ და რევოლუციურ მნიშვნელობას!

ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ესმით, რომ ზანგთა მონობის დამხობა, მონათმფლობელთა ძალაუფლების დამხობა ღირდა იმად, რომ მთელ ქვეყანას გამოევლო სამოქალაქო ომის, ყოველ ომთან დაკავშირებული უდიდესი გაჩანაგების, ნგრევის, ტერორის მრავალი წელი. მაგრამ ახლა, როდესაც საქმე ეხება განუზომლად უფრო დიად ამოცანას — დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი, კაპიტალისტური, მონობის დამხობას, ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობას, — ახლა ბურჟუაზიის წარმომადგენლებსა და დამცველებს, ისევე როგორც სოციალისტ-რეფორმისტებს, რომლებიც დაშინებული არიან ბურჟუაზიის მიერ და გაურბიან რევოლუციას, არ შეუძლიათ და არც სურთ გაიგონ სამოქალაქო ომის აუცილებლობა და კანონიერება.

ამერიკელი მუშები არ გაჰყვებიან ბურჟუაზიას. ისინი ჩვენთან იქნებიან, მხარს დაუჭერენ სამოქალაქო ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ რწმენას მე განმიმტკიცებს მსოფლიო და ამერიკის მუშათა მოძრაობის მთელი ისტორია. მე ვიგონებ აგრეთვე ამერიკის პროლეტარიატის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ბელადის ევგენი დებსის სიტყვებს; ის წერდა «მოწოდებაში გონებისადმი» (Appeal to Reason)[26] — მგონი, 1915 წლის დამლევს — სტატიაში «What shall I fight for» («რისთვის ვიბრძოლებ მე»), — (ამ სტატიიდან მე ციტატი მოვიყვანე 1916 წლის დამდეგს მუშათა ერთ საჯარო კრებაზე ბერნში, შვეიცარიაში) *, —

— რომ ის, დებსი, უფრო ამჯობინებს დახვრიტონ, ვიდრე ხმა მისცეს კრედიტებს ახლანდელი, დანაშაულებრივი და რეაქციული ომის სასარგებლოდ; რომ მან, დებსმა, იცის ერთი, პროლეტარების თვალსაზრისით წმიდათა წმიდა, კანონიერი ომი, სახელდობრ: ომი კაპიტალისტების წინააღმდეგ, ომი დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.

მე არ მაკვირვებს, რომ ვილსონმა, ამერიკელი მილიარდერების მეთაურმა, ონავარი კაპიტალისტების დამქაშმა, საპყრობილეში დაამწყვდია დებსი. დაე, იმძვინვაროს ბურჟუაზიამ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ, რევოლუციური პროლეტარიატის ჭეშმარიტი წარმომადგენლების წინააღმდეგ! რაც უფრო მეტ გააფთრებასა და სიმხვცეს იჩენს იგი, მით უფრო ახლოა ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის დღე.

ჩვენ ბრალად გვდებენ ნგრევას, რომელიც ჩვენმა რევოლუციამ გამოიწვია... მერე ვინღა არიან ბრალმდებელნი? ბურჟუაზიის მაჩანჩალები, — სწორედ იმ ბურჟუაზიისა, რომელმაც იმპერიალისტური ომის ოთხი წლის განმავლობაში, დაანგრია რა თითქმის მთელი ევროპული კულტურა, ბარბაროსობამდე, გაველურებამდე, შიმშილამდე მიიყვანა ევროპა.

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 22, გვ. 149. რ ე დ.

ეს ბურჟუაზია ახლა ჩვენგან მოითხოვს, რომ ჩვენ რევოლუ-ცია განვახორციელოთ არა ამ ნგრევათა ნიადაგზე, არა კულ-ტურის ნანგრევებში, არა ომით გამოწვეული ნგრევისა და აოხრების პირობებში, არა იმ ადამიანებით, რომლებიც ომმა გააველურა. ჰო-ჰო, რა ჰუმანური და სამართლიანია ეს ბურ-ჟუაზია!

მისი მსახურნი ჩვენ ბრალად გვდებენ ტერორს... ინგლი-სელმა ბურჟუებმა დაივიწყეს თავიანთი 1649 წელი, ფრან-გებმა — თავიანთი 1793 წელი. ტერორი სამართლიანი და კანონიერი იყო, როდესაც მას ბურჟუაზია იყენებდა თავის სასარგებლოდ ფეოდალების წინააღმდეგ. ტერორი საშინელი და დანაშაულებრივი გახდა, როდესაც მისი გამოყენება გაბე-დეს მუშებმა და უღარიბესმა გლეხებმა ბურჟუაზიის წინააღ-მდეგ! ტერორი სამართლიანი და კანონიერი იყო, როდესაც მას იყენებდნენ ერთი ექსპლოატატორული უმცირესობის მეორე ექსპლოატატორული უმცირესობით შესაცვლელად. ტერორი საშინელი და დანაშაულებრივი გახდა, როდესაც მისი გამოყენება იწყეს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ექსპლოატატო-რული უმცირესობის დასამხობად, ნამდვილად უდიდესი უმრავლესობის ინტერესებისათვის, პროლეტარიატისა და ნა-ხევრადპროლეტარიატის, მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის ინტერესებისათვის!

საერთაშორისო იმპერიალიზმის ბურჟუაზიამ გაჟლიტა 10 მილიონი კაცი, დაასახიჩრა 20 მილიონი «თავის» ომში, ომში იმის გამო, ინგლისელი თუ გერმანელი მტაცებლები უნდა ბატონობდნენ მთელ მსოფლიოში.

თუ ჩ ვ ე ნ ი ომი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა ომი მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ნახევარ მილიონ ან მილიონ კაცს შეიწირავს ყველა ქვეყანაში, — ბურ-ჟუაზია იტყვის, პირველი მსხვერპლი კანონიერია, მეორე — დანაშაულებრივიაო.

პროლეტარიატი სულ სხვას იტყვის.

პროლეტარიატი ახლა, იმპერიალისტური ომის საშინე-ლებათა დროს, — სავსებით და ნათლად ითვისებს იმ დიად

ჭეშმარიტებას, რომელსაც გვასწავლის ყველა რევოლუცია, ჭეშმარიტებას, რომელიც მუშებს უანდერძეს მათმა საუკეთესო მასწავლებლებმა, თანამედროვე სოციალიზმის ფუძემდებლებმა. ეს ჭეშმარიტება ის არის, რომ შეუძლებელია რევოლუციამ წარმატებას მიაღწიოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დაუთრგუნავად. ჩვენი მოვალეობა იყო, როდესაც ჩვენ, მუშები და მშრომელი გლეხები, დავეუფლეთ სახელმწიფო ძალაუფლებას, დაგვეთრგუნა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვაკეთებდით და ვაკეთებთ ამას. ჩვენ ვნანობთ, რომ ამას არასაკმაოდ მტკიცედ და გაბედულად ვაკეთებთ.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყანაში ბურჟუაზიის გააფთრებული წინააღმდეგობა სოციალისტური რევოლუციისადმი გარდუვალია და რომ ეს წინააღმდეგობა გაიზრდება ამ რევოლუციის ზრდის მიხედვით. პროლეტარიატი გასტეხს ამ წინააღმდეგობას, იგი საბოლოოდ მომწიფდება გამარჯვებისა და ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გამწევ ბურჟუაზიასთან ბრძოლის მსვლელობაში.

დეე, საქვეყნოდ იყვიროს მოსყიდულმა ბურჟუაზიულმა პრესამ ყოველ შეცდომაზე, რომელსაც ჩადის ჩვენი რევოლუცია. ჩვენ არ გვეშინია ჩვენი შეცდომებისა. იმის გამო, რომ რევოლუცია დაიწყო, ადამიანები წმინდანები არ გამხდარან. რევოლუციის მოხდენა შეუცდომლად არ შეუძლიათ იმ მშრომელ კლასებს, რომლებსაც საუკუნეობით ჩაგრავდნენ, აბეჩავებდნენ, ძალდატანებით ამწყვდევდნენ სიღატაკის, უმეცრების, ველურობის მარწუხებში. და ბურჟუაზიული საზოგადოების ლეში, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, არ შეიძლება კუბოში ჩასჭედო და მიწაში ჩაფლა *. მოკლული კაპიტალიზმი ლპება, იხრწნება ჩვენს შორის, შხამავს ჰაერს მიაზმებით, შხამავს ჩვენს ცხოვრებას, ძველის, დამპალის, მკვდრის ათასნაირი ძაფითა და ჯაჭვით ებღაუჭება ახალს, ნორჩს, ახალგაზრდას, ცოცხალს.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 530. რედ.

ყოველ ასეულ ჩვენს შეცდომაზე, რაზედაც საქვეყნოდ ვაყვირიან ბურჟუაზია და მისი ლაქიები (მათ შორის ჩვენი მენშევიკები და მემარჯვენე ესერები), მოდის 10 000 დიადი და გმირული აქტი — მით უფრო დიადი და გმირული, რომ იგი უბრალოა, უჩინარია, დამალულია საფაბრიკო უბნის ან მივარდნილი სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესრულებულია ისეთ ადამიანთა მიერ, რომელნიც შეჩვეულნი არ არიან (და რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ) საქვეყნოდ იყვირონ ყოველ თავიანთ წარმატებაზე.

მაგრამ საქმე პირუკუც რომ იყოს, — თუმცა ვიცი, რომ ასეთი ვარაუდი მართალი არ არის, — ჩვენს 100 სწორ აქტზე კიდევაც რომ მოდიოდეს 10 000 შეცდომა, მაინც ჩვენი რევოლუცია იქნებოდა, და ი გ ი ქ ნ ე ბ ა მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ი ს წ ი ნ ა შ ე, დიადი და უძლეველი, ვინაიდან ეს პ ი რ ვ ე ლ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ა, რომ არა უმცირესობა, არა მხოლოდ მდიდრები, არა მხოლოდ განათლებულნი, არამედ ნამდვილი მასა, მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა თ ვ ი თ ო ნ აშენებს ახალ ცხოვრებას, თ ა ვ ი ს ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ წყვეტს სოციალისტური ორგანიზაციის უძნელეს საკითხებს.

ყოველი შეცდომა ათეულ მილიონობით უბრალო მუშისა და გლეხის ასეთ მუშაობაში, მთელი თავიანთი ცხოვრების გარდასაქმნელად წარმოებულ ამ უკეთილსინდისიერეს და უგულწრფელეს მუშაობაში, — ყოველი ასეთი შეცდომა სჯობია ექსპლოატატორული უმცირესობის ათას და მილიონ «უშეცდომო» წარმატებას, მშრომელთა მოტყუებისა და გაბიაბრუების საქმეში მიღწეულ წარმატებას. ვინაიდან მუშები და გლეხები მხოლოდ ასეთი შეცდომების გ ზ ი თ ი ს წ ა ვ ლ ი ა ნ ახალი ცხოვრების შენებას, ისწავლიან უ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ო დ ცხოვრებას, მხოლოდ ასე გაიკაფავენ ისინი გზას — ათასობით დაბრკოლების გადალახვით—ძლევამოსილი სოციალიზმისაკენ.

შეცდომებს ჩადიან, ეწევიან რა თავიანთ შემოქმედებითს რევოლუციურ მუშაობას, ჩვენი გლეხები, რომლებმაც ერთი

დაკვრით, 1917 წლის 25 ოქტომბერს, ღამით (ძვ. სტ.), გააუქმეს მიწის ყოველგვარი კერძო საკუთრება და რომლებიც ახლა, თვიდან-თვემდე, ძლევენ რა უდიდეს სიძნელეებს, უსწორებენ საკუთარ თავს და პრაქტიკულად წყვეტენ უძნელეს ამოცანას — სამეურნეო ცხოვრების ახალი პირობების შექმნის, კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის, მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ი ს (და არა მდიდრების) მიწით უზრუნველყოფის, კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ მსხვილ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ამოცანას.

შეცდომებს ჩადიან, ეწევიან რა თავიანთ შემოქმედებითს რევოლუციურ მუშაობას, ჩვენი მუშები, რომლებმაც ახლა, რამდენიმე თვის განმავლობაში, მოახდინეს თითქმის ყველა უმსხვილესი ფაბრიკა-ქარხნის ნაციონალიზაცია და რომლებიც მძიმე, ყოველდღიური შრომით სწავლობენ მრეწველობის მთელი დარგების მართვის ახალ საქმეს, აწესრიგებენ ნაციონალიზებულ მეურნეობებს, ამასთან ძლევენ უძრაობის, წვრილბურჟუაზიულობის, ეგოიზმის უდიდეს წინააღმდეგობას, ქვას ქვაზე დებენ — ა ხ ა ლ ი საზოგადოებრივი ურთიერთობის საძირკვლის ამოსაყვანად, ახალი შრომის დისციპლინისათვის, მუშათა პროფესიული კავშირების ა ხ ა ლ ი ძალაუფლებისათვის მათი წევრების მიმართ.

შეცდომებს ჩადიან, ეწევიან რა თავიანთ შემოქმედებითს რევოლუციურ მუშაობას, ჩვენი საბჭოები, რომლებიც ჯერ კიდევ 1905 წელს შექმნა მასების მძლავრმა აღმავლობამ. მუშათა და გლეხთა საბჭოები, — ეს არის სახელმწიფოს ახალი ტ ი პ ი, დემოკრატიის ახალი უმაღლესი ტ ი პ ი, ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა, უ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ო დ და ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ სახელმწიფოს მართვის წესი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ დემოკრატია ემსახურება მასებს, მშრომელებს, იგი აღარ არის დემოკრატია მდიდრებისათვის, როგორადაც რჩება დემოკრატია ყველა ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ხალხის მასები წყვეტენ, ასეულ მილიონობით ადამიანის მასშტაბით,

პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების დიქტატურის განხორციელების ამოცანას, — ამოცანას, რომლის გადაუწყვეტლად ლაპარაკიც კი არ შეიძლება სოციალიზმზე.

დეე, პედანტებმა ან ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც განუკურნავად დაავადებული არიან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ანუ პარლამენტური, ცრუშეხედულებებით, დაეჭვებულებმა აქნიონ თავი ჩვენი დეპუტატთა საბჭოების გამო, მაგალითად, იმის გამო, რომ ჩვენში არ არის პირდაპირი არჩევნები. ამ ადამიანებს არაფერი დავიწყებიათ და არაფერი უსწავლიათ 1914 — 1918 წლების დიად გადატრიალებათა განმავლობაში. პროლეტარიატის დიქტატურის შეერთება მშრომელთათვის განკუთვნილ ახალ დემოკრატიასთან, — სამოქალაქო ომისა—პოლიტიკაში მასების უფართოეს ჩაბმასთან,— ასეთი შეერთება ერთბაშად არ ხდება და რუტინული პარლამენტური დემოკრატიზმის გაცვეთილ ფორმებში არ თავსდება. ახალი სამყარო, სოციალიზმის სამყარო, — აი რა დგება ჩვენს წინაშე თავისი მოხაზულობით, როგორც საბჭოთა რესპუბლიკა. და გასაკვირი არ არის, რომ ეს სამყარო მზამზარეული კი არ იბადება, ერთბაშად კი არ გამოდის, ვით მინერვა იუპიტერის თავიდან.

როდესაც ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციები ქებას ასხამდნენ, მაგალითად, ფორმალურ თანასწორობას და კრებების უფლებას, — ჩვენი, პროლეტარული და გლეხური, საბჭოთა კონსტიტუცია უკუაგდებს ფორმალური თანასწორობის თვალთმაქცობას. როდესაც ბურჟუაზიული რესპუბლიკელები ტახტებს ამხობდნენ, მაშინ არ ზრუნავდნენ მონარქისტების ფორმალურ თანასწორობაზე რესპუბლიკელებთან. როდესაც საქმე ბურჟუაზიის დამხობას ეხება, მხოლოდ გამცემლებს ან იდიოტებს შეუძლიათ ეცადონ უფლებათა ფორმალურ თანასწორობას ბურჟუაზიისათვის. გროშად არ ღირს «კრებების თავისუფლება» მუშებისა და გლეხებისათვის, თუ ყველა საუკეთესო შენობა ბურჟუაზიას აქვს ხელთ ჩაგდებული. ჩვენმა საბჭოებმა ყველა კარგი შენობა,

ქალაქადაც და სოფლადაც, წ ა ა რ თ ვ ე ს მდიდრებს, ყველა ეს შენობა გ ა დ ა ს ც ე ს მუშებსა და გლეხებს მ ა თ ი კავშირებისა და კრებებისათვის. აი ჩ ვ ე ნ ი თავისუფლება კრებებისა — — — მშრომელებისათვის! აი ჩვენი საბჭოთა, ჩვენი სოციალისტური კონსტიტუციის მთელი აზრი და შინაარსი!

და აი რატომ ვართ ჩვენ ყველა ასე ღრმად დარწმუნებულნი, რომ, რა უბედურებაც არ უნდა დაატყდეს კიდევ თავს ჩვენს საბჭოების რესპუბლიკას, ი გ ი უ ძ ლ ე ვ ე ლ ი ა.

იგი უძლეველია, ვინაიდან გაცოფებული იმპერიალიზმის ყოველი დარტყმა, ყოველი დამარცხება, რასაც საერთაშორისო ბურჟუაზია ჩვენ გვარგუნებს, საბრძოლველად ამხედრებს მუშათა და გლეხთა ახალ-ახალ ფენებს, წვრთნის მათ უდიდესი მსხვერპლის ფასად, აკაჟებს მათ, წარმოშობს ახალ მასობრივ გმირობას.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ, ამხანაგო ამერიკელო მუშებო, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ვერც ისე მალე გაგვიწევთ დახმარებას, ვინაიდან რევოლუციის განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს (და სხვანაირად არც შეიძლება იყოს). ჩვენ ვიცით, რომ ევროპის პროლეტარული რევოლუცია შეიძლება არც კი გაჩაღდეს უახლოეს კვირეებში, რაც უნდა სწრაფად მწიფდებოდეს იგი ამ ბოლო დროს. ჩვენ საერთაშორისო რევოლუციის გარდუვალობაზე ვამყარებთ იმედს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ, როგორც ბრიყვებს, რევოლუციის გარდუვალობა ისე გვესმოდეს, რომ იგი გ ა რ კ ვ ე უ ლ მოკლე ვადაში უნდა მოხდეს. ჩვენ ვნახეთ ორი დიდი რევოლუცია, 1905 და 1917 წლებისა, ჩვენს ქვეყანაში და ვიცით, რომ რევოლუციები არც დაკვეთით ხდება და არც შეთანხმებით. ჩვენ ვიცით, რომ გარემოებებმა წინ წამოსწიეს სოციალისტური პროლეტარიატის ჩ ვ ე ნ ი, რუსეთის, რაზმი არა ჩვენი დამსახურების გამო, არამედ რუსეთის განსაკუთრებული ჩამორჩენილობის გამო, და რომ, ვ ი დ რ ე იფეთქებდეს საერთაშორისო რევოლუცია, შესაძლებელია ცალკეული რევოლუციების მთელი რიგი დამარცხებანი.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ჩვენ უძლეველნი ვართ, ვინაიდან კაცობრიობა კი არ გატყდება იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისაგან, არამედ დაძლევს მას. და პირველი ქვეყანა, რომელმაც დაამსხვრია იმპერიალისტური ომის კატორღული ბორკილი, ჩვენი ქვეყანა იყო. ჩვენ უმძიმესი მსხვერპლი გავიღეთ ამ ბორკილების დალეწვისათვის ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ იგი დავამსხვრიეთ. ჩვენ იმპერიალისტურ დამოკიდებულებათა გარეშე ვდგავართ, ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე აღვმართეთ იმპერიალიზმის სრული დამხობისათვის ბრძოლის დროშა.

ჩვენ თითქოს ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში ვიმყოფებით, ვიდრე ჩვენს დასახმარებლად არ მოსულან საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის სხვა რაზმები. მაგრამ ეს რაზმები არსებობენ, ისინი ჩვენს რაზმებზე უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ისინი მწიფდებიან, იზრდებიან, მტკიცდებიან, რაც უფრო გრძელდება იმპერიალიზმის მხეცობა. მუშები კავშირს წყვეტენ თავიანთ სოციალ-გამცემლებთან, ჰომპერსებთან, ჰენდერსონებთან, რენოდელებთან, შეიდემანებთან, რენერებთან. მუშები ნელა, მაგრამ განუხრელად მიდიან კომუნისტური, ბოლშევიკური, ტაქტიკისაკენ, პროლეტარული რევოლუციისაკენ, რომელსაც მხოლოდ ერთს ძალუძს იხსნას დაღუპვის გზაზე მდგომი კულტურა და დაღუპვის გზაზე მდგომი კაცობრიობა.

ერთი სიტყვით, ჩვენ უძლეველნი ვართ, ვინაიდან უძლეველია მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია.

ნ. ლენინი.

1918 წ. 20 აგვისტო.

«პრავდა» № 178, 1918 წ.
22 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

სიტყვა ალექსეევის სახალხო სახლში შემდგარ მიტინგზე 1918 წ. 23 აგვისტოს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ამხანაგ ლენინის გამოჩენას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.) ამხანაგებო, დღეს ჩვენი პარტია აწყობს მიტინგებს თემაზე, თუ რისთვის ვიბრძვით ჩვენ — კომუნისტები.

ამ კითხვაზე სულ მოკლედ შეგვიძლია ასე ვუპასუხოთ: იმპერიალისტური ომის შეწყვეტისათვის და სოციალიზმისათვის.

ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, რეაქციისა და ცარიზმის დროს, ჩვენ ვაცხადებდით, რომ ეს ომი დანაშაულებრივია, რომ ერთადერთ გამოსავალს მისგან წარმოადგენს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა.

ბევრს მაშინ გაუგებრად ეჩვენებოდა იმპერიალისტური ომისა და სოციალიზმის კავშირი, ბევრი სოციალისტიც კი ფიქრობდა, ეს ომი, ისევე როგორც სხვა ომები, ზავის დადების გზით უნდა დამთავრდესო.

მაგრამ ომის ოთხმა წელმა ბევრი რამ გვასწავლა. ახლა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ სხვა გამოსავალი არ არის. რუსეთის რევოლუციის მიყოლებით მწიფდება რევოლუცია ყველა მეომარ ქვეყანაში. რატომ მოხდა ეს? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, უნდა გავაშუქოთ კომუნისტების დამოკიდებულება ომისადმი და მისი შეფასება ჩვენი თვალსაზრისით. ყველა ომი, რომლებიც წარმოადგენდნენ მეფეე-

ბისა და კაპიტალისტების მტაცებლურ მისწრაფებათა შედეგს, ჩვენ დანაშაულებრივ ომად მიგვაჩნია, ვინაიდან ისინი დამ-ღუპველნი არიან მშრომელი კლასებისათვის და მდიდარ-ნაყოფს აძლევენ გაბატონებულ ბურჟუაზიას.

მაგრამ არის ომები, რომლებსაც მუშათა კლასმა უნდა უწოდოს ერთადერთი სამართლიანი ომები, — ეს არის ბრძოლა მონობისაგან, კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, და ასეთი ომები უნდა იყოს, რადგან სხვა-გვარად, თუ არა ბრძოლით, ჩვენ განთავისუფლებას ვერ მივაღწევთ.

როდესაც 1914 წელს დაიწყო ომი გერმანელთა და ინგლი-სელ-ფრანგთა შორის იმის გამო, თუ როგორ გაეყოთ ერთმა-ნეთს შორის დედამიწა, ვის უნდა მიეღო მთელი მსოფლიოს სულთამხუთავის უფლება, ორივე ბანაკის კაპიტალისტები ცდილობდნენ მიეჩქმალათ თავიანთი მტაცებლური მისწრა-ფებანი «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგებით და ამ ზღაპრებით კვებავდნენ ხალხის მასას.

მილიონობით ადამიანი დაიღუპა ამ ხოცვა-ჟლეტაში, მილიონობით ადამიანი დარჩა დასახიჩრებული. ომი მსოფ-ლიო ომად იქცა, და სულ უფრო და უფრო იბადებოდა კითხ-ვები: რისთვისაა საჭირო ეს ამაო მსხვერპლი?

ინგლისი და გერმანია სისხლით მოირწყო, მაგრამ ომიდან გამოსავალი არ არის: თუ ომს გარკვეული იმპერიალისტური ქვეყნები შეწყვეტენ, მას სხვები განაგრძობენ.

კაპიტალისტებმა შეტოპეს, მათ ერთობ ბევრი რამ დაიტა-ცეს. ამავე დროს, არმია ირღვევა, ყველგან ჩნდებიან დეზერ-ტირები; იტალიის მთები სავსეა დეზერტირებით, საფრანგეთ-ში ჯარისკაცები უარს ამბობენ საბრძოლველად წასვლაზე, გერმანიაშიც კი დაეცა წინანდელი დისციპლინა.

ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცები იწყებენ იმის შეგნებას, რომ მათ თავიანთი ფრონტი უნდა შეაბრუნონ და თავიანთი იარაღი უნდა მიმართონ საკუთარ მთავრობათა წინააღმდეგ, რადგან სისხლისმღვრელი ომის დამთავრება კაპიტალისტური სისტემის დროს შეუძლებელია; აქედანვე

წარმოსდგება იმის შეგნება, რომ აუცილებელია დაიწყოს ყველა ქვეყნის მუშათა ბრძოლა ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა წინააღმდეგ.

სოციალისტური წესწყობილების შექმნა ძნელია. სამოქალაქო ომი კიდევ მრავალ თვეს და, იქნებ, მრავალ წელს უნდა გაგრძელდეს, და ეს გასაგები უნდა იყოს რუსი ადამიანისათვის, რადგან მას ესმის, თუ რა გაჭირვებით ამხობენ მმართველ კლასს და რა გააფთრებით იბრძვიან რუსი მემამულეები და კაპიტალისტები.

არ არის არც ერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც მუშები არ თანაუგრძნობდნენ ბოლშევიკებს და არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ დადგება დრო, როდესაც ისინი დაამხობენ თავიანთ მთავრობას, როგორც ეს გააკეთეს რუსმა მუშებმა.

ჩვენ, რუსი კომუნისტები, ჯერჯერობით მარტონი ვართ იმიტომ, რომ ჩვენი რაზმი სხვა რაზმებზე წინ აღმოჩნდა, ჩვენ მოგვწყვიტეს დანარჩენ ამხანაგებს, მაგრამ ჩვენ პირველნი უნდა გამოვსულიყავით, რადგან ჩვენი ქვეყანა ყველაზე ჩამორჩენილი იყო. ჩვენი რევოლუცია გამოვიდა, როგორც საერთო რევოლუცია, და ჩვენ ჩვენს ამოცანებს გადავწყვეტთ ყველა ქვეყნის მუშათა და გლეხთა დახმარებით.

ჩვენი ამოცანები მძიმეა და ძნელი, ჩვენ ბევრი ზედმეტი, მავნე ელემენტი გვეტმასნება, მაგრამ მუშაობა დაწყებულია, და თუ ჩვენ კიდევაც ჩავდივართ შეცდომებს, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ყოველი შეცდომა გვათვითცნობიერებს და გვასწავლის.

კაპიტალიზმი საერთაშორისო ძალაა, და ამიტომ მისი საბოლოოდ მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იგი დამარცხებულ იქნება არა მარტო ერთ, არამედ ყველა ქვეყანაში. ომი ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ არის ომი მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მუშები ფეხზე დგებიან, მხედრდებიან ამ ბრძოლისათვის; პიტერისა და მოსკოვის მუშები არმიის რიგებში დგებიან, და, ამასთან ერთად, არმია სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის იდეით იმსჭვალება.

პროლეტარული მასები უზრუნველყოფენ საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებას ჩეხოსლოვაკებზე და იმას, რომ გავძლოთ მანამდე, სანამ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია არ იფეთქებს. (ამ ხანაგმა ლენინმა თავისი სიტყვა დაამთავრა მქუხარე ტაშის გრიალში და ოვაციაში).

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 182, 1918 წ. 24 აგვისტო

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიას» ტექსტის მიხედვით

სიტყვა პოლიტექნიკურ მუზეუმში შემდგარ მიტინგზე 1918 წ. 23 აგვისტოს

(მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ე ბ ი.) რა შეადგენს ჩვენს პროგრამას? სოციალიზმის მოპოვება. მსოფლიო ომის ახლანდელ მომენტში ამ ომიდან გამოსავალი, თუ არა სოციალიზმის გამარჯვება, — არ არის. მაგრამ ეს ბევრს არ ესმის. ახლა კაცობრიობის უმრავლესობა სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგია, მაგრამ ეს ხოცვა-ჟლეტა კაპიტალისტურ წყობილებასთან უშუალოდ რომ არის დაკავშირებული, ეს მათ ვერ გაუგიათ. ახლანდელი ომის საშინელება თვალში ეცემა ბურჟუაზიასაც კი, მაგრამ მისი საქმე როდია დაუკავშიროს ომის დასასრული კაპიტალისტური წყობილების აღსასრულს... ეს მთავარი აზრი კი ყოველთვის განასხვავებდა ბოლშევიკებს და ყველა სხვა ქვეყნის რევოლუციურ სოციალისტებს იმათგან, ვისაც სურს ქვეყნად მშვიდობა დაამყაროს ისე, რომ კაპიტალისტური წესწყობილება ურყევად დატოვოს.

რატომ წარმოებს ომები? ჩვენ ვიცით, რომ ომების უმეტესობა წარმოებდა დინასტიების ინტერესებისათვის და რომ მათ დინასტიური ომები ეწოდებოდა. მაგრამ ზოგჯერ ომები წარმოებდა ჩაგრულთა ინტერესებისათვის. სპარტაკმა გააჩაღა ომი დამონებული კლასის დასაცავად. ასეთივე ომები წარმოებდა კოლონიურ ჩაგვრათა ეპოქაში, რომლებიც ახლაც არ შეწყვეტილა, მონობის ეპოქაში და ა. შ.. ეს ომები სამართლიანი იყო, ეს ომები არ შეიძლება დაგმო.

მაგრამ როდესაც ჩვენ ევროპის ახლანდელ ომზე ვლაპარაკობთ და ვგმობთ მას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მჩაგვრელთა კლასი აწარმოებს.

რა მიზანს ემსახურება ახლანდელი ომი? ყველა ქვეყნის დიპლომატს რომ დავუჯეროთ, საფრანგეთი და ინგლისი მას აწარმოებენ პატარა ეროვნებათა დასაცავად ბარბაროსებისაგან, ჰუნების-გერმანელებისაგან; გერმანია მას აწარმოებს ბარბაროს-კაზაკების წინააღმდეგ, რომლებიც ემუქრებიან გერმანიის კულტურულ ხალხს, და თავდამსხმელი მტრებისაგან სამშობლოს დასაცავად.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ომი მზადდებოდა, მწიფდებოდა და გარდუვალი იყო. იგი ისევე გარდუვალი იყო, როგორც გარდუვალია ომი ამერიკასა და იაპონიას შორის. რაში მდგომარეობს ეს გარდუვალობა?

იმაში, რომ კაპიტალიზმმა მსოფლიოს სიმდიდრეს თავი მოუყარა ცალკეულ სახელმწიფოთა ხელში, გაჰყო მსოფლიო უკანასკნელ ნაჭრამდე; შემდგომი გაყოფა, შემდგომი გამდიდრება შეიძლება მოხდეს უკვე სხვების ხარჯზე, ერთი სახელმწიფოსი მეორის ხარჯზე. ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ძალის საშუალებით — და ამიტომ ომი მსოფლიო მტაცებელთა შორის გარდუვალი გახდა.

ამ ომის სათავეში დღემდე იდგა ორი მთავარი ფირმა — ინგლისი და გერმანია. ინგლისი ყველაზე ძლიერ კოლონიურ ქვეყანას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ინგლისის მოსახლეობა 40 მილიონს არ აღემატება, — მისი კოლონიების მოსახლეობა 400 მილიონზე მეტია. მან ძველთაგანვე, ძლიერის უფლებით, ხელთ იგდო სხვისი კოლონიები, ხელთ იგდო უამრავი მიწა, რომლის ექსპლოატაციასაც იგი ეწეოდა. მაგრამ ეკონომიურად ინგლისი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ჩამორჩა გერმანიას. გერმანიის მრეწველობამ გაუსწრო ინგლისის მრეწველობას. გერმანიის მსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმი შეუერთდა ბიუროკრატიზმს, და გერმანიამ რეკორდი დაამყარა.

ამ ორ გიგანტს შორის პირველობისათვის დავის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო სხვანაირად, თუ არა ძალის საშუალებით.

თუ ინგლისმა ოდესღაც, ძლიერის უფლებით, წაართვა მიწები ჰოლანდიას, პორტუგალიას და ა. შ., — ახლა სცენაზე გამოვიდა გერმანია, რომელმაც განაცხადა, ჩემი ჯერიც დადგა. სხვის ხარჯზე ხელი მოვითბოო.

აი რა არის საკითხი: უძლიერესთა შორის მსოფლიოს გაყოფისათვის ბრძოლა. და იმიტომ, რომ ორივე მხარეს აქვს ასეულ მილიონობით კაპიტალი, ბრძოლა მათ შორის მსოფლიო ბრძოლად იქცა.

ჩვენ ვიცით, თუ რა ბევრი ფარული დანაშაულია ჩადენილი ამ ომის განმავლობაში. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულმა საიდუმლო ხელშეკრულებებმა დაამტკიცეს, რომ ფრაზები, რომლებიც ომის წარმოებას გვიხსნიდნენ, ლიტონ სიტყვებად რჩებოდა, და ყველა სახელმწიფო, ისევე როგორც რუსეთი, ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ბინძური ხელშეკრულებებით — ხელი მოეთბოთ პატარა და სუსტ ეროვნებათა ხარჯზე. შედეგად, ვინც ძლიერი იყო — კიდევ უფრო გამდიდრდა; ვინც სუსტი იყო — გასრესილია.

ომის ატეხაში ცალკეულ პირთა გამტყუნება არ შეიძლება. შეცდომაა ბრალი დასდო ხელმწიფეებსა და მეფეებს ახლანდელი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გამოწვევაში, — იგი კაპიტალმა გამოიწვია. კაპიტალიზმი ჩიხში მოემწყვდა. ეს ჩიხი სხვა არაფერია, თუ არა იმპერიალიზმი, რომელიც ომს კარნახობდა მთელი მსოფლიოს მიმართ ბატონობის კონკურენტებს შორის.

უდიდესი სიყალბე იყო იმის გამოცხადება, თითქოს ომი პატარა ეროვნებათა განთავისუფლებისათვის წარმოებდეს. ორივე მტაცებელი არსებობს და ისევ სისხლმოწყურებული შეჰყურებს ერთიმეორეს, მათ ახლოს კი პატარა ეროვნება ცოტა როდია გასრესილი.

და ჩვენ ვამბობთ: არ არის სხვა გამოსავალი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან, თუ არა სამოქალაქო ომი.

როდესაც ჩვენ ამას ვამბობდით 1914 წელს, გვიპასუხებდნენ, ეს სივრცეში გავლებულ პირდაპირ ხაზს ჰგავსო, მაგრამ ჩვენი ანალიზი მოვლენების მთელმა შემდგომმა მსვლელობამ

დაადასტურა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ შოვინიზმის გენერლები უარმიოდ რჩებიან. ამ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ომისაგან, რომელიც ყველაზე გულისხმიერად ეკიდებოდა სამშობლოს დაცვის ლოზუნგს, რადგან მტერი პარიზის კარიბჭესთან იდგა, — ამ ქვეყანაში ობორონცებმა დამარცხება განიცადეს; მართალია, შოვინიზმმა დამარცხება განიცადა მერყევი ადამიანებისაგან, როგორიცაა ლონგე, — მაინც ეს არც ისე მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის პირველ დღეებში ძალაუფლება რუსეთში ხელთ ჩაუვარდათ ისეთ ვაჟბატონებს, რომლებიც მარტოოდენ სიტყვებს ამბობდნენ, ჯიბეებში კი იგივე მეფის ხელშეკრულებებს ინახავდნენ. და თუ პარტიების მარცხნივ განვითარება რუსეთში უფრო სწრაფად მოხდა, ამას ხელი შეუწყო იმ წყეულმა რეჟიმმა, რაც რევოლუციამდე იყო, და ჩვენმა 1905 წლის რევოლუციამ.

ევროპაში კი, სადაც ჭკვიანი და ანგარიშიანი კაპიტალიზმი ბატონობს, სადაც მას ძლიერი და მწყობრი ორგანიზაცია აქვს, იქ ნაციონალისტური თავბრუხვევისაგან განთავისუფლება უფრო ნელა მიმდინარეობს. მაგრამ მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ იმპერიალისტური ომი ხანგრძლივი, ტანჯვაწამებითი სიკვდილით კვდება.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებსაც შეიძლება სავსებით ვენდოთ, რღვევა მოედო გერმანიის არმიას, და მან ხელი მიჰყო სპეკულაციას. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. მაშინ, როდესაც გონს მოსული ჯარისკაცი იწყებს იმის შეგნებას, რომ დასახიჩრება და სიკვდილი ხდება მარტოოდენ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, — რღვევა არ შეიძლება მასებს არ მოედოს.

საფრანგეთის არმიამაც, რომელიც ყველაზე მეტ ხანს და ყველაზე უფრო მტკიცედ იმაგრებდა თავს, — გვიჩვენა, რომ რღვევის პროცესი მისთვის უცხო არ არის. მალვის გასამართლებამ ცოტათი ფარდა ახადა საფრანგეთის ამბებსაც და გვაუწყა, რომ ათასობით ჯარისკაცი უარს ამბობდა წასულიყო ფრონტზე [27].

ყოველივე ეს იგივე მოვლენების წინასწარმაუწყებელია, რაც რუსეთშიც გაიშალა. მხოლოდ კულტურული ქვეყნები მოგვცემენ ჩვენ უფრო სასტიკი სამოქალაქო ომის სურათებს, ვიდრე რუსეთმა მოგვცა. ამას ადასტურებს ფინეთი, ყველაზე დემოკრატიული ქვეყანა ევროპის ყველა სხვა ქვეყანას შორის, ქვეყანა, სადაც ქალმა პირველად მიიღო ხმის უფლება, — ეს ქვეყანა მხეცურად და ულმობლად უსწორდებოდა წითელარმიელებს, და ეს უკანასკნელნი ადვილად როდი ნებდებოდნენ. ეს სურათი გვიჩვენებს, თუ რა სასტიკი ხვედრი მოელის ამ კულტურულ ქვეყნებს.

თვითონაც ხედავთ, თუ რა უაზრო იყო ბოლშევიკებისათვის იმის დაბრალება, რომ რუსეთის არმიის რღვევა მათი მოწყობილიაო.

ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ რაზმს, რომელმაც მუშათა სხვა რაზმებზე ცოტათი უფრო შორს წაიწია წინ, და ეს არა იმიტომ, რომ იგი სხვებს სჯობია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ბურჟუაზიის სულელურმა პოლიტიკამ რუსეთის მუშათა კლასს საშუალება მისცა უფრო მალე გადაეგდო თავიდან მისი უღელი. ახლა, როცა ვიბრძვით სოციალისტური წყობილებისათვის რუსეთში, ჩვენ ვიბრძვით სოციალიზმისათვის მთელ მსოფლიოში. ახლა ყველა ქვეყანაში, მუშათა ყველა მიტინგზე, მუშათა ყველა კრებაზე სულ ბოლშევიკების შესახებ ლაპარაკობენ, და ჩვენ გვიცნობენ; მათ იციან, რომ ჩვენ ამჟამად მთელი მსოფლიოს საქმეს ვაკეთებთ, მათ სამუშაოს ვასრულებთ.

როცა მიწის საკუთრებას ვაუქმებთ, როცა საწარმოების, ბანკების ნაციონალიზაციას ვახდენთ, როცა ახლა მრეწველობას ვაწყობთ, ჩვენ ყოველი მხრიდან გვიყვირიან, უამრავ შეცდომას ჩადიხართო. დიახ, მაგრამ მუშები თვითონ ქმნიან სოციალიზმს, და რაც უნდა შეცდომები ჩავიდინოთ ჩვენ — ამ პრაქტიკით ჩვენ ვსწავლობთ და ვამზადებთ ნიადაგს იმისათვის, რომ შეუცდომელი ოსტატობით გავახორციელოთ რევოლუცია.

აი რატომ ვხედავთ ჩვენ ესოდენ გააფთრებულ სიძულვილს! აი რატომ არის, რომ საფრანგეთის იმპერიალიზმი ათეულ და ასეულ მილიონებს არ იშურებს კონტრრევოლუციის დასახმარებლად, ვინაიდან კონტრრევოლუცია საფრანგეთს დაუბრუნებს რუსეთის მრავალმილიარდიან ვალს, რომელზეც უარი თქვეს მუშებმა და გლეხებმა.

ამჟამად მთელი ბურჟუაზიული პრესა თავს იქცევს იმით, რომ თავის ფურცლებს ავსებს სიცრუით, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ სახალხო კომისართა საბჭო ტულას გაეგზავრაო, ათი დღის წინათ იგი კრონშტადტში ნახესო და ა. შ., რომ მოსკოვი დღე-დღეზე დაეცემა და საბჭოთა ხელისუფალნი გაიქცნენო.

მთელი ბურჟუაზია, ყველა ყოფილი რომანოვი, ყველა კაპიტალისტი და მემამულე ჩეხოსლოვაკებს უჭერს მხარს, ვინაიდან ამ უკანასკნელთა ამბოხებას ისინი უკავშირებენ საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესაძლებლობას. ეს იციან მოკავშირეებმა, და ისინი იწყებენ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ბრძოლას. მათ რუსეთში ბირთვი აკლდათ, და ეს ბირთვი მათ ჩეხოსლოვაკების სახით ჰპოვეს. ამიტომ ამ უკანასკნელთა ამბოხებას შეუძლებელია არასერიოზულად მოვეპყრათ. ამ ამბოხებამ გამოიწვია მთელი რიგი კონტრრევოლუციური აჯანყებანი, კულაკთა და თეთრგვარდიელთა მთელი რიგი ამბოხებებით აღინიშნა ჩვენი რევოლუციური ისტორიის უკანასკნელი ფურცლები.

საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა სერიოზულია, ამაზე თვალები არ უნდა დავხუჭოთ. მაგრამ მიმოიხედეთ ირგვლივ, და ჩვენი გამარჯვების რწმენამ არ შეიძლება თქვენ არ აღგავსოთ.

გერმანიამ მთელი რიგი დამარცხებანი განიცადა, და საიდუმლოება არ არის, რომ ეს დამარცხებანი გერმანელ ჯარისკაცთა «ღალატის» შედეგია; ფრანგმა ჯარისკაცებმა უაღრესად სახიფათო მომენტში უარი თქვეს ფრონტზე წასულიყვნენ ამხ. ანდრიეს დაპატიმრების გამო, და მთავრობა იძულებული გახდა იგი გაეთავისუფლებინა, რათა დაეძრა ჯარები, და ა. შ.

ჩვენ ბევრი მსხვერპლი გავიღეთ. ბრესტის ზავი ერთი მძიმე ჭრილობაა, ჩვენ ველოდით რევოლუციას გერმანიაში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო მაშინ სავსებით მომწიფებული. ეს ხდება ახლა, რევოლუცია უთუოდ მოდის და გარდუვალია. მაგრამ მხოლოდ ბრიყვს შეუძლია იკითხოს, როდის დაიწყება რევოლუცია დასავლეთშიო. რევოლუციის გათვალისწინება არ შეიძლება, რევოლუციის წინასწარმეტყველება არ შეიძლება, იგი თავისთავად გვევლინება. და იგი ღვივდება და უნდა აზვირთდეს. განა თებერვლის რევოლუციამდე ერთი კვირით ადრე ვინმემ იცოდა, რომ იგი იფეთქებდა? განა იმ მომენტში, როდესაც ჭკუაშეშლილ ხუცესს ხალხი სასახლისაკენ მიჰყავდა[28], ვინმე ფიქრობდა, რომ 1905 წლის რევოლუცია იფეთქებდა? მაგრამ რევოლუცია ღვივდება და გარდუვალად უნდა მოხდეს.

და ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ საბჭოთა ხელისუფლება ამ რევოლუციის დაწყებამდე, ჩვენი შეცდომები გაკვეთილად უნდა გამოადგეს დასავლეთის პროლეტარიატს, — საერთაშორისო სოციალიზმს. არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო რევოლუციის ხსნა ჩეხოსლოვაკთა ფრონტზეა. და ჩვენ უკვე გვაქვს ცნობები, რომ ის არმია, რომელსაც უსაზღვროდ ღალატობდნენ გენერლები, არმია, რომელიც უსაზღვროდ დაღლილია, ეს არმია, ჩვენი ამხანაგების, კომუნისტების, მუშების მისვლისთანავე იწყებს გამარჯვების მოპოვებას, იწყებს რევოლუციური ენთუზიაზმის გამოჩენას მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

და ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ და, გავიმარჯვებთ რა, დავიცავთ სოციალიზმს. (მქუხარე ოვაცია).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 24 აგვისტოს სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 182

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

სიტყვა განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე [29]
1918 წ. 28 აგვისტოს

(დარბაზში გამოჩნდება ამხანაგი ლენინი, ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე დახანგრძლივი ტაში.) ამხანაგებო! ჩვენ განვიცდით ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ, დიდმნიშვნელოვან და საინტერესო ისტორიულ მომენტს — მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის მომენტს. ახლა იმათთვისაც კი, ვინც შორს იყო სოციალისტური თეორიებისა და წინასწარხედვისაგან, ცხადი ხდება, რომ ეს ომი ისე არ გათავდება, როგორც იგი დაიწყო, ე. ი. ძველ იმპერიალისტურ მთავრობათა შორის ზავის ჩვეულებრივი დადების გზით. რუსეთის რევოლუციამ გვიჩვენა, რომ ომი გარდუვალად იწვევს მთელი კაპიტალისტური საზოგადოების დაშლას, რომ იგი იქცევა მშრომელთა ომად ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ეს არის რუსეთის რევოლუციის მნიშვნელობა.

რაც უნდა დიდი იყოს ჩვენს გზაზე მდგარი სიძნელენი, რაც უნდა ცდილობდნენ ყველა ქვეყანაში ჰფანტონ ათეული მილიონები რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ სიცრუისა და ცილისწამების გასავრცელებლად,—მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი გრძნობს, რომ რუსეთის რევოლუცია მისი საკუთარი საქმეა. იმპერიალისტთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ მეორე ჯგუფის ომის პარალელურად ყველგან იწყება ომი, რომელსაც რუსეთის რევოლუციის მაგალითით შთაგონებული მუშათა კლასი უცხადებს თავის საკუთარ ბურჟუაზიას. ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ ავსტრია და იტალია რევოლუციის

წინახანას განიცდიან, ძველი რეჟიმის რღვევა ამ ქვეყნებში სწრაფი ნაბიჯებით მიმდინარეობს. უფრო გამძლე და მტკიცე სახელმწიფოებში, როგორიცაა გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, რამდენადმე სხვანაირად და ნაკლებ შესამჩნევად, მაგრამ მაინც ხდება იგივე პროცესი. კაპიტალისტური წყობილებისა და კაპიტალისტური ომის კრახი გარდუვალია. გერმანელმა იმპერიალისტებმა ვერ შეძლეს სოციალისტური რევოლუციის ჩახშობა. რევოლუციის დათრგუნვა წითელ ლატვიაში, ფინეთსა და უკრაინაში გერმანიას არმიის რღვევად დაუჯდა. გერმანიის დამარცხება დასავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვნად გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი არმია გერმანიაში უკვე არ არსებობს. ის, რასაც ნახევრად ხუმრობით ამბობდნენ გერმანელი დიპლომატები — გერმანელ ჯარისკაცთა «რუსიფიკაცია», — ახლა ხუმრობა კი არა, მწარე სიმართლე აღმოჩნდა მათთვის. იზრდება პროტესტის სულისკვეთება, «ღალატი» ჩვეულებრივი მოვლენა ხდება გერმანიის არმიაში. მეორე მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი უკანასკნელ ღონეს ხმარობენ თავიანთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ისინი თავს ესხმიან რუსეთის რესპუბლიკას და ისე ჭიმავენ კაპიტალიზმის სიმებს, რომ ეს სიმები უკვე წყდება. მუშათა მასების განწყობილებაში, ბურჟუაზიული პრესის ორგანოების აღიარებითაც კი, უეჭველი გარდატეხა მოხდა: საფრანგეთში კრახს განიცდის «სამშობლოს დაცვის» იდეა, ინგლისის მუშათა კლასი წყვეტს «სამოქალაქო ზავს». ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები თავიანთ უკანასკნელ კარტს ჩამოდიან, — და ჩვენ აბსოლუტური რწმენით ვამბობთ, რომ ეს კარტი გაჭრილი იქნება. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). რაც უნდა იყვირონ გარკვეულმა ჯგუფებმა, ბოლშევიკები უმცირესობას ემყარებიანო, მათ უნდა აღიარონ, რომ ბოლშევიკებთან საბრძოლველად რუსეთში შინაგანი ძალები მათ არა ჰყავთ, და ისინი იძულებული არიან უცხოეთის ჩარევას მიმართონ. ამრიგად, საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა კლასი იძულებულია მონაწილეობა მიიღოს აშკარად დაპყრობითს ომში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლუციის ჩახშობა. ეს იმას ნიშნავს, **რომ**

ინგლის-საფრანგეთის და, მაშასადამე, აგრეთვე მსოფლიო იმპერიალიზმი სულს ღაფავს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

რარიგ ძნელიც არ იყო საომარი მდგომარეობის კვლავ შექმნა ქვეყანაში, სადაც ხალხმა თვითონ მოსპო ომი და თვითონ დაშალა ძველი არმია, რარიგ ძნელიც არ იყო არმიის შექმნა მწვავე სამოქალაქო ომის პროცესში, — ჩვენ ყოველი სიძნელე დავძლიეთ. არმია შეიქმნა, და გამარჯვება ჩეხოსლოვაკებზე, თეთრგვარდიელებზე, მემამულეებზე, კაპიტალისტებსა და კულაკებზე უზრუნველყოფილია. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). მშრომელ მასებს ესმით, რომ ისინი აწარმოებენ ომს არა ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესებისათვის, არამედ თავიანთი საკუთარი საქმისათვის. რუსმა მუშებმა და გლეხებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა თვითონ განაგონ ფაბრიკები და მიწა, და ეს გამოცდილება მათთვის უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. ჩვენი არმია შედგა რჩეული ელემენტებისაგან, შეგნებული მუშებისა და გლეხებისაგან. ფრონტზე ყველა მიდის იმის შეგნებით, რომ ის იბრძვის არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ აგრეთვე მთელი საერთაშორისო რევოლუციის ბედისათვის, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ მაგალითია, მხოლოდ პირველი ნაბიჯია რევოლუციების წყებაში, რომლებითაც გარდუვალად დამთავრდება ომი.

ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენ ახლა ვეწევით, არის სახალხო განათლების საქმე. თვალთმაქცობასა და სიცრუეს ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ სრული და აშკარა სიმართლე. ომმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა არის «უმრავლესობის ნება», რომელსაც ამოფარებული იყო ბურჟუაზია, ომმა დაგვანახვა, რომ ერთი მუჭა პლუტოკრატები ხალხებს აბამენ ხოცვა-ჟლეტაში თავიანთი ინტერესებისათვის. იმის რწმენას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია უმრავლესობას ემსახურება, ახლა საბოლოოდ გამოეცალა საფუძველი. ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი საბჭოები, რომლებიც ახალ მოვლენას წარმოადგენენ ევროპისათვის, მაგრამ რომლებიც გასაგებია ჩვენთვის ჯერ კიდევ 1905 წლის

რევოლუციის გამოცდილებიდან, საუკეთესო სააგიტაციო და საპროპაგანდო მაგალითია, რაც ამხილებს მათი დემოკრატიზმის მთელ სიყალბესა და თვალთმაქცობას. ჩვენ აშკარად გამოვაცხადეთ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბატონობა — ეს შეადგენს ჩვენს ძალას და ჩვენი უძლეველობის წყაროს.

სახალხო განათლების დარგში იგივეა: რაც უფრო კულტურული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო, მით უფრო ოსტატურად ცრუობდა იგი, როცა ამტკიცებდა, რომ სკოლა შეიძლება პოლიტიკის გარეშე იდგეს და მთლიანად აღებულ საზოგადოებას ემსახურებოდესო.

ნამდვილად სკოლა სავსებით გადაქცეული იყო ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღად, იგი მთლად გაჟღენთილი იყო კასტური ბურჟუაზიული სულისკვეთებით, მას მიზნად ჰქონდა მიეცა კაპიტალისტებისათვის მაამებელი მონები და საზრიანი მუშები. ომმა ცხადყო, თუ როგორ წარმოადგენენ თანამედროვე ტექნიკის საოცრებანი მილიონობით მუშის გაჟლეტის საშუალებას და ომის წყალობით კაპიტალისტების უზომო გამდიდრების საშუალებას. ომს შინაგანად საფუძველი ეცლება, რადგან ჩვენ ვამხილეთ მათი სიცრუე, დავუპირისპირეთ რა მას სიმართლე. ჩვენ ვამბობთ: ჩვენი საქმე სკოლის დარგში იგივეა — ბრძოლა ბურჟუაზიის დამხობისათვის; ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, რომ სკოლა ცხოვრების გარეშე, პოლიტიკის გარეშე, — ეს სიცრუე და თვალთმაქცობაა. რა იყო საბოტაჟი, რომელიც გამოაცხადეს ძველი ბურჟუაზიული კულტურის ყველაზე განათლებულმა წარმომადგენლებმა? საბოტაჟმა ყოველ აგიტატორზე, ყოველ ჩვენს ლაპარაკზე და ათასობით ბროშურაზე უფრო ნათლად გვიჩვენა, რომ ეს ადამიანები ცოდნას თავიანთ მონოპოლიად თვლიან და აქცევენ მას ეგრეთწოდებულ «ქვედაფენებზე» თავიანთი ბატონობის იარაღად. ისინი სარგებლობდნენ თავიანთი განათლებით იმისათვის, რომ ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობის საქმე, ისინი აშკარად გამოვიდნენ მშრომელი მასების წინააღმდეგ.

რევოლუციურ ბრძოლაში რუსი მუშები და გლეხები საბოლოოდ აღიზარდნენ. მათ დაინახეს, რომ მხოლოდ ჩვენი წყობილება აძლევს მათ ნამდვილ ბატონობას, ისინი დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სავსებით და მთლიანად ეხმარება მუშებსა და სოფლის ღარიბებს, რათა მათ შეძლონ საბოლოოდ გატეხონ კულაკების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგობა.

მშრომელნი მიისწრაფვიან ცოდნისაკენ, რადგან იგი აუცილებლად სჭირდებათ მათ გასამარჯვებლად. მშრომელი მასების ცხრა მეათედი მიხვდა, რომ ცოდნა იარაღს წარმოადგენს მათ ბრძოლაში განთავისუფლებისათვის, რომ მათი წარუმატებლობა აიხსნება განათლების ნაკლებობით და რომ ახლა თვითონ მათზეა დამოკიდებული მართლაც ყველასათვის მისაწვდომი გახადონ განათლება. ჩვენი საქმე უზრუნველყოფილია იმით, რომ მასებმა თვითონ მოჰკიდეს ხელი ახალი, სოციალისტური რუსეთის მშენებლობას. ისინი სწავლობენ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით, თავიანთ წარუმატებლობასა და შეცდომებზე, ისინი ხედავენ, თუ რამდენად აუცილებელია განათლება იმ ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრებისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან. მიუხედავად მრავალი დაწესებულების მოჩვენებითი დაშლისა და მესაბოტაჟე ინტელიგენციის ზეიმისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ბრძოლის გამოცდილებამ მასებს ასწავლა თვითონ იკისრონ თავიანთი ბედის გადაწყვეტა. ყველა, ვინც თანაუგრძნობს ხალხს არა სიტყვით, არამედ საქმით, მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილი, დაგვეხმარება, — და ეს არის ჩვენთვის უტყუარი საწინდარი იმისა, რომ სოციალიზმის საქმე გაიმარჯვებს. (ოვაციას).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 29 აგვისტოს მოსკოვის საბჭოს გაზეთ «ვეჩერნიე იზვესტიაში» № 35

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1919 წელს წიგნში: «განათლების სრულიად რუსეთის I-ლი ყრილობის ოქმები». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

სიტყვა გასმანის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 30 აგვისტოს [30]

ბოკლე საგაზეთო ანგარიში

ბურჟუაზია დროებით ბატონ-პატრონი გახდა რევოლუციურ რუსეთში და ბატონობდა მასში სოციალ-შემთანხმებელთა მხარდაჭერით თებერვლიდან ოქტომბრამდე.

მილიუკოვ-გუჩკოვის მთავრობის პირველი ნაბიჯებიდანვე ხალხის მასებისათვის აშკარა ხდებოდა, თუ საით მიჰყავს ისინი ბურჟუაზია. მაგრამ რუსი კაპიტალისტებისა და მემამულეების საზიზღარ საქმეს, რომლებიც არსებითად განაგრძობდნენ ხალხის მიერ დამხობილი მეფის პოლიტიკას, — ხელს აფარებდნენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც გამოდიოდნენ, როგორც სოციალისტები, ნამდვილად კი ღალატობდნენ სოციალიზმს ინგლის-საფრანგეთის ბირჟის საამებლად.

შემთანხმებლებმა, რომლებიც ოქტომბრის აჯანყებამ გარიყა, რევოლუციისაგან უკუაგდო, ხელი მიჰყვეს თავიანთ ჩვეულებრივ მუშაობას უკრაინაში, კავკასიაში, ციმბირში და ვოლგაზე. მათ, ბოლოს, მიაღწიეს იმას, რომ საბჭოები ამ ადგილებში დამხობილ იქნენ და ბოლშევიკი მოღვაწენი დაქირავებული ჩეხოსლოვაკებისა და რუსეთის თეთრგვარდიელების საჯიჯგნად არიან გადაცემულნი.

და რას ვხედავთ ჩვენ ამ ადგილებში, საბჭოების ნანგრევებზე? კაპიტალისტებისა და მემამულეების სრულ ზეიმს, კვნესა-გოდებასა და წყევლა-კრულვას მუშათა და გლეხთა წრეში. მიწა ხელში ჩაუგდეს თავად-აზნაურებს, ფაბრიკა-ქარხნები მათ წინანდელ მფლობელებს. რვა საათის სამუშაო

დღე მოსპობილია, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები გაუქმებულია, ხოლო მათ ნაცვლად აღდგენილია მეფის ერობები და ძველი პოლიციური ხელისუფლება.

დეე, ყოველმა მუშამ და გლეხმა, ვინც კიდევ ყოყმანობს ხელისუფლების საკითხში, შეხედოს ვოლგას, ციმბირს, უკრაინას და მაშინ პასუხი თავისთავად გაჩნდება — პასუხი ნათელი და გარკვეული. (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ო ვ ა ც ი ე ბ ი).

«პრავდა» № 185, 1918 წ. 31 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა ყოფ. მიხელსონის ქარხნის მიტინგზე 1918 წ. 30 აგვისტოს [31]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, ო ვ ა ც ი ა.) ჩვენ, ბოლშევიკებს, მუდამ ბრალად გვდებენ თანასწორობისა და ძმობის დევიზებისაგან გადახვევას. გულახდილად გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამის გამო.

რომელმა ხელისუფლებამ შეცვალა მეფის ხელისუფლება? — გუჩკოვ-მილიუკოვის ხელისუფლებამ, რომელიც შეუდგა რუსეთში დამფუძნებელი კრების მოწვევას. რა იფარებოდა ნამდვილად ამ მუშაობაში, რომელსაც ვითომდა ეწეოდნენ ათასწლოვანი უღლისაგან განთავისუფლებული ხალხის სასარგებლოდ? ის, რომ გუჩკოვისა და სხვა მზრუნველთა მიყოლით შეიკრიბა ხროვა კაპიტალისტებისა, რომლებიც თავიანთ იმპერიალისტურ ამოცანებს ისახავდნენ. ხოლო როდესაც კერენსკის, ჩერნოვის და სხვათა კომპანია გამეფდა, მაშინ ეს მთავრობა, რომელიც ბარბაცებდა და ნიადაგს მოკლებული იყო, მათთვის მახლობელი ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებისათვის-ღა იღვწოდა. ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა კულაკების ხელში და მშრომელ მასებს არაფერს არ აძლევდა. ამასვე ვხედავთ სხვა ქვეყნებშიც. ავიღოთ ამერიკა, ყველაზე თავისუფალი და ცივილიზებული ქვეყანა. იქ დემოკრატიული რესპუბლიკაა. და მერე? უტიფრად ბატონობენ ერთი მეჯა მილიონერები კი არა, არამედ მილიარდერები, ხოლო მთელი ხალხი დამონებული და შებორკილია. თუ ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები და ქვეყნის მთელი სიმდიდრე კაპიტალისტებს ეკუთვნის, ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკის გვერდით ჩვენ ვხედავთ მილიონობით მშრომელთა ბატონყმურ

მონობას და საშინელ სიღატაკეს, კითხვა ისმება: სად არის აქ თქვენი ნაქები თანასწორობა და ძმობა?

არა! სადაც «დემოკრატები» ბატონობენ — იქ შეულამაზებელი, ნამდვილი ძარცვა-გლეჯაა. ჩვენ ვიცით ეგრეთწოდებული დემოკრატიების ჭეშმარიტი ბუნება.

საფრანგეთის რესპუბლიკის, ინგლისისა და დანარჩენი დემოკრატიის საიდუმლო ხელშეკრულებებმა თვალნათლივ დაგვანახვეს მთელი საქმის არსი და სარჩული. მიზნები და ინტერესები ისეთივე დანაშაულებრივ-მძარცველურია, როგორიც აქვს გერმანიას. ომმა ჩვენ თვალები აგვიხილა, და ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ სამშობლოს დამცველებში როგორ ვლინდება თავხედი მტაცებელი და მძარცველი. მტაცებლის ამ შემოტევას უნდა დავუპირისპიროთ რევოლუციური მოქმედება, რევოლუციური შემოქმედება. მართალია, ძალიან ძნელია ასეთ განსაკუთრებულ დროს განვახორციელოთ გაერთიანება, მეტადრე გლეხთა რევოლუციური ელემენტებისა, მაგრამ ჩვენ გვწამს რევოლუციის ავანგარდის — ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალა და სოციალური მგზნებარება. მუშებმა კი ჩინებულად შეიგნეს, რომ ვიდრე მათ გონებაში იცოცხლებს ფერიები დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების შესახებ, მანამდე ყოველდღე უწინდებურად დაიხარჯება 50 მილიონი მანეთი მათთვის დამღუპველ სამხედრო მიზნებზე, მანამდე ისინი ვერასოდეს ვერ დაინახავენ გამოსავალს კაპიტალისტური ჩაგვრიდან. შეიგნეს რა ეს, მუშებმა თავიანთი საბჭოები შექმნეს.

ასევე რეალურმა, ნამდვილმა ცხოვრებამ მუშებს ასწავლა იმის გაგება, რომ ვიდრე მემამულენი დიდებულად მოწყობილან სასახლეებსა და საზღაპრო კოშკ-დარბაზებში, მანამდე კრებების თავისუფლება ფიქციას წარმოადგენს და იმ ქვეყნად შეკრების თავისუფლებას თუ ნიშნავს. დაგვეთანხმეთ, მუშებს რომ თავისუფლებას შეპირდეთ და ამავე დროს სასახლეები, მიწა, ფაბრიკები და მთელი სიმდიდრე კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელში დატოვოთ — ამას როგორღაც თავისუფლებისა და თანასწორობის სუნი არ უდის. ჩვენ კი

მხოლოდ ერთი ლოზუნგი, ერთი დევიზი გვაქვს: ყველას, ვინც შრომობს, აქვს ცხოვრების სიკეთით სარგებლობის უფლება. მუქთახორებს, პარაზიტებს, რომლებიც მშრომელი ხალხის სისხლს სწოვენ, ეს სიკეთე უნდა ჩამოერთვათ. და ჩვენ ვაცხადებთ: ყველაფერი მუშებს, ყველაფერი მშრომელებს!

ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელია ყოველივე ამის განხორციელება, ვიცით, თუ რა გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს ბურჟუაზია, მაგრამ გვწამს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება, ვინაიდან, რაკი მან შეძლო თავი დაეღწია სამხედრო იმპერიალისტური ჭექა-ქუხილის საშინელი უბედურებისაგან და მის მიერ დანგრეული შენობის ნაცვლად აღემართა სოციალისტური რევოლუციის შენობა, — მან არ შეიძლება არ გაიმარჯვოს.

და, მართლაც, ყველგან მიმდინარეობს ძალების დარაზმვა. ჩვენ მიერ მიწის კერძო საკუთრების გაუქმების მეოხებით, ახლა ხდება ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის ცოცხალი გაერთიანება. მუშების კლასობრივი შეგნების გამოფხიზლება უფრო და უფრო რელიეფურად ისახება დასავლეთშიც. ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების მუშები უფრო და უფრო გამოდიან მოწოდებებითა და მოთხოვნებით, რომლებიც მოწმობენ მსოფლიო რევოლუციის საქმის მოახლოებულ გამარჯვებას. და ჩვენი სადღეისო ამოცანაა: არაფრად ჩავაგდოთ ავაზაკური ბურჟუაზიის ყველა თვალთმაქცური, თავხედური წამოძახილი და მოთქმა და განვაგრძოთ ჩვენი რევოლუციური მუშაობა. ჩვენ ყოველივე უნდა გადავისროლოთ ჩეხოსლოვაკთა ფრონტზე, რათა გავსრისოთ მთელი ეს ბანდა, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ინიღბება და ასობითა და ათასობით ხვრეტს მუშებსა და გლეხებს.

ჩვენ ერთი გამოსავალი გვაქვს: გამარჯვება ან სიკვდილი!

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 188,
1918 წ. 1 სექტემბერი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

მისალმება წითელ არმიას ყაზანის აღების გამო

აღტაცებით მივესალმები წითელი არმიების ბრწყინვალე გამარჯვებას.

დღე, ეს იყოს იმის საწინდარი, რომ მუშებისა და რევოლუციური გლეხების კავშირი ბოლომდე გაანადგურებს ბურჟუაზიას, გასტეხს ექსპლოატატორთა ყოველგვარ წინააღმდეგობას და უზრუნველყოფს მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებას.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლუციას!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 11 სექტემბერს

დაიბეჭდა 1918 წ. 12 სექტემბერს
გაზეთ «პრავდაში», № 195

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეპეშა ვ. ვ. კუიბიშევს [32]

სიმბირსკის — ჩემი მშობლიური ქალაქის — აღება ყველაზე მკურნავი, საუკეთესო მალამოა ჩემი ჭრილობისათვის. მე ვგრძნობ სიმხნევისა და ძალ-ღონის უმაგალითო მოზღვავებას. მივულოცავ წითელარმიელებს გამარჯვებას და ყველა მშრომელის სახელით მადლობას ვუცხადებ ყველა მათი მსხვერპლისათვის.

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 209,
1918 წ. 25 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პეტროგრადსკაია პრავდას»
ტექსტის მიხედვით

წერილი პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონფერენციის პრეზიდიუმს [33]

17.IX. 1918 წ.

ძვირფასო ამხანაგებო! გულითადად გმადლობთ კეთილი სურვილებისათვის და ჩემის მხრივ გისურვებთ საუკეთესო წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ მუშათა კლასმა აითვისოს და განახორციელოს ამ კლასის ბ ა ტ ო ნ ო ბ ა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ხანაში. ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ავანგარდის, ე. ი. პროლეტარიატის, ბ ა ტ ო ნ ო ბ ა აუცილებელია იმისათვის, რომ ამ გარდამავალ ხანაში სავსებით მოისპოს კლასები, რომ დაითრგუნოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, რომ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასა, კაპიტალიზმის მიერ დაბეჩავებული, წელში გატეხილი და დაქსაქსული, გ ა ე რ თ ი ა ნ დ ე ს ქალაქის მუშების გარშემო, უმჭიდროესად შეუკავშირდეს მათ.

ყველა ჩვენი წარმატება იმის შედეგია, რომ მუშებმა შეიგნეს ეს და ხელი მოჰკიდეს სახელმწიფოს მ ა რ თ ვ ა ს, თავისი საბჭოების საშუალებით.

მაგრამ მუშებმა ჯერ კიდევ ა რ ა ს ა კ მ ა ო დ შეიგნეს ეს და ისინი ხშირად მეტისმეტად მ ო რ ი დ ე ბ უ ლ ნ ი არიან სახელმწიფოს **მართვისათვის** მ უ შ ე ბ ი ს წამოყენების საქმეში.

იბრძოლეთ ამისათვის, ამხანაგებო! დეე, პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები დაეხმარონ ამას. ეს არის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი წარმატებებისა და საბოლოო გამარჯვების საწინდარი.

სალამით

ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 201, 1918 წ.
19 სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეპეშა მეთაურთა შემადგენლობის პეტროგრადის კურსებს

18. IX. 1918 წ.

პეტროგრადი. ვასილის კუნძული. კადეტთა ხაზი, 3.
საოლქო კომისარს

მივესალმები 400 ამხანაგ მუშას, რომლებმაც დღეს დაამთავრეს წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კურსები და რომლებიც შედიან წითელი არმიის რიგებში როგორც ხელმძღვანელები. რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენერგიით შეუდგებიან მუშები სახელმწიფოს მართვას და კაპიტალის უღლის დამხობისათვის მეომარ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა არმიის სარდლობას. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ოთხასის მაგალითს მიჰბაძავს კიდევ ათასობით და ათასობით მუშა, ხოლო ასეთი ადმინისტრატორებითა და მეთაურებით კომუნიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 201, 1918 წ.
19 სექტემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ

მეტისმეტად დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკურ აგიტაციას ძველ თემებზე, — პოლიტიკურ რახარუხს. უზომოდ ცოტა ადგილი ეთმობა ახალი ცხოვრების მშენებლობას, — ფაქტებსა და ფაქტებს ამის შესახებ.

რატომ არ შეიძლება, რომ, 200 — 400 სტრიქონის ნაცვლად, 20 — 10 სტრიქონით ვილაპარაკოთ ისეთ უბრალო, საერთოდ ცნობილ, მასის მიერ მნიშვნელოვნად უკვე შეთვისებულ მოვლენებზე, როგორიცაა მენშევიკების, ბურჟუაზიის ლაქიების, საზიზღარი გამცემლობა, როგორიცაა ინგლის-იაპონიის შემოსევა კაპიტალის წმიდათა წმიდა უფლებების აღსადგენად, როგორიცაა ამერიკელი მილიარდერების კბილთა კრაჭუნი გერმანიის წინააღმდეგ და ა. შ.. ამაზე ლაპარაკი საჭიროა, ამ დარგიდან ყოველი ახალი ფაქტის აღნიშვნა საჭიროა, მაგრამ სტატიები კი არ უნდა ვწეროთ, მსჯელობანი კი არ უნდა გავიმეოროთ, არამედ რამდენიმე სტრიქონით, «დეპეშის სტილით» უნდა დავგმოთ ძველი, უკვე ცნობილი, უკვე შეფასებული პოლიტიკის ახალი გამოვლინებანი.

ბურჟუაზიული პრესა «ძველ კურთხეულ ბურჟუაზიულ დროში» არ ეხებოდა «წმიდათა წმიდას» — კერძო ფაბრიკების, კერძო მეურნეობების საქმეთა შინაგან მდგომარეობას. ეს ჩვეულება შეეფერებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. ამ ჩვეულებას ჩვენ გადაჭრით უნდა დავაღწიოთ თავი. ჩვენ მისგან თავი არ დაგვიღწევია. გაზეთების ტიპი ჩვენში ჯერ კიდევ

ა რ იცვლება ისე, როგორც უნდა იცვლებოდეს იგი საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადადის.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკა. პოლიტიკა «გამორკვეულია» მთლიანად და დაყვანილია ორი ბანაკის ბრძოლაზე, აჯანყებულ პროლეტარიატსა და ერთი მუჭა მონათმფლობელ-კაპიტალისტებს (და მათ ხროვას თვით მენშევიკებამდე და სხვ.) შორის ბრძოლაზე. ამ პოლიტიკაზე, ვიმეორებ, შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ ძალიან მოკლედ.

რაც შეიძლება მეტი ეკონომიკა. მაგრამ ეკონომიკა არა «ზოგადი» მსჯელობის, მეცნიერული მიმოხილვის, ინტელიგენტური გეგმის და სხვა ამგვარი აბდაუბდის აზრით, — რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად სწორედ აბდაუბდას წარმოადგენს. არა, ეკონომიკა ჩვენ გვესაჭიროება იმ აზრით, რომ შევაგროვოთ, გ უ ლ დ ა ს მ ი თ შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ და შევისწავლოთ ახალი ცხოვრების ნამდვილი მშენებლობის ფაქტები. აქვთ თუ არა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მსხვილ ფაბრიკებს, სამიწათმოქმედო კომუნებს, ღარიბთა კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის ადგილობრივ საბჭოებს წარმატებანი ახალი ეკონომიკის მშენებლობაში? სახელდობრ როგორია ეს წარმატებანი? დადასტურებულია თუ არა ისინი? ხომ არ არის აქ ჩმახვა, ტრაბახი, ინტელიგენტური დაპირება («წესრიგდება», «შედგენილია გეგმა», «ავამუშავეთ ძალები», «ახლა სიტყვას ვიძლევით», «გაუმჯობესება უეჭველია» და სხვა შარლატანური ფრაზები, რომელთა ესოდენი ოსტატებიც «ჩვენ» ვართ)? რით არის წარმატებანი მიღწეული? როგორ გავხადოთ ისინი უფრო ფართო?

შავი დაფა ჩამორჩენილი ფაბრიკებისათვის, რომლებიც ნაციონალიზაციის შემდეგ უთავბოლობის, რღვევის, სიბინძურის, ხულიგნობის, მუქთახორობის ნიმუშებად დარჩნენ, — სად არის ეს შავი დაფა? იგი არ არის. ასეთი ფაბრიკები კი ა რ ი ს. ჩვენ ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ არ ვაწარმოებთ ო მ ს «კაპიტალიზმის ტრადიციების ამ შემნახველთა» წინააღმდეგ. ჩვენ კომუნისტები კი არა, მეძონძეები ვართ, სანამ მდუმარედ ვითმენთ ასეთ ფაბრიკებს. ჩვენ ისე

ვერ ვაწარმოებთ კლასობრივ ბრძოლას გაზეთებში, როგორც მას ბურჟუაზია აწარმოებდა. მოიგონეთ, თუ როგორ ჩინებულად დ ე ვ ნ ი დ ა იგი პრესაში თ ა ვ ი ს კლასობრივ მტრებს, როგორ დასცინოდა მათ, როგორ აბიაბრუებდა მათ, როგორ არ აძლევდა მათ გასაქანს. ჩვენ კი? განა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში იმით არ გამოიხატება, რომ დავიცვათ მუშათა კ ლ ა ს ი ს ინტერესები მუშათა იმ მცირე ჯგუფებისა, წრეებისა და ფენებისაგან, რომლებიც დაჟინებით მისდევენ კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და ისევ წინანდებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: მისცენ «მას» ნაკლები და ცუდი ნამუშევარი, — წაღლიტონ «მას» მეტი ფული. განა ცოტანი არიან ასეთი არამზადები, თუნდაც საბჭოთა სტამბების ასოთამწყობთა შორის, სორმოველ და პუტილოველ მუშებს შორის და ა. შ.? რამდენი მათგანი დავიჭირეთ ჩვენ, რამდენი ვამხილეთ, რამდენი გავაკარით სამარცხვინო ბოძზე?

პრესა ამაზე სდუმს. ხოლო თუ წერს, — წერს კაზიონურად, ჩინოვნიკურად, არა როგორც რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პრესა, არა როგორც იმ კლასის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს ორგანო, რომელიც თავისი საქმეებით ამტკიცებს, რომ კაპიტალისტებისა და კაპიტალისტურ ჩვეულებათა შემნახველი მუქთახორების წინააღმდეგობა რკინის ხელით იქნება გატეხილი.

ასევე ითქმის ომის შესახებ. ვდევნით თუ არა ჩვენ ლაჩარ სარდლებსა და დოყლაპიებს? გავაშავეთ თუ არა ჩვენ რუსეთის წინაშე სრულიად უვარგისი პოლკები? «დავიჭირეთ» თუ არა ჩვენ საკმაო რაოდენობით ცუდი ნიმუშები, რომლებიც რაც შეიძლება მეტი ხმაურით უნდა გაგვედევნა არმიიდან უვარგისობისათვის, დაუდევრობისათვის, დაგვიანებისათვის და სხვ.? ჩვენ არ ვაწარმოებთ საქმიან, ულმობელ, ჭეშმარიტად რევოლუციურ ო მ ს ბოროტების კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ მატარებლებთან. ჩვენ ნაკლებად ვ ზ რ დ ი თ მ ა ს ე ბ ს ცხოვრების ყველა დარგის ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებითა და ნიმუშებით, ეს კი პრესის მთავარი ამოცანაა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს. ჩვენში ნაკლებ

ყურადღებას აქცევენ შინასაფაბრიკო, შინასასოფლო, შინასაპოლკო ცხოვრების იმ ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ მხარეს, სადაც ყველაზე მეტი შენდება ახალი, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა ყურადღება, გახმაურება, საზოგადოებრივი კრიტიკა, უვარგისის დევნა, მოწოდება, რომ ვისწავლოთ კარგისაგან.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი. რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ როგორ აშენებს რაღაც ა ხ ა ლ ს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მეტი შ ე მ ო წ მ ე ბ ა იმისა, თუ რამდენად კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა ეს ახალი.

«პრავდა» № 202, 1918 წ. 20 სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წერილი ყაზანის აღებაში მონაწილე წითელარმიელებს [84]

ამხანაგებო! თქვენ უკვე იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მთელი რუსეთის რევოლუციისათვის ყაზანის აღებამ, რომლითაც აღინიშნა გარდატეხა ჩვენი არმიის განწყობილებაში, მისი გადასვლა მტკიცე, გაბედულ, ძლევამოსილ მოქმედებაზე. თქვენ მიერ ბრძოლებში გაღებულ მძიმე მსხვერპლს ხსნა მოაქვს საბჭოების რესპუბლიკისათვის. არმიის განმტკიცებაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის სიმტკიცე იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, დამოკიდებულია სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში და მთელ მსოფლიოში. მთელი სულითა და გულით მივესალმები გმირ საბჭოთა ჯარებს, ექსპლოატაციის დამხობისათვის მებრძოლ ექსპლოატირებულთა ავანგარდის არმიას, და ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს.

ამხანაგური და კომუნისტური სალამით
ვ. ულიანოვი (ლენინი)

«ზნამია რევოლუციი» (ყაზანი) № 177,
1918 წ. 29 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ
«ზნამია რევოლუციის»
ტექსტის მიხედვით

წერილი სრულიად რუსეთის ცაკის და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, გამართულს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით 1918 წ. 3 ოქტომბერს[35]

გერმანიაში პოლიტიკური კრიზისი გაჩაღდა. როგორც მთავრობის, ისე მთლიანად ყველა ექსპლოატატორული კლასის პანიკური დაბნეულობა მთელი ხალხის წინაშე გამოაშკარავდა. სამხედრო მდგომარეობა რომ უიმედოა და მშრომელი მასები რომ სრულიად არ უჭერენ მხარს გაბატონებულ კლასებს, ეს ერთბაშად ცხადი გახდა. ეს კრიზისი ნიშნავს ან რევოლუციის დასაწყისს, ან, ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ მისი გარდუვალობა და სიახლოვე მასებისათვის ახლა სავსებით ნათელი შეიქნა.

მთავრობა მორალურად გადადგა და ისტერიულად აქეთ-იქით ეხეთქება სამხედრო დიქტატურასა და კოალიციურ კაბინეტს შორის. მაგრამ სამხედრო დიქტატურა, არსებითად, უკვე ნასინჯია ომის დასაწყისიდან და მისი განხორციელება სწორედ ახლა შეიქნა შეუძლებელი, რადგან არმია სანდო აღარ არის. კაბინეტში შეიდემანებისა და მათი კომპანიის მიწვევა კი მხოლოდ დააჩქარებს რევოლუციურ აფეთქებას, მას უფრო ფართოს, უფრო შეგნებულს, უფრო მტკიცესა და გადამწყვეტს გახდის შემდეგ, როცა ბოლომდე გამოაშკარავდება მთელი საცოდავი უძლურება ბურჟუაზიის ამ ლაქიებისა, ამ მოსყიდული ისეთივე კაცუნებისა, როგორიც არიან ჩვენი მენშევიკები და ესერები, როგორიც არიან ჰენდერსონები და სიდნეი ვებები ინგლისში, ალბერ ტომები და რენოდელები საფრანგეთში და სხვ.

კრიზისი გერმანიაში მხოლოდ ეს არის დაიწყო. იგი გარდუვალად გათავდება იმით, რომ პოლიტიკური ძალაუფლება

გერმანიის პროლეტარიატის ხელში გადავა. რუსეთის პროლეტარიატი უდიდესი ყურადღებითა და აღტაცებით ადევნებს თვალყურს ამბებს. ახლა სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის ყველაზე დაბრმავებულნიც კი დაინახავენ, თუ რა მართალნი იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც მთელ ტაქტიკას მსოფლიო მუშათა რევოლუციის მზარდაჭერაზე აშენებდნენ და რომლებსაც სხვადასხვა უმძიმესი მსხვერპლის გაღებისა არ ეშინოდათ. ახლა ყველაზე გონებაბნელი ადამიანებიც კი მიხვდებიან, თუ რა უზომოდ საზიზღარ ღალატს ჩადიოდნენ სოციალიზმისადმი მენშევიკები და ესერები, როდესაც ინგლის-საფრანგეთის მძარცველურ ბურჟუაზიას უკავშირდებოდნენ, ვითომდა, ბრესტის ზავის გაუქმებისათვის. და უკვე, რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლება არც კი გაიფიქრებს დაეხმაროს გერმანელ იმპერიალისტებს ცდებით — დაარღვიოს ბრესტის ზავი, ააფეთქოს იგი ისეთ მომენტში, როდესაც გერმანიის შინაური ანტიიმპერიალისტური ძალები დუღილსა და ბობოქრობას იწყებენ, — ისეთ მომენტში, როდესაც გერმანიის ბურჟუაზიის წარმომადგენლები იწყებენ თავის მართლებას საკუთარი ხალხის წინაშე ასეთი ზავის დადებაში, იწყებენ საშუალებათა ძებნას პოლიტიკის «შესაცვლელად».

მაგრამ რუსეთის პროლეტარიატი არა მარტო ყურადღებითა და აღტაცებით ადევნებს თვალყურს ამბებს. იგი აყენებს საკითხს, რომ დაძაბოს მთელი ძალ-ღონე გ ე რ მ ა ნ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ, რომლებსაც მოელის უაღრესად მძიმე განსაცდელი, უაღრესად მძიმე გადასვლა მონობიდან თავისუფლებისაკენ, უაღრესად შეუპოვარი ბ რ ძ ო ლ ა რ ო გ ო რ ც თ ა ვ ი ს, ი ს ე ი ნ გ ლ ი ს ი ს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ თ ა ნ. გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხება იქნება განსაზღვრული დროით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის თავხედობის, მხეცობის, რეაქციულობისა და დაპყრობითი ცდების გაძლიერების მომასწავებელი.

რუსეთის ბოლშევიკური მუშათა კლასი ყოველთვის ინტერნაციონალისტური იყო არა სიტყვით, არამედ საქმით,

იმ არამზადებისაგან — II ინტერნაციონალის გმირებისა და ბელადებისაგან განსხვავებით, რომლებიც ან პირდაპირ ღალატობდნენ რევოლუციას, როცა უკავშირდებოდნენ თავის ბურჟუაზიას, ან ცდილობდნენ თავი დაეძვრინათ ფრაზებით, როცა იგონებდნენ (კაუცკის, ოტო ბაუერის და მათი კომპანიის მსგავსად) გასამართლებელ მიზეზებს რევოლუციისათვის ზურგის შესაქცევად, როცა გამოდიოდნენ ყოველი გაბედული, დიდი რევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ თუნდ ოდნავ დაეთმოთ ვიწრო-ნაციონალური ინტერესები პროლეტარული რევოლუციის წინწაწევისათვის.

რუსეთის პროლეტარიატი მიხვდება, რომ ახლა მას მალე დასჭირდება უდიდესი მსხვერპლის გაღება ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ. ახლოვდება ჟამი, როცა გარემოებებმა შეიძლება მოგვთხოვონ დახმარება აღმოვუჩინოთ თავისი იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების გზაზე შემდგარ გერმანელ ხალხს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაშ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მზადებას. დავამტკიცოთ, რომ რუს მუშას შეუძლია გაცილებით უფრო ენერგიულად იმუშაოს, გაცილებით უფრო თავდადებით იბრძოლოს და მოკვდეს, როცა საქმე ეხება არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მუშათა რევოლუციას.

უწინარეს ყოვლისა გავაათკეცოთ ჩვენი მეცადინეობა პურის მარაგის დასამზადებლად. დავადგინოთ, რომ თვითეულ მსხვილ ელევატორში იქმნება პურის მარაგი გერმანელი მუშების დასახმარებლად, თუ მათ გარემოებანი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებენ იმპერიალიზმის ურჩხულებისა და მხეცებისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დეე, ყოველი პარტიული ორგანიზაცია, ყოველი პროფესიული კავშირი, ყოველი ფაბრიკა, სახელოსნო და ა. შ. საგანგებოდ დაუკავშირდეს რამდენიმე მის მიერ არჩეულ თემს გლეხებთან კავშირის განსამტკიცებლად, მათთვის დახმარების გასაწევად, მათ გასათვითცნობიერებლად, კულაკებზე გასამარჯვებლად, მთელი ნაჭარბი პურისაგან სავსებით გასაწმენდად.

დეე, ასევე გაათკეცდეს ჩვენი მუშაობა პროლეტარული წითელი არმიის შესაქმნელად. გარდატეხა მოხდა, — ჩვენ ეს ყველამ ვიცით, ჩვენ ამას ყველა ვხედავთ და ვგრძნობთ. მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა სული მოითქვეს იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის საშინელებათაგან, მათ შეიგნეს და გამოცდილებით დაინახეს, რომ აუცილებელია ომი მჩაგვრელთა წინააღმდეგ თავიანთი რევოლუციის, მშრომელთა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, თავიანთი ხელისუფლების, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. არმია იქმნება, წითელი არმია მუშებისა და ღარიბი გლეხებისა, რომლებიც მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ სოციალიზმის დასაცავად. არმია მტკიცდება და იწრთობა ჩეხოსლოვაკებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლებში. საძირკველი მკვიდრად არის ჩაყრილი, უნდა ვიჩქაროთ თვით შენობის აღმართვა.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა გვყოლოდა გაზაფხულისათვის 1 000 000 კაცისაგან შემდგარი არმია, ჩვენ ახლა გვესაჭიროება სამი მილიონი კაცისაგან შემდგარი არმია, ჩვენ შეგვიძლია იგი გვყავდეს. და ჩ ვ ე ნ გ ვ ე ყ ო ლ ე ბ ა ი გ ი.

მსოფლიო ისტორიამ ამ ბოლო დღეებში არაჩვეულებრივად დააჩქარა თავისი სრბოლა მსოფლიო მუშათა რევოლუციისაკენ. შესაძლებელია უაღრესად სწრაფი ცვლილებანი, შესაძლებელია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის შეკავშირების ცდები.

ჩვენც უნდა დავაჩქაროთ მოსამზადებელი მუშაობა. გავაათკეცოთ ჩვენი ღონისძიებანი.

დეე, გადაიქცეს ეს პროლეტარიატის დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის ლოზუნგად!

დეე, გადაიქცეს ეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მომავალ გამარჯვებათა ლოზუნგად!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 213, 1918 წ.
4 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი

ამ სათაურით მე დავიწყე წერა ბროშურისა *, სადაც ვაკრიტიკებ ვენაში ახლახან გამოსულ კაუცკის ბროშურას: «პროლეტარიატის დიქტატურა». მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი მუშაობა ჭიანურდება, გადავწყვიტე ვთხოვო «პრავდის» რედაქციას დაუთმოს ადგილი მოკლე სტატიას ამავე თემაზე.

უაღრესად დამქანცველმა რეაქციულმა ომმა, რომელიც ოთხ წელზე მეტია გრძელდება, თავისი საქმე გააკეთა. ევროპაში უკვე იგრძნობა მზარდი პროლეტარული რევოლუციის სუნთქვა — ავსტრიაშიც, იტალიაშიც, გერმანიაშიც, საფრანგეთშიც, ინგლისშიც კი (მეტისმეტად დამახასიათებელია მაგალითად, «კაპიტალისტის აღსარებანი», მოთავსებული იმ არქიოპორტუნისტული «სოციალისტური მიმოხილვის» [36] ივლისის წიგნაკში, რომელსაც რედაქტორობს ნახევრადლიბერალი რამსეი მაკდონალდი).

და ასეთ მომენტში II ინტერნაციონალის ბელადი, ბატონი კაუცკი, აქვეყნებს წიგნს პროლეტარიატის დიქტატურის, ე. ი. პროლეტარული რევოლუციის შესახებ, ასჯერ უფრო სამარცხვინო, უფრო აღმაშფოთებელ, უფრო რენეგატულ წიგნს, ვიდრე არის ბერნშტეინის ცნობილი «სოციალიზმის წანამძღვრები». თითქმის 20 წელმა განვლო ამ რენეგატული

* იხ. ეს ტომი, გვ. 271 — 401. რ ე დ.

წიგნის გამოცემის დროიდან, და ახლა კაუცკი იმეორებს, აღრმავებს რენეგატობას!

წიგნის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი ეხება საკუთრივ რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუციას. კაუცკი მთლიანად იმეორებს მენშევიკურ სიბრძნეთასიბრძნეს, ასე რომ რუსი შუშა ამას მხოლოდ ჰომერული ხარხარით შეხვდებოდა. წარმოიდგინეთ, მაგალითად, რომ «მარქსიზმად» წოდებულია ნახევრადლიბერალ მასლოვის ნახევრადლიბერალური თხზულებებიდან მოყვანილი ციტატებით აჭრელებული მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ მდიდარი გლეხები ხელთ ჩაიგდონ მიწა (ახალი ამბავი!), თუ რა ხელსაყრელია მათთვის პურის მაღალი ფასები, და სხვა. და ამის გვერდით ჩვენი «მარქსისტის» ათვალწუნებითი, უკვე სავსებით ლიბერალური, განცხადება: «ღარიბი გლეხი აღიარებულია აქ» (ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკაში ბოლშევიკების მიერ) «პროლეტარიატის დიქტატურის» სოციალისტური აგრარული რეფორმის მუდმივ და მასობრივ პროდუქტად» (გვ. 48 კ-ის ბროშურისა).

ხომ ჩინებულია, არა? სოციალისტი, მარქსისტი, ცდილობს დაგვიმტკიცოს ჩ ვ ე ნ რევოლუციის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ ი ხასიათი და ამასთან, სავსებით მასლოვის, პოტრესოვის დ ა კ ა დ ე ტ ე ბ ი ს ყაიდაზე, დასცინის ღარიბთა ორგანიზაციას სოფლად.

«მდიდარ გლეხთა ექსპროპრიაციას მხოლოდ შფოთისა და სამოქალაქო ომის ახალი ელემენტი შეაქვს წარმოების პროცესში, რომელიც თავის გასაჯანსაღებლად დაჟინებით მოითხოვს სიმშვიდესა და უშიშროებას» (გვ. 49).

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ეს სიტყვასიტყვით არის ნათქვამი კაუცკის მიერ, და არა სავინკოვის, არა მილიუკოვის მიერ!

რუსეთში ჩვენ უკვე იმდენჯერ გვინახავს, თუ როგორ ეფარებიან «მარქსიზმს» კულაკების დამცველნი, რომ კაუცკი ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს. იქნებ, ევროპელი მკითხველისთვის საჭირო გახდეს უფრო ვრცლად შევეხოთ ბურჟუაზიისადმი

ამ საზიზღარ მლიქვნელობასა და სამოქალაქო ომის გაჩაღების ლიბერალურ შიშს. რუსი მუშისა და გლეხისათვის საკმარისია მივუთითოთ კაუცკის ამ რენეგატობაზე — — და გვერდი ჩავუაროთ მას.

* *
*

კაუცკის წიგნის თითქმის ცხრა მეათედი ეხება უპირველესი მნიშვნელობის ზოგად თეორიულ საკითხს: «დემოკრატიისადმი» პროლეტარიატის დიქტატურის დამოკიდებულების საკითხს. და ყველაზე ნათლად სწორედ აქ აშკარავდება კაუცკის მიერ მარქსიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტა.

კაუცკი თავის მკითხველებს არწმუნებს — სავსებით სერიოზული და უაღრესად «სწავლული» გამომეტყველებით, — რომ «პროლეტარიატის რევოლუციურ დიქტატურად» მარქსი გულისხმობდა არა «მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ა ს», რომელიც გამორიცხავს დემოკრატიას, არამედ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს, სახელდობრ: «ბატონობის მდგომარეობას». პროლეტარიატის ბატონობა კი, როგორც მოსახლეობის უმრავლესობისა, შესაძლებელია დემოკრატიის უსასტიკესად დაცვის დროს, და, მაგალითად, პარიზის კომუნა, რომელიც სწორედ პროლეტარიატის დიქტატურას წარმოადგენდა, არჩეული იყო საყოველთაო ხმისმიცემით. ხოლო მარქსს, როცა ის პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკობდა, მხედველობაში რომ არ ჰქონდა «მმართველობის ფორმები» (ან მთავრობის ფორმები, Regierungsform), ეს ვითომ «მტკიცდება უკვე იმით, რომ ის, მარქსი, შესაძლებლად თვლიდა ინგლისისა და ამერიკისათვის მშვიდობიანი, ე. ი. დემოკრატიული გზით გადასვლას» (კომუნიზმზე) (გვ. 20 — 21).

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! კაუცკი სწორედ ასე მსჯელობს და ანადგურებს ბოლშევიკებს «დემოკრატიის» დარღვევისათვის თავიანთ კონსტიტუციაში, მთელ თავიანთ პოლიტიკაში, მთელი ძალით, ყოველი საბაბით ქადაგებს «დემოკრატიულს და არა დიქტატორულ მეთოდს».

ეს სრული გადასვლაა იმ ოპორტუნისტების მხარეზე (როგორიც არიან დავიდი, კოლბი და სოციალ-შოვინიზმის სხვა ბურჯები, ან ინგლისელი ფაბიანელები[37] და დამოუკიდებლები[38], ან ფრანგი და იტალიელი რეფორმისტები), რომლებიც უფრო პირდაპირ და უფრო პატიოსნად ამბობდნენ, არ ვცნობთ მარქსის მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურაზე, ვინაიდან იგი დემოკრატიზმს ეწინააღმდეგებაო.

ეს სრული დაბრუნებაა მარქსამდელი გერმანული სოციალიზმის შეხედულებისაკენ, რომ ჩვენ «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოსაკენ» მივისწრაფვითო, იმ მეშჩანური დემოკრატების შეხედულებისაკენ, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სახელმწიფო არის მანქანა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დასათრგუნავად.

ეს სრული განდგომაა პროლეტარიატის რევოლუციისაგან, რომლის ადგილზე წამოყენებულია «უმრავლესობის დაპყრობის», «დემოკრატიის გამოყენების» ლიბერალური თეორია! ყოველივე ის, რასაც ორმოცი წლის განმავლობაში, 1852-დან 1891 წლამდე, ქადაგებდნენ და ამტკიცებდნენ მარქსი და ენგელსი იმის შესახებ, რომ პროლეტარიატისათვის აუცილებელია «დაამსხვრიოს» ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა, სავსებით დავიწყებულია, დამახინჯებულია, უკუგდებულია რენეგატ კაუცკის მიერ.

კაუცკის თეორიული შეცდომების დაწვრილებით განხილვა იქნებოდა იმის განმეორება, რაც ნათქვამი მაქვს «სახელმწიფოსა და რევოლუციაში» *. აქ ამის საჭიროება არ არის. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ:

კაუცკი განუდგა მარქსიზმს, — მან დაივიწყა, რომ ყ ო ვ ე ლ ი სახელმწიფო არის ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დათრგუნვის მანქანა და რომ ყველაზე დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბურჟუაზიული რესპუბლიკა არის მანქანა ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის დასაჩაგრავად.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 25, გვ. 465 — 615. რ ე დ.

პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარული სახელმწიფო, «მმართველობის ფორმა» კი არ არის, არამედ სხვა ტიპის სახელმწიფოა, პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის დათრგუნვის მანქანაა. დათრგუნვა იმიტომაა აუცილებელი, რომ ბურჟუაზია ყოველთვის გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს თავის ექსპროპრიაციას.

(იმაზე მითითება, რომ მარქსი 70-იან წლებში შესაძლებლად თვლიდა მშვიდობიან გადასვლას სოციალიზმზე ინგლისსა და ამერიკაში[39], არის საბუთი სოფისტისა, ესე იგი, უბრალოდ რომ ითქვას, თაღლითისა, რომელიც ყალთაბანდობს ციტატებისა და მითითებათა საშუალებით. ჯერ ერთი, მარქსს ეს შესაძლებლობა მაშინაც გამონაკლისად მიაჩნდა. მეორე, მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ე. ი. იმპერიალიზმი. მესამე, სწორედ ინგლისსა და ამერიკაში არ იყო მაშინ — (ახლა კი არის) — სამხედრო ხროვა, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მთავარი აპარატი).

სადაც დათრგუნვაა, იქ არ შეიძლება იყოს თავისუფლება, თანასწორობა და სხვ.. ამიტომაც ამბობდა ენგელსი: «ვიდრე პროლეტარიატი კიდევ საჭიროებს სახელმწიფოს, იგი მას საჭიროებს არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის; ხოლო როცა შესაძლებელი გახდება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, წყვეტს არსებობას»[40].

ბურჟუაზიული დემოკრატია, რომლის მნიშვნელობა პროლეტარიატის აღზრდისა და მისთვის ბრძოლის შესწავლის საქმეში უდავოა, ყოველთვის ვიწრო, თვალთმაქცური, ცრუ და ყალბია, ყოველთვის რჩება დემოკრატიად მდიდრებისათვის, მატყუარობად ღარიბებისათვის.

პროლეტარული დემოკრატია თრგუნავს ექსპლოატატორებს, ბურჟუაზიას — და ამიტომ არ თვალთმაქცობს, **არ ჰპირდება მათ** თავისუფლებასა და დემოკრატიას, — ხოლო

მშრომელებს ანიჭებს ნამდვილ დემოკრატიას. მხოლოდ საბჭოთა რუსეთმა მისცა პროლეტარიატს და რუსეთის მთელ უზარმაზარ მშრომელ უმრავლესობას ისეთი თავისუფლება და დემოკრატია, როგორიც არც ერთ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ნახულა, არ არის შესაძლებელი და წარმოსადგენი, როცა მან ჩამოართვა, მაგალითად, სასახლეები ბურჟუაზიას (უამისოდ კრებების თავისუფლება თვალთმაქცობაა), როცა ჩამოართვა სტამბები და ქაღალდი კაპიტალისტებს (უამისოდ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ერის მშრომელი უმრავლესობისათვის სიცრუეა), როცა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი შეცვალა საბჭოების დემოკრატიული ორგანიზაციით, რომლებიც 1 000-ჯერ უფრო ახლოს დგანან «ხალხთან» და უფრო «დემოკრატიულნი» არიან, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტი. და ასე შემდეგ.

კაუცკიმ უკუაგდო... «კლასობრივი ბრძოლა» დემოკრატიის მიმართ! კაუცკი პირწავარდნილი რენეგატი და ბურჟუაზიის ლაქია გახდა.

* *
*

გაკვრით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რენეგატობის რამდენიმე მარგალიტი.

კაუცკი იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა ორგანიზაციას აქვს მნიშვნელობა არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მსოფლიო მნიშვნელობაც, რომ იგი ეკუთვნის «ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს», რომ მან შეიძლება მოიპოვოს «გადამწყვეტი მნიშვნელობა» მომავალ დიად «ბრძოლებში კაპიტალსა და შრომას შორის». მაგრამ, იმეორებს რა პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის მხარეზე არხეინად გადასული მენშევიკების სიბრძნეთასიბრძნეს, — კაუცკი «დაასკვნის»: საბჭოები კარგნი არიან როგორც «ბრძოლის

ორგანიზაციები» და არა როგორც «სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებიო».

დიდებულია! დაირაზმეთ საბჭოებში, პროლეტარებო და უღარიბესო გლეხებო! მაგრამ — ღმერთმა დაგიფაროთ! — არ გაბედოთ გამარჯვება! არ იფიქროთ გამარჯვება! როგორც კი თქვენ დაამარცხებთ ბურჟუაზიას, მორჩა თქვენი საქმე, რადგან პროლეტარულ სახელმწიფოში «სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებად» თქვენ არ უნდა იყოთ. როგორც კი გაიმარჯვებთ, უნდა დაიშალოთ!!

ჰოი, დიდებულო «მარქსისტო» კაუცკი! ჰოი, რენეგატობის სწორუპოვარო «თეორეტიკოსო»!

მარგალიტი ნომერი მეორე. სამოქალაქო ომი «სოციალური რევოლუციის» «მოსისხლე მტერია», ვინაიდან იგი, როგორც ჩვენ უკვე მოვისმინეთ, «საჭიროებს სიმშვიდეს» (მდიდრებისათვის?) «და უშიშროებას» (კაპიტალისტებისათვის?).

ევროპის პროლეტარებო! ნუ იფიქრებთ რევოლუციაზე, ვიდრე ვერ იპოვნით ისეთ ბურჟუაზიას, რომელიც ა რ დ ა ი ქ ი რ ა ვ ე ბ დ ა თქვენს წინააღმდეგ სამოქალაქო ომისათვის სავინკოვსა და დანს, დუტოვსა და კრასნოვს, ჩეხოსლოვაკებსა და კულაკებს!

მარქსი 1870 წელს წერდა: მთავარი იმედი ისაა, რომ ომმა ფრანგ მუშებს იარაღის ხმარება ასწავლაო [41]. «მარქსისტი» კაუცკი 4 წლის ომისაგან მოელის არა იარაღის გამოყენებას მუშების მიერ ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ღმერთმა დაგვიფაროს! ეს, თითქოს, არც კია სავსებით «დემოკრატიული»), არამედ... კეთილი ზავის დადებას კეთილი კაპიტალისტების მიერ!

მარგალიტი ნომერი მესამე. სამოქალაქო ომს კიდევ ერთი არასასიამოვნო მხარე აქვს: მაშინ როდესაც «დემოკრატიაში» არის «უმცირესობის დაცვა» (რომელიც — შევნიშნავთ ფრჩხილებში — ასე კარგად იგემეს საკუთარ თავზე დრეიფუსის ფრანგმა დამცველებმა ან ამ ბოლო დროს ლიბკნეხტებმა, მაკლინებმა, დებსებმა) — სამოქალაქო ომი (ყური უგდეთ!

ყური უგდეთ!) «დამარცხებულს სრული მოსპობით ემუქრება».

ჰოდა, აი, განა ნამდვილი რევოლუციონერი არ არის ეს კაუცკი? ის სულითა და გულით რევოლუციის მომხრეა... ოღონდ ისეთი რევოლუციისა, რომ არ იყოს სერიოზული ბრძოლა, რომელიც მოსპობით იმუქრება! მან სავსებით «დაძლია» ძველი შეცდომები მოხუცი ენგელსისა, რომელიც აღტაცებით აქებ-ადიდებდა ძალდატანებითი რევოლუციების აღმზრდელობითს მოქმედებას[42]. მან, როგორც «სერიოზულმა» ისტორიკოსმა, სავსებით უარყო იმათი შეცდომები, ვინც ამბობდა, რომ სამოქალაქო ომი აწრთობს ექსპლოატირებულთ, ასწავლის მათ შექმნან ახალი საზოგადოება უ ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ ე ბ ო დ.

მარგალიტი ნომერი მეოთხე. იყო თუ არა პროლეტარეებისა და მეშჩანების დიქტატურა 1789 წლის რევოლუციაში ისტორიულად დიადი და სასარგებლო? არაფერი ამის მსგავსი. ვინაიდან მას მოჰყვა ნაპოლეონი. «დაბალი ფენების დიქტატურა გზას უკაფავს ხმლის დიქტატურას» (გვ. 26) — — — ჩვენი «სერიოზული» ისტორიკოსი, — ისევე როგორც ყველა ლიბერალი, რომელთა ბანაკშიც ის გადავიდა, — მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც «დაბალი ფენების დიქტატურა» არ უნახავთ, — მაგალითად, გერმანიაში, ხმლის დიქტატურა არ ყოფილა. გერმანია არასოდეს არ განსხვავდებოდა საფრანგეთისაგან ხმლის უფრო ტლანქი, უფრო საზიზღარი დიქტატურით, — ყოველივე ეს ცილისწამებაა, მოგონილი მარქსისა და ენგელსის მიერ, რომლებიც უსინდისოდ ტყუოდნენ, როცა ამბობდნენ, რომ დღემდე საფრანგეთის «ხალხში» ჩაგრულთა მეტი თავისუფლებისმოყვარეობა და სიამაყეა, ვიდრე ინგლისში ან გერმანიაში, და რომ ამას საფრანგეთი სწორედ თავის რევოლუციებს უნდა უმადლოდესო.

... მაგრამ კმარა! საჭირო იქნებოდა ცალკე ბროშურის დაწერა, რომ გაგვერჩია საზიზღარი რენეგატი კაუცკის რენეგატობის ყველა მარგალიტი.

* *
*

არ შეიძლება არ შევჩერდეთ ბატონ კაუცკის «ინტერნაციონალიზმზე». კაუცკიმ უნებლიეთ სრული ნათელი მოჰფინა მას, — სახელდობრ იმით, რომ უაღრესად თანამგრძნობი გამოთქმებით დაგვიხატა მენშევიკების ინტერნაციონალიზმი, — ისინიც ხომ ციმერვალდელები[43] არიან, — გვარწმუნებს ენატკბილი კაუცკი, ისინიც ხომ ბოლშევიკების «ძმები» არიან, — ხუმრობა არ გეგონოთ!

აი მენშევიკების «ციმერვალდიზმის» ეს მოშაქრული გამოსახვა:

«მენშევიკებს საყოველთაო ზავი უნდოდათ. მათ უნდოდათ, რომ ყველა მეომარ მხარეს მიეღო ლოზუნგი: უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. ვიდრე ეს მიღწეული არ იქნებოდა, რუსეთის არმია, მათი აზრით, საბრძოლოდ გამზადებული უნდა ყოფილიყო»... ხოლო უხეირო ბოლშევიკებმა არმიის «დეზორგანიზაცია მოახდინეს» და ბრესტის უხეირო ზავი შეკრეს... და კაუცკი ცხადზე უცხადესად ამბობს, რომ საჭირო იყო დამფუძნებელი კრების დატოვება, ბოლშევიკებს ხელთ არ უნდა აეღოთ ძალაუფლებაო.

ამრიგად, ინტერნაციონალიზმი ის ყოფილა, რომ მხარი უ ნ დ ა დ ა უ ჭ ი რ ო «ს ა კ უ თ ა რ» იმპერიალისტურ მთავრობას, როგორც მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები კერენსკის, უნდა დაფარო მისი საიდუმლო ხელშეკრულებანი და ატყუო ხალხი მოთაფლული ფრაზით: ჩვენ «მოვითხოვთ» მხეცებისაგან, რომ ისინი გულკეთილნი გახდნენ, ჩვენ «მოვითხოვთ» იმპერიალისტური მთავრობებისაგან, რომ მათ «მიიღონ ლოზუნგი — უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ».

კაუცკის აზრით, ეს არის ინტერნაციონალიზმი.

ჩვენი აზრით კი, ეს სრული რენეგატობაა.

ინტერნაციონალიზმი—ეს არის კავშირის გაწყვეტა ს ა კ უ თ ა რ სოციალ-შოვინისტებთან (ე. ი. ობორონცებთან) და

საკუთარ იმპერიალისტურ მთავრობასთან, ეს არის რევოლუციური ბრძოლა მის წინააღმდეგ, მისი დამხობა, მზადყოფნა, რომ გაიღო უდიდესი ეროვნული მსხვერპლი (დასდო ბრესტის ზავიც კი), თუ ეს სასარგებლოა ინტერნაციონალური მუშათა რევოლუციის განვითარებისათვის.

ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ კაუცკი და მისი კომპანია (როგორიც არიან შტრებელი, ბერნშტეინი და სხვ.) ძალიან «აღშფოთებულნი» იყვნენ ბრესტის ზავის დადებით: მათ სურდათ, რომ ჩვენ გაგვეკეთებინა ისეთი «ჟესტი»... რომელიც რუსეთში ძალაუფლებას მყისვე ბურჟუაზიას ჩაუგდებდა ხელთ! ეს გონებაჩლუნგი, მაგრამ კეთილი და ენატკბილი გერმანელი მეშჩანები იმით კი არ ხელმძღვანელობდნენ, რომ პროლეტარულ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელმაც მსოფლიოში პირველად რევოლუციურად დაამხო თავისი იმპერიალიზმი, გაეძლო ევროპის რევოლუციამდე და ხანძარი გაეღვიებინა სხვა ქვეყნებში (მეშჩანებს ეშინიათ ევროპის ხანძრისა, ეშინიათ სამოქალაქო ომისა, რომელიც «სიმშვიდესა და უშიშროებას» არღვევს). არა. ისინი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ უველა ქვეყანაში იყოს მეშჩანური ნაციონალიზმი, რომელიც თავს აცხადებს «ინტერნაციონალიზმად» თავისი «ზომიერებისა და წესიერებისათვის». დეე, რუსეთის რესპუბლიკა დარჩენილიყო ბურჟუაზიული და... დალოდებოდა... მაშინ ყველანი ქვეყნად კეთილი, ზომიერი, არადამპყრობი ნაციონალისტი-მეშჩანები იქნებოდნენ, და სწორედ ეს იქნებოდა ინტერნაციონალიზმი!

ასე ფიქრობენ კაუცკიანელები გერმანიაში, ლონგეტისტები საფრანგეთში, დამოუკიდებლები (I. L. P.) ინგლისში, ტურატი და რენეგატობით «ძმანი» მისნი იტალიაში და ასე შემდეგ და ასე ამგვარად.

ახლა მხოლოდ სულ გამოტვინებულ ბრიყვებს შეუძლიათ არ დაინახონ, რომ ჩვენ არათუ მართალნი ვიყავით, როცა ჩვენს ბურჟუაზიას (და მის ლაქიებს, მენშევიკებსა და ესერებს) ვამხობდით, არამედ მართალნი ვიყავით მაშინაც, როცა ბრესტის ზავს ვდებდით მას შემდეგ, რაც საყოველთაო

ზავისადმი აშკარა მოწოდება, საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებითა და უკუგდებით განმტკიცებული, უარყო შეთანხმების (ანტანტის) ბურჟუაზიამ. ჯერ ერთი, ბრესტის ზავი რომ არ დაგვედო, ჩვენ ძალაუფლებას მაშინვე ჩავუგდებდით ხელში რუსეთის ბურჟუაზიას და ამით უდიდეს ვნებას მივაყენებდით მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას. მეორეც, ნაციონალური მსხვერპლის გაღების ფასად ჩვენ ისეთი ინტერნაციონალური რევოლუციური გავლენა შევინარჩუნეთ, რომ ახლა აი პირდაპირ გვბაძავს ჩვენ ბულგარეთი, დუღს ავსტრია და გერმანია, დასუსტებულია ორივე იმპერიალიზმი, ჩვენ კი გავმაგრდით და დავიწყეთ ნამდვილი პროლეტარული არმიის შექმნა.

რენეგატ კაუცკის ტაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ გერმანელმა მუშებმა ახლა უნდა დაიცვან სამშობლო, ბურჟუაზიასთან ერთად, და რომ მათ ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეთ გერმანიის რევოლუციისა, ვინაიდან ინგლისელები შეძლებდნენ თავს მოეხვიათ მისთვის ახალი ბრესტი. სწორედ ეს არის რენეგატობა. სწორედ ეს არის მეშჩანური ნაციონალიზმი.

ჩვენ კი ვამბობთ: უკრაინის დაპყრობა უდიდესი ნაციონალური მსხვერპლი იყო, ხოლო უკრაინის პროლეტარები და უღარიბესი გლეხები მან გამოაწრთო და გააძლიერა, როგორც ინტერნაციონალური მუშათა რევოლუციისათვის რევოლუციური მებრძოლნი. უკრაინა დაზარალდა — ინტერნაციონალურმა რევოლუციამ მოიგო—«გახრწნა» გერმანელთა ჯარი, დააუძლურა გერმანიის იმპერიალიზმი, ერთმანეთს დაუახლოვა გერმანელი, უკრაინელი და რუსი რევოლუციონერი მუშები.

რა თქმა უნდა, «უფრო სასიამოვნო» იქნებოდა, ჩვენ რომ უბრალო ომით შეგვეძლოს დავამხოთ ვილჰელმიცა და ვილსონიც. მაგრამ ეს ბოდვაა. გარეშე ომით მათი დამხობა ჩვენ არ შეგვიძლია. მათი შინაგანი რღვევის გაძლიერება კი ჩვენ შეგვიძლია. ჩვენ ამ მხრივ უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ საბჭოთა, პროლეტარული, რევოლუციით.

კიდევ უფრო მეტად მიაღწევდნენ ასეთ წარმატებას გერმანელი მუშები, მათ რომ რევოლუცია მოეხდინათ და არ დ ა რ ი დ ე ბ ო დ ნ ე ნ ნაციონალურ მსხვერპლს (სწორედ ეს არის ინტერნაციონალიზმი), მათ რომ ეთქვათ (და ს ა ქ მ ი თ დაედასტურებინათ), რომ მათთვის საერთაშორისო მუშათა რევოლუციის ინტერესი უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა დგას, ვიდრე ამა თუ იმ, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ თ ა ვ ი ს ი, ნაციონალური სახელმწიფოს მთლიანობა, უშიშროება, სიმშვიდე.

* *
*

ევროპის უდიდესი უბედურება და საშიშროება ის არის, რომ იქ ა რ ა რ ი ს რევოლუციური პარტია. არის შეიდემანების, რენოდელების, ჰენდერსონების, ვებების და მათი კომპანიის მსგავსი გამცემლების, ანდა ლაქიური სულის მქონეთა — კაუცკის მსგავსთა პარტიები. არ არის რევოლუციური პარტია.

რა თქმა უნდა, მასების მძლავრ რევოლუციურ მოძრაობას შეუძლია გამოასწოროს ეს ნაკლი, მაგრამ იგი უდიდეს უბედურებად და უდიდეს საფრთხედ რჩება.

ამიტომ საჭიროა ყოველნაირად ვამხილოთ კაუცკის მსგავსი რენეგატები და ამით ხელი შევუწყოთ ნამდვილად ინტერნაციონალისტი პროლეტარების რევოლუციურ ჯ გ უ ფ ე ბ ს, რომლებიც ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში არიან. პროლეტარიატი მალე შეაქცევს ზურგს გამცემლებსა და რენეგატებს და გაჰყვება ამ ჯგუფებს, აღზრდის მათგან თავის ბელადებს. ტყუილად კი არ ღმუის ყველა ქვეყნის ბურჟუაზია «მსოფლიო ბოლშევიზმზე».

მსოფლიო ბოლშევიზმი დაამარცხებს მსოფლიო ბურჟუაზიას.

1918. 9. X.

«პრავდა» № 219, 1918 წ. 11 ოქტომბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 22 ოქტომბერს [44]

(მ ქ უ ხ ა რ ე, დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ტ ა შ ი დ ა «ვ ა-შ ა ს» ძ ა ხ ი ლ ი.) ამხანაგებო, მე მგონია, რომ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა, მთელი მისი წინააღმდეგობრივობის მიუხედავად, შეიძლება გამოიხატოს, ჯერ ერთი, იმით, რომ ჩვენ არასოდეს არა ვყოფილვართ ისე ახლოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ახლა ვართ, და, მეორეც, ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ უფრო საშიშ მდგომარეობაში, ვიდრე ახლა ვართ. აი ამ ორ დებულებაზე, განსაკუთრებით მეორეზე, მსურს დღეს უფრო დაწვრილებით შევჩერდე. მე ვფიქრობ, რომ ფართო მასებს საეჭვოა შეგნებული ჰქონდეთ მთელი ის საშიშროება, რომელიც ჩვენ გვიახლოვდება, ხოლო რადგან ჩვენ შეგვიძლია ვიმოქმედოთ მხოლოდ მაშინ, თუ ფართო მასებს ვეყრდნობით, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ამ მასებს უთხრან ახლანდელი მდგომარეობის მთელი სიმართლე, რაც უნდა მძიმე იყოს დროდადრო ეს მდგომარეობა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ ახლოს ვართ საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციასთან, ეს არა ერთხელ თქმულა, და ამიტომ ამაზე მოკლედ ვიტყვი. მართლაც, ერთ-ერთი მთავარი საყვედური, რასაც გამოთქვამდნენ საბჭოთა

ხელისუფლების წინააღმდეგ არა მარტო ბურჟუაზია, არამედ წვრილბურჟუაზიული ფენებიც, რომლებსაც სოციალიზმის რწმენა დაუკარგავთ, აგრეთვე ბევრი ეგრეთწოდებული სოციალისტი, რომლებიც მშვიდობიან დროს შეეჩვივნენ და რომლებსაც სოციალიზმი არ სწამდათ, — საყვედური, რასაც ყველა ისინი გამოთქვამდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ის არის, რომ ჩვენ, ვახორციელებთ რა სოციალისტურ გადატრიალებას რუსეთში, ვახდენთ მას საეგებიოდ, ვინაიდან დასავლეთში რევოლუცია ჯერ კიდევ არ მომწიფებულაო.

ამხანაგებო, ახლა, ომის მეხუთე წელს, იმპერიალიზმის საყოველთაო კრახი თვალსაჩინო ფაქტია; ახლა ყველასათვის ცხადი ხდება, რომ რევოლუცია ყველა მეომარ ქვეყანაში გარდუვალია. ჩვენ კი, რომელთა არსებობას თავდაპირველად დღეებით ან კვირეებით ფარგლავდნენ, რევოლუციის ამ წლის განმავლობაში ისე ბევრი რამ გავაკეთეთ, როგორც ქვეყნად არც ერთ პროლეტარულ პარტიას არასოდეს არ გაუკეთებია. ჩვენი რევოლუცია მსოფლიო მოვლენა აღმოჩნდა. ბოლშევიზმი რომ ახლა მსოფლიო მოვლენაა, ამას მთელი ბურჟუაზიაც ლაპარაკობს, და ამ აღიარებიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენი რევოლუცია აღმოსავლეთიდან მოედო დასავლეთს და იქ სულ უფრო და უფრო მომზადებულ ნიადაგს ხვდება. თქვენ იცით, რომ იფეთქა რევოლუციამ ბულგარეთში. ბულგარელმა ჯარისკაცებმა იწყეს საბჭოების შექმნა. ახლა მოდის ცნობები, რომ სერბიაშიც იქმნება საბჭოები. თუმცა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ათას სიკეთეს ჰპირდება ხალხებს, თუ ისინი აჯანყდებიან და გერმანიას ჩამოშორდებიან, თუმცა ბევრი რამის დაპირებას იძლევიან ქვეყნად ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი კაპიტალისტები ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთისა, აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზია სხვადასხვა პატარა სახელმწიფოებისა, რომლებადაც ავსტრია ახლა ნაწილდება, რომ ეს ბურჟუაზია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაძლებს, რომ მისი ბატონობა, მისი ძალაუფლება ამ სახელმწიფოებში მეტად ხანმოკლე, წარმავალი

მოვლენა იქნება, იმიტომ რომ ყველგან უკაკუნებს კარს მუშათა რევოლუცია.

ცალკეული ქვეყნების ბურჟუაზიას ესმის, რომ იგი იძულებული გახდება თავის სახელმწიფოებში უცხოელთა ხიშტების დახმარებით გაძლოს. და ეს არა მარტო ავსტრიაში, არამედ გერმანიაშიც, რომელთა მდგომარეობა სულ ამ ცოტა ხნის წინათ მტკიცე ჩანდა, — ჩვენ ვხედავთ, რომ დაიწყო რევოლუცია. ჩვენ იქიდან მოგვდის ცნობები, გერმანული პრესა უკვე ლაპარაკობს კაიზერის გადადგომაზე, ხოლო დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების პარტიის[45] პრესამ უკვე მიიღო კანცლერისაგან ნებართვა ილაპარაკოს გერმანიის რესპუბლიკაზე. ეს ხომ რამეს ნიშნავს. ჩვენ ვიცით, რომ ჯარების რღვევა გაძლიერდა, რომ იქ ავრცელებენ აშკარა მოწოდებებს ჯარების აჯანყებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში შექმნილია სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები, ისინი აქვეყნებენ რევოლუციურ გამოცემებს, რომლებიც არევოლუციურებენ ჯარისკაცებს. ამიტომ სრული გარკვეულობით შეიძლება ითქვას, რომ რევოლუცია მწიფდება არა დღეობით, არამედ საათობით, და ამას ვამბობთ არა მარტო ჩვენ, — არა, ამას ამბობს სწორედ ყველა გერმანელი სამხედრო პარტიიდან და ბურჟუაზიიდან, რომელნიც გრძნობენ, რომ მინისტრთა მდგომარეობა მტკიცე არაა, რომ მათ ხალხი არ ენდობა, რომ ისინი თავიანთ მთავრობაში ძალიან ცოტა ხანს თუ შეიმაგრებენ თავს. ამას ამბობს ყველა, ვინც კი იცის საქმეთა ვითარება: იმდენად გარდუვალია სახალხო რევოლუცია გერმანიაში, და, იქნებ, პროლეტარული რევოლუციაც კი.

ჩვენ ჩინებულად ვიცით, თუ რა დიდი პროლეტარული მოძრაობა შეიქმნა სხვა ქვეყნებშიც. ჩვენ ვნახეთ, რომ ჰომპერსი გამოჩნდა იტალიაში, რომ მან შეთანხმების სახელმწიფოთა ფულით, იტალიის ბურჟუაზიის და სოციალ-პატრიოტების დახმარებით შემოიარა იტალიის ყველა ქალაქი და რომ ის იტალიელ მუშებს უქადაგებდა განეგრძოთ იმპერიალისტური ომი. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ დროს იტალიური

სოციალისტური პრესა ათავსებდა ამაზე შენიშვნებს, რომლებშიც მხოლოდ ჰომპერსის სახელი რჩებოდა, ყოველივე დანარჩენს კი ცენზურა შლიდა, ან ათავსებდნენ შენიშვნებს, რომლებშიც იცინოდნენ: «ჰომპერსი ბანკეტებში მონაწილეობს და ლაყბობსო». ბურჟუაზიულმა პრესამ კი აღიარა, რომ ჰომპერსს ყველგან სტვენით შეხვდნენ. ბურჟუაზიული პრესა წერდა: «იტალიელი მუშები ისე იქცევიან, რომ ისინი, თითქოს, მხოლოდ ლენინსა და ტროცკის მისცემდნენ ნებას იტალიაში ემოგზაურნათო». იტალიის სოციალისტურმა პარტიამ [46] ომის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, ე. ი. მარცხნივ. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთში მუშებს შორის ძალიან ბევრი იყო პატრიოტი; მათ ეუბნებოდნენ, პარიზსა და საფრანგეთის ტერიტორიას დიდი საფრთხე ემუქრებაო. მაგრამ იქაც იცვლება პროლეტარიატის მოქმედების ხაზი. უკანასკნელ ყრილობაზე [47], როდესაც კითხულობდნენ წერილს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ მოკავშირეები, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები, გაისმა შეძახილები: გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას. ხოლო გუშინ იყო ცნობა, რომ პარიზში შედგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2 000 მელითონე და რომელიც მიესალმა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის სამი სოციალისტური პარტიიდან [48] მხოლოდ ერთი, დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია, არ ხდება აშკარად ბოლშევიკების მოკავშირე, ხოლო ბრიტანეთის სოციალისტური პარტია და შოტლანდიის სოციალისტური მუშათა პარტია გარკვევით აცხადებენ თავს ბოლშევიკების მომხრეებად. ინგლისშიც იწყებს გავრცელებას ბოლშევიზმი, ხოლო ესპანეთის პარტიები, რომლებიც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მხარეზე იდგნენ, რომელთა შორის ომის დასაწყისში იპოვნიდით ერთ ან ორ კაცს, ვისაც შორეული წარმოდგენა ჰქონდა ინტერნაციონალისტებზე, ყველა ეს პარტია თავის ყრილობაზე მიესალმება რუს ბოლშევიკებს [49]. ბოლშევიზმი საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო თეორია და ტაქტიკა გახდა! (ტ ა შ ი). ბოლშევიზმმა გააკეთა ის, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე

მოხდა მწყობრი სოციალისტური რევოლუცია, რომ ფაქ-ტიურად, სინამდვილეში, სოციალისტებს შორის გათიშვა ხდება იმ საკითხის გამო, ბოლშევიკების მხარეზე იყვნენ თუ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიზმმა გააკეთა ის, რომ ისმება პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის პროგრამა. მუშები, რომლებმაც არ იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაა რუსეთში, რადგან ისინი მხოლოდ სიცრუითა და ცილისწა-მებით აღსავსე ბურჟუაზიულ გაზეთებს კითხულობდნენ, თან-დათან ერკვევიან საქმეში, რაკი ხედავენ, რომ პროლეტარული მთავრობა ზედიზედ იმარჯვებს თავის კონტრრევოლუციო-ნერებზე, რაკი ხედავენ, რომ ამ ომიდან არ არის სხვა გამოსავა-ლი, გარდა ჩვენი ტაქტიკისა, გარდა ჩვენი მუშათა მთავრობის რევოლუციური მოქმედებისა. და თუ გასულ ოთხშაბათს ბერ-ლინში იყო დემონსტრაცია, და მუშები გამოთქვამდნენ თავიანთ აღშფოთებას კაიზერის მიმართ და ცდილობდნენ მისი სასახლის წინ გაევლოთ, შემდეგ ისინი გაემართნენ რუსეთის საელჩოსაკენ და ცდილობდნენ გამოეთქვათ თავი-ანთი სოლიდარობა რუსეთის მთავრობის მოქმედებასთან.

აი სად მივიდა ევროპა ომის მეხუთე წელს! სწორედ ამი-ტომ ვამბობთ, რომ არასოდეს არ ვყოფილვართ ასე ახლოს მსოფლიო რევოლუციასთან, არასოდეს არ ყოფილა ასე აშკარა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა ცხადყო თავისი ძლიერება, და ასე ნათელი, რომ ჩვენ გამოგვყვებიან მსოფ-ლიო პროლეტარიატის მილიონობით და ათეული მილიონო-ბით მასები. აი, ვიმეორებ, რატომ არის, რომ ჩვენ ასე ახლოს არასოდეს არ ვყოფილვართ საერთაშორისო რევოლუ-ციასთან, და არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მდგომარეობა ესოდენ სახიფათო, რადგან წინათ ბოლშევიზმს არასოდეს არ უწევდნენ ანგარიშს, როგორც მსოფლიო ძალას. ეგო-ნათ, რომ ბოლშევიზმი შედეგია მხოლოდ რუსი ჯარისკაცე-ბის დაღლილობისა, რომ იგი არის ომით დაღლილ რუს ჯარისკაცთა უკმაყოფილების აზვირთება, და როგორც კი გაივლის ეს უკმაყოფილება და დამყარდება თუნდაც ყველაზე

ძალმომრეობითი ზავი, მაშინ ყოველი ნაბიჯი სახელმწიფოებრივი შემოქმედებისაკენ და სოციალისტური რეფორმებისაკენ დათრგუნვილი იქნებაო. ყველა იყო ამაში დარწმუნებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ როგორც კი იმპერიალისტური ომიდან, რომელიც ყველაზე ძალმომრეობითი ზავით დამთავრდა, ჩვენ გადავედით სახელმწიფოებრივი შემოქმედების პირველი ნაბიჯებისაკენ, როგორც კი ჩვენ მივიღეთ შესაძლებლობა მიგვეცა გლეხებისათვის საშუალება ნამდვილად ეცხოვრათ უმემამულეებოდ და დაემყარებინათ თავიანთი ურთიერთობა მემამულეთა წინააღმდეგ, დარწმუნებულიყვნენ სინამდვილეში, რომ ისინი თავიანთ ცხოვრებას აშენებენ ჩამორთმეულ მიწაზე არა კულაკებისათვის და არა ახალი კაპიტალისტებისათვის, არამედ ნამდვილად თვითონ მშრომელებისათვის, როგორც კი მუშებმა დაინახეს, რომ მათ მიიღეს შესაძლებლობა აშენონ თავიანთი ცხოვრება უკაპიტალისტებოდ, ისწავლონ ის საძნელო, მაგრამ დიადი საქმე, ურომლისოდაც ისინი ვერასოდეს ვერ დააღწევენ თავს ექსპლოატაციას, — მაშინ ყველასათვის ნათელი გახდა, და პრაქტიკულადაც აღმოჩნდა, რომ ვერავითარი ძალა, ვერავითარი კონტრრევოლუცია ვერ დაამხობს საბჭოთა ხელისუფლებას.

იმისათვის, რომ ჩვენ რუსეთში ამ რწმენამდე მივსულიყავით, მთელი თვეები დაგვჭირდა. ამბობენ, რომ სოფლად მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში და მხოლოდ შემოდგომისათვის გაერკვნენ გლეხები ჩვენი რევოლუციის აზრსა და მნიშვნელობაში. ქალაქად ეს შეგნება დიდი ხანია იყო, მაგრამ იგი რომ ყოველ მაზრამდე, ყოველ მივარდნილ თემამდე და სოფლამდე მისულიყო, გლეხს რომ არა წიგნაკებიდან და სიტყვებიდან, არამედ საკუთარი ცხოვრებით დაენახა, რომ მიწას უნდა იღებდეს მშრომელი და არა კულაკი, და რომ კულაკთან საჭიროა ბრძოლა, რომ კულაკი უნდა დაამარცხო საკუთარი ორგანიზაციით, რომ აჯანყების ტალღას, რამაც მთელ ქვეყანას გადაუარა ამა წლის ზაფხულში, მხარს უჭერდნენ მემამულეები, კულაკები და თეთრგვარდიელები, რომ საკუთარი გამოცდი-

ლებით, თავისი კუზით, თავისი ზურგით განგეცადა დამ-ფუძნებელი კრების ძალაუფლება, — ამისათვის საჭირო იყო მრავალი და მრავალი თვე, და სოფელი ახლა გამოდის გამო-წრთობილი, და ღარიბ გლეხთა მასებმა, რომლებიც სხვის ნაშრომს არ იტაცებენ, მხოლოდ ახლა დაინახეს არა წიგნა-კებიდან, რომლებიდანაც მშრომელი მასები ვერასოდეს ვერ მიიღებენ მტკიცე რწმენას, არამედ საკუთარი გამოცდილებით დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ექსპლოატირე-ბულ მშრომელთა ხელისუფლება და რომ არის შესაძლებ-ლობა — ყოველი სოფელი შეუდგეს ახალი, სოციალისტური რუსეთის საძირკვლის ჩაყრას. საჭირო იყო მრავალი თვე, რათა დანარჩენ რუსეთშიც 1918 წლის შემდეგ ჩვენ შეგვძლე-ბოდა დაბეჯითებით გვეთქვა ფაქტიურ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ადამიანთა ცნობების მიხედვით, რომ არ არის ისეთი მივარდნილი სოფელი, სადაც არ იცოდნენ, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება, და არ იცავდნენ მას,. რადგან სოფელმა დაინახა მთელი საფრთხე, რომელიც მას ემუქრება კაპიტალისტებისა და მემამულეების მხრივ, დაინახა სოცია-ლისტური გარდაქმნის სიძნელეც, მაგრამ კი არ შეშინებულა, არამედ უთხრა თავის თავს: ათეულ მილიონობით ხელს მოვახმართ ამ სამუშაოს, ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ და კიდევ ბევრ რამეს ვისწავლით. ამას ამბო-ბენ ახლა რუსეთში სრული რწმენით, თავისი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, ათეულ და ათეულ მილიონო-ბით ადამიანები.

მხოლოდ ახლა ხდება ცხადი დასავლეთ ევროპის ბურ-ჟუაზიისთვისაც, რომელიც დღემდე სერიოზულ ანგარიშს არ უწევდა ბოლშევიკებს, მხოლოდ ახლა ხდება მისთვის ცხადი, რომ აქ, ჩვენში, შეიქმნა ერთადერთი მტკიცე ხელის-უფლება, რომელიც მშრომელ მასებთან ერთად მიდის და რომელსაც შეუძლია მათში თავდადების ნამდვილი გმირობა გამოიწვიოს. და როდესაც ამ პროლეტარულმა ხელისუფლე-ბამ იწყო ევროპის აგზნება, როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს სრულიადაც არ არის რუსეთის რაიმე თავისებურება და რომ

ოთხი წლის ომმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია არმიის რღვევა, — წინათ კი ამბობდნენ, მხოლოდ რუსეთს შეეძლო თავისი ჩამორჩენილობისა და მოუმზადებლობის გამო იქამდე მისვლა, რომ ომის მეოთხე წელს მისი არმია გაიქც-გამოიქცა, — განა ეს შესაძლებელი იქნებოდა ცივილიზებულ პარლამენტურ ქვეყნებშიო?

ახლა კი ყველა ხედავს, რომ მსოფლიო ომის ოთხი წლის შემდეგ, როდესაც მილიონობით ადამიანი გაჟლეტილი და დასახიჩრებულია იმისათვის, რომ კაპიტალისტებს შეეძლოთ გამდიდრდნენ, როცა ვხედავთ ათეულ ათასობით დეზერტირს, — ეს არაჩვეულებრივი მოვლენა შესამჩნევია არა მარტო რუსეთსა და ავსტრიაში, არამედ თავისი წესრიგით მოტრაბახე გერმანიაშიც, — აი როდესაც ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მსოფლიო ბურჟუაზიამ დაინახა, რომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს უფრო სერიოზულ მტერს, და იწყო დარაზმვა, და რაც უფრო ვუახლოვდებოდით ჩვენ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას, მით უფრო ირაზმებოდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზია.

ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ ისევ განზე უდგანან რევოლუციას, როგორც ბოლშევიკებს ოქტომბერში განზე ედგნენ კოალიციის მინისტრები და ამბობდნენ, რუსეთში ბოლშევიკურ ხელისუფლებამდე საქმე არ მივაო. მაგალითად, საფრანგეთში ამბობდნენ, ბოლშევიკები ერთი მუჭა გამცემლები არიან, რომლებმაც გერმანელებს მიჰყიდეს თავიანთი ხალხი. ფრანგი ბურჟუები ასე რომ ლაპარაკობენ — ეს მათთვის უფრო მისატევებელია, ვიდრე მემარცხენე ესერებისათვის, რადგან ისინი იმიტომაც არიან ბურჟუები, რომ მილიონები ხარჯონ სიცრუის გამოგონებაზე. მაგრამ როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ დაინახა ბოლშევიზმის განვითარება საფრანგეთში და რომ ის პარტიებიც კი, რომლებიც რევოლუციურნი არ იყვნენ, გამოვიდნენ ბოლშევიკების სასარგებლოდ რევოლუციური ლოზუნგით, მაშინ მან დაინახა, რომ მის წინაშე უფრო საშიში მტერია: იმპერიალიზმის კრახი და მუშების ძალთა უპირატესობა რევოლუციურ

ბრძოლაში. ყველამ იცის, რომ პროლეტარული რევოლუციისათვის იმპერიალისტური ომის გამო ამჟამად განსაკუთრებით დიდი საშიშროებაა, იმიტომ რომ [პროლეტარული რევოლუცია ყველა ქვეყანაში არათანაბრად იზრდება, რადგან ყველა ქვეყანა პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა პირობებში იმყოფება, და პროლეტარიატი ერთ ქვეყანაში ძალიან დასუსტებულია, ხოლო მეორე ქვეყანაში უფრო ძლიერია.] თუ ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის ზედაფენა სუსტია, სამაგიეროდ სხვა ქვეყნებში არის ხოლმე, რომ ბურჟუაზია დროებით ახერხებს მუშების გათიშვას, როგორც ეს მოხდა ინგლისსა და საფრანგეთში, — აი რატომ ვითარდება პროლეტარული რევოლუცია არათანაბრად, და აი რატომ დაინახა ბურჟუაზიამ, რომ მის ყველაზე ძლიერ მტერს რევოლუციური პროლეტარიატი წარმოადგენს. ბურჟუაზია ირაზმება, რათა შეაჩეროს მსოფლიო იმპერიალიზმის კრახი.

ახლა ჩვენი მდგომარეობა შეიცვალა, და მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდება. თავდაპირველად იყო ორი ჯგუფი იმპერიალისტი მტაცებლებისა, რომლებიც ცდილობდნენ ერთმანეთი მოესპოთ, მაგრამ ახლა მათ შეამჩნიეს, განსაკუთრებით გერმანიის იმპერიალიზმის მაგალითზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისისა და საფრანგეთის თანაბარი ძალის მქონედ თვლიდა თავს, რომ მათი მთავარი მტერი რევოლუციური პროლეტარიატია. ახლა, როდესაც გერმანიას შიგნიდან არღვევს რევოლუციური მოძრაობა, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს თავი მსოფლიოს მბრძანებლად მიაჩნია. იქ დარწმუნებული არიან, რომ იმპერიალიზმის მთავარი მტერია ბოლშევიზმი და მსოფლიო რევოლუცია. რაც უფრო ძლიერ ვითარდება რევოლუცია, მით უფრო ძლიერ ირაზმება ბურჟუაზია. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი ჩვენგანი, განსაკუთრებით ბევრნი ფართო მასიდან, რომლებიც, რაკი ახლა დარწმუნდნენ, რომ მათ შეუძლიათ დაამარცხონ ჩვენი კონტრრევოლუციონერები, კაზაკობა, ოფიცრობა და ჩეხოსლოვაკები, ფიქრობენ, რომ ამით საქმე

გაკეთებულია, — მათ არ ესმით, რომ ახლა ეს ჩვენთვის ცოტაა, — არის ახალი მტერი, რომელიც გაცილებით უფრო საშიშია: ეს მტერია ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი. მას დღემდე არცთუ ძალიან ბევრი წარმატება ჰქონდა რუსეთში, — მაგალითად, არხანგელსკში გადმოსხმისას. ერთ-ერთი ფრანგი მწერალი, რომელიც სცემდა გაზეთს, — მან ამ გაზეთს «გამარჯვება» [30] უწოდა, — ამბობდა, რომ საფრანგეთისათვის ცოტაა გერმანელებზე გამარჯვება, რომ მისთვის საჭიროა აგრეთვე გაიმარჯვოს ბოლშევიზმზე და რომ ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ — ეს როდია შეტევა გერმანიაზე, არამედ არის ლაშქრობა ბოლშევიკური რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ და იმ გადამდები სენის წინააღმდეგ, რომელიც მთელ მსოფლიოში ვრცელდებაო.

აი რატომ ჩნდება ჩვენთვის ამჟამად ახალი საფრთხე, რომელიც ჯერ კიდევ მთლად არ გაშლილა და მთლად არ ჩანს. რომელსაც ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები მალულად ამზადებენ; ეს ჩვენ უფრო ნათლად უნდა შევიგნოთ, რათა მასების ხელმძღვანელთა მეშვეობით ამ საფრთხის შეგნება შევიტანოთ მასებში, რადგან ინგლისელებსა და ფრანგებს არც ციმბირში, არც არხანგელსკში არ ჰქონიათ დიდი წარმატება, — პირიქით, მათ მთელი რიგი დამარცხებანი განიცადეს, მაგრამ ისინი ახლა იქითკენ წარმართავენ ღონისძიებებს, რომ თავს ღაესხან რუსეთს სამხრეთიდან, ან დარდანელიდან, ან შავი ზღვიდან, ან სახმელეთო გზით — ბულგარეთსა და რუმინეთზე გამოვლით. რადგან ეს ადამიანები სამხედრო საიდუმლოებებს იცავენ და ისე მოქმედებენ, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამდენად მომზადებულია ეს ლაშქრობა და ამ ორი გეგმიდან რომელია მათ მიერ არჩეული, ან შეიძლება მესამე გეგმაც იყოს; საფრთხეც სწორედ ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ. მაგრამ ჩვენ სავსებით ზუსტად ვიცით, რომ ეს მზადდება, რომ ამ ქვეყნების პრესა ზოგჯერ არცთუ ძალიან ფრთხილად წერს, რომელიმე ჟურნალისტი აშკარად აცხადებს მთავარ მიზნებს, უკუაგდებს ყოველ ყალბ სიტყვას ერგების კავშირის შესახებ.

გერმანიის მმართველ წრეებში ჩვენ ახლა ნათლად ვხედავთ ორ მიმდინარეობას, ხსნის ორ გეგმას, თუ კიდევ შეიძლება თავის ხსნა. ერთნი ამბობენ: მოვიგოთ დრო, გავაჯანჯლოთ საქმე გაზაფხულამდე, იქნებ, სიმაგრეთა ხაზზე კიდევ შევძლოთ სამხედრო გამკლავებაო; მეორენი თავიანთ მთავარ ხსნას ხედავენ ინგლისსა და საფრანგეთში, მთელ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ინგლისთან და საფრანგეთთან ბოლშევიკების წინააღმდეგ, — მთელი მათი ყურადღება აქეთკენ არის მიმართული. და თუ ვილსონი ახლა ზავის წინადადებას უხეში და ათვალწუნებითი უარით უპასუხებს, ეს ჯერ კიდევ არ აიძულებს ინგლისთან შეთანხმების მაძიებელი გერმანელი კაპიტალისტების პარტიას ხელი აიღოს თავის გეგმებზე. მან იცის, რომ ზოგჯერ შეიძლება არსებობდეს ჩუმი შეთანხმება, რომ, თუ ისინი სამსახურს გაუწევენ ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებს ბოლშევიკების წინააღმდეგ, იქნებ ამ სამსახურისათვის მათ გასამრჯელო მიიღონ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ასე ხდება — სამსახურისათვის საზღაურს იძლევიან. ისინი ფიქრობენ: იქნებ ჩვენ დავეხმაროთ ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებს რაიმე გაძარცვონ, მაშინ ნაძარცვიდან რაიმეს ჩვენც დაგვიტოვებენო. გადაიხადე, რომ შენც გადაგიხადონ — ასეთია კაპიტალისტური სამყაროს მორალი. და მე მგონია, ამ ადამიანებმა, როცა პრეტენზიას აცხადებენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის გარკვეულ ნაწილზე, თვლა იციან და მილიარდებზე ნაკლებს არ ვარაუდობენ. ამ ვაუბატონების ნაწილს ესმის ასეთი ვარაუდი.

არა გვგონია, რომ ასეთი ჩუმი გარიგება უკვე არ მომხდარიყოს გერმანიის ბურჟუაზიასა და შეთანხმების სახელმწიფოთა ბურჟუაზიას შორის. ამ გარიგების არსი ის არის, რომ ინგლისელები და ფრანგები ამბობენ: ჩვენ უკრაინაში მივალთ, მაგრამ ვიდრე იქ ჯერ კიდევ არ არიან ჩვენი საოკუპაციო რაზმები, თქვენ, გერმანელები, ნუ გაიყვანთ თქვენს ჯარებს, თორემ ძალაუფლებას უკრაინაში მუშები დაეპატრონებიან და იქაც საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებსო. აი როგორ მსჯელობენ ისინი, რადგან მათ ესმით, რომ ყველა

ოკუპირებული ქვეყნის — ფინეთის, უკრაინისა და პოლონეთის ბურჟუაზიამ იცის, რომ ეს ნაციონალური ბურჟუაზია ერთ დღესაც კი ვერ გაძლებს, თუ გერმანელთა საოკუპაციო ჯარები წავლენ, და ამიტომ ამ ქვეყნების ბურჟუაზია, რომელიც გუშინ გერმანელებზე ჰყიდდა თავის თავს, გერმანელ იმპერიალისტებთან მიდიოდა მუხლის მოსადრეკად და მათთან სდებდა კავშირს თავისი მუშების წინააღმდეგ, როგორც იქცეოდნენ კავკასიელი მენშევიკები და ესერები თბილისში, — ახლა იგი ყველაზე ჰყიდის თავის სამშობლოს. გუშინ სამშობლოს ჰყიდდნენ გერმანელებზე, ახლა კი ჰყიდიან ინგლისელებსა და ფრანგებზე. აი რა ხდება ფარულად, აი როგორი ვაჭრობა წარმოებს. რაკი ხედავენ, რომ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია იმარჯვებს, ისინი ყველანი მის მხარეზე გადადიან და ამზადებენ გარიგებას ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმთან ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენს ხარჯზე.

როდესაც ისინი ეუბნებიან თავიანთ მომავალ ინგლისელ და ფრანგ ბატონ-მილიარდერს, თქვენს მხარეზე ვდგებითო, ისინი ამბობენ: თქვენი აღმატებულება დაამარცხებს ბოლშევიკებს, უნდა დაგვეხმაროთ, რადგან გერმანელები ჩვენ ვერ გვიხსნიანო. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის ეს შეთქმულება რევოლუციური მუშებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ უფრო და უფრო ნათელი და უტიფრად აშკარა ხდება. და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მივუთითოთ ამ საფრთხეზე ყველა მეომარი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს.

მაგალითისათვის ავიღებ უკრაინას. ჩაუფიქრდით მის მდგომარეობას, ჩაუფიქრდით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ახლანდელ მდგომარეობაში მუშები და შეგნებული კომუნისტები. ერთი მხრივ, ისინი ხედავენ აღშფოთებას გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, უკრაინის საშინელი ძარცვაგლეჯის წინააღმდეგ, მეორე მხრივ — ხედავენ, რომ გერმანელთა ჯარების ნაწილი, და, იქნებ, დიდი ნაწილი, წავიდა. მათ, იქნებ, ებადებათ აზრი — გასაქანი მისცენ დაგუბებულ სიძულვილსა და ღვარძლს და ახლავე, რაც უნდა მოხდეს, თავს დაესხან გერმანელ იმპერიალისტებს. სხვები კი ამბობენ:

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენ საქმეს უნდა ვუყურებდეთ როგორც რუსეთის, ისე გერმანიის თვალსაზრისით; გერმანიის თვალსაზრისითაც კი ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლება იქ ვერ გაძლებს, ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ თუ უკრაინელი მუშებისა და გლეხების გამარჯვებასთან ერთად რუსეთში განმტკიცდება და წარმატებებს მიაღწევს ხელისუფლება, მაშინ სოციალისტური პროლეტარული უკრაინა არათუ გაიმარჯვებს, არამედ უძლეველიც იქნება! ასეთი შეგნებული უკრაინელი კომუნისტები ეუბნებიან თავიანთ თავს: ჩვენ ძალიან ფრთხილნი უნდა ვიყოთ; იქნებ, ხვალ საჭირო გახდეს დავრაზმოთ მთელი ძალები და ყველაფერი გამოვიყენოთ იმპერიალიზმისა და გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. იქნებ, ასე მოხდეს ხვალ, მაგრამ არა დღეს, დღეს კი ვიცით, რომ გერმანელი იმპერიალისტების ჯარები თავისთავად ირღვევა; მათ იციან, რომ უკრაინის ჯარებთან ერთად აღმოსავლეთ პრუსიისა და გერმანიის ჯარებიც სცემენ რევოლუციურ გამოცემებს[51]. ამავე დროს ჩვენი მთავარი ამოცანაა პროპაგანდა გავწიოთ უკრაინის აჯანყების ინტერესებისათვის. ეს ინტერნაციონალური, საერთაშორისო რევოლუციის თვალსაზრისით, იმიტომ რომ ამ ჯაჭვის მთავარი რგოლი არის გერმანული რგოლი, იმიტომ რომ გერმანიის რევოლუცია უკვე მომწიფდა, და ყველაზე მეტად მასზეა დამოკიდებული მსოფლიო რევოლუციის წარმატება.

ჩვენ შევხედავთ, ჩვენმა ჩარევამ არ ავნოს მათ რევოლუციას. უნდა გვესმოდეს ყოველი რევოლუციის ცვლილებანი და მომწიფება. ყოველ ქვეყანაში, — ჩვენ ეს სხვებზე უკეთ ვნახეთ, განვიცადეთ და ვიცით, — ყოველ ქვეყანაში რევოლუცია თავისებური გზით მიდის, და იმდენად სხვადასხვანაირია ეს გზები, რომ მან შეიძლება ერთი წლითაც და ორი წლითაც დაიგვიანოს. მსოფლიო რევოლუცია ისე მწყობრად კი არ ეწყობა, რომ ყველგან, ყველა ქვეყანაში ერთი გზით წავიდეს, — მაშინ ჩვენ უკვე დიდი ხანია გავიმარჯვებდით. ყოველმა ქვეყანამ გარკვეული პოლიტიკური ეტაპები უნდა გაიაროს. ჩვენ ყველგან ვხედავთ შემთანხმებელთა ისეთსავე

მისწრაფებას, მათ ცდებს — ბურჟუაზიასთან ერთად «იხსნან ხალხი ბურჟუაზიისაგან», როგორც იქცეოდნენ ჩვენში წერეთლები და ჩერნოვები, როგორც იქცევიან გერმანიაში შეიდემანელები; საფრანგეთში ამას თავისებურად აკეთებენ. და ახლა, როდესაც რევოლუცია მიადგა გერმანიას, ყველაზე ძლიერი, ორგანიზებულობითა და სიმტკიცით ცნობილი, მუშათა მოძრაობის ქვეყანას, სადაც მუშები მეტ ხანს ითმენდნენ, მაგრამ, იქნებ, მეტი რევოლუციური სიძულვილი დააგროვეს და უკეთ შეძლებენ გაუსწორდნენ თავიანთ მტრებს, ამ მოვლენებში ისეთ ადამიანთა ჩარევამ, რომლებიც არ იცნობენ რევოლუციის აღმავლობის ტემპს, შეიძლება ავნოს იმ შეგნებულ კომუნისტებს, რომლებიც ამბობენ: ჩვენ უწინარეს ყოვლისა ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ეს პროცესი შეგნებული გავხადოთო. ახლა, როდესაც გერმანელი ჯარისკაცი დარწმუნდა, რომ მას დასაკლავად მიერეკებიან და თან ეუბნებიან, სამშობლოს დასაცავად მიდიხარო, სინამდვილეში კი იგი გერმანელ იმპერიალისტებს იცავს, — ახლა ახლოვდება დრო, როდესაც გერმანიის რევოლუცია ისეთი სიძლიერით და ორგანიზებულობით გაჩაღდება, რომ ასობით საერთაშორისო საკითხს გადაწყვეტს. აი რატომ ამბობენ შეგნებული უკრაინელი კომუნისტები: ჩვენ მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებას, მაგრამ ჩვენ შეგნებული უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ მომავალი გვაქვს და გერმანიის რევოლუციასთან ფეხდაფეხ უნდა ვიაროთო.

აი ის სიძნელენი, რომლებიც მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის უკრაინელი კომუნისტების მსჯელობის მაგალითზე. ეს სიძნელენი საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზეც ახდენენ გავლენას. ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამჟამად საერთაშორისო პროლეტარიატი გამოღვიძებულია და უზარმაზარ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა მით უფრო ძნელია იმიტომ, რომ ჩვენი გუშინდელი «მოკავშირე» მხედრდება ჩვენს წინააღმდეგ, როგორც თავისი მთავარი მტრის წინააღმდეგ. ახლა იგი მიდის არა მტრის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ საერთაშორისო ბოლშევიზმის წინააღმდეგ

საბრძოლველად. ახლა, როდესაც სამხრეთის ფრონტზე თავს იყრიან კრასნოვის ჯარები, ჩვენ კი ვიცით, რომ მათ ყუმბარები გერმანელებისაგან მიიღეს, როდესაც ჩვენ ვამხილეთ იმპერიალიზმი ყველა ხალხის წინაშე, ადამიანები, რომლებიც ჩვენ ბრალად გვდებდნენ ბრესტის ზავის დადებას, კრასნოვს გზავნიდნენ გერმანელებისაგან ყუმბარების მისაღებად და ყუმბარებს უშენდნენ რუს მუშებსა და გლეხებს; ახლა ეს ჯარები ყუმბარებს იღებენ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტებისაგან, იღებენ რა, ისევ ვაჭრობენ და ჰყიდიან რუსეთს იმ მილიონერზე, რომელიც მეტს გაიღებს. აი რატომ არ არის ახლა საკმარისი ის საერთო რწმენა, რომელიც ჩვენ შეგვექმნა, — რწმენა, რომ გარდატეხა მოხდა. ჩვენ გვყავს ძველი მტრები, მაგრამ მათ გარდა, სწორედ მათ ზურგს უკან ახლა მათთვის ახალი დახმარება გროვდება. ჩვენ ყოველივე ეს ვიცით, ყოველივე ამას ვხედავთ. რაღაც თებერვალში ან მარტში, სულ ნახევარი წლის წინათ, ჩვენ არმია არა გვყავდა. არმიას ომის წარმოება არ შეეძლო. არმია, რომელმაც ოთხი წლის იმპერიალისტური ომი განიცადა, როდესაც მან არ იცოდა, თუ რისთვის ომობდა, და ბუნდოვანად გრძნობდა, რომ სხვისი ინტერესებისათვის ომობდა, — ეს არმია გაიქცა, და ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ დააკავებდა მას.

ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რაიმედ, თუ მას შეუძლია თავი დაიცვას, მაგრამ რევოლუცია ერთბაშად როდი სწავლობს თავის დაცვას. რევოლუცია მილიონების გამოღვიძება იყო ახალი ცხოვრებისათვის. თებერვალსა და მარტში ამ მილიონებმა არ იცოდნენ, თუ რისთვის მიდიოდნენ იმ ხოცვაჟლეტის განსაგრძობად, რომლის მოსახდენად ისინი გარეკეს მეფეებმა და კერენსკებმა და რომლის მიზანი მხილებულ იქნა მხოლოდ დეკემბერში ბოლშევიკური მთავრობის მიერ. ამ მილიონებს კარგად ესმოდათ, რომ ეს მათი ომი არ იყო, და საჭირო გახდა ნახევარი წელიწადი, რომ გარდატეხა მომხდარიყო. ეს გარდატეხა მოხდა; იგი ცვლის რევოლუციის ძალას. ოთხი წლის ომით მოქანცული, განაწამები მასები თებერვალსა და მარტში ჰყრიდნენ ყველაფერს და ამბობდნენ, რომ

მშვიდობა დამდგარიყო და ომი შეწყვეტილიყო. მათ არ შეეძლოთ დაესვათ საკითხი, თუ რისთვის წარმოებდა ომი. თუ ამ მასებმა ახლა შექმნეს ახალი დისციპლინა წითელ არმიაში, არა ჯოხისა და მემამულური დისციპლინა, არამედ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დისციპლინა; თუ ისინი ახლა უდიდეს თავდადებას იჩენენ; თუ მათში მოხდა ახალი შემჭიდროება, ეს იმიტომ, რომ ათეული მილიონების შეგნებაში და მათი გამოცდილებით პირველად იბადება და დაიბადა ახალი, სოციალისტური დისციპლინა, დაიბადა წითელი არმია. იგი დაიბადა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ათეულ მილიონობით ადამიანმა საკუთარი გამოცდილებით დაინახა, რომ მათ თვითონ დაამხვეს მემამულეები და კაპიტალისტები, რომ შენდება ახალი ცხოვრება, რომ მათ თვითონ იწყეს მისი შენება და რომ ისინი ამ ცხოვრებას ააშენებენ, თუ უცხოელთა შემოსევა ხელს არ შეუშლის.

როდესაც გლეხებმა დაინახეს თავიანთი მთავარი მტერი და დაიწყეს ბრძოლა სოფლის კულაკების წინააღმდეგ, როდესაც მუშებმა დაამხვეს მეფაბრიკე და დაიწყეს ქარხნების შენება სახალხო მეურნეობის პროლეტარული პრინციპის მიხედვით, მათ დაინახეს გარდაქმნის მთელი სიძნელე, მაგრამ ამ სიძნელეს მათ თავი გაართვეს; საჭირო იყო თვეები, რომ მუშაობა მოგვარებულიყო. ამ თვეებმა განვლეს, და გარდატეხა მოხდა; განვლო იმ პერიოდმა, როდესაც ჩვენ უძლურნი ვიყავით, და ჩვენ უზარმაზარი ნაბიჯით გავემართეთ წინ; განვლო იმ პერიოდმა, როდესაც ჩვენ არმია არა გვყავდა, როდესაც დისციპლინა არ გვქონდა; შეიქმნა ახალი დისციპლინა, და არმიას მიაშურეს ახალმა ადამიანებმა, რომლებიც ათასობით სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ახალმა დისციპლინამ, ამხანაგურმა კავშირმა გარდაგვქმნეს ჩვენ ბრძოლაში ფრონტზე და ბრძოლაში სოფლად კულაკობის წინააღმდეგ. ეს გარდატეხა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ძნელი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე წესრიგდება, და ჩვენ მოუწყობელი, დეკრეტირებული სოციალიზმიდან ჭეშმარიტ სოციალიზმზე

გადავდივართ. ჩვენს წინაშე მთავარი ამოცანაა — ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ მივუთითებთ ამ ბრძოლის მთელ სიძნელესა და საშიშროებაზე. ჩვენ ვიცით, რომ გარდატეხა წითელი არმიის შეგნებაში მოხდა, მან იწყო გამარჯვება, იგი თავისი წრიდან აყენებს ათასობით ოფიცრებს, რომლებმაც გაიარეს კურსი ახალ პროლეტარულ სამხედრო სკოლებში, და ათასობით სხვა ოფიცრებს, რომლებსაც არავითარი სხვა კურსები არ გაუვლიათ, გარდა ომის სასტიკი კურსისა. ამიტომ ჩვენ სრულიადაც არ ვაზვიადებთ, როცა საშიშროება შეგნებული გვაქვს, მაგრამ ახლა ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ არმია გვყავს; და ამ არმიამ შექმნა დისციპლინა, ეს არმია გახდა ბრძოლისუნარიანი. ჩვენი სამხრეთის ფრონტი არ არის ცალკეული ფრონტი, — ეს არის ფრონტი მთელი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ მისი არ გვეშინია, რადგან ვიცით, რომ თვითონ იგი ვერ შეძლებს დაძლიოს თავისი შინაური მტერი.

სამი თვის წინათ იცინოდნენ, როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ გერმანიაში შეიძლება რევოლუცია მოხდეს, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ მხოლოდ ნახევრად გიჟ ბოლშევიკებს შეუძლიათ სწამდეთ გერმანიის რევოლუცია. არა მარტო მთელი ბურჟუაზია, არამედ მენშევიკებიც და ესერებიც ბოლშევიკებს პატრიოტიზმის მოღალატეებს უწოდებდნენ და ამბობდნენ, რომ გერმანიაში რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ იქ საჭიროა ჩვენი დახმარება, და ამ დახმარებისათვის ჩვენ მსხვერპლად უნდა მიგვეტანა ყოველივე, ზავის მძიმე პირობებზეც უნდა დავთანხმებულიყავით. რამდენიმე თვის წინათ ჩვენ გვეუბნებოდნენ და გვიმტკიცებდნენ ამას, მაგრამ გერმანია რამდენიმე თვის განმავლობაში ძლიერი იმპერიიდან დამპალ ხედ გადაიქცა. ეს ძალა, რომელმაც იგი დაანგრია, მოქმედებს ამერიკაშიც და ინგლისშიც, იგი დღეს სუსტია, მაგრამ ყოველ ნაბიჯთან ერთად, რომლის გადადგმასაც შეეცდებიან ინგლისელები და ფრანგები

რუსეთში, როგორც კი შეეცდებიან მოახდინონ უკრაინის ოკუპაცია, როგორც ეს ქნეს გერმანელებმა, — ყოველ ნაბიჯთან ერთად ეს ძალა უფრო და უფრო გამოჩნდება და უფრო საშინელიც კი იქნება, ვიდრე ესპანური ავადმყოფობაა.

აი, ვიმეორებ, ამხანაგებო, რატომ არის, რომ ყოველი შეგნებული მუშის მთავარ ამოცანას ახლა წარმოადგენს არაფერი არ დაუმალოს ფართო მასებს, რომლებმაც შეიძლება არ იცოდნენ მდგომარეობის მთელი სიმწვავე, არამედ, პირიქით, გადაუშალონ მათ მთელი სიმართლე. მუშები მომწიფდნენ, რომ ეს სიმართლე იცოდნენ. ჩვენ უნდა დავამარცხოთ არა მარტო თეთრგვარდიელები, არამედ მსოფლიო იმპერიალიზმიც. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და გავიმარჯვებთ არა მარტო ამ მტერზე, არამედ უფრო საშიშ მტერზეც. ამისათვის წითელი არმია ყველაზე მეტად არის საჭირო. დეე, საბჭოთა რუსეთის ყოველმა ორგანიზაციამ გამუდმებით დააყენოს პირველ ადგილას არმიის საკითხი. ამჟამად, როდესაც ყველაფერი დამკვიდრდა, პირველ რიგში დგას ომის საკითხი, არმიის განმტკიცების საკითხი. ჩვენ გვაქვს სრული რწმენა, რომ კონტრრევოლუციას ბოლოს მოვუღებთ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვყავს ძალები, მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი ჩვენზე უფრო ძლიერია, და გვსურს, რომ ეს მკაფიოდ ჰქონდეთ შეგნებული მუშათა მასებს. ჩვენ ვამბობთ: უნდა გავაძლიეროთ არმია ათკეცად და უფრო მეტად, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უფრო განმტკიცდეს დისციპლინა და რომ შეგნებული, განათლებული, დარაზმული ნამდვილი ბელადები ათჯერ უფრო მეტი ყურადღებით და მზრუნველობით ეკიდებოდნენ ამას, და მაშინ საერთაშორისო რევოლუციის ზრდა არ შემოიფარგლება იმ ქვეყნებით, რომლებმაც უკვე განიცადეს დამარცხება. ახლა რევოლუცია იწყება უკვე იმ ქვეყნებშიც, რომლებიც გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ. ჩვენი ძალები დღითი დღე უნდა იზრდებოდეს, და ეს განუწყვეტელი ზრდა წინანდებურად წარმოადგენს ჩვენთვის იმის მთავარ და სრულ გარანტიას, რომ საერთაშორისო სოცია-

ლიზმი გაიმარჯვებს! (ამხანაგ ლენინს სიტყვა არა ერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით; სიტყვა თავდება ოვაციით. მთელი დარბაზი, ვით ერთი კაცი, ფეხზე დგება და მიესალმება მსოფლიო რევოლუციის ბელადს).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 23 ოქტომბერს «პრავდაში» № 229
და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 231

მთლიანად დაიბეჭდა 1919 წელს
წიგნში: «სრულიად რუსეთის ცაკის მეხუთე
მოწვევა. სტენოგრაფიული ანგარიში».
მოსკოვი

იბეჭდება სტენოგრაფიული
ანგარიშის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან და
გაზეთის ტექსტთან

რეზოლუცია, მიღებული სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 22 ოქტომბერს

პროლეტარული მასებისა და გლეხობის რევოლუციურმა მოძრაობამ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ამ ბოლო დროს უდიდეს წარმატებებს მიაღწია ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით ბალკანეთში, ავსტრიასა და გერმანიაში. მაგრამ სწორედ ამ წარმატებებმა გამოიწვიეს საერთაშორისო ბურჟუაზიაში, რომლის სათავეში ახლა ჩადგა ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის ბურჟუაზია, განსაკუთრებული გაბოროტება და მისწრაფება — სწრაფად დაირაზმონ კონტრრევოლუციურ ძალად რევოლუციის დასათრგუნავად, პირველ რიგში კი ამჟამად მისი მთავარი კერის, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დასათრგუნავად.

გერმანიის ბურჟუაზია და გერმანიის მთავრობა, რომლებიც ომში დამარცხდნენ და რომლებსაც შიგნიდან ემუქრება მძლავრი სოციალისტური მოძრაობა, აქეთ-იქით ეხეთქებიან ხსნის ძებნაში. გერმანიის მმართველი წრეების ერთი მიმდინარეობა ჯერ კიდევ იმედოვნებს საქმის გაჯანჯლებით მოიგოს დრო ზამთრამდე და მოამზადოს ქვეყნის სამხედრო თავდაცვა სიმაგრეთა ახალ ხაზზე. მეორე მიმდინარეობა გამალებით ეძებს შეთანხმებას ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიასთან რევოლუციური პროლეტარიატისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. რამდენადაც ეს მიმდინარეობა აწყდება გამარჯვებულთა — ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტთა მეტისმეტ დაუთმობლობას, იმდენად იგი ცდილობს დააშინოს ისინი

ბოლშევიკური საფრთხით და მოისყიდოს ისინი მათთვის სამსახურის გაწევით ბოლშევიკების წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ.

გერმანიისადმი დამორჩილებული ან მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების ბურჟუაზია კიდევ უფრო გულმოდგინედ ეძებს შეთანხმებას ანტანტასთან განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც იგი, როგორც, მაგალითად, ფინეთში, უკრაინაში და სხვაგან, იგნებს სრულ შეუძლებლობას — შეინარჩუნოს ძალაუფლება ექსპლოატირებულ მშრომელ მასებზე უცხოელთა ხიშტების დაუხმარებლად.

ამ პირობების შედეგად იქმნება ასეთი თავისებური მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის: ერთი მხრივ, ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ისე ახლოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ახლა ვართ; მეორე მხრივ, ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ესოდენ სახიფათო მდგომარეობაში, როგორც ახლა ვართ. უკვე აღარ არის იმპერიალისტ მტაცებელთა ორი, ერთმანეთის შთანმთქმელი და დამაუძლურებელი, დაახლოებით თანაბრად ძლიერი ჯგუფი. რჩება გამარჯვებულთა ერთი ჯგუფი, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტთა ჯგუფი; იგი აპირებს დაანაწილოს მთელი მსოფლიო კაპიტალისტებს შორის; იგი ამოცანად ისახავს რადაც უნდა დაჯდეს დაამხოს საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში და შეცვალოს ეს ხელისუფლება ბურჟუაზიული ხელისუფლებით; იგი ახლა ემზადება თავს დაესხას რუსეთს სამხრეთიდან, მაგალითად, დარდანელისა და შავი ზღვის გზით ან ბულგარეთისა და რუმინეთის გზით. ამასთან ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების ნაწილი მაინც, ეტყობა, იმედოვნებს, რომ გერმანიის მთავრობა, მათთან პირდაპირი თუ ჩუმი შეთანხმებით, დაიწყებს თავისი ჯარების გაყვანას უკრაინიდან მხოლოდ იმის კვალობაზე, როგორც ინგლის-საფრანგეთის ჯარები შეუდგებიან უკრაინის ოკუპაციას, იმისათვის, რომ არ დაუშვან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდუვალი გამარჯვება უკრაინელი მუშებისა და გლეხებისა და მათ მიერ უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნა.

ყველგან და მუშათა და გლეხთა ფართო მასების შუაგულამდე როდი შეუღწევია იმის შეგნება, რომ კრასნოველი და თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციონერების ზურგს უკან მზადდება განუზომლად უფრო საშიში ძალის, საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ძალის, პირველ რიგში კი ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის ძალის შემოტევა ჩვენს წინააღმდეგ. ეს შეგნება ჩვენ დაუცხრომლად უნდა შეგვქონდეს მასებში. სამხრეთის ფრონტის განმტკიცებას, ახლანდელზე შეუდარებლად უფრო ძლიერი წითელი არმიის შექმნას და შეიარაღებას უაღრესად გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველმა მუშათა ორგანიზაციამ, ღარიბ გლეხთა ყოველმა კავშირმა, ყოველმა საბჭოთა დაწესებულებამ კვლავ და კვლავ უნდა დააყენონ დღის წესრიგის პირველ საკითხად არმიის გაძლიერების საკითხი, კიდევ და კიდევ უნდა გადასინჯონ, საკმარისია თუ არა ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, რა ახალი ზომები შეგვიძლია და უნდა მივიღოთ.

ჩვენი მუშებისა და გლეხთა მასების განწყობილებაში აშკარა გარდატეხა მოხდა. მასებმა დაძლიეს ომით გამოწვეული უკიდურესი დაღლილობა. არმია იქმნება და შეიქმნა. გაიზარდა ახალი, კომუნისტური დისციპლინა, შეგნებული დისციპლინა, მშრომელთა დისციპლინა. და ეს ფაქტი ჩვენ სრულ საფუძველს გვაძლევს რწმენით აღსავსეებმა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ და დავიცავთ კიდეც სოციალისტურ სამშობლოს და საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას.

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია»
№ 231, 1918 წ. 23 ოქტომბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა ავსტრია-უნგრეთის რევოლუციის აღსანიშნავად გამართულ დემონსტრაციაზე 1918 წ. 3 ნოემბერს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) მოვლენები გვიჩვენებენ, რომ ზალხის ტანჯვა ამაო არ იყო.

ჩვენ მარტო რუსეთის კაპიტალიზმს როდი ვეომებით. ჩვენ ვიბრძვით ყველა ქვეყნის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, — ყველა მუშის თავისუფლებისათვის.

თუ ჩვენთვის ძნელი იყო ბრძოლა შიმშილთან და მტრებთან, ახლა ვხედავთ, რომ ჩვენ მილიონობით გვყავს მოკავშირენი.

ესენი არიან ავსტრიის, უნგრეთისა და გერმანიის მუშები. იმ დროს, როდესაც ჩვენ აქ თავი მოვიყარეთ, საპატიმროდან განთავისუფლებული ფრიდრიხ ადლერი, ალბათ, ვენას უახლოვდება. ვენის მოედნებზე, ალბათ, დღესასწაულობენ ავსტრიის მუშათა რევოლუციის პირველ დღეს.

უკვე ახლოსაა ის დრო, როდესაც ყველგან იდღესასწაულებენ მსოფლიო რევოლუციის პირველ დღეს.

ჩვენ ტყუილად როდი ვმუშაობდით და ვიტანჯებოდით. მსოფლიო საერთაშორისო რევოლუცია გაიმარჯვებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას! (ტ ა შ ი ს გ რ ი ა ლ ი).

«პრავდა» № 240,
1918 წ. 5 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1918 წ. 6 ნოემბერს [52]

საგაზეთო ანგარიში

(შეკრებილნი დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამხანაგ ლენინს.) ჩვენ დღეს ვიკრიბებით, — დაიწყო ამხანაგმა ლენინმა, — ათობით და ასობით მიტინგზე, რათა ვიდღესასწაულოთ ოქტომბრის გადატრიალების წლისთავი. იმათთვის, ვინც დიდი ხანია მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში, ვინც ადრეც ყოფილა დაკავშირებული მუშათა ქვედაფენებთან, ვისაც ახლობელი ურთიერთობა ჰქონია ფაბრიკა-ქარხანასთან, — იმათთვის ცხადია, რომ განვლილი წელი ნამდვილი პროლეტარული დიქტატურის წელი იყო. ეს ცნება წინათ უცნობ მწიგნობრულ ლათინურს, ძნელად გასაგები სიტყვების რაღაც შეხამებას წარმოადგენდა. ინტელიგენტები ამ ცნების ახსნას ეძებდნენ სამეცნიერო წიგნაკებში, მაგრამ ეს წიგნაკები მათ ძალიან ბუნდოვან წარმოდგენას აძლევდნენ იმაზე, თუ რა არის პროლეტარული დიქტატურა. და ჩვენი მთავარი დამსახურება გასული წლის მანძილზე ის არის, რომ ჩვენ ეს სიტყვები გადმოვთარგმნეთ გაუგებარი ლათინურიდან გასაგებ რუსულ ენაზე. მუშათა კლასი განვლილი წლის მანძილზე ბრძნობით კი არ იყო გართული, არამედ საქმით ქმნიდა პროლეტარულ დიქტატურას და ახორციელებდა მას, წინააღმდეგ ინტელიგენტების აფორიაქებული სულიერი განწყობილებისა..

დასავლეთში უწინდებურად კაპიტალიზმი სუფევდა. ახლა იქაც დგება დიად გადატრიალებათა დრო. ახლა დასავლეთ ევროპის მუშაც უახლოვდება ძნელ გარდამავალ ეპოქას —

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქას. მას, ისევე როგორც ჩვენ, დასჭირდება მთელი ძველი აპარატის დამსხვრევა და ახალი აპარატის შენება.

ჩვენ შესაძლებლობა არა გვქონდა გამოგვეყენებინა გამოცდილების, ცოდნის, ტექნიკური კულტურის მთელი ის მარაგი, რომელიც ბურჟუაზიულ ინტელიგენციას მოეპოვებოდა. ბურჟუაზია გესლიანად დასცინოდა ბოლშევიკებს და ამბობდა, საბჭოთა ხელისუფლებამ საეჭვოა ორ კვირასაც კი გაძლოსო, და ამიტომ არათუ თავს არიდებდა შემდგომ მუშაობას, არამედ ყველგან, სადაც კი შეეძლო, და ყველა საშუალებით, რაც კი მისთვის მისაწვდომი იყო, ეწინააღმდეგებოდა ახალ მოძრაობას, ახალ მშენებლობას, რომელიც ამსხვრევდა ძველ წყობას.

ბურჟუაზიის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ გამქრალა. მისი გაბოროტება დღითი დღე იზრდება, და მით უფრო სწრაფად, რაც უფრო ვუახლოვდებით ჩვენ ძველი კაპიტალისტური სამყაროს აღსასრულს.

საერთაშორისო მდგომარეობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლშევიზმი ძლიერდება და მსოფლიო მასშტაბს იძენს, ახლა ისეთია, რომ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიძლება ამხედრდეს ყველა ჯურის იმპერიალისტების კავშირი, და ბურჟუაზიის წინააღმდეგობა ნაციონალურიდან ინტერნაციონალური გახდება.

გერმანიამ, როგორც მოგეხსენებათ, გააძევა ჩვენი ელჩი ბერლინიდან იმაზე მითითებით, რომ თქვენი წარმომადგენლობა გერმანიაში რევოლუციურ პროპაგანდას ეწევაო. გერმანიის მთავრობამ ვითომ წინათ არ იცოდა, რომ ჩვენს საელჩოს რევოლუციური სენი შეაქვს. მაგრამ თუ გერმანია ამაზე წინათ სდუმდა, ეს იმიტომ, რომ იგი ჯერ კიდევ ძლიერი იყო, რომ მას ჩვენი არ ეშინოდა. ახლა კი, სამხედრო კრახის შემდეგ, ჩვენ მისთვის საშიშნი გავხდით. გერმანელი გენერლები და კაპიტალისტები მიმართავენ მოკავშირეებს და ეუბნებიან: თუმცა ჩვენ დაგვამარცხეთ, მაგრამ მაინცდამაინც ნუ გაგიტაცებთ თქვენი ექსპერიმენტები ჩვენს წინააღმდეგ, რადგან

თქვენც და ჩვენც გვემუქრება მსოფლიო ბოლშევიზმი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიძლება გამოგადგეთო.

და ძალიან შესაძლებელია, რომ მოკავშირე იმპერიალისტები გაერთიანდნენ გერმანიის იმპერიალიზმთან, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ამ მომენტისათვის კიდევ გადარჩება, რუსეთის წინააღმდეგ შეერთებული ლაშქრობისათვის. აი რატომ არის, რომ საფრთხე, რომელიც ჩვენ ყოველი მხრიდან გვემუქრებოდა მთელი გასული წლის მანძილზე, ახლა განსაკუთრებით დიდი ხდება. მაგრამ ახლა ჩვენ მარტონი არა ვართ. ახლა ჩვენ გვყავს მეგობრები იმ ხალხთა სახით, რომელნიც უკვე აჯანყდნენ ზოგიერთ ადგილას და ჯანყდებიან სხვა ადგილებში; ეს ხალხნი საკმაოდ ნათლად არწმუნებენ თავიანთ მთავრობებს, რომ მათ აღარ სურთ იომონ მძარცველურ დაპყრობათა გულისათვის. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოგველის ძალიან საშიში პერიოდების ახალი ხანა, ჩვენ შემდგომაც განვაგრძობთ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. წარსულის გამოცდილება ჩვენ დაგვეხმარება თავიდან ავიცდინოთ შეცდომები და ახალ ძალებს შეგვმატებს შემდგომი მუშაობისათვის.

პროფესიული კავშირების როლი ახალი აპარატის მშენებლობაში უდიდესი აღმოჩნდა. მუშათა კლასმა ცხადყო, რომ მას შეუძლია უინტელიგენციოდ და უკაპიტალისტებოდ მოაწყოს მრეწველობა. ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ბევრია კიდევ გასაკეთებელი. თამამად იარეთ წინ, ამხანაგებო, იმ გზით, რომლითაც თქვენ დღემდე მიდიოდით, ჩააბით მუშაობაში სულ ახალ-ახალი მასები! მიეცით შესაძლებლობა ყველა იმათ, თუნდაც წერა-კითხვის უცოდინარ, გამოუცდელ, საქმეს გაუცნობელ, მაგრამ მასებთან დაკავშირებულ მუშებს, რომლებსაც გულწრფელად სურთ, რომ ახალი წყობილება განმტკიცდეს, — მიეცით ყველა იმათ, პარტიულებსაც და არაპარტიულებსაც, შესაძლებლობა იმუშაონ და ისწავლონ ახალ პროლეტარულ სახელმწიფოში, შესაძლებლობა მართონ და შექმნან სიმდიდრე.

საერთაშორისო პროლეტარიატი აჯანყდება, დაამხობს **ყველგან კაპიტალიზმს** და **მოათავებს** ჩვენს სამუშაოს, რომელიც სოციალიზმის **სრულ** გამარჯვებამდე მიგვიყვანს! (**მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი**).

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაი
№ 244, 1918 წ. 9 ნოემბერი

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიას» ტექსტის მიხედვით

მუშათა, გლეხთა, კაზაკთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობა [53]

1918 წ. 6—9 ნოემბერი

1

სიტყვა რევოლუციის წლისთავის შესახებ 6 ნოემბერს

(ამხანაგ ლენინის გამოჩენას ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან. ყველანი დგებიან და მიესალმებიან ამხანაგ ლენინს.) ამხანაგებო! ჩვენი რევოლუციის წლისთავის ზეიმი ჩვენ გვიხდება ისეთ მომენტში, როდესაც ჩაღდება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უდიდესი მოვლენები და როდესაც მუშათა კლასის და მშრომელების ყველაზე სკეპტიკური, ყველაზე დაეჭვებული ელემენტებისთვისაც კი ცხადი გახდა, რომ მსოფლიო ომი არ გათავდება ძველი მთავრობის და ბურჟუაზიის ძველი გაბატონებული კლასის შეთანხმებებით ან ძალმომრეობით, რომ მას არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი მსოფლიოც მიჰყავს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ, მუშების გამარჯვებისაკენ კაპიტალზე, რომელმაც სისხლით მორწყო დედამიწა. ეს ომი გერმანიის იმპერიალიზმის მთელი ძალადობისა და მხეცობის შემდეგ გვიჩვენებს იმავე პოლიტიკას ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მხრივ, რომელსაც მხარს უჭერენ ავსტრია და გერმანია.

იმ დღეს, როდესაც ჩვენ რევოლუციის წლისთავს ვზეიმობთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ მის მიერ განვლილ გზას. ჩვენი რევოლუციის დაწყება ჩვენ მოგვიხდა არაჩვეულებრივად ძნელ პირობებში, რომლებშიც არ იქნება მსოფლიოს არც ერთი შემდგომი მუშათა რევოლუცია, და ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ჩვენ შეეცადოთ გავაშუქოთ ჩვენ მიერ განვლილი გზა მთლიანად, ვნახოთ,

თუ რა არის მიღწეული ამ ხნის განმავლობაში და რამდენად მოვემზადეთ ჩვენ ამ წლის მანძილზე ჩვენი მთავარი, ნამდვილი, ჩვენი გადამწყვეტი, ძირითადი ამოცანისათვის. ჩვენ უნდა ვიყოთ რაზმების ნაწილი, მსოფლიო პროლეტარული და სოციალისტური არმიის ნაწილი. ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით, რომ თუ ჩვენ მოგვიხდა მსოფლიო ბრძოლიდან წარმოშობილი რევოლუციის დაწყება, ეს სრულიადაც არა რუსეთის პროლეტარიატის რაიმე დამსახურების გამო, ან იმის გამო, რომ იგი სხვებზე წინ იყო, პირიქით, მხოლოდ კაპიტალიზმის განსაკუთრებულმა სისუსტემ, ჩამორჩენილობამ და განსაკუთრებით შემავიწროებელმა სამხედრო-სტრატეგიულმა გარემოებებმა გამოიწვიეს ის, რომ ჩვენ მოგვიხდა მოვლენათა მსვლელობის ძალით დაგვეკავებინა ადგილი სხვა რაზმების წინ და არ დაგვეცადა, ვიდრე ეს რაზმები მოვიდოდნენ, აჯანყდებოდნენ. ჩვენ ახლა ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს თავს, რომ გავიგოთ, თუ რამდენად მოვემზადეთ ჩვენ, რათა გავიდეთ იმ ბრძოლებში, რომლებიც ახლა მოგველის ჩვენს მომავალ რევოლუციაში.

და აი, ამხანაგებო, როცა ვეკითხებით ჩვენს თავს, თუ რა გავაკეთეთ დიდი მასშტაბით ამ წლის განმავლობაში, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გაკეთებულია შემდეგი: მუშათა კონტროლიდან, მუშათა კლასის ამ დაწყებითი ნაბიჯებიდან, ქვეყნის ყველა საშუალებათა გამგებლობიდან ჩვენ ზედ მივადექით მრეწველობის მუშური მართვის შექმნას; გლეხთა საერთო ბრძოლიდან მიწისთვის, გლეხთა ბრძოლიდან მემამულეების წინააღმდეგ, ბრძოლიდან, რომელიც საერთო-ნაციონალურ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, ჩვენ იქამდე მივედით, რომ სოფლად გამოიყვნენ პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტები, გამოიყვნენ ისინი, ვინც განსაკუთრებით შრომობს, ისინი, ვის ექსპლოატაციასაც ეწევიან, ისინი აღდგნენ ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის; სოფლის ყველაზე ჩაგრული ნაწილი ბოლომდე ჩაება ბრძოლაში ბურჟუაზიის, მათ შორის თავისი სოფლის კულაკური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

შემდეგ, საბჭოთა ორგანიზაციის პირველი ნაბიჯებიდან ჩვენ იქამდე მივედით, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ყრილობის გახსნისას ამხანაგმა სვერდლოვმა, რომ რუსეთში არ არის ისეთი მივარდნილი კუთხე, სადაც საბჭოთა ორგანიზაცია არ განმტკიცებულიყოს, სადაც იგი არ შეადგენდეს ყველა მშრომელთა და დაჩაგრულთა ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული საბჭოთა კონსტიტუციის მთლიან ნაწილს.

ჩვენი სრული დაუცველობის მდგომარეობიდან, უკანასკნელი ოთხი წლის ომიდან, რომელმაც მასებში, ჩაგრულ ადამიანებში დატოვა არა მარტო სიძულვილი, არამედ აგრეთვე ზიზღი, საშინელი დაღლილობა, გატანჯულობა, რომელმაც რევოლუციას ხვედრად არგუნა ყველაზე ძნელი, მძიმე პერიოდი, როდესაც ჩვენ დაუცველნი ვიყავით გერმანიისა და ავსტრიის იმპერიალიზმის შემოტევის წინაშე, — ამ დაუცველობის მდგომარეობიდან ჩვენ მივედით ძლიერი წითელი არმიის შექმნამდე. დასასრულ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საერთაშორისო მარტოობიდან, რომლისაგანაც ვიტანჯებოდით ოქტომბერში და მიმდინარე წლის დამდეგს, ჩვენ მივედით ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენი ერთადერთი, მაგრამ მტკიცე მოკავშირე, — ყველა ქვეყნის მშრომელნი და ჩაგრულნი, ბოლოს, აღდგა, როდესაც დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბელადები, როგორიც არიან ლიბკნეხტი და ადლერი, — ბელადები, რომლებსაც მრავალი თვის კატორღად დაუჯდათ თავიანთი გაბედული, გმირული ცდები — აღემაღლებინათ ხმა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, — ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ბელადები თავისუფალი არიან, იმიტომ რომ ისინი გაათავისუფლა ვენისა და ბერლინის მუშათა რევოლუციამ, რომელიც დღეებით კი არა, საათობით იზრდება. მარტოობიდან ჩვენ იმ მდგომარეობამდე მივედით, როდესაც ჩვენს საერთაშორისო მოკავშირეებთან ხელიხელჩაკიდებულნი, მხარგადაჭდობილნი ვდგავართ. აი ის ძირითადი, რაც მიღწეულია ერთი წლის განმავლობაში. და მე ნებას მივცემ თავს მოკლედ შევჩერდე ამ გზაზე, შევჩერდე ამ გადასვლაზე.

ამხანაგებო, ჩვენი ლოზუნგი თავდაპირველად იყო მუშათა კონტროლი. ჩვენ ვამბობდით: კერენსკის მთავრობის ყოველი დაპირების მიუხედავად, კაპიტალი განაგრძობს ქვეყნის წარმოების საბოტაჟს, უფრო და უფრო ანგრევს მას. ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ საქმე რღვევისაკენ მიდიოდა, და პირველი ძირითადი ნაბიჯი, რომელიც სავალდებულოა ყოველი სოციალისტური, მუშური მთავრობისათვის, უნდა იყოს მუშათა კონტროლი. ჩვენ ერთბაშად დეკრეტით კი არ შემოგვიღია სოციალიზმი მთელ ჩვენს მრეწველობაში, იმიტომ რომ სოციალიზმი შეიძლება შეიქმნას და განმტკიცდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშათა კლასი ისწავლის მართვას, როდესაც განმტკიცდება მუშათა მასების ავტორიტეტი. უამისოდ სოციალიზმი მხოლოდ სურვილია. ამიტომ ჩვენ შემოვიღეთ მუშათა კონტროლი, თუმცა ვიცოდით, რომ ეს არის წინააღმდეგობრივი ნაბიჯი, არასრული ნაბიჯი, მაგრამ აუცილებელია, რომ მუშებმა თვითონ მოჰკიდონ ხელი უზარმაზარი ქვეყნის მრეწველობის მშენებლობის დიად საქმეს უექსპლოატატორებოდ, ექსპლოატატორების წინააღმდეგ, და, ამხანაგებო, ვინც ამ მშენებლობაში უშუალოდ ან თუნდაც არაპირდაპირ იღებდა მონაწილეობას, ვისაც განუცდია ძველი კაპიტალისტური რეჟიმის მთელი ჩაგვრა და მხეცობა, იმან ბევრი და ბევრი რამ ისწავლა. ჩვენ ვიცით, რომ ცოტაა მიღწეული. ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე ჩამორჩენილ და გაჩანაგებულ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასს ესოდენ დაბრკოლებებსა და ზღუდეებს უქმნიდნენ, მან რომ მრეწველობის მართვა ისწავლოს, — მისთვის ხანგრძლივი ვადაა საჭირო. ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვნად და საგულისხმოდ მიგვაჩნია ის, რომ ამ მმართველობას ხელი მოჰკიდეს თვითონ მუშებმა, რომ მუშათა კონტროლიდან, რომელიც უნდა დარჩენილიყო ქაოსური, დაქუცმაცებული, კუსტარული, არასრული მრეწველობის ყველა უმთავრეს დარგში, ჩვენ მივადექით მუშების მიერ მრეწველობის საერთო-ნაციონალური მასშტაბით მმართველობას.

პროფესიული კავშირების მდგომარეობა შეიცვალა. მათი მთავარი ამოცანა გახდა — წამოაყენონ თავიანთი წარმომადგენლები ყველა მთავარ კომიტეტში და ცენტრში, ყველა იმ ახალ ორგანიზაციაში, რომლებმაც კაპიტალიზმისაგან მიიღეს გაჩანაგებული, განზრახ საბოტაჟის გამწევი მრეწველობა და ხელი მოჰკიდეს მას არა იმ ყველა ინტელიგენტური ძალების დახმარებით, რომლებიც იმთავიდანვე ამოცანად ისახავდნენ გამოეყენებინათ ცოდნა და უმაღლესი განათლება — კაცობრიობის მიერ მეცნიერებათა მარაგის შეძენის ეს შედეგი — ყოველივე ამას ისინი იყენებდნენ იმისათვის, რომ ჩაეშალათ სოციალიზმის საქმე, გამოეყენებინათ მეცნიერება არა იმისათვის, რომ იგი დახმარებოდა მასებს საზოგადოებრივი, სახალხო მეურნეობის უექსპლოატატორებად მოწყობაში. ეს ადამიანები ამოცანად ისახავდნენ გამოეყენებინათ მეცნიერება იმისათვის, რომ ქვები შეეგდოთ ბორბლებქვეშ, ხელი შეეშალათ ამ საქმეში ყველაზე ნაკლებად მომზადებული მუშებისათვის, რომლებიც ხელს ჰკიდებდნენ მმართველობის საქმეს, და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი დაბრკოლება გადალახულია. ეს არაჩვეულებრივად ძნელი იყო. ყველა იმ ელემენტის საბოტაჟი, ვინც ბურჟუაზიას ემხრობა, გატეხილია. უზარმაზარ დაბრკოლებათა მიუხედავად, მუშებმა შეძლეს გადაედგათ ეს ძირითადი ნაბიჯი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა სოციალიზმს. ჩვენ სრულიადაც არ ვაზვიადებთ და არ გვეშინია სიმართლის თქმისა. დიახ, ცოტაა გაკეთებული საბოლოო მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, მაგრამ ბევრი, არაჩვეულებრივად ბევრია გაკეთებული საძირკვლის განმტკიცების თვალსაზრისით. როდესაც სოციალიზმის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ვილაპარაკოთ საძირკვლის შეგნებულ მშენებლობაზე მუშათა უფართოეს მასებში იმ აზრით, რომ მათ ხელთ აიღეს წიგნაკები, წაიკითხეს ბროშურა, არამედ შეგნებულობა აქ ის არის, რომ მათ საკუთარი ენერგიით, საკუთარი ძალით მოჰკიდეს ხელი არაჩვეულებრივად ძნელ საქმეს, ჩაიდინეს უამრავი შეცდომა, და თვითეული შეცდომისაგან თვითონ იტანჯებოდნენ, და თვითეული შეცდომა მათ აკაჟებდა და

აწრთობდა მუშაობაში მრეწველობის მმართველობის მოსაწყობად, მრეწველობისა, რომელიც ახლა შექმნილია და ახლა მკვიდრ საძირკველზე დგას. მათ ბოლომდე მიიყვანეს თავიანთი მუშაობა. ახლა ეს მუშაობა იწარმოებს არა ისე, როგორც მაშინ წარმოებდა, — ახლა მთელმა მუშათა მასამ, და არა მარტო ბელადებმა და მოწინავეებმა, არამედ ნამდვილად უფართოესმა ფენებმა იციან, რომ ისინი თვითონ, საკუთარი ხელით აშენებენ სოციალიზმს, რომ მათ საძირკველი ააგეს, და ვერავითარი ძალა ქვეყნის შიგნით ხელს ვერ შეუშლის ამ საქმის ბოლომდე მიყვანას.

თუ მრეწველობაში შეგვხვდა ასეთი დიდი სიძნელენი, თუ ჩვენ იქ უნდა გამოგვევლო ეს ბევრისათვის ვითომდა გრძელი, ნამდვილად კი მოკლე გზა, რომელმაც მიგვიყვანა მუშათა კონტროლიდან მუშათა მმართველობამდე, სამაგიეროდ სოფელში, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილია, ჩვენ იძულებული ვიყავით გაცილებით მეტი მოსამზადებელი მუშაობა გაგვეწია. და აი, ის, ვინც დაკვირვებია სოფლის ცხოვრებას, ვისაც ურთიერთობა ჰქონია გლეხთა მასებთან სოფლად, ამბობს: ოქტომბრის რევოლუცია ქალაქისათვის ნამდვილ ოქტომბრის რევოლუციად სოფლისათვის მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე გახდაო. და აქ, ამხანაგებო, როდესაც პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ხელთ იღებდნენ ძალაუფლებას, მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ მშენებლობას სოფლად დიდი სიძნელენი შეხვდება, რომ აქ საჭიროა უფრო თანდათანობით სვლა, რომ აქ დეკრეტებით, კანონებით მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღების ცდა უდიდესი სისულელე იქნებოდა, რომ ამაზე დათანხმება შეეძლო შეგნებულ გლეხთა სრულიად მცირე რაოდენობას, ხოლო მათი დიდი უმრავლესობა ასეთ ამოცანას არ ისახავდა. და ამიტომ ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში არ გაგვესწრო მასების განვითარებისათვის, არამედ დავლოდებოდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილებიდან, მათი საკუთარი ბრძოლიდან

არ წარმოსდგებოდა წინსვლა. ოქტომბერში ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რომ გლეხთა ძველი, საუკუნეობრივი მტერი, მემამულე-მებატონე, ლატიფუნდიების მესაკუთრე, ერთბაშად აღვგავეთ. ეს იყო გლეხთა საერთო ბრძოლა. აქ გლეხობის შიგნით ჯერ კიდევ არ იყო დაყოფა პროლეტარიატსა, ნახევრადპროლეტარიატსა, გლეხობის უღარიბეს ნაწილსა და ბურჟუაზიას შორის. ჩვენ, სოციალისტებმა, ვიცოდით, რომ ამ ბრძოლის გარეშე სოციალიზმი არ არის, მაგრამ ჩვენ ვიცოდით აგრეთვე, რომ საკმარისი არ არის ჩვენი ცოდნა, რომ აუცილებელია, რათა ამ ცოდნამ შეაღწიოს მილიონებში არა პროპაგანდის გზით, არამედ ამ მილიონების საკუთარი გამოცდილებით, და ამიტომ ჩვენ, როდესაც მთელ გლეხობას საერთოდ გადატრიალება წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ გათანაბრებითი მიწათსარგებლობის საწყისებზე, ჩვენ აშკარად ვთქვით ჩვენს 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტში, რომ საფუძვლად ვიღებთ გლეხთა განაწესს მიწის შესახებ *.

ჩვენ აშკარად ვთქვით, რომ ეს განაწესი არ შეეფერება ჩვენს შეხედულებებს, რომ ეს არ არის კომუნიზმი, მაგრამ ჩვენ თავს არ ვახვევდით გლეხობას იმას, რაც არ შეესაბამებოდა მის შეხედულებებს, არამედ შეესაბამებოდა მხოლოდ ჩვენს პროგრამას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მივდივართ მათთან ერთად, როგორც მშრომელ ამხანაგებთან, დარწმუნებულნი, რომ რევოლუციის მსვლელობა მიიყვანს მათ იმავე ვითარებამდე, რა ვითარებამდეც თვითონ ჩვენ მივდით, და შედეგად ჩვენ ვხედავთ გლეხთა მოძრაობას. აგრარული რეფორმა დაიწყო მიწის სწორედ იმ სოციალიზაციით, რომელსაც თვითონ ჩვენ, ჩვენი ხმებით, ვატარებდით, თანაც აშკარად ვამბობდით, რომ იგი არ შეესაბამება ჩვენს შეხედულებებს. ვიცოდით, რომ გათანაბრებითი მიწათსარგებლობის იდეას იზიარებს დიდი უმრავლესობა, არ გვსურდა რაიმე თავს მოგვეხვია მისთვის და ველოდებოდით, როდესაც გლეხობა

* იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 26, გვ. 299 — 302. რ ე დ.

თვითონ დაძლევდა ამას და უფრო წინ წავიდოდა. და ჩვენ დაველოდეთ და შევძელით ჩვენი ძალების მომზადება.

კანონი, რომელიც ჩვენ მაშინ მივიღეთ, ემყარება ზოგადდემოკრატიულ საწყისებს, იმას, რაც მდიდარ გლეხ-კულაკს ავრთიანებს ღარიბ გლეხთან, — სიძულვილი მემამულისადმი, ემყარება თანასწორობის საერთო იდეას, რომელიც, უეჭველია, წარმოადგენდა რევოლუციურ იდეას მონარქიის ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, — ამ კანონიდან ჩვენ უნდა გადავსულიყავით დაყოფისაკენ გლეხთა შიგნით. მიწის სოციალიზაციის კანონი ჩვენ საერთო თანხმობით გავატარეთ. იგი ერთხმად იქნა მიღებული ჩვენ მიერაც და იმათ მიერაც, ვინც ბოლშევიკების შეხედულებებს არ იზიარებდა. ჩვენ იმ საკითხში, თუ ვინ უნდა ფლობდეს მიწას, ამ საკითხის გადაწყვეტაში პირველი ადგილი დავუთმეთ სასოფლო-სამეურნეო კომუნებს. ჩვენ ღიად დავტოვეთ გზა იმისათვის, რომ მიწათმოქმედებას შეძლებოდა სოციალისტურ საწყისებზე განვითარება, ამასთან ჩინებულად ვიცოდით, რომ მაშინ, 1917 წლის ოქტომბერში, მას ამ გზაზე დადგომა არ შეეძლო. ჩვენი მომზადებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გადავდგით უზარმაზარი მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ არ გადადგმულა არც ერთ ყველაზე დემოკრატიულ, რესპუბლიკურ სახელმწიფოში. ეს ნაბიჯი მიმდინარე ზაფხულს გადადგა გლეხობის მთელმა მასამ, რუსეთის ყველაზე მივარდნილ სოფლებშიც კი. როცა საქმე სასურსათო მოუწესრიგებლობამდე, შიმშილობამდე მივიდა, როცა ძველი მემკვიდრეობისა და ომის ოთხი წყეული წლის გამო, როცა კონტრრევოლუციის ღონისძიებებითა და სამოქალაქო ომის შედეგად დავკარგეთ ყველაზე პურიანი რაიონი, როცა ყოველივე ამან უმაღლეს წერტილს მიაღწია, და შიმშილი საფრთხეს უქმნიდა ქალაქებს, — მაშინ ჩვენი ხელისუფლების ერთადერთი და ფრიად სანდო, მტკიცე დასაყრდენი — ქალაქებისა და სამრეწველო რაიონების მოწინავე მუშა — გაერთიანებულად დაიძრა სოფლისაკენ. ცილს გვწამებენ ისინი, ვინც ამბობს, რომ მუშები დაიძრნენ, რათა შეიარაღებული ბრძოლა გამოეწვიათ მუშებსა და გლეხებს

შორის. მოვლენები აბათილებენ ამ ცილისწამებას. მუშები მიდიოდნენ იმისათვის, რომ შებრძოლებოდნენ სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტებს — კულაკებს, რომლებმაც აურაცხელი სიმდიდრე შეიძინეს პურის სპეკულაციით იმ დროს, როდესაც ხალხი შიმშილით იხოცებოდა. ისინი მიდიოდნენ მშრომელ ღარიბთა დასახმარებლად, სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის დასახმარებლად, და რომ ისინი მიდიოდნენ არა ტყუილუბრალოდ, რომ ისინი ხელს უწვდიდნენ როგორც მოკავშირენი, რომ მათი მოსამზადებელი მუშაობა შეუერთდა მასას, — ეს სავსებით დაგვანახვა ივლისმა, ივლისის კრიზისმა, როდესაც კულაკთა აჯანყებამ მთელ რუსეთს გადაუარა. ივლისის კრიზისი იმით გათავდა, რომ სოფლად ყველგან აღდგნენ მშრომელი ექსპლოატირებული ელემენტები, აღდგნენ ქალაქების პროლეტარიატთან ერთად. დღეს ამხ. ზინოვიევმა ტელეფონით მაცნობა, რომ პიტერში ღარიბთა კომიტეტების საოლქო ყრილობის შემადგენლობამ მიაღწია 18 000 კაცს და რომ იქ სუფევს არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი და აღფრთოვანება[54]. იმის კვალობაზე, რაც უფრო თვალსაჩინო ფორმად ყალიბდება ის, რაც მთელ რუსეთში ხდება, როდესაც სოფლის ღარიბნი აღდგნენ, მათ საკუთარი გამოცდილებით დაინახეს ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, დაინახეს, რომ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალაქი სურსათით, რათა აღდგენილ იქნას საქონელგაცვლა, ურომლისოდაც სოფელი ვერ იცხოვრებს, არ შეიძლება სოფლის ბურჟუაზიასთან და კულაკებთან ერთად სვლა. საჭიროა ცალკე შეკავშირდე. და ჩვენ ახლა გადავდგით სოციალისტური რევოლუციის პირველი და უდიდესი ნაბიჯი სოფლად. ოქტომბერში ამის გაკეთება ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ გავიგეთ ეს მომენტი, როდესაც შეგვეძლო მასებთან მისვლა, და ჩვენ ახლა მივაღწიეთ იმას, რომ სოციალისტური რევოლუცია სოფლად დაწყებულია, რომ არ არის ისეთი მივარდნილი სოფელი, სადაც არ იცოდნენ, რომ საკუთარი მოძმე ბობოლა, რომ საკუთარი მოძმე კულაკი, თუ ის პურის

სპეკულაციას ეწევა, — მთელ ახლანდელ ამბებს ძველი, დაბავსებული თვალსაზრისით უყურებს.

და აი სოფლის მეურნეობა, სოფლის ღარიბი გლეხობა, უკავშირდება რა თავის ბელადებს, ქალაქის მუშებს, მხოლოდ ახლა იძლევა საბოლოო და მკვიდრ საძირკველს ნამდვილი სოციალისტური მშენებლობისათვის. მხოლოდ ახლა დაიწყება სოციალისტური მშენებლობა სოფლად. მხოლოდ ახლა შეიქმნება ის საბჭოები და მეურნეობანი, რომელნიც გეგმაზომიერად ისწრაფვიან მიწის საზოგადოებრივი დამუშავებისაკენ დიდი მასშტაბით, ცოდნის, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენებისაკენ, რადგან იციან, რომ ძველი, რეაქციული, შავბნელი დროის საფუძველზე თვით უბრალო, ელემენტარული, ადამიანური კულტურაც კი არ შეიძლება შეიქმნას. აქ კიდევ უფრო ძნელი სამუშაოა, ვიდრე მრეწველობაში. აქ კიდევ უფრო მეტ შეცდომებს ჩადიან ჩვენი ადგილობრივი კომიტეტები და ადგილობრივი საბჭოები. შეცდომებზე ისინი სწავლობენ. ჩვენ შეცდომებისა არ გვეშინია, როდესაც მათ ჩადიან მასები, რომლებიც შეგნებულად ეკიდებიან მშენებლობას, იმიტომ რომ ჩვენ მხოლოდ საკუთარი გამოცდილებისა და საკუთარი ძალის გამოყენების იმედი გვაქვს.

და აი უდიდესი გადატრიალება, რომელმაც ჩვენ ესოდენ მოკლე ხანში მიგვიყვანა სოციალიზმამდე სოფლად, გვიჩვენებს, რომ მთელი ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. ამას ყველაზე თვალსაჩინოდ წითელი არმია ამტკიცებს. თქვენ იცით, თუ როგორი აღმოჩნდა ჩვენი მდგომარეობა მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, როდესაც რუსეთი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ხალხის მასებმა ეს ვერ აიტანეს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ მაშინ მეტად უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჩვენ აშკარად ვუთხარით მუშათა მასას მთელი სიმართლე. ჩვენ ვამხილეთ საიდუმლო იმპერიალისტური ხელშეკრულებანი იმ პოლიტიკისა, რომელიც მოტყუების უდიდეს იარაღს წარმოადგენს, რომელიც ახლა ამერიკაში, ბურჟუაზიული იმპერიალიზმის ყველაზე მოწინავე დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ატყუებს მასებს ისე, როგორც არასოდეს, და

აბრიყვებს მათ. როდესაც ომი, მისი იმპერიალისტური ხასიათი ცხადი გახდა ყველასათვის, ამ დროს ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც საიდუმლო ბურჟუაზიული საგარეო პოლიტიკა სულ ერთიანად დაამსხვრია, იყო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. მან ამხილა საიდუმლო ხელშეკრულებანი და თქვა ამხ. ტროცკის მეშვეობით, მიმართა რა მთელი მსოფლიოს ქვეყნებს: ჩვენ მოგიწოდებთ დაამთავროთ ეს ომი დემოკრატიული გზით, უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, და აშკარად და ამაყად გეუბნებით მწარე სიმართლეს, მაგრამ მაინც სიმართლეს — იმისთვის, რომ ეს ომი დამთავრდეს, საჭიროა რევოლუცია ბურჟუაზიულ მთავრობათა წინააღმდეგ. ჩვენი ხმა განმარტოებული დარჩა. ეს ჩვენ წარმოუდგენლად მძიმე და საძნელო ზავად დაგვიჯდა, რაც თავს მოგვახვია მოძალადურმა ბრესტის ხელშეკრულებამ, რომელმაც მრავალ თანამგრძნობ ადამიანში ჭმუნვა და სასოწარკვეთილება გამოიწვია. ეს იმიტომ იყო, რომ ჩვენ მარტონი ვიყავით. მაგრამ ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალი, ჩვენ ყველას გასაგონად ვთქვით: ასეთია ომის მიზნები! და თუ ჩვენ თავს დაგვატყდა გერმანიის იმპერიალიზმის ნიაღვარი, ეს იმიტომ, რომ საჭირო იყო დროის დიდი მონაკვეთი, ვიდრე ჩვენი მუშები და გლეხები მტკიცე ორგანიზაციას შექმნიდნენ. მაშინ ჩვენ არმია არა გვყავდა; ჩვენ გვყავდა იმპერიალისტების ძველი დეზორგანიზებული არმია, ომში იმ მიზნებისათვის რომ მიერეკებოდნენ, რომლებსაც ჯარისკაცნი არ იზიარებდნენ და არ თანაუგრძნობდნენ. აქ აღმოჩნდა, რომ ჩვენ მეტად მტანჯველი პერიოდის გადატანა მოგვიხდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც მასებს სული უნდა მოეთქვათ უაღრესად მტანჯველი იმპერიალისტური ომისაგან და შეეგნოთ, რომ ახალი ომი იწყება. ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი ომი ვუწოდოთ იმ ომს, როდესაც ჩვენ ვიცავთ ჩვენს სოციალისტურ რევოლუციას. ეს საკუთარი გამოცდილებით უნდა შეეგნო მილიონობითა და ათეულ მილიონობით ადამიანს. ამას თვეები მოუნდა. ხანგრძლივად და მძიმედ იკაფავდა გზას ეს შეგნება. მაგრამ ამა წლის ზაფხულს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მან, ბოლოს, გაიკაფა გზა, რომ

გარდატეხა მოხდა, რომ არმია, რომელიც ხალხის მასის პროდუქტია, არმია, რომელიც თავს სწირავს, რომელიც ოთხი წლის სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ისევ ებმება ომში, — რომ ასეთი არმია საბჭოთა რესპუბლიკისათვის იბრძოდეს, ეს ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, რათა დაღლილობა და სასოწარკვეთილება მასისა, რომელიც ამ ომში მიდის, შეიცვალოს იმის ნათელი შეგნებით, რომ ისინი თავს სდებენ მართლაც თავიანთი საქმისათვის: მუშათა და გლეხთა საბჭოებისათვის, სოციალისტური რესპუბლიკისათვის. ეს მიღწეულია.

ის გამარჯვებანი, რომლებიც ჩვენ ზაფხულში მოვიპოვეთ ჩეხოსლოვაკებზე, და ის ცნობები ძალიან დიდ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც მოგვდის, ამტკიცებენ, რომ გარდატეხა მოხდა და რომ ყველაზე ძნელი ამოცანა — ოთხი წლის ტანჯვა-წამებითი ომის შემდეგ შეგნებული სოციალისტური ორგანიზებული მასის შექმნის ამოცანა, — ეს ამოცანა მიღწეულია. ეს შეგნება ღრმად შეიჭრა მასებში. ათეულმა მილიონებმა შეიგნეს, რომ ისინი ძნელ საქმეს ეწევიან. და ეს საწინდარია იმისა, რომ თუმცა ახლა ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას აპირებენ მსოფლიო იმპერიალიზმის ძალები, რომლებიც ამჟამად ჩვენზე ძლიერნი არიან, რომ თუმცა ჩვენ ახლა გარს გვერტყმიან ჯარისკაცები იმპერიალისტებისა, რომლებიც მიხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების საშიშროებას და აღგზნებული არიან სურვილით ჩაახშონ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სიმართლეს ვამბობთ და არ ვმალავთ, რომ ახლა ისინი ჩვენზე ძლიერნი არიან, — ჩვენ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ვიზრდებით, საბჭოთა რესპუბლიკა იზრდება! პროლეტარული რევოლუციის საქმე უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე იმპერიალისტების ძალები გვიახლოვდებიან. ჩვენ აღსავსენი ვართ იმედით და რწმენით, რომ ჩვენ ვიცავთ არა მარტო რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ინტერესებს, არამედ ჩვენ ვეწევით ომს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დასაცავადაც. ჩვენი გამარჯვების იმედები

უფრო სწრაფად იზრდება, რადგან იზრდება ჩვენი მუშების შეგნება. რა იყო საბჭოთა ორგანიზაცია გასული წლის ოქტომბერში? ეს იყო პირველი ნაბიჯები. ჩვენ ვერ შევძელით ამ ორგანიზაციის შეგუება მდგომარეობასთან, მისი მიყვანა გარკვეულ, ახლანდელ მდგომარეობამდე, ახლა კი ჩვენ გვაქვს საბჭოთა კონსტიტუცია. ჩვენ ვიცით, რომ ეს საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ივლისში იქნა დამტკიცებული, რომ იგი გამოგონილი არ არის რომელიმე კომისიის მიერ, შეთხზული არ არის იურისტების მიერ, გადმოწერილი არ არის სხვა კონსტიტუციებიდან. ქვეყნად არ ყოფილა ისეთი კონსტიტუციები, როგორიც ჩვენი კონსტიტუციაა. იქ ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის შიგნითაც და მთელ მსოფლიოში ექსპლოატატორთა წინააღმდეგ პროლეტარული მასების ბრძოლისა და ორგანიზაციის გამოცდილება. ჩვენ გვაქვს ბრძოლის გამოცდილების მარაგი. (ტ ა შ ი). და გამოცდილების ამ მარაგმა ჩვენ მოგვცა თვალსაჩინო დადასტურება იმისა, რომ ორგანიზებული მუშები საბჭოთა ხელისუფლებას ქმნიდნენ მოხელეების, მუდმივი არმიის გარეშე, პრივილეგიების გარეშე, რომლებიც ფაქტიურად ეძლეოდა ბურჟუაზიას, და ქმნიდნენ ფაბრიკა-ქარხნებში ახალი მშენებლობის საძირკველს. ჩვენ ვიწყებთ მუშაობას ისე, რომ ვიზიდავთ ახალ თანამშრომლებს, რომლებიც საჭირონი არიან საბჭოთა კონსტიტუციის განსახორციელებლად. ამისათვის ჩვენ ახლა გვყავს მზა კადრები ახალწვეულებისა, ახალგაზრდა გლეხებისა, რომლებიც ჩვენ უნდა ჩავაბათ მუშაობაში, და ისინი დაგვეხმარებიან ბოლომდე მივიყვანოთ საქმე.

ახლა უკანასკნელი პუნქტი, რომელზეც მე მინდა შევჩერდე, ეს არის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი. ჩვენ ვდგავართ ჩვენი საერთაშორისო ამხანაგების მხარდამხარ და ახლა დავრწმუნდით, თუ როგორ გადაჭრით და ენერგიულად გამოთქვამენ ისინი რწმენას, რომ რუსეთის პროლეტარული რევოლუცია მათთან ერთად წავა, როგორც საერთაშორისო რევოლუცია.

როგორც იზრდებოდა რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, ასევე იზრდებოდა და ძლიერდებოდა მთელი მსოფლიოს იმპერიალისტთა გააფთრებული დარაზმვა. 1917 წლის ოქტომბერში მათ კურიოზად მიაჩნდათ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არისო; თებერვალში მათ იგი მიაჩნდათ სოციალისტურ ექსპერიმენტად, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა არ ღირსო. მაგრამ რესპუბლიკის არმია იზრდებოდა, მტკიცდებოდა: მან გადაწყვიტა ყველაზე ძნელი ამოცანა — სოციალისტური წითელი არმიის შექმნის ამოცანა. ჩვენი საქმის ზრდისა და წარმატების გამო იზრდებოდა გააფთრებული წინააღმდეგობა და გააფთრებული სიძულვილი ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისა, რომლებიც იქამდე მივიდნენ, რომ ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები, რომლებიც გაყვიროდნენ, ჩვენ ვილჰელმის მტრები ვართო, ახლოს არიან იმასთან, რომ შეუერთდნენ სწორედ იმავე ვილჰელმს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დახრჩობისათვის ბრძოლაში, რადგან მათ დაინახეს, რომ ეს რესპუბლიკა აღარ არის კურიოზი და სოციალისტური ექსპერიმენტი, არამედ გახდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის კერა, ნამდვილი, ფაქტიური კერა. აი რატომ არის, რომ რაც უფრო იზრდებოდა ჩვენი რევოლუციის წარმატებანი, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი მტრების რიცხვი. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი, ისე, რომ ოდნავადაც არ დავმალოთ ჩვენი მდგომარეობის სიმძიმე, გავითვალისწინოთ ის, თუ რა მოგველის წინ. მაგრამ ამაზე ჩვენ წავალთ, და უკვე მივდივართ არა მარტონი, არამედ ვენისა და ბერლინის მუშებთან ერთად, რომლებიც მხედრდებიან იმავე ბრძოლისათვის და, შეიძლება, მეტი დისციპლინიანობა და შეგნებულობა შეიტანონ ჩვენს საერთო საქმეში.

ამხანაგებო, რათა გიჩვენოთ, თუ როგორ გროვდება ღრუბლები ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და თუ რა საფრთხე მოგველის ჩვენ, ნება მომეცით წაგიკითხოთ სრული ტექსტი იმ ნოტისა, რომელიც გამოგვიგზავნა ჩვენ თავისი საკონსულოს მეშვეობით გერმანიის მთავრობამ:

«საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ვ. ჩიჩერინს. მოსკოვი. 1918 წ. 5 ნოემბერი.

გერმანიის მთავრობის დავალებით გერმანიის იმპერატორის საკონსულოს პატივი აქვს აუწყოს რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შემდეგი: გერმანიის მთავრობა უკვე მეორეჯერ იყო იძულებული პროტესტი განეცხადებინა იმ გარემოების გამო, რომ რუსეთის ოფიციალურ დაწესებულებათა გამოსვლის გზით, მიუხედავად ბრესტის საზავო ხელშეკრულების მე-2 მუხლის დადგენილებისა, წარმოებს შეუწყნარებელი აგიტაცია გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებათა წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობას უკვე შეუძლებლად მიაჩნია დასჯერდეს პროტესტებს ამ აგიტაციის წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავს არა მარტო მოხსენიებული ხელშეკრულების დადგენილებათა დარღვევას, არამედ ინტერნაციონალურ ჩვეულებათაგან სერიოზულ გადახვევასაც. როდესაც საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ შექმნა თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერლინში, რუსეთის რწმუნებულად დანიშნულ ბატონ იოფეს გარკვევით მიეთითა აუცილებლობაზე — თავი აერიდებინა ყოველგვარი სააგიტაციო და საპროპაგანდო საქმიანობისათვის გერმანიაში. მან ამაზე გვიპასუხა, რომ იცნობს ბრესტის ხელშეკრულების მე-2 მუხლს და იცის, რომ, როგორც უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი, იგი არ უნდა ერეოდეს გერმანიის შინაურ საქმეებში. ამიტომ ბატონი იოფე და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოები ბერლინში სარგებლობდნენ იმ ყურადღებითა და ნდობით, როგორითაც ჩვეულებრივ ეპყრობიან უცხოეთის ექსტერიტორიულ წარმომადგენლობებს. მაგრამ ეს ნდობა არ იქნა გამართლებული. უკვე რამდენიმე ხნის განმავლობაში ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიის სახელმწიფო წყობილების დამხობის მიმართულებით მომუშავე ზოგიერთ ელემენტთან ინტიმური ურთიერთობის გზით და თავის სამსახურში ამ ელემენტების გამოყენების გზით დაინტერესებული იყო იმ მოძრაობით, რომელიც მიმართულია გერმანიაში არსებული წყობილების დამხობისაკენ. ამა თვის 4-ს მომხდარმა ინციდენტმა გამოარკვია, რომ რუსეთის მთავრობა რევოლუციისაკენ მოწოდების შემცველი ფურცლების შემოტანით აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებს იმ მოძრაობაში, რომლის მიზანიცაა არსებული წყობილების დამხობა, რითაც არღვევს დიპლომატიური კურიერებით სარგებლობის პრივილეგიას. ტრანსპორტირების დროს ერთი იმ ყუთთაგანის დაზიანების გამო, რომლებიც ეკუთვნის გუშინ ბერლინში ჩამოსული რუსი კურიერის ოფიციალურ ბაგაჟს, გამოირკვა, რომ ეს ყუთები შეიცავდნენ გერმანულ ენაზე შედგენილ და თავისი შინაარსით გერმანიაში გასავრცელებლად განკუთვნილ რევოლუციურ ფურცლებს. საჩივრისათვის შემდგომ საფუძველს გერმანიის მთავრობას აძლევს ის დამოკიდებულება, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა იმ საკითხისადმი, თუ როგორ უნდა იქნას ანაზღაურებული იმპერატორის დესპანის გრაფ მირბახის მკვლელობა. რუსეთის მთავრობამ

საჯაროდ აღგვითქვა, რომ ყოველივეს მოიქმედებდა, რათა დამნაშავენი დაესაჯა. მაგრამ გერმანიის მთავრობა ვერ ნახულობს ვერავითარ ნიშანს იმისას, რომ დამნაშავეთა დევნა ან დასჯა უკვე დაწყებულიყოს ან. განზრახვაც კი იყოს ასეთი ღონისძიების გატარებისა. მკვლელები გაიქცნენ სახლიდან, რომელიც ყოველი მხრივ გარემოცულია რუსეთის მთავრობის საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებით. მკვლელობის ინიციატორები, რომლებიც აშკარად გამოტყდნენ, რომ მკვლელობა მათ მიერ იყო გადაწყვეტილი და მომზადებული, დღემდე დაუსჯელნი დარჩნენ და, მიღებული ცნობების მიხედვით, ამნისტირებულიც კი იქნენ. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს ხელშეკრულებისა და საჯარო სამართლის ამ დარღვევათა წინააღმდეგ. მან უნდა მოითხოვოს რუსეთის მთავრობისაგან იმის გარანტიები, რომ აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც საზავო ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, მომავალში არ იწარმოებს. მან, გარდა ამისა, უნდა მოითხოვოს დესპანის გრაფ მირბახის მკვლელობის ანაზღაურება მკვლელთა და მკვლელობის ინიციატორთა დასჯის საშუალებით. იმ მომენტამდე, ვიდრე ეს მოთხოვნები შესრულებული იქნებოდეს, გერმანიის მთავრობამ უნდა თხოვოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას უკან გაიწვიოს გერმანიიდან თავისი დიპლომატიური და სხვა ოფიციალური წარმომადგენლები. რუსეთის რწმუნებულს ბერლინში დღეს განეცხადა, რომ საგანგებო მატარებელი ბერლინში რუსეთის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების და ამ ქალაქში მყოფი სხვა ოფიციალური პირების გასამგზავრებლად მზად იქნება ხვალ საღამოს და მიღებულ იქნება ზომები მთელი პერსონალის შეუფერხებელი გამგზავრებისათვის რუსეთის საზღვრო პუნქტამდე. საბჭოთა მთავრობას მივმართავთ თხოვნით, რომ მან იზრუნოს მისცეს იმავე დროს მოსკოვსა და პეტროგრადში მყოფ გერმანიის წარმომადგენლებს გამომგზავრების შესაძლებლობა ყოველივე იმის დაცვით, რასაც თავაზიანობის ვალი მოითხოვს. რუსეთის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც გერმანიაში იმყოფებიან, აგრეთვე გერმანიის ოფიციალურ პირებს, რომლებიც რუსეთის სხვა ადგილებში იმყოფებიან, განეცხადება, რომ ერთი კვირის ვადაში უნდა გაემგზავრონ — პირველნი რუსეთში, მეორენი — გერმანიაში. გერმანიის მთავრობა ნებას აძლევს თავს მოელოდეს, რომ გერმანიის ამ უკანასკნელ ოფიციალურ პირთა მიმართაც დაცული იქნება თავაზიანობის ყველა მოთხოვნა მათი გამომგზავრებისას და რომ გერმანიის სხვა ქვეშევრდომებს ან გერმანიის მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს, მათი ასეთი თხოვნის შემთხვევაში, მიეცემათ შეუფერხებლად გამომგზავრების შესაძლებლობა».

ამხანაგებო, ჩვენ ყველამ ჩინებულად ვიცით, რომ გერმანიის მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ რუსეთის საელჩოში სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ გერმანელი სოციალისტები, და არა ისინი, ვინც გერმანიის იმპერიალიზმს უჭერდა

მხარს, ასეთ ადამიანებს რუსეთის საელჩოს ზღურბლზე ფეხი არ გადაუბიჯებიათ. რუსეთის საელჩოს მეგობრები იყვნენ ის სოციალისტები, რომლებიც ომის წინააღმდეგი იყვნენ, რომლებიც კარლ ლიბკნეხტს თანაუგრძნობდნენ. ისინი საელჩოს არსებობის დასაწყისიდანვე მისი სტუმრები იყვნენ, და მხოლოდ მათთან გვქონდა ჩვენ ურთიერთობა. ეს გერმანიის მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა. ისინი ჩვენი მთავრობის ყოველ წარმომადგენელს ისეთივე გულმოდგინებით ადევნებენ თვალყურს, როგორც ნიკოლოზ II მთავრობა უთვალთვალებდა ჩვენს ამხანაგებს. და თუ ახლა მთავრობა ამ ჟესტს მიმართავს, ეს არა იმიტომ, რომ რაიმე შეცვლილიყოს, არამედ იმიტომ, რომ მას წინათ უფრო ძლიერად მიაჩნდა თავი და არ ეშინოდა, რომ ბერლინის ქუჩებში ანთებული ერთი სახლის გამო მთელ გერმანიას მოედებოდა ცეცხლი. გერმანიის მთავრობას თავგზა აებნა, და, როცა მთელი გერმანია ცეცხლშია გახვეული, იგი ფიქრობს, რომ ჩააქრობს ხანძარს, თუ თავის პოლიციურ წელებს ერთ სახლზე მიმართავს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ეს მხოლოდ სასაცილოა. თუ გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს გამოაცხადოს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს ჩვენ ვიცოდით, რომ იგი მთელი ძალ-ღონით მიისწრაფვის ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან კავშირისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ვილსონის მთავრობას დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდნენ და თხოვდნენ, დაეტოვებინათ გერმანელთა ჯარები პოლონეთში, უკრაინაში, ესტლანდიასა და ლიფლანდიაში, რადგან, თუმცა ისინი გერმანიის იმპერიალიზმის მტრები არიან, მაგრამ ეს ჯარები მათ საქმეს აკეთებენ: ისინი ბოლშევიკებს თრგუნავენ *. საშუალება მიეცით მათ მხოლოდ მაშინ წავიდნენ, როდესაც გამოჩნდებიან ანტანტოფილური «განმათავისუფლებელი ჯარები», რათა ბოლშევიკები დაახრჩონო.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 140 — 142. რ ე დ.

ეს ჩვენ ჩინებულად ვიცით; ამ მხრივ ჩვენთვის აქ არაფერია მოულოდნელი. ჩვენ მხოლოდ ვამბობდით, რომ ახლა, როდესაც გერმანიას ცეცხლი მოედო, ხოლო ავსტრია მთლად ცეცხლშია გახვეული, როდესაც ისინი იძულებული იყვნენ გამოეშვათ ლიბკნეხტი და მიეცათ მისთვის შესაძლებლობა წასულიყო რუსეთის საელჩოში, სადაც იყო რუსი და გერმანელი სოციალისტების საერთო კრება ლიბკნეხტის მეთაურობით, — ახლა ამგვარი ნაბიჯი გერმანიის მთავრობის მხრივ იმდენად იმას არ მოწმობს, რომ მათ სურთ იომონ, რამდენადაც იმას, რომ მათ სავსებით აებნათ თავგზა, რომ ისინი ტორტმანობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებათა შორის, რადგან მათ თავს წაადგა უსასტიკესი მტერი — ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც დათრგუნა ავსტრია ასკეცად უფრო ძალდატანებითი ზავით, ვიდრე ბრესტის ზავი იყო. გერმანია ხედავს, რომ ამ განმათავისუფლებლებს სურთ იგიც დაახრჩონ, ჯიჯგნონ, აწამონ. მაგრამ ამასთან ერთად ფეხზე დგება გერმანიის მუშა. გერმანიის არმია იმიტომ კი არ აღმოჩნდა უვარგისი, ბრძოლისუნარმოკლებული, რომ დისციპლინა სუსტი იყო, არამედ იმიტომ, რომ ჯარისკაცები, რომლებმაც უარი თქვეს ბრძოლაზე, აღმოსავლეთის ფრონტიდან გადაიყვანეს დასავლეთ გერმანიის ფრონტზე, და მათ თან გადაიტანეს ის, რასაც ბურჟუაზია მსოფლიო ბოლშევიზმს უწოდებს.

აი რატომ აღმოჩნდა გერმანიის არმია ბრძოლისუნარმოკლებული და აი რატომ ამტკიცებს ეს დოკუმენტი ყველაზე მეტად ამ ტორტმანს. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ დოკუმენტს შეიძლება გამოეწვია დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, და იქნებ, ომიც გამოეწვია, მათ რომ აღმოჩენოდათ ძალები გამოძღოლოდნენ თეთრგვარდიელთა ჯარებს. ამიტომ ჩვენ ყველა დეპუტატთა საბჭოს გავუგზავნეთ დეპეშა[55], რომელიც იმით თავდება, რომ ფხიზლად იყვნენ, მოემზადონ, მთელი ძალ-ღონე დაძაბონ; ეს ერთ-ერთი გამოვლინებაა იმისა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ბოლშევიზმის დამხობას. ეს არ ნიშნავს მარტო რუსეთზე

გამარჯვებას, — ეს ნიშნავს ყოველ ქვეყანაში თავის საკუთარ მუშებზე გამარჯვებას. ამას ისინი ვერ შეძლებენ, რა მხეცობაცა და ძალადობაც არ უნდა მოჰყვეს ამ გადაწყვეტილებას. და ისინი, ეს მხეცები, ემზადებიან, ისინი ამზადებენ ლაშქრობას რუსეთზე სამხრეთიდან, დარდანელის, ან ბულგარეთისა და რუმინეთის გზით. ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა გერმანიაში შექმნან თეთრგვარდიელთა ჯარები და მიუსიონ ისინი რუსეთს. ეს საფრთხე ჩვენ ჩინებულად გვაქვს შეგნებული და აშკარად ვამბობთ: ამხანაგებო, ჩვენ ტყუილად კი არ გვიმუშავნია წლის განმავლობაში; ჩვენ ამოვიყვანეთ საძირკველი, ჩვენ მივადექით გადამწყვეტ ბრძოლებს, რომლებიც, მართლაც, იქნება გადამწყვეტი. მაგრამ ჩვენ მარტონი არა ვართ: დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი აღდგა, მას ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია ავსტრია-უნგრეთში. იქაურ მთავრობას ახასიათებს იგივე უმწეობა, იგივე ველური დაბნეულობა, იგივე თავგზის სრული აბნევა, როგორიც ახასიათებდა თავის დროზე, 1917 წლის თებერვლის დამლევს, ნიკოლოზ რომანოვის მთავრობას. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: კიდევ და კიდევ დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები, გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვუახლოვდებით უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლას, არა რუსეთის, არამედ საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისათვის!

ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალიზმის მხეცები ჯერ კიდევ ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან, მათ კიდევ შეუძლიათ ჩვენ და ჩვენს ქვეყანას უამრავი ძალადობა, მხეცობა და ტანჯვა-წამება დაატეხონ თავს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საერთაშორისო რევოლუციის დამარცხება. ისინი აღსავსენი არიან ველური სიძულვილით, და ამიტომ ვეუბნებით ჩვენს თავს: რაც უნდა მოხდეს, რუსეთის ყოველი მუშა და გლეხი შეასრულებს თავის ვალს და თავს დასდებს, თუ ამას რევოლუციის დაცვის ინტერესები მოითხოვენ. ჩვენ ვამბობთ: რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა უბედურება დაგვატეხონ კიდევ თავს იმპერიალისტებმა, ამით ისინი თავს ვერ იხსნიან.

იმპერიალიზმი დაილუპება, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუცია კი, ყოველივეს მიუხედავად, გაიმარჯვებს! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ვ ა ც ი ა შ ი გ ა დ ა დ ი ს).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 9 ნოემბერს «პრავდაში» № 242
და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 244

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1919 წელს
წიგნში: «საბჭოების სრულიად რუსეთის
მეექვსე საგანგებო ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან და
გაზეთ «პრავდის»
ტექსტთან

2

სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 8 ნოემბერს

(ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი.) ამხანაგებო, ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდანვე საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხი ჩვენს წინაშე წარმოსდგა როგორც ყველაზე მთავარი საკითხი, არა მარტო იმიტომ, რომ იმპერიალიზმი ამიერიდან ნიშნავს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ძლიერად და მტკიცედ გადანასკვას ერთ სისტემად, რომ არა ვთქვათ ერთ ბინძურ სისხლიან გუნდად, არამედ იმიტომაც, რომ სოციალისტური რევოლუციის სრული გამარჯვება წარმოუდგენელია ერთ ქვეყანაში, არამედ მოითხოვს უაღრესად აქტიურ თანამშრომლობას რამდენიმე მოწინავე ქვეყნისას მაინც, რომლებსაც ჩვენ რუსეთს ვერ მივაკუთნებთ. აი რატომ არის, რომ საკითხი, თუ რამდენად მივაღწევთ ჩვენ რევოლუციის გაფართოებას სხვა ქვეყნებშიც და რამდენად შევძლებთ მანამდე გავუმკლავდეთ იმპერიალიზმს, რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახდა.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს სულ მოკლედ მოგაგონოთ განვლილი წლის მანძილზე ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ეტაპები. როგორც უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა რევოლუციის წლისთავის გამო წარმოთქმულ სიტყვაში, ჩვენი მდგომარეობის მთავარი ნიშანი ერთი წლის წინათ იყო ჩვენი მარტოობა *. ჩვენ, მართალია, მტკიცე რწმენა გვქონდა, რომ მთელ ევროპაში იქმნება და შეიქმნა რევოლუციური

* იხ. ეს ტომი, გვ. 153. რ ე დ.

ძალა, რომ ომი ურევოლუციოდ არ დამთავრდება, მაგრამ ნიშნები დაწყებული ან დაწყების პროცესში მყოფი რევოლუციისა მაშინ არ იყო. ასეთ მდგომარეობაში ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, თუ არ ის, რომ წარგვემართა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ღონისძიებანი დასავლეთ ევროპის მუშათა მასების გათვითცნობიერებისაკენ, გათვითცნობიერებისაკენ არა იმ აზრით, რომ ჩვენ მათზე მეტ მომზადებულობას ვჩემულობდით, არამედ იმ აზრით, რომ, ვიდრე ბურჟუაზია დამხობილი არ არის ქვეყანაში, იქ ბატონობს სამხედრო ცენზურა და ის გაუგონარი სისხლიანი ბურუსი, რომელიც თან ახლავს ყოველ ომს, განსაკუთრებით რეაქციულ ომს. თქვენ ჩინებულად იცით, რომ ყველაზე დემოკრატიულ, რესპუბლიკურ ქვეყნებშიც ომი ნიშნავს სამხედრო ცენზურას და გაუგონარ მეთოდებს, რომლებსაც ხმარობს ბურჟუაზია ბურჟუაზიულ შტაბებთან ერთად ხალხის მოსატყუებლად. ჩვენი ამოცანა იყო გაგვეზიარებინა სხვა ხალხებისათვის ის, რაც ამ მხრივ მოპოვებულია. ჩვენ ამ მხრივ მოვიმოქმედეთ ყოველივე, რაც კი შეგვეძლო, როდესაც ჩვენ ჩავშალეთ და გამოვაქვეყნეთ ის ბინძური საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომელნიც ყოფილმა მეფემ დასდო თავისი კაპიტალისტების სასარგებლოდ ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან. თქვენ იცით, რომ ეს ხელშეკრულებანი მთლად მძარცველური ხასიათისა იყო. თქვენ იცით, რომ კერენსკისა და მენშევიკების მმართველობამ ეს ხელშეკრულებანი საიდუმლოდ შეინახა და დაადასტურა. გამონაკლისის სახით ჩვენ ვხვდებით ინგლისისა და საფრანგეთის ცოტათი მაინც პატიოსან პრესაში მითითებებს, რომ მხოლოდ რუსეთის რევოლუციის წყალობით გაიგეს მათ, ფრანგებმა და ინგლისელებმა, ბევრი რამ არსებითი, რაც მათ დიპლომატიურ ისტორიას ეხება.

რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან ცოტა გავაკეთეთ მთლიანად აღებული სოციალური რევოლუციის თვალსაზრისით, მაგრამ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ერთ-ერთი უდიდესი ნაბიჯი იყო ამ რევოლუციის მოსამზადებლად.

ახლა თუ შევეცდებით ზოგადად გადავავლოთ თვალი იმ შედეგებს, რაც ჩვენ მოგვცა გერმანიის იმპერიალიზმის მხილებამ, დავინახავთ, რომ ახლა ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის ცხადი და ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ მათ აიძულებდნენ სისხლისმღვრელი და მძარცველური ომი ეწარმოებინათ. და ომის ამ წლის დამლევს იწყება ასეთივე მხილება ინგლისისა და ამერიკის მოქმედებისა, რადგან მასები თვალებს ახელენ და თანდათან ერკვევიან მათი ზრახვების არსში. აი ყოველივე ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენი წვლილი ჩვენ შევიტანეთ. ასეთ ხელშეკრულებათა მხილება ლახვრის ჩაცემა იყო იმპერიალიზმისათვის. ზავის პირობები, რომელსაც ჩვენ ძალაუნებურად ხელი მოვაწერეთ, პროპაგანდისა და აგიტაციის აზრით ესოდენ მძლავრი იარაღი იყო, და ამით ჩვენ ისე ბევრი გავაკეთეთ, როგორც არც ერთ მთავრობას, არც ერთ ხალხს არ გაუკეთებია. თუ ჩვენ მიერ წამოწყებულმა ცდამ — გაგვეღვიძებინა მასები, — ერთბაშად ვერ მოგვცა შედეგები, ჩვენ არასოდეს არც ვფიქრობდით, რომ რევოლუცია დაუყოვნებლივ დაიწყება ან ყოველივე დაკარგულია. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ ორი რევოლუცია, და ჩვენ ნათლად ვხედავდით, თუ რა პერიოდი უნდა განვლონ მათ, ვიდრე მასებს დაეუფლებიან. ამის დადასტურებას ჩვენ ვპოულობთ ავსტრიისა და გერმანიის უკანასკნელ ამბებში. ჩვენ ვამბობდით, ჩვენი ვარაუდი დამყარებულია არა იმაზე, რომ მტაცებლებთან კავშირში გავხდეთ ასეთივე მტაცებლები, — არა, ჩვენ იმის ვარაუდი გვქონდა, რომ გაგვეღვიძებინა მტრული ქვეყნების პროლეტარიატი. ჩვენ პასუხად დაგვცინოდნენ და გვეუბნებოდნენ, თქვენ აპირებთ გააღვიძოთ გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც დაგახრჩობთ, სანამ მის წინააღმდეგ პროპაგანდით გამოსვლას მოაწყობდეთო. ფაქტებმა კი ცხადყვეს, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით, როცა ვვარაუდობდით, რომ მშრომელი მასები ყველა ქვეყანაში თანაბრად მტრულად არიან განწყობილნი იმპერიალიზმისადმი. მხოლოდ საჭიროა მიეცეთ მათ

გარკვეული პერიოდი მოსამზადებლად, ვინაიდან რუს ხალხსაც, მიუხედავად 1905 წლის რევოლუციის მოგონებებისა, დასჭირდა ხანგრძლივი პერიოდი, ვიდრე ჩვენ კვლავ აღვდგებოდით რევოლუციის მოსახდენად.

ბრესტის ზავის წინ ჩვენ მოვიმოქმედეთ ყოველივე, რაც კი შეგვეძლო, რათა ლახვარი ჩაგვეცა იმპერიალიზმისათვის. თუ პროლეტარული რევოლუციის ზრდის ისტორიამ ეს არ ამოშალა და თუ ბრესტის ზავმა ჩვენ გვაიძულა უკან დაგვეხია იმპერიალიზმის წინაშე, ეს იმიტომ მოხდა, რომ 1918 წლის იანვარში ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი. ბედმა მარტოობა გვარგუნა, და ჩვენ ბრესტის ზავის შემდეგ ტანჯვა-წამებით აღსავსე ეპოქა განვიცადეთ.

ამხანაგებო, ოთხმა წელმა, რაც ჩვენ საერთაშორისო ომში გამოვიარეთ, მოგვცა ზავი, მაგრამ ზავი ძალდატანებითი. მაინც, ამ ძალდატანებითმა ზავმაც საბოლოო ანგარიშით ცხადყო, რომ ჩვენ მართალნი ვართ და რომ ჩვენი იმედები ქვიშაზე როდია აგებული. ჩვენ თვიდან თვემდე ვმტკიცდებოდით, დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი კი სუსტდებოდა. ახლა ჩვენ ვხედავთ შედეგად, რომ გერმანია, რომელიც ნახევარი წლის წინათ სრულიად არ უწევდა ანგარიშს ჩვენს საელჩოს, რომელიც ფიქრობდა, რომ იქ არ შეიძლება იყოს არც ერთი წითელი სახლი, ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო დროს, სუსტდება. უკანასკნელი დეპეშა იუწყება, რომ გერმანიის იმპერიალიზმმა მიმართა მასებს მოწოდებით, სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ზავი მოახლოებულიაო. ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს, როდესაც იმპერიალისტები მიმართავენ მოწოდებით სიმშვიდის შენარჩუნების შესახებ და უახლოეს მომავალში პირდებიან იმას, რისი შესრულებაც მათ არ შეუძლიათ. თუ გერმანია მალე მიიღებს ზავს, ეს ზავი მათთვის იქნება ბრესტის ზავი, რომელიც მშვიდობის ნაცვლად მშრომელ მასებს მეტ ტანჯვა-წამებას მოუტანს, ვიდრე მათ დღემდე განიცადეს.

ისეთი შეიქმნა ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის შედეგები, რომ ბრესტის ზავის ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ ბურ-

ჟუაზიის თვალსაზრისით წარმოვადგენდით დამარცხებულ ქვეყანას, მაგრამ პროლეტარული თვალსაზრისით ჩვენ სწრაფი ზრდის გზით გავემართეთ და ვდგავართ პროლეტარული არმიის სათავეში, რომელიც უკვე არყევს ავსტრიასა და გერმანიას. ამ წარმატებამ დაადასტურა და სავსებით გაამართლა პროლეტარული მასების ყოველი წარმომადგენლის თვალში მთელი ის მსხვერპლი, რაც ჩვენ გავიღეთ. ისე რომ მომხდარიყო, ჩვენ უცებ აღვეგავეთ, — ვთქვათ, დამდგარიყო ჩვენი მოღვაწეობის აღსასრული, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს: სასწაულები არ ხდება, — მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ უფლება გვექნებოდა შეცდომების დაუფარავად გვეთქვა, რომ ჩვენ სავსებით გამოვიყენეთ სოციალისტური მსოფლიო რევოლუციისათვის დროის ის პერიოდი, რომელიც ბედმა გვარგუნა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რუსეთის მშრომელი მასებისათვის, და ჩვენ გავაკეთეთ იმაზე მეტი, ვიდრე ვინმე სხვამ, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, აი უკანასკნელი თვეების, უკანასკნელი კვირეების განმავლობაში საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად იცვლებოდა, ვიდრე გერმანიის იმპერიალიზმი თითქმის დანგრეული არ აღმოჩნდა. უკრაინაზე დამყარებული მთელი იმედი, რომლითაც გერმანიის იმპერიალიზმი კვებავდა თავის შშრომელებს, მხოლოდ დაპირება გამოდგა. აღმოჩნდა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი მოემზადა, და გერმანიას ლახვარი ჩასცა. შეიქმნა სრულიად სხვანაირი მდგომარეობა. ჩვენ არავითარ ილუზიას არ ვეძლეოდით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენ იმპერიალიზმზე გაცილებით უფრო სუსტნი ვიყავით, ახლაც საერთაშორისო იმპერიალიზმზე უფრო სუსტნი ვართ, — ჩვენ ეს ახლაც უნდა გავიმეოროთ, რათა თავი არ მოვიტყუილოთ; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენ უფრო სუსტნი ვიყავით და არ შეგვეძლო ბრძოლა გაგვემართა. ახლაც უფრო სუსტნი ვართ და ყოველივე აუცილებელი უნდა მოვიმოქმედოთ, რომ მასთან ბრძოლა თავიდან ავიცილოთ.

მაგრამ თუ ჩვენ მოვახერხეთ და გავძელით ერთ წელს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი გათიშული იყო მტაცებელთა ორ ჯგუფად: ინგლისელ-ფრანგ-ამერიკელთა და გერმანელთა ჯგუფებად, რომლებსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ ერთმანეთთან და ჩვენთვის არ ეცალათ. არც ერთ ამ ჯგუფთაგანს მთლიანად არ შეეძლო ჩვენს წინააღმდეგ სერიოზული ძალები გამოეგზავნა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ორივენი გამოგზავნიდნენ ამ ძალებს, რომ შეძლებოდათ. ომი, მისი სისხლიანი ბურუსი თვალებს ბურავდა. მატერიალური მსხვერპლი, რაც საჭირო იყო ომისათვის, ძალების უკიდურესად დაძაბვას მოითხოვდა. მათ ჩვენთვის არ ეცალათ, და ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ რაღაც სასწაულით იმპერიალისტებზე უფრო ძლიერნი ვიყავით, — არა, ეს ასე არაა! არამედ მხოლოდ იმ ფაქტის წყალობით, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი გაითიშა მტაცებელთა ორ ჯგუფად, რომელნიც ერთმანეთს ახრჩობდნენ. მხოლოდ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ აშკარად გამოუცხადა ბრძოლა ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს — წაართვა მათ საზღვარგარეთულ სესხთა სახით მოთავსებული კაპიტალი, სილა გააწნა მათ, აშკარად შეეხო ავაზაკთა ჯიბეს.

პერიოდი განცხადებებისა, რომლებითაც ჩვენ გამოვდიოდით მაშინ იმ მიწერ-მოწერის გამო, რასაც მიმართავდნენ გერმანელი იმპერიალისტები, და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმს არ შეეძლო ისე დაგვჯახებოდა, როგორც უნდა ექნა მას თავისი მტრობისა და კაპიტალისტური მოგების წყურვილის გამო, ომმა რომ გაუგონრად გაადიდა, — ეს პერიოდი გათავდა. იმ მომენტამდე, როცა ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები გამარჯვებული აღმოჩნდნენ მეორე ჯგუფზე, ისინი მთლიანად უნდებოდნენ ერთმანეთთან ბრძოლას და ამის გამო იძულებული ხდებოდნენ დროებით ხელი აეღოთ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გადამწყვეტ ლაშქრობაზე. მეორე ჯგუფი უკვე არ არის:

დარჩა გამარჯვებულთა ერთი ჯგუფი. ამან სრულიად შეცვალა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, და ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ ცვლილებას. რა დამოკიდებულებაშია ეს ცვლილება საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებასთან, ამაზე ფაქტები გვიპასუხებენ. დამარცხებულ ქვეყნებში ახლა მუშათა რევოლუცია იმარჯვებს, ვინაიდან რევოლუციის დიდი განვითარება ყველასათვის ცხადია. როდესაც ჩვენ ოქტომბერში ძალაუფლებას ხელთ ვიღებდით, ევროპაში ჩვენ მხოლოდ ცალკე ნაპერწკალი ვიყავით და მეტი არაფერი. მართალია, ნაპერწკლები მრავლდებოდა, და ეს ნაპერწკლები ჩვენგან მიდიოდა. ეს უდიდესი საქმეა, რომლის გაკეთებაც ჩვენ მოვახერხეთ, მაგრამ ეს მაინც ცალკეული ნაპერწკლები იყო. ახლა კი იმ ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც გერმანია-ავსტრიის იმპერიალიზმის სფეროში შედიან, ხანძარშია გახვეული (ბულგარეთი, ავსტრია, უნგრეთი). ჩვენ ვიცით, რომ ბულგარეთის შემდეგ რევოლუცია მოედო სერბიას. ჩვენ ვიცით, თუ როგორ გადაუარეს ამ მუშურ-გლეხურმა რევოლუციებმა ავსტრიას და მიაღწიეს გერმანიამდე. მთელ რიგ ქვეყნებს მოედო მუშათა რევოლუციის ცეცხლი. ამ მხრივ ჩვენი ღონისძიებანი და ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლი გამართლდა. ისინი აღმოჩნდნენ არა ავანტიურა, როგორც ცილს გვწამებდნენ მტრები, არამედ აუცილებელი გადასვლა საერთაშორისო რევოლუციისაკენ, გადასვლა, რაც უნდა განეცადა ქვეყანას, რომელიც, თავისი განუვითარებლობისა და ჩამორჩენილობის მიუხედავად, წინ არის დაყენებული.

ეს არის ერთი, იმპერიალისტური ომის საბოლოო ბედის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი. მეორე შედეგი ის არის, რომელიც მე დასაწყისში აღვნიშნე, — რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი ახლა უკვე ისევე ამხელს თავის თავს, როგორც თავის დროზე ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმი ამხელდა. ჩვენ ვხედავთ, ბრესტის მოლაპარაკების დროს გერმანია რომ აღმოჩენილიყო ცოტათი თავდაჭერილი, ცოტათი დინჯი, ავანტიურებისაგან თავის შეკავების უნარის მქონე, — მას შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა,

შეეძლო, უეჭველად, მოეპოვებინა ხელსაყრელი მდგომარეობა დასავლეთში. ეს მან ვერ ქნა იმიტომ, რომ ისეთ მანქანას, როგორიც არის მილიონებისა და ათეული მილიონების ომი, ომი, რომლითაც უკიდურესად გაღვივებულია შოვინისტური ვნებათა ღელვა, ომი, რომელიც დაკავშირებულია ასეულ მილიარდობით მანეთად ღირებულ კაპიტალისტურ ინტერესებთან, — ასეთ მანქანას, რაკი იგი აამოძრავეს, ვერავითარი მუხრუჭით ვერ შეაჩერებ. ამ მანქანამ უფრო შორს გასწია, ვიდრე ეს გერმანელ იმპერიალისტებს უნდოდათ, და გასრისა ისინი. ისინი ჩაიფლნენ, ისინი აღმოჩნდნენ იმ კაცის მდგომარეობაში, რომელიც გატყვრა, დაადგა რა ამით თავის დაღუპვის გზას. და აი ახლა ჩვენს თვალწინ ამ მეტად უშნო, მაგრამ რევოლუციური პროლეტარიატის თვალსაზრისით მეტად სასარგებლო მდგომარეობაში აღმოჩნდა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი. შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ მათ გერმანიაზე გაცილებით მეტი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ. აქ არიან ადამიანები, რომლებიც შეეჩვივნენ დემოკრატიულ მმართველობას და უკვე არა რომელიღაც იუნკრების მმართველობას, ადამიანები, რომლებმაც ასეული წლების წინათ განიცადეს თავიანთი ისტორიის უაღრესად მძიმე პერიოდი. შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ეს ადამიანები სიდინჯეს შეინარჩუნებდნენ. ჩვენ რომ ვმსჯელობდეთ ინდივიდუალური თვალსაზრისით, შეუძლიათ თუ არა მათ დინჯნი იყვნენ, საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით, როგორც ბურჟუაზიის ფილისტერები, პროფესორები, რომლებსაც ვერაფერი გაუგიათ იმპერიალიზმისა და მუშათა კლასის ბრძოლაში, ჩვენ რომ ვმსჯელობდეთ საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით, ჩვენ უნდა გვეთქვა, რომ ინგლისი და ამერიკა — ქვეყნები, სადაც დემოკრატია საუკუნეთა მანძილზეა გაზრდილი, რომ იქ ბურჟუაზია შეძლებდა თავის შეკავებას. მას რომ ახლა რაიმე ღონისძიებებით თავი შეეკავებინა, ეს იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ ხანგრძლივი დროით. მაგრამ ირკვევა, რომ მათაც მოსდით იგივე, რაც სამხედროდესპოტურ გერმანიას დაემართა. ამ იმპერიალისტურ ომში

დიდი განსხვავებაა რუსეთსა და რესპუბლიკურ ქვეყნებს შორის. იმპერიალისტური ომი ისეთი სისხლისმღვრელი, მტაცებლური, მხეცურია, რომ მან ეს უმნიშვნელოვანესი განსხვავებაც კი წაშალა; მან ამერიკის ყველაზე თავისუფალი დემოკრატია ამ მხრივ გაათანაბრა ნახევრადსამხედრო დესპოტურ გერმანიასთან.

ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისმა და ამერიკამ — ქვეყნებმა, რომლებსაც სხვებზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ დემოკრატიულ რესპუბლიკებად დარჩენილიყვნენ, — ისევე ველურად, უგუნურად შეტოპეს, როგორც გერმანიამ თავის დროზე, და ამიტომ ისინი სწრაფად, იქნებ, უფრო სწრაფადაც უახლოვდებიან იმ აღსასრულს, რომელსაც ასე წარმატებით მიაღწია გერმანიის იმპერიალიზმმა. ჯერ იგი უზომოდ გაიბერა ევროპის სამ მეოთხედზე, სიმსუქნით გასივდა, შემდეგ კი იქვე გასკდა და თან მეტად საშინელი სიმყრალე დატოვა. და ამ აღსასრულისაკენ მიექანება ახლა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თუნდაც ოდნავ შევხედოთ დაზავებისა და ზავის იმ პირობებს, რომლებსაც ახლა გერმანიის იმპერიალიზმისაგან ხალხთა «განმათავისუფლებლები», ინგლისელები და ამერიკელები, უგზავნიან დამარცხებულ ხალხებს. ავიღოთ ბულგარეთი. თითქოს, ისეთი ქვეყანა, როგორიც ბულგარეთია, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ბუმბერაზისათვის არ შეიძლებოდა საშიში ყოფილიყო. მაგრამ ამ პატარა, სუსტ, სრულიად უმწეო ქვეყანაში მომხდარმა რევოლუციამ თავგზა აუბნია ინგლისელებსა და ამერიკელებს და წამოაყენებინა მათ დაზავების ისეთი პირობები, რომლებიც ოკუპაციას უდრის. ახლა იქ, სადაც გამოცხადებულია გლეხთა რესპუბლიკა, სოფიაში, ამ მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძში, ყველა რკინიგზა დაკავებულია ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ. მათ უხდებათ ბრძოლა პატარა ქვეყნის გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ. სამხედრო თვალსაზრისით ეს წვრილმანი რამ არის. ადამიანები, რომლებიც დგანან ბურჟუაზიის — ძველი გაბატონებული კლასის, ძველი სამხედრო ურთიერთობის თვალსაზრისზე,

ისინი მხოლოდ ზიზღით იღიმებიან. მაშ, რას ნიშნავს ეს ცეროდენა ბულგარეთი ინგლის-ამერიკის ძალთა წინააღმდეგ? სამხედრო თვალსაზრისით — არაფერს, ხოლო რევოლუციური თვალსაზრისით — ძალიან ბევრ რამეს. ეს კოლონია კი არ არის, სადაც შეჩვეული არიან მილიონობითა და მილიონობით ჟლიტონ დამარცხებულნი. ინგლისელებსა და ამერიკელებს ხომ ეს მიაჩნიათ მხოლოდ წესრიგის აღდგენად, ცივილიზაციისა და ქრისტიანობის შეტანად ველურ აფრიკელთა წრეში. ეს ხომ ცენტრალური აფრიკა არ არის; აქ ჯარისკაცები, რაც უნდა ძლიერი იყოს მათი არმია, — აქ ჯარისკაცები იხრწნებიან, როდესაც ისინი რევოლუციას ხვდებიან. ეს რომ ლიტონი სიტყვა არ არის, ამას გერმანია ამტკიცებს. გერმანიაში, დისციპლინის მხრივ მაინც, ჯარისკაცები ნიმუშს წარმოადგენდნენ. როდესაც გერმანელები უკრაინაში მიდიოდნენ, აქ, გარდა დისციპლინისა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებდნენ. დამშეული გერმანელი ჯარისკაცი პურს ეტანებოდა, და იმის მოთხოვნა მისგან, რომ მას მაინცდამაინც არ დაეტაცა პური, დაუჯერებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში მათ ყველაზე მეტად გადაედო რუსეთის რევოლუციის სულისკვეთება. ამას ჩინებულად მიხვდა გერმანიის ბურჟუაზია, და ამან აიძულა ვილჰელმი დაეწყო აქეთ-იქეთ ხეთქება. ცდებიან ჰოგენცოლერნები, თუ ფიქრობენ, რომ გერმანია თუნდაც ერთ წვეთ სისხლს დაღვრის მათი ინტერესებისათვის. აი როგორი იყო თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკის შედეგი. და ეს ახლა ინგლისსაც მოსდის. უკვე იწყება რღვევა ინგლის-ამერიკის არმიაში; რღვევა დაიწყო მას შემდეგ, რაც ამ არმიამ მძვინვარება იწყო ბულგარეთის მიმართ. და ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია. ბულგარეთს მიჰყვა ავსტრია. ნება მომეცით წაგიკითხოთ რამდენიმე მუხლი იმ პირობებისა, რომლებსაც გამარჯვებული ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები უკარნახებენ დამარცხებულთ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოუყრეს ყური მშრომელ მასებს ყვირილით, ჩვენ განმათავისუფლებელ ომს ვეწევით, ჩვენი

მთავარი მიზანია გავსრისოთ პრუსიის მილიტარიზმი, რომელიც იმუქრება ყაზარმული წყობილების ყველა ქვეყანაზე გავრცელებასო. ისინი გაყვიროდნენ, განმათავისუფლებელ ომს ვეწევითო. ეს მოტყუება იყო. თქვენ იცით, როდესაც ბურჟუაზიული ადვოკატებისათვის, ამ პარლამენტარებისათვის, რომლებიც მთელ სიცოცხლეში იმას სწავლობდნენ, თუ როგორ ატყუონ სხვები გაუწითლებლივ, როდესაც მათ უხდებოდათ ერთმანეთის მოტყუება, — ეს ადვილი იყო; მაგრამ როდესაც უხდებათ ასევე მუშების მოტყუება, ეს მოტყუება ამაოდ არ ჩაივლის ხოლმე. პოლიტიკანები, პარლამენტარები, ინგლისისა და ამერიკის ეს მოღვაწენი, ისინი ამაში გაწაფულნი არიან. მატყუარობა მათ სრულიადაც არ შეაკრთობს. მუშათა მასები კი, რომლებსაც ისინი აღაგზნებდნენ თავისუფლების სახელით, მაშინვე მოვლენ გონს, და ეს კიდევ იჩენს თავს, როდესაც ისინი მასობრივი მასშტაბით, არა პროკლამაციებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ, მაგრამ სათანადოდ ვერ ძრავენ წინ რევოლუციას, არამედ საკუთარი გამოცდილებით დაინახავენ, რომ მათ ატყუებენ, როდესაც ისინი დაინახავენ ავსტრიისათვის წარდგენილი ზავის პირობებს.

აი ზავი, რომელსაც ახლა თავს ახვევენ შედარებით სუსტ, ახლა უკვე დაშლის პროცესში მყოფ სახელმწიფოს ისინი, ვინც გაყვიროდა, ბოლშევიკები მოღალატენი არიან, რადგან ხელს აწერენ ბრესტის ზავსო! როდესაც გერმანელებს უნდოდათ გამოეგზავნათ აქ, მოსკოვს, თავიანთი ჯარისკაცები, ჩვენ ვთქვით, უმალ დავიხოცებით ყველანი ბრძოლაში, მაგრამ ამაზე არასოდეს არ დავთანხმდებით-თქო. (ტ ა შ ი). ჩვენ ვეუბნებოდით ჩვენს თავს, რომ მძიმე იქნება მსხვერპლი, რომელიც უნდა გაიღონ ოკუპირებულმა ოლქებმა, მაგრამ ყველამ იცის, თუ როგორ ეხმარებოდა და ამარაგებდა მათ საბჭოთა რუსეთი იმით, რაც აუცილებელი იყო. ახლა კი ინგლისისა და საფრანგეთის დემოკრატიული ჯარები «წესრიგის დაცვას» უნდა ემსახურონ, — და ამას ამბობენ, როდესაც ბულგარეთსა და სერბიაში მუშათა დეპუტატების

საბჭოებია, როდესაც ვენასა და ბუდაპეშტში მუშათა დეპუტატების საბჭოებია. ჩვენ ვიცით, თუ რა წესრიგია ეს. ეს ნიშნავს, რომ ინგლის-ამერიკის ჯარებს მოუხმობენ შეასრულონ მსოფლიო რევოლუციის ჩამხრჩობთა და ჯალათთა როლი.

ამხანაგებო, როდესაც რუსეთის ბატონყმური ჯარები 1848 წელს მიდიოდნენ უნგრეთის რევოლუციის ჩასახშობად [56], ეს შეიძლებოდა მათ გასვლოდათ, რადგან ეს ჯარები ბატონყმური ჯარები იყვნენ; ეს შეიძლებოდა მათ გასვლოდათ პოლონეთის მიმართ [57], მაგრამ რომ ხალხმა, რომელიც უკვე საუკუნის მანძილზე ფლობდა თავისუფლებას, რომელშიც აღვივებდნენ სიძულვილს გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ეუბნებოდნენ, ეს მხეცია, რომელიც უნდა დავახრჩოთო, ამ ხალხმა რომ ვერ გაიგოს, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმიც ისეთივე მხეცია, რომლის მიმართ სამართლიანობა შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ იგიც ასევე იქნას დახრჩობილი, ეს შეუძლებელია!

და აი ახლა ისტორია ბოროტი ირონიით, რომელიც ისტორიას სჩვევია, იქამდე მივიდა, რომ გერმანიის იმპერიალიზმის მხილების შემდეგ დადგა ჯერი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმისა, რომელიც ბოლომდე ამხელს თავის თავს, და ჩვენ ვაცხადებთ რუსი, გერმანელი, ავსტრიელი მუშათა მასების წინაშე: ეს რუსეთის 1848 წლის ბატონყმური ჯარები როდი არიან! ეს მათ ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლით! ისინი მიდიან იმ ხალხის ჩასახშობად, რომელიც კაპიტალიზმიდან თავისუფლებისაკენ გადადის, მიდიან რევოლუციის ჩასახშობად. და ჩვენ ვამბობთ აბსოლუტური რწმენით, რომ ახლა ეს გამტყვრალი მხეცი ისევე გადაიჩეხება უფსკრულში, როგორც გადაიჩეხა გერმანიის იმპერიალიზმის მხეცი.

ამხანაგებო, ახლა ვილაპარაკებ საქმის იმ მხარეზე, რომელიც ჩვენ ყველაზე მეტად შეგვეხება. მე გადავალ ზავის იმ პირობებზე, რომლებსაც ახლა ხელი უნდა მოაწეროს გერმანიამ. საგარეო საქმეთა კომისარიატში მომუშავე ამხანაგები მეუბნებოდნენ, რომ «ტაიმსში» [58], ინგლისის გაუგონრად მდიდარი ბურჟუაზიის მთავარ ორგანოში, ბურჟუაზიისა, რომელიც

ფაქტიურად წყვეტს მთელ პოლიტიკას, უკვე მოთავსებული იყო ის პირობები, რომლებსაც გერმანია უნდა დათანხმდეს. გერმანიისაგან მოითხოვენ დასთმოს კუნძული ჰელჰოლანდი, ვილჰელმსჰაფენის არხი, დასთმოს ქალაქი ესენი, რომელშიც მზადდება თითქმის მთელი სამხედრო მოწყობილობა, მოსპოს სავაჭრო ფლოტი, ერთბაშად დასთმოს ელზას-ლორენი და გადაიხადოს 60 მილიარდი კონტრიბუცია, აქედან მნიშვნელოვანი წილი ნატურით, რადგან ფული ყველგან გაიაფდა და ინგლისელმა ვაჭრებმაც იწყეს სხვა ვალუტით ანგარიში. ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიას ისინი უმზადებენ მის ნამდვილად დამხრჩობ ზავს, უფრო ძალდატანებითს ზავს, ვიდრე ბრესტის ზავია. მატერიალური და თავისი ძალების თვალსაზრისით ეს მათ შეუძლიათ განახორციელონ, ქვეყნად რომ არ იყოს მათთვის ესოდენ არასასიამოვნო ბოლშევიზმი. ისინი ამ ზავით თვითონ განიმზადებენ დაღუპვას. ეს ხომ ხდება არა ცენტრალურ აფრიკაში, არამედ XX საუკუნეში ცივილიზებულ ქვეყნებში. თუ უკრაინელი მოსახლეობა წერაკითხვის უცოდინარია, თუ დისციპლინებული გერმანელი ჯარისკაცი თრგუნავდა უკრაინელებს, ახლა გერმანელმა ჯარისკაცმა უკვე დამარხა თავისი დისციპლინა; მით უფრო დაიმარხავს თავის თავს ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმი, როდესაც იგი ისეთ ავანტიურას წამოიწყებს, რომელიც მას პოლიტიკურ კრახამდე მიიყვანს, როდესაც იგი თავის ჯარებს მთელი ევროპის დამხრჩობად და ჟანდარმად აქცევს. ისინი დიდი ხანია ცდილობენ მოსპონ რუსეთი, და ლაშქრობა მის წინააღმდეგ დიდი ხანია განზრახულია. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ მურმანის დაკავება და ის, თუ როგორ ჩაუყარეს მათ ხელთ მილიონები ჩეხოსლოვაკებს და დასდეს ხელშეკრულება იაპონიასთან, თუ როგორ წაართვა ახლა ინგლისმა ხელშეკრულებით თურქებს ბაქო, რათა დაგვახრჩოს ჩვენ ნედლეულის წართმევით.

ინგლისის ჯარები მზად არიან დაიწყონ ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, სამხრეთიდან ან დარდანელიდან, ანდა ბულგარეთისა და რუმინეთის გზით. ისინი რკალად ერტყმიან

საბჭოთა რესპუბლიკას, ისინი ცდილობენ გაწყვიტონ ეკონომიური კავშირი რესპუბლიკასა და მთელ მსოფლიოს შორის. ამისათვის მათ აიძულეს ჰოლანდია გაეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა[59]. თუ გერმანიამ გააძევა ჩვენი ელჩი გერმანიიდან, იგი მოქმედებდა, თუ ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკასთან პირდაპირი შეთანხმებით არა, მათ საამებლად მაინც, რათა ისინი სულგრძელნი იყვნენ მისდამი. შეხედეთ, ჩვენც ვასრულებთ ბოლშევიკების, თქვენი მტრების მიმართ, ჯალათის მოვალეობასო.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი შედეგი შეიძლება დავახასიათოთ ისე, როგორც ეს მე ამ დღეებში გავაკეთე, რომ არასოდეს არ ვყოფილვართ ისე ახლოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც დღეს ვართ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ, როცა გეზი ავიღეთ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციაზე, ჩვენ არ შევმცდარვართ. უდიდესი მსხვერპლი, ეროვნულიცა და ეკონომიურიც, ტყუილად არ გაგვიღია. ამ მხრივ ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ. მაგრამ თუ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ასე ახლოს საერთაშორისო რევოლუციასთან, ამასთან ჩვენი მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისე საშიში, როგორც ახლა არის. იმპერიალისტები ერთმანეთთან ბრძოლას უნდებოდნენ. ახლა კი ერთი ამ დაჯგუფებათაგანი აღგვილია ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ჯგუფის მიერ. მთავარ ამოცანად მათ მიაჩნიათ ჩაახშონ მსოფლიო ბოლშევიზმი, ჩაახშონ მისი მთავარი უჯრედი, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ამისათვის ისინი აპირებენ ააგონ ჩინური კედელი, რათა თავი დაიცვან ბოლშევიზმისაგან, ისე როგორც კარანტინით იცავენ თავს ჭირისაგან. ეს ადამიანები ცდილობენ კარანტინით დააღწიონ თავი ბოლშევიზმს, მაგრამ ეს შეუძლებელია მოხდეს. თუ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ვაჟბატონები, ქვეყნად უსრულყოფილესი ტექნიკის მფლობელნი, თუ ისინი მოახერხებენ ჩინური კედლის აღმართვას რესპუბლიკის

ირგვლივ, მაშინ ბოლშევიზმის ბაცილა გაატანს კედლებში და მოედება ყველა ქვეყნის მუშებს. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, დასავლეთ ევროპის, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის პრესა მთელი ძალ-ღონით ცდილობს მიჩქმალოს იმპერიალიზმის მდგომარეობა. არ არის ისეთი სიცრუე და ცილისწამება, რომელიც ამ პრესამ არ გაავრცელოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის მთელი პრესა კაპიტალისტების ხელში, — ხოლო იგი მილიარდებს ატრიალებს, — რომ მთელი ეს პრესა მოქმედებს, ვით ერთი სინდიკატი, რომ დამალოს სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ, რომ გაავრცელოს სიცრუე და ცილისწამება ჩვენს წინააღმდეგ. და მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ცენზურა უკვე წლებია მძვინვარებს და მათ შეძლეს იმის მიღწევა, რომ დემოკრატიული ქვეყნების პრესაში არც ერთი მართალი სიტყვა არ გაუშვან საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ, მაინც არ არის მუშათა არც ერთი დიდი კრება არც ერთ ქვეყანაში, სადაც არ მჟღავნდებოდეს, რომ მუშათა მასები ბოლშევიზმის მხარეზე არიან, იმიტომ რომ სიმართლის დამალვა არ შეიძლება. მტერი ჩვენ ბრალად გვდებს, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას ვახორციელებთ, დიახ, ჩვენ ამას არ ვმალავთ! და იმით, რომ საბჭოთა მთავრობას არ ეშინია აშკარად თქვას და იგი კიდევაც ამბობს აშკარად, ამით იგი იმხრობს მშრომელთა ახალ მილიონებს, იმიტომ რომ ახორციელებს დიქტატურას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, და მშრომელი მასები ხედავენ და რწმუნდებიან, რომ ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზული იყო და რომ ეს ბრძოლა სერიოზულ დასასრულამდე იქნება მიყვანილი. მიუხედავად ამ დუმილის შეთქმულებისა, რაც ჩვენს გარშემო მოაწყო ევროპის პრესამ, ისინი დღემდე მიუთითებდნენ თავიანთ მოვალეობაზე, მიუთითებდნენ, რომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებენ იმიტომ, რომ რუსეთმა თავი დააპყრობინა გერმანიას, რუსეთი ფაქტიურად გერმანიის აგენტიაო, რომ აქ, რუსეთში, ადამიანები, რომლებიც მთავრობის სათავეში

დგანან, — მათი აზრით, — გერმანიის აგენტები არიან. იქ ყოველთვიურად ჩნდებიან დოკუმენტების ახალი ფალსიფიკატორები, რომლებიც კარგ სასყიდელს იღებენ და ამტკიცებენ, რომ ლენინი და ტროცკი მთლად გამცემლები და გერმანიის დამქაშები არიანო. ყოველივე ამის მიუხედავად, ისინი ვერ ახერხებენ სიმართლის დამალვას, და იქ ხშირად თავს იჩენს აშკარა ნიშნები იმისა, რომ ამ ბატონ იმპერიალისტებს არ შეუძლიათ მტკიცედ გრძნობდნენ თავს. «ეხო დე პარი»[60] აღიარებს: «ჩვენ მივდივართ რუსეთში, რათა ბოლშევიკების ხელისუფლება დავამხოთო». ვინაიდან მათი ოფიციალური პერსპექტივა ისეთია, რომ ისინი რუსეთთან ომს არ აწარმოებენ, სამხედრო საქმეებში არ ერევიან, არამედ მხოლოდ გერმანიის ძალადობის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩვენმა ფრანგმა ინტერნაციონალისტებმა, რომლებიც მოსკოვში სცემენ გაზეთ «მესამე ინტერნაციონალს»[61], მოიყვანეს ეს ციტატი, და თუმცა ჩვენ მოგვწყვიტეს პარიზსა და საფრანგეთს, თუმცა იქ ჩინური კედელი ძალიან ოსტატურადაა აღმართული, ჩვენ ვამბობთ: საკუთარი ბურჟუაზიისაგან, ბატონო ფრანგო იმპერიალისტებო, თქვენ ვერ შეძლებთ თავის დაცვას. და რასაკვირველია, ასეულ ათასობით ფრანგმა მუშამ ეს პატარა ციტატი იცის და არა მარტო ეს, ისინი ხედავენ, რომ მათი მმართველების, მათი ბურჟუაზიის ყველა განცხადება მთლად სიცრუეა. მათი საკუთარი ბურჟუაზია წამოაყრანტალებს ხოლმე; ისინი აღიარებენ: ჩვენ გვინდა ბოლშევიკების ხელისუფლება დავამხოთო. ოთხი წლის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ მათ უნდა უთხრან თავიანთ ხალხს: წადით კიდევ რუსეთის წინააღმდეგ საომრად, რათა დაამხოთ ბოლშევიკების ხელისუფლება, რომლებიც ჩვენ გვძულს იმისათვის, რომ მათ ჩვენი მართებთ 17 მილიარდი და არ უნდათ ეს ფული გადაიხადონ, იმისათვის, რომ ისინი არათავაზიანად ეპყრობიან კაპიტალისტებს, მემამულეებსა და მეფეებსო. ცივილიზებული ხალხები, რომლებმაც საკუთარი თავი მიიყვანეს ისეთ მდგომარეობამდე, რომ მათ უხდებათ ამის თქმა, ააშკარავებენ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ

მათი პოლიტიკა კრახის გზით მიდის, და, რაც უნდა ძლიერნი იყვნენ ისინი სამხედრო მხრივ, ჩვენ სრული გულდამშვიდებით შევცქერით ამ ძალას და ვამბობთ: თქვენ თქვენს ზურგში გყავთ კიდევ უფრო მრისხანე მტერი, — ეს ხალხის ის მასები არიან, რომლებსაც თქვენ დღემდე ატყუებდით, და თქვენ ენა დაგიშრათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სიცრუისა და ცილისწამებისაგან. მეორე ამგვარი ცნობა მოთავსებულია ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის «მანჩესტერ გარდიანის»[62] 23 ოქტომბრის ნომერში. აი რას წერს ბურჟუაზიული ინგლისური გაზეთი: «თუ მოკავშირეთა არმიებიც რჩებიან რუსეთში და განაგრძობენ სამხედრო ოპერაციებს, ერთადერთ მიზანს წარმოადგენს შინაური გადატრიალების გამოწვევა რუსეთში... ამიტომ მოკავშირეთა მთავრობებმა ან უნდა შეწყვიტონ თავიანთი სამხედრო ოპერაციები, ან განაცხადონ, რომ ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ ომობენ».

ვიმეორებ, დიდი მნიშვნელობა ამ პატარა ციტატისა, რომელიც ჩვენთვის გაისმის როგორც რევოლუციური ყიჟინა, როგორც უძლიერესი რევოლუციური მოწოდება, დიდი მნიშვნელობა ამ ციტატისა ის არის, რომ მას წერს ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც თვითონ არის სოციალისტების მტერი, მაგრამ იგი გრძნობს, რომ სიმართლის დამალვა უკვე არ შეიძლება. თუ ასე ლაპარაკობენ ბურჟუაზიული გაზეთები, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას ამბობენ და რას ფიქრობენ ინგლისის მუშათა მასები. თქვენ იცით, თუ ჩვენში, ცარიზმის არსებობის დროს, 1905 წლის ან 1917 წლის რევოლუციამდე, როგორი ენით ლაპარაკობდნენ ლიბერალები. თქვენ იცით, რომ ლიბერალების ეს ენა ნიშნავდა აფეთქების მოახლოებას პროლეტარულ რევოლუციურ მასებში. ამიტომ ამ ბურჟუაზიული ინგლისელი ლიბერალების ენიდან თქვენ გააკეთებთ დასკვნას იმის შესახებ, თუ რა ხდება ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი მუშების განწყობილებაში, გონებასა და გულში. აი რატომ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს სრულიად დაუფარავად ის მწარე სიმართლე, რაც ახასიათებს ჩვენს

საერთაშორისო მდგომარეობას. საერთაშორისო რევოლუ-ცია ახლოსაა, მაგრამ ისეთი განრიგება, რომლითაც რევო-ლუცია ვითარდებოდეს, არ არსებობს; ჩვენ, რომლებმაც ორი რევოლუცია გამოვიარეთ, ეს კარგად ვიცით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თუ იმპერიალისტები საერთაშორისო რევო-ლუციას ვერ შეაჩერებენ, სამაგიეროდ ცალკეული ქვეყნების დამარცხება და კიდევ უფრო მძიმე მსხვერპლი შესაძლებე-ლია. მათ იციან, რომ რუსეთი პროლეტარული რევოლუციის ტკივილებს განიცდის, მაგრამ ისინი ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ, ჩააქრობენ რა რევოლუციის ერთ კერას, ისინი ჩააქრო-ბენ რევოლუციას სხვა ქვეყნებში.

რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მდგომა-რეობა უფრო საშიშია, ვიდრე როდისმე ყოფილა, რომ საჭი-როა კიდევ და კიდევ დავძაბოთ ჩვენი ძალ-ღონე. მას შემდეგ, რაც ჩვენ წლის განმავლობაში ამოვიყვანეთ მკვიდრი საძირ-კველი, შევქმენით სოციალისტური წითელი არმია ახალი დისციპლინის საფუძველზე, ამის შემდეგ ჩვენ რწმენით ვეუბნებით ჩვენს თავს, რომ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა განვაგრძოთ ეს მუშაობა და უნდა ვთქვათ ყველა კრე-ბაზე, ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში, პროფესიულ კავ-შირებში, ღარიბთა კომიტეტების კრებებზე: ამხანაგებო, ჩვენ წელიწადი განვვლეთ და მივაღწიეთ წარმატებას, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა იმ ძლიერ მტერთან შედარებით, რომელიც ჩვენზე მოიწევს. ეს მტერია ინგლის-საფრანგეთის მსოფლიო, ძლიერი იმპერიალიზმი, რომელმაც მთელი ქვეყნიერება დაამარცხა. ჩვენ მასთან საბრძოლველად მივდივართ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობდეთ ეკონომიური და ტექნი-კური მხრივ გავუტოლდეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებს. არა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მტერი იმავე უფსკრულისაკენ მიდის, რა უფსკრულამდეც მივიდა ავსტრია-გერმანიის იმპე-რიალიზმი; ეს მტერი, რომელმაც ახლა შებორკა თურქეთი, ხელთ იგდო ბულგარეთი და რომელიც იმითაა გართული, რომ მოახდინოს მთელი ავსტრია-უნგრეთის ოკუპაცია და დაამყაროს მეფის, ჟანდარმის წესრიგი, — ჩვენ ვიცით, რომ

იგი დაღუპვისაკენ მიდის. ჩვენ ვიცით, რომ ეს ისტორიული ფაქტია, და აი რატომ არის, რომ ჩვენ, სრულიადაც არ ვისახავთ რა აშკარად შეუსაბამო მიზნებს, ვეუბნებით ჩვენს თავს: ჩვენ შეგვიძლია გავუმკლავდეთ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს!

ჩვენი წითელი არმიის განმტკიცების ყოველი ნაბიჯი გამოძახილად ჰპოვებს რღვევისა და რევოლუციის ათ ნაბიჯს ამ მოწინააღმდეგეში, რომელიც ესოდენ ძლიერი ჩანს. ამიტომ სულ მცირე საფუძველიც კი არ არის, რომ სასოწარკვეთილებას ან პესიმიზმს მივეცეთ. ჩვენ ვიცით, რომ საშიშროება დიდია. იქნებ, ბედი კიდევ უფრო მძიმე მსხვერპლს გვიმზადებს. ვთქვათ, შეუძლიათ ერთი ქვეყანა გასრისონ, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ გასრესენ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას, ისინი კიდევ უფრო გააღვივებენ მას და ისინი ყველანი მასში დაიღუპებიან! (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ო ვ ა ც ი ა შ ი გ ა დ ა დ ი ს).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 9 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტიაში» № 244 და 1918 წ.
10 ნოემბერს «პრავდაში» № 243

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1919 წელს
წიგნში: «საბჭოების სრულიად რუსეთის
მეექვსე საგანგებო ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან და
ტექსტთან ბროშურისა:
ნ. ლენინი.
«მსოფლიო იმპერიალიზმი
და საბჭოთა რუსეთი»,
მ., 1919

სიტყვა მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნისას 1918 წ. 7 ნოემბერს

ჩვენ ძეგლს ვუხსნით მსოფლიო მუშათა რევოლუციის ბელადებს, მარქსსა და ენგელსს.

მრავალი საუკუნის მანძილზე იტანჯებოდა და სულშეხუთული იყო კაცობრიობა ერთი მუჭა ექსპლოატატორთა უღელქვეშ, რომელნიც აბუჩად იგდებდნენ მილიონობით მშრომელს. მაგრამ თუ წინა ეპოქის ექსპლოატატორები — მემამულეები — ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ დაქუცმაცებულ, დაქსაქსულ, გონებაბნელ ყმა-გლეხებს, — ახალი დროის ექსპლოატატორებმა, კაპიტალისტებმა, თვალწინ დაინახეს, რომ ჩაგრულ მასათა შორის მათ წინაშე დგას ამ მასების მოწინავე რაზმი, ქალაქის, ფაბრიკა-ქარხნების, მრეწველობის მუშები. ისინი გააერთიანა ფაბრიკამ, ისინი გაათვითცნობიერა ქალაქის ცხოვრებამ, ისინი გამოაწრთო საერთო საგაფიცვო ბრძოლამ და რევოლუციურმა გამოსვლებმა.

მარქსისა და ენგელსის დიადი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ მეცნიერული ანალიზით დაამტკიცეს გარდუვალობა კაპიტალიზმის კრახისა და მისი გადასვლისა კომუნიზმზე, სადაც აღარ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

მარქსისა და ენგელსის დიადი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ ყველა ქვეყნის პროლეტარებს მიუთითეს მათ როლზე, მათ ამოცანაზე, მათ მოწოდებაზე: პირველნი აღმდგარიყვნენ რევოლუციური ბრძოლისათვის კაპიტალის წინააღმდეგ, გაეერთიანებინათ თავიანთ

გარშემო ამ ბრძოლაში ყ ვ ე ლ ა მშრომელი და ექსპლოატირებული.

ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ დროში, როდესაც დიდი სოციალისტების ეს წინასწარხედვა უკვე ხორცს ისხამს. ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ მთელ რიგ ქვეყნებში როგორ ამოდის პროლეტარიატის საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის განთიადი. ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წარმოუდგენელი საშინელებანი ყველგან იწვევენ ჩაგრული მასების გმირულ აღტყინებას, აასკეცებენ მათ ძალას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დაე, მარქსისა და ენგელსის ძეგლებმა კიდევ და კიდევ მოაგონონ მილიონობით მუშებსა და გლეხებს, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ ჩვენს ბრძოლაში. ჩვენთან ერთად ფეხზე დგებიან უფრო მოწინავე ქვეყნების მუშები. მათ და ჩვენ ჯერ კიდევ მოგველის მძიმე ბრძოლები. საერთო ბრძოლით დამსხვრეულ იქნება კაპიტალის უღელი, საბოლოოდ მოპოვებულ იქნება სოციალიზმი!

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 9 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 242

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
3 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 76

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლთა მემორიალური დაფის გახსნისას 1918 წ. 7 ნოემბერს

ამხანაგებო! ჩვენ ვხსნით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მოწინავე მებრძოლთა ძეგლს. მშრომელი მასების საუკეთესო ადამიანებმა თავი გასწირეს, დაიწყეს რა აჯანყება იმპერიალიზმისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის, ხალხთა შორის ომების შეწყვეტისათვის, კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, სოციალიზმისათვის.

ამხანაგებო! რუსეთის ახალი დროის მთელი რიგი ათეული წლების ისტორია გვიჩვენებს რევოლუციონერთა გრძელ მარტიროლოგს. ათასები და ათასები იღუპებოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი დაღუპვა ახალ მებრძოლებს აღვიძებდა, საბრძოლველად აღაგზნებდა სულ უფრო და უფრო ფართო მასებს.

გასული წლის ოქტომბრის დღეებში დაღუპულ ამხანაგებს წილად ხვდათ გამარჯვების დიადი ბედნიერება. მათი ხვედრი შეიქმნა ის უდიდესი პატივი, რომელზეც ოცნებობდნენ კაცობრიობის რევოლუციური ბელადები: ეს პატივი ის იყო, რომ ბრძოლაში დაცემული ამხანაგების სხეულებზე გაიარეს ათასობით და მილიონობით ახალმა მებრძოლებმა, ისეთივე უშიშარმა მებრძოლებმა, რომლებმაც მასის ამ გმირობით უზრუნველყვეს გამარჯვება.

ახლა ყველა ქვეყანაში დუღს და გადმოდუღს მუშების აღშფოთება. მთელ რიგ ქვეყნებში იწყება მუშათა სოციალისტური რევოლუცია. მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები, შეძრწუნებულნი და გაბოროტებულნი, ჩქარობენ შეერთდნენ

აჯანყების ჩასახშობად. და განსაკუთრებულ სიძულვილს გვრის მათ რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენს წინააღმდეგ მზადდება ყველა ქვეყნის გაერთიანებული იმპერიალისტების ლაშქრობა, ჩვენ თავს გვატყდება ახალი ბრძოლები, ჩვენ მოგველის ახალი მსხვერპლის გაღება.

ამხანაგებო! მაშ პატივი ვცეთ ოქტომბრის მებრძოლებს იმით, რომ მათი ძეგლის წინაშე დავდოთ ფიცი — ვივლით მათი გზით, მივბაძავთ მათ უშიშრობას, მათ გმირობას. დეე, მათი ლოზუნგი იქცეს ჩვენს ლოზუნგად, ყველა ქვეყნის აჯანყებულ მუშათა ლოზუნგად. ეს ლოზუნგია — «გამარჯვება ან სიკვდილი».

და ამ ლოზუნგით პროლეტარიატის საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მებრძოლნი უძლეველნი იქნებიან.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 8 ნოემბერს მოსკოვის
საბჭოს გაზეთ «ვეჩერნიე იზვესტიაში» № 93

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1924 წ.
3 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 76

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთა მიტინგ-კონცერტზე 1918 წ. 7 ნოემბერს

(ტაშის გრიალი.) ამხანაგებო, აღვნიშნავთ რა ჩვენი რევოლუციის წლისთავს, მინდა შევჩერდე საგანგებო კომისიების მძიმე საქმიანობაზე.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ არა მარტო მტრებისაგან, არამედ ხშირად მეგობრებისაგანაც გვესმის საგანგებო კომისიის საქმიანობის გაკილვა. მძიმე ამოცანა ვიკისრეთ ჩვენ. როდესაც ხელთ ავიღეთ ქვეყნის მართვა-გამგეობა, ჩვენ, ცხადია, მოგვიხდა ბევრი შეცდომის ჩადენა და, რა თქმა უნდა, საგანგებო კომისიების შეცდომები ყველაზე მეტად ეცემა კაცს თვალში. ფილისტერული ინტელიგენცია ხელზე იხვევს ამ შეცდომებს, მას არ სურს ღრმად ჩაწვდეს საქმის არსს. რაც მე მაკვირვებს საგანგებო კომისიების შეცდომების გამო გოდებაში, ესაა საკითხის დიდი მასშტაბით დასმის უუნარობა. ჩვენში ამოგლეჯენ ხოლმე საგანგებო კომისიების ცალკეულ შეცდომებს, მათ დაიხვევენ ხელზე და მოთქვამენ.

ჩვენ კი ვამბობთ: შეცდომებზე ჩვენ ვსწავლობთ. როგორც ყოველ დარგში, ისე აქაც ვამბობთ, რომ ჩვენ ვისწავლით თვითკრიტიკით. საქმე, რა თქმა უნდა, საგანგებო კომისიების მუშაკთა შემადგენლობა კი არ არის, არამედ მათი საქმიანობის ხასიათია, სადაც საჭიროა სიმტკიცე, სისწრაფე და, რაც მთავარია, ერთგულება. როცა მე ვუყურებ საგანგებო კომისიების საქმიანობას და ვუპირისპირებ მას ამ გაკილვას, ვამბობ: ეს ფილისტერული მითქმა-მოთქმაა, რომელიც არაფრად

არ ღირს. ეს მომაგონებს კაუცკის ქადაგებას დიქტატურის შესახებ, — ქადაგებას, რომელიც ბურჟუაზიის მხარდაჭერას უდრის. ჩვენ კი გამოცდილებით ვამბობთ, რომ ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია მიიღწევა მძიმე ბრძოლით — დიქტატურით.

მარქსი ამბობდა: კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შუა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა ძევსო. რაც უფრო დათრგუნავს იგი, პროლეტარიატი, ბურჟუაზიას, მით უფრო გააფთრებული იქნება ამ უკანასკნელის წინააღმდეგობა. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უსწორდებოდნენ პროლეტარებს საფრანგეთში 1848 წელს, და როდესაც ჩვენ სისასტიკეს გვისაყვედურებენ, ჩვენ გვიკვირს, როგორ ავიწყდებათ ადამიანებს ყოვლად ელემენტარული მარქსიზმი. ჩვენ არ დაგვიგიწყნია იუნკრების აჯანყება ოქტომბერში, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მთელი რიგი აჯანყებანი, რომლებიც მზადდება. ჩვენ, ერთი მხრივ, გვიხდება ვისწავლოთ შემოქმედებითი მუშაობა, ხოლო მეორე მხრივ — გავტეხოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა. ფინეთის თეთრი გვარდია არ დაერიდა დაეხვრიტა მუშები, მიუხედავად თავისი «დემოკრატიულობისა». ფართო მასებში განმტკიცდა დიქტატურის აუცილებლობის აზრი, მიუხედავად ამ დიქტატურის სიმძიმისა და სიძნელისა. სავსებით გასაგებია უცხო ელემენტების მიტმასნება საგანგებო კომისიებისადმი. თვითკრიტიკით ჩვენ მათ გავაძევებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საგანგებო კომისიები უშუალოდ ახორციელებენ პროლეტარიატის დიქტატურას, და ამ მხრივ მათი როლი ფასდაუდებელია. სხვა გზა მასების განთავისუფლებისა, თუ არა ექსპლოატატორთა დათრგუნვა ძალის საშუალებით, — არ არის. სწორედ ამას აკეთებენ საგანგებო კომისიები, ეს არის მათი დამსახურება პროლეტარიატის წინაშე.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 9 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის
გაზეთ «იზვესტიაში» № 244

იბეჭდება
საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე გადაბეჭდილი
ასლის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატებისადმი 1918 წ. 8 ნოემბერს [63]

სოფლის ღარიბთა ორგანიზება, ამხანაგებო, ჩვენს წინაშე დგას როგორც ჩვენი საშინაო მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და როგორც მთელი ჩვენი რევოლუციის ყველაზე მთავარი საკითხიც კი.

ოქტომბრის რევოლუციამ ამოცანად დაისახა კაპიტალისტებისათვის ხელიდან გამოეგლიჯა ფაბრიკა-ქარხნები, რათა წარმოების იარაღები საერთო-სახალხო გაეხადა და, გადასცემდა რა მთელ მიწას გლეხებს, სოფლის მეურნეობა სოციალისტურ საწყისებზე გარდაექმნა.

ამოცანის პირველი ნაწილის შესრულება გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე მეორე ნაწილისა. ქალაქად რევოლუციას საქმე ჰქონდა მსხვილ წარმოებასთან, სადაც მუშაობს ათეულ და ასეულ ათასობით მუშა. ფაბრიკა-ქარხნები ეკუთვნოდა კაპიტალისტთა მცირე რიცხვს, რომელთა ალაგმვა მუშებისათვის ძნელი არ იყო. მუშებს უკვე ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდათ კაპიტალისტების წინააღმდეგ წინათ წარმოებული ბრძოლისა, რომელმაც მათ ასწავლა იმოქმედონ ერთსულოვნად, გაბედულად და ორგანიზებულად. გარდა ამისა, ფაბრიკის თუ ქარხნის გაყოფა საჭირო არ არის, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ მთელი წარმოება შენდებოდეს მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის, რომ შრომის პროდუქტები კაპიტალისტებს არ უვარდებოდეთ ხელში.

სულ სხვანაირადაა მიწის საქმე. აქ სოციალიზმის გასამარჯვებლად აუცილებელი იყო მთელი რიგი გარდამავალი ღონისძიებანი. მრავალი წვრილი გლეხური მეურნეობიდან ერთბაშად მსხვილი მეურნეობის მოწყობა შეუძლებელია. ერთბაშად იმის მიღწევა, რომ სოფლის მეურნეობა, რომელსაც დაქსაქსულად აწარმოებდნენ, საზოგადოებრივი გახდეს და მიიღოს ფორმები მსხვილი, საერთო-სახელმწიფოებრივი წარმოებისა, როდესაც შრომის პროდუქტები გადავიდოდა მთელი მშრომელი ხალხის თანაბარ და სამართლიან სარგებლობაში და ამასთან განხორციელდებოდა საყოველთაო და თანაბარი შრომითი ვალდებულება, — ამის ერთბაშად, მოკლე ხანში მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

იმ დროს, როცა ფაბრიკა-ქარხნის მუშებმა ქალაქად უკვე მოასწრეს საბოლოოდ დაემხოთ კაპიტალისტები და მოეცილებინათ ექსპლოატაციის უღელი, სოფლად ესაა მხოლოდ იწყებოდა ნამდვილი ბრძოლა ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენ საბოლოოდ მოვსპეთ მემამულე, წავართვით მას მიწა, მაგრამ ამით ბრძოლა სოფლად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მიწის მოპოვება, ისევე როგორც მშრომელთა ყოველი მონაპოვარი, მხოლოდ მაშინ არის მკვიდრი, როდესაც იგი ეყრდნობა თვით მშრომელთა თვითმოქმედებას, მათ საკუთარ ორგანიზაციას, მათ ურყევობასა და რევოლუციურ სიმტკიცეს.

ჰქონდათ თუ არა მშრომელ გლეხებს ეს ორგანიზაცია?

სამწუხაროდ, არა, და სწორედ ეს არის ბრძოლის მთელი სიძნელის ფესვი, მიზეზი.

ის გლეხები, რომლებიც სხვისი შრომით არ სარგებლობენ, სხვების ხარჯზე არ მდიდრდებიან, რასაკვირველია, ყოველთვის დაუჭერენ მხარს იმას, რომ მიწა ყველას თანაბრად შეხვდეს, რომ ყველა შრომობდეს, რომ მიწის ფლობას არავინ იყენებდეს ექსპლოატაციისათვის და საამისოდ ხელთ არ იგდებდეს რაც შეიძლება მეტ ნაკვეთებს. სხვა საქმეა კულაკები და სოფლის წურბელები, რომლებიც ომის წყალობით გასუქდნენ, რომლებიც შიმშილით სარგებლობდნენ, რათა

საზღაპრო ფასად გაეყიდათ პური, უცდიდნენ რა ფასების ახალ აწევას, მალავდნენ პურს და ახლა ყოველნაირად ცდილობენ გამდიდრდნენ ხალხის უბედურების, სოფლის ღარიბთა და ქალაქის მუშათა შიმშილობის მეოხებით.

ისინი, კულაკები და სოფლის წურბელები — კაპიტალისტებსა და მემამულეებზე ნაკლებ საშიში მტრები როდი არიან. და თუ კულაკი ხელუხლებელი დარჩება, თუ სოფლის წურბელებზე ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მაშინ გარდუვალად ისევ დაბრუნდებიან მეფე და კაპიტალისტი.

ევროპაში დღემდე მომხდარი ყველა რევოლუციის გამოცდილება ნათლად ადასტურებს, რომ რევოლუცია გარდუვალად მარცხდება, თუ გლეხობა კულაკურ ძალადობაზე ვერ გაიმარჯვებს.

ევროპის ყველა რევოლუცია ამაოდ თავდებოდა სწორედ იმიტომ, რომ სოფელი ვერ ახერხებდა თავისი მტრების ალაგმვას. მუშები ქალაქად ამხობდნენ მეფეებს (ინგლისსა და საფრანგეთში მეფეები სიკვდილით დასჯეს ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ, ეს მხოლოდ ჩვენ დაგვაგვიანდა ჩვენი მეფის სიკვდილით დასჯა), და, მაინც, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ძველი წესწყობილება იმარჯვებდა. ეს იმიტომ, რომ მაშინ ქალაქებშიც კი არ იყო მსხვილი წარმოება, რომელიც გააერთიანებდა ფაბრიკა-ქარხნებში მილიონობით მუშას და ისეთ ძლიერ ლაშქრად დარაზმავდა მათ, რომელიც გლეხთა დაუხმარებლადაც შეძლებდა მოეგერიებინა როგორც კაპიტალისტების, ისე კულაკების შემოტევა.

უღარიბესი გლეხობა კი არ იყო ორგანიზებული, თვითონ იგი კულაკებს უხეიროდ ებრძოდა, და ამის გამო რევოლუცია ქალაქადაც მარცხდებოდა.

ახლა სხვანაირი მდგომარეობაა. უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე მსხვილი წარმოება იმდენად ძლიერ განვითარდა, მან ისე მოჰფინა ყველა ქვეყანა ვეებერთელა ფაბრიკა-ქარხნების ქსელით, სადაც ათასობით და ათეულ ათასობით მუშა დაბანდებული, რომ ახლა ქალაქებში ყველგან უკვე შექმნი-

ლია ორგანიზებული მუშების, პროლეტარიატის დიდი კადრი, რომელიც საკმაო ძალას წარმოადგენს ბურჟუაზიაზე, კაპიტალისტებზე საბოლოოდ გასამარჯვებლად.

წინანდელი რევოლუციების დროს ღარიბი გლეხობა თავის მძიმე ბრძოლაში კულაკების წინააღმდეგ ვერავის დაეყრდნობოდა.

ახლა რუსეთში ხელისუფლების სათავეში დგას ორგანიზებული პროლეტარიატი — გლეხობაზე უფრო ძლიერი და უფრო გამოცდილი (ეს გამოცდილება მას წინანდელმა ბრძოლამ მისცა); მის ხელთაა წარმოების ყველა იარაღი, ყველა ფაბრიკა-ქარხანა, რკინიგზები, გემები და ა. შ.

ახლა უღარიბეს გლეხობას საიმედო და ძლიერი მოკავშირე ჰყავს კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უღარიბესმა გლეხობამ იცის, რომ ქალაქი მხარს უჭერს მას, რომ პროლეტარიატი დაეხმარება მას ყველაფრით, რითაც კი შეუძლია, — და ნამდვილად უკვე ეხმარება. ეს გვიჩვენეს ახლახან მომხდარმა ამბებმა.

თქვენ ყველას გახსოვთ, ამხანაგებო, თუ რა საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა რევოლუცია ამა წლის ივლისში. ჩეხოსლოვაკთა აჯანყება იზრდებოდა, ქალაქად შიმშილობა ძლიერდებოდა, ხოლო სოფლად კულაკები უფრო და უფრო თავხედნი ხდებოდნენ, უფრო და უფრო გააფთრებით ესხმოდნენ თავს ქალაქს, საბჭოთა ხელისუფლებას, ღარიბებს.

ჩვენ მოვუწოდეთ სოფლის ღარიბებს ორგანიზაციისაკენ, ჩვენ შევუდექით ღარიბთა კომიტეტების შექმნას და მუშაობა სასურსათო რაზმების შედგენას. მემარცხენე ესერებმა აჯანყება მოაწყვეს. ისინი ამბობდნენ, ღარიბთა კომიტეტებში უქნარები სხედან, მუშები გლეხებს პურს სტაცებენო.

ჩვენ კი მათ ვუპასუხებდით, რომ ისინი იცავენ კულაკობას, რომელიც მიხვდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, გარდა იარაღისა, შეიძლება კიდევ დამშევით მოქმედებდე. ისინი გაიძახოდნენ: «უქნარებიო» — ჩვენ კი ვეკითხებოდით, რატომ გახდა ესა თუ ის კაცი «უქნარა», რატომ დაეცა, რატომ გაღატაკდა, რატომ გალოთდა? განა

კულაკების მიზეზით არა? კულაკები მემარცხენე ესერებთან ერთად გაყვიროდნენ «უქნარებზე», თვითონ კი პურს ხვეტდნენ, მალავდნენ, სპეკულაციას ეწეოდნენ, რათა მუშების შიმშილობისა და გაჭირვების წყალობით გამდიდრებულიყვნენ.

კულაკები მთელ ძალ-ღონეს აცლიდნენ ღარიბებს, სარგებლობდნენ სხვისი შრომით, და ამავე დროს გაყვიროდნენ «უქნარებიო»!

კულაკები მოუთმენლად მოელოდნენ ჩეხოსლოვაკებს, ისინი ხალისით დასვამდნენ ახალ მეფეს, რათა დაუსჯელად განეგრძოთ ექსპლოატაცია, რათა უწინდებურად კისერზე დასწოლოდნენ მოჯამაგირეს, უწინდებურად გამდიდრებულიყვნენ.

და ხსნა მხოლოდ ის იყო, რომ სოფელი ქალაქთან გაერთიანდა, რომ სოფლის პროლეტარულმა და ნახევრადპროლეტარულმა ელემენტებმა, — რომლებიც სხვისი შრომით არ სარგებლობენ, — ქალაქის მუშებთან ერთად გააჩაღეს ლაშქრობა კულაკებისა და სოფლის წურბელების წინააღმდეგ.

ამ გაერთიანების საქმეში განსაკუთრებით ბევრი რამის გაკეთება დაგვჭირდა სურსათის ნიადაგზე. ქალაქად მუშათა მოსახლეობა წარმოუდგენლად იტანჯებოდა შიმშილისაგან, კულაკები კი ეუბნებოდნენ თავის თავს:

— ცოტა ხანს კიდევ შემოვინახავ ჩემს პურს, იქნებ, უფრო მეტი მომცენო.

კულაკებს, რა თქმა უნდა, არ ეჩქარებათ: ფული მათ საკმაო აქვთ; თვითონ ისინი ამბობენ, კერენკები მთელი გირვანქობით დაგვიგროვდაო.

მაგრამ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ შიმშილობის დროს გადამალონ და დააგროვონ პური, — უბოროტესი დამნაშავენი არიან. მათ ისე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ხალხის მოსისხლე მტრებს.

და ეს ბრძოლა სოფლად ჩვენ დავიწყეთ.

მენშევიკები და ესერები ჩვენ გვაშინებდნენ გათიშვით, რომელსაც ჩვენ შევიტანთ სოფლად ღარიბთა კომიტეტების შექმნით. მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ სოფელი არ გასთიშო?

ეს იმას ნიშნავს, რომ იგი კულაკის ბატონობის ქვეშ დატოვო. მაგრამ ჩვენ სწორედ ეს არ გვინდა, და ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეთიშა სოფელი. ჩვენ ვამბობდით: მართალია, ჩვენ კულაკებს დავკარგავთ, ამ უბედურებას ვერ დამალავ (ს ი ც ი ლ ი), სამაგიეროდ ათასობით და მილიონობით ღარიბ გლეხს შევიძენთ, რომლებიც მუშების მხარეზე დადგებიან. (ტ ა შ ი).

ასეც ხდება. სოფლად მომხდარმა გათიშვამ მხოლოდ უფრო ნათლად გვიჩვენა, თუ სად არიან ღარიბნი, სად არიან საშუალო გლეხები, რომლებიც სხვისი შრომით არ სარგებლობენ, და სად არიან სოფლის წურბელები და კულაკები.

მუშები ეხმარებ̇Ძნენ და ეხმარებიან ღარიბ გლეხობას კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოფლად გაჩაღებულ სამოქალაქო ომში მუშები უღარიბესი გლეხობის მხარეზე არიან, როგორც იყვნენ ისინი მის მხარეზე მაშინაც, როდესაც მიწის სოციალიზაციის ესერულ კანონს ვატარებდით.

ჩვენ, ბოლშევიკები, მიწის სოციალიზაციის კანონის წინააღმდეგნი ვიყავით. მაგრამ მაინც ჩვენ ხელი მოვაწერეთ მას, რადგან არ გვინდოდა გლეხობის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ წავსულიყავით. უმრავლესობის ნება ჩვენთვის ყოველთვის სავალდებულოა, და ამ ნების წინააღმდეგ წასვლა რევოლუციის ღალატს ნიშნავს.

ჩვენ არ გვინდოდა გლეხობისათვის თავს მოგვეხვია მისთვის უცხო აზრი, რომ მიწის გათანაბრებითი გაყოფა არაფრის მაქნისია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სჯობია, თუ თვითონ მშრომელი გლეხები საკუთარ ზურგზე, საკუთარ ტყავზე დაინახავენ, რომ მიწის გათანაბრებითი გაყოფა უაზრობაა. მხოლოდ მაშინ შეგვეძლო გვეკითხნა მათთვის, სად არის გამოსავალი იმ გაჩანაგებიდან, იმ კულაკური ძალადობიდან, რაც მიწის გაყოფის ნიადაგზე ხდება?

მიწის გაყოფა კარგი იყო მხოლოდ საქმის დასაწყებად. მას უნდა ცხადეყო, რომ მიწა ერთმევა მემამულეებს, რომ იგი გლეხთა ხელში გადადის. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გამოსავალი მხოლოდ მიწის საზოგადოებრივი დამუშავებაა.

ეს თქვენ არ გქონდათ შეგნებული, მაგრამ ცხოვრებას თვითონ მიყავხართ ამ რწმენამდე. კომუნები, საარტელო დამუშავება, გლეხთა ამხანაგობანი — აი სად არის ხსნა წვრილი მეურნეობის არახელსაყრელობისაგან, აი რა არის მეურნეობის ამაღლებისა და გაუმჯობესების, ძალთა ეკონომიისა და კულაკობის, მუქთახორობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ გლეხები ისე ცხოვრობენ, თითქოს მიწასთან არიან შეზრდილნი: გლეხებს ეშინიათ სიახლისა, ისინი დაჟინებით ებღაუჭებიან ძველს. ჩვენ ვიცოდით, რომ გლეხები მხოლოდ მაშინ დაიჯერებდნენ ამა თუ იმ ღონისძიების სარგებლობას, როდესაც ისინი საკუთარი ჭკუაგონებით მივიდოდნენ ამ სარგებლობის გაგებამდე, შეგნებამდე. და ამიტომ ჩვენ ხელს ვუწყობდით მიწის გაყოფას, თუმცა შეგნებული გვქონდა, რომ ეს როდი იყო გამოსავალი.

მაგრამ ახლა ღარიბნი უკვე თვითონ გვეთანხმებიან ჩვენ. ცხოვრება მათ უჩვენებს, რომ იქ, სადაც საჭიროა, ვთქვათ, 10 გუთანი, რადგან მიწა 100 ნაკვეთადაა დაყოფილი, კომუნალური მეურნეობის დროს საკმარისი იქნება გუთნების ნაკლები რაოდენობა, ვინაიდან მიწა ასე ძალიან აღარ ქუცმაცდება. კომუნა საშუალებას აძლევს მთელ არტელს, მთელ ამხანაგობას ისეთი გაუმჯობესებანი შეიტანოს მეურნეობაში, როგორიც მიუწვდომელია ცალკეული წვრილი მესაკუთრეებისათვის, და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, ყველგან ერთბაშად როდი მოხერხდება საზოგადოებრივ მიწათსარგებლობაზე გადასვლა. კულაკები ყოველნაირად გაუწევენ ამას წინააღმდეგობას, თვითონ გლეხებიც ხშირად დაჟინებით ეწინააღმდეგებიან სოფლის მეურნეობაში კომუნალური საწყისების განხორციელებას. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გავა და უფრო მეტად დარწმუნდება გლეხობა მაგალითებით, საკუთარი გამოცდილებით კომუნების უპირატესობაში, მით უფრო წარმატებით წავა საქმე.

ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ ღარიბთა კომიტეტები. აუცილებელია, რათა ღარიბთა კომიტეტებით მოიფინოს მთელი რუსეთი. ღარიბთა კომიტეტების განვითარება უკვე დიდი ხანია სწრაფად მიმდინარეობს. პეტროგრადში ამას წინათ შედგა ჩრდილოეთის ოლქის ღარიბთა კომიტეტების ყრილობა. მოელოდნენ 7 000 წარმომადგენელს, გამოცხადდა კი 20 000 კაცი, და ყრილობისათვის განკუთვნილმა დარბაზმა ვერ დაიტია ყველა შეკრებილი. საქმეს უშველა კარგმა დარმა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მოეწყოთ კრება ზამთრის სასახლის მოედანზე.

ამ ყრილობამ ცხადყო, რომ სამოქალაქო ომი სოფლად სწორად არის გაგებული: ღარიბი გლეხობა ერთიანდება და მწყობრი რიგებით იბრძვის კულაკების, მდიდრებისა და სოფლის წურბელების წინააღმდეგ.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ღარიბთა კომიტეტების გარდაქმნის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოების VI ყრილობას. ჩვენ დავადგინეთ, რომ სოფლად ღარიბთა კომიტეტები და საბჭოები ცალ-ცალკე არ უნდა არსებობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა კინკლაობა და ზედმეტი ყბედობა. ჩვენ შევაერთებთ ღარიბთა კომიტეტებს საბჭოებთან, ჩვენ ისე მოვაწყობთ, რომ ღარიბთა კომიტეტები საბჭოებად იქცნენ.

ჩვენ ვიცით, რომ კულაკები ზოგჯერ ღარიბთა კომიტეტებშიც შეიპარებიან ხოლმე. თუ ეს ასე გაგრძელდა, მაშინ ღარიბი გლეხობა ისევე მოეპყრობა ღარიბთა კომიტეტებსაც. როგორც კერენსკისა და ავქსენტიევის კულაკურ საბჭოებს. სახელწოდების გამოცვლით ვერავის მოატყუებ. ამის გამო განზრახულია მოხდეს ღარიბთა კომიტეტების ხელახალი არჩევნები. ღარიბთა კომიტეტების არჩევის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა, ვინც ხალხის შიმშილობასთან დაკავშირებით არ მძარცველობს, ვინც ნაჭარბი პურით არ სპეკულანტობს და არ მალავს პურს. კულაკებსა და სოფლის წურბელებს პროლეტარულ ღარიბთა კომიტეტებში ადგილი არ უნდა ექნეთ.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა გადასდოს განსაკუთრებულ ფონდში 1 მილიარდი მანეთი სოფლის მეურნეობის წინ წასაწევად. ყველა არსებულს და ახლად შესაქმნელ კომუნებს ფულადი და ტექნიკური დახმარება გაეწევა.

თუ ინტელიგენტ-სპეციალისტები დასჭირდებათ, ჩვენ მათ გავუგზავნით. მათ უმრავლესობას თუმცა კონტრრევოლუციონერები შეადგენენ, მაგრამ ღარიბთა კომიტეტები შეძლებენ მათ ჩაბმას საქმეში, და ისინი ხალხისათვის იმაზე ნაკლებად არ იმუშავებენ, ვიდრე წინათ ექსპლოატატორებისათვის მუშაობდნენ. საერთოდ, ჩვენი ინტელიგენტები უკვე დარწმუნდნენ, რომ თავიანთი საბოტაჟით, სამუშაოს განზრახ გაფუჭებით ისინი მუშათა ხელისუფლებას ვერ დაამხობენ.

ჩვენთვის არც უცხოეთის იმპერიალიზმია საშიში. გერმანიამ უკვე ხელები დაიწვა უკრაინაში. მას იმედი ჰქონდა, რომ უკრაინიდან 60 მილიონ ფუთ პურს გაიტანდა, გაიტანა კი მხოლოდ 9 მილიონი ფუთი და დამატებად — რუსული ბოლშევიზმი, რომლისადმი იგი განსაკუთრებულ სიმპათიას როდი გრძნობს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). როგორღაც იგივე არ დაემართოთ ინგლისელებსაც, რომლებსაც ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ: ფრთხილად, პატივცემულნო, ყელზე არ დაგადგეთ! (ს ი ც ი ლ ი დ ა ტ ა შ ი).

მაგრამ საფრთხე ჩვენთვის მაინც არსებობს, ვიდრე ჩვენი საზღვარგარეთელი ძმები ჯერ კიდევ ყველგან არ აღმდგარან. და ამიტომ ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი წითელი არმიის ორგანიზება და განმტკიცება. ეს საქმე განსაკუთრებით მახლობელი უნდა იყოს სოფლის ღარიბთათვის, რომელთაც მხოლოდ მაშინ შეუძლიათ თავიანთ შინაურ მეურნეობას მისდიონ, თუ მათ იცავს ჩვენი არმია.

ამხანაგებო, ახალ მეურნეობაზე გადასვლა, შესაძლებელია, ნელა იწარმოებს, მაგრამ აუცილებელია განუხრელად გავახორციელოთ კომუნალური მეურნეობის საწყისები.

კულაკების წინააღმდეგ ენერგიულად უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა, მათთან არავითარ გარიგებას არ შეიძლება დავთანხმდეთ.

საშუალო გლეხებთან ჩვენ შეგვიძლია ერთად ვიმუშაოთ და მათთან ხელიხელჩაკიდებულად ვიბრძოლოთ კულაკების წინააღმდეგ. საშუალო გლეხების საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს. ისინი, იქნებ, სოციალისტები არ იყვნენ და არც გახდნენ სოციალისტები, მაგრამ გამოცდილება მათ დაუმტკიცებს მიწის საზოგადოებრივი დამუშავების სარგებლიანობას, და მათი უმრავლესობა წინააღმდეგობას არ გაწევს.

კულაკებს კი ჩვენ ვეუბნებით: ჩვენ არც თქვენი საწინააღმდეგო გვაქვს რაიმე, მაგრამ მოგვეცით თქვენი ნაჭარბი პური, ნუ სპეკულანტობთ და ნუ ეწევით სხვისი შრომის ექსპლოატაციას. მანამდე კი, ვიდრე ეს არ იქნება, ჩვენ ულმობელ ბრძოლას ვაწარმოებთ თქვენს წინააღმდეგ.

მშრომელებს ჩვენ არაფერს არ ვართმევთ, მაგრამ იმათ, ვინც დაქირავებული შრომით სარგებლობს, ვინც სხვების ხარჯზე მდიდრდება, — მათ ჩვენ ყველაფერს ჩამოვართმევთ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«ბედნოტა» № 185, 1918 წ.
10 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ბედნოტას» ტექსტის მიხედვით

დეკეშა დეპუტატთა ყველა საბჭოს, ყველას, ყველას

10. XI. 1918 წ.

დღეს ღამით გერმანიიდან მიღებულია ცნობები გერმანიაში რევოლუციის გამარჯვების შესახებ. ჯერ კილმა გვაუწყა რადიოთი, რომ ძალაუფლება მუშათა და მეზღვაურთა საბჭოს ხელშია. შემდეგ ბერლინმა გვაუწყა შემდეგი:

«თავისუფლებისა და მშვიდობის სალამი ყველას. ბერლინი და მისი მიდამოები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელშია. ადოლფ ჰოფმანი, სეიმის დეპუტატი. იოფე და საელჩოს პერსონალი დაუყოვნებლივ ბრუნდებიან».

გთხოვთ მიიღოთ ყოველი ღონისძიება, რომ შეატყობინოთ ეს გერმანელ ჯარისკაცებს ყველა სასაზღვრო პუნქტში. ბერლინიდან იყო აგრეთვე ცნობა, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა ფრონტზე დააპატიმრეს გერმანიის ძველი მთავრობის საზავო დელეგაცია და თვითონ დაიწყეს მოლაპარაკება ზავის შესახებ ფრანგ ჯარისკაცებთან.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა» № 244, 1918 წ.
12 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა მუშა-ქალთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე [64] 1918 წ. 19 ნოემბერს

(ყრილობის დელეგატი-ქალები ამხანაგ ლენინს ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციით შეხვდნენ.) ამხანაგებო, ზოგიერთი მხრივ პროლეტარული არმიის ქალთა ნაწილის ყრილობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქალები ყველა ქვეყანაში მეტად ძნელად ამოძრავდებოდნენ ხოლმე. არ შეიძლება მოხდეს სოციალისტური გადატრიალება, თუ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი საგრძნობ მონაწილეობას არ მიიღებს მასში.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი, ქალთა მდგომარეობა ისეთია, რომ ტყუილად კი არ უწოდებენ მათ შინაურ მონებს. არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაშიც კი, არ არის ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა.

საბჭოთა რესპუბლიკის ამოცანაა უწინარეს ყოვლისა მოსპოს ქალების უფლებათა ყველა შეზღუდვა. ბურჟუაზიული სიბინძურის, დაჩაგრულობის, დაბეჩავებულობის წყარო — საგანქორწინებო პროცესი — საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად მოსპო.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც არსებობს სრულიად თავისუფალი კანონმდებლობა განქორწინების შესახებ. ჩვენ გამოვეცით დეკრეტი, რომელმაც მოსპო ქორწინებით და ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის მდგომარეობის განსხვავება და მთელი რიგი პოლიტიკური შეზღუდვანი; არსად ასე სრულად არ არის განხორციელებული მშრომელ ქალთა თანასწორობა და თავისუფლება.

ჩვენ ვიცით, რომ ძველებური წესების მთელი სიმძიმე მუშათა კლასის ქალს აწვება ტვირთად.

ჩვენმა კანონმა ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის, რაც ქალებს უუფლებოს ხდიდა. მაგრამ საქმე კანონი როდია. ჩვენში ქალაქად და საფაბრიკო-საქარხნო ადგილებში ამ კანონს ქორწინების სრული თავისუფლების შესახებ კარგად ითვისებენ, სოფლად კი ეს ხშირად ქაღალდზე რჩება. იქ დღემდე სჭარბობს საეკლესიო ქორწინება. ეს მიეწერება მღვდლების გავლენას, ამ ბოროტებასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ძველ კანონმდებლობასთან.

რელიგიურ ცრურწმენებს უაღრესად ფრთხილად უნდა ვებრძოლოთ; ბევრი ვნება მოაქვთ იმათ, ვისაც ამ ბრძოლაში რელიგიური გრძნობის შეურაცყოფა შეაქვს. საჭიროა ვიბრძოლოთ პროპაგანდის გზით, განათლების გზით. ბრძოლაში სიმწვავის შეტანით ჩვენ შეგვიძლია გავაბოროტოთ მასა; ასეთი ბრძოლა განამტკიცებს მასების დაყოფას რელიგიის პრინციპის მიხედვით, ჩვენი ძალა კი ერთიანობაა. რელიგიურ ცრურწმენათა ყველაზე ღრმა წყარო არის სიღატაკე და სიბნელე; სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ.

ქალის მდგომარეობა დღემდე ისეთი რჩებოდა, რომ ამ მდგომარეობას მონურს უწოდებენ; ქალი დაბეჩავებულია თავისი ოჯახური მეურნეობით, და ამ მდგომარეობიდან მისი ხსნა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ წვრილი მეურნეობებიდან გადავალთ საერთოზე და მიწის საერთო დამუშავებაზე, მხოლოდ მაშინ მოხდება ქალთა სრული განთავისუფლება. ეს ამოცანა ძნელია, მაგრამ ახლა, როდესაც იქმნება ღარიბთა კომიტეტები, დგება დრო, როდესაც სოციალისტური რევოლუცია მტკიცდება.

მხოლოდ ახლა ირაზმება სოფლად მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, და მათში, ღარიბთა ორგანიზაციებში, სოციალიზმი მკვიდრ საფუძველს იძენს.

წინათ ხშირად ყოფილა, რომ ქალაქი რევოლუციური ხდებოდა, შემდეგ კი სოფელი გამოდიოდა.

ახლანდელი გადატრიალება სოფელს ეყრდნობა, და ამაშია მისი ძალა და მნიშვნელობა. ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ რევოლუ-

ციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობენ მასში ქალები. საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ქალი დამოუკიდებლად ეწეოდეს თავის პროლეტარულ სოციალისტურ მუშაობას.

საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ძნელია იმდენად, რამდენადაც ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს სძულთ საბჭოთა რუსეთი და რამდენადაც ისინი აპირებენ ომს მის წინააღმდეგ იმისათვის, რომ მან აღანთო რევოლუციის ხანძარი მთელ რიგ ქვეყნებში და გაბედული ნაბიჯები გადადგა სოციალიზმისაკენ.

ახლა, როდესაც მათ სურთ გაანადგურონ რევოლუციური რუსეთი, უკვე თვითონ მათ ფეხთქვეშ იწვის ნიადაგი. თქვენ იცით, თუ როგორ იზრდება რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში; დანიაში მიმდინარეობს მუშების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. ძლიერდება რევოლუციური მოძრაობა შვეიცარიასა და ჰოლანდიაში. ამ პატარა ქვეყნებში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი განსაკუთრებით საგულისხმოა იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში ომი არ ყოფილა და იქ ყველაზე «სამართლებრივი» დემოკრატიული წესწყობილება არსებობდა. თუ ასეთი ქვეყნები ამოძრავდნენ, ეს გვინერგავს რწმენას, რომ რევოლუციური მოძრაობა მთელ მსოფლიოს ედება.

დღემდე ქალი არავითარ რესპუბლიკას არ გაუთავისუფლებია. საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მას. ჩვენი საქმე უძლეველია, რადგან ყველა ქვეყანაში მხედრდება უძლეველი მუშათა კლასი. ეს მოძრაობა ნიშნავს უძლეველი სოციალისტური რევოლუციის ზრდას. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. მ ღ ე რ ი ა ნ «ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს»).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნებულია 1918 წ. 20 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 253

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის მანქანაზე გადაბეჭდილი პირის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთის ტექსტთან

სიტყვა 1918 წ. 20 ნოემბერს ვ. ი. ლენინის პატივსაცემად შემდგარ კრებაზე [65]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ამხანაგ ლენინს შეხვდნენ მქუხარე ტაშით, რომელიც ოვაციად იქცა.) ამხანაგებო, მე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა ერთი წერილის გამო, რომელიც მოთავსებულია «პრავდის» დღევანდელ ნომერში. ეს წერილი ეკუთვნის დამფუძნებელი კრებისა და მემარჯვენე ესერების პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრის — პიტირიმ სოროკინის კალამს. ამ წერილში სოროკინი მიმართავს თავის ამომრჩევლებს განცხადებით, რომ ის უარს ამბობს დამფუძნებელი კრების წევრის წოდებაზე და ხელს იღებს პოლიტიკაში ყოველგვარ მონაწილეობაზე. ეს წერილი წარმოადგენს არა მარტო უაღრესად საინტერესო «ადამიანურ დოკუმენტს», არამედ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

როგორც ცნობილია, პიტირიმ სოროკინი იყო მთავარი თანამშრომელი მემარჯვენე ესერების «ვოლია ნაროდასი» [66], რომელიც კადეტებთან ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა. დაბეჭდილ წერილში მოცემული ეს აღსარება ნიშნავს დიდ შემობრუნებას, გარდატეხას, რაც ხდება იმ წრეში, რომელიც დღემდე ძალიან მტრულად ეკიდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. თუ ის ამბობს, რომ ბევრ შემთხვევაში ზოგიერთი მოღვაწის პოლიტიკა საზოგადოებრივად მავნებელიაო, ეს

ამტკიცებს, რომ პიტირიმ სოროკინი, ბოლოს, აშკარად და პატიოსნად აღიარებს, რომ მემარჯვენე ესერების მთელი პოლიტიკა საზოგადოებრივად მავნებელი იყო.

ამ პარტიის ბევრი წარმომადგენელი, უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, იწყებს იმის შეგნებას, რომ დგება დრო, როდესაც ცხადი ხდება ბოლშევიკური პოზიციის მთელი სისწორე და აშკარავდება მისი შეურიგებელი მტრების ყველა შეცოდება და შეცდომა.

სოროკინის წერილი ამტკიცებს, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილ მთელ რიგ ჯგუფებში ჩვენ შეგვიძლია ახლა აშკარად გვქონდეს იმის ვარაუდი, რომ ისინი, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოიჩენენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ბევრს უკუაქცევდა ჩვენგან საშინელი ბრესტის ზავი, ბევრს არ სწამდა რევოლუცია, ბევრს გულწრფელად სწამდა მოკავშირეთა წმინდა მისწრაფებანი, ახლა კი ყოველივე ეს გამოაშკარავდა, და ყველა ხედავს, რომ ყბადაღებული მოკავშირენი, რომლებმაც გერმანიას კიდევ უფრო საშინელი პირობები უკარნახეს, ვიდრე ბრესტის ზავის პირობები იყო, ისეთივე მძარცველები არიან, როგორც გერმანელი იმპერიალისტები.

მოკავშირენი, როგორც ცნობილია, რუსეთში მონარქისტული წყობილების მომხრენი არიან, ისინი, მაგალითად, არხანგელსკში აქტიურად უჭერენ მხარს მონარქისტებს. ინგლისელები რუსეთისაკენ მოიწევენ იმ მიზნით, რომ დაიკავონ განადგურებული გერმანელი იმპერიალისტების ადგილი. ყოველივე ამან თვალი აუხილა რევოლუციის ყველაზე მოსისხლე და გონებაბნელ მოწინააღმდეგეებსაც კი.

დღევანდლამდე ბევრი ბრმა მიჰყვებოდა დამფუძნებელ კრებას, ჩვენ კი ყოველთვის ვამბობდით, რომ დამფუძნებელი კრება წარმოადგენს ლოზუნგს მემამულეების, მონარქისტების, მთელი რუსეთის ბურჟუაზიისას მილიუკოვის მეთაურობით, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ ჰყიდის რუსეთს — იმაზე, ვინც მეტს გადაიხდის.

ამერიკის «რესპუბლიკა» ახშობს მუშათა კლასს. ახლა ყველამ გაიგო, თუ რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ შეიძლება არსებობდეს ან გამარჯვებული იმპერიალიზმი, ან საბჭოთა ხელისუფლება — საშუალო რამ არ არის. (ამ ხანაგ ლენინს სიტყვა არა ერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ოვაციით).

«პრავდა» № 253, 1918 წ. 22 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პიტირიმ სოროკინის საგულისხმო ალსარება

დღეს «პრავდამ» მოათავსა პიტირიმ სოროკინის ფრიად საინტერესო წერილი, რომელსაც უნდა მიექცეს ყველა კომუნისტის განსაკუთრებული ყურადღება. ამ წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩრდილოეთ დვინის აღმასრულებელი კომიტეტის «იზვესტიაში» [67], პიტირიმ სოროკინი აცხადებს, რომ ის გადის მემარჯვენე ესერების პარტიიდან და უარს ამბობს დამფუძნებელი კრების წევრის წოდებაზე. წერილის ავტორს მოტივად ის მოჰყავს, რომ მას უძნელდება არათუ სხვებს, არამედ თავის თავსაც კი მიუთითოს მხსნელ პოლიტიკურ რეცეპტებზე და ამიტომ «ხელს იღებს ყოველგვარ პოლიტიკაზე». «რევოლუციის გასულმა წელმა, — წერს პიტირიმ სოროკინი, — ერთი ჭეშმარიტება მასწავლა: პოლიტიკოსები შესაძლებელია ცდებოდნენ, პოლიტიკა შესაძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო იყოს, მაგრამ შესაძლებელია საზოგადოებრივად მავნებელიც იყოს, ხოლო მეცნიერებისა და სახალხო განათლების დარგში მუშაობა ყოველთვის სასარგებლოა, ყოველთვის ესაჭიროება ხალხს»... წერილი ხელმოწერილია: «პეტერბურგის უნივერსიტეტისა და ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის პრივატ-დოცენტი, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი და ესერების პარტიის ყოფილი წევრი პიტირიმ სოროკინი».

ეს წერილი ყურადღების ღირსია უწინარეს ყოვლისა, როგორც უაღრესად საინტერესო «ადამიანური დოკუმენტი».

არც ისე ხშირად შეხვდებით ისეთ გულწრფელობასა და პირდაპირობას, როგორითაც პ. სოროკინი აღიარებს თავისი პოლიტიკის მცდარობას. თითქმის უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკოსები, რომლებიც რწმუნდებიან მათ მიერ დაკავებული ხაზის უსწორობაში, ცდილობენ დაფარონ თავიანთი შემობრუნება, მიჩქმალონ იგი, «გამოიგონონ» რაიმე ცოტად თუ ბევრად გარეშე მოტივები და სხვ.. თავისი პოლიტიკური შეცდომის აშკარად და პატიოსნად აღიარება უკვე თავისთავად დიდ პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს. პიტირიმ სოროკინი მართალი არ არის, როდესაც წერს, რომ მეცნიერების დარგში მუშაობა «ყოველთვის სასარგებლოა». ვინაიდან შეცდომები ამ დარგშიც ხდება, წინასწარი განზრახვით არარეაქციული ადამიანების მიერ რეაქციულ, ვთქვათ, ფილოსოფიურ შეხედულებათა დაჟინებით ქადაგების მაგალითები რუსულ ლიტერატურაშიც არის. მეორე მხრივ, აშკარა განცხადება თვალსაჩინო ადამიანისა, ე. ი. ისეთი ადამიანისა, რომელსაც მთელი ხალხისათვის ცნობილი და პასუხსაგები პოლიტიკური პოსტი ეკავა, რომ ის ხელს იღებს პოლიტიკაზე, — ე ს ე ც პ ო ლ ი ტ ი კ ა ა. პოლიტიკური შეცდომის პატიოსნად აღიარებას ბევრისათვის ძალიან დიდი პოლიტიკური სარგებლობა მოაქვს, თუ საქმე ისეთ შეცდომას ეხება, რომელსაც თავის დროზე მასებში გავლენის მქონე მთელი პარტიები იზიარებდნენ.

პიტირიმ სოროკინის წერილის პოლიტიკური მნიშვნელობა უაღრესად დიდია სწორედ ახლანდელ მომენტში. იგი ჩვენ ყველას ისეთ «გაკვეთილს» გვაძლევს, რომელიც კარგად უნდა მოვისაზროთ და შევითვისოთ.

ყოველმა მარქსისტმა დიდი ხანია იცის ის ჭეშმარიტება, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ძალებს შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, მაშინ როდესაც ყველა სოციალური ელემენტი, რომელიც ამ კლასებს შუა იმყოფება და წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიურ რუბრიკაში ექცევა, გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ მერყეობს ამ გადამწყვეტ ძალებს შორის. მაგრამ ამ ჭეშმარიტების მწიგნობრულ აღიარებასა და იმის უნარს შორის,

რომ პრაქტიკული სინამდვილის რთულ ვითარებაში მისგან გამომდინარე დასკვნები გააკეთო, დიდი მანძილია.

პიტირიმ სოროკინი მეტად ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმდინარეობის — მენშევიკურ-ესერული მიმდინარეობის წარმომადგენელია. ეს რომ ერთი მიმდინარეობაა, მენშევიკებისა და ესერების განსხვავება რომ არსებითი არ არის ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლისადმი მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ეს განსაკუთრებით დამაჯერებლად და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაამტკიცეს რუსეთის რევოლუციის იმ ამბებმა, რომლებიც 1917 წლის თებერვლიდან მოხდა. მენშევიკები და ესერები წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ნაირსახეობანი არიან, ასეთია ამ მიმდინარეობის ეკონომიური არსი და ძირითადი პოლიტიკური დახასიათება. მოწინავე ქვეყნების ისტორიიდან ვიცით, თუ რა ხშირად იღებს ეს მიმდინარეობა, თავის ახალგაზრდობაში, «სოციალისტურ» იერს.

კითხვა ისმება, რამ უკუაგდო განსაკუთრებული ძალით ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ბოლშევიკებისაგან, პროლეტარული რევოლუციისაგან ამ რამდენიმე თვის წინათ და რა იწვევს ახლა მათში მტრობიდან ნეიტრალობისაკენ შემობრუნებას? სავსებით ცხადია, რომ შემობრუნების მიზეზია, ჯერ ერთი, გერმანიის იმპერიალიზმის კრახი, რომელიც დაკავშირებულია გერმანიისა და სხვა ქვეყნების რევოლუციასთან, აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მხილებასთან; მეორეც, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიების მხილება.

შევჩერდეთ პირველ მიზეზზე. პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით. ჩვენი პროლეტარული რევოლუციის უდიდეს, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ სიძნელეთა რიცხვს ეკუთვნოდა ის გარემოება, რომ მას მოუხდა გაევლო პატრიოტიზმისაგან მეტად მძაფრი დაშორების ხანა, ბრესტის

ზავის ხანა. ამ ზავით გამოწვეული გამწარება, გაბოროტება, გააფთრებული აღშფოთება გასაგებია და, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ, მარქსისტებს, მხოლოდ პროლეტარიატის შეგნებული ავანგარდისაგან შეგვეძლო გვქონოდა იმ ჭეშმარიტების გაგების მოლოდინი, რომ უდიდესი ეროვნული მსხვერპლი მიგვაქვს და უნდა მივიტანოთ კიდეც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის უმაღლესი ინტერესისათვის. ის იდეოლოგები, რომლებიც მარქსიზმს არ ეკუთვნიან, და მშრომელთა ფართო მასები, რომლებიც ხანგრძლივი საგაფიცვო და რევოლუციური სკოლით გამოწრთობილ პროლეტარიატს არ ეკუთვნიან, ვერსად ვერ მიიღებდნენ ვერც ამ რევოლუციის მომწიფების მტკიცე რწმენას, ვერც უეჭველ ერთგულებას მისდამი. ჩვენი ტაქტიკა უკეთეს შემთხვევაში მათ ეჩვენებოდათ ფანტასტიკად, ფანატიზმად, ავანტიურად, ასეულ მილიონობით ხალხის უაღრესად აშკარა რეალური ინტერესების შეწირვად იმ განყენებული, უტოპიური ან საეჭვო იმედის გულისათვის, რაც სხვა ქვეყნებში უნდა მოხდეს. წვრილი ბურჟუაზია კი, თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამო, ბურჟუაზიასთან შედარებითაც და პროლეტარიატთან შედარებითაც უფრო პატრიოტულია.

გამოვიდა კი ისე, როგორც ჩვენ ვამბობდით.

გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ერთადერთ მტრად ჩანდა, დაიმსხვრა. გერმანიის რევოლუცია, რომელიც «ზმანება-ფარსად» ჩანდა (პლეხანოვის ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ), ფაქტად იქცა. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი, რომელსაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ფანტაზია დემოკრატიის მეგობრად, ჩაგრულთა დამცველად სახავდა, ნამდვილად ისეთი მხეცი გამოდგა, რომელმაც გერმანიის რესპუბლიკას და ავსტრიის ხალხებს ბრესტისაზე უარესი პირობები მოახვია თავს, — ისეთი მხეცი, რომელიც «თავისუფალი» რესპუბლიკელების, ფრანგებისა და ამერიკელების ჯარებს ჟანდარმებისა და ჯალათების, პატარა და სუსტ

ერთა დამოუკიდებლობისა და თაკისუფლების ჩამხშობთა როლის შესასრულებლად იყენებს. მსოფლიო ისტორიამ ულმობელი საფუძვლიანობითა და გულახდილობით ამხილა ეს იმპერიალიზმი. რუს პატრიოტებს, რომლებსაც არაფრის გაგონება არ სურდათ, გარდა თავიანთი სამშობლოს უშუალო (და ძველებურად გაგებული) სარგებლობისა, მსოფლიო ისტორიის ფაქტებმა დაანახვეს, რომ ჩვენი, რუსეთის, რევოლუციის გადაქცევა სოციალისტურ რევოლუციად ავანტიურა კი არა, აუცილებლობა იყო, ვინაიდან ს ხ ვ ა არჩევანი ა რ ა ღ მ ო ჩ ნ დ ა: თუ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია, მსოფლიო ბოლშევიზმი ვერ გაიმარჯვებს, ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ჩაახშობს რუსეთის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ფაქტები ჯიუტი რამ არის, — ამბობს ინგლისური ანდაზა. ჩვენ კი ამ უკანასკნელ თვეებში ისეთი ფაქტების განცდა მოგვიხდა, რომლებიც მთელი მსოფლიო ისტორიის უდიდეს გარდატეხას მოასწავებენ. ეს ფაქტები აიძულებენ რუსეთის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს, მიუხედავად ბოლშევიზმისადმი მათი სიძულვილისა, რაც ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის ისტორიამ აღზარდა, იბრუნონ პირი ბოლშევიზმისადმი მტრობიდან ჯერ ნეიტრალობისაკენ, შემდეგ კი მისი მხარდაჭერისაკენ. უკან მოვიტოვეთ ის ობიექტური პირობები, რომლებმაც განსაკუთრებული სიმძაფრით უკუაგდეს ჩვენგან ასეთი დემოკრატ-პატრიოტები. შეიქმნა ისეთი მსოფლიო-ობიექტური პირობები, რომლებიც ა ი ძ უ ლ ე ბ ე ნ მათ ჩვენსკენ იბრუნონ პირი. პიტირიმ სოროკინის შემობრუნება სრულიადაც არ არის შემთხვევითი, არამედ ეს არის მ თ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს, მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის გარდუვალი შემობრუნების გამოვლინება. ვინც ამის გათვალისწინებასა და გამოყენებას ვერ შესძლებს, ის მარქსისტი არ არის, ის ცუდი სოციალისტია.

შემდეგ. რწმენა ს ა ე რ თ ო დ «დემოკრატიის» უნივერსალური, ყოვლისმხსნელი მოქმედებისა, იმის გაუგებლობა,

რომ ის წარმოადგენს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ დემოკრატიას, რომელიც თავის მნიშვნელობაში, თავის აუცილებლობაში ისტორიულად შეზღუდულია, ასეთი რწმენა და ასეთი გაუგებლობა საუკუნეებითა და ათეული წლებით ფესვგადგმული იყო ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით მტკიცედ — წვრილ ბურჟუაზიაში. მსხვილი ბურჟუა ქარცეცხლშია გამოვლილი, მან იცის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა, ისევე როგორც სახელმწიფოს ყოველი სხვა ფორმა კაპიტალიზმის დროს, სხვა არა არის რა, თუ არა პროლეტარიატის დასათრგუნავი მანქანა. მსხვილმა ბურჟუამ ეს იქიდან ი ც ი ს, რომ ის ძალიან ახლო იცნობს ყ ო ვ ე ლ ი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის ნამდვილ ხელმძღვანელებს და ყველაზე ღრმა (სწორედ ამის გამო ხშირად ყველაზე დაფარულ) მამოძრავებელ ძალებს. წვრილ ბურჟუას, თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამო, თავისი ცხოვრების მთელი პირობების გამო ნაკლებად შესწევს უნარი შეითვისოს ეს ჭეშმარიტება, ის იმ ილუზიებითაც კი იკვებება, თითქოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნიშნავდეს «წმინდა დემოკრატიას», «თავისუფალ სახალხო სახელმწიფოს», გარეკლასობრივ ან ზეკლასობრივ ხალხურ ძალაუფლებას, მთელი ხალხის ნების გამოვლინებას და ასე შემდეგ და მისთანანი. წვრილბურჟუაზიული დემოკრატის ამ ცრურწმენათა სიმტკიცეს გარდუვალად იწვევს ის, რომ იგი შორს დგას მწვავე კლასობრივი ბრძოლისაგან, ბირჟისაგან, «ნამდვილი» პოლიტიკისაგან, და სრულიად არამარქსისტული იქნებოდა იმის მოლოდინი, თითქოს მარტოოდენ პროპაგანდით და მოკლე დროში შეიძლებოდეს ამ ცრურწმენათა აღმოფხვრა.

მაგრამ მსოფლიო ისტორია ახლა ისეთი მძაფრი სისწრაფით მიქრის და ყოველივე ჩვეულებრივს, ყოველივე ძველს ანგრევს ისეთი განუზომელი სიმძლავრის ურითი, ისეთი არნახულ ძალის კრიზისებით, რომ უაღრესად მტკიცე ცრურწმენანიც კი ვერ ძლებენ. ბუნებრივად და გარდუვალად შეექმნა «საერთოდ დემოკრატს» გულუბრყვილო რწმენა დამფუძნებელი კრებისადმი, «წმინდა დემოკრატიის» გულუბრყვილო დაპი-

რისპირება «პროლეტარული დიქტატურისადმი». მაგრამ იმას, რაც განიცადეს «დამფუძნებელებმა» არხანგელსკსა და სამარაში, ციმბირსა და სამხრეთში, არ შეეძლო ყველაზე მტკიცე ცრურწმენანიც კი არ გაექარწყლებინა. ვილსონის იდეალიზებული დემოკრატიული რესპუბლიკა ნამდვილად ა ღ მ ო ჩ ნ დ ა უაღრესად გააფთრებული იმპერიალიზმის, სუსტ და პატარა ხალხთა ყოვლად უსირცხვილო ჩაგვრისა და ჩახშობის ფორმა. საშუალო «დემოკრატი» საერთოდ, მენშევიკი და ესერი, ფიქრობდა: «აბა რა ჩვენი საქმეა სახელმწიფოს რაღაც, ვითომდა, უმაღლესი ტიპი, რაღაც საბჭოთა ხელისუფლება! ღმერთმა ჩვეულებრივი დემოკრატიული რესპუბლიკა გვაღირსოს!». და, რა თქმა უნდა, «ჩვეულებრივ», შედარებით მშვიდობიან დროს ასეთი «იმედი» მრავალი ათეული წლისათვის იქნებოდა საკმარისი.

ახლა კი მსოფლიო ამბების მსვლელობა და ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმთან რუსეთის ყველა მონარქისტის კავშირის უსასტიკესი გაკვეთილები ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გვიჩვენებენ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც უკვე მოძველდა იმპერიალიზმის მიერ ისტორიის დღის წესრიგში დასმული საკითხების თვალსაზრისით: — რომ არავითარი ს ხ ვ ა არჩევანი არ არის: ა ნ საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებს მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაში, ა ნ ინგლის-ამერიკის ყველაზე რეაქციული, ყველაზე გააფთრებული, ყველა პატარა და სუსტი ხალხის ჩამხრჩობი, მთელ მსოფლიოში რეაქციის აღმდგენი იმპერიალიზმი, რომელმაც ჩინებულად ისწავლა დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმის გამოყენება.

ან — ან.

საშუალო რამ არ არის. სულ ამ ცოტა ხნის წინათ ასეთი შეხედულება ბოლშევიკების ბრმა ფანატიზმად მიაჩნდათ.

მ ა გ რ ა მ ს წ ო რ ე დ ა ს ე გ ა მ ო ვ ი დ ა.

თუ პიტირიმ სოროკინმა უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრის წოდებაზე, ეს შემთხვევითი არ არის, ეს

მთელი კლასის, მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის შემობრუნების ნიშანია. გათიშვა მასში გარდუვალია: ნაწილი ჩვენს მხარეზე გადმოვა, ნაწილი ნეიტრალური დარჩება, ნაწილი შეგნებულად შეუერთდება მონარქისტ-კადეტებს, რომლებიც რუსეთს ინგლის-ამერიკის კაპიტალზე ჰყიდიან და უცხოეთის ხიშტებით ცდილობენ ჩაახშონ რევოლუცია. შევძლოთ ის, რომ გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ ეს შემობრუნება მენშევიკურ და ესერულ დემოკრატიაში ბოლშევიზმისადმი მტრობიდან ჯერ ნეიტრალობისაკენ, შემდეგ — მისთვის მხარდაჭერისაკენ — ასეთია მიმდინარე მომენტის ერთ-ერთი საარსებო ამოცანა.

— პარტიის მიერ მასებში გადასროლილი ყოველი ლოზუნგის თვისებაა გაიყინოს, ჩაკვდეს, შეინარჩუნოს თავისი ძალა ბევრისათვის მაშინაც კი, როცა შეიცვალა ის პირობები, რომლებმაც ამ ლოზუნგის აუცილებლობა გამოიწვიეს. ეს გარდუვალი ბოროტებაა, და თუ არ ვისწავლეთ მის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დაძლევა, ისე არ შეიძლება უზრუნველვყოთ პარტიის სწორი პოლიტიკა. ჩვენი პროლეტარული რევოლუციის ის პერიოდი, როდესაც იგი განსაკუთრებით მკვეთრად დაშორდა მენშევიკურ და ესერულ დემოკრატიას, ისტორიულად აუცილებელი იყო; შეუძლებელი იყო მწვავე ბრძოლა არ გვქონოდა ასეთ დემოკრატებთან, როდესაც ისინი ჩვენი შტრების ბანაკისაკენ გადაიხარნენ და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას შეუდგნენ. ამ ბრძოლის ლოზუნგები ახლა ძალიან ხშირად გაყინული და გაქვავებული არიან, და ეს ზ ე ლ ს გ ვ ი შ ლ ი ს სწორად გავითვალისწინოთ და მიზანშეწონილად გამოვიყენოთ ახალი მომენტი, როდესაც ასეთ დემოკრატიაში დაიწყო ახალი შემობრუნება ჩვენსკენ, შემობრუნება არა შემთხვევითი, არამედ მთელი საერთაშორისო ვითარების უღრმეს პირობებში ფესვგადგმული.

საკმარისი არ არის, რომ მხარი დავუჭიროთ ამ შემობრუნებას, რომ მეგობრულად შევეგებოთ ჩვენსკენ შემობრუნე-

ბულთ. პოლიტიკოსმა, რომელსაც თავისი ამოცანები შეგნებული აქვს, უნდა ისწავლოს ამ შემობრუნების გ ა მ ო წ ვ ე ვ ა ფართო წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული მასის ცალკეულ ფენებსა და ჯგუფებში, თუ ის დარწმუნდა, რომ ასეთი შემობრუნებისათვის სერიოზული და ღრმა ისტორიული მიზეზები მოიპოვება. რევოლუციურმა პროლეტარმა უნდა იცოდეს, ვინ უნდა დათრგუნოს, ვისთან — როდის და როგორ — უნდა დადოს შეთანხმება. სასაცილო და უაზრო იქნებოდა ხელი აგვეღო ტერორსა და დათრგუნვაზე მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათი მაჩანჩალების მიმართ, რომლებიც რუსეთს უცხოელ «მოკავშირე» იმპერიალისტებზე ჰყიდიან. კომედია იქნებოდა ვცდილიყავით «დაგვერწმუნებინა» და საერთოდ «ფსიქოლოგიურად გავლენა მოგვეხდინა» მათზე. მაგრამ ასევე, — თუ უფრო მეტად არა, — უაზრო და სასაცილო იქნებოდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ მარტოოდენ დათრგუნვისა და ტერორის ტაქტიკა დაგვეჟინებინა, როდესაც მოვლენათა მსვლელობა აიძულებს მას ჩვენსკენ იბრუნოს პირი.

ასეთ დემოკრატიას კი პროლეტარიატი ყველგან ხვდება. სოფლად ჩვენი ამოცანაა მოვსპოთ მემამულე, გავტეხოთ ექსპლოატატორისა და სპეკულანტ-კულაკის წინააღმდეგობა; ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ დავეყრდნოთ მ ხ ო ლ ო დ ნახევრადპროლეტარებს, «ღარიბებს». მაგრამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. ის მერყეობდა, მერყეობს და შემდეგშიც გამოიჩენს მერყეობას: მერყეობს ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატორის დამხობისა და აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცანა ე რ თ ნ ა ი რ ი არ ა რ ი ს. შეგვეძლოს საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევა — ამავე დროს ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბებს — ასეთია მომენტის ამოცანა, რადგან სწორედ ახლა გარდუვალია საშუალო გლეხობაში ჩვენსკენ შემობრუნება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო.

იგივე შეეხება შინამრეწველსაც, ხელოსანსაც, ისეთ მუშასაც, რომელიც უაღრესად წვრილბურჟუაზიულ პიროებებშია ჩაყენებული ან რომელსაც უაღრესად წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი აქვს შენარჩუნებული, და ბევრ სხვა მოსამსახურესაც, ოფიცრებსაც, და — განსაკუთრებით — ინტელიგენციას საერთოდ. უეჭველია, ჩვენს პარტიაში ხშირად ვერ იჩენენ უნარს — გამოიყენონ მათი შემობრუნება, მაგრამ ეს უუნარობა შეიძლება და კიდეც უნდა დავძლიოთ, იგი უნარიანობად უნდა გადავაქციოთ.

ჩვენ უკვე მტკიცე დასაყრდენი გვაქვს პროფესიულად ორგანიზებული პროლეტარების უდიდეს უმრავლესობაში. უნდა შეგვეძლოს მივიმხროთ, საერთო ორგანიზაციაში ჩავაბათ, საერთო-პროლეტარულ დისციპლინას დავუმორჩილოთ მ შ რ ო მ ე ლ თ ა ყველაზე ნაკლებად პროლეტარული, ყველაზე მეტად წვრილბურჟუაზიული ფენები, რომლებიც ჩვენსკენ იბრუნებენ პირს. აქ მომენტის ლოზუნგია არა ბრძოლა მათთან, არამედ მათი მიმხრობა, მათზე ზემოქმედების მოხდენის უნარი, მერყეევთა დარწმუნება, ნეიტრალურთა გამოყენება, იმათი აღზრდა, — მასობრივი პროლეტარული გავლენის ვითარებით აღზრდა, — ვინც თავიდან მოიშორა «დამფუძნებლური» ან «პატრიოტულ-დემოკრატიული» ილუზიები ან სულ ახლახან დაიწყო ამ ილუზიებისაგან თავის დაღწევა.

ჩვენ უკვე საკმაოდ მტკიცე დასაყრდენი გვაქვს მშრომელ მასებში. საბჭოების მეექვსე ყრილობამ ეს განსაკუთრებით ნათლად დაგვანახვა. ჩვენთვის საშიშნი არ არიან ბურჟუაზიული ინტელიგენტები, ხოლო მათი წრის ბოროტ მესაბოტაჟეებთან და თეთრგვარდიელებთან ბრძოლას ჩვენ ერთი წუთითაც კი არ შევასუსტებთ. მაგრამ მომენტის ლოზუნგია შეგვეძლოს მათ შორის ჩვენსკენ შემობრუნების გამოყენება. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან დარჩენილნი ბურჟუაზიული ინტელიგენციის უცუდესი წარმომადგენლები, რომლებიც «მიეტმასნენ» საბჭოთა ხელისუფლებას: განვდევნოთ ისინი, შევცვალოთ ისინი ისეთი ინტელიგენციით, რომე-

ლიც ჯერ კიდევ გუშინ შეგნებულად მტრულად იყო ჩვენდამი განწყობილი და რომელიც მხოლოდ დღეს არის ნეიტრალური, — ასეთია ახლანდელი მომენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ამოცანა ყველა საბჭოთა მოღვაწისა, რომელსაც კი ურთიერთობა აქვს «ინტელიგენციასთან», ყველა აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის ამოცანა.

რა თქმა უნდა, შეთანხმება საშუალო გლეხთან, გუშინდელ მენშევიკთან მუშებიდან, გუშინდელ მესაბოტაჟესთან მოსამსახურეებიდან თუ ინტელიგენციიდან — ეს შეთანხმება მოითხოვს უნარს, ისევე როგორც ყოველი პოლიტიკური მოქმედება რთულ და მძაფრად ცვალებად ვითარებაში. მთელი საქმე ის არის, რომ არ დავჯერდეთ იმ უნარს, რომელიც ჩვენმა წინანდელმა გამოცდილებამ შეგვძინა, არამედ უ ს ა თ უ ო დ ვიაროთ წ ი ნ, უ ს ა თ უ ო დ მ ე ტ ი ს მიღწევას ვეცადოთ, უსათუოდ გადავიდეთ უფრო ადვილი ამოცანებიდან უფრო ძნელ ამოცანებზე. უამისოდ საერთოდ შეუძლებელია რაიმე პროგრესი, შეუძლებელია პროგრესი სოციალისტურ მშენებლობაშიც.

ამ დღეებში ჩემთან იყვნენ საკრედიტო კოოპერატორების რწმუნებულთა ყრილობის წარმომადგენელნი. მათ მიჩვენეს თავიანთი ყრილობის[98] რეზოლუცია, მიმართული რესპუბლიკის სახალხო ბანკთან საკრედიტო-კოოპერაციული ბანკის შ ე ე რ თ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მე მათ ვუთხარი, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების მომხრე ვარ და დიდად ვაფასებ კოოპერატორთა მხრივ ბოლშევიკებისადმი მტრობიდან ნეიტრალობისაკენ შემობრუნების დასაწყისსაც კი, მაგრამ შეთანხმებისათვის ნიადაგს იძლევა მხოლოდ მათი თანხმობა — სავსებით შეუერთდეს განსაკუთრებული ბანკი რესპუბლიკის ერთიან ბანკს-მეთქი. მაშინ ყრილობის წარმომადგენლებმა თავიანთი რეზოლუცია სხვა რეზოლუციით შეცვალეს, ყრილობაზე გაატარეს სხვა რეზოლუცია, რომელშიც ამოშალეს ყველაფერი, რაც კი ნათქვამი იყო შ ე ე რ თ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მ ა გ რ ა მ... მ ა გ რ ა მ წამოაყენეს გეგმა

კოოპერატორების განსაკუთრებული «საკრედიტო კავშირისა», რომელიც ნამდვილად არაფრით არ განსხვავდება განსაკუთრებული ბანკისაგან! ეს სასაცილო იყო. სიტყვების გადასხვაფერებით, რასაკვირველია, მხოლოდ სულელის დაკმაყოფილება თუ მოტყუება შეიძლება. მაგრამ ერთ-ერთი ასეთი... «ცდის» «მარცხი» ოდნავადაც ვერ შეარყევს ჩვენს პოლიტიკას; კოოპერატორებთან, საშუალო გლეხობასთან ჩვენ ვახორციელებდით და გავახორციელებთ შეთანხმების პოლიტიკას, ამასთან აღვკვეთთ ყოველგვარ ცდას — შეცვალონ საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ხაზი.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატების მერყეობა გარდუვალია. საკმარისი იყო ჩეხოსლოვაკთა მცირეოდენი გამარჯვება, და ეს დემოკრატები პანიკას მიეცნენ, პანიკას თესდნენ, გადარბოდნენ «გამარჯვებულთა» მხარეზე, მზად იყვნენ მლიქვნელურად შეგებებოდნენ მათ. რასაკვირველია, ერთ წუთსაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ახლაც — საკმარისი იქნება ნაწილობრივ გაიმარჯვონ, ვთქვათ, ინგლისელ-ამერიკელ-კრასნოველმა თეთრგვარდიელებმა, და მერყეობა სხვა მხრისაკენ დაიწყება, გაძლიერდება პანიკა, გახშირდება პანიკის გავრცელების შემთხვევები, ღალატისა და იმპერიალისტთა მხარეზე გადარბენის შემთხვევები და ასე შემდეგ და სხვა ამგვარი.

ეს ჩვენ ვიცით. ამას ჩვენ ვერ დავივიწყებთ. ჩვენ მიერ მოპოვებული წმინდა პროლეტარული საფუძველი საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელსაც მხარს უჭერენ ნახევრად-პროლეტარები, უცვლელად მკვიდრი დარჩება. ჩვენი ლაშქარი არ შედრკება, ჩვენი არმია არ შეირყევა — ეს ჩვენ უკვე გამოცდილებით ვიცით. მაგრამ როდესაც უღრმესი მსოფლიო-ისტორიული ცვლილებანი იწვევენ უპარტიო, მენშევიკური, ესერული დემოკრატიის მასებში ჩვენსკენ გარდუვალ შემობრუნებას, ჩვენ უნდა ვისწავლოთ, და ჩვენ ვისწავლით კიდეც, რომ გამოვიყენოთ ეს შემობრუნება, მხარი დავუჭიროთ მას,

გამოვიწვიოთ იგი სათანადო ჯგუფებსა და ფენებში, ყოველივე შესაძლებელი განვახორციელოთ ამ ელემენტებთან შეთანხმების საქმეში, გავაადვილოთ ამით მუშაობა სოციალისტური მშენებლობისათვის, შევამსუბუქოთ სიმძიმე მტანჯველი ნგრევისა, სიბნელისა, უუნარობისა, რომლებიც აყოვნებენ სოციალიზმის გამარჯვებას.

დაწერილია 1918 წ. 20 ნოემბერს

დაიბეჭდა 1918 წ. 21 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 252
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სიტყვა «წითელი ოფიცრის დღეს» 1918 წ. 24 ნოემბერს [69]

(მქუხარე ტაში, მღერიან «ინტერნაციონალს».) მოგესალმებით სახალხო კომისართა სახელით, — ამბობს ლენინი. — როდესაც ვფიქრობ ჩვენი არმიისა და წითელი ოფიცრების ამოცანებზე, მაგონდება ერთი შემთხვევა, რომლის მოწმეც მე ვიყავი არც ისე დიდი ხნის წინათ ფინეთის გზის ვაგონში.

მე ვხედავდი, საზოგადოება რატომღაც იღიმებოდა, ერთ დედაბერს რომ უსმენდა, და ვთხოვე გადმოეთარგმნათ ჩემთვის მისი ნათქვამი: ფინელი ქალი ერთმანეთს ადარებდა ძველ ჯარისკაცებსა და რევოლუციურ ჯარისკაცებს და ამბობდა, რომ პირველნი იცავდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს, მეორენი კი ღარიბებს იცავენო. «წინათ ღარიბს სასტიკად უსწორდებოდნენ დაუკითხავად აღებული ყოველი ღერი შეშისათვის, ახლა კი, თუ ტყეში შეხვდები ჯარისკაცს, — ამბობდა დედაბერი, — კიდევაც დაგეხმარება კონა შეშის წამოღებაშიო». «ახლა, ამბობდა ის, თოფიანი კაცი საშიში აღარ არის».

ვფიქრობ, — განაგრძობს ლენინი, — ძნელია წარმოიდგინო ამაზე უკეთესი ჯილდო წითელი არმიისათვის.

შემდეგ ლენინი ამბობს, რომ მეთაურთა ძველი შემადგენლობა უმთავრესად შედგებოდა კაპიტალისტთა განებივრებული და გარყვნილი ნაშიერებისაგან, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდათ უბრალო ჯარისკაცთან. სწორედ ამიტომ

ახლა, ახალ არმიას რომ ვქმნით, ჩვენ მეთაურები მხოლოდ ხალხის წრიდან უნდა ავიყვანოთ. მხოლოდ წითელ ოფიცრებს ექნებათ ავტორიტეტი ჯარისკაცებში და მხოლოდ ისინი შეძლებენ განამტკიცონ სოციალიზმი ჩვენს არმიაში. ასეთი არმია უძლეველი იქნება.

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია»
№ 258, 1918 წ. 26 ნოემბერი

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიას» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე 1918 წ. 26 ნოემბერს [70]

(ამხანაგ ლენინის გამოჩენას ხანგრძლივი ტაშის გრიალით შეხვდნენ.) ამხანაგებო, მე მივესალმები თქვენი სახით მუშათა კოოპერაციის წარმომადგენლებს, კოოპერაციისა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს მომარაგების მთელი საქმის სწორად დაყენების მხრივ. ჩვენ არა ერთხელ, მეტადრე ამ ბოლო დროს, დაგვისვამს სახკომსაბჭოში განსახილველად ის საკითხები, რომლებიც ეხება კოოპერაციას და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამოკიდებულებას მისდამი.

ამ მიმართულებით საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა მნიშვნელოვანი იყო წინათ, კაპიტალიზმის ბატონობის დროს, როლი კოოპერაციისა, რომელსაც აგებდნენ კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლის პრინციპის მიხედვით.

მართალია, კოოპერატივები, თავისებურად უდგებოდნენ რა განაწილების პრაქტიკულ მუშაობას, ძალიან ხშირად ხალხის ინტერესებს აქცევდნენ პირთა ცალკეული ჯგუფის ინტერესად და ხშირად ხელმძღვანელობდნენ მისწრაფებით — გაეყოთ კაპიტალისტებთან სავაჭრო მოგება. ხელმძღვანელობდნენ რა წმინდა სავაჭრო ინტერესებით, კოოპერატორები ხშირად ივიწყებდნენ იმ სოციალისტურ წყობილებას, რომელიც, როგორც მათ ეჩვენებოდათ, ჯერ კიდევ ძალიან შორს და მიუღწეველი იყო.

კოოპერატივები ხშირად აერთიანებდნენ უმთავრესად წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, საშუალო გლეხობას, რომე-

ლიც მიისწრაფვოდა კოოპერაციულ მოძრაობაში თავისი წვრილბურჟუაზიული ინტერესებით ეხელმძღვანელნა. მაგრამ ეს კოოპერატივები აკეთებდნენ იმ საქმეს, რომელიც, უეჭველია, ავითარებდა მასების თვითმოქმედებას, და ეს არის მათი დიდი დამსახურება. კოოპერატივებმა, მართლაც, მასების თვითმოქმედების საფუძველზე, შექმნეს დიდი სამეურნეო ორგანიზაციები, — და ამაში მათ, — ჩვენ ამას არ უარვყოფთ, — დიდი როლი შეასრულეს.

ეს სამეურნეო ორგანიზაციები ზოგიერთ შემთხვევაში განვითარდნენ ისეთ ორგანიზაციებად, რომლებსაც შეეძლოთ შეეცვალათ და შეევსოთ კაპიტალისტური აპარატი, — ჩვენ ესეც უნდა ვაღიაროთ, ამავე დროს კი ქალაქის პროლეტარიატი იმდენად ჩაბმული იყო კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობის ორგანიზაციაში, — რომ იგი საკმაოდ ძლიერი გახდა, რათა დაემხო მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასი, რათა შეძლებოდა გამოეყენებინა მთელი კაპიტალისტური აპარატი.

ქალაქის პროლეტარიატს საკმაოდ კარგად ესმოდა, რომ იმ ნგრევაში, რაც გამოიწვია იმპერიალისტურმა ომმა, აუცილებელია მოეწყოს მომარაგების აპარატი, და ამისათვის მან პირველ რიგში გამოიყენა მსხვილი კაპიტალისტური აპარატი.

ჩვენ ესეც უნდა გვახსოვდეს. კოოპერაცია უდიდესი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც უნდა დავაფასოთ და გამოვიყენოთ.

და ამიტომ, როდესაც ჩვენ სახკომსაბჭოში გვიხდებოდა კოოპერაციის როლის საკითხისადმი მიდგომა, ჩვენ ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვუდგებოდით, ვინაიდან ჩინებულად გვესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ამ კარგად მოწყობილი სამეურნეო აპარატის სრულად გამოყენებას.

ამასთან ერთად ჩვენ არ შეგვეძლო დაგვევიწყნა, რომ კოოპერაციული მშენებლობის დარგში მთავარი მუშაკები იყვნენ მენშევიკები, მემარჯვენე ესერები და სხვა შემთანხმებლური და წვრილბურჟუაზიული პარტიები. ჩვენ არ შეგვეძლო

დაგვევიწყნა ეს მანამდე, სანამ ეს პოლიტიკური ჯგუფები, იმყოფებოდნენ რა ორ მებრძოლ კლასს შორის, სარგებლობდნენ კოოპერატივებით ნაწილობრივ კონტრრევოლუციონერების დასაფარავად, კოოპერატივების მიერ დაგროვილი სახსრებიდან ჩეხოსლოვაკთა დასახმარებლადაც კი. დიახ, ჩვენ გვქონდა ცნობები ამის შესახებ. მაგრამ ამას ყველგან როდი ჰქონდა ადგილი, და ჩვენ ხშირად ვიზიდავდით კოოპერატივებს ჩვენთან სამუშაოდ, თუ მათ სურდათ ჩვენთან მუშაობა.

ამ ბოლო დროს საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაც ისეთი გახდა, რომ ბევრი წვრილბურჟუაზიული ჯგუფისათვის ცხადი შეიქმნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი ბრესტის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვედო უმძიმესი ზავი გერმანელ იმპერიალისტებთან, — მენშევიკები და მემარჯვენე ესერები განსაკუთრებით ჩვენს წინააღმდეგ იმაღლებდნენ თავიანთ ხმას. როდესაც საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო დაედო ეს ზავი, მენშევიკები და ესერები ყველგან გაყვიროდნენ, ბოლშევიკები რუსეთს ღუპავენო.

ამ წარმომადგენელთაგან ერთნი ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიკები უტოპისტები არიან, ფანტაზიორობენ, რომ მსოფლიო რევოლუცია შესაძლებელიაო. მეორენი ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიკები გერმანიის იმპერიალიზმის აგენტები იყვნენ.

ბოლოს, ბევრ მათგანს მაშინ ეგონა, რომ ბოლშევიკები დათმობებზე წავიდნენ გერმანიის იმპერიალიზმისადმი, და ბოროტად ხითხითებდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ეს იყო შეთანხმება გერმანიის მმართველ ბურჟუაზიასთან.

მე აქ არ მოვიყვან უფრო საძრახის გამოთქმებს, მეტი რომ არა ვთქვათ, რომლებსაც მაშინ ხმარობდნენ ეს ჯგუფები საბჭოთა ხელისუფლების მისამართით.

მაგრამ მოვლენებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს ხდება მთელ მსოფლიოში, ბევრი რამ ასწავლეს მენშევიკებსა და

მემარჯვენე ესერებს. მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მოწოდება ყველა მშრომელისადმი [71], რაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, მოწმობს, რომ, იდეურად არ ეთანხმებიან რა კომუნისტებს, ისინი საჭიროდ თვლიან იბრძოლონ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ახლა მეთაურობენ ინგლისელ-ამერიკელი კაპიტალისტები.

მართლაც, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. მუშათა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა რუმინეთსა და ავსტრია-უნგრეთში. გერმანიაში კი საბჭოები ილაშქრებენ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ, და, იქნებ, რამდენიმე კვირის შემდეგ დაეცეს ჰააზე-შეიდემანის მთავრობა და შეიცვალოს იგი ლიბკნეხტის მთავრობით. ამავე დროს ინგლის-საფრანგეთის კაპიტალიზმი მთელ ძალას ძაბავს, რათა გასრისოს რუსეთის რევოლუცია და ამით შეაჩეროს მსოფლიო რევოლუცია. ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მოკავშირე ქვეყანათა იმპერიალიზმის ზრახვები გერმანიის იმპერიალიზმის ზრახვებზე კიდევ უფრო ფართოა: მათ მიერ გერმანიის მიმართ წამოყენებული პირობები ბრესტის ზავზე უარესია, და, გარდა ამისა, მათ საერთოდ სწადიათ ჩაახშონ რევოლუცია და შეასრულონ მსოფლიო ჟანდარმების როლი. მენშევიკებმა თავიანთი რეზოლუციით ცხადყვეს, რომ ისინი მიხვდნენ, თუ საით უბერავს ინგლისური ქარი. და ახლა ჩვენ ხელი კი არ უნდა ვკრათ მათ, არამედ, პირიქით, უნდა მივიღოთ ისინი, შესაძლებლობა მივცეთ მათ იმუშაონ ჩვენთან ერთად.

კომუნისტებმა ჯერ კიდევ ამა წლის აპრილში ცხადყვეს, რომ ისინი არ უცხოობენ კოოპერატორებთან მუშაობას. კომუნისტების ამოცანა ის არის, რომ, ქალაქის პროლეტარიატზე დაყრდნობით, შეძლონ ყველას გამოყენება, ვინც კი შეიძლება ჩაბმულ იქნას მუშაობაში, ყველასი, ვინც წინათ სოციალისტური ლოზუნგებით გამოდიოდა, მაგრამ ვერ გამოიჩინა მამაცობა ებრძოლნა ამ ლოზუნგებისათვის გამარჯვებამდე ან დამარცხებამდე. მარქსმა თქვა, პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს კაპიტალისტების ექსპროპრიაცია, ხოლო

წვრილბურჟუაზიული ჯგუფების გამოყენება შეძლოსო. და ჩვენც ვამბობთ, რომ კაპიტალისტებს უნდა ჩამოვართვათ ყველაფერი, კულაკები კი უნდა შევბოჭოთ და პურის მონოპოლიის კონტროლქვეშ მოვაქციოთ. ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ საშუალო გლეხობას, დავაყენოთ იგი ჩვენს კონტროლქვეშ, ამასთან ფაქტიურად მაინც უნდა ვახორციელებდეთ სოციალიზმის იდეალებს.

ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მუშები და უღარიბესი გლეხები მთელ ძალას მიმართავენ იქითკენ, რომ ფაქტიურად განახორციელონ სოციალიზმის იდეალები, და თუ ვინმეს ჩვენთან ერთი გზა არა აქვს ამ იდეალებისაკენ, ჩვენ უმათოდაც წავალთ. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ის, ვისაც მართლაც შეუძლია დაგვეხმაროს ამ უძნელეს ბრძოლაში.

და აი სახკომსაბჭო, განიხილავდა რა ამ საკითხს, ჯერ კიდევ აპრილში შეუთანხმდა კოოპერატორებს [72]. ეს იყო ერთადერთი სხდომა, რომელსაც გარდა კომუნისტი სახალხო კომისრებისა, ესწრებოდნენ სამოქალაქო კოოპერაციის წარმომადგენლები.

ჩვენ მათ შევუთანხმდით. ეს იყო ერთადერთი სხდომა, რომელზეც დადგენილებას იღებდა არა უმრავლესობა — კომუნისტები, არამედ უმცირესობა — კოოპერატორები.

და სახკომსაბჭო ამაზე დათანხმდა, რადგან აუცილებლად თვლიდა გამოეყენებინა კოოპერატორთა გამოცდილებაც, ცოდნაც და მათი აპარატიც.

თქვენ იცით აგრეთვე, რომ რამდენიმე დღის წინათ მიღებულ იქნა დეკრეტი [73], რომელიც კვირას გამოქვეყნდა «იზვესტიაში», მომარაგების ორგანიზაციის შესახებ, და სწორედ ამ დეკრეტში მნიშვნელოვანი როლი აქვს დათმობილი კოოპერაციას და კოოპერატივებს. ვინაიდან თუ არ იქნა კოოპერაციული ორგანიზაციების ქსელი, ისე შეუძლებელია სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია, და დღევანდლამდე ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ უმართებულო იყო გაკეთებული. ხურავდნენ ცალკეულ კოოპერატივებს,

ახდენდნენ მათ ნაციონალიზაციას, ამავე დროს კი საბჭოები თავს ვერ ართმევდნენ განაწილებას, თავს ვერ ართმევდნენ საბჭოთა დუქნების ორგანიზაციას.

და აი ამ დეკრეტის თანახმად ყველა კოოპერატივს უნდა დაუბრუნდეს ყველაფერი, რაც მათ ჩამოერთვა.

უნდა მოხდეს კოოპერატივების დენაციონალიზაცია, ისინი აღდგენილ უნდა იქნენ.

მართალია, დეკრეტი ძალიან ფრთხილად უდგება იმ კოოპერატივებს, რომლებიც დახურულია იმისათვის, რომ მათ კონტრრევოლუციონერები მიეტმასნენ. ჩვენ გარკვევით ვამბობდით, რომ ამ მხრივ კოოპერატივების საქმიანობას კონტროლი უნდა გაეწიოს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ კოოპერატივები სავსებით უნდა გამოვიყენოთ.

ყველა თქვენგანისათვის ცხადია, რომ პროლეტარიატის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ახლავე სწორად დააყენოს პროდუქტების მომარაგების და განაწილების საქმე.

და რაკი ჩვენ გაგვაჩნია აპარატი, რომელსაც ასეთი გამოცდილება აქვს და რომელიც, რაც მთავარია, ემყარება მასების თვითმოქმედებას, ჩვენ იგი უნდა წარვმართოთ ამ ამოცანების განხორციელებისაკენ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორედ ამ მიმართულებით გამოვიყენოთ მასების თვითმოქმედება, რომლებმაც ეს ორგანიზაციები შექმნეს. აუცილებელია, რათა მომარაგების ხაზით მუშაობაში ჩავაბათ თვით ქვედაფენები, და ეს ჩვენ მთავარ დავალებად უნდა მივცეთ კოოპერაციას და სახელდობრ მუშათა კოოპერაციას.

პროდუქტების მომარაგების, განაწილების საქმე ისეთია, რომ მასში ყველა ერკვევა. ერკვევა ისეთი კაციც, რომელსაც წიგნზე არ უცოდვილნია. რუსეთში კი მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი ჯერ კიდევ გონებაბნელი და უმეცარია, რადგან ყველაფერს ჩადიოდნენ იმისათვის, რომ მუშებისა და ჩაგრული მასებისათვის განათლება არ მიეცათ.

მაგრამ მასებში ბევრზე ბევრნი მოიპოვებიან ცოცხალი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ უზარმაზარი ნიჭი გამოიჩინონ უფრო მეტად, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ. და

მუშათა კოოპერაციის ამოცანაა მოიზიდოს ეს ძალები, გამონახოს ისინი და მისცეს მათ უშუალო სამუშაო პროდუქტთა მომარაგებისა და განაწილების დარგში. სოციალისტური საზოგადოება ერთიანი კოოპერატივია.

და მე ეჭვი არ შემდის, მასების თვითმოქმედება მუშათა კოოპერაციაში ხელს შეუწყობს იმას, რომ მუშათა კოოპერაცია მართლაც შექმნის მოსკოვის ერთიან, საქალაქო სამომხმარებლო კომუნას.

დაიბეჭდა 1918 წ. დეკემბერში ცალკე ფურცლად და ჟურნალ «რაბოჩი მირის» № 19-ში

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ჟურნალის ტექსტთან

მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება 1918 წ. 27 ნოემბერს [74]

1

მოხსენება პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი

ამხანაგებო, მე მინდა გესაუბროთ იმ ამოცანებზე, რომლებიც ეკისრება ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით. უკანასკნელი ამბები, უეჭველია, დღის წესრიგში აყენებენ ამ საკითხს, იმიტომ რომ საერთაშორისო მდგომარეობის უზარმაზარ ცვლილებას, როგორიცაა ბრესტის ხელშეკრულების მოსპობა, რევოლუცია გერმანიაში, გერმანიის იმპერიალიზმის კრახი და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის რღვევა, არ შეეძლო არ შეერყია მთელი რიგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დებულებანი, რომლებიც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის თეორიულ საფუძველს შეადგენდნენ. რუსეთის სამხედრო მდგომარეობას, ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმის შემოტევას არ შეეძლო მეტად თუ ნაკლებად არ გადმოეხარა ჩვენსკენ ამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ნაწილი. სწორედ ამ ახალ ცვლილებებზე, რომლებიც უნდა შევიტანოთ ჩვენს ტაქტიკაში, იმ ახალ ამოცანებზე, რომლებიც დგება ჩვენს წინაშე, მინდა გესაუბროთ დღევანდელ საღამოს.

ნება მომეცით დავიწყო ზოგიერთი ძირითადი თეორიული დებულებიდან. ეჭვი არ არის, რომ მთავარ სოციალურ ფენას, რომელიც ეკონომიურ საფუძველს აძლევს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას, რუსეთში წარმოადგენს საშუალო გლეხობა. ეჭვი არ არის, რომ სოციალისტურმა გადატრიალებამ

და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლამ გარდუვალად უნდა მიიღოს განსაკუთრებული ფორმები ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხური მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვანია. ამიტომ მე მინდა უწინარეს ყოვლისა მოგაგონოთ, თუ რანაირად ჩამოყალიბდა მარქსიზმის ძირითადი დებულებანი საშუალო გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ. ეს რომ მოგაგონოთ, წაგიკითხავთ რამდენიმე განცხადებას, რომლებიც გააკეთა ენგელსმა თავის სტატიაში «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში». ეს სტატია ცალკე ბროშურად გამოვიდა, დაწერილია 1895 თუ 1894 წელს, როდესაც საკითხი სოციალისტური პარტიის აგრარული პროგრამისა გლეხობის მიმართ პრაქტიკულად დადგა დღის წესრიგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბრესლავლის ყრილობაზე ამ პარტიის პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით [75]. აი რას ამბობდა მაშინ ენგელსი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ: «მაშ, როგორია ჩვენი დამოკიდებულება წვრილი გლეხობისადმი? ...ჯერ ერთი, უეჭველად სწორია ფრანგული პროგრამის დებულება: ჩვენ წინასწარ ვხედავთ წვრილი გლეხის გარდუვალ დაღუპვას, მაგრამ არასგზით არა ვართ მოწოდებულნი დავაჩქაროთ იგი ჩვენი ჩარევით. მეორეც, ასევე ცხადია, რომ, როდესაც ხელთ გვექნება სახელმწიფო ძალაუფლება, ჩვენ არც კი ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალდატანებით მოვახდინოთ წვრილ გლეხთა ექსპროპრიაცია, სულ ერთია, ანაზღაურებით თუ უამისოდ, როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით გავაკეთოთ ეს მსხვილ მიწათმფლობელთა მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხების მიმართ უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათი კერძო წარმოება, საკუთრება საამხანაგო გავხადოთ, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ მაგალითის საშუალებით და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების შეთავაზებით».

შემდეგ ამ საკითხის გამო ენგელსი ამბობს: «ჩვენ არასოდეს არ შეგვიძლია დავპირდეთ წვრილ გლეხს, რომ დავიცავთ მის ერთპიროვნულ მეურნეობას და ერთპიროვნულ საკუთრებას კაპიტალისტური წარმოების უპირატესი ძალე-

ბის წინააღმდეგ. ჩვენ შეგვიძლია მათ მხოლოდ იმას შევპირდეთ, რომ მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ, ძალით არ ჩავერევით მათ სამეურნეო ურთიერთობაში» [76].

დასასრულ, უკანასკნელი გამოთქმა, რომელიც მინდა მოგაგონოთ, — ეს არის მსჯელობა მდიდარი გლეხების, მსხვილი გლეხების (ჩვენებურად რომ ვთქვათ, «კულაკების») შესახებ, მაშასადამე, ისეთი გლეხების შესახებ, რომლებიც დაქირავებულ სამუშაო ძალას იყენებენ. თუ ეს გლეხები თავიანთი ახლანდელი წარმოების წესის დაღუპვის გარდუვალობას ვერ შეიგნებენ და აქედან თავისთვის აუცილებელი დასკვნების გამოყვანას ვერ შესძლებენ, მაშინ მარქსისტებს მათთვის არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ჩვენი მოვალეობაა მხოლოდ გავუადვილოთ მათაც წარმოების ახალ წესზე გადასვლაო [77].

აი ის დებულებანი, რომლებიც მინდოდა თქვენთვის მომეგონებინა და რომლებსაც, ეჭვი არ არის, ყოველი კომუნისტი იცნობს. ამ დებულებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო ძალაუფლების სათავეში მყოფი პროლეტარიატის ამოცანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ერთნაირი იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს მსხვილი კაპიტალისტური წყობილება, და იმ ქვეყნებში, სადაც ჩამორჩენილი, წვრილი, საშუალო და მსხვილი გლეხობაა. ჩვენ ვხედავთ, რომ სავსებით ზუსტად გადმოვცემდით მარქსიზმის ამოცანებს, როდესაც ვამბობდით, რომ მემაჰულე-ექსპლოატატორის მიმართ ომი ჩვენი მოვალეობა იყო.

საშუალო გლეხის მიმართ ჩვენ ვამბობთ: არავითარ შემთხვევაში არავითარი ძალდატანება. მსხვილი გლეხის მიმართ ჩვენ ვამბობთ: ჩვენი ლოზუნგია მათი დამორჩილება პურის მონოპოლიისადმი; ბრძოლა მათ წინააღმდეგ, როცა დარღვეულია პურის მონოპოლია, როცა ისინი მალავენ პურს. მე ამას წინათ დამჭირდა ამ დებულებათა განმეორება რამდენიმე ასეული კაცის — სოფლის ღარიბთა კომიტეტების წარმომადგენლების კრებაზე, რომლებმაც თავი მოიყარეს

მოსკოვში VI ყრილობის ერთდროულად *. ჩვენს პარტიულ ლიტერატურაში, პროპაგანდასა და აგიტაციაში ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამდით მსხვილი ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიისადმი ჩვენი დამოკიდებულების ამ განსხვავებას. მაგრამ, თუმცა თეორიულად ყველანი ეთანხმებიან ამას, ყველა როდი აკეთებდა და საკმაოდ სწრაფად როდი აკეთებდა სათანადო პოლიტიკურ დასკვნებს. და მე განზრახ დავიწყე, ასე ვთქვათ, შორიდან, რათა გიჩვენოთ, თუ კლასების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ რა ეკონომიური ცნებებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენ, რომ უდავო საფუძვლებზე დავაყენოთ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ჩვენი პოლიტიკის საკითხი. ეჭვი არ არის, რომ ეს წვრილი გლეხური კლასი (საშუალოს ჩვენ ისეთს ვუწოდებთ, ვინც თავის სამუშაო ძალას არ ჰყიდის), ეს გლეხი რუსეთში ყოველ შემთხვევაში არის მთავარი ეკონომიური კლასი, რომელიც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში პოლიტიკურ მიმდინარეობათა ფართო ნაირნაირობის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენში, რუსეთში, ეს მიმდინარეობანი ყველაზე მეტად დაკავშირებული არიან მენშევიკებისა და ესერების პარტიებთან. რუსეთში სოციალიზმის ისტორიამ იცის ბოლშევიკების ხანგრძლივი ბრძოლა ამ პარტიებთან, ამასთან დასავლეთ-ევროპელი სოციალისტები ამ ბრძოლას ყოველთვის უყურებდნენ, როგორც ბრძოლას სოციალიზმის შიგნით, ე. ი. როგორც სოციალიზმის გათიშვას რუსეთში. ფრჩხილებში ვიტყვით, რომ ამ შეხედულებას ძალიან ხშირად გამოთქვამენ თავიანთ გამოსვლებში კარგი სოციალ-დემოკრატებიც კი.

სწორედ დღეს გადმომცეს ფრიდრიხ ადლერის — ავსტრიაში თავისი რევოლუციური მოქმედებით ცნობილი კაცის წერილი. მისი წერილი, რომელიც დაწერილია ოქტომბრის დამლევს და დღეს მივიღეთ, შეიცავს მხოლოდ თხოვნას: ხომ არ შეიძლება გავათავისუფლოთ მენშევიკები საპატიმროდან? ამის მეტი ასეთ მომენტში მას ვერაფერი უფრო ჭკვიანური

* იხ. ეს ტომი, გვ. 196 — 205. რედ.

რამის დაწერა ვერ მოუსაზრებია. მართალია, ის შენიშნავს, თქვენს მოძრაობას არ ვარ გაცნობილიო, და ასე შემდეგ, მაგრამ ეს მაინც დამახასიათებელია. დასავლეთ-ევროპელი სოციალისტების ეს სასაცილო შეცდომა იმით აიხსნება, რომ ისინი უკან იხედებიან და არა წინ; მათ არ ესმით, რომ არც მენშევიკები, არც ესერები (რომლებიც სოციალიზმს ქადაგებენ) არ არიან ისეთები, რომ ისინი სოციალისტებს მივაკუთვნოთ. მენშევიკები და ესერები მთელი 1917 წლის რევოლუციის განმავლობაში მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ მერყეობდნენ ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის, ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ სწორი პოზიციის დაკავებას და, თითქოს საგანგებოდ, ნათელს ჰფენდნენ მარქსის დებულებას, რომ წვრილ ბურჟუაზიას გადამწყვეტ ბრძოლებში არავითარი დამოუკიდებელი პოზიციის დაკავება არ შეუძლიაო.

პროლეტარიატი თავიდანვე, როდესაც იგი საბჭოებს ქმნიდა, ინსტინქტურად იჩენდა გარკვეულ კლასობრივ პოზიციას უკვე იმით, რომ მან შექმნა საბჭოები. მენშევიკები და ესერები სულ მუდამ მერყეობდნენ. და თუ მათ მათივე საკუთარი მეგობრები 1917 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში «ნახევრადბოლშევიკებს» უწოდებდნენ, ეს იყო არა მარტო ხუმრობა, არამედ მართალი დახასიათებაც. ყოველ საკითხში (აიღეთ საბჭოების, სოფლად რევოლუციური მოძრაობის, მიწის უშუალოდ ხელში ჩაგდების, ფრონტზე დაძმობილების, იმპერიალიზმის მხარდაჭერის თუ მხარდაუჭერლობის საკითხი), ყველა ამ ძირითად საკითხში მენშევიკები და ესერები დღეს ამბობდნენ — «ჰო», ხვალ კი — «არაო». ერთი მხრივ, გვეხმარებოდნენ, მეორე მხრივ კი — არა, და წარმოადგენდნენ უნიათობასა და უმწეობის ნიმუშს. მეორე მხრივ კი, როდესაც ისინი მოსახლეობას უმასპინძლდებოდნენ ფრაზებით «საბჭოებისათვის» (ისინი ხომ საბჭოებს სულ მუდამ უწოდებდნენ «რევოლუციურ დემოკრატიას» და უპირისპირებდნენ იმას, რასაც ცენზიან ელემენტს უწოდებდნენ), მათთვის ეს მხოლოდ ეშმაკური პოლიტიკური ფანდი იყო, ფართო მასები კი, რომელთა რიგებშიც ეს ხვდებოდა, გატაცებას

ეძლეოდნენ: «ეს საბჭოს მომხრეაო!». მენშევიკების ქადაგება ნაწილობრივ ჩვენც გვიწევდა სამსახურს.

ეს მეტად რთული საკითხია, რომელსაც ძალიან მდიდარი ისტორია აქვს, და ჩემთვის საკმარისია მოკლედ მიგითითოთ მასზე. და აი მენშევიკებისა და ესერების ეს პოლიტიკა ჩვენს თვალწინ საბოლოოდ ამტკიცებს ჩვენს დებულებას, რომ მათი სოციალისტებად მიჩნევა შეცდომაა. სოციალისტები ისინი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ფრაზეოლოგიითა და მოგონებებით იყვნენ. ნამდვილად კი ეს არის რუსეთის წვრილი ბურჟუაზია.

მე იქიდან დავიწყე, თუ როგორ უნდა ეკიდებოდნენ მარქსისტები საშუალო გლეხს, სხვანაირად რომ ითქვას, წვრილბურჟუაზიულ პარტიებს. ჩვენ ახლა ისეთ ხანას ვუახლოვდებით, როდესაც რევოლუციის წინანდელი პერიოდის წინანდელი ჩვენი ლოზუნგები უნდა შეიცვალოს, რათა ახლანდელი გარდატეხა სწორად გავითვალისწინოთ. თქვენ იცით, რომ ოქტომბერ-ნოემბერში ეს ელემენტები მერყეობდნენ.

ბოლშევიკების პარტია მაშინ შეურიგებელი აღმოჩნდა და სწორადაც მოიქცა; ჩვენ ვუთხარით საკუთარ თავს, რომ ჩვენ უნდა მოვსპოთ პროლეტარიატის მტრები, ჩვენ მოგველის ბრძოლები ძირითადი საკითხების გამო — ომისა და ზავის, ბურჟუაზიული მთავრობის, საბჭოთა ხელისუფლების საკითხების გამო. ყველა ამ საკითხში ჩვენ შეგვეძლო დავყრდნობოდით მხოლოდ ჩვენს ძალებს და ჩვენ სავსებით სწორად მოვიქეცით, როდესაც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან კომპრომისს არ დავთანხმდით.

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ჩვენს წინაშე დასვა საკითხი ზავისა და ბრესტის ზავის დადებისა. თქვენ იცით, რომ ბრესტის ზავმა ჩვენ ჩამოგვაშორა წვრილბურჟუაზიული ელემენტები.

ამ ორი გარემოებიდან, ჩვენი საგარეო პოლიტიკიდან, რომელმაც მიგვიყვანა ბრესტის ზავის დადებამდე, და ჩვენი ულმობელი ბრძოლიდან წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ნაწილის დემოკრატიული ილუზიების წინააღმდეგ, ჩვენი

ულმობელი ბრძოლიდან საბჭოთა ხელისუფლებისათვის, — ამ ორი გარემოებიდან წარმოიშვა ის, რომ ჩვენ მკვეთრად გვაქცია ზურგი წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ. თქვენ იცით, რომ ბრესტის ზავის შემდეგ მემარცხენე ესერებს შორის მერყეობა დაიწყო. მათი ნაწილი ავანტიურის გზას დაადგა, მეორე ნაწილი ებრძოდა ერთმანეთს და დღევანდლამდე ებრძვის. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენ, რა თქმა უნდა, თუნდაც ერთი წუთით და ოდნავ არ შეგვიძლია დავეჭვდეთ, რომ ჩვენი პოლიტიკა მაშინ აბსოლუტურად სწორი იყო. ახლა ამის მტკიცება ნიშნავს ძველის ღეჭვას, რადგან გერმანიის რევოლუციამ ყველაზე უფრო დაამტკიცა ჩვენი შეხედულებების სისწორე.

რასაც ჩვენ ყველაზე მეტად გვისაყვედურებდნენ ბრესტის ზავის შემდეგ და რაც ყველაზე ხშირად გვესმოდა ნაკლებად შეგნებული მუშათა მასებისაგან, ეს ის იყო, რომ ჩვენ ტყუილად გვაქვს გერმანიის რევოლუციის იმედი, რომ ეს რევოლუცია არა და არ ხდებაო. გერმანიის რევოლუციამ გააქარწყლა ყველა ეს საყვედური და დაამტკიცა სისწორე ჩვენი შეხედულებებისა, რომ იგი უნდა მოხდეს, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არა მარტო ნაციონალური ომის გზით, არამედ პროპაგანდისა და შიგნიდან მისი დარღვევის გზითაც. მოვლენებმა ჩვენ ისე გაგვამართლეს, რომ აქ დასამტკიცებელი არაფერია. ასევე დამფუძნებელი კრების შესახებ, მერყეობა აქ გარდუვალი იყო, და მოვლენათა მსვლელობამ იმდენად დაადასტურა ჩვენი შეხედულებების სისწორე, რომ ახლა დასავლეთში დაწყებული ყველა რევოლუცია საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგით მიმდინარეობს და ქმნის ამ საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოები — აი რა ახასიათებს რევოლუციას ყველგან. ისინი ავსტრიიდან და გერმანიიდან მოედვნენ ჰოლანდიასა და შვეიცარიას (ყველაზე ძველი დემოკრატიული კულტურის ქვეყნებს, რომლებიც დასავლეთ ევროპას უწოდებენ თავიანთ თავს გერმანიასთან შედარებითაც კი). ამ ქვეყნებში საბჭოთა

ხელისუფლების ლოზუნგს აყენებენ. მაშასადამე, ბურჟუაზიული დემოკრატიის ისტორიული კრახი ბოლშევიკების გამონაგონი კი არ იყო, არამედ ეს იყო აბსოლუტური ისტორიული აუცილებლობა. შვეიცარიასა და ჰოლანდიაში პოლიტიკური ბრძოლა უკვე ასეული წლების წინათ ხდებოდა, და ახლა იქ საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგს ბოლშევიკების ლამაზი თვალების გულისათვის კი არ აყენებენ. მაშასადამე, ჩვენ აწმყო სწორად გავითვალისწინეთ. მოვლენათა მსვლელობამ იმდენად დაადასტურა ჩვენი ტაქტიკის სისწორე, რომ ამ საკითხზე მეტი შეჩერება აღარ ღირს. ოღონდ უნდა გავიგოთ, რომ ეს სერიოზული საკითხია, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ყველაზე ღრმა ცრურწმენის საკითხია. გაიხსენეთ ბურჟუაზიული რევოლუციისა და პარლამენტარიზმის განვითარების საერთო ისტორია დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში და დაინახავთ, რომ ამგვარი ცრურწმენანი ფლობდნენ ყველა ქვეყანაში 40-ანი წლების ძველ სოციალ-დემოკრატებს. საფრანგეთში ეს შეხედულებანი ყველაზე მეტ ხანს ძლებდნენ. სხვაგვარად არც შეიძლება. წვრილი ბურჟუაზია პარლამენტარიზმის საკითხებში ყველაზე პატრიოტულია, იგი ყველაზე პატრიოტულია, თუკი ის შევადარეთ პროლეტარიატსა და მსხვილ ბურჟუაზიას. ეს უკანასკნელი უფრო ინტერნაციონალურია, იმიტომ რომ წვრილი ბურჟუაზია ნაკლებად მოძრავია, ისე დაკავშირებული არ არის სხვა ხალხებთან და ჩაბმული არ არის მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ პარლამენტარიზმის საკითხში ყველაზე უფრო უნდა ეჩინა თავი წვრილ ბურჟუაზიას. ასე იყო ეს რუსეთშიც. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმან, რომ ჩვენი რევოლუცია ებრძოდა პატრიოტიზმს. ჩვენ ბრესტის ზავის ეპოქაში დაგვჭირდა პატრიოტიზმის წინააღმდეგ გალაშქრება. ჩვენ ვამბობდით: თუ შენ სოციალისტი ხარ, მაშინ მთელი შენი პატრიოტული გრძნობები მსხვერპლად უნდა მიიტანო საერთაშორისო რევოლუციის გულისათვის, რომელიც მოხდება, რომელიც ჯერ კიდევ არ

არის, მაგრამ რომელიც შენ უნდა გწამდეს, თუ ინტერნაციონალისტი ხარ.

და გასაგებია, რომ ჩვენ, როცა ამას ვამბობდით, შეგვეძლო მუშათა კლასის მხოლოდ მოწინავე რაზმები მიგვემხრო. გასაგებია, რომ წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა ჩვენს თვალსაზრისზე არ იდგა. ჩვენ არც შეგვეძლო ამის მოლოდინი გვქონოდა. და ან რანაირად გადმოვიდოდა წვრილი ბურჟუაზია ჩვენს თვალსაზრისზე? ჩვენ მოგვიხდა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება მისი ყველაზე მკაცრი ფორმით. ჩვენ რამდენიმე თვეში გამოვიარეთ ილუზიებით გატაცების ეპოქა. თუკი აიღებთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, იქ ეს ილუზიები ათეული წლების მანძილზეც ვერ დაუძლევიათ. აიღეთ ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვათა ისტორია. ჩვენ მოგვიხდა იმ წვრილბურჟუაზიული ილუზიის გაქარწყლება, თითქოს ხალხი იყოს რაღაც ერთიანი და შესაძლებელი იყოს ხალხის ნების სხვაგვარად გამოხატვა, თუ არა კლასობრივი ბრძოლით. ჩვენ სავსებით მართალი ვიყავით, რომ ამ საკითხში არავითარ კომპრომისზე არ წავედით. ჩვენ რომ დაგვეთმო წვრილბურჟუაზიული ილუზიებისათვის, დამფუძნებლური ილუზიისათვის, ჩვენ დავღუპავდით რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მთელ საქმეს. ჩვენ ვიწრო ნაციონალური ინტერესებისადმი მსხვერპლად მივიტანდით საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს, რომელიც ბოლშევიკური ბილიკით მავალი აღმოჩნდა, იმიტომ რომ იგი იყო არა ნაციონალური, არამედ წმინდა პროლეტარული. აი სწორედ ამ პირობებში მოხდა ის, რომ ჩვენ ჩამოგვშორდნენ როგორც მენშევიკური, ისე ესერული წვრილბურჟუაზიული მასები. ისინი ბარიკადების იქითა მხარეს წავიდნენ, ისინი ჩვენი მტრების მხარეზე აღმოჩნდნენ. როცა დუტოველთა აჯანყება დაიწყო, ჩვენ ნათლად დავრწმუნდით, რომ დუტოველთა, კრასნოველთა და სკოროპადსკელთა შემადგენლობაში იყვნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ჩვენ გვებრძოდნენ. ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა.

თქვენ იცით, რომ მთელ რუსეთში, ჩეხოსლოვაკთა გამოსვლის დროს, როდესაც იგი ყველაზე მეტი წარმატებით მიმდინარეობდა, ამ დროს მთელ რუსეთში ხდებოდა კულაკური აჯანყებანი. მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის დაახლოებამ სოფელთან განამტკიცა ჩვენი ხელისუფლება. პროლეტარიატმა, სოფლის ღარიბთა დახმარებით, მხოლოდ მან გადაიტანა ბრძოლა ყველა მტრის წინააღმდეგ. მენშევიკებისა და ესერების უდიდესი უმრავლესობა ჩეხოსლოვაკთა, დუტოველთა და კრასნოველთა მხარეზე იყო. ეს მდგომარეობა ჩვენგან ყველაზე გააფთრებულ ბრძოლას და ომის ტერორისტულ მეთოდებს მოითხოვდა. რაც უნდა გმობდნენ ადამიანები სხვადასხვა თვალსაზრისით ამ ტერორიზმს (ეს დაგმობა კი ჩვენ გვსმენია ყველა მერყეევი სოციალ-დემოკრატისაგან), ჩვენთვის ცხადია, რომ ტერორი გამწვავებული სამოქალაქო ომით იყო გამოწვეული. ტერორი გამოწვეული იყო იმით, რომ მთელმა წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ჩვენს წინააღმდეგ იბრუნა პირი. ისინი ჩვენ გვეომებოდნენ სხვადასხვანაირი ხერხებით — სამოქალაქო ომის გზით, მოსყიდვით, საბოტაჟით. აი ასეთმა პირობებმა შექმნეს ტერორის აუცილებლობა. ამიტომ ჩვენ არ უნდა ვნანობდეთ, არ უნდა უარვყოფდეთ მას. ჩვენ მხოლოდ ნათლად უნდა შევიგნოთ, თუ ჩვენი პროლეტარული რევოლუციის რა პირობებმა გამოიწვიეს ბრძოლის სიმწვავე. ეს განსაკუთრებული პირობები იმაში მდგომარეობდნენ, რომ ჩვენ მოგვიხდა მოქმედება პატრიოტიზმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ მოგვიხდა დამფუძნებელი კრების შეცვლა ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს».

როდესაც დაიწყო შემობრუნება საერთაშორისო პოლიტიკაში, მაშინ გარდუვალად დაიწყო შემობრუნება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მდგომარეობაშიც. ჩვენ ვხედავთ, რომ იცვლება განწყობილება მის ბანაკში. მენშევიკების მიმართვაში ჩვენ ვხედავთ მოწოდებას — ხელი აიღონ მქონებელ კლასებთან კავშირზე, მოწოდებას, რომლითაც მენშევიკები მიმართავენ თავიანთ მეგობრებს — წვრილბურჟუაზი-

ული დემოკრატიის წრის ადამიანებს, რომლებმაც დუტოველებთან, ჩეხოსლოვაკებთან, ინგლისელებთან შეკრეს კავშირი. მენშევიკები მათ მიმართავენ მოწოდებით, რომ ისინი გამოვიდნენ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ არ არის ისეთი ძალა, გარდა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელსაც შეეძლოს რაიმე დაუპირისპიროს ბოლშევიკურ ხელისუფლებას. ასეთივე მერყეობაა ესერებს შორის და ინტელიგენციაში, რომელიც ყველაზე მეტად იზიარებს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენებს, რომელშიც ყველაზე მეტად იყო გამჯდარი პატრიოტული ცრუაზრები. ამ ინტელიგენციაში იგივე პროცესი ხდება.

ახლა ჩვენი პარტიის ამოცანა ის არის, რომ თავისი ტაქტიკის არჩევისას იხელმძღვანელოს კლასობრივი ურთიერთობით, რომ ჩვენ ამ საკითხში ზუსტად გავერკვეთ, რა არის ეს — შემთხვევითი რამ, უხასიათობის გამოვლინება, მერყეობა, რომელსაც არავითარი ნიადაგი არა აქვს, თუ, პირიქით, ეს არის პროცესი, რომელსაც ღრმა სოციალური ფესვები აქვს. თუ ჩვენ ამ საკითხს მთლიანად შევხედავთ საშუალო გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების — თეორიულად დადგენილი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ჩვენი რევოლუციის ისტორიის თვალსაზრისით, ჩვენ დავინახავთ, რომ პასუხში არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. ეს შემობრუნება არის ა რ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი, ა რ ა პ ი რ ა დ უ ლ ი. იგი ეხება მილიონობით და მილიონობით ადამიანს, რომლებიც რუსეთში ჩაყენებული არიან საშუალო გლეხობის მდგომარეობაში, ან საშუალო გლეხობის შესაფერის მდგომარეობაში. შემობრუნება მთელ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას ეხება. იგი ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებდა გაბოროტებით, რომელიც სიცოფეს აღწევდა, რადგან ჩვენ უნდა დაგვემსხვრია მთელი მისი პატრიოტული გრძნობები. ისტორიამ კი ის გააკეთა, რომ პატრიოტიზმი ახლა ჩვენსკენ იბრუნებს პირს. ხომ ცხადია, რომ არ შეიძლება ბოლშევიკების დამხობა სხვანაირად, თუ არა უცხოელთა ხიშტებით. თუ დღემდე იმედოვნებდნენ, რომ

ინგლისელები, ფრანგები და ამერიკელები — ეს ნამდვილი დემოკრატია არისო, თუ დღემდე დარჩა ეს ილუზია, ახლა ის ზავი, რომელსაც ისინი აძლევენ ავსტრიასა და გერმანიას, სავსებით ამხილებს ამ ილუზიას. ინგლისელები ისე იქცევიან, თითქოს მათ საგანგებო მიზნად დაესახოთ დაამტკიცონ, რომ სწორია ბოლშევიკური შეხედულებანი საერთაშორისო იმპერიალიზმზე.

ამიტომ იმ პარტიების წრიდან, რომლებიც ჩვენ გვებრძოდნენ, მაგალითად, პლეხანოვის ბანაკიდან, გაისმის ხმები, რომლებიც ამბობენ: ჩვენ შევცდით, ჩვენ ვფიქრობდით, რომ გერმანიის იმპერიალიზმი ჩვენი მთავარი მტერია, ხოლო დასავლეთის ქვეყნებს — საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკას — ჩვენთვის მოაქვთ დემოკრატიული წყობილება. აღმოჩნდა, რომ ზავი, რომელსაც ეს დასავლეთის ქვეყნები იძლევიან, 100-ჯერ უფრო დამამცირებელი, მძარცველური, მტაცებლურია, ვიდრე ჩვენი ბრესტის ზავი. აღმოჩნდა, რომ ინგლისელები და ამერიკელები გამოდიან რუსეთის თავისუფლების ჯალათებად და ჟანდარმებად, როგორც ეს როლი სრულდებოდა რუსეთის ჯალათის ნიკოლოზ I დროს, სხვა მეფეებზე არაუარესად, რომლებიც ასრულებდნენ ჯალათების როლს, როდესაც ისინი უნგრეთის რევოლუციას ახშობდნენ. ახლა ეს როლი იკისრეს ვილსონის აგენტებმა. ისინი ახშობენ რევოლუციას ავსტრიაში, ისინი ჟანდარმების როლს ასრულებენ, ისინი ულტიმატუმს უყენებენ შვეიცარიას: პურს არ მოგცემთ, თუ არ ჩაებმებით ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ისინი უცხადებენ ჰოლანდიას: არ გაბედოთ თქვენთან საბჭოთა ელჩების შემოშვება, თორემ მოგელით ბლოკადაო. მათ უბრალო იარაღი აქვთ — შიმშილის თოკი. აი რით ახრჩობენ ისინი ხალხებს.

ისტორია ამ ბოლო დროს, ომის ეპოქაში და ომის შემდეგ, განვითარების არაჩვეულებრივი სისწრაფით განირჩევა და ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი ისეთივე საზიზღარი იმპერიალიზმია, როგორიც არის გერმანიის იმპერიალიზმი. ნუ დაივიწყებთ, რომ ამერიკაში

ჩვენ გვაქვს ყველაზე თავისუფალი, ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ იმპერიალიზმი იქ ასევე მხეცურად მოქმედებს, რომ იქ ინტერნაციონალისტებს არათუ ლინჩის წესით ასამართლებენ, არამედ ბრბო გამოათრევს ხოლმე მათ ქუჩაში, მთლად აშიშვლებს, კუპრს ასხამს და ცეცხლს უკიდებს.

მოვლენები არაჩვეულებრივი სიძლიერით ამხილებენ იმპერიალიზმს და აყენებენ საკითხს: ან საბჭოთა ხელისუფლება, ან რევოლუციის სრული ჩახშობა ინგლის-საფრანგეთის ხიშტებით. აქ უკვე ლაპარაკი არ არის კერენსკისთან შეთანხმებაზე. თქვენ იცით, რომ კერენსკი მათ შორს გადაისროლეს, როგორც გამოწურული ლიმონი. ისინი დუტოვთან და კერენსკისთან ერთად მიდიოდნენ. ახლა წვრილი ბურჟუაზია ამ პერიოდს გასცილდა. პატრიოტიზმი ახლა მას ჩვენსკენ უბიძგებს, — ასე გამოვიდა, ისტორიამ აიძულა ასე ემოქმედნა მას. და ჩვენ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ მთელი მსოფლიო ისტორიის ეს მასობრივი გამოცდილება. არ შეიძლება დაიცვა ბურჟუაზია, არ შეიძლება დაიცვა დამფუძნებელი კრება, იმიტომ რომ იგი ფაქტიურად დუტოვებისა და კრასნოვების ხელშემწყობი აღმოჩნდა. ეს სასაცილო ჩანს: როგორ შეიძლებოდა დამფუძნებელი კრება მათი ლოზუნგი გამხდარიყო. მაგრამ ასე გამოვიდა, იმიტომ რომ დამფუძნებელ კრებას იწვევდნენ, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ სათავეში იყო. დამფუძნებელი კრება ბურჟუაზიის ორგანო გამოდგა, ბურჟუაზია კი აღმოჩნდა იმპერიალისტების მხარეზე, რომლებიც ბოლშევიკების საწინააღმდეგო პოლიტიკას ახორციელებენ. ბურჟუაზია მზად იყო ყოველივე ჩაედინა, რათა უაღრესად საძაგელი ხერხებით ჩაეხშო საბჭოთა ხელისუფლება — მიეყიდა რუსეთი ყველასათვის განურჩევლად, ოღონდ მოესპო საბჭოების ხელისუფლება.

აი პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა სამოქალაქო ომამდე, რომელმაც აიძულა წვრილბურჟუაზიული დემოკრატია შემობრუნებულიყო. რა თქმა უნდა, მერყეობა ამ წრეში ყოველთვის გარდუვალია. როდესაც ჩეხოსლოვაკებმა პირველი

გამარჯვებანი მოიპოვეს, ეს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობდა გაევრცელებინა ხმები, რომ გარდუვალია ჩეხოსლოვაკთა გამარჯვება. ბეჭდავდნენ დეპეშებს მოსკოვიდან, მოსკოვი საცაა დაეცემა, იგი გარშემორტყმულიაო. და ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ, ინგლისელებისა და ფრანგების სულ უმნიშვნელო გამარჯვებათა შემთხვევაშიც კი, უწინარეს ყოვლისა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას აებნევა თავგზა, რომ იგი პანიკას მიეცემა და დაიწყებს ყოველგვარი ხმის გავრცელებას ჩვენი მოწინააღმდეგეების წარმატებათა შესახებ. მაგრამ რევოლუციამ ცხადყო იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყების გარდუვალობა. და ახლა ჩვენი «მოკავშირენი» აღმოჩნდნენ რუსეთის თავისუფლებისა და რუსეთის დამოუკიდებლობის მთავარი მტრები. რუსეთი არ შეიძლება იყოს და არც იქნება დამოუკიდებელი, თუ საბჭოთა ხელისუფლება არ განმტკიცდა. აი რატომ მოხდა ასეთი გადატრიალება. ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ახლა დგას ამოცანა — განვსაზღვროთ ჩვენი ტაქტიკა. ძალიან შეცდებოდა ის, ვინც განიზრახავდა მექანიკურად გადმოეტანა ახლა იმ პერიოდის ჩვენი რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგები, როდესაც ჩვენს შორის არავითარი შერიგება არ შეიძლებოდა, როდესაც წვრილი ბურჟუაზია ჩვენი წინააღმდეგი იყო, როდესაც ჩვენი სიმედგრე მოითხოვდა ჩვენგან ტერორის გამოყენებას. ახლა ეს იქნებოდა არა სიმედგრე, არამედ პირდაპირ სისულელე, მარქსიზმის ტაქტიკის არასაკმაოდ გაგება. როდესაც ჩვენ უნდა დაგვედო ბრესტის ზავი, ეს ნაბიჯი ვიწროპატრიოტული თვალსაზრისით რუსეთის ღალატად ჩანდა; მსოფლიო რევოლუციის თვალსაზრისით ეს იყო სწორი სტრატეგიული ნაბიჯი, რომელმაც ყველაზე მეტად გაუწია დახმარება მსოფლიო რევოლუციას. მსოფლიო რევოლუცია გაჩაღდა სწორედ ახლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება საყოველთაო-სახალხო დაწესებულებად იქცა.

და ახლა, თუმცა წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ისევ განაგრძობს მერყეობას, მისი ილუზიები ძირგამოთხრილია.

და, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს მდგომარეობა, ისევე როგორც ყველა დანარჩენი პირობა. თუ წინათ ჩვენ სხვა თვალსაზრისი გვქონდა, მაშინ წვრილი ბურჟუაზია ჩეხოსლოვაკთა მხარეზე იდგა, და ძალდატანება აუცილებელი იყო, ვინაიდან ომი არის ომი და უნდა იმოქმედო ისე, როგორც ომშია საჭირო. ახლა კი, როდესაც ეს ადამიანები იწყებენ ჩვენსკენ შემობრუნებას, ჩვენ ზურგი არ უნდა შევაქციოთ მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ლოზუნგი ფურცლებსა და გაზეთებში წინათ სხვა იყო. როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ჩვენსკენ ნახევრად ბრუნდებიან, ჩვენი ფურცლები ჩვენ ხელახლა უნდა დავწეროთ, რადგან შეიცვალა ამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის დამოკიდებულება ჩვენდამი. ჩვენ უნდა ვუთხრათ: გთხოვთ, მობრძანდით, ჩვენ თქვენი არ გვეშინია. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ მხოლოდ ძალდატანებით შეგვიძლია მოქმედება, ცდებით. ჩვენ შეგვეძლო შეთანხმების მიღწევა-თქო. და იმ ელემენტებს, რომლებიც აღსავსენი არიან ტრადიციებით, წვრილბურჟუაზიული ცრურწმენებით, ყველა კოოპერატორს, მშრომელთა ყველა ნაწილს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ბურჟუაზიასთან დაკავშირებულნი, შეუძლიათ ჩვენსკენ წამოვიდნენ.

აიღეთ მთელი ინტელიგენცია. იგი ბურჟუაზიული ცხოვრებით ცხოვრობდა, იგი გარკვეულ კომფორტს იყო შეჩვეული. რამდენადაც იგი ჩეხოსლოვაკებისაკენ იხრებოდა, ჩვენი ლოზუნგი იყო ულმობელი ბრძოლა — ტერორი. იმის გამო, რომ ახლა ეს შემობრუნება წვრილბურჟუაზიული მასების განწყობილებაში მოხდა, ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს შეთანხმება, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. როდესაც ჩვენ ვხვდებით წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ჯგუფის განცხადებას, გვსურს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ნეიტრალური ვიყოთო, — ჩვენ უნდა ვთქვათ: «ნეიტრალობა» და კეთილმეზობლური ურთიერთობა ძველი ნაგავია, რომელიც არაფრად არ ვარგა კომუნიზმის თვალსაზრისით. ეს ძველი ნაგავია და მეტი არაფერი, მაგრამ ჩვენ

ეს ნაგავი უნდა განვიხილოთ საქმის თვალსაზრისით. ჩვენ ყოველთვის ასე ვფიქრობდით და არასოდეს არ გვქონია იმის იმედი, რომ ეს წვრილბურჟუაზიული ელემენტები კომუნისტები გახდებოდნენ. მაგრამ საქმიანი წინადადებანი ჩვენ უნდა განვიხილოთ.

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ჩვენ ვამბობდით, რომ პროლეტარიატი გაბატონებული უნდა იყოს ყველა დანარჩენ კლასზე. ჩვენ არ შეგვიძლია მოვსპოთ კლასებს შორის არსებული განსხვავება კომუნიზმის სრულ დამყარებამდე. კლასები დარჩებიან, სანამ არ მოვსპობთ ექსპლოატატორებს — მსხვილ ბურჟუაზიასა და მემამულეებს, რომელთა ექსპროპრიაციასაც ჩვენ ულმობლად ვახდენთ. მაგრამ საშუალო და წვრილი გლეხობის მიმართ ჩვენ სხვაგვარად უნდა ვილაპარაკოთ. ულმობლად ვთრგუნავთ რა ბურჟუაზიასა და მემამულეებს, ჩვენ უნდა მივიმხროთ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია. როცა ისინი გვეუბნებიან, გვსურს ნეიტრალურნი ვიყოთ და თქვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდესო, ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენც სწორედ ეს გვინდა. ჩვენ არასოდეს არ მოველოდით, რომ თქვენ კომუნისტები გახდებოდით-თქო.

ჩვენ კვლავ ვდგავართ მემამულეთა და კაპიტალისტთა ულმობელი ექსპროპრიაციის ნიადაგზე. აქ ჩვენ ულმობელნი ვართ, და აქ ჩვენ არ შეგვიძლია შერიგების ან შემთანხმებლობის რაიმე გზას დავადგეთ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ წვრილ წარმოებას ვერავითარი დეკრეტით ვერ გადაიყვან მსხვილ წარმოებაზე, რომ აქ საჭიროა თანდათან, მოვლენათა მსვლელობით, არწმუნებდე სოციალიზმის გარდუვალობაში. ეს ელემენტები არასოდეს არ გახდებიან რწმენით სოციალისტები, აშკარა, ნამდვილი სოციალისტები. ისინი სოციალისტები გახდებიან მაშინ, როდესაც დაინახავენ, რომ გამოსავალი არ არის. ახლა ისინი ხედავენ: ევროპა ისე დაიშალა, იმპერიალიზმი ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ ვერავითარი ბურჟუაზიული დემოკრატია ვერ უშველის საქმეს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უშველოს საქმეს.

აი რატომ არის, რომ ახლა ეს ნეიტრალიზმი, ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მხრივ ჩვენთვის არათუ საშიში არ არის, არამედ სასურველიცაა. აი რატომ არის, რომ, თუ ჩვენ საქმეს ვუყურებთ დიქტატურის განმახორციელებელი კლასის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, ჩვენ ვამბობთ: ჩვენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მხრივ მეტის ვარაუდი არასოდეს არა გვაქვს. ჩვენთვის ესეც საკმარისია. თქვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გექნებათ ჩვენთან, ჩვენ კი ხელთ გვექნება სახელმწიფო ძალაუფლება. თქვენს ლეგალიზებას, ბატონო მენშევიკებო, «მოკავშირეთა» შესახებ თქვენი განცხადების შემდეგ, ჩვენ ხალისით მოვახდენთ. ამას გააკეთებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მაგრამ ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ თქვენს პარტიაში დარჩნენ მენშევიკი-«აქტივისტები», და მათ მიმართ ჩვენი ბრძოლის მეთოდები ძველი დარჩება, რადგან «აქტივისტები» ჩეხოსლოვაკთა მეგობრები არიან, და ვიდრე ჩეხოსლოვაკები რუსეთიდან განდევნილი არ არიან, თქვენც ასეთივე მტრები ხართ. ჩვენ სახელმწიფო ძალაუფლებას ვიტოვებთ ჩვენს ხელში, მ ხ ო ლ ო დ ჩ ვ ე ნ ს ხ ე ლ შ ი. იმათთან, ვინც ჩვენთან ნეიტრალობის ურთიერთობას ამყარებს, ჩვენ ვმსჯელობთ როგორც კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც თავისი იარაღის მთელ მახვილს მიმართავს მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და ეუბნება წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას: თუ თქვენ გნებავთ ჩეხოსლოვაკებისა და კრასნოველების მხარეზე გადასვლა, — ჩვენ ცხადვყავით, თუ როგორ ვიბრძოდით, ჩვენ შემდგომაც ვიბრძოლებთ. თუ თქვენ გნებავთ ისწავლოთ მაგალითი ბოლშევიკებისაგან, — ჩვენ ვადგებით თქვენთან შეთანხმების გზას, რადგან ჩვენ ვიცით, რომ თუ არა მთელი რიგი შეთანხმებებით, რომლებსაც ჩვენ გამოვცდით, შევამოწმებთ, ერთმანეთს შევუპირისპირებთ, — ისე ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია სოციალიზმზე გადავიდეს.

ჩვენ ამ გზას დავადექით დასაწყისიდანვე, მაგალითად, იმით, რომ ხმა მივეცით მიწის სოციალიზაციის კანონს და გადავაქციეთ იგი თანდათან ისეთ ღონისძიებად, რომლის მეოხებითაც მოვახერხეთ სოფლის ღარიბთა გაერთიანება ჩვენს გარშემო და მათი შებრუნება კულაკების წინააღმდეგ. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გაიმარჯვებს პროლეტარული მოძრაობა სოფლად, გადავალთ ჩვენ სისტემატურად კოლექტიურ საზოგადოებრივ მიწათმფლობელობაზე და მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე. ამ ამოცანის განხორციელება არ შეიძლებოდა სხვაგვარად, თუ არა სოფლად წმინდა პროლეტარულ მოძრაობაზე დაყრდნობით, და ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ეჭვი არ არის, რომ აქ მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება, მხოლოდ სინამდვილე გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ.

სხვადასხვანაირია საშუალო გლეხთან, წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან, კოოპერატორებთან შეთანხმების ამოცანები. იცვლება ეს ამოცანა, თუ მას დავაყენებთ იმ კავშირების მიმართ, რომლებმაც წვრილბურჟუაზიული ტრადიციები და ჩვევები შეინარჩუნეს. კიდევ ერთგვარად იცვლება ეს ამოცანა, თუ ჩვენ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე ვლაპარაკობთ. ეს ინტელიგენცია მერყეობს, მაგრამ ჩვენი სოციალისტური გადატრიალებისათვის ისიც გვჭირდება. ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმის შენება შეიძლება მხოლოდ მსხვილ-კაპიტალისტური კულტურის ელემენტებისაგან, და ინტელიგენცია ასეთი ელემენტია. თუ ჩვენ გვიხდებოდა მის წინააღმდეგ ულმობლად ბრძოლა, ამას ჩვენ კომუნიზმი კი არ გვავალდებულებდა, არამედ მოვლენათა ის მსვლელობა, რომელმაც ყველა «დემოკრატი» და ყველა ის, ვინც შეყვარებული იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, ჩვენ ჩამოგვაშორა. ახლა შეიქმნა შესაძლებლობა გამოვიყენოთ ეს ინტელიგენცია სოციალიზმისათვის, ის ინტელიგენცია, რომელიც სოციალისტური არ არის, რომელიც არასოდეს არ იქნება კომუნისტური, მაგრამ რომელსაც ახლა მოვლენათა და თანაფარდო-

ბათა ობიექტური მსვლელობა ნეიტრალურად, მეზობლურად განაწყობს ჩვენდამი. ინტელიგენციას ჩვენ არასოდეს არ დავეყრდნობით, არამედ დავეყრდნობით მხოლოდ პროლეტარიატის ავანგარდს, რომელიც წინამძღოლობს ყველა პროლეტარს და სოფლის ყველა ღარიბს. სხვა დასაყრდენი კომუნისტების პარტიას არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ ერთი საქმეა დაეყრდნო კლასს, რომელიც დიქტატურას წარმოადგენს, და სხვა საქმეა ბატონობდე სხვა კლასებზე.

თქვენ გახსოვთ, რომ ენგელსმა იმ გლეხების მიმართაც კი, რომლებიც დაქირავებული შრომით სარგებლობენ, თქვა: იქნებ, ყველას ექსპროპრიაცია არც კი გახდეს საჭიროო[78]. ჩვენ ვახდენთ ექსპროპრიაციას საერთო წესით, და ჩვენ კულაკი არ გვყავს საბჭოებში. ჩვენ მას ვთრგუნავთ. ვთრგუნავთ მას ფიზიკურად, როდესაც ის შემოიპარება საბჭოში და ცდილობს დაახრჩოს სოფლის ღარიბი. თქვენ ხედავთ, თუ როგორ ტარდება აქ ერთი კლასის ბატონობა. მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია ბატონობდეს. მაგრამ ამ ბატონობას ერთგვარად ვიყენებთ წვრილი გლეხის მიმართ, სხვაგვარად — საშუალო გლეხის მიმართ, სხვანაირად — მემამულის მიმართ, სხვანაირად — წვრილი ბურჟუის მიმართ. მთელი ამოცანა ის არის, რომ შევძლოთ გავიგოთ ეს შემობრუნება, რომელიც საერთაშორისო პირობებით არის გამოწვეული, შევძლოთ გავიგოთ იმის აუცილებლობა, რომ ლოზუნგები, რომლებსაც შევეჩვიეთ რევოლუციის ისტორიის განვლილი ნახევარი წლის მანძილზე, გარდუვალად უნდა იქნან სახეშეცვლილნი, რამდენადაც საქმე წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას ეხება. ჩვენ უნდა ვთქვათ: ჩვენ ძალაუფლებას იმავე კლასის ხელში ვტოვებთ. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ჩვენი ლოზუნგი იყო შეთანხმება, მაგრამ ჩვენ გვაიძულეს ტეროროისათვის მიგვემართნა. თუ თქვენ მართლაც გსურთ ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გქონდეთ, გაისაჯეთ და შეასრულეთ ესა თუ ის დავალება, ბატონო კოოპერატორებო და ინტელიგენტებო. ხოლო თუ არ შეასრულებთ, — თქვენ იქნებით კანონის დამრღვევნი, ჩვენი მტრები, და ჩვენ

ვიბრძოლებთ თქვენს წინააღმდეგ. ხოლო თუ თქვენ დგახართ კეთილმეზობლურ ურთიერთობათა ნიადაგზე და შეასრულებთ ამ დავალებებს, — ეს ჩვენთვის საკმარისზე საკმარისია. ჩვენ მტკიცე დასაყრდენი გვაქვს. თქვენს უნიათობაში ჩვენ არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი. მაგრამ თქვენ რომ საჭირონი ხართ ჩვენთვის — ამას ჩვენ არ უარვყოფთ, რადგან თქვენ ერთადერთ კულტურულ ელემენტს წარმოადგენდით.

ჩვენ რომ მოგვხვდომოდა სოციალიზმის შენება არა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა, — ამოცანა ადვილი იქნებოდა. მაგრამ სოციალისტური მშენებლობის სიძნელე სწორედ ის არის, რომ ჩვენ სოციალიზმის მშენებლობა გვიხდება კაპიტალიზმის მიერ მთლად გაფუჭებული ელემენტებისაგან. გადასვლის სიძნელე სწორედ ის არის, რომ იგი დაკავშირებულია დიქტატურასთან, რომლის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი კლასი — პროლეტარიატი. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: ხაზს განსაზღვრავს პროლეტარიატი, რომელიც გამოწრთობილია და გადაქცეულია მებრძოლ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს გაანადგუროს ბურჟუაზია. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არის დიდძალი გარდამავალი საფეხურები, და მათ მიმართ ჩვენი პოლიტიკა ახლა იმ რელსებზე უნდა დადგეს, რომლებიც ჩვენ მიერ თეორიულად გათვალისწინებულია, და ჩვენ ახლა შეგვიძლია მისი განხორციელება. ჩვენს წინაშე დასახულია მთელი რიგი ამოცანები, მთელი რიგი შეთანხმებანი, ტექნიკური დავალებანი, რომელთა მიცემაც ჩვენ, გაბატონებულმა პროლეტარულმა ხელისუფლებამ, უნდა შევძლოთ. ჩვენ უნდა შევძლოთ მივცეთ საშუალო გლეხს ერთი დავალება, დაგვეხმაროს საქონელგაცვლაში, კულაკის მხილებაში. კოოპერატორებს — სხვა დავალება: მათ აქვთ აპარატი პროდუქტების მასობრივი მასშტაბით გასანაწილებლად; ამ აპარატს თვითონ უნდა დავეუფლოთ. ინტელიგენციას ჩვენ სულ სხვა დავალება უნდა მივცეთ; იგი ვერ განაგრძობს საბოტაჟს და ისეა განწყობილი, რომ მას ახლა ჩ ვ ე ნ ს მიმართ მეტად კეთილ-

მეზობლური პოზიცია უკავია, და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს ინტელიგენცია, დავუსახოთ მას გარკვეული ამოცანები, თვალყური ვადევნოთ და შევამოწმოთ, თუ როგორ სრულდება ეს ამოცანები, ჩვენ უნდა მოვეპყრათ მათ ისე, როგორც მარქსი ამბობდა პარიზის კომუნის მოსამსახურეთა შესახებ: «ყოველ ცალკეულ დამქირავებელს უნარი შესწევს აირჩიოს შესაფერი თანაშემწეები, ბუხჰალტრები და, როცა ისინი ცდებიან, — უნარი შესწევს გამოასწოროს მათი შეცდომები, ხოლო თუ ისინი არ ვარგანან, — შეცვალოს ისინი ახლებით, კარგებით» [79]. ჩვენ ვაშენებთ ხელისუფლებას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა. ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ ხელისუფლება, თუ კაპიტალისტური კულტურის ისეთი მემკვიდრეობა, როგორიც ინტელიგენციაა, არ იქნება გამოყენებული. ახლა ჩვენ შეგვიძლია მოვეპყრათ წვრილბურჟუაზიას, როგორც კეთილ მეზობელს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სასტიკ კონტროლქვეშ იმყოფება. აქ შეგნებული პროლეტარიატის ამოცანაა გაიგოს: ბატონობა არ ნიშნავს იმას, რომ ის თვითონ შეასრულებს ყველა ამ ამოცანას. ვინც ასე ფიქრობს, მას წარმოდგენაც არა აქვს სოციალისტურ მშენებლობაზე, იმას რევოლუციისა და დიქტატურის ერთი წლის განმავლობაში ვერაფერი უსწავლია. ასეთი ვაჟბატონებისათვის უკეთესია სკოლაში წავიდნენ და იქ რაიმე ისწავლონ, და ვინც განვლილი ხნის მანძილზე რაიმე ისწავლა, — ის ეტყვის თავის თავს: აი ამ ინტელიგენციას გამოვიყენებ ახლა მშენებლობისათვის. ამისათვის მე საკმაო დასაყრდენი მაქვს გლეხობაშიო. და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ ბრძოლის მსვლელობაში, წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან პროლეტარიატის მთელ რიგ შეთანხმებებში და შეთანხმებათა ცდებში შეიქმნება ის მშენებლობა, რომელიც სოციალიზმამდე მიგვიყვანს.

გავიხსენოთ, რომ ენგელსი ამბობდა, ჩვენ მაგალითით უნდა ვიმოქმედოთო [80]. არავითარი ფორმა არ იქნება საბოლოო, ვიდრე სრული კომუნიზმი არ იქნება მიღწეული. ჩვენ

არ ვიჩემებდით იმას, თითქოს ზუსტი გზა ვიცოდეთ. მაგრამ ჩვენ გარდუვალად, აუცილებლად მივდივართ კომუნიზმისაკენ. ამჟამად ყოველი კვირა მეტს იძლევა, ვიდრე მშვიდობიანი დროის ათეული წლები. ბრესტის ზავის დროიდან გამოვლილი ნახევარი წელი ჩვენს წინააღმდეგ მერყეობათა ეპოქა იყო. დასავლეთ ევროპის რევოლუციამ — მაგალითმა, რომელიც ჩვენს განმეორებას იწყებს, ჩვენ უნდა განგვამტკიცოს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მომხდარი ცვლილებანი, გავითვალისწინოთ ყველა ელემენტი, ამასთან არ მივეცეთ არავითარ ილუზიას, ვინაიდან ვიცით, რომ მერყევნი დარჩებიან მერყევებად, ვიდრე სავსებით არ გაიმარჯვებს მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია. ეს, იქნებ, არც ისე მალე მოხდეს, თუმცა გერმანიის რევოლუციის ამბების მსვლელობა იმედს გვინერგავს, რომ ეს უფრო მალე იქნება, ვიდრე ბევრი ვარაუდობს. გერმანიის რევოლუცია ისე ვითარდება, როგორც ჩვენი რევოლუცია ვითარდებოდა, მაგრამ უფრო ჩქარი ტემპით. ყოველ შემთხვევაში ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, — ეს არის თავგანწირული ბრძოლა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მან იგრძნო, რომ ბოლშევიზმი მსოფლიო ძალად იქცა, და სწორედ ამიტომ ცდილობს იგი მაქსიმალური სისწრაფით დაგვახრჩოს და მოწადინებულია ჯერ გაუსწორდეს რუს ბოლშევიკებს, შემდეგ კი — საკუთარ ბოლშევიკებს.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მერყევთაგან ის ელემენტები, რომლებსაც იმპერიალისტების მხეცობა ჩვენსკენ ეწევა. და ჩვენ ამას გავაკეთებთ. თქვენ ჩინებულად იცით, რომ ომში არ შეიძლება უგულვებელყო რაიმე დახმარება, თუნდაც არაპირდაპირი. ომში მერყევი კლასების მდგომარეობასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო მწვავეა ომი, მით უფრო უნდა მოვიპოვოთ ჩვენ გავლენა მერყევ ელემენტებზე, რომლებიც ჩვენთან მოდიან. აქედან გამომდინარეობს, რომ ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვადექით ნახევარი წლის წინათ, უნდა შეიცვალოს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა ფენის მიმართ ახალი ამოცანების შესაბამისად.

თუ მე შევძელი მიმექცია პარტიული მუშაკების ყურადღება ამ ამოცანისათვის და სტიმული მიმეცა მათთვის სისტემატური გამოცდილების გზით მივიდნენ მის სწორ გადაწყვეტამდე, შემიძლია ჩემი ამოცანა შესრულებულად ჩავთვალო.

«პრავდა» №№ 264 და 265,
1918 წ. 5 და 6 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

2

საბოლოო სიტყვა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

ამხანაგებო, მე მომიხდება რამდენიმე დასკვნითი შენიშვნის გაკეთება. უწინარეს ყოვლისა მსურს პასუხი გავცე აქ წამოჭრილ საკითხზე — დოგმის საკითხზე. მარქსსა და ენგელსს მრავალჯერ უთქვამთ, ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოაო[81], და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება როდია დოგმა, რომელსაც ჩვენ ვიზეპირებთ. იგი უნდა მივიღოთ როგორც მოქმედების სახელმძღვანელო. ამას ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, და ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილად ვმოქმედებდით, არასოდეს არ ვვარდებოდით ოპორტუნიზმში, ტაქტიკას კი ვიცვლიდით. მაგრამ ეს არასგზით არ არის მოძღვრებისაგან გადახვევა და ამას არასგზით არ შეიძლება ოპორტუნიზმი ეწოდოს. მე ვთქვი და კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ ეს მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა.

შემდეგ, გადავდივარ რა ამხ. სტეკლოვის შენიშვნაზე: ვის უნდა შევუთანხმდეთ ჩვენ, შტაბებს თუ მასებს? ვუპასუხებ: პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მასებს, ხოლო შემდეგ შტაბებს, ხან კი საჭირო გახდება შტაბებთან ბრძოლა, ყველაფერი ცალკეულ შემთხვევებზეა დამოკიდებული. მე ამაზე გადავალ, მაგრამ ახლა პრაქტიკულად ვერ ვხედავ ვერავითარ შესაძლებლობას, რომ შევუთანხმდეთ მენშევიკების პარტიას და ესერების პარტიას. ჩვენ გვეუბნებიან,

შეთანხმება ნიშნავს რაიმეს დათმობას. რას დათმობთ და როგორ გადაუხვევთ ძირითად ხაზს? ეს იქნება განდგომილება, ხოლო თუ ეს მარტო პრაქტიკაშია, მაშინ ეს ახალი რამ არ არისო. რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს არ დავთმობთ ჩვენს პრინციპებს. ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. თხუთმეტი წლის წინათ დავა იყო ძირითადი ხაზისა და პრინციპების შესახებ, სამწუხაროდ, ამ დავის წარმოება მე უმთავრესად საზღვარგარეთ მიხდებოდა და არა რუსეთში. ახლა კი საქმე ეხება სახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო იმაზე, რომ იგი რამდენადმე დავთმოთ, — ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ტყუილად კი არ განუცხადებია ვილსონს: ახლა კი ჩვენი მტერი მსოფლიო ბოლშევიზმიაო. ამას აცხადებენ მთელი მსოფლიოს ბურჟუები. თუ ისინი ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენ, ამით, ცხადია, აღიარებენ, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება არა მარტო რუსული მოვლენაა, არამედ მსოფლიო მოვლენაც. სასაცილო და საცოდავი იქნებოდა ის ბოლშევიკი, რომელიც ბურჟუაზიას რაიმე შეთანხმებას შესთავაზებდა. ესეც არ იყოს, როდესაც რევოლუციური ხანძარი მთელ რიგ ქვეყნებს მოედო, — არც ერთი კაპიტალისტური ბურჟუაზიული მთავრობა ამას არ იზამს და ვერც იზამს.

შვეიცარიის ბურჟუაზია, როცა საქმე უკანასკნელ ამბებამდე მივიდა, პირდაპირ ამბობდა: ჩვენ რუსები არა ვართ, ჩვენ ძალაუფლებას არ დაგითმობთო. კაპიტანი სადული, რომელიც ბოლშევიზმს მიემხრო, წერს: მაკვირვებს, როდესაც რუსეთის ბურჟუაზიის საოცარ მორჩილებას ვხედავო, და აცხადებს, ჩვენი საფრანგეთის ბურჟუაზია ასე არ მოიქცევაო. იქ ჩვენ ვნახავთ გაცილებით მეტ გაბოროტებას, და სამოქალაქო ომი, თუ იგი გაჩაღდება, მეტად ულმობელ ფორმებს მიიღებს, და ამ მხრივ არავითარი საკითხის წამოყენება არ შეიძლება.

საკითხი სავსებით გადაწყვეტილია პრაქტიკულად პროლეტარული დიქტატურის ერთი წლის გამოცდილებით, და არც ერთ გლეხს, არც ერთ მუშას აზრად არ მოუვა შეუთანხმდეს ბურჟუაზიას. ხოლო შეთანხმება რომ ახალი რამ

არ არის, ამას სავსებით ვეთანხმები. მე მხოლოდ მინდა, რომ ასეთ საკითხებზე ერთად ვთათბირობდეთ.

იმ გარემოებებმა, რომლებმაც მენშევიკები და ესერები და წვრილი ინტელიგენცია განსაკუთრებით ჩამოგვაშორეს ჩვენ, — გააფთრებულმა ბრძოლამ ბრესტის ზავისათვის გერმანიის იმპერიალიზმის შემოტევის პერიოდში, — ამ გარემოებებმა განვლეს. მაგრამ ინგლისელებისა და ფრანგების თუნდაც დროებითი წარმატებანი რომ გამოიწვევენ ახალ მერყეობას ამ ინტელიგენციასა და წვრილ დემოკრატიაში, რომელიც დაიწყებს პანიკის თესვას და გადარბენას, ეს ჩვენ ჩინებულად ვიცით. ჩვენ ვუთანხმდებით მათ, რათა მივაღწიოთ გარკვეულ შედეგებს და გარკვეული პრაქტიკული მუშაობისათვის. ამ ტაქტიკამ არ შეიძლება არც დავა გამოიწვიოს და არც გაკვირვება. მაგრამ იგი რომ ვერ გაიგეს, ეს ბევრმა დაამტკიცა და მოსკოვის საბჭოს ისეთმა გავლენიანმა წევრმაც კი, როგორიც არის ამხ. მაქსიმოვი. ამხ. მაქსიმოვი ამბობდა, ხინჩუკს კი არ უნდა შევუთანხმდეთ, არამედ გონივრულად უნდა მოვურიგდეთო. როდესაც ჩვენ გაზაფხულზე ვაქვეყნებდით პირველ დეკრეტს კოოპერატივების შესახებ, და ჩვენ მათ წამოგვიყენეს ულტიმატუმური მოთხოვნები, ჩვენ მათ დავუთმეთ. ამას ჩვენ ვუწოდებთ შეთანხმებას — სხვა რაიმე არ შეიძლება ამ პოლიტიკას ეწოდოს. დაბ თუ ყოველი საბჭოთა მუშაკი წესად გაიხდის, თავის თავსაც ეტყვის და ყველა ამხანაგსაც განუმეორებს: წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას გონივრულად მოვურიგდეთო, მე დაკმაყოფილებულად ჩავთვლი თავს.

ჩვენ დღევანდლამდე წარმოებულ მუშაობაში, განსაკუთრებით ადგილებზე მუშაობაში, ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ იმისაგან, რომ გონივრულად მოვურიგდეთ ხოლმე. პირიქით, ჩვენ ხშირად ვერ ვურიგდებით გონივრულად. ჩვენ ამაში ბრალს გვდებენ და არ ესმით, რომ ახალი მშენებლობა უამისოდ შეუძლებელია. არ არის ისეთი გენიოსი, რომელსაც შეეძლოს ახალი ცხოვრების შენება, თუ მან არ ისწავლა მშენებლობის პროცესში. როცა საჭიროა

პრაქტიკულ მოღვაწეებთან გონივრულად მორიგება, ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ. დუქანი რომ მოაწყო, უნდა იცოდე, როგორ მოაწყო. საჭიროა ისეთი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმე იციან. ჩვენ, ბოლშევიკებს, ამ პრაქტიკულ მუშაობაში ძალიან იშვიათად გვიხდებოდა ჩვენი ცოდნის გამოყენება. ჩვენ ძალიან იშვიათად განვიცდით აგიტატორების ნაკლებობას, მაგრამ ყველაზე აშკარა ნაკლია პრაქტიკული მოღვაწეების, ორგანიზატორების ნაკლებობა. და ეს დღემდე გრძელდება, მიუხედავად უკვე ერთი წლის გამოცდილებისა. ყოველ კაცს, რომელიც კი ამ დარგში საკმაოდ გამოცდილია, რომელიც აყენებს ნეიტრალობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ლოზუნგს, ყოველ ასეთ კაცს გონივრულად უნდა მოვურიგდეთ. თუ მას შეუძლია დუქნის მოწყობა, საქონლის განაწილება, თუ მას შეუძლია თუნდაც რაიმე გვასწავლოს, თუ ის პრაქტიკოსი კაცია, ეს დიდი შენაძენია.

ყველამ იცის, რომ ბოლშევიზმის «მეგობრებს» შორის, მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიმარჯვეთ, ბევრია მტერი. ჩვენ ხშირად გვეტმასნებიან სრულიად არასაიმედო, თაღლითი ელემენტები, რომლებიც პოლიტიკურად მერყეობენ, გვყიდიან, გაგვცემენ და გვღალატობენ. და ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ამის გამო ჩვენ არ ვიცვლებით. ეს ისტორიულად გარდუვალია. როდესაც მენშევიკები გვისაყვედურებენ, საბჭოთა მოსამსახურეებს შორის ბლომად არიან მიტმასნილი, უპატიოსნო, ზოგადმოქალაქეობრივი აზრითაც კი უპატიოსნო, ელემენტებიო, ჩვენ მათ ვეუბნებით: საიდანღა ავიყვანოთ უკეთესნი, როგორ მოვიქცეთ, რომ საუკეთესო ადამიანები ჩვენ ერთბაშად გვენდონ. რევოლუცია, რომელიც ერთბაშად გაიმარჯვებდა და დაარწმუნებდა ყველას, ერთბაშად ჩაუნერგავდა მათ ჩვენდამი რწმენას, ასეთი რევოლუცია არ არის. რევოლუცია იწყება ერთ ქვეყანაში, სხვა ქვეყნებში კი იგი არა სწამთ. ჩვენი რევოლუცია კოშმარად, ქაოსად მიაჩნიათ, და ჩვენი ორგანიზებული «ქაოსური» კრებებისაგან, რომლებსაც ჩვენ საბჭოებს ვუწოდებთ, არაფერს არ გამოელიან სხვა ქვეყნებში. და ეს სავსებით ბუნებრივია. ჩვენ ბევრი რამ

ბრძოლით უნდა მოგვეპოვებინა. და აი როდესაც ამბობენ: საჭიროა გონივრულად მოურიგდე ხინჩუკს — მას შეუძლია დუქნის მოწყობაო, მე ვამბობ: მოურიგდით სხვებსაც, აიყვანეთ წვრილი ბურჟუები, რომლებმაც ბევრი რამის გაკეთება იციან.

თუ ჩვენ თავში ჩავუჭედავთ ამ ლოზუნგს: «მოურიგდით», ჩავუჭედავთ თავში ადგილებზე, თუ მივხვდებით, რომ ძალაუფლებისათვის იღვიძებს ახალი კლასი, რომ მართვა-გამგეობას ხელს ჰკიდებენ ადამიანები, რომლებიც ასეთ რთულ საქმეს არასოდეს არ ჰკიდებდნენ ხელს და, ცხადია, შეცდომებს ჩადიან, — ჩვენ არ შევკრთებით. ჩვენ ვიცით, რომ უშეცდომებოდ მართვა-გამგეობა არ შეიძლება. მაგრამ შეცდომების გარდა ჩვენ ვხედავთ ძალაუფლების უუნაროდ გამოყენებას, როგორც მხოლოდ ძალაუფლებისა, როდესაც ადამიანები ამბობენ: მე მივიღე ძალაუფლება, განკარგულება მოგეცი, და შენ უნდა დამემორჩილოო. ჩვენ ვამბობთ: წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი რიგი ელემენტების — პროფესიული კავშირების, გლეხებისა და კოოპერატივების მიმართ ამ ლოზუნგს ნუ გაატარებთ, ახლა იგი საჭირო აღარ არის. ამიტომ უფრო გონივრულია მოვურიგდეთ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას, განსაკუთრებით ინტელიგენციას, — ეს ჩვენი ამოცანაა. რა თქმა უნდა, ჩვენ მოვურიგდებით ჩვენი პლატფორმის საფუძველზე, მოვურიგდებით როგორც ხელისუფლება.

ჩვენ ვამბობთ: მართალია თუ არა, რომ თქვენ მტრობიდან ნეიტრალობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის პოზიციაზე გადმოხვედით, მართალია თუ არა, რომ თქვენ ჩვენდამი მტრობას თავი გაანებეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვალებს არ დავხუჭავთ, ჩვენ აშკარად ვიტყვით: თუ ომია, ომი იყოს, და ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც ომშია საჭირო. მაგრამ თუ თქვენ მტრობიდან ნეიტრალობაზე გადმოხვედით, თუ თქვენ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე ლაპარაკობთ,— ეს სიტყვები მე ავიღე ისეთ ადამიანთა განცხადებებიდან, რომლებიც კომუნისტების ბანაკს არ ეკუთვნიან, რომლებიც

ჯერ კიდევ გუშინ გაცილებით უფრო ახლოს იდგნენ თეთრგვარდიელთა ბანაკთან, — მე ვამბობ: თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთი ფართო მასშტაბით გადადიან გუშინდელი მტრობიდან დღევანდელ ნეიტრალობაზე და კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი პროპაგანდა.

ამხ. ხმელნიცკი ამაოდ შიშობს, რომ მენშევიკები თავიანთ პროპაგანდას ეწევიან, რათა მუშათა კლასის ცხოვრებას უხელმძღვანელონო. ჩვენ ვლაპარაკობთ არა სოციალ-დემოკრატებზე, რომლებსაც ვერ გაუგიათ სოციალისტური რესპუბლიკა, ჩვენ ვლაპარაკობთ არა მათზე და არც წვრილბურჟუაზიულ ბიუროკრატიაზე, — აქ ჩვენ გვაქვს იდეური ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ, შეურიგებელი ომი. მენშევიკს რომ უთხრა, წვრილბურჟუაზიული დემოკრატი ხარო, ეს მისთვის უდიდესი შეურაცყოფაა, და რაც უფრო გულდამშვიდებით დაუწყებთ მენშევიკს ამის მტკიცებას, მით უფრო გაცოფდება იგი. იმის ფიქრი, რომ ჩვენ საკუთარი მიღწეული მდგომარეობიდან დავთმობთ თუნდაც ერთ მეასედ ანდა ერთ მეათასედ ნაწილს, — ეს შეცდომაა. ჩვენ სულ მცირე წილსაც არ დავთმობთ.

ამხ. შმიდტის მიერ მოყვანილი მაგალითები ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატის ის ჯგუფიც კი, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ბურჟუაზიასთან (როგორც, მაგალითად, მბეჭდავნი), წვრილბურჟუაზიული მოსამსახურენი, ბანკების ბურჟუაზიული მოსამსახურენი, რომლებიც ოპერაციებს ატარებდნენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, სოციალიზმზე გადასვლით ბევრ რამეს კარგავენ. ჩვენ დავხურეთ უამრავი ბურჟუაზიული გაზეთი, ჩვენ მოვახდინეთ ბანკების ნაციონალიზაცია, ჩვენ დავკეტეთ მთელი რიგი გზები, რომლებითაც ბანკების მოსამსახურენი მდიდრდებოდნენ, მონაწილეობას იღებდნენ რა სპეკულაციაში, მაგრამ ამ ბანაკშიც ჩვენ ვხედავთ მერყეობას, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ჩვენთან გადმოდიან. თუ ხინჩუკი დასაფასებელია იმით, რომ მან იცის დუქნების მოწყობა, ბანკის მოსამსახურე დასაფასებელია

იმით, რომ მან იცის ფულის საქმის ტექნიკა; ამ საქმეს ბევრი ჩვენგანი თეორიულად იცნობს, მაგრამ პრაქტიკულად აქ ძალიან დიდ სისუსტეს იჩენს. და მე ველაპარაკები ასეთ კაცს, რომელმაც ეს ტექნიკა იცის და რომელიც მეუბნება, გუშინდელი მტრობიდან ნეიტრალობასა და კეთილმეზობლობაზე გადავედიო. ჩვენ ვამბობთ: ყოველ კაცს გონივრულად მოურიგდი. დეპუტატთა საბჭოებშიც, თუ ამხ. მაქსიმოვი ამ ტაქტიკას, რომელზეც ის, როგორც მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის გამოჩენილი წევრი, ლაპარაკობდა ინტელიგენციისა და მერყევი წვრილი ბურჟუაზიის მიმართ, თუ ამ ტაქტიკას გაატარებს, მე სავსებით ვიქნები და ძალიანაც ვიქნები კმაყოფილი.

შემდეგ კოოპერატივების საკითხი. ამხ. სტეკლოვმა ასე თქვა: კოოპერატივებს ცუდი სუნი უდისო. ამხ. მაქსიმოვმა კოოპერატივების შესახებ თქვა: საჭირო არ არის ისეთი დეკრეტების წერა, როგორიცაა ახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელი დეკრეტიო. პრაქტიკულ დარგში ჩვენ ერთსულოვნება არა გვქონია. ჩვენთვის ახალი არ არის ის, რომ წვრილ ბურჟუაზიას, თუ იგი ჩვენ მტრულად არ გვეკიდება, საჭიროა დავთანხმდეთ ამ ნოტაზე. თუ ძველი დებულება ცუდი აღმოჩნდება, იგი უნდა შევცვალოთ, როდესაც ამას შეცვლილი გარემოებანი მოითხოვენ. ამ მხრივ რომ საქმე შეიცვალა, ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ. აქ კოოპერატივები თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ. კოოპერაციული აპარატი მომარაგების აპარატია, რომელიც ემყარება არა კაპიტალისტთა კერძო ინიციატივას, არამედ თვითონ მშრომელთა მასობრივ მონაწილეობას, და კაუცკი დიდი ხნით ადრე, ვიდრე რენეგატებთან გადავიდოდა, მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ სოციალისტური საზოგადოება ერთი დიდი კოოპერატივიაო.

თუ ჩვენ ვისწრაფვით მოვაგვაროთ კონტროლი და პრაქტიკულად მოვაწყოთ მეურნეობა ასეულ ათასობით კაცისათვის, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც სოციალისტები ამ საკითხს განიხილავენ, ისინი აღნიშნავენ, რომ

ჭათ შეიძლება გამოადგეთ ტრესტების ხელმძღვანელები როგორც გამოცდილი პრაქტიკოსები. ახლა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წვრილბურჟუაზიული ელემენტები მტრობიდან ნეიტრალობაზე გადმოვიდნენ. და ამავე დროს უნდა გავიგოთ, რომ დუქნების მოწყობა მათ იციან. ჩვენ არ უარვყოფთ: ხინჩუკი როგორც იდეოლოგი მთლად გაჟღენთილია ბურჟუაზიული ცრურწმენებით, ყველა მათ ამის სუნი უდით, მაგრამ ამავე დროს მათ პრაქტიკული ცოდნა აქვთ. იდეების აზრით ყველა ზარბაზანი ჩვენს მხარეზეა, მათ კი არც ერთი ზარბაზანი არა აქვთ. მაგრამ როცა ისინი ამბობენ, მტრულად არა ვართ განწყობილნი და ნეიტრალობაზე გადმოვდივართო, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ახლა ასობით და ათასობით ადამიანებიც, რომლებიც ხინჩუკზე ნაკლებ ნიჭიერნი არიან, გონივრულად გვირიგდებიან. მე ვამბობ: უნდა შეგვეძლოს მათთან მორიგება. პრაქტიკული მშენებლობის დარგში მათ მეტი იციან, უკეთ შეუძლიათ, და მათგან უნდა ვისწავლოთ. დაე, მათ ისწავლონ ჩვენგან საერთაშორისო პროლეტარიატზე ზემოქმედება, დუქნების შენებას კი ჩვენ მათგან ვისწავლით. ეს ჩვენ არ ვიცით. აქ ყოველ დარგში საჭირონი არიან სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ტექნიკოსები.

და კოოპერატივების შესახებ მე არ ვიცი, თუ რატომ სდის იქ ცუდი სუნი. როდესაც ჩვენ ვიღებდით პირველ დეკრეტს კოოპერატივების შესახებ, ჩვენ საკითხის განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოში ვიწვევდით არათუ კომუნისტებს, არამედ თეთრგვარდიელებთან გაცილებით უფრო ახლო მდგომ პირებს, ჩვენ მათთან ვთათბირობდით, მათ ვეკითხებოდით: შეგიძლიათ თუ არა ეს მიიღოთ? ისინი გვეუბნებოდნენ: ეს შეგვიძლია, ეს კი არაო. რა თქმა უნდა, ეს იყო შემთანხმებლობა ბურჟუაზიასთან გარეგნული ან და ზერელე თვალსაზრისით. მოწვეული იყვნენ ბურჟუაზიული კოოპერაციის წარმომადგენლები და მათი მითითებით ამოიშალა დეკრეტის რამდენიმე მუხლი. მაგალითად, ამოიშალა მუხლი პროლეტარული კოოპერატივით უფასო სარგებლობისა

და მასში უფასოდ შესვლის შესახებ. ჩვენ ეს სავსებით მისაღებად მიგვაჩნდა, მათ კი ჩვენი წინადადება უარყვეს.

ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა ვიაროთ იმ ადამიანებთან შეთანხმების გზით, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენზე გაცილებით უკეთ მოაწყონ დუქნები. ამ საქმეს ჩვენ არ ვიცნობთ, მაგრამ ჩვენს ბრძოლაზე ოდნავადაც არ ვიღებთ ხელს. როცა ჩვენ უნდა გამოგვეცა შემდეგი ასეთივე დეკრეტი, ამხ. მაქსიმოვმა თქვა: საჭირო არ არის ასეთი დეკრეტების წერა, რადგან იქ ნათქვამია: დახურული კოოპერატივები კვლავ გაიხსნასო. ეს გვიჩვენებს, რომ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს მუშაკებში, ისე როგორც ჩვენს შორის, არის გარკვეული გაუგებრობანი, და ასეთ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლადაც კი უნდა იმართებოდეს ასეთი თათბირები და საუბრები, როგორიც დღევანდელია. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ საქმის ინტერესებისათვის ჩვენ განზრახვა გვქონდა გამოგვეყენებინა არა მარტო პროფკავშირები საერთოდ, არამედ ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირიც, ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურენი კი ყოველთვის შეადგენდნენ ბურჟუაზიული წყობილების დასაყრდენს. მაგრამ რაკი ეს ადამიანები ჩვენთან მოდიან და გვეუბნებიან: ჩვენ თანახმა ვართ ვიცხოვროთ კეთილმეზობლურადო, შეხვდით მათ გულღიად, საჭიროა ჩამოვართვათ გამოწვდილი ხელი, ამით ხელი არ მოგვწყდება. ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ, თუ ხვალ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები დაგვარტყამენ, ისინი ზურგს შეგვაქცევენ და პირველნი გაიქცევიან. მაგრამ, როცა ეს პარტია, ეს ბურჟუაზიული ელემენტები არ გარბიან, ჩვენ ვიმეორებთ: აქ საჭიროა მათთან დაახლოება. ამიტომ ჩვენ მივიღეთ დეკრეტი, რომელიც გამოქვეყნდა კვირას და რომელიც არ მოსწონს ამხ. მაქსიმოვს, — ამით ის გვიჩვენებს, რომ იყენებს ძველ კომუნისტურ ტაქტიკას, რომელიც ახალ გარემოებებს არ შეეფერება. ეს დეკრეტი რომ გუშინ დაგვეწერა, პასუხად კი მიგვეღო მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია [82], მაშინ სულელები აღმოვჩნდებოდით, თუ ვიტყოდით,

შენ უდროოდ დაიწყე, რატომ წერ, როდესაც შემობრუნება დაიწყო, როდესაც მდგომარეობა იცვლებაო.

შეიარაღებული კაპიტალისტები უფრო მეტად და უფრო შეუპოვრად ეწევიან ომს, და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ეს, თუნდაც დროებითი, შემობრუნება პრაქტიკულ მშენებლობაში. მთელი ძალაუფლება ჩვენს ხელშია. ჩვენ შეგვიძლია კოოპერატივები არ დავხუროთ, დახურული კოოპერატივები კი ისევ გავხსნათ, იმიტომ რომ ჩვენ მათ ვხურავდით მაშინ, როდესაც ისინი თეთრგვარდიულ აგიტაციას ემსახურებოდნენ. მაგრამ ყოველი ლოზუნგი იძენს თვისებას გაქვავდეს უფრო მეტად, ვიდრე ეს საჭიროა. როდესაც რუსეთს მოედო კოოპერატივების დახურვის ტალღა და მათი დევნა, — ამას მომენტის პირობები მოითხოვდნენ. ახლა კი ეს საჭირო არ არის. კოოპერაცია მეტად მნიშვნელოვანი აპარატია, რომელიც დაკავშირებულია საშუალო გლეხობასთან, აპარატი, რომელიც აერთიანებს გლეხთა დაქუცმაცებულ, დაქსაქსულ ფენებს. ეს ხინჩუკები ასრულებენ სასარგებლო სამუშაოს, რომელიც წამოწყებულია ბურჟუაზიული ელემენტების მიერ. როდესაც ეს გლეხები და წვრილბურჟუაზიული დემოკრატები გვეუბნებიან, მტრობიდან ნეიტრალობაზე, კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე გადავდივართო, ჩვენ უნდა ვუთხრათ: ჩვენც ეს გვინდა. მოდით, კეთილმეზობლებო, გონივრულად მოვრიგდეთ. ყოველნაირად გიწყობთ ხელს, ვახორციელებთ თქვენს უფლებებს; განვიხილავთ თქვენს პრეტენზიებს, მოგცემთ როგორიც გნებავთ პრივილეგიებს, მაგრამ შეასრულეთ ჩვენი დავალებანი. თუ ამას არ იზამთ, იცოდეთ, რომ საგანგებო კომისიის მთელი აპარატი ჩვენს ხელთ რჩება. თუ თქვენ ვერ შეძლებთ გამოიყენოთ თქვენი უფლებები და არ შეასრულებთ ჩვენს დავალებებს, მაშინ სახელმწიფო კონტროლის მთელი აპარატი ჩვენს ხელთ დარჩება, და სახელმწიფოებრივი ნების დამრღვევებად მიგიჩნევთ. უნდა ჩაგვაბაროთ ანგარიში უკანასკნელ კაპიკამდე, და ამის დარღვევა დაისჯება, როგორც სახელმწიფოებრივი ნების და სახელმწიფო კანონების დარღვევა.

მთელი ეს კონტროლი ჩვენს ხელში რჩება, მაგრამ ახლა ამ ადამიანთა მოზიდვა, თუნდაც დროებით — მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით გიგანტური ამოცანა არ არის, მაგრამ ჩვენთვის არსებითად აუცილებელია. ეს გააძლიერებს ჩვენს მდგომარეობას ომში. ჩვენ არა გვაქვს წესიერი ზურგი. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მოგვცემს ჩვენ მორალურ გამარჯვებას, რადგან დაანახვებს დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს, რომ იგი ჩვენში საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას შეხვდება, ამის უგულვებელყოფა კი არ შეიძლება, ვინაიდან ყოველ ქვეყანაში არის თავისი შინაგანი მუშური, პროლეტარული ოპოზიცია რუსეთზე თავდასხმის წინააღმდეგ. აი რატომ ვფიქრობ, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო ამხ. მაქსიმოვის განცხადების მიხედვით, ჩვენ ვაგნებთ გარკვეულ შეთანხმებას. თუ უთანხმოება აშკარავდება, იგი არც ისე არსებითია, ვინაიდან რაკი აუცილებლადაა მიჩნეული გონივრულად მორიგება მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის, ინტელიგენციის, კოოპერატორების მიმართ, იმ პროფკავშირების მიმართ, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ არ გვცნობენ, მორიგება ისე, რომ ძალაუფლება ხელიდან არ გავუშვათ, თუ ჩვენ ამ პოლიტიკას მტკიცედ გავატარებთ მთელი ზამთრის განმავლობაში, — მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ უკვე დიდ პლუსს საერთაშორისო რევოლუციის მთელი საქმისათვის.

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

დეპეშა მთავარსარდალს

სერპუხოვში

29/XI

ჩვენი ჯარების დასავლეთისა და უკრაინისაკენ წინწაწევასთან ერთად იქმნება საოლქო დროებითი საბჭოთა მთავრობები, რომლებიც მოწოდებული არიან განამტკიცონ საბჭოები ადგილებზე. ამ გარემოებას ის კარგი მხარე აქვს, რომ უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტლანდიის შოვინისტებს შესაძლებლობას ართმევს განიხილონ ჩვენი ნაწილების წინსვლა, როგორც ოკუპაცია, და ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნის ჩვენი ჯარების შემდგომი წინწაწევისათვის. ამ გარემოების გარეშე ჩვენი ჯარები ოკუპირებულ ოლქებში ჩაყენებული იქნებოდნენ აუტანელ მდგომარეობაში, და მოსახლეობა არ შეხვდებოდა მათ, როგორც განმათავისუფლებლებს. ამის გამო გთხოვთ მისცეთ სათანადო სამხედრო ნაწილების მეთაურთა შემადგენლობას მითითება, რომ ჩვენმა ჯარებმა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ლატვიის, ესტლანდიის, უკრაინისა და ლიტვის დროებითს საბჭოთა მთავრობებს, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ საბჭოთა მთავრობებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 29 ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ი. ბ. სტალინის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული ტექსტის მიხედვით.

პროლეტარული რევოლუცია
და რენეგატი კაუცკი

დაწერილია 1918 წ. ოქტომბერ-ნოემბერში

დაიბეჭდა 1918 წელს ცალკე წიგნად
«კომუნისტის» გამომცემლობაში, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

Россійская Коммунистическая Партія (большевиковъ).

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Н. Ленинъ (Вл. Ульяновъ).

ПРОЛЕТАРСКАЯ РЕВОЛЮЦІЯ и РЕНЕГАТЪ КАУТСКІЙ.

Цѣна 3 руб.

КНИГОИЗДАТЕЛЬСТВО „КОММУНИСТЪ“.

МОСКВА:
1) Срѣтенка (уг. Рыбниковъ пер.), д. 8. Тел. 4-70-46; 3-15-00.
2) 2-ой домъ Совѣтовъ, Театр. пл.

ПЕТРОГРАДЪ:
1) Поварской пер., д. № 2, кв. 9 и 10. Тел. 2-27-42.
2) Литейный проспектъ, д. 48.

1919.

გარეკანი წიგნისა «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» ვ. ი. ლენინის აღნიშვნებით. — 1918 წ.

დაბეჭდილია

წინასიტყვაობა

კაუცკის ბროშურა «პროლეტარიატის დიქტატურა», რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ვენაში გამოვიდა (Wien, 1918, Ignaz Brand, გვ. 63), წარმოადგენს II ინტერნაციონალის იმ ყოვლად სრული და უაღრესად სამარცხვინო გაკოტრების ფრიად თვალსაჩინო მაგალითს, რაზედაც ყველა ქვეყნის ყველა პატიოსანი სოციალისტი დიდი ხანია ლაპარაკობს. პროლეტარული რევოლუციის საკითხი ახლა მთელ რიგ სახელმწიფოებში პრაქტიკულად დგება დღის წესრიგში. ამიტომ აუცილებლად საჭიროა გავარჩიოთ კაუცკის რენეგატული სოფიზმები და მარქსიზმისაგან მისი სრული განდგომა.

მაგრამ თავდაპირველად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ სტრიქონების დამწერს ომის დასაწყისიდანვე მრავალჯერ აღუნიშნავს კაუცკის ჩამოშორება მარქსიზმისაგან. ამას მიეძღვნა 1914 — 1916 წლების მთელი რიგი სტატიები, მოთავსებული საზღვარგარეთულ «სოციალ-დემოკრატში» [83] და «კომმუნისტში» [84]. ეს სტატიები შეკრებილია პეტროგრადის საბჭოს გამოცემაში: გ. ზინოვიევი და ნ. ლენინი: «მდინარეების წინააღმდეგ», პეტროგრადი, 1918 წ. (გვერდი 550). ჟენევაში 1915 წელს გამოცემულ ბროშურაში, რომელიც მაშინვე გადაითარგმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე [85], მე ვწერდი «კაუცკიანელობის» შესახებ:

«კაუცკი, II ინტერნაციონალის ყველაზე დიდი ავტორიტეტი, წარმოადგენს ფრიად ტიპიურ და მკაფიო მაგალითს

იმისას, თუ მარქსიზმის სიტყვიერმა აღიარებამ როგორ გადაქცია იგი სინამდვილეში «სტრუვიზმად» ანუ «ბრენტანიზმად» (ესე იგი ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მოძღვრებად, რომელიც აღიარებს პროლეტარიატის არარევოლუციურ «კლასობრივ» ბრძოლას, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატეს რუსმა მწერალმა სტრუვემ და გერმანელმა ეკონომისტმა ბრენტანომ). ამას ჩვენ პლეხანოვის მაგალითზეც ვხედავთ. ისინი აშკარა სოფიზმებით მარქსიზმს აცლიან მის რევოლუციურ ცოცხალ სულს, მარქსიზმში ცნობენ ყველაფერს, გარდა ბრძოლის რევოლუციური საშუალებებისა, მათი ქადაგებისა და მომზადებისა, მასების აღზრდისა სწორედ ამ მიმართულებით. კაუცკი სოციალ-შოვინიზმის ძირითად აზრს, ამ ომში სამშობლოს დაცვის აღიარებას, უიდეოდ «შეარიგებს» ხოლმე დიპლომატიურ, მოჩვენებით დათმობასთან მემარცხენეთა მიმართ, როგორიც არის თავის შეკავება კრედიტების შესახებ კენჭის ყრისას, თავისი ოპოზიციურობის სიტყვიერი აღიარება და ა. შ.. კაუცკი, რომელმაც 1909 წელს მთელი წიგნი დაწერა რევოლუციების ეპოქის მოახლოებაზე და რევოლუციასთან ომის კავშირის შესახებ, კაუცკი, რომელმაც 1912 წელს ხელი მოაწერა ბაზელის მანიფესტს მომავალი ომის რევოლუციური გამოყენების შესახებ, ახლა ყოველნაირად ამართლებს და ალამაზებს სოციალ-შოვინიზმს და, პლეხანოვის მსგავსად, უერთდება ბურჟუაზიას, რათა სასაცილოდ აიგდოს ყოველი ზრახვა რევოლუციის შესახებ, ყოველი ნაბიჯი, გადადგმული უშუალო რევოლუციური ბრძოლისაკენ.

მუშათა კლასი ვერ განახორციელებს თავის მსოფლიო-რევოლუციურ მიზანს, თუ იგი ულმობელ ომს არ გამოუცხადებს ამ რენეგატობას, უნიათობას, ოპორტუნიზმის წინაშე მლიქვნელობას და მარქსიზმის ამ უმაგალითო თეორიულ შერყვნას. კაუცკიანელობა შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ II ინტერნაციონალის წინააღმდეგობათა, სიტყვიერად მარქსიზმისადმი ერთგულებისა და ნამდვილად ოპორტუნიზმისადმი დამორჩილების შეერთების სოციალური პროდუქ-

ტია» (გ. ზინოვიევი და ნ. ლენინი: «სოციალიზმი და ომი», ჟენევა, 1915, გვ. 13 — 14).

შემდეგ. 1916 წელს დაწერილ წიგნში «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი» (გამოვიდა პეტროგრადში 1917 წელს) მე დაწვრილებით გავარჩიე იმპერიალიზმის შესახებ კაუცკის მთელი მსჯელობის თეორიული სიყალბე. მე მომყავდა კაუცკის მიერ იმპერიალიზმის განსაზღვრა: «იმპერიალიზმი არის უაღრესად განვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის ნაყოფი. იგი მდგომარეობს ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ერის მისწრაფებაში — შემოიერთოს ან დაიმორჩილოს ყველა დიდი ა გ რ ა რ უ ლ ი (ხაზგასმა კაუცკისაა) ოლქი, იმისდა მიუხედავად, თუ რა ერებით არიან ისინი დასახლებულნი». მე ცხადვყოფდი ამ განსაზღვრის სრულ მცდარობას და მის «შეგუებულობას» იმპერიალიზმის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობათა მიჩქმალვისადმი, შემდეგ კი ოპორტუნიზმთან შერიგებისადმი. მე მომყავდა ჩემი განსაზღვრა იმპერიალიზმისა: «იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ სტადიაზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მოიპოვა კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის». მე ცხადვყოფდი, რომ კაუცკის მიერ იმპერიალიზმის კრიტიკა იმპერიალიზმის ბურჟუაზიულ, მეშჩანურ კრიტიკაზე უფრო დაბლაც კი დგას.

ბოლოს, 1917 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, ე. ი. პროლეტარულ რევოლუციამდე რუსეთში (1917 წლის 25 ოქტომბერი — 7 ნოემბერი), მე დავწერე და 1918 წლის დამდეგს პეტროგრადში გამოვიდა ბროშურა «სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში» და აქ, VI თავში — «მარქსიზმის გაუხამსება ოპორტუნისტების მიერ», განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე კაუცკის და ვამტკიცებდი, რომ მან სრულიად დაამახინჯა მარქსის მოძღვრება,

რომ ის ოპორტუნისტულად აყალბებდა მას, «სიტყვით ცნობდა რა რევოლუციას, ნამდვილად ხელს იღებდა მასზე».

არსებითად, კაუცკის ძირითადი თეორიული შეცდომა მის ბროშურაში პროლეტარიატის დიქტატურაზე გამოიხატება სწორედ სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრების იმ ოპორტუნისტული დამახინჯებებით, რომლებიც დაწვრილებით გამოაშკარავებულია ჩემს ბროშურაში «სახელმწიფო და რევოლუცია».

ეს წინასწარი შენიშვნები აუცილებელი იყო, ვინაიდან ისინი ამტკიცებენ, რომ მე კაუცკის ა შ კ ა რ ა დ დავდებრალი რენეგატობაში ი მ ა ზ ე დ ი დ ი ხ ნ ი თ ა დ რ ე, ვიდრე ბოლშევიკები ხელთ აიღებდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას და ვიდრე კაუცკი მათ ამისათვის გაკიცხავდა.

როგორ გადააჭცია კაუცკიმ მარქსი ჩვეულებრივ ლიბერალად

მთავარი საკითხი, რომელსაც კაუცკი ეხება თავის ბროშურაში, არის პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსის საკითხი, სახელდობრ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. ეს არის საკითხი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მოწინავე, განსაკუთრებით მეომარი ქვეყნებისათვის, მეტადრე ამჟამად. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მთელი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მთავარი საკითხია. ამიტომაც აუცილებელია ყურადღებით შევჩერდეთ მასზე.

კაუცკი იმგვარად აყენებს საკითხს, რომ «წინააღმდეგობა ორივე სოციალისტური მიმართულებისა» (ე. ი. ბოლშევიკებისა და არა-ბოლშევიკების) არის «წინააღმდეგობა ორი ძირეულად სხვადასხვა მეთოდისა: დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ს ა და დ ი ქ ტ ა ტ ო რ უ ლ ი ს ა» (გვ. 3).

გაკვრით აღვნიშნავთ, რომ, როდესაც კაუცკი რუსეთის არა-ბოლშევიკებს, ე. ი. მენშევიკებსა და ესერებს, სოციალისტებს უწოდებს, ის მათი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი თ, ე. ი. სიტყ-

ვით, ხელმძღვანელობს და არა იმ ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა დ გ ი-
ლ ი თ, რომელიც მათ უკავიათ პროლეტარიატის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აი მარქსიზმის საუცხოო გაგება და გამოყენება! მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით, ქვემოთ.

ახლა უნდა ავიღოთ მთავარი: კაუცკის დიდი აღმოჩენა «დემოკრატიული და დიქტატორული მეთოდების» «ძირეული წინააღმდეგობის» შესახებ. ეს არის საკითხის დედააზრი. ეს არის კაუცკის ბროშურის მთელი არსი. და ეს ისეთი საოცარი თეორიული დომხალია, მარქსიზმისაგან ისეთი სრული განდგომაა, რომ კაუცკიმ, უნდა ვაღიაროთ, დიდად გაუსწრო ბერნშტეინს.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი არის ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი პროლეტარული სახელმწიფოს, ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარული დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხი. თითქოს, ეს დღესავით ნათელია? მაგრამ კაუცკი, თითქოს ის იყოს გიმნაზიის რომელიღაც მასწავლებელი, ისტორიის სახელმძღვანელოთა გაზეპირებით გამოჩერჩეტებული, ჯიუტად ზურგს აქცევს XX საუკუნეს, პირს იბრუნებს XVIII საუკუნისაკენ, და მეასეჯერ, საშინლად თავმომაბეზრებლად, მთელ რიგ პარაგრაფებში, ღეჭავს და ცოხნის ძველმანს აბსოლუტიზმისა და შუასაუკუნეობრივობისადმი ბურჟუაზიული დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ!

ჭეშმარიტად, თითქოს სიზმარში ხრალს ღეჭავს!

ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სრულიად ვერ გაიგო, თუ რა რისთვის არის საჭირო. ხომ მარტო ღიმილს იწვევს კაუცკის ჭაპანწყვეტა, საქმე ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომლებიც ქადაგებენ «დემოკრატიისადმი ზიზღს» (გვ. 11) და მისთანებს. ასეთი რამის მოჩმახვით უხდება კაუცკის საკითხის მიჩქმალვა და დაბნელება, ვინაიდან ის საკითხს აყენებს ლიბერალურად, საერთოდ დემოკრატიის და არა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის შესახებ, ის ამ ზუსტ, კლასობრივ ცნებასაც კი გაურბის და ცდილობს «წინასოციალისტური» დემოკრატიის შესახებ ილაპარაკოს.

ბროშურის თითქმის ერთი მესამედი, 20 გვერდი 63 გვერდიდან, ჩვენმა წყლისმნაყველმა მოანდომა ისეთ ლაყბობას, რომელიც ძალიან სასიამოვნოა ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან უდრის ბურჟუაზიული დემოკრატიის შელამაზებას და ჩქმალავს პროლეტარული რევოლუციის საკითხს.

მაგრამ კაუცკის ბროშურის სათაური ხომ მაინც «პროლეტარიატის დიქტატურა» არის. მარქსის მოძღვრების ა რ ს ი რომ სწორედ ეს არის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. და კაუცკი, თემას ამცდარი მთელი ლაყბობის შემდეგ, ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ო მოეყვანა მარქსის სიტყვები პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

თუ რ ო გ ო რ მოიმოქმედა ეს «მარქსისტმა» კაუცკიმ, ეს ნამდვილი კომედიაა! მოუსმინეთ:

«კარლ მარქსის ერთ სიტყვაზეა დამყარებული ეს შეხედულებაო» (რომელსაც კაუცკი დემოკრატიისადმი ზიზღად აცხადებს) — სიტყვასიტყვით ასეა ნათქვამი მე-20 გვერდზე. ხოლო 60-ე გვერდზე ეს ისეთი ფორმითაც კია განმეორებული, რომ (ბოლშევიკებმა) «დროზე გაიხსენეს პაწია სიტყვა» (სიტყვასიტყვით ასეა!! des Wörtchens) «პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც მარქსმა ერთხელ 1875 წელს იხმარა წერილშიო».

აი მარქსის ეს «პაწია სიტყვა»:

«კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის ძევს პერიოდი რევოლუციური გარდაქმნისა ერთისა მეორედ. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, და ამ პერიოდის სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა» [86].

ჯერ ერთი, «ერთი სიტყვა» ან «პაწია სიტყვაც» კი რომ უწოდო მარქსის ამ ცნობილ მსჯელობას, რომელიც აჯამებს მთელ მის რევოლუციურ მოძღვრებას, — ეს ნიშნავს მარქსიზმის აბუჩად აგდებას, ნიშნავს მასზე სავსებით ხელისაღებას. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ კაუცკიმ თითქმის

ზეპირად იცის მარქსი, რომ, როგორც კაუცკის ყველა ნაწერიდან ჩანს, მის საწერ მაგიდაში ან თავში მოთავსებულია მთელი რიგი ხის პატარა ყუთები, სადაც ყველაფერი, რაც კი მარქსს დაუწერია, განლაგებულია უაღრესად აკურატულად და ციტირებისათვის ძალიან მარჯვედ. კაუცკიმ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ი ც ო დ ე ს, რომ მარქსი და ენგელსი წერილებშიც და ნაბეჭდ ნაწარმოებებშიც მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს ლაპარაკობდნენ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, კომუნამდეც და განსაკუთრებით კომუნის შემდეგ. კაუცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ფორმულა «პროლეტარიატის დიქტატურა» არის მხოლოდ უფრო ისტორიულად კონკრეტული და მეცნიერულად ზუსტი გადმოცემა პროლეტარიატის ამოცანისა — «დაამსხვრიოს» ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა, რომლის (ამოცანის) შესახებაც მარქსიც და ენგელსიც, ითვალისწინებენ რა 1848 წლის რევოლუციისა და კიდევ უფრო 1871 წლის რევოლუციის გამოცდილებას, ლაპარაკობენ 1852 წლიდან 1891 წლამდე, ო რ მ ო ც ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი.

რით უნდა აიხსნას მარქსიზმის ეს საოცარი დამახინჯება მარქსიზმის მედავითნის კაუცკის მიერ? ამ მოვლენის ფილოსოფიურ საფუძვლებზე თუ ვილაპარაკებთ, ეს არის დიალექტიკის შეცვლა ეკლექტიზმით და სოფისტიკით. კაუცკი ასეთი შეცვლის დიდი ოსტატია. თუ პრაქტიკულ-პოლიტიკურად ვილაპარაკებთ, ეს არის ლაქიობა ოპორტუნისტების წინაშე, ე. ი. ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიის წინაშე. ომის დასაწყისიდანვე კაუცკი სულ უფრო და უფრო სწრაფად იწაფებოდა და მივიდა ვირტუოზობამდე ამ ხელოვნებაში — სიტყვიერად მარქსისტი იყოს, ნამდვილად კი ბურჟუაზიის ლაქია.

კიდევ უფრო რწმუნდები ამაში, როდესაც განიხილავ, თუ რა ჩინებულად «განმარტა» კაუცკიმ მარქსის «პაწია სიტყვა» პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ყური დაუგდეთ:

«სამწუხაროდ, მარქსს დაავიწყდა უფრო დაწვრილებით მიეთითებინა, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი ეს დიქტატურა»... (ეს რენეგატის თავიდან ბოლომდე ყალბი ფრაზაა, ვინაიდან მარქსმა და ენგელსმა

სწორედ რომ მთელი რიგი უაღრესად დაწვრილებითი მითითებანი მოგვცეს, რომლებსაც განზრახ გვერდს უვლის მარქსიზმის მედავითნე კაუცკი)... «პირდაპირი გაგებით სიტყვა დიქტატურა დემოკრატიის მოსპობას ნიშნავს. მაგრამ, ცხადია, პირდაპირი გაგებით აღებული ეს სიტყვა ნიშნავს აგრეთვე ერთძალაუფლებიანობას ერთი ცალკე პირისას, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული. ერთძალაუფლებიანობას, რომელიც იმით განსხვავდება დესპოტიზმისაგან, რომ იგი წარმოიდგინება არა როგორც მუდმივი სახელმწიფო დაწესებულება, არამედ როგორც უკიდურესობის წარმავალი ღონისძიება.

გამოთქმა: «პროლეტარიატის დიქტატურა», მაშასადამე, დიქტატურა არა ერთი პირისა, არამედ ერთი კლასისა, უკვე გამორიცხავს, რომ მარქსს აქ მხედველობაში ჰქონდა დიქტატურა ამ სიტყვის პირდაპირი აზრით.

აქ ის ლაპარაკობდა არა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ი ს შესახებ, არამედ იმ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს შესახებ, რომელიც აუცილებლობით უნდა დამყარდეს ყველგან, იქ, სადაც პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრო. მარქსს რომ აქ მმართველობის ფორმა არ ჰქონია მხედველობაში, ეს უკვე იმითაც მტკიცდება, რომ, მისი შეხედულებით, ინგლისსა და ამერიკაში გადასვლა შეიძლება მშვიდობიანად, მაშასადამე, დემოკრატიული გზით განხორციელდესო» (გვ. 20).

მთელი ეს მსჯელობა ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ მთლიანად, რათა მკითხველს შეეძლოს ნათლად დაინახოს, თუ რა ხერხებს მიმართავს «თეორეტიკოსი» კაუცკი.

კაუცკიმ ისურვა იმგვარად მიდგომოდა საკითხს, **რომ** ს ი ტ ყ ვ ა «დიქტატურის» განსაზღვრით დაეწყო.

ძალიან კარგი. ყველას წმიდათა წმინდა უფლებაა ისე მიუდგეს საკითხს, როგორც ეს სურს. ოღონდ საჭიროა განვასხვაოთ საკითხისადმი სერიოზული და კეთილსინდისიერი მიდგომა არაკეთილსინდისიერი მიდგომისგან. ვინც მოიწადინებდა სერიოზულად მოპყრობოდა საქმეს საკითხისადმი მიდგომის ამა თუ იმ წესის დროს, იმას «სიტყვის» ს ა კ უ თ ა რ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა უნდა მოეცა. მაშინ საკითხი ნათლად და პირდაპირ იქნებოდა დასმული. კაუცკი ასე არ იქცევა. «პირდაპირი გაგებით, — წერს ის, — სიტყვა დიქტატურა დემოკრატიის მოსპობას ნიშნავს».

ჯერ ერთი, ეს განსაზღვრა არ არის. თუ კაუცკის ნებავს გვერდი აუაროს დიქტატურის ცნების განსაზღვრას, მაშინ რა საჭირო იყო საკითხისადმი ამგვარი მიდგომის არჩევა?

მეორეც, ეს აშკარად მცდარია. ლიბერალისათვის ბუნებრივია ილაპარაკოს «დემოკრატიაზე» საერთოდ. მარქსისტი კი არასოდეს არ დაივიწყებს დასვას საკითხი: «რომელი კლასისათვის?». მაგალითად, ყველამ იცის, — და «ისტორიკოსმა» კაუცკიმაც იცის ეს, — რომ ძველად მონების აჯანყებანი ან ძლიერი მღელვარებანიც კი ერთბაშად ააშკარავებდნენ ანტიკური სახელმწიფოს, როგორც მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ თ ა დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს, არსს. სპობდა თუ არა ეს დიქტატურა დემოკრატიას მონათმფლობელთა შ ო რ ი ს, მ ა თ თ ვ ი ს? ყველამ იცის, რომ არა.

«მარქსისტმა» კაუცკიმ გასაოცარი სისულელე და სიყალბე თქვა, ვინაიდან მას «დ ა ა ვ ი წ ყ დ ა» კლასობრივი ბრძოლა...

კაუცკის ლიბერალური და ყალბი მტკიცება მარქსისტული და ჭეშმარიტი რომ გავხადოთ, უნდა ვთქვათ: დიქტატურა აუცილებლად როდი ნიშნავს დემოკრატიის მოსპობას იმ კლასისათვის, რომელიც ამ დიქტატურას ახორციელებს სხვა კლასების მიმართ, მაგრამ იგი აუცილებლად ნიშნავს დემოკრატიის მოსპობას (ან ფრიად არსებით შეზღუდვას, რაც აგრეთვე მოსპობის ერთ-ერთი სახეა) იმ კლასისათვის, რომლის მიმართ ან რომლის წინააღმდეგ დიქტატურა ხორციელდება.

მაგრამ რაც უნდა ჭეშმარიტი იყოს ეს მტკიცება, იგი დიქტატურის განსაზღვრას მაინც არ იძლევა.

განვიხილოთ კაუცკის შემდეგი ფრაზა:

...«მაგრამ, ცხადია, პირდაპირი გაგებით აღებული ეს სიტყვა ნიშნავს აგრეთვე ერთძალაუფლებიანობას ერთი ცალკე პირისას, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული»...

ბრმა ლეკვის მსგავსად, რომელიც შემთხვევით ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ჩაკრავს ხოლმე ცხვირს, კაუცკიც უცაბედად წააწყდა აქ ე რ თ სწორ აზრს (სახელდობრ, რომ დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული), მაგრამ დიქტატურის განსაზღვრა

მან მაინც ვერ მოგვცა, თანაც თქვა აშკარა ისტორიული სიყალბე, თითქოს დიქტატურა ერთი პირის ძალაუფლებას ნიშნავდეს. ეს გრამატიკულადაც არ არის სწორი, ვინაიდან დიქტატორობა შეუძლია პირთა ჯგუფსაც, ოლიგარხიასაც, ერთ კლასსაც, და ა. შ.

შემდეგ კაუცკი მიუთითებს დიქტატურის განსხვავებაზე დესპოტიზმისაგან, მაგრამ, თუმცა მისი მითითება აშკარად მცდარია, ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით, ვინაიდან ეს სრულიადაც არ ეხება იმ საკითხს, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. ცნობილია კაუცკის მიდრეკილება — პირი იბრუნოს XX საუკუნიდან XVIII საუკუნისაკენ, ხოლო XVIII საუკუნიდან ანტიკური წარსულისაკენ, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, მოიპოვებს რა დიქტატურას, გერმანელი პროლეტარიატი გაითვალისწინებს ამ მიდრეკილებას და დასვამს კაუცკის, ვთქვათ, გიმნაზიაში ძველი ისტორიის მასწავლებლად. დესპოტიზმზე ყბედობის საშუალებით პროლეტარიატის დიქტატურის განსაზღვრისაგან თავის დაძვრენა ან უკიდურესი სისულელეა, ან ფრიად ტლანქი თაღლითობა.

შედეგად ჩვენ იმას ვიღებთ, რომ კაუცკიმ, დაიწყო რა დიქტატურაზე ლაპარაკი, მრავალი აშკარა სიყალბე თქვა, მაგრამ ვერავითარი განსაზღვრა ვერ მოგვცა! რაკი მას არ ჰქონდა თავისი გონებრივი ნიჭის იმედი, შეეძლო მიემართნა თავისი მეხსიერებისათვის და «უჯრედებიდან» გადმოელაგებინა ყველა შემთხვევა, როდესაც მარქსი დიქტატურის შესახებ ლაპარაკობს. ის, ალბათ, მიიღებდა ან ქვემოთ მოყვანილ განსაზღვრას, ან ისეთ განსაზღვრას, რომელიც არსებითად ემთხვევა მას:

დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ძალდატანებას ეყრდნობა და არავითარი კანონით არ არის შეზღუდული.

პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც მოპოვებულია და დაცულია პროლეტარიატის ძალდატანებით ბურჟუაზიაზე, ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული.

და აი საჭირო ხდება «ომით მოიპოვო» ფრიად განსწავლულ ბატონ კაუცკისაგან ეს უბრალო ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება, რომელიც დღესავით ნათელია ყოველი შეგნებული მუშისათვის (მასის წარმომადგენლისათვის და არა კაპიტალისტთა მიერ მოსყიდული ისეთი მეშჩანური არამზადების ზედაფენის წარმომადგენლისათვის, როგორნიც არიან ყველა ქვეყნის სოციალ-იმპერიალისტები), ეს თავიანთი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ექსპლოატირებულთა ყოველი წარმომადგენლისათვის აშკარა, ეს ყოველი მარქსისტისათვის უდავო ჭეშმარიტება! რით აიხსნება ეს? იმ ლაქიური სულისკვეთებით, რითაც გაჟღენთილი არიან II ინტერნაციონალის ბელადები, რომლებიც საზიზღარ სიკოფანტებად გადაქცეულან ბურჟუაზიის სამსახურში.

კაუცკიმ ჯერ თაღლითობა ჩაიდინა, როდესაც აშკარა სისულელე თქვა, თითქოს სიტყვა დიქტატურის პირდაპირი აზრი ერთპიროვნულ დიქტატორს ნიშნავდეს, შემდეგ კი ის — ამ თაღლითობის საფუძველზე — აცხადებს, რომ მარქსისათვის, «მაშასადამე», სიტყვებს კლასის დიქტატურის შესახებ აქვთ ა რ ა პირდაპირი აზრი (არამედ ისეთი აზრი, რომლის დროსაც დიქტატურა ნიშნავს არა რევოლუციურ ძალდატანებას, არამედ უმრავლესობის «მშვიდობიან» დაპყრობას ბურჟუაზიული, — ეს დაიმახსოვრეთ, — «დემოკრატიის» დროსო).

თურმე, საჭიროა განვასხვაოთ «მმართველობის ფორმა» «მდგომარეობისაგან». საოცრად ღრმაზროვანი განსხვავებაა, სავსებით იმგვარი, ჩვენ რომ განვასხვავებდეთ იმ ადამიანის სისულელის «მდგომარეობას», რომელიც უგუნურად მსჯელობს, მის სისულელეთა «ფორმისაგან».

კაუცკის ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა განმარტოს დიქტატურა, როგორც «ბატონობის მდგომარეობა» (ეს გამოთქმა სიტყვასიტყვით ნახმარი აქვს მას შემდეგსავე, 21-ე, გვერდზე), ვინაიდან მაშინ ქ რ ე ბ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა, ქრება ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა.

«ბატონობის მდგომარეობა» ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც არის ხოლმე ყოველი უმრავლესობა... «დემოკრატიის» დროს! ასეთი თაღლითური ოინბაზობით რევოლუცია უმტკივნეულოდ ქრება!

მაგრამ ეს თაღლითობა მეტისმეტად უხეშია, და კაუცკის იგი ვერ იხსნის. დიქტატურა რომ რენეგატებისათვის არასასიამოვნო «მდგომარეობას», — ერთი კლასის მეორე კლასზე რევოლუციური ძალდატანების «მდგომარეობას» გულისხმობს და ნიშნავს, ამ «შუბს ხალთაში ვერ დამალავ». ნათლად აშკარავდება «მდგომარეობის» და «მმართველობის ფორმის» ერთმანეთისაგან განსხვავების უაზრობა. აქ მმართველობის ფორმაზე ლაპარაკი სამკეცი სისულელეა, ვინაიდან ყოველმა ბავშვმა იცის, რომ მონარქია და რესპუბლიკა მმართველობის სხვადასხვა ფორმებია. ბატონ კაუცკის უნდა უმტკიცო, რომ მმართველობის ორივე ეს ფორმა, ისევე როგორც ყველა გარდამავალი «ფორმა მმართველობისა» კაპიტალიზმის დროს, მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს, ე. ი. ბურჟუაზიის დიქტატურის ნაირსახეობაა.

ბოლოს, მმართველობის ფორმებზე ლაპარაკი არათუ სულელური, არამედ ტლანქი ფალსიფიკაციაცაა მარქსისა, რომელიც ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს აქ სახელმწიფოს ფორმაზე ანუ ტიპზე და არა მმართველობის ფორმაზე.

პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია ისე, თუ ძალდატანებით არ დაამსხვრიე ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და არ შეცვალე იგი ახალი მანქანით, რომელიც, ენგელსის თქმით, «უკვე აღარ წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთარი აზრით» [87].

კაუცკის უნდა ყოველივე ეს მიჩქმალოს და გააყალბოს — ამას მოითხოვს მისი რენეგატული პოზიცია.

ერთი შეხედეთ, თუ რა საცოდავ ხრიკებს მიმართავს ის.

ხრიკი პირველი. ...«მარქსს რომ აქ მმართველობის ფორმა არა ჰქონია მხედველობაში, იმით მტკიცდება, რომ მას

ინგლისსა და ამერიკაში შესაძლებლად მიაჩნდა მშვიდობიანი გადატრიალება, ე. ი. დემოკრატიული გზით»...

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ა აქ სრულიად არაფერ შუაშია, ვინაიდან არსებობენ მონარქიები, რომლებიც ტიპიურნი არ არიან ბურჟუაზიული ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ვ ი ს, მაგალითად, ისეთები, სადაც არ არის სამხედრო ხროვა, და არსებობენ რესპუბლიკები, რომლებიც ამ მხრივ სავსებით ტიპიურნი არიან, მაგალითად, ისეთები, სადაც არის სამხედრო ხროვა და ბიუროკრატია. ეს საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული და პოლიტიკური ფაქტია, და კაუცკი ვერ მოახერხებს მის გაყალბებას.

კაუცკის რომ მოესურვებინა სერიოზულად და კეთილსინდისიერად ემსჯელნა, ის თავის თავს შეეკითხებოდა: არსებობს თუ არა ისეთი ისტორიული კანონები რევოლუციის შესახებ, რომლებსაც გამონაკლისი არ ჰქონდეთ? პასუხი იქნებოდა: არა, ასეთი კანონები არ არსებობს. ასეთ კანონებს მხედველობაში აქვთ მხოლოდ ტიპიური, ის, რასაც მარქსმა ერთხელ «იდეალური» უწოდა საშუალო, ნორმალური, ტიპიური კაპიტალიზმის აზრით.

შემდეგ. არსებობდა თუ არა 70-იან წლებში ისეთი რამ, რაც ინგლისსა და ამერიკას გამონაკლისად ხდიდა ა მ მ ხ რ ი ვ? ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს მეცნიერების მოთხოვნებს ისტორიული საკითხების დარგში, ცხადია, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას. თუ ამ საკითხს არ დასვამთ, ეს ნიშნავს მეცნიერების გაყალბებას, ნიშნავს სოფიზმებით თამაშს. ხოლო თუ ამ საკითხს დასვამთ, არ შეიძლება პასუხში დაეჭვდეთ: პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა არის ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ა ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ამ ძალდატანების აუცილებლობას კი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ იწვევს, როგორც ეს მარქსსა და ენგელსს ფრიად დაწვრილებით და მრავალჯერ აუხსნიათ (მეტადრე შრომაში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» და მის წინასიტყვაობაში), ის, რომ არსებობს ს ა მ ხ ე დ რ ო ხ რ ო ვ ა და ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ა. სწორედ ეს ინსტიტუტები **არ**

ყოფილა სწორედ ინგლისსა და ამერიკაში, სწორედ XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც მარქსი თავის შენიშვნას აკეთებდა! (ახლა კი ისინი არსებობენ ინგლისშიც და ამერიკაშიც).

კაუცკის პირდაპირ ყოველ ნაბიჯზე უხდება თაღლითობა, რომ თავისი რენეგატობა დაფაროს!

და ყურადღება მიაქციეთ, როგორ უცაბედად გამოაჩინა მან აქ თავისი ვირის ყურები: მან დაწერა: «მშვიდობიანად, ე. ი. დემოკრატიული გზით»!!

დიქტატურის განსაზღვრის დროს კაუცკი ყოველნაირად ცდილობდა მკითხველისათვის დაემალა ამ ცნების ძირითადი ნიშანი, სახელდობრ: რევოლუციური ძალდატანება. ახლა კი სიმართლემ თავი გამოჰყო: ლაპარაკია მშვიდობიან და ძალდატანებით გადატრიალებათა დაპირისპირების შესახებ.

აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული. ყოველგვარი ხრიკები, სოფიზმები, თაღლითური ფალსიფიკაცია კაუცკის სწორედ იმისათვის ესაჭიროება, რომ თავი აარიდოს ძალდატანებითს რევოლუციას, რომ დაფაროს თავისი განდგომა მისგან, თავისი გადასვლა ლიბერალური მუშური პოლიტიკის მხარეზე, ე. ი. ბურჟუაზიის მხარეზე. აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული.

«ისტორიკოსი» კაუცკი ისე ურცხვად აყალბებს ისტორიას, რომ მას «ავიწყდება» ძირითადი: წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი — ხოლო მისი მწვერვალი კი სწორედ XIX საუკუნის 70-იანი წლები იყო — თავისი ძირითადი ეკონომიური თვისებების გამო, რომლებიც ინგლისსა და ამერიკაში განსაკუთრებით ტიპიურად გამოვლინდა, ხასიათდებოდა შედარებით ყველაზე მეტი მშვიდობისმოყვარეობით და თავისუფლებისმოყვარეობით. ხოლო იმპერიალიზმი, ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ XX საუკუნეში მომწიფდა, თავისი ძირითადი ეკონომიური თვისებების მიხედვით, ხასიათდება ყველაზე ნაკლები შშვიდობისმოყვარეობით და თავისუფლებისმოყვარეობით,

სამხედრო ხროვის ყველაზე მეტად და ყველგან გაძლიერებით. ამის «არშემჩნევა», როცა მსჯელობ იმაზე, თუ რამდენად ტიპიურია ან შესაძლებელია მშვიდობიანი თუ ძალდატანებითი გადატრიალება, ნიშნავს ბურჟუაზიის ყოვლად ჩვეულებრივ ლაქიად გადაქცევას.

ხრიკი მეორე. პარიზის კომუნა პროლეტარიატის დიქტატურა იყო, იგი კი არჩეული იყო ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო კენჭისყრით, ე. ი. ბურჟუაზიისათვის მისი საარჩევნო უფლებების ჩამოურთმევლად, ე. ი. «დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ა დ». და კაუცკი ზეიმობს: ...«პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისათვის» (ანუ: მარქსის მიხედვით) «იყო ისეთი მდგომარეობა, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს წმინდა დემოკრატიისაგან, თუ პროლეტარიატი უმრავლესობას შეადგენს» (bei überwiegendem Proletariat, S. 21).

კაუცკის ეს საბუთი იმდენად სასაცილოა, რომ, ჭეშმარიტად, ნამდვილ embarras des richesses (სიძნელეს... საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვის გამო) განიცდი. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ ბურჟუაზიის ნაღები, შტაბი, ზედაფენები პარიზიდან ვერსალს გაიქცნენ. ვერსალში იყო «სოციალისტი» ლუი ბლანი, რაც, სხვათა შორის, ცხადყოფს კაუცკის იმ მტკიცების სიყალბეს, თითქოს კომუნაში სოციალიზმის «ყველა მიმართულება» მონაწილეობდა. განა სასაცილო არ არის «წმინდა დემოკრატიად» და «საყოველთაო კენჭისყრად» დასახო პარიზის მცხოვრებთა ორ მეომარ ბანაკად დაყოფა, რომელთაგანაც ერთმა თავი მოუყარა მთელ მებრძოლ, პოლიტიკურად აქტიურ ბურჟუაზიას?

მეორე, კომუნა ვერსალს ებრძოდა, როგორც ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს მუშათა მთავრობა ბურჟუაზიულ მთავრობას. რაღა შუაშია აქ «წმინდა დემოკრატია» და «საყოველთაო კენჭისყრა», როდესაც პარიზი წყვეტდა საფრანგეთის ბედს? როდესაც მარქსი ფიქრობდა, რომ კომუნამ შეცდომა ჩაიდინა, არ დაეუფლა რა ბანკს, რომელიც მთელ საფრანგეთს ეკუთვნოდა[88], განა მარქსი «წმინდა დემოკრატიის» პრინციპებიდან და პრაქტიკიდან არ გამოდიოდა??

მართლაცდა, ჩანს, რომ კაუცკი ისეთ ქვეყანაში წერს, სადაც პოლიცია ხალხს უკრძალავს «გროვად» სიცილს, თორემ კაუცკი სიცილით იქნებოდა მოკლული.

მესამე. ნებას მივცემ თავს მოკრძალებით მოვაგონო მარქსისა და ენგელსის ზეპირად მცოდნე ბატონ კაუცკის ენგელსის მიერ კომუნის შემდეგი შეფასება... «წმინდა დემოკრატიის» თვალსაზრისით:

«უნახავთ კი როდისმე ამ ვაჟბატონებს» (ანტიავტორიტარისტებს) «რევოლუცია? უეჭველია, რომ რევოლუცია ყოველ შესაძლებელ ავტორიტარულზე უფრო ავტორიტარულია. რევოლუცია ისეთი აქტია, რომლის დროსაც მოსახლეობის ერთი ნაწილი თოფებით, ხიშტებით, ზარბაზნებით, ე. ი. უაღრესად ავტორიტარული საშუალებებით ახვევს თავს მოსახლეობის მეორე ნაწილს თავის ნებას. და გამარჯვებული პარტია აუცილებლობის გამო იძულებული ხდება შეინარჩუნოს თავისი ბატონობა იმ შიშის მეოხებით, რომელსაც მისი იარაღი უნერგავს რეაქციონერებს. პარიზის კომუნა განა ერთ დღეზე მეტს გასძლებდა, იგი რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დაყრდნობილი? განა ჩვენ, პირიქით, მართალი არ ვიქნებით, თუ იმას ვუსაყვედურებთ კომუნას, რომ იგი ამ ავტორიტეტს ძალიან ნაკლებად იყენებდა?» [89].

აი ესეც თქვენი «წმინდა დემოკრატია»! როგორ სასაცილოდ აიგდებდა ენგელსი იმ უხამს მეშჩანს, «სოციალ-დემოკრატს» (ფრანგული გაგებით — 40-იანი წლებისას და საერთოევროპული გაგებით — 1914 — 1918 წლებისას), რომელიც მოისურვებდა საერთოდ ლაპარაკს «წმინდა დემოკრატიაზე» კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში!

მაგრამ კმარა. შეუძლებელია სათითაოდ ჩამოითვალოს ყველა ის სისულელე, რასაც კაუცკი ლაპარაკობს, ვინაიდან ყოველ მის ფრაზაში რენეგატობის უძირო უფსკრულია.

მარქსმა და ენგელსმა უაღრესად დაწვრილებით გაუკეთეს ანალიზი პარიზის კომუნას და დაგვანახვეს, რომ მისი დამსახურება იყო ცდა — დ ა ე მ ტ ვ რ ი ა, დ ა ე მ ს ხ ვ რ ი ა

«მზამზარეული სახელმწიფო მანქანა». მარქსსა და ენგელსს ეს დასკვნა იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ 1872 წელს **მხოლოდ** ეს შესწორება შეიტანეს «კომუნისტური მანიფესტის» «მოძველებულ» (ნაწილობრივად «მოძველებულ») პროგრამაში [90]. მარქსმა და ენგელსმა ცხადყვეს, რომ კომუნა სპობდა არმიასა და მოხელეობას, სპობდა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ს, ანგრევდა «პარაზიტულ ხორცმეტს — **სახელმწიფოს**» და ა. შ., ხოლო ჭკუის კოლოფ კაუცკის საღამური ჩაჩი ჩამოუფხატნია თავზე და იმეორებს იმას, რაც ათასჯერ უთქვამთ ლიბერალურ პროფესორებს, — ზღაპრებს «წმინდა დემოკრატიაზე».

ტყუილად კი არ თქვა როზა ლუქსემბურგმა 1914 წლის 4 აგვისტოს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ახლა ა ყ რ ო ლ ე ბ უ ლ ი ლ ე შ ი ა ო.

ხრიკი მესამე. «თუ ჩვენ დიქტატურაზე ვლაპარაკობთ, როგორც მმართველობის ფორმაზე, ჩვენ არ შეგვიძლია კლასის დიქტატურაზე ვილაპარაკოთ. ვინაიდან კლასს, როგორც ჩვენ უკვე შევნიშნეთ, მხოლოდ ბატონობა შეუძლია, მაგრამ არა მართვა»... მართავენ კი «ორგანიზაციები» ან «პარტიებიო».

ურევთ, უღმერთოდ ურევთ, ბატონო «არევ-დარევის ოსტატო»! დიქტატურა «მმართველობის ფორმა» არ არის, ეს სასაცილო უაზრობაა. და მარქსი ლაპარაკობს არა «მმართველობის ფორმაზე», არამედ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ფორმაზე ანუ ტიპზე. ეს სრულიადაც, სრულიადაც არ არის ერთი **და** იგივე. სრულიად არ არის სწორი აგრეთვე, რომ კ ლ ა ს ს არ შეუძლია მართოს: ასეთი სისულელე შეეძლო ეთქვა მხოლოდ «პარლამენტურ კრეტინს», რომელიც ვერაფერს ხედავს, გარდა ბურჟუაზიული პარლამენტისა, ვერაფერს ამჩნევს, გარდა «მმართველი პარტიებისა». ევროპის რომელიც გინდათ ქვეყანა დაანახვებს კაუცკის იმის მაგალითებს, თუ როგორ მართავს მას გაბატონებული კ ლ ა ს ი, მაგალითად, მემამულეები შუა საუკუნეებში, მიუხედავად მათი არასაკმაო ორგანიზებულობისა.

დასკვნა: კაუცკიმ უაღრესად, გაუგონრად დაამახინჯა პროლეტარიატის დიქტატურის ცნება, გადააქცია რა მარქსი ჩვეულებრივ ლიბერალად, ე. ი. თვითონ ჩამოქვეითდა ლიბერალის დონემდე, რომელიც როშავს გაცვეთილ ფრაზებს «წმინდა დემოკრატიაზე», ალამაზებს და ჩქმალავს ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივ შინაარსს, ყველაზე მეტად გაურბის რევოლუციურ ძალდატანებას ჩაგრული კლასის მხრივ. როდესაც კაუცკიმ იმგვარად «განმარტა» «პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის» ცნება, რომ გაქრა რევოლუციური ძალდატანება ჩაგრული კლასის მხრივ მჩაგვრელთა მიმართ, მარქსის ლიბერალური დამახინჯების საქმეში დამყარებულ იქნა მსოფლიო რეკორდი. რენეგატი ბერნშტეინი ლეკვი აღმოჩნდა რენეგატ კაუცკისთან შედარებით.

ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია

საკითხი, რომელიც კაუცკიმ უღმერთოდ არივ-დარია, ნამდვილად ასეთი სახით წარმოგვიდგება.

თუ აბუჩად არ ავიგდებთ საღ გონებას და ისტორიას, ცხადია, რომ შეუძლებელია ლაპარაკი «წმინდა დემოკრატიაზე», ვიდრე სხვადასხვა კლასი არსებობს, არამედ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ კლასობრივ დემოკრატიაზე. (ფრჩხილებში ვიტყვით, რომ «წმინდა დემოკრატია» არამცთუ უმეცრული ფრაზაა, რომელიც ააშკარავებს როგორც კლასთა ბრძოლის, ისე სახელმწიფოს არსის გაუგებლობას, არამედ სამკეცად ცარიელი ფრაზაცაა, ვინაიდან კომუნისტურ საზოგადოებაში დემოკრატია, გარდაიქმნება და გადაიქცევა რა ჩვეულებად, თანდათან მოკვდება, მაგრამ არასოდეს არ იქნება «წმინდა» დემოკრატია).

«წმინდა დემოკრატია» ყალბი ფრაზაა ლიბერალისა, რომელიც მუშებს აბრიყვებს. ისტორია იცნობს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელიც ცვლის ფეოდალიზმს, და პროლეტარულ დემოკრატიას, რომელიც ცვლის ბურჟუაზიულ დემოკრატიას.

თუ კაუცკი თითქმის ათეულ ფურცლებს ანდომებს იმ ჭეშმარიტების «დამტკიცებას», რომ ბურჟუაზიული დემოკრატია პროგრესულია შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით და რომ იგი აუცილებლად უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავის ბრძოლაშიო, ეს სწორედ ლიბერალური ლაყბობაა, რომელიც მუშებს აბრიყვებს. არათუ განათლებულ გერმანიაში, არამედ გაუნათლებელ რუსეთშიც კი ეს ტრუიზმია. კაუცკი პირდაპირ «მეცნიერულ» მტვერს აყრის მუშებს თვალში, როდესაც მედიდური გამომეტყველებით მოგვითხრობს ვეიტლინგზეც, პარაგვაელ იეზუიტებზეც და ბევრ სხვა რამეზე, რ ა თ ა გ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ო ს თანამედროვე, ე. ი. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი, დემოკრატიის **ბურჟუაზიულ** არსს.

კაუცკი მარქსიზმიდან იმას იღებს, რაც მისაღებია ლიბერალებისათვის, ბურჟუაზიისათვის (შუასაუკუნეობრიობის კრიტიკა, საერთოდ კაპიტალიზმისა და კერძოდ კაპიტალისტური დემოკრატიის პროგრესული ისტორიული როლი), ხოლო შლის, დუმილით გვერდს უვლის, ჩქმალავს მარქსიზმში იმას, რაც მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი ა ბურჟუაზიისათვის (**პროლეტარიატის** რევოლუციური ძალდატანება ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის მოსასპობად). აი რატომ არის კაუცკი გარდუვალად, თავისი ობიექტური მდგომარეობის გამო და როგორიც უნდა იყოს მისი სუბიექტური რწმენა, ბურჟუაზიის ლაქია.

ბურჟუაზიული დემოკრატია, წარმოადგენს რა დიდ ისტორიულ პროგრესს შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით, ყოველთვის რჩება — და კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება არ რჩებოდეს — ვიწრო, შეკვეცილ, ყალბ, თვალთმაქცურ დემოკრატიად, სამოთხედ მდიდრებისათვის, მახედ და მატყუარობად ექსპლოატირებულთათვის, ღარიბთათვის. აი ეს ჭეშმარიტება, რომელიც მარქსისტული მოძღვრების ფრიად არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ვერ გაუგია «მარქსისტ» **კაუცკის**. აი ამ — ძირითად — საკითხში კაუცკი გვთავაზობს ბურჟუაზიისათვის სასიამოვნო რამეებს, ნაცვლად

იმ პირობების მეცნიერული კრიტიკისა, რომლებიც ყოველ-გვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიას მდიდრების დემოკრატიად ხდიან.

უწინარეს ყოვლისა მოვაგონებთ ფრიად განსწავლულ ბატონ კაუცკის მარქსისა და ენგელსის იმ თეორიულ განცხადებებს, რომლებიც ჩვენმა მედავითნემ სამარცხვინოდ «დაივიწყა» (ბურჟუაზიის საამებლად), შემდეგ კი რაც შეიძლება უფრო პოპულარულად განვმარტავთ საქმეს.

არა მარტო ძველი და ფეოდალური, არამედ თვით «თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფო არის კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის იარაღი» (ენგელსი თავის თხზულებაში სახელმწიფოს შესახებ) [91]. «რადგანაც სახელმწიფო მხოლოდ წარმავალი დაწესებულებაა, რომლითაც უხდებათ სარგებლობა ბრძოლაში, რევოლუციაში, რათა ძალდატანებით დათრგუნონ თავიანთი მოწინააღმდეგენი, ამიტომ თავისუფალ სახალხო სახელმწიფოზე ლაპარაკი სრული უაზრობაა: ვიდრე პროლეტარიატს ჯერ კიდევ ესაჭიროება სახელმწიფო, მას იგი ესაჭიროება არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის, ხოლო როდესაც შესაძლებელი გახდება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, აღარ იარსებებს» (ენგელსის წერილი ბებელისადმი, 23.III.1875). «სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მანქანა, რომლითაც ერთი კლასი მეორეს თრგუნავს, და დემოკრატიულ რესპუბლიკაში სრულიადაც არა ნაკლებად, ვიდრე მონარქიაში» (ენგელსი. მარქსის «სამოქალაქო ომის» წინასიტყვაობა) [92]. საყოველთაო საარჩევნო უფლება «მუშათა კლასის სიმწიფის მაჩვენებელია. მეტის მოცემა მას არ შეუძლია და იგი მეტს ვერასოდეს ვერ მოგვცემს ახლანდელ სახელმწიფოში» (ენგელსი თავის თხზულებაში სახელმწიფოს შესახებ [93]. ბატონი კაუცკი მეტისმეტად მოსაწყენად ღეჭავს ამ დებულების პირველ ნაწილს, რომელიც მისაღებია ბურჟუაზიისათვის. მეორე ნაწილს კი, რომელსაც ჩვენ ხაზი გავუსვით

და რომელიც მიუღებელია ბურჟუაზიისათვის, რენეგატი კაუცკი დუმილით გვერდს უვლის!). «კომუნა უნდა იყოს არა პარლამენტური, არამედ მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონმდებელიცა და კანონების შემსრულებელიც... ნაცვლად იმისა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებით ყოველი სამი თუ ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ გადაწყვეტილიყო, თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დათრგუნოს **(ver- und zertreten)** ხალხი პარლამენტში, ამის ნაცვლად მას სამსახური უნდა გაეწია კომუნებად დარაზმული ხალხისათვის, რათა მას თავისი საწარმოსათვის გამოეძებნა მუშები, ზედამხედველები, ბუხჰალტრები, ისევე როგორც ინდივიდუალური საარჩევნო უფლება ამავე მიზნით სამსახურს უწევს ყოველ დამქირავებელს» (მარქსი თხზულებაში პარიზის კომუნის შესახებ «სამოქალაქო ომი საფრანგეთში») [94].

თვითეული ამ დებულებათაგანი, რომელსაც ძალიან კარგად იცნობს ფრიად განსწავლული ბატონი კაუცკი, მას სცემს ცხვირ-პირში, ამხელს მთელ მის რენეგატობას. კაუცკის მთელ ბროშურაში ამ ჭეშმარიტებათა გაგების ნატამალიც კი არ მოიპოვება. მისი ბროშურის მთელი შინაარსი მარქსიზმის აბუჩად აგდებაა!

აიღეთ თანამედროვე სახელმწიფოთა ძირითადი კანონები, აიღეთ მათი მმართველობა, აიღეთ კრებების ან ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, აიღეთ «მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე», — და თქვენ ყოველ ნაბიჯზე დაინახავთ ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალთმაქცობას, რომელსაც კარგად იცნობს ყოველი პატიოსანი და შეგნებული მუშა. არ არსებობს არც ერთი, თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც კონსტიტუციებში არ იყოს ხვრელები ან შენიშვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბურჟუაზიისათვის იმის შესაძლებლობას, რომ დაძრას ჯარები მუშების წინააღმდეგ, შემოიღოს სამხედრო წესები და სხვა ამგვარი რამ «წესრიგის დარღვევის შემთხვევაში», — ნამდვილად კი იმ შემთხვევაში, თუ ექსპლოატირებული კლასი «დაარღვევს»

თავის მონურ მდგომარეობას და შეეცდება მოიქცეს არა როგორც მონა. კაუცკი ურცხვად ალამაზებს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, დუმილით გვერდს უვლის, მაგალითად, იმას, თუ რას სჩადიან ყველაზე დემოკრატიული და რესპუბლიკური ბურჟუები ამერიკაში ან შვეიცარიაში გაფიცული მუშების წინააღმდეგ.

დიახ, ბრძენი და განსწავლული კაუცკი ამაზე სდუმს! მას, ამ განსწავლულ პოლიტიკურ მოღვაწეს, არ ესმის, რომ ამაზე დუმილი საზიზღრობაა. ის ამჯობინებს მოუთხროს მუშებს საბავშვო ზღაპრები, როგორიცაა ის, რომ დემოკრატია «უმცირესობის დაცვას» ნიშნავსო. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! 1918 წელს ქრისტეს დაბადებიდან, მსოფლიო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისა და მსოფლიოს ყველა «დემოკრატიაში» ინტერნაციონალისტურ (ე. ი. ისეთთა, რომელთაც სოციალიზმი მუხანათურად არ გაუციათ, როგორც ეს ჩაიდინეს რენოდელებმა და ლონგეებმა, შეიდემანებმა და კაუცკებმა, ჰენდერსონებმა და ვებებმა და სხვ.) უმცირესობათა ჩახრჩობის მეხუთე წელს, ბატონი სწავლული კაუცკი ტკბილი, ტკბილი ხმით ქება-დიდებას ასხამს «უმცირესობის დაცვას». ვისაც სურს, შეუძლია ეს წაიკითხოს კაუცკის ბროშურის მე-15 გვერდზე. ხოლო მე-16 გვერდზე ეს სწავლული... ინდივიდი მოგვითხრობთ თქვენ XVIII საუკუნის ინგლისის ვიგებსა და ტორებზე!

ჰოი, განსწავლულობავ! ჰოი, დახელოვნებულო ლაქიობავ ბურჟუაზიის წინაშე! ჰოი, კაპიტალისტების წინაშე მუცლით ხოხვისა და მათი ჩექმების ლოკვის ცივილიზებულო მანერავ! მე რომ კრუპი, ან შეიდემანი, ან კლემანსო, ან რენოდელი ვყოფილიყავი, მილიონებს მივცემდი ბატონ კაუცკის, დავაჯილდოებდი მას იუდას ამბორით, შევაქებდი მუშების წინაშე, ვურჩევდი «სოციალიზმის ერთიანობას» ესოდენ «პატივცემულ» ადამიანებთან, როგორიც არის კაუცკი. პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბროშურების წერა, XVIII საუკუნის ინგლისის ვიგებისა და ტორების შესახებ ლაპარაკი, იმის მტკიცება, რომ დემოკრატია «უმცირესობის

დაცვას» ნიშნავსო, და ამავე დროს ამერიკის «დემოკრატიულ» რესპუბლიკაში ინტერნაციონალისტთა რბევა-აწიოკებაზე გაჩუმება, — განა ეს ბურჟუაზიისათვის ლაქიური სამსახურის გაწევა არ არის?

განსწავლულ ბატონ კაუცკის «დაავიწყდა» — ალბათ, შემთხვევით დაავიწყდა... — «წვრილმანი», სახელდობრ: რომ უმცირესობის დაცვას ბურჟუაზიული დემოკრატიის გაბატონებული პარტია უზრუნველყოფს მხოლოდ მეორე ბურჟუაზიული პარტიისათვის, პროლეტარიატს კი ყოველ სერიოზულ, ღრმა, ძირითად საკითხში «უმცირესობის დაცვის» ნაცვლად წილად ხვდება სამხედრო წესები ან რბევა-აწიოკება. რაც უფრო განვითარებულია დემოკრატია, მით უფრო ახლოსაა იგი რბევა-აწიოკებასთან ან სამოქალაქო ომთან ყოველი ღრმა, ბურჟუაზიისათვის საშიში, პოლიტიკური უთანხმოების დროს. განსწავლულ ბატონ კაუცკის შეეძლო ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს «კანონი» დაენახა დრეიფუსის საქმიდან რესპუბლიკურ საფრანგეთში, ზანგებისა და ინტერნაციონალისტების ლინჩის წესით გასამართლებიდან ამერიკის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ირლანდიისა და ულსტერის მაგალითიდან დემოკრატიულ ინგლისში[95], ბოლშევიკების დევნიდან და მათ წინააღმდეგ რბევა-აწიოკების მოწყობიდან 1917 წლის აპრილში რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მე განზრახ ვიღებ მაგალითებს არა მარტო ომის დროიდან, არამედ აგრეთვე ომამდელი, მშვიდობიანი დროიდანაც. ენატკბილ ბატონ კაუცკის ნებავს თვალი აარიდოს XX საუკუნის ამ ფაქტებს და სამაგიეროდ მოუთხროს მუშებს გასაოცრად ახალი, მეტისმეტად საინტერესო, არაჩვეულებრივად საგულისხმო, წარმოუდგენლად დიდმნიშვნელოვანი ამბები XVIII საუკუნის ვიგებისა და ტორების შესახებ.

აიღეთ ბურჟუაზიული პარლამენტი. განა შეიძლება დავუშვათ, თითქოს განსწავლულ კაუცკის არასოდეს არ გაეგონოს, რომ ბირჟა და ბანკები მით უფრო მეტად

იმორჩილებენ ბურჟუაზიულ პარლამენტებს, რაც უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ა დ განვითარებულია დემოკრატია? აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი არ უნდა იქნეს გამოყენებული (და ბოლშევიკებმა ისე წარმატებით გამოიყენეს იგი, როგორც, ვფიქრობ, ქვეყნად არც ერთ სხვა პარტიას არ გამოუყენებია, ვინაიდან 1912 — 1914 წლებში ჩვენ დავიპყარით მთელი მუშათა კურია მე-4 სათათბიროში). მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ლიბერალს შეუძლია დაივიწყოს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი შ ე ზ ღ უ დ უ ლ ო ბ ა და პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ა, როგორც ამას ივიწყებს კაუცკი. ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ჩაგრული მასები ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას ფ ო რ მ ა ლ უ რ თანასწორობასა, რომელსაც აღიარებს კაპიტალისტების «დემოკრატია», და ათასნაირ ფ ა ქ ტ ი უ რ შეზღუდვასა და ხერხს შორის, რაც პროლეტარებს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ ო ნ ე ბ ა დ ხდის. სწორედ ეს წინააღმდეგობა უხელს თვალს მასებს კაპიტალიზმის სიდამპლეზე, სიყალბეზე, თვალთმაქცობაზე. სწორედ ამ წინააღმდეგობას ააშკარავებენ მუდამ სოციალიზმის აგიტატორები და პროპაგანდისტები მასების წინაშე, რ ა თ ა მ ო ა მ ზ ა დ ო ნ ისინი რევოლუციისათვის! ხოლო როდესაც რევოლუციების ხანა დ ა ი წ ყ ო, მაშინ კაუცკიმ ზურგი შეაქცია მას და მ ო მ ა კ ვ დ ა ვ ი ბურჟუაზიული დემოკრატიის სიმშვენიერეთა ხოტბას მოჰყვა.

პროლეტარულმა დემოკრატიამ, რომლის ერთ-ერთ ფორმას საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს, მსოფლიოში ჯერ არნახულად განავითარა და გააფართოვა დემოკრატია სწორედ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის, ექსპლოატირებულთა და მშრომელთათვის. მთელი წიგნაკი დასწეროთ დემოკრატიაზე, როგორც ეს ქნა კაუცკიმ, რომელიც დიქტატურის შესახებ მხოლოდ ორ გვერდზე ლაპარაკობს და ათეულ გვერდებზე კი «წმინდა დემოკრატიის» შესახებ, —

და ეს ვერ შეამჩნიოთ, — ეს ნიშნავს საქმის სავსებით ლიბერალურად დამახინჯებას.

აიღეთ საგარეო პოლიტიკა. არც ერთს, ყველაზე დემოკრატიულ, ბურჟუაზიულ ქვეყანაში მას აშკარად არ აწარმოებენ. მასებს ყველგან, დემოკრატიულ საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისსა და ამერიკაში, ასწილად უფრო ფართოდ და უფრო ოსტატურად ატყუებენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საბჭოთა ხელისუფლებამ რევოლუციურად ჩამოგლიჯა საიდუმლოების საბურველი საგარეო პოლიტიკას. კაუცკიმ ეს ვერ შეამჩნია, ამაზე სდუმს, თუმცა მძარცველური ომებისა და «გავლენის სფეროებად დაყოფის» შესახებ (ე. ი. ავაზაკი კაპიტალისტების მიერ მსოფლიოს დაყოფის შესახებ) საიდუმლო ხელშეკრულებათა ეპოქაში ამას კარდინალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მშვიდობის საკითხი, ათეულ მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

აიღეთ სახელმწიფოს წყობილება. კაუცკი «წვრილმანებს» ებღაუჭება თვით იქამდე, რომ არჩევნები «არაპირდაპირიაო» (საბჭოთა კონსტიტუციით), მაგრამ საქმის არსს ვერ ხედავს. ის ვერ ამჩნევს სახელმწიფო აპარატის, სახელმწიფო მანქანის კლასობრივ არსს. ბურჟუაზიულ დემოკრატიაში კაპიტალისტები ათასნაირი ხრიკებით — მით უფრო ოსტატური და უტყუარად მოქმედი ხრიკებით, რაც უფრო განვითარებულია «წმინდა» დემოკრატია, — აცილებენ მასებს მმართველობაში მონაწილეობისაგან, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისაგან და ა. შ.. საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოში პირველია (ნამდვილად რომ ითქვას, მეორე, რადგან იგივე დაიწყო პარიზის კომუნამ), რომელიც მასებს, სახელდობრ ექსპლოატირებულ მასებს, იზიდავს მმართველობაში. ბურჟუაზიულ პარლამენტში მონაწილეობა (პარლამენტში, რომელიც არასოდეს არ წყვეტს ყველაზე სერიოზულ საკითხებს ბურჟუაზიულ დემოკრატიაში: მათ წყვეტს ბირჟა, ბანკები) დახშულია მშრომელი მასებისათვის ათასნაირი ზღუდეებით, და მუშებმა ჩინებულად

იციან და გრძნობენ, ხედავენ და განიცდიან, რომ ბურჟუაზიული პარლამენტი უცხო დაწესებულებაა, ბურჟუაზიის მიერ პროლეტარების ჩაგვრის იარაღია, მტრული კლასის, ექსპლოატატორული უმცირესობის დაწესებულებაა.

საბჭოები თვით მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების უშუალო ორგანიზაციაა, რომელიც მათ უადვილებს შესაძლებლობას — თვითონ მოაწყონ სახელმწიფო და განაგონ იგი ყოველნაირად, როგორც კი ეს შესაძლებელია. სწორედ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ავანგარდს, ქალაქის პროლეტარიატს, ენიჭება ამ შემთხვევაში ის უპირატესობა, რომ საუკეთესოდ გაერთიანებულია მსხვილი საწარმოების მიერ; მისთვის ყველაზე უფრო ადვილია აირჩიოს და თვალყური ადევნოს არჩეულებს. საბჭოთა ორგანიზაცია ავტომატურად აადვილებს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა გაერთიანებას მათი ავანგარდის, პროლეტარიატის გარშემო. ძველი ბურჟუაზიული აპარატი — მოხელეობა, სიმდიდრის, ბურჟუაზიული განათლების, ნაცნობობის და სხვა პრივილეგიები (ეს ფაქტიური პრივილეგიები მით უფრო მრავალნაირია, რაც უფრო განვითარებულია ბურჟუაზიული დემოკრატია), — ყოველივე ეს ისპობა საბჭოთა ორგანიზაციის დროს. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება უკვე აღარ არის თვალთმაქცობა, ვინაიდან სტამბები და ქაღალდი ერთმევა ბურჟუაზიას. იგივე ხდება საუკეთესო შენობების, სასახლეების, ციხე-დარბაზების, მემამულეთა სახლების მიმართ. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს მრავალი და მრავალი ათასი საუკეთესო შენობა ერთბაშად ჩამოართვა ექსპლოატატორებს და ამრიგად **მილიონჯერ** უფრო «დემოკრატიული» გახადა კრებების უფლება მასებისათვის, — კრებების ის უფლება, ურომლისოდაც დემოკრატია მატყუარობაა. არალოკალური, არაადგილობრივი საბჭოების არაპირდაპირი არჩევნები აადვილებენ საბჭოების ყრილობებს, უფრო იაფს, უფრო მოძრავს, მუშებისა და გლეხებისათვის უფრო მისაწვდომს ხდიან მთელ აპარატს ისეთ პერიოდში, როდესაც ცხოვრება დუღს და საჭიროა გქონდეს განსაკუთრებით სწრაფი შესაძლებლობა

უკან გაიწვიო შენი ადგილობრივი დეპუტატი ან გაგზავნო ის საბჭოების საერთო ყრილობაზე.

პროლეტარული დემოკრატია **მილიონჯერ** უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია; საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა.

ეს შეეძლო არ შეემჩნია მხოლოდ ან ბურჟუაზიის შეგნებულ მსახურს, ანდა პოლიტიკურად სავსებით მკვდარ ადამიანს, რომელიც ცოცხალ ცხოვრებას ვერ ხედავს გამტვერიანებული ბურჟუაზიული წიგნების მეოხებით, მთლიანად გაჟღენთილია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცრუშეხედულებებით და ამით თავის თავს, ობიექტურად, ბურჟუაზიის ლაქიად აქცევს.

ეს შეეძლო არ შეემჩნია მხოლოდ ისეთ კაცს, რომელსაც უნარი არ შესწევს ჩაგრული კლასების თვალსაზრისით დ ა ს ვ ა ს ს ა კ ი თ ხ ი:

განა არსებობს მსოფლიოში თუნდაც ერთი ქვეყანა, ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული ქვეყნებიდან, სადაც ს ა შ უ ა ლ ო, მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მუშა, საშუალო, მასობრივი მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ან სოფლის ნახევრადპროლეტარი საერთოდ (ე. ი. ჩაგრული მასის, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის წარმომადგენელი) სარგებლობდეს თუნდაც დაახლოებით ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — მოაწყოს კრებები საუკეთესო შენობებში, ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — იქონიოს თავისი იდეების გამოსახატავად, თავისი ინტერესების დასაცავად უდიდესი სტამბები და ქაღალდის საუკეთესო საწყობები, ისეთი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ — წამოაყენოს სწორედ თავისი კლასის ადამიანები სახელმწიფოს სამართავად და სახელმწიფოს «მოსაწყობად», როგორიცაა საბჭოთა რუსეთში?

სასაცილოც კია იმის ფიქრი, რომ ბატონმა კაუცკიმ რომელიმე ქვეყანაში ათასი გათვითცნობიერებული მუშიდან და მოჯამაგირიდან თუნდაც ერთი იპოვნოს ისეთი, ვინც შეყოყმანდებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში. მთელი მსოფლიოს

მუშები, ბურჟუაზიული გაზეთებიდან გებულობენ რა სიმართლის აღიარების ნაწყვეტებს, ინსტინქტურად თანაუგრძნობენ საბჭოთა რესპუბლიკას სწორედ იმიტომ, რომ მასში ხედავენ პროლეტარულ დემოკრატიას, ღარიბთა დემოკრატიას და არა მდიდართა დემოკრატიას, როგორიც არის ნამდვილად ყოველი, თვით საუკეთესო, ბურჟუაზიული დემოკრატია.

ჩვენ გვმართავენ (და ჩვენს სახელმწიფოს «აწყობენ») ბურჟუაზიული მოხელეები, ბურჟუაზიული პარლამენტარები, ბურჟუაზიული მოსამართლეებიო. აი უბრალო, აშკარა, უდავო ჭეშმარიტება, რომელსაც თავისი ცხოვრების გამოცდილებით იცნობს, რომელსაც ყოველდღე გრძნობს და განიცდის ჩაგრული კლასების ათობით და ასობით მილიონი ადამიანი ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, მათ შორის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

რუსეთში კი სავსებით დავანგრიეთ მოხელეთა აპარატი, ქვა-ქვაზე არ დაგვიტოვებია მისგან, განვდევნეთ ყველა ძველი მოსამართლე, გავრეკეთ ბურჟუაზიული პარლამენტი — და მივეცით გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი წარმომადგენლობა სწორედ მუშებსა და გლეხებს, მათი საბჭოებით შევცვალეთ მოხელეები, ან მათი საბჭოების კონტროლქვეშ დავაყენეთ მოხელეები, მათი საბჭოები გავხადეთ მოსამართლეთა ამომრჩევლებად. მარტო ეს ფაქტი საკმარისია, რომ ყველა ჩაგრულმა კლასმა სცნოს საბჭოთა ხელისუფლება, ესე იგი პროლეტარიატის დიქტატურის მოცემული ფორმა, მილიონჯერ უფრო დემოკრატიულად, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკაა.

კაუცკის არ ესმის ეს, ყოველი მუშისათვის გასაგები და აშკარა, ჭეშმარიტება, ვინაიდან მას «დაავიწყდა», «გადაავიწყდა» საკითხის დაყენება: დემოკრატია **რომელი კლასისათვის?** ის მსჯელობს «წმინდა» (ე. ი. უკლასო? თუ გარეკლასობრივი?) დემოკრატიის თვალსაზრისით. ის შეილოკის [96] არგუმენტს აყენებს: «გირვანქა ხორცი», მეტი არაფერი.

ყველა მოქალაქეთა თანასწორობა — სხვანაირად დემოკრატია არ არისო.

საჭირო ხდება განსწავლულ კაუცკის, «მარქსისტ» და «სოციალისტ» კაუცკის დავუსვათ კითხვა:

შესაძლებელია თუ არა ექსპლოატირებულის თანასწორობა ექსპლოატატორთან?

ეს გასაოცარია, ეს წარმოუდგენელია, რომ საჭირო ხდება ასეთი კითხვის დასმა II ინტერნაციონალის იდეური ბელადის წიგნის განხილვისას. მაგრამ «რაკი ტვირთი იკისრე, ნუ იტყვი, მძიმეაო». რაკი კაუცკიზე დაიწყე წერა, — კეთილინებე და განუმარტე ამ განსწავლულ კაცს, თუ რატომ არ შეიძლება თანასწორობა არსებობდეს ექსპლოატირებულსა და ექსპლოატატორს შორის.

შესაძლებელია თუ არა არსებობდეს თანასწორობა ექსპლოატირებულსა და ექსპლოატატორს შორის?

კაუცკი შემდეგნაირად მსჯელობს:

(1) «ექსპლოატატორები ყოველთვის მოსახლეობის მხოლოდ პატარა უმცირესობას შეადგენდნენ» (კაუცკის წიგნაკის მე-14 გვ.).

ეს უდავო ჭეშმარიტებაა. როგორ უნდა ვიმსჯელოთ, თუ ამ ჭეშმარიტებას დავეყრდნობით? შეიძლება ვიმსჯელოთ მარქსისტულად, სოციალისტურად; მაშინ საფუძვლად უნდა ავიღოთ ექსპლოატირებულთა დამოკიდებულება ექსპლოატატორთადმი. შეიძლება ვიმსჯელოთ ლიბერალურად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულად; მაშინ საფუძვლად უნდა ავიღოთ უმრავლესობის დამოკიდებულება უმცირესობისადმი.

მარქსისტულად თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ: ექსპლოატატორები გარდუვალად აქცევენ სახელმწიფოს (ხოლო ლაპარაკია დემოკრატიაზე, ესე იგი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფორმაზე) ექსპლოატირებულებზე თავიანთი კლასის, ექსპლოატატორების ბატონობის იარაღად. ამიტომ დემოკრატიული

სახელმწიფოც, ვიდრე არსებობენ ექსპლოატატორები, რომლებიც ექსპლოატირებულთა უმრავლესობაზე ბატონობენ, გარდუვალად იქნება დემოკრატია ექსპლოატატორებისათვის. ექსპლოატირებულთა სახელმწიფო ძირფესვიანად უნდა განსხვავდებოდეს ასეთი სახელმწიფოსაგან, უნდა წარმოადგენდეს ექსპლოატირებულთა დემოკრატიას და ექ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ თ ა დ ა თ რ გ უ ნ ვ ა ს, კლასის დათრგუნვა კი ნიშნავს ამ კლასის უთანასწორობას, მის გამორიცხვას «დემოკრატიიდან».

ლიბერალურად თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ: უმრავლესობა წყვეტს, უმცირესობა ემორჩილება. ურჩებს სჯიან. მორჩა და გათავდა. საერთოდ სახელმწიფოს, კერძოდ «წმინდა დემოკრატიის» რაიმე კლასობრივ ხასიათზე მსჯელობა საჭირო არ არის; ეს საქმეს არ ეხება, რადგან უმრავლესობა უმრავლესობაა, ხოლო უმცირესობა უმცირესობაა. გირვანქა ხორცი გირვანქა ხორცია, მორჩა და გათავდა.

კაუცკი სწორედ ასე მსჯელობს:

(2) «რა მიზეზებით დასჭირდებოდა პროლეტარიატის ბატონობას მიეღო და აუცილებლად მიეღო ისეთი ფორმა, რომელიც შეუთავსებელია დემოკრატიასთან?» (გვ. 21). ამას მოსდევს იმის განმარტება, რომ პროლეტარიატს თავის მხარეზე ჰყავს უმრავლესობა, ფრიად დაწვრილებითი და ფრიად სიტყვამრავალი განმარტება, სადაც მოყვანილია ციტატაც მარქსიდან და ციფრებიც პარიზის კომუნაში ხმების განაწილების შესახებ. დასკვნა: «იმ რეჟიმს, რომელსაც ასე ძლიერად გაუდგამს ფესვები მასებში, სულ მცირედი საბაბიც კი არა აქვს ხელჰყოს დემოკრატია. ის ყოველთვის კი ვერ შეძლებს თავი გაიტანოს ძალდატანების გარეშე, იმ შემთხვევებში, როდესაც ძალდატანებას დემოკრატიის დასათრგუნავად მიმართავენ. ძალდატანებას მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება ვუპასუხოთ. მაგრამ რეჟიმი, რომელმაც იცის, რომ მას მასები უმაგრებენ ზურგს, ძალდატანებას მხოლოდ იმისათვის გამოიყენებს, რომ დ ა ი ც ვ ა ს დემოკრატია, და არა იმისათვის, რომ მ ო ს პ ო ს იგი. ის პირდაპირ თვითმკვლე-

ლობას ჩაიდენდა, რომ მოენდომებინა მოესპო თავისი ყველაზე საიმედო საფუძველი, საყოველთაო საარჩევნო უფლება, მძლავრი მორალური ავტორიტეტის ღრმა წყარო» (გვ. 22).

თქვენ ხედავთ: კაუცკის არგუმენტაციიდან გაქრა ექსპლოატირებულთა დამოკიდებულება ექსპლოატატორებისადმი. დარჩა მხოლოდ უმრავლესობა საერთოდ, უმცირესობა საერთოდ, დემოკრატია საერთოდ, ჩვენთვის უკვე ცნობილი «წმინდა დემოკრატია».

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ნათქვამია პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ! მაშ თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ, თუ რას ამბობდნენ მარქსი და ენგელსი დიქტატურის შესახებ კ ო მ უ ნ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ:

მ ა რ ქ ს ი: ...«თუ მუშები ბურჟუაზიის დიქტატურის ადგილას თავიანთ რევოლუციურ დიქტატურას ამყარებენ... რათა გასტეხონ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა... მუშები სახელმწიფოს რევოლუციურ და წარმავალ ფორმას აძლევენ»...[97]

ე ნ გ ე ლ ს ი: ...«გამარჯვებული» (რევოლუციაში) «პარტია აუცილებლობის გამო იძულებული ხდება შეინარჩუნოს თავისი ბატონობა იმ შიშის მეოხებით, რომელსაც მისი იარაღი უნერგავს რეაქციონერებს. პარიზის კომუნა განა ერთ დღეზე მეტს გაძლებდა, იგი რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დაყრდნობილი? განა ჩვენ, პირიქით, მართალი არ ვიქნებით, თუ იმას ვუსაყვედურებთ კომუნას, რომ იგი ამ ავტორიტეტს ძალიან ნაკლებად იყენებდა?»...[98]

ი გ ი ვ ე: «რადგან სახელმწიფო მხოლოდ წარმავალი დაწესებულებაა, რომლითაც უხდებათ სარგებლობა ბრძოლაში, რევოლუციაში, თავის მოწინააღმდეგეთა ძალდატანებით დასათრგუნავად, ამიტომ თავისუფალ სახალხო სახელმწიფოზე ლაპარაკი სრული უაზრობაა; ვიდრე პროლეტარიატს ჯერ კიდევ ესაჭიროება სახელმწიფო, მას იგი ესაჭიროება არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის,

ხოლო როცა შესაძლებელი გახდება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, არსებობას წყვეტს»...[99]

კაუცკისა და მარქს-ენგელსს შორის ისეთი მანძილია, როგორც ცასა და დედამიწას შორის, როგორც ლიბერალსა და პროლეტარულ რევოლუციონერს შორის. წმინდა დემოკრატია და უბრალოდ «დემოკრატია», რომელზეც კაუცკი ლაპარაკობს, მხოლოდ განმეორებაა სწორედ იგივე «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოსი», ე. ი. პირწმინდა უაზრობაა. კაუცკი ფრიად განსწავლული კაბინეტური რეგვენის განსწავლულობით ანდა 10 წლის გოგონას გულუბრყვილობით კითხულობს: რისთვის არის საჭირო ეს დიქტატურა, თუ უმრავლესობა არსებობს? მარქსი და ენგელსი კი განმარტავენ:

— — იმისათვის, რომ გავტეხოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა,

— — იმისათვის, რომ შიში ჩავუნერგოთ რეაქციონერებს,

— — იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ,

— — იმისათვის, რომ პროლეტარიატს შეეძლოს ძალდატანებით დათრგუნოს თავისი მოწინააღმდეგენი.

კაუცკის ეს განმარტებანი არ ესმის. დემოკრატიის «სიწმინდეზე» შეყვარებული, ვერ ხედავს რა მის ბურჟუაზიულობას, ის «თანმიმდევრულად» ადგია იმ აზრს, რომ უმრავლესობას, რაკი იგი უმრავლესობაა, არ ესაჭიროება უმცირესობის «წინააღმდეგობის გატეხა», არ ესაჭიროება მისი «ძალდატანებით დათრგუნვა», — საკმარისია დემოკრატიის დარღვევის შემთხვევათა დათრგუნვაო. დემოკრატიის «სიწმინდეზე» შეყვარებული, კაუცკი უცაბედად ჩადის სწორედ იმავე პატარა შეცდომას, რომელსაც ყოველთვის ჩადის ყველა ბურჟუაზიული დემოკრატი: სახელდობრ, მას ფორმალური თანასწორობა (კაპიტალიზმის დროს თავი-

დან ბოლომდე ყალბი და თვალთმაქცური) ფაქტიურ თანასწორობად მიაჩნია! რა წვრილმანია!

ექსპლოატატორი არ შეიძლება ექსპლოატირებულის თანასწორი იყოს.

ეს ჭეშმარიტება, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს კაუცკისათვის, სოციალიზმის უაღრესად არსებით შინაარსს შეადგენს.

მეორე ჭეშმარიტება: ნამდვილი, ფაქტიური თანასწორობა არ შეიძლება იყოს, ვიდრე ერთი კლასის მიერ მეორის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა სავსებით არ არის მოსპობილი.

ექსპლოატატორები შეიძლება ერთბაშად დავამარცხოთ, თუ მოხდა წარმატებითი აჯანყება ცენტრში ან ჯარის მღელვარება. მაგრამ მეტად იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ექსპლოატატორების ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია. არ შეიძლება ერთბაშად ექსპროპრიირებულ იქნას რამდენადმე მაინც დიდი ქვეყნის ყველა მემამულე და კაპიტალისტი. შემდეგ, მარტოოდენ ექსპროპრიაცია, როგორც იურიდიული ან პოლიტიკური აქტი, სრულიადაც არ წყვეტს საქმეს, ვინაიდან საჭიროა ფაქტიურად გადაყენოთ მემამულეები და კაპიტალისტები, ფაქტიურად შეცვალოთ ისინი ფაბრიკებისა და მამულების სხვა, მუშური, მმართველობით. არ შეიძლება იყოს თანასწორობა ექსპლოატატორებსა, რომლებიც მრავალი თაობის განმავლობაში გამოირჩეოდნენ განათლებითაც, მდიდრული ცხოვრების პირობებითაც და ჩვევებითაც, — და ექსპლოატირებულებს შორის, რომელთა მასა ყველაზე მოწინავე და ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი დაბეჩავებული, უბირი, უმეცარი, დაშინებული და დაქსაქსულია. ექსპლოატატორები გადატრიალების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში აუცილებლად ინარჩუნებენ მთელ რიგ უდიდეს ფაქტიურ უპირატესობებს: მათ რჩებათ ფული (ფულის ერთბაშად მოსპობა არ შეიძლება), ზოგიერთი, ხშირად მნიშვნელოვანი, მოძრავი ქონება, რჩებათ ურთიერთკავშირი, ორგანიზაციისა და მართვის ჩვევები, მართვის ყველა «საიდუმლოების» (ჩვეულებათა,

ხერხთა, საშუალებათა, შესაძლებლობათა) ცოდნა, რჩებათ უფრო მაღალი განათლება, ტექნიკურად მაღალ (ბურჟუაზიულად მცხოვრებ და მოაზროვნე) პერსონალთან სიახლოვე, რჩებათ განუზომლად უფრო დიდი დახელოვნება სამხედრო საქმეში (ეს ძალიან მნიშვნელოვანია) და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

თუ ექსპლოატატორები მხოლოდ ერთ ქვეყანაში დამარცხდნენ, — ეს კი, რა თქმა უნდა, ტიპიური შემთხვევაა, ვინაიდან ერთდროული რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია, — ისინი ექსპლოატირებულებზე მაინც უფრო ძლიერნი რჩებიან, ვინაიდან ექსპლოატატორთა საერთაშორისო ურთიერთკავშირი უზარმაზარია. ექსპლოატირებულთა ნაწილი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ საშუალო გლეხთა, ხელოსანთა და სხვათა მასების წრიდან ექსპლოატატორებს რომ მიყვება და შეუძლია გაჰყვეს, ამას აქამდე ყველა რევოლუცია გვიჩვენებდა, მათ შორის კომუნაც (ვინაიდან ვერსალის ჯარებში, რაც «დაავიწყდა» ფრიად განსწავლულ კაუცკის, პროლეტარებიც იყვნენ).

საქმის ასეთი ვითარებისას იმის ფიქრი, რომ რამდენადმე მაინც ღრმა და სერიოზული რევოლუციის დროს საქმეს წყვეტს მხოლოდ უმრავლესობის დამოკიდებულება უმცირესობისადმი, არის უდიდესი გონებრივი სიჩლუნგე, არის ჩვეულებრივი ლიბერალის უაღრესად სულელური ცრურწმენა, არის მასების მოტყუება, მათთვის აშკარა ისტორიული სიმართლის დამალვა. ეს ისტორიული სიმართლეის არის, რომ ყოველი ღრმა რევოლუციის დროს წესს წარმოადგენს ხანგრძლივი, შეუპოვარი, გაფთრებული წინააღმდეგობა ექსპლოატატორებისა, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ინარჩუნებენ დიდ ფაქტიურ უპირატესობებს ექსპლოატირებულებზე. არასოდეს — თუ არა ენატკბილი, რეგვენი კაუცკის ტკბილ ფანტაზიაში — ექსპლოატატორები არ დაემორჩილებიან ექსპლოატირებულთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას ისე, რომ უკანასკნელ გაფთრებულ ბრძოლაში, მთელ რიგ ბრძოლებში არ სინჯონ თავიანთი უპირატესობა.

კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა მთელ ისტორიულ ეპოქას წარმოადგენს. ვიდრე ეს ეპოქა არ დამთავრებულა, ექსპლოატატორებს აუცილებლად რჩებათ რესტავრაციის იმედი, ხოლო ეს ი მ ე დ ი რესტავრაციის ც დ ე ბ ა დ იქცევა. და პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ, დამხობილი ექსპლოატატორები, რომლებიც არ მოელოდნენ თავიანთ დამხობას, რომლებსაც არ სჯეროდათ ეს დამხობა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ იგი, გაათკეცებული ენერგიით, ცოფმორეული გზნებით, ასკეცად გაძლიერებული სიძულვილით ებმებიან ბრძოლაში წართმეული «სამოთხის» დასაბრუნებლად, თავიანთი ოჯახებისათვის, რომლებიც ესოდენ ტკბილად ცხოვრობდნენ და რომლებსაც ახლა «არაზმზადა მდაბიო ხალხი» ხვედრად არგუნებს გაჩანაგებასა და სიღატაკეს (ან «უბრალო» შრომას...). ექსპლოატატორ-კაპიტალისტებს კი უკან მიჰყვება ფართო მასა წვრილი ბურჟუაზიისა, რომლის შესახებ ყველა ქვეყნის ათეული წლების ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ იგი ყოყმანობს და მერყეობს, დღეს პროლეტარიატს მიჰყვება, ხვალ გადატრიალების სიძნელეთა შიში იპყრობს, პანიკას ეძლევა მუშების პირველი დამარცხების ან ნახევრადდამარცხების გამო, ნერვიულობს, აქეთ-იქით ეხეთქება, წუწუნებს, ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბის... როგორც ჩვენი მენშევიკები და ესერები.

და საქმის ასეთი მდგომარეობის დროს, გააფთრებული, გამწვავებული ომის ეპოქაში, როდესაც ისტორია დღის წესრიგში აყენებს საკითხს, იყოს თუ არ იყოს საუკუნეობრივი და ათასეული წლების პრივილეგიები, — მსჯელობა უმრავლესობასა და უმცირესობაზე, წმინდა დემოკრატიაზე, დიქტატურის ზედმეტობაზე, ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის თანასწორობაზე! რა უძირო გონებრივი სიჩლუნგე, ფილისტერობის რა უფსკრულია ამისათვის საჭირო!

მაგრამ შედარებით «მშვიდობიანი» კაპიტალიზმის ათეულმა წლებმა, 1871 — 1914 წლებმა, ოპორტუნიზმთან შეგუებულ სოციალისტურ პარტიებში ფილისტერობის, გონებრივი შეზღუდულობის, რენეგატობის ავგიოსის თავლები დააგროვეს...

* *
*

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ კაუცკი ზემოთ მისი წიგნიდან მოყვანილ ციტატში საყოველთაო საარჩევნო უფლების ხელყოფაზე ლაპარაკობს (ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ამ უფლებას იგი მძლავრი მორალური ავტორიტეტის ღრმა წყაროს უწოდებს, მაშინ როდესაც ენგელსი იმავე პარიზის კომუნის გამო და იმავე დიქტატურის საკითხის გამო ლაპარაკობს შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ; საგულისხმოა ერთმანეთს შევადაროთ ფილისტერისა და რევოლუციონერის შეხედულება «ავტორიტეტზე.»).

უნდა შევნიშნოთ, რომ ექსპლოატატორებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხი წმინდა რუსული საკითხია, და არა საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. კაუცკის რომ თვალთმაქცობაზე ხელი აეღო და თავისი ბროშურისათვის ეწოდებინა: «ბოლშევიკების წინააღმდეგ», მაშინ ეს სათაური ბროშურის შინაარსის შესაფერისი იქნებოდა და მაშინ კაუცკის უფლება ექნებოდა პირდაპირ ელაპარაკნა საარჩევნო უფლების შესახებ. მაგრამ კაუცკიმ მოიწადინა გამოსულიყო უწინარეს ყოვლისა როგორც «თეორეტიკოსი». მან თავისი ბროშურა დაასათაურა: «პროლეტარიატის დიქტატურა» საერთოდ. ის საბჭოებზე და რუსეთზე სპეციალურად ლაპარაკობს ბროშურის მხოლოდ მეორე ნაწილში, მისი მე-6 პარაგრაფიდან მოყოლებული. პირველ ნაწილში კი (საიდანაც მე ამოღებული მაქვს ციტატი) ლაპარაკია დემოკრატიაზე და დიქტატურაზე საერთოდ. საარჩევნო უფლებაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, კაუცკიმ გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც ისეთმა პოლემისტმა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელიც გროშად არ აგდებს თეორიას. ვინაიდან თეორია, ე. ი. მსჯელობა დემოკრატიისა და დიქტატურის საერთო (და არა ნაციონალურ-განსაკუთრებულ) კლასობრივ საფუძვლებზე, უნდა ლაპარაკობდეს არა სპეციალურ საკითხზე, როგორიცა

საარჩევნო უფლება, არამედ საერთო საკითხზე: შეიძლება თუ არა დემოკრატია შენარჩუნებულ იქნას მდიდრებისთვისაც, ექსპლოატატორებისთვისაც ექსპლოატატორთა დამხობისა და მათი სახელმწიფოს ექსპლოატირებულთა სახელმწიფოთი შეცვლის ისტორიულ პერიოდში?

ასე და მხოლოდ ასე შეუძლია თეორეტიკოსს დააყენოს საკითხი.

ჩვენ ვიცით კომუნის მაგალითი, ჩვენ ვიცნობთ მარქსიზმის ფუძემდებელთა მთელ მსჯელობას კომუნასთან დაკავშირებით და მის გამო. ამ მასალის საფუძველზე მე განვიხილავდი, მაგალითად, დემოკრატიისა და დიქტატურის საკითხს ჩემს ბროშურაში «სახელმწიფო და რევოლუცია», რომელიც ოქტომბრის გადატრიალებამდეა დაწერილი. საარჩევნო უფლების შეზღუდვაზე მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს. და ახლაც უნდა ვთქვა, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვის საკითხი ნაციონალურ-განსაკუთრებული საკითხია და არა დიქტატურის საერთო საკითხი. როცა საარჩევნო უფლების შეზღუდვის საკითხს ვეხებით, უნდა შევისწავლოთ რუსეთის რევოლუციის განსაკუთრებული პირობები, მისი განვითარების განსაკუთრებული გზა. შემდგომ მსჯელობაში ეს ასეც იქნება გაკეთებული. მაგრამ შეცდომა იქნებოდა წინასწარ დაბეჯითებით გვეთქვა, რომ ევროპის მომავალი პროლეტარული რევოლუციები, ყველა ან უმეტესობა, უეჭველად შეზღუდავენ საარჩევნო უფლებას ბურჟუაზიისათვის. ეს შესაძლოა ასე მოხდეს. ომის შემდეგ და რუსეთის რევოლუციის გამოცდილების შემდეგ ეს, ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ დიქტატურის განსახორციელებლად ეს სავალდებულო არ არის, ეს არ შეადგენს დიქტატურის ლოგიკური ცნების აუცილებელ ნიშანს, ეს დიქტატურის ისტორიულ და კლასობრივ ცნებაში აუცილებელ პირობად არ შედის.

დიქტატურის აუცილებელ ნიშანს, სავალდებულო პირობას წარმოადგენს ექსპლოატატორების, როგორც კლასის,

ძალდატანებით დათრგუნვა და, მაშასადამე, დარღვევა «წმინდა დემოკრატიისა», ე. ი. თანასწორობისა და თავისუფლებისა, ამ კლასის მიმართ.

ასე და მხოლოდ ასე შეიძლება საკითხის თეორიულად დაყენება. და კაუცკიმ იმით, რომ მან ასე არ დააყენა საკითხი, დაამტკიცა, რომ ის გამოდის ბოლშევიკების წინააღმდეგ არა როგორც თეორეტიკოსი, არამედ როგორც ოპორტუნისტებისა და ბურჟუაზიის სიკოფანტი.

რა ქვეყნებში, ამა თუ იმ კაპიტალიზმის რანაირ ნაციონალურ თავისებურებათა დროს იქნება გამოყენებული (განსაკუთრებით თუ უპირატესად) დემოკრატიის ესა თუ ის შეზღუდვა, დარღვევა ექსპლოატატორებისათვის, ეს არის ამა თუ იმ კაპიტალიზმის, ამა თუ იმ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებათა საკითხი. თეორიული საკითხი სხვაგვარად დგას, იგი დგას ასე: შესაძლებელია თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა ექსპლოატატორთა კლასის მიმართ დემოკრატიის დაურღვევლად?

კაუცკიმ გვერდი აუარა სწორედ ამ, თეორიულად ერთადერთ დიდმნიშვნელოვანსა და არსებითს საკითხს. კაუცკის ყოველგვარი ციტატები მოჰყავდა მარქსიდან და ენგელსიდან, გარდა იმ ციტატებისა, რომლებიც ამ საკითხს ეხებიან და რომლებიც მე ზემოთ მოვიყვანე.

კაუცკი ყველაფერზე ლაპარაკობდა, რაც გნებავთ, ყველაფერზე, რაც მისაღებია ლიბერალებისა და ბურჟუაზიული დემოკრატებისათვის, რაც არ სცილდება მათი იდეების წრეს, — გარდა მთავარისა, გარდა იმისა, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია გაიმარჯვოს ისე, თუ მან არ გასტეხა ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, ძალდატანებით არ დათრგუნა თავისი მოწინააღმდეგეები, და რომ იქ, სადაც არის «ძალდატანებითი დათრგუნვა», სადაც არ არის «თავისუფლება», იქ, რა თქმა უნდა, არ არის დემოკრატია.

ეს კაუცკიმ ვერ გაიგო.

* *
*

გადავიდეთ რუსეთის რევოლუციის გამოცდილებაზე და იმ უთანხმოებაზე დეპუტატთა საბჭოებსა და დამფუძნებელ კრებას შორის, რომელმაც (უთანხმოებამ) გამოიწვია დამფუძნებელი კრების დათხოვნა და ბურჟუაზიისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა.

საბჭოებმა არ უნდა გაბედონ სახელმწიფო ორგანიზაციებად გადაქცევა

საბჭოები — ეს პროლეტარული დიქტატურის რუსული ფორმაა. თეორეტიკოსი-მარქსისტი, როცა შრომას წერს პროლეტარიატის დიქტატურაზე, ნამდვილად რომ შეისწავლიდეს ამ მოვლენას (და არა იმეორებდეს წვრილბურჟუაზიულ ლამენტაციებს დიქტატურის წინააღმდეგ, როგორც ამას სჩადის კაუცკი, რომელიც მენშევიკური მელოდიების გადამღერებითაა გართული), მაშინ ასეთი თეორეტიკოსი დიქტატურის საერთო განსაზღვრას მოგვცემდა, შემდეგ კი მის განსაკუთრებულ, ნაციონალურ, ფორმას, საბჭოებს, განიხილავდა, კრიტიკულად გაარჩევდა მათ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ ფორმას.

ცხადია, რომ მას შემდეგ, რაც კაუცკიმ მარქსის მოძღვრება დიქტატურის შესახებ ლიბერალურად «დაამუშავა», მისგან არაფერს სერიოზულს არ უნდა მოველოდეთ. მაგრამ უაღრესად საგულისხმოა განვიხილოთ, როგორ მიუდგა ის იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენენ საბჭოები, და როგორ გაართვა მან თავი ამ საკითხს.

საბჭოებმა, — წერს ის, — იგონებს რა მათ წარმოშობას 1905 წელს, შექმნეს ისეთი «ფორმა პროლეტარული ორგანიზაციისა, რომელიც უაღრესად ყოვლისმომცველი იყო (umfassendste) ყველა სხვა ორგანიზაციასთან შედარებით, ვინაიდან იგი მოიცავდა ყველა დაქირავებულ მუშას»

(გვ. 31). 1905 წელს ისინი მხოლოდ ადგილობრივ კორპორაციებს წარმოადგენდნენ, 1917 წელს კი სრულიად რუსეთის გაერთიანებად გადაიქცნენო.

«უკვე ახლაც, — განაგრძობს კაუცკი, — საბჭოთა ორგანიზაციას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. ხოლო მის წინაშე მომავალში კიდევ უფრო ძლევამოსილი ისტორია ისახება და ამასთან არა მარტო რუსეთში. ყველგან ცხადი ხდება, რომ იმ გიგანტური ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ეკონომიურად და პოლიტიკურად ფინანსური კაპიტალის განკარგულებაშია, საკმარისი არ არის» (versagen; ეს გერმანული სიტყვა ცოტა უფრო ძლიერია, ვიდრე «საკმარისი არ არის», და ცოტა უფრო სუსტია, ვიდრე «უძლური») «პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის წინანდელი მეთოდები. მათზე ხელის აღება არ შეიძლება, ისინი აუცილებელნი რჩებიან ნორმალური დროისათვის, მაგრამ ხანდახან მათ წინაშე ისეთი ამოცანები დგება, რომელთა შესრულება მათ არ ძალუძთ, ისეთი ამოცანები, როდესაც წარმატებას გვპირდება მხოლოდ მუშათა კლასის ძალის ყველა პოლიტიკური და ეკონომიური იარაღის შეერთება» (32).

ამას მოსდევს მსჯელობა მასობრივი გაფიცვის შესახებ და იმაზე, რომ «პროფესიული კავშირების ბიუროკრატია», რომელიც ისევე აუცილებელია, როგორც პროფესიული კავშირები, «გამოუსადეგარია იმისათვის, რომ უხელმძღვანელოს ისეთ ძლიერ მასობრივ ბრძოლებს, რომლებიც უფრო და უფრო დამახასიათებელნი ხდებიან ჩვენი დროისათვის»...

...«ამრიგად, — დაასკვნის კაუცკი, — საბჭოთა ორგანიზაცია ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. იგი გვპირდება, რომ გადამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოვებს კაპიტალისა და შრომის დიად გადამწყვეტ ბრძოლებში, რომლებისკენაც ჩვენ მივემართებით.

მაგრამ გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება კიდევ უფრო მეტი მოვითხოვოთ საბჭოებისაგან? ბოლშევიკები, რომლებმაც 1917 წლის ნოემბრის (ახალი სტილით, ე. ი. ჩვენებურად, ოქტომბრის) რევოლუციის შემდეგ მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებთან ერთად უმრავლესობა მოიპოვეს რუსეთის მუშათა დეპუტატების საბჭოებში, დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ იმაზე გადავიდნენ, რომ საბჭო, რომელიც მანამდე ერთი კ ლ ა ს ი ს მ ებ რ ძ ო ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა იყო, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დ გადააქციეს. მათ მოსპეს დემოკრატია, რომელიც რუსმა ხალხმა ბრძოლით მოიპოვა მარტის (ახალი სტილით, ჩვენებურად, თებერვლის) რევოლუციაში. ამის შესაბამისად, ბოლშევიკები თავიანთ თავს სოციალ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ს აღარ უწოდებენ. ისინი თავიანთ თავს კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ს უწოდებენ» (გვ. 33, ხაზგასმა კაუცკისაა).

ვინც რუსულ მენშევიკურ ლიტერატურას იცნობს, ის ერთბაშად დაინახავს, თუ როგორ მონურად იწერს კაუცკი მარტოვის, აქსელროდის, შტეინისა და მათი კომპანიის ნათქვამს. სწორედ «მონურად», ვინაიდან კაუცკი სასაცილოდ ამახინჯებს ფაქტებს მენშევიკურ ცრურწმენათა სასარგებლოდ. კაუცკი არც კი გარჯილა, რომ გაეგო, მაგალითად, თავისი ინფორმატორებისაგან, როგორიცაა ბერლინელი შტეინი ან სტოკჰოლმელი აქსელროდი, თუ რ ო დ ი ს აღიძრა საკითხები ბოლშევიკებისათვის კომუნისტების დარქმევისა და საბჭოების, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, მნიშვნელობისა. კაუცკის რომ ეს უბრალო ცნობები შეეკრიბა, ის აღარ დაწერდა სასაცილო სტრიქონებს, ვინაიდან ორივე ეს საკითხი აღძრული იყო ბოლშევიკების მიერ 1 9 1 7 წ ლ ი ს ა პ რ ი ლ შ ი, მაგალითად, ჩემს 1917 წლის 4 აპრილის «თეზისებში», ე. ი. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე დ ი დ ი ხ ნ ი თ ა დ რ ე (რომ აღარაფერი ვთქვათ დამფუძნებელი კრების გარეკვაზე 1918 წლის 5 იანვარს).

მაგრამ კაუცკის მსჯელობა, რომელიც მე მთლიანად ამოვწერე, საბჭოების მთელი საკითხის არსია. არსი სწორედ ის არის, უნდა მიისწრაფვოდნენ თუ არა საბჭოები იქითკენ, რომ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებად გადაიქცნენ (ბოლშევიკებმა 1917 წლის აპრილში წამოაყენეს ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» და 1917 წლის აპრილში ბოლშევიკების პარტიის კონფერენციაზე ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკით, არამედ კომუნის ტიპის ან საბჭოების ტიპის მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას მოითხოვენ); — ა ნ საბჭოები არ უნდა მიისწრაფვოდნენ ამისაკენ, არ უნდა აიღონ ხელთ ძალაუფლება, არ უნდა გადაიქცნენ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებად, არამედ უნდა დარჩნენ ერთი «კლასის მებრძოლ ორგანიზაციებად» (როგორც ამბობდა მარტოვი, კეთილსახოვნად ალამაზებდა რა თავისი უმანკო სურვილით იმ ფაქტს, რომ საბჭოები მენშევიკური

ხელმძღვანელობით ბურჟუაზიისადმი მუშების დამორჩილების იარაღს წარმოადგენდნენ).

კაუცკიმ მონურად გაიმეორა მარტოვის სიტყვები, აიღო ნაწყვეტები ბოლშევიკების თეორიული დავიდან მენშევიკებთან და უკრიტიკოდ და უაზროდ გადაიტანა ეს ნაწყვეტები ზოგად-თეორიულ, საერთო ევროპულ ნიადაგზე. ისეთი დომხალი გამოვიდა, რომელიც ჰომერულ სიცილს მოგვრიდა ყოველ შეგნებულ რუს მუშას, იგი რომ კაუცკის ზემოთ მოყვანილ მსჯელობას გაცნობოდა.

ასეთსავე სიცილს დააყრის კაუცკის ყველა ევროპელი მუშა (გარდა ერთი მუჭა დამყაყებული სოციალ-იმპერიალისტებისა), როდესაც ჩვენ მათ ავუხსნით საქმის ვითარებას.

კაუცკიმ დათვური სამსახური გაუწია მარტოვს იმით, რომ არაჩვეულებრივი სიცხადით აბსურდამდე მიიყვანა მარტოვის შეცდომა. მართლაც, ერთი შეხედეთ, რა გამოუვიდა კაუცკის.

საბჭოები ყველა დაქირავებულ მუშას მოიცავენ. ფინანსური კაპიტალის წინააღმდეგ პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის წინანდელი მეთოდები არ კმარა. საბჭოებს დიდი როლი მოელით არა მარტო რუსეთში. ისინი ევროპაში გადამწყვეტ როლს შეასრულებენ დიად გადამწყვეტ ბრძოლებში კაპიტალსა და შრომას შორისო. ასე ამბობს კაუცკი.

ძალიან კარგი. «გადამწყვეტი ბრძოლები კაპიტალსა და შრომას შორის», განა არ წყვეტენ ისინი იმ საკითხს, თუ რომელი ამ კლასთაგანი დაიპყრობს სახელმწიფო ძალაუფლებას?

არაფერი ამის მსგავსი. ღმერთმა დაგვიფაროს.

«გადამწყვეტ ბრძოლებში» საბჭოები, რომლებიც მოიცავენ ყველა დაქირავებულ მუშას, არ უნდა გადაიქცნენ სახელმწიფო ორგანიზაციად!

ხოლო რაღა არის სახელმწიფო?

სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნავად.

ამრიგად, ჩაგრული კლასი, თანამედროვე საზოგადოების ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის ავანგარდი, უნდა მიისწრაფვოდეს «კაპიტალსა და შრომას შორის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ», მ ა გ რ ა მ ხ ე ლ ი ა რ უ ნ დ ა ა ხ ლ ო ს **იმ** მანქანას, რომლის საშუალებითაც კაპიტალი შრომას თრგუნავს! — — ა რ უ ნ დ ა დ ა ა მ ს ხ ვ რ ი ო ს ეს მანქანა! — — თავისი ყოვლისმომცველი ორგანიზაცია ა რ უ ნ დ ა გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ თ ა დ ა ს ა თ რ გ უ ნ ა ვ ა დ!

ჩინებულია, საუცხოოა, ბატონო კაუცკი! «ჩვენ» კლასობრივ ბრძოლას ვაღიარებთ, — ისე როგორც მას აღიარებს ყველა ლიბერალი, ე. ი. ბურჟუაზიის დაუმხობლადო...

აი სად ხდება ცხადი კაუცკის მიერ კავშირის სრული გაწყვეტა მარქსიზმთანაც და სოციალიზმთანაც. ეს ფაქტიურად არის გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, რომელიც მზად არის რაც გნებავთ ყველაფერი დაუშვას, გარდა მის მიერ დაჩაგრული კლასის ორგანიზაციების სახელმწიფო ორგანიზაციებად გადაქცევისა. აქ კაუცკი უკვე ვერაფრით ვერ გადაარჩენს თავის, ყველაფრის შემარიგებელ, ყველა ღრმა წინააღმდეგობისაგან ფრაზებით თავის დამღწევ პოზიციას.

ან კაუცკი უარს ამბობს სახელმწიფო ძალაუფლების ყოველგვარ გადასვლაზე მუშათა კლასის ხელში, ანდა ის უშვებს, რომ მუშათა კლასმა ხელთ აიღოს ძველი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანა, მაგრამ არასგზით არ უშვებს, რომ მან დაამსხვრიოს, დაამტვრიოს ეს მანქანა და შეცვალოს იგი ახალი, პროლეტარული მანქანით. როგორც არ უნდა «განვმარტოთ» და «ავხსნათ» კაუცკის მსჯელობა, ორივე შემთხვევაში მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტა და ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა აშკარაა.

ჯერ კიდევ «კომუნისტურ მანიფესტში», ლაპარაკობდა რა იმაზე, თუ როგორი სახელმწიფო ესაჭიროება გამარჯვებულ მუშათა კლასს, მარქსი წერდა: «სახელმწიფო, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი»[100]. ახლა გვევლინება ადამიანი პრეტენზიით, ისევ მარქსისტი ვარო, და

აცხადებს, რომ მთლიანად ორგანიზებულმა და კაპიტალის წინააღმდეგ «გადამწყვეტი ბრძოლის» მწარმოებელმა პროლეტარიატმა თავისი კლასობრივი ორგანიზაცია სახელმწიფო ორგანიზაციად არ უნდა გახადოს. «სახელმწიფოსადმი ცრუმორწმუნეობრივი რწმენა», რომელზეც ენგელსი 1891 წელს წერდა, რომ იგი «გერმანიაში ბურჟუაზიის და თვით მრავალი მუშის შეგნებაში შეიჭრა» [101], — აი რა გამოამჟღავნა აქ კაუცკიმ. იბრძოლეთ, მუშებო, — «გვეთანხმება» ჩვენი ფილისტერი (ამაზე «ბურჟუაც» თანახმაა, რაკი მუშები სულ ერთია იბრძვიან და საფიქრალი მხოლოდ ისაა, თუ როგორ მოეტეხოს პირი მათ მახვილს), — იბრძოლეთ, მაგრამ გამარჯვება არ გაბედოთ! ნუ დაამსხვრევთ ბურჟუაზიის სახელმწიფო მანქანას, ნუ შექმნით ბურჟუაზიული «სახელმწიფო ორგანიზაციის» ნაცვლად პროლეტარულ «სახელმწიფო ორგანიზაციასო»!

ვინც სერიოზულად იზიარებდა მარქსისტულ შეხედულებას, რომ სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნავად, ვინც ცოტათი მაინც ჩაფიქრებია ამ ჭეშმარიტებას, ის ვერასოდეს ვერ იტყოდა ისეთ სისულელეს, რომ პროლეტარული ორგანიზაციები, რომლებსაც ძალუძთ ფინანსურ კაპიტალზე გამარჯვება მოიპოვონ, სახელმწიფო ორგანიზაციებად არ უნდა გადაიქცნენო. სწორედ ამ პუნქტში გამოჩნდა წვრილი ბურჟუა, რომლისთვისაც სახელმწიფო «მაინც» რაღაც გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივია. მართლაცდა, რატომ ეძლეოდა ნება პროლეტარიატს, «ერთ კლასს», გადამწყვეტი ომი ეწარმოებინა კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც ბატონობს არა მარტო პროლეტარიატზე, არამედ მთელ ხალხზე, წვრილ ბურჟუაზიაზე, მთელ გლეხობაზე, — მაგრამ რატომ არ ეძლეოდა ნება პროლეტარიატს, «ერთ კლასს», გადაექცია თავისი ორგანიზაცია სახელმწიფო ორგანიზაციად? იმიტომ, რომ წვრილ ბურჟუას ეშინია კლასობრივი ბრძოლისა და არ მიჰყავს ეს ბრძოლა ბოლომდე, უმთავრესამდე.

კაუცკი მთლად დაიბნა, მან სავსებით გამოამჟღავნა თავისი თავი. დაიხსომეთ: მან თვითონ აღიარა, რომ ევროპა მიემართება კაპიტალსა და შრომას შორის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ და რომ პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის წინანდელი მეთოდები საკმარისი არ არის. ეს მეთოდები კი სწორედ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის გამოყენებაში მდგომარეობდნენ. მაშასადამე?..

კაუცკის შეეშინდა ბოლომდე მოესაზრებინა, თუ რა გამომდინარეობს აქედან.

...მაშასადამე, მხოლოდ რეაქციონერს, მუშათა კლასის მტერს, ბურჟუაზიის დამქაშს, შეუძლია ახლა შეაფერადოს ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვენიერებანი და ილაყბოს წმინდა დემოკრატიაზე, პირი იბრუნოს დრომოჭმული წარსულისაკენ. ბურჟუაზიული დემოკრატია შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით პროგრესული ი ყ ო, და იგი გამოყენებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა იგი ს ა კ მ ა რ ი ს ი არ ა რ ი ს მუშათა კლასისათვის. ახლა უკან კი არ უნდა ვიხედებოდეთ, არამედ წინ, ბურჟუაზიული დემოკრატიის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი დემოკრატიით შეცვლისაკენ. და თუ მოსამზადებელი მუშაობა პროლეტარული რევოლუციისათვის, პროლეტარული არმიის გაწვრთნა და შედგენა შესაძლებელი (და აუცილებელი) იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი, რაკი საქმე «გადამწყვეტ ბრძოლებამდე» მიდგა, პროლეტარიატის ამ ფარგლებით შეზღუდვა იმას ნიშნავს, რომ იყო პროლეტარული ხალხის მოღალატე, ნიშნავს იმას, რომ იყო რენეგატი.

კაუცკი განსაკუთრებით სასაცილო ხათაბალაში გაება, ვინაიდან მან მარტოვის საბუთი გაიმეორა და ის კი ვ ე რ შ ე ა მ ჩ ნ ი ა, რომ მარტოვის ეს საბუთი ს ხ ვ ა საბუთს ემყარება, რომელიც კაუცკის არა აქვს! მარტოვი ამბობს (კაუცკი კი მის ნათქვამს იმეორებს), რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სოციალიზმისათვის, საიდანაც ბუნებრივად გამომდინარეობს: ბრძოლის ორგანოებიდან საბჭოების სახელმწიფო ორგანიზაციებად გადაქცევა ჯერ კიდევ ნაადრევიაო.

(წაიკითხე: დროულია საბჭოები გადავაქციოთ, მენშევიკური ბელადების დახმარებით, იმპერიალისტური ბურჟუაზიისადმი მუშების დამორჩილების ორგანოებადო). კაუცკის კი ხომ არ შეუძლია პირდაპირ თქვას, რომ ევროპა სოციალიზმისათვის არ არის მომწიფებული. კაუცკი 1909 წელს, როდესაც ის ჯერ კიდევ რენეგატი არ იყო, წერდა, რომ ახლა არ შეიძლება ნაადრევი რევოლუციისა გვეშინოდეს, რომ მოღალატე იქნებოდა ის, ვინც დამარცხების შიშით რევოლუციაზე უარს იტყოდაო. ამის პირდაპირ უარყოფა კაუცკის ვერ გაუბედნია. და გამოდის ისეთი უაზრობა, რომელიც საბოლოოდ ამხილებს წვრილი ბურჟუის მთელ სიბრიყვესა და სიმხდალეს: ერთი მხრივ, ევროპა სოციალიზმისათვის მომწიფებულია და კაპიტალის წინააღმდეგ შრომის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ მიდის, — მეორე მხრივ კი მებრძოლი ორგანიზაცია (ე. ი. ისეთი, რომელიც ყალიბდება, იზრდება, მტკიცდება ბრძოლაში), ჩაგრულთა ავანგარდის, ორგანიზატორისა და ბელადის — პროლეტარიატის ორგანიზაცია არ შეიძლება სახელმწიფო ორგანიზაციად გადავაქციოთო!

* *
*

პრაქტიკულ-პოლიტიკური მხრივ იდეა, რომ საბჭოები, როგორც მებრძოლი ორგანიზაცია, აუცილებელია, მაგრამ სახელმწიფო ორგანიზაციებად არ უნდა გადაიქცნენო, კიდევ უფრო მეტი უაზრობაა, ვიდრე თეორიული მხრივ. თვით მშვიდობიან დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს რევოლუციური სიტუაცია, მუშების მასობრივი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ, მაგალითად, მასობრივი გაფიცვა, ორივე მხრივ იწვევს საშინელ გაბოროტებას, ბრძოლის უაღრესად გამწვავებას, იწვევს ბურჟუაზიის გამუდმებით მითითებას იმაზე, რომ ის რჩება და მოწადინებულია დარჩეს «ბატონ-პატრონად სახლში» და სხვ.. რევოლუციის დროს კი, როდესაც პოლიტიკური ცხოვრება დუღს, ისეთი ორგანიზაცია,

როგორიცაა საბჭოები, რომელიც მრეწველობის ყველა დარგის ყველა მუშას, შემდეგ ყველა ჯარისკაცს და სოფლის მთელ მშრომელ და უღარიბეს მოსახლეობას მოიცავს, — ასეთი ორგანიზაცია თავისთავად, ბრძოლის მსვლელობით, შეტევისა და მოგერიების უბრალო «ლოგიკით» აუცილებლად მიდის საკითხის გადაჭრით დაყენებამდე. შუათანა პოზიციის დაჭერის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის «შერიგების» ცდა გონებრივი სიჩლუნგეა და საცოდავ კრახს განიცდის: ასე მოუვიდა რუსეთში მარტოვის და სხვა მენშევიკების ქადაგებას, აუცილებლად ასევე მოხდება გერმანიაშიც და სხვა ქვეყნებშიც, თუკი საბჭოები რამდენიმედ მაინც ფართოდ განვითარდებიან, თუკი ისინი მოასწრებენ გაერთიანებასა და განმტკიცებას. საბჭოებს რომ უთხრათ: იბრძოლეთ, მაგრამ თვითონ ხელთ ნუ აიღებთ მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას, ნუ გახდებით სახელმწიფო ორგანიზაციებადო, — ეს იმას ნიშნავს, რომ იქადაგოთ კლასების თანამშრომლობა და პროლეტარიატის «სოციალური ზავი» ბურჟუაზიასთან. სასაცილოა იმის ფიქრიც კი, რომ გააფთრებული ბრძოლის დროს ასეთ პოზიციას შეიძლება სხვა რაიმე მოჰყვეს, თუ არა სამარცხვინო კრახი. ორ სკამს შუა ჯდომა კაუცკის მუდმივი ბედია. იგი თავს ისე გვაჩვენებს, რომ თეორიულად არაფერში არ ეთანხმება ოპორტუნისტებს, ნამდვილად კი ის პრაქტიკულად ყოველივე არსებითში (ე. ი. ყველაფერში, რაც რევოლუციას შეეხება) ეთანხმება მათ.

დამფუძნებელი კრება და საბჭოთა რესპუბლიკა

დამფუძნებელი კრებისა და ბოლშევიკების მიერ მისი გარეკვის საკითხი კაუცკის მთელი ბროშურის არსია. ის გამუდმებით უბრუნდება ამ საკითხს. II ინტერნაციონალის იდეური ბელადის მთელი ნაწარმოები სავსეა იმაზე მითითებებით, თუ ბოლშევიკებმა როგორ «მოსპეს დემოკრატია» (იხ. კაუცკიდან ზემოთ მოყვანილი ერთი ციტატი). საკითხი,

მართლაც, საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია, ვინაიდან ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატიის თანაფარდობა აქ რევოლუციის წინაშე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ წარმოდგა. მაშ ვნახოთ, თუ როგორ განიხილავს ამ საკითხს ჩვენი «თეორეტიკოს-მარქსისტი».

მას მოჰყავს ციტატები ჩემ მიერ დაწერილი და «პრავდაში» 1917 წლის 26 დეკემბერს გამოქვეყნებული «თეზისებიდან დამფუძნებელი კრების შესახებ». თითქოს, კაუცკის მხრით არც მოსალოდნელია საქმისადმი სერიოზული, დოკუმენტებით ხელში, მიდგომის უკეთესი დამტკიცება. მაგრამ შეხედეთ, თუ რ ო გ ო რ მოჰყავს კაუცკის ციტატები. ის არ ამბობს, რომ ეს თეზისები 19 იყო, ის არ ამბობს, რომ ამ თეზისებში დასმული იყო როგორც ჩვეულებრივი, დამფუძნებელი კრების მქონე, ბურჟუაზიული რესპუბლიკის და საბჭოების რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, ისე ჩვენს რევოლუციაში დამფუძნებელი კრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ურთიერთდაშორების ი ს ტ ო რ ი ი ს საკითხი. კაუცკი ყოველივე ამას გვერდს უვლის და პირდაპირ ეუბნება მკითხველს, რომ «მათგან (თეზისებიდან) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი»: ერთი — რომ ესერები გაითიშნენ დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ, მაგრამ მის მოწვევამდე (კაუცკი სდუმს იმაზე, რომ ეს მეხუთე თეზისია), მეორე — რომ საბჭოების რესპუბლიკა საერთოდ უფრო მაღალი დემოკრატიული ფორმაა, ვიდრე დამფუძნებელი კრება (კაუცკი სდუმს იმაზე, რომ ეს მესამე თეზისია).

და აი, მხოლოდ ამ მესამე თეზისიდან კაუცკის მთლიანად მოჰყავს მისი ნაწილი, სახელდობრ, შემდეგი დებულება:

«საბჭოების რესპუბლიკა არის დემოკრატიულ დაწესებულებათა არა მარტო უფრო მაღალი ტიპის ფორმა (ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ, ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან შედარებით, რომელსაც ჰყავს დამფუძნებელი კრება, როგორც მისი დამაგვირგვინებელი), არამედ ერთადერთი ფორმაც, რომელსაც

ძალუძს უზრუნველყოს ყველაზე უფრო უმტკივნეულო* გადასვლა სოციალიზმზე» (კაუცკის გამოტოვებული აქვს სიტყვა «ჩვეულებრივი» და თეზისის შესავალი სიტყვები: «ბურჟუაზიული წყობილებიდან სოციალისტურზე გადასვლისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის»).

ამ სიტყვების მოყვანის შემდეგ კაუცკი დიდი ირონიით წამოიძახებს:

«სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ დასკვნამდე მხოლოდ მას შემდეგ მივიდნენ, როდესაც უმცირესობაში აღმოჩნდნენ დამფუძნებელ კრებაში. წინათ არავინ ისე მძაფრად არ მოითხოვდა მას, როგორც ლენინი».

სიტყვასიტყვით ასეა ნათქვამი კაუცკის წიგნის 31-ე გვერდზე!

ეს ხომ ნამდვილი მარგალიტია! მხოლოდ ბურჟუაზიის სიკოფანტს შეეძლო საქმის ასე ყალბად წარმოდგენა, რომ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება მიეღო, თითქოს ბოლშევიკების მთელი ლაპარაკი სახელმწიფოს უფრო მაღალი ტიპის შესახებ იყოს გამონაგონი, რომელიც მას შ ე მ დ ე გ გაჩნდა, რაც ბოლშევიკები უმცირესობაში აღმოჩნდნენ დამფუძნებელ კრებაში!! ესოდენ საზიზღარი სიცრუის თქმა შეეძლო მხოლოდ არამზადას, რომელსაც თავის თავი ბურჟუაზიისათვის მიუყიდნია, ან, რაც სავსებით ერთი და იგივეა, ვინც პ. აქსელროდს მინდობია და თავის ინფორმატორებს მალავს.

---

* სხვათა შორის. ეს გამოთქმა «ყველაზე უფრო უმტკივნეულო» გადასვლა კაუცკის მრავალჯერ აქვს ციტირებული, ალბათ, ირონიის ცდის მიზნით. მაგრამ რაკი ეს არის ცდა უვარგისი საშუალებებით, ამიტომ კაუცკი რამდენიმე გვერდის შემდეგ ასხვაფერებს და ყალბად მოჰყავს ციტატა: «უმტკივნეულო» გადასვლა! რა თქმა უნდა, ასეთი საშუალებებით ძნელი არ არის მოწინააღმდეგეს უაზრობა მოახვიო თავს. ეს დამახინჯება ხელს უწყობს აგრეთვე საბუთისათვის არსებითად გვერდის ავლას: ყველაზე უფრო უმტკივნეულო გადასვლა სოციალიზმზე შესაძლებელია მხოლოდ ღარიბთა მთლიანად ორგანიზებით (საბჭოები) და ასეთი ორგანიზებისათვის სახელმწიფო ხელისუფლების (პროლეტარიატის) ცენტრის ხელისშეწყობით.

ვინაიდან ყველამ იცის, რომ მე რუსეთში ჩემი დაბრუნების პირველსავე დღეს, 1917 წლის 4 აპრილს, საჯაროდ წავიკითხე თეზისები, რომლებშიც განვაცხადე კომუნის ტიპის სახელმწიფოს უპირატესობაზე ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის წინაშე. ეს შემდეგ მრავალგზის განმეცხადებია ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, მაგალითად, ბროშურაში პოლიტიკური პარტიების შესახებ, რომელიც ინგლისურ ენაზე გადაითარგმნა[102] და 1918 წლის იანვარში გამოქვეყნდა ამერიკაში — ნიუ-იორკის გაზეთ «Evening Post»-ში[103]. ეს ცოტაა. 1917 წლის აპრილის დამლევს შემდგარმა ბოლშევიკების პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკა ბურჟუაზიულ პარლამენტურ რესპუბლიკაზე უფრო მაღლა დგას, რომ ჩვენი პარტია ამ უკანასკნელით არ დაკმაყოფილდება, რომ პარტიის პროგრამა შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

რა უნდა ეწოდოს ამის შემდეგ კაუცკის გამოსვლას, როცა ის გერმანელ მკითხველებს არწმუნებს, თითქოს მე მძაფრად მოვითხოვდი დამფუძნებელი კრების მოწვევას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები იქ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, დავიწყე დამფუძნებელი კრების სახელისა და ღირსების «დამცირება»? რით შეიძლება გამართლდეს ასეთი გამოსვლა? * იმით, რომ კაუცკი ფაქტებს არ იცნობდა? მაგრამ მაშინ რატომ იკისრა მან მათ შესახებ წერა? ან არადა რატომ არ აცხადებს პატიოსნად: მე, კაუცკი, მენშევიკების — შტეინის და პ. აქსელროდის და მათი კომპანიის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე ვწერო? კაუცკის სურს ობიექტურობის პრეტენზიით დაფაროს, რომ ის დამარცხებით გულნატკენი მენშევიკების დამქაშის როლს ასრულებს.

მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილებია. ნაყოფი აწი იქნება.

დავუშვათ, კაუცკიმ არ მოისურვა ან ვერ შეძლო (??) მიეღო თავისი ინფორმატორებისაგან თარგმანი ბოლშევიკური

* უნდა ითქვას: ამგვარი მენშევიკური სიცრუე ძალიან ბევრია კაუცკის ბროშურაში! ეს გაბოროტებული მენშევიკის პამფლეტია.

რეზოლუციებისა და განცხადებებისა იმ საკითხის შესახებ, კმაყოფილდებიან თუ არა ისინი ბურჟუაზიული პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკით. ესეც კი დავუშვათ, თუმცა ეს დაუჯერებელია. მაგრამ ჩემს 1917 წლის 26 დეკემბრის თეზისებს ხომ კაუცკი პირდაპირ იხსენიებს თავისი წიგნის 30-ე გვერდზე.

ამ თეზისებს კაუცკი მთლიანად იცნობს, თუ ამათგან ის იცნობს მხოლოდ იმას, რაც მას შტეინებმა, აქსელროდებმა და მათმა კომპანიამ გადაუთარგმნეს? კაუცკის მოჰყავს მესამე თეზისი ძირითად საკითხზე იმის შესახებ, შეგნებული ჰქონდათ თუ არა ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე და ეუბნებოდნენ თუ არა ისინი ხალხს, რომ საბჭოების რესპუბლიკა ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე უფრო მაღლა დგას. **მაგრამ კაუცკი დუმილით გვერდს უვლის მე-2 თეზისს.**

მეორე თეზისი კი ამბობს:

«მოითხოვდა რა დამფუძნებელი კრების მოწვევას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოების რესპუბლიკა დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებით» (ხაზგასმა ჩემია).

ბოლშევიკები რომ გამოიყვანოს უპრინციპო ადამიანებად, «რევოლუციურ ოპორტუნისტებად» (ამ გამოთქმას, არ მახსოვს, რასთან დაკავშირებით, სადღაც ხმარობს კაუცკი თავის წიგნში), ბატონმა კაუცკიმ გერმანელ მკითხველებს დაუმალა, რომ თეზისებში პირდაპირ მითითებულია **«მრავალგზის»** განცხადებებზე!

ასეთია ის წვრილმანი, უბადრუკი და საზიზღარი ხერხები, რომლებსაც იყენებს ბატონი კაუცკი. ამრიგად დაიძვრინა მან თავი თეორიული საკითხისაგან.

მართალია თუ არა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტური რესპუბლიკა უფრო დაბლა დგას, ვიდრე კომუნის ტიპის ან საბჭოების ტიპის რესპუბლიკა? ეს არის თავიდათავი, კაუცკიმ კი ამას გვერდი აუარა. კაუცკიმ «დაივიწყა» ყოველივე ის, რაც მარქსმა მოგვცა პარიზის კომუნის ანალიზის დროს. მან «დაივიწყა» ბებელისადმი ენგელსის 1875 წლის 28 მარტის წერილიც, სადაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და გასაგებად გამოთქმულია მარქსის იგივე აზრი: «კომუნა უკვე აღარ იყო სახელმწიფო ამ სიტყვის საკუთარი აზრით».

ესეც თქვენ II ინტერნაციონალის გამოჩენილი თეორეტიკოსი, რომელიც სპეციალურ ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურის» შესახებ, სპეციალურად მსჯელობს რა რუსეთზე, სადაც პირდაპირ და მრავალგზის დასმულია დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე უფრო მაღლა მდგომი სახელმწიფოს ფორმის საკითხი, დუმილით გვერდს უვლის ამ საკითხს. რითღა განსხვავდება ეს ნამდვილად ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლისაგან?

(ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ კაუცკი აქაც რუს მენშევიკებს მისჩანჩალებს კუდში. მათ რამდენიც გნებავთ, იმდენი ჰყავთ ადამიანები, რომლებმაც იციან «ყველა ციტატი» მარქსიდან და ენგელსიდან, მაგრამ არც ერთ მენშევიკს 1917 წლის აპრილიდან 1917 წლის ოქტომბრამდე და 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის ოქტომბრამდე ერთხელაც არ უცდია გაერჩია კომუნის ტიპის სახელმწიფოს საკითხი. პლეხანოვმაც გვერდი აუარა ამ საკითხს. ალბათ, იძულებული იყო გაჩუმებული იყო).

თავისთავად ცხადია, რომ დამფუძნებელი კრების გარეკვის შესახებ ლაპარაკი ისეთ ადამიანებთან, რომლებიც თავიანთ თავს სოციალისტებსა და მარქსისტებს უწოდებენ, ხოლო ნამდვილად კი ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან მთავარ საკითხში, კომუნის ტიპის სახელმწიფოს საკითხში, ღორების წინაშე მარგალიტების ბნევა იქნებოდა. საკმარისი იქნება ამ ბროშურის დამატებაში მთლიანად დაიბეჭდოს ჩემი თეზი-

სები დამფუძნებელი კრების შესახებ. ამ თეზისებიდან მკითხველი დაინახავს, რომ 1917 წლის 26 დეკემბერს საკითხი დასმულ იქნა თეორიულადაც, ისტორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც.

თუ კაუცკი, როგორც თეორეტიკოსი, სავსებით განუდგა მარქსიზმს, მას შეეძლო, როგორც ისტორიკოსს, განეხილა საკითხი საბჭოების ბრძოლისა დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ. კაუცკის ბევრი ნაშრომიდან ჩვენ ვიცით, რომ მას ჰქონდა უნარი მარქსისტი ისტორიკოსი ყოფილიყო, რომ კაუცკის ასეთი ნაშრომები, მისი შემდგომი რენეგატობის მიუხედავად, პროლეტარიატის მტკიცე კუთვნილებად დარჩება. მაგრამ ხსენებულ საკითხში კაუცკი როგორც ისტორიკოსიც ზურგს აქცევს ჭეშმარიტებას, უგულებელყოფს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, იქცევა როგორც სიკოფანტი. ის მოწადინებულია ბოლშევიკები უპრინციპო ადამიანებად გამოიყვანოს და მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდნენ ბოლშევიკები შეერბილებინათ კონფლიქტი დამფუძნებელ კრებასთან, ვიდრე მას გარეკავდნენ. აქ სრულიად არაფერია ცუდი, არც რაიმეს უარყოფა გვჭირდება; თეზისებს მე მთლიანად ვბეჭდავ, და ამ თეზისებში ცხადზე უცხადესად ნათქვამია: დამფუძნებელ კრებაში მოკალათებულო ბატონო მერყეევო წვრილო ბურჟუებო, ან შეურიგდით პროლეტარულ დიქტატურას, ანდა ჩვენ «რევოლუციური გზით» დაგამარცხებთ (თეზისები 18 და 19).

ნამდვილად რევოლუციური პროლეტარიატი ყოველთვის ასე ეპყრობოდა და ყოველთვის ასე მოეპყრობა მერყევ წვრილ ბურჟუაზიას.

კაუცკი დამფუძნებელი კრების საკითხში ფორმალურ თვალსაზრისზე დგას. ჩემს თეზისებში ნათლად და მრავალგზის არის ნათქვამი, რომ რევოლუციის ინტერესები დამფუძნებელი კრების ფორმალურ უფლებებზე უფრო მაღლა დგას (იხ. თეზისები 16 და 17). სწორედ ფორმალურ-დემოკრატიული თვალსაზრისი არის თვალსაზრისი ბურჟუაზიული

დემოკრატისა, რომელიც არ ცნობს, რომ პროლეტარიატისა და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ინტერესი უფრო მაღლა დგას. კაუცკის, როგორც ისტორიკოსს, არ შეეძლო არ ეცნო, რომ ბურჟუაზიული პარლამენტები ამა თუ იმ კლასის ორგანოებს წარმოადგენენ. მაგრამ ახლა კაუცკის დასჭირდა (რევოლუციისაგან განდგომის ბინძური საქმისათვის) მარქსიზმის დავიწყება, და კაუცკი არ აყენებს საკითხს, თუ რომელი კლასის ორგანო იყო დამფუძნებელი კრება რუსეთში. კაუცკი არ არჩევს კონკრეტულ ვითარებას, მას არ სურს დაინახოს ფაქტები, ის გერმანელ მკითხველებს ერთ სიტყვასაც არ ეუბნება იმის შესახებ, რომ თეზისებში არა მარტო თეორიულადაა გაშუქებული ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობის საკითხი (თეზისები №№ 1 — 3), გაშუქებულია არა მარტო კონკრეტული პირობები, რომლებმაც განსაზღვრეს 1917 წლის ოქტომბრის შუა რიცხვების პარტიული სიების შეუფერებლობა 1917 წლის დეკემბერში არსებულ ნამდვილ მდგომარეობასთან (თეზისები № 4 — 6), არამედ 1917 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ისტორიაც (თეზისები №№ 7 — 15). ამ კონკრეტული ისტორიიდან ჩვენ ის დასკვნა გამოვიყვანეთ (თეზისი № 14), რომ ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას» ნამდვილად კადეტებისა და კალედინელების და მათი დამქაშების ლოზუნგად გადაიქცა.

ისტორიკოსი კაუცკი ამას ვერ ამჩნევს. ისტორიკოს კაუცკის არასოდეს არ გაუგონია, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება ზოგჯერ წვრილბურჟუაზიულ, ზოგჯერ რეაქციულ და კონტრრევოლუციურ პარლამენტებს იძლევა. ისტორიკოს-მარქსისტ კაუცკის არ გაუგონია, რომ ერთია არჩევნების ფორმა, დემოკრატიის ფორმა და სხვაა ამა თუ იმ დაწესებულების კლასობრივი შინაარსი. ეს საკითხი დამფუძნებელი კრების კლასობრივი შინაარსისა პირდაპირ დასმული და გადაწყვეტილია ჩემს თეზისებში. შესაძლოა, რომ ჩემ მიერ საკითხის გადაწყვეტა სწორი არ იყოს. არაფერი იქნებოდა

ჩვენთვის ისე სასურველი, როგორც ჩვენი ანალიზის მარქსისტული კრიტიკა სხვის მიერ. ნაცვლად იმისა, რომ სავსებით სულელური ფრაზები ეწერა (ასეთები კაუცკის ბლომად მოეპოვება) იმის შესახებ, თითქოს ვიღაცა ხელს უშლიდეს ბოლშევიზმის კრიტიკას, კაუცკი ასეთ კრიტიკას უნდა შესდგომოდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მას კრიტიკა არა აქვს. ის საკითხსაც კი არ აყენებს, ერთი მხრივ, საბჭოების და, მეორე მხრივ, დამფუძნებელი კრების კლასობრივი ანალიზის შესახებ. და ამიტომ კაუცკისთან კამათის, დისკუსიის შესაძლებლობაც არ არის, არამედ ისღა დაგვრჩენია, რომ მკითხველს ვაჩვენოთ, თუ რატომ არ შეიძლება, რომ კაუცკის სხვა რამ ვუწოდოთ, თუ არა რენეგატი.

საბჭოების უთანხმოებას დამფუძნებელ კრებასთან თავისი ისტორია აქვს, და ამ ისტორიას გვერდს ვერ აუვლიდა ისეთი ისტორიკოსიც კი, რომელიც კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე არ დგას. კაუცკიმ არ მოისურვა ამ ფაქტიურ ისტორიასაც შეხება. კაუცკიმ გერმანელ მკითხველებს დაუმალა ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი (რომელსაც ახლა მხოლოდ გულღვარძლიანი მენშევიკები მალავენ), რომ საბჭოები მენშევიკების ბატონობის დროსაც, ე. ი. 1917 წლის თებერვლის დამლევიდან ოქტომბრამდე, არ ეთანხმებოდნენ «საერთო-სახელმწიფოებრივ» (ე. ი. ბურჟუაზიულ) დაწესებულებებს. კაუცკი, არსებითად, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შერიგების, შეთანხმების, თანამშრომლობის თვალსაზრისზე დგას; რაც უნდა უარყოს ეს კაუცკიმ, მისი ასეთი თვალსაზრისი ფაქტია, რომელსაც კაუცკის მთელი ბროშურა ადასტურებს. არ უნდა გაგერეკათ დამფუძნებელი კრებაო, სწორედ ეს ნიშნავს: ბოლომდე არ უნდა მიგეყვანათ ბრძოლა ბურჟუაზიასთან, არ უნდა დაგემხოთ იგი, პროლეტარიატი უნდა შერიგებოდა ბურჟუაზიასო.

რატომ სდუმს კაუცკი იმაზე, რომ მენშევიკები ამ ნაკლებად საპატიო საქმით იყვნენ გართულნი 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე და ვერაფერს გახდნენ? ბურჟუაზიისა

და პროლეტარიატის შერიგება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, რატომ მენშევიკების დროს ვერ მოხერხდა ეს შერიგება, რატომ იდგა ბურჟუაზია განზე საბჭოებისაგან, რატომ უწოდებდნენ საბჭოებს (მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი) «რევოლუციურ დემოკრატიას», ბურჟუაზიას კი — «ცენზიან ელემენტებს»?

კაუცკიმ გერმანელ მკითხველებს დაუმალა, რომ სწორედ მენშევიკები თავიანთი ბატონობის «ეპოქაში» (1917 წ. II — X) საბჭოებს რევოლუციურ დემოკრატიას უწოდებდნენ და ა მ ი თ აღიარებდნენ მათ უპირატესობას ყველა სხვა დაწესებულების წინაშე. მხოლოდ ამ ფაქტის დამალვის შედეგად გამოუვიდა ისტორიკოს კაუცკის ისე, რომ საბჭოების უთანხმოებას ბურჟუაზიასთან თავისი ისტორია არა აქვს, რომ ეს უთანხმოება გაჩნდა ერთბაშად, უეცრად, უმიზეზოდ, ბოლშევიკების ცუდი ქცევის გამო. ნამდვილად კი სწორედ მენშევიკური შემთანხმებლობის, ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის შერიგების ცდების ნ ა ხ ე ვ ა რ წ ე ლ ი წ ა დ ზ ე მ ე ტ ი ხ ნ ი ს (რევოლუციისათვის ეს უდიდესი ვადაა) გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა მ დაარწმუნა ხალხი ამ ცდების უნაყოფობაში და ჩამოაშორა პროლეტარიატი მენშევიკებს.

საბჭოები პროლეტარიატის საუცხოო, დიდი მომავლის მქონე, მებრძოლი ორგანიზაციაა, — აღიარებს კაუცკი. რაკი ასეა, კაუცკის მთელი პოზიცია ინგრევა როგორც ხუხულა ან როგორც წვრილი ბურჟუის ოცნება — თავიდან აიცდინოს მწვავე ბრძოლა პროლეტარიატისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რადგან მთელი რევოლუცია არის განუწყვეტელი და ამასთან გააფთრებული ბრძოლა, ხოლო პროლეტარიატი ყ ვ ე ლ ა ჩაგრულთა მოწინავე კლასია, თავისი განთავისუფლებისაკენ ყველა და ყოველგვარი ჩაგრულის მთელ მისწრაფებათა ფოკუსი და ცენტრია. საბჭოები — ჩაგრული მასების ბრძოლის ორგანო — ცხადია, გაცილებით უფრო სწრაფად, უფრო სრულად, უფრო უტყუარად ასახავდნენ და გამოხატავდნენ ამ მასების განწყობილებას და მათ შეხედულებათა შეცვლას, ვიდრე რომელიმე სხვა დაწესებულება (სხვათა შორის, ესაა

ერთ-ერთი წყარო იმისა, თუ რატომ არის საბჭოთა დემოკრატია უმაღლესი ტიპის დემოკრატია).

საბჭოებმა 1917 წლის 28 თებერვლიდან (ძველი სტილით) 25 ოქტომბრამდე მოასწრეს მოეწვიათ რუსეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, ყველა მუშისა და ჯარისკაცისა, გლეხობის შვიდი თუ რვა მეათედის ორი სრულიად რუსეთის ყრილობა, რომ არ ჩავთვალოთ უამრავი ადგილობრივი, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და საოლქო ყრილობები. ამ ხნის განმავლობაში ბურჟუაზიამ ვერც ერთი ისეთი დაწესებულების მოწვევა ვერ მოასწრო, რომელიც უმრავლესობის წარმომადგენელი იქნებოდა (გარდა აშკარად ყალბი, აბუჩადამგდები «დემოკრატიული თათბირისა», რომელმაც გააბრაზა პროლეტარიატი). დამფუძნებელმა კრებამ ასახა მასების იგივე განწყობილება, იგივე პოლიტიკური დაჯგუფება, რაც საბჭოების სრულიად რუსეთის პირველმა (ივნისის) ყრილობამ. დამფუძნებელი კრების მოწვევის პერიოდისათვის (1918 წლის იანვარი) შედგა საბჭოების მეორე ყრილობა (1917 წლის ოქტომბერი) და მესამე ყრილობა (1918 წ. იანვარი), ამასთან ორივე ყრილობამ ცხადზე უცხადესად გვიჩვენა, რომ მასები გამემარცხენდნენ, გარევოლუციურდნენ, რომ მათ ზურგი შეაქციეს მენშევიკებსა და ესერებს და ბოლშევიკების მხარეზე გადავიდნენ, ესე იგი ზურგი შეაქციეს წვრილბურჟუაზიულ ხელმძღვანელობას, უკუაგდეს ბურჟუაზიასთან შეთანხმების ილუზიები და მიემხრნენ პროლეტარულ რევოლუციურ ბრძოლას ბურჟუაზიის დასამხობად.

მაშასადამე, საბჭოების გარეგნული ისტორიაც კი გვაჩვენებს დამფუძნებელი კრების გარეკვის აუცილებლობას და მის რეაქციულობას. მაგრამ კაუცკი მტკიცედ იცავს თავის «ლოზუნგს»: დეე დაიღუპოს რევოლუცია, დეე ბურჟუაზიამ იზეიმოს პროლეტარიატზე, ოღონდ ჰყვაოდეს «წმინდა დემოკრატია»! Fiat justitia, pereat mundus! *

* — დეე აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც ქვეყნიერება დაიღუპოს! რედ.

აი მოკლე შედეგები საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობებისა რუსეთის რევოლუციის ისტორიაში:

საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობები	დელეგატების რიცხვი	მათგან ბოლშევიკები	ბოლშევიკების %
1-ლი (1917 წ. 3. VI)	790	103	13%
მე-2 (1917 წ. 25. X)	675	343	51%
მე-3 (1918 წ. 10. I)	710	434	61%
მე-4 (1918 წ. 14. III)	1 232	795	64%
მე-5 (1918 წ. 4. VII)	1 164	773	66%

საკმარისია გადავხედოთ ამ ციფრებს, რომ გავიგოთ, თუ რატომ მხოლოდ სიცილით ხვდებიან ჩვენში დამფუძნებელი კრების დაცვას ან სიტყვებს (კაუცკის სიტყვების მსგავსს) იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებს მოსახლეობის უმრავლესობა არ ემხრობაო.

საბჭოთა კონსტიტუცია

როგორც უკვე აღვნიშნე, ბურჟუაზიისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა პროლეტარიატის დიქტატურის სავალდებულო და აუცილებელ ნიშანს არ შეადგენს. და რუსეთში ბოლშევიკები, რომლებმაც ასეთი დიქტატურის ლოზუნგი ოქტომბრამდე დიდი ხნით ადრე წამოაყენეს, წინასწარ არ ლაპარაკობდნენ ექსპლოატატორებისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევაზე. დიქტატურის ე ს შემადგენელი ნაწილი რომელიმე პარტიის «გეგმით» კი არ გაჩენილა ქვეყნად, არამედ თავისთავად წ ა რ მ ო ი შ ვ ა ბრძოლის მსვლელობაში. ისტორიკოსმა კაუცკიმ ეს, რა თქმა უნდა, ვერ შეამჩნია. მან ვერ გაიგო, რომ ბურჟუაზია, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოებში მენშევიკები (ბურჟუაზიასთან შემთანხმებლები) ბატონობდნენ, თვითონ ჩამოშორდა საბჭოებს, ბოიკოტი გამოუცხადა მათ, თავის თავს უპირისპირებდა საბჭოებს, ინტრიგებს ეწეოდა მათ წინააღმდეგ. საბჭოები ყოველგვარი კონსტიტუციის გარეშე აღმოცენდნენ და ე რ თ წ ე ლ ზ ე მ ე ტ ხ ა ნ ს (1917 წლის გაზაფხულიდან 1918 წლის ზაფხულამდე) ყოველგვარი კონსტიტუციის გარეშე

არსებობდნენ. ბურჟუაზიის გაბოროტებამ ჩაგრულთა დამოუკიდებელი და ყოვლისშემძლე (ვინაიდან ყველას მომცველი) ორგანიზაციის წინააღმდეგ, ბურჟუაზიის ბრძოლამ, — ამასთან მეტისძეტად უტიფარმა, ანგარებიანმა, ბინძურმა ბრძოლამ საბჭოების წინააღმდეგ, ბოლოს, ბურჟუაზიის (კადეტებით დაწყებული მემარჯვენე ესერებამდე, მილიუკოვიდან კერენსკამდე) აშკარა მონაწილეობამ კორნილოვშჩინაში, — ყოველივე ამან მ ო ა მ ზ ა დ ა ბურჟუაზიის ფორმალური გარიცხვა საბჭოებიდან.

კაუცკის კორნილოვშჩინის შესახებ გაუგონია, მაგრამ ის მედიდურად პირში აფურთხებს ისტორიულ ფაქტებს და ბრძოლის მსვლელობასა და ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ დიქტატურის ფ ო რ მ ე ბ ს: მართლაც, რა მოსატანია აქ ფაქტები, რაკი საქმე «წმინდა» დემოკრატიას შეეხება? ამიტომ არის, რომ კაუცკის «კრიტიკა», მიმართული ბურჟუაზიისათვის საარჩევნო უფლებების წართმევის წინააღმდეგ, განსხვავდება ისეთი... ენატკბილი გულუბრყვილობით, რომელიც გულისამაჩუყებელი იქნებოდა, იგი რომ ბავშვისაგან მომდინარეობდეს, და რომელიც ზიზღს იწვევს, როდესაც მომდინარეობს ისეთი პირისაგან, რომელიც ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის გონებასუსტად მიჩნეული.

...«საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს კაპიტალისტები უმნიშვნელო უმცირესობაში რომ დარჩენილიყვნენ, ისინი უფრო შეურიგდებოდნენ თავიანთ ბედს» (33)... ხომ ჩინებულია? ჭკვიან კაუცკის ბევრჯერ უნახავს ისტორიაში და საერთოდ მშვენივრად იცნობს ნამდვილი ცხოვრების დაკვირვებიდან ისეთ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც ანგარიშს უწევენ ჩაგრულთა უმრავლესობის ნებას. ჭკვიანი კაუცკი მტკიცედ დგას «ოპოზიციის» თვალსაზრისზე, ე. ი. შინაპარლამენტური ბრძოლის თვალსაზრისზე. ის ასეც წერს სიტყვასიტყვით: «ოპოზიცია» (იხ. გვ. 34 და მრავალი სხვ.).

ჰოი, განსწავლულო ისტორიკოსო და პოლიტიკოსო! ურიგო არ იქნებოდა გცოდნოდათ, რომ «ოპოზიცია»

მშვიდობიანი და მხოლოდ პარლამენტური ბრძოლის ცნებაა, ესე იგი ცნება, რომელიც არარევოლუციურ სიტუაციას შეეფერება, ცნება, რომელიც რევოლუციის არარსებობას შეეფერება. რევოლუციის დროს საქმე ეხება ულმობელ მტერს სამოქალაქო ომში — ამ ფაქტს ვერ შეცვლის ვერავითარი რეაქციული იერემიადა წვრილი ბურჟუისა, რომელსაც ეშინია ასეთი ომისა, როგორც ეშინია მისი კაუცკის. ულმობელი სამოქალაქო ომის საკითხების განხილვა «ოპოზიციის» თვალსაზრისით, როდესაც ბურჟუაზია მზად არის ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინოს — ვერსალელებისა და ბისმარკთან მათი გარიგების მაგალითი რაღაც საგულისხმოს ლაპარაკობს ყოველი ადამიანისათვის, რომელიც ისტორიას გოგოლის პეტრუშკასავით არ უყურებს, — როდესაც ბურჟუაზია უცხო სახელმწიფოებს მოუხმობს დასახმარებლად და მათთან ინტრიგანობს რევოლუციის წინააღმდეგ, — ეს კომიზმია. რევოლუციურმა პროლეტარიატმა, «დომხალის მრჩეველ» კაუცკის მსგავსად, საღამური ჩაჩი უნდა ჩამოიფხატოს და უყუროს ბურჟუაზიას, რომელიც დუტოვის, კრასნოვის და ჩეხების კონტრრევოლუციურ აჯანყებებს აწყობს, რომელიც მილიონებს აძლევს მესაბოტაჟეებს, — უყუროს მას როგორც ლეგალურ «ოპოზიციას». ჰოი, ღრმააზროვნებავ!

კაუცკის აინტერესებს საქმის მარტოოდენ ფორმალურ-იურიდიული მხარე, ასე რომ, როდესაც კითხულობ მის მსჯელობას საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ, უნებლიეთ გაგონდება ბებელის სიტყვები: იურისტები თავიდან ბოლომდე რეაქციონერები არიანო. «სინამდვილეში, — წერს კაუცკი, — არ შეიძლება მარტო კაპიტალისტები გავხადოთ უუფლებონი. ვინ არის კაპიტალისტი იურიდიული აზრით? შეძლებული? ეკონომიური პროგრესის გზით ისეთ დიდად დაწინაურებულ ქვეყანაშიაც კი, როგორიც არის გერმანია, რომლის პროლეტარიატი ესოდენ მრავალრიცხოვანია, საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა უუფლებოს გახდიდა დიდ მასებს. 1907 წელს გერმანიის იმპერიაში სარეწაო შრომის მონაწილე პირთა და მათი ოჯახების რიცხვი სამ დიდ ჯგუფში — სოფლის მეურნეობა,

მრეწველობა და ვაჭრობა — შეადგენდა დაახლოებით 35 მილიონს მოსამსახურეთა და დაქირავებულ მუშათა ჯგუფში, ხოლო დამოუკიდებელთა ჯგუფში — 17 მილიონს. მაშასადამე, პარტია სავსებით შეიძლება უმრავლესობას წარმოადგენდეს დაქირავებულ მუშათა შორის, მაგრამ უმცირესობა იყოს მოსახლეობაში» (გვ. 33).

აი კაუცკის მსჯელობის ერთ-ერთი ნიმუში. განა ეს ბურჟუის კონტრრევოლუციური წუწუნი არ არის? რატომ მიათვალეთ თქვენ ყველა «დამოუკიდებელი» უუფლებოებს, ბატონო კაუცკი, როდესაც ჩინებულად იცით, რომ რუს გლეხთა უდიდეს უმრავლესობას დაქირავებული მუშები არა ჰყავს, მაშასადამე, უფლებები არ ერთმევა? განა ეს ფალსიფიკაცია არ არის?

რატომ თქვენ, განსწავლულო ეკონომისტო, არ მოიყვანეთ თქვენთვის კარგად ცნობილი და 1907 წლის გერმანულ სტატისტიკაშივე არსებული მონაცემები, რომლებიც ეხება დაქირავებულ შრომას სოფლის მეურნეობაში მეურნეობათა ჯგუფების მიხედვით? რატომ არ გააცანით თქვენ გერმანელ მუშებს, თქვენი ბროშურის მკითხველებს, ეს მონაცემები, საიდანაც ცხადი იქნებოდა, თუ **რამდენია ექსპლოატატორი**, თუ რა მცირეა ექსპლოატატორთა რიცხვი «სოფლის მეურნეთა» მთელი რაოდენობიდან გერმანული სტატისტიკის მიხედვით?

იმიტომ, რომ თქვენმა რენეგატობამ თქვენ ბურჟუაზიის **უბრალო** სიკოფანტად **გადაგაქციათ.**

კაპიტალისტი, თურმე, გაურკვეველი იურიდიული ცნებაა, და კაუცკი რამდენიმე გვერდის მანძილზე აცამტვერებს საბჭოთა კონსტიტუციის «თვითნებობას». ეს «სერიოზული მეცნიერი» ინგლისის ბურჟუაზიას ნებას აძლევს საუკუნეთა განმავლობაში შეიმუშაოს და დაამუშაოს ახალი (შუა **საუ**კუნეებთან შედარებით ახალი) ბურჟუაზიული კონსტიტუცია, ჩვენ კი, რუსეთის მუშებსა და გლეხებს, ლაქიური მეცნიერების ეს წარმომადგენელი არავითარ ვადას არ გვაძლევს.

ჩვენგან ის მოითხოვს ზედმიწევნით დამუშავებულ კონსტიტუციას რამდენიმე თვეში...

...«თვითნებობა»! აბა ერთი ჩაუფიქრდით, რა უსაზღვრო, უაღრესად ბინძურ ლაქიობას ბურჟუაზიის წინაშე, რა უაღრესად გონებაჩლუნგ პედანტობას ამჟღავნებს ასეთი საყვედური. როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების მთლად ბურჟუაზიული და მეტწილად რეაქციული იურისტები საუკუნეების ან ათეული წლების განმავლობაში ამუშავებდნენ ფრიად დეტალურ წესებს, წერდნენ ისეთი კანონებისა და კანონთა განმარტებების ათეულ და ასეულ ტომებს, რომლებიც ავიწროებენ მუშას, ხელ-ფეხს უბორკავენ ღარიბს, ათას ხრიკსა და დაბრკოლებას უქმნიან ხალხის წრის ყოველ უბრალო მშრომელ კაცს, — ჰო, მაშინ ბურჟუაზიული ლიბერალები და ბატონი კაუცკი აქ «თვითნებობას» ვერ ხედავენ! აქ «წესრიგი» და «კანონიერებაა»! აქ ყველაფერი მოფიქრებული და აწონილ-დაწონილია, თუ როგორ «მოაშთონ» ღარიბი. აქ ათასობით არიან ბურჟუაზიული ადვოკატები და მოხელეები (მათ შესახებ კაუცკი საერთოდ სდუმს, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ მარქსი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა მოხელეობრივი მანქანის დამსხვრევას...), — ადვოკატები და მოხელეები, რომლებსაც შეუძლიათ ისე განმარტონ კანონები, რომ მუშამ და საშუალო გლეხმა ვერასოდეს ვერ გაარღვიოს ამ კანონების მავთულიანი ხლართები. ეს როდია ბურჟუაზიის «თვითნებობა», ეს როდია ხალხის სისხლით გამაძღარი, ანგარებიანი და ბილწი ექსპლოატატორების დიქტატურა, არაფერი ამის მსგავსი. ეს «წმინდა დემოკრატიაა», რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო წმინდა ხდება.

ხოლო როდესაც იმპერიალისტური ომის გამო თავიანთი საზღვარგარეთელი ძმებისაგან მოწყვეტილმა მშრომელმა და ექსპლოატირებულმა კლასებმა ისტორიაში პირველად შექმნეს თავიანთი საბჭოები, პოლიტიკური მშენებლობისაკენ მოუწოდეს იმ მასებს, რომლებსაც ბურჟუაზია ჩაგრავდა, აბეჩავებდა. ეყეყეჩებდა, და თვითონვე დაიწყეს

ა ხ ა ლ ი, პროლეტარული სახელმწიფოს შენება, როდესაც მათ გააფთრებულ ბრძოლაში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში დაიწყეს უ ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ ო სახელმწიფოს ძირითად დებულებათა დ ა ს ა ხ ვ ა, — მაშინ ბურჟუაზიის ყველა არამზადამ, სისხლისმსმელთა მთელმა ბანდამ და მათმა დამქაშმა კაუცკიმ მორთეს გოდება «თვითნებობაზე»! მართლაცდა, როგორ უნდა შეძლონ ამ უმეცრებმა, მუშებმა და გლეხებმა, ამ «ბრბომ» თავისი კანონების განმარტება? საიდან უნდა მოიტანონ მათ სამართლიანობის გრძნობა, მათ, უბრალო მშრომელებმა, რომლებიც განათლებული ადვოკატების, ბურჟუაზიული მწერლების, კაუცკებისა და ძველი ბრძენი მოხელეების რჩევა-დარიგებით არ სარგებლობენ?

ჩემი 1918 წლის 28 აპრილის სიტყვიდან კაუცკის მოჰყავს შემდეგი ადგილი: ...«მასები თვითონვე განსაზღვრავენ არჩევნების წესსა და ვადებს»... და «წმინდა დემოკრატი» კაუცკი დაასკვნის:

...«მაშასადამე, საქმე, როგორც ჩანს, ისეა, რომ ამომრჩეველთა ყოველი კრება თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს არჩევნების წესს. ამრიგად თვითნებობა და თვით პროლეტარიატის შიგნით არსებული არასასურველი ოპოზიციური ელემენტების თავიდან მოშორების შესაძლებლობა უმაღლეს წერტილს მიაღწევდა» (გვ. 37).

აბა რით განსხვავდება ეს კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მჯღაბნელის სიტყვებისაგან, რომელიც მოთქვამს, გაფიცვის დროს მასა ჩაგრავს «მუშაობის მსურველ» ბეჯით მუშებსო? რატომ ა რ არის თვითნებობა არჩევნების წესის მოხელურ-ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი განსაზღვრა «წმინდა» ბურჟუაზიულ დემოკრატიაში? სამართლიანობის გრძნობა მ ა ს ე ბ შ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ ა ღ მ დ გ ა რ ა ნ თავიანთ საუკუნეობრივ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, მასებში, რომლებსაც ათვითცნობიერებს და აწრთობს ეს გააფთრებული ბრძოლა, — ეს გრძნობა რატომ უნდა იყოს მათში უფრო დაბალი, ვიდრე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ცრუშეხედულებებით აღზრდილ ე რ თ მ უ ჭ ა მოხელეებში, ინტელიგენტებსა და ადვოკატებში?

კაუცკი ჭეშმარიტი სოციალისტია, არ გაბედოთ ოჯახის ამ ფრიად პატივცემული მამის, ამ ფრიად პატიოსანი მოქალაქის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა. ის მუშების, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მხურვალე და თავგამოდებული მომხრეა. მას მხოლოდ სურს, რომ ენატკბილმა ინტელიგენტუნებმა, ღამის ჩაჩწამოსხმულმა მეშჩანებმა და ფილისტერებმა ჯ ე რ, მასების მოძრაობის დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მათი გააფთრებული ბრძოლის დ ა წ ყ ე ბ ა მ დ ე და აუცილებლად სამოქალაქო ომის გ ა მ ო უ წ ვ ე ვ ლ ა დ, შეადგინონ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ზომიერი და წესიერი წ ე ს დ ე ბ ა...

ჩვენი ფრიად განსწავლული იუდუშკა გოლოვლიოვი ღრმა ზნეობრივი აღშფოთებით მოუთხრობს გერმანელ მუშებს, რომ 1918 წლის 14 ივნისს საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საბჭოებიდან მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების წარმომადგენელთა გარიცხვა. «ეს ღონისძიება, — წერს კეთილშობილური აღშფოთებით მთლად აღგზნებული იუდუშკა კაუცკი, — მიმართულია არა განსაზღვრულ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც განსაზღვრული დასჯადი ქმედობა ჩაუდენიათ... საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დეპუტატების — საბჭოების წევრების ხელუხლებლობაზე. აქ საბჭოებიდან გარიცხული არიან არა განსაზღვრული პ ი რ ე ბ ი, არამედ განსაზღვრული პ ა რ ტ ი ე ბ ი» (გვ. 37).

დიახ, ეს მართლაც საშინელებაა, ეს შეუწყნარებელი განდგომაა წმინდა დემოკრატიიდან, რომლის წესების მიხედვითაც მოახდენს რევოლუციას ჩვენი რევოლუციური იუდუშკა კაუცკი. ჩვენ, რუს ბოლშევიკებს, ჯერ უნდა აღგვეთქვა ხელუხლებლობა სავინკოვებისა და მათი კომპანიისათვის, ლიბერდანებისა[104], პოტრესოვებისა («აქტივისტებისა») და მათი კომპანიისათვის, მერე უნდა დაგვწერა სისხლის სამართლის დებულება, რომელიც «დასჯად ქმედობად» გამოაცხადებდა ჩეხოსლოვაკთა კონტრრევოლუციურ ომში

მონაწილეობას ან თავიანთი ქვეყნის მუშების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გერმანელ იმპერიალისტებთან კავშირს უკრაინასა თუ საქართველოში, და მხოლოდ შ ე მ დ ე გ, ამ სისხლის სამართლის დებულების საფუძველზე, ჩვენ უფლება გვექნებოდა, «წმინდა დემოკრატიის» თანახმად, გაგვერიცხა საბჭოებიდან «განსაზღვრული პირნი». ამასთან თავისთავად იგულისხმება, რომ ჩეხოსლოვაკები, რომლებიც სავინკოვების, პოტრესოვებისა და ლიბერდანების საშუალებით (ან მათი აგიტაციის დახმარებით) ფულს იღებენ ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტებისაგან, აგრეთვე კრასნოვები, რომლებსაც გერმანელებისაგან ყუმბარები აქვთ უკრაინელი და თბილისელი მენშევიკების დახმარებით, წყნარად ისხდებოდნენ სწორედ იმ დრომდე, ვიდრე ჩვენ სისხლის სამართლის სწორ დებულებას შევიმუშავებდით, და, როგორც ნამდვილად წმინდა დემოკრატები, «ოპოზიციის» როლს დასჯერდებოდნენ...

არა ნაკლებ ძლიერ ზნეობრივ აღშფოთებას გამოსთქვამს კაუცკი იმის გამო, რომ საბჭოთა კონსტიტუცია საარჩევნო უფლებებს ართმევს იმათ, ვისაც «მოგების მიზნით ჰყავს დაქირავებული მუშები». «შინ მომუშავეს ან წვრილ მეპატრონეს, რომელსაც ერთი ქარგალი ჰყავს, — წერს კაუცკი, — შეუძლია ცხოვრობდეს და გრძნობდეს სავსებით პროლეტარულად, მას კი საარჩევნო უფლება არა აქვს» (გვ. 36).

რა განდგომაა «წმინდა დემოკრატიისაგან»! რა უსამართლობაა! მართალია, დღემდე ყველა მარქსისტი ფიქრობდა და ათასგვარი ფაქტებით ადასტურებდა, რომ წვრილი მეპატრონენი დაქირავებული მუშების ყველაზე უსინდისო და შემავიწროებელი ექსპლოატატორები არიან, მაგრამ იუდუშკა კაუცკი, რა თქმა უნდა, იღებს არა წვრილ მეპატრონეთა კ ლ ა ს ს (ან კი ვინ გამოიგონა კლასობრივი ბრძოლის მავნე თეორია?), არამედ ცალკეულ პირებს, ისეთ ექსპლოატატორებს, რომლებიც «სავსებით პროლეტარულად ცხოვრობენ და გრძნობენ». ცნობილი «ხელმომჭირნე აგნესა», რომელიც დიდი ხანია მკვდარი ეგონათ, კაუცკის კალამმა გააცოცხლა.

ეს ხელმომჭირნე აგნესა გერმანულ ლიტერატურაში რამდენიმე ათეული წლის წინათ გამოიგონა და ხმარებაში შემოიღო «წმინდა» დემოკრატმა, ბურჟუა ევგენი რიხტერმა. ის წინასწარმეტყველებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურას, ექსპლოატატორების კაპიტალის კონფისკაციას ენით უთქმელი უბედურება მოჰყვება, ის გულუბრყვილო გამომეტყველებით კითხულობდა, ვინ არის კაპიტალისტი იურიდიული აზრით. ის იღებდა ღარიბი ხელმომჭირნე მკერავი ქალის მაგალითს («ხელმომჭირნე აგნესა»), რომელსაც ბოროტი «პროლეტარიატის დიქტატორები» უკანასკნელ გროშებს ართმევენ. იყო დრო, როდესაც მთელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიას წმინდა დემოკრატის ევგენი რიხტერის ეს «ხელმომჭირნე აგნესა» სამასხროდ ჰყავდა აგდებული. მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ, ისე დიდი ხნის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ბებელი, რომელიც პირდაპირ და აშკარად ამბობდა სიმართლეს, ჩვენს პარტიაში ბევრი ნაციონალ-ლიბერალიაო[105], ეს იყო ისე დიდი ხნის წინათ, როდესაც კაუცკი ჯერ კიდევ რენეგატი არ იყო.

ახლა «ხელმომჭირნე აგნესა» მკვდრეთით აღდგა «სავსებით პროლეტარულად მცხოვრები და მგრძნობი, ერთი ქარგლის მყოლი, წვრილი მეპატრონის» სახით. ბოროტი ბოლშევიკები ჩაგრავენ მას, ართმევენ მას საარჩევნო უფლებას. მართალია, «ყოველ საარჩევნო კრებას», როგორც იგივე კაუცკი ამბობს, საბჭოთა რესპუბლიკაში შეუძლია თავის წრეში მიიღოს, ვთქვათ, ამა თუ იმ ქარხანასთან დაკავშირებული ღარიბი ხელოსანი, თუ ის, როგორც გამონაკლისი, ექსპლოატატორი არ არის, თუ ის მ ა რ თ ლ ა ც «სავსებით პროლეტარულად ცხოვრობს და გრძნობს». მაგრამ განა შეიძლება დაენდო ცხოვრების ცოდნას, სამართლიანობის გრძნობას უბრალო მუშების საქარხნო კრების მხრივ, რომელიც მოქმედებს (ჰოი, საშინელებავ!) მოუწესრიგებლად და უწესდებოდ? განა ცხადი არ არის, რომ სჯობია საარჩევნო უფლება მიანიჭო ყ ვ ე ლ ა ექსპლოატატორს, ყ ვ ე ლ ა ს,

ვინც დაქირავებულ მუშებს ქირაობს, ვიდრე გასწიო რისკი იმის შესაძლებლობისა, რომ მუშები დაჩაგრავენ «ხელმოჭირნე აგნესას» და «პროლეტარულად მცხოვრებ და მგრძნობ ხელოსანს»?

* *
*

დეე რენეგატობის საზიზღარმა არამზადებმა, რომლებსაც მიესალმებიან ბურჟუაზია და სოციალ-შოვინისტები*, აძაგონ ჩვენი საბჭოთა კონსტიტუცია იმისათვის, რომ იგი ექსპლოატატორებს საარჩევნო უფლებას ართმევს. ეს კარგია, რადგან ეს დააჩქარებს და გააღრმავებს ევროპის რევოლუციური მუშების გათიშვას შეიდემანებთან და კაუცკებთან, რენოდელებთან და ლონგეებთან, ჰენდერსონებთან და რამსეი მაკდონალდებთან, სოციალიზმის ძველ ბელადებთან და ძველ გამცემლებთან.

ჩაგრული კლასების მასები, შეგნებული და პატიოსანი ბელადები რევოლუციური პროლეტარებიდან ჩვენს მ ხ ა რ ე ზ ე ი ქ ნ ე ბ ი ა ნ. საკმარისია ასეთ პროლეტარებს და ამ მასებს გავაცნოთ ჩვენი საბჭოთა კონსტიტუცია, და ისინი მაშინვე იტყვიან: აი სად არიან ნამდვილი **ჩვენი ადამიანები,** აი სად არის ნამდვილი მუშათა პარტია, ნამდვილი მუშათა მთავრობა. ვინაიდან იგი რეფორმებზე ლაყბობით კი არ ატყუებს მუშებს, როგორც გ ვ ა ტ ყ უ ე ბ დ ა ჩ ვ ე ნ ყ ვ ე ლ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი ბ ე ლ ა დ ი, არამედ სერიოზულად ებრძვის ექსპლოატატორებს, სერიოზულად ახორციელებს რევოლუციას, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იბრძვის მუშების სრული განთავისუფლებისათვის.

---

* მე ეს-ეს არის წავიკითხე «ფრანკფურტის გაზეთში»[106] (1918. 22. X, № 293) მოწინავე სტატია, რომელიც აღტაცებით გადმოგვცემს კაუცკის ბროშურის შინაარსს. მებირჟეთა გაზეთი კმაყოფილია. ოღონდაც! ხოლო ბერლინიდან ერთი ამხანაგი მწერს, რომ «ფორვერტსმა»[107], შეიდემანების გაზეთმა, სპეციალურ სტატიაში განაცხადა, რომ ხელს აწერს კაუცკის თითქმის ყოველ სტრიქონს. მოგილოცავთ, მოგილოცავთ!

თუ საბჭოებმა ექსპლოატატორებს საარჩევნო უფლება ჩამოართვეს საბჭოების ერთი წლის «პრაქტიკის» შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საბჭოები მართლაც ჩაგრული მასების ორგანიზაციები ყოფილან და არა სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-პაციფისტებისა, რომლებმაც თავიანთი თავი ბურჟუაზიას მიჰყიდეს. თუ ამ საბჭოებმა ექსპლოატატორებს საარჩევნო უფლება წაართვეს, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოები ყოფილან არა კაპიტალისტებთან წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობის ორგანოები, ყოფილან არა პარლამენტური ლაყბობის ორგანოები (კაუცკების, ლონგეებისა და მაკდონალდებისა), არამედ ორგანოები ნამდვილად რევოლუციური პროლეტარიატისა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

«კაუცკის წიგნაკს აქ თითქმის არ იცნობენ», — მწერს ბერლინიდან ამ დღეებში (დღეს 30 ოქტომბერია) საქმის ვითარებას კარგად გაცნობილი ამხანაგი. მე ვურჩევდი ჩვენს ელჩებს გერმანიისა და შვეიცარიაში ათასები არ დაეზოგათ ამ წიგნის შესაძენად და შეგნებული მუშებისათვის მუქთად დასარიგებლად, რათა ტალახში ჩაისრისოს ის «ევროპული» — იგულისხმეთ: იმპერიალისტური და რეფორმისტული — სოციალ-დემოკრატია, რომელიც დიდი ხანია «აყროლებულ ლეშად» გადაიქცა.

* *
*

თავისი წიგნის დასასრულს, 61 და 63 გვერდებზე, ბატონი კაუცკი მწარედ მოთქვამს იმის გამო, რომ «ახალი თეორია» (როგორც იგი უწოდებს ბოლშევიზმს, ეშინია რა შეეხოს პარიზის კომუნის იმ ანალიზს, რომელიც მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს) «მომხრეებს პოულობს ძველ დემოკრატიებშიც კი, როგორიც არის, მაგალითად, შვეიცარია». კაუცკისათვის «გაუგებარია», «თუ ამ თეორიას გერმანელი სოციალ-დემოკრატები იღებენ».

არა, ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან რევოლუციური მასებისათვის, ომის სერიოზული გაკვეთილების შემდეგ, საზიზღარნი ხდებიან შეიდემანებიც და კაუცკებიც.

«ჩვენ» ყოველთვის მომხრენი ვიყავით დემოკრატიისა — წერს კაუცკი — და ჩვენვე ერთბაშად უარი ვთქვათ მასზე!

«ჩვენ», სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით პროლეტარიატის დიქტატურისა, და კოლბები კომპანიითურთ დიდი ხანია ამას აშკარად ამბობდნენ. კაუცკიმ ეს იცის და ამაოდ ფიქრობს, რომ მკითხველებს დაუმალავს იმ აშკარა ფაქტს, რომ ის ბერნშტეინებისა და კოლბების «წიაღში დაბრუნდა».

«ჩვენ», რევოლუციურ მარქსისტებს, არასოდეს კერპად არ გაგვიხდია «წმინდა» (ბურჟუაზიული) დემოკრატია. როგორც ვიცით, პლეხანოვი 1903 წელს რევოლუციური მარქსისტი იყო (მის სამწუხარო შებრუნებამდე, რამაც ის რუსი შეიდემანის პოზიციამდე მიიყვანა). მაშინ პლეხანოვიც ამბობდა პარტიის ყრილობაზე, რომელიც პროგრამას იღებდა, რომ პროლეტარიატი რევოლუციის დროს, თუ საჭირო გახდა, საარჩევნო უფლებას წაართმევს კაპიტალისტებს, გარეკავს ყოველნაირ პარლამენტს, თუ იგი კონტრრევოლუციური აღმოჩნდებაო. სწორედ ასეთი შეხედულება რომ შეესაბამება მარქსიზმს, ამას ყველა დაინახავს თუნდაც მარქსისა და ენგელსის ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი განცხადებებიდან. ეს აშკარად გამომდინარეობს მარქსიზმის ყველა საფუძვლიდან.

«ჩვენ», რევოლუციური მარქსისტები, ისეთ სიტყვებს არ ვეუბნებოდით ხალხს, როგორი სიტყვებითაც უყვარდათ გამოსვლა ყველა ერის კაუცკიანელებს, რომლებიც ლაქიობას ეწევიან ბურჟუაზიის წინაშე, ეგუებიან ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, ჩქმალავენ თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიულ ხასიათს და მოითხოვენ მხოლოდ მის გაფართოებას, მის ბოლომდე მიყვანას.

«ჩვენ» ვეუბნებოდით ბურჟუაზიას: თქვენ, ექსპლოატატორებო და თვალთმაქცებო, დემოკრატიაზე ლაპარაკობთ და

ამავე დროს ყოველ ნაბიჯზე ათასნაირ დაბრკოლებას უქმნით ჩაგრული მასების მონაწილეობას პოლიტიკაში. ჩვენ სიტყვაზე გიჭერთ და მოვითხოვთ, ამ მასების ინტერესებისათვის, **თქვენი** ბურჟუაზიული დემოკრატიის გაფართოებას, რათა მოვამზადოთ მასები რევოლუციისათვის თქვენი, ექსპლოატატორების, დასამხობად. და თუ თქვენ, ექსპლოატატორები, შეეცდებით წინააღმდეგობა გაუწიოთ ჩვენს პროლეტარულ რევოლუციას, ჩვენ დაუზოგავად დაგთრგუნავთ, უფლებას აგყრით, ეს კიდევ ცოტაა: ჩვენ არ მოგცემთ თქვენ პურს, ვინაიდან ჩვენს პროლეტარულ რესპუბლიკაში ექსპლოატატორები უუფლებონი იქნებიან, მათ არც ცეცხლი მიეცემათ და არც წყალი, რადგან ჩვენ სოციალისტები ვართ სერიოზულად და არა შეიდემანისებურად და არა კაუცკისებურად.

აი როგორ ვლაპარაკობდით და როგორ ვილაპარაკებთ «ჩვენ», რევოლუციური მარქსისტები, და აი რატომ დაგვიჭერენ ჩვენ მხარს და რატომ იქნებიან ჩვენთან ჩაგრული მასები, ხოლო შეიდემანები და კაუცკები რენეგატების სანაგვეში დარჩებიან.

რა არის ინტერნაციონალიზმი?

კაუცკი უაღრესი დარწმუნებით თვლის და უწოდებს თავის თავს ინტერნაციონალისტს. შეიდემანებს ის «მთავრობის სოციალისტებად» აცხადებს. მენშევიკების დაცვით (კაუცკი პირდაპირ არ ამბობს, რომ მათ ეთანხმება, მაგრამ სავსებით ატარებს მათ შეხედულებებს) კაუცკიმ უაღრესად ნათლად გამოამჟღავნა, თუ რა ჯურისაა მისი «ინტერნაციონალიზმი». ხოლო რადგან კაუცკი მარტო კი არ არის, არამედ წარმომადგენელია მიმდინარეობისა, რომელიც გარდუვალად წარმოიშვა II ინტერნაციონალის ვითარებაში (ლონგე საფრანგეთში, ტურატი — იტალიაში, ნობსი და გრიმი, გრაბერი და ნენი — შვეიცარიაში, რამსეი მაკდონალდი — ინგლისში და სხვ.), ამიტომ საგულისხმოა შევჩერდეთ კაუცკის «ინტერნაციონალიზმზე».

ხაზს უსვამს რა, რომ მენშევიკებიც იყვნენ ციმერვალდში (ეს, უეჭველად, დიპლომია, მაგრამ... დამპალი დიპლომი), კაუცკი შემდეგნაირად გვიხატავს მენშევიკთა შეხედულებებს, რომლებსაც ის ეთანხმება:

...«მენშევიკებს საყოველთაო ზავი სურდათ. მათ სურდათ, რომ ყველა მეომარ მხარეს მიეღო ლოზუნგი: უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. ვიდრე ეს მიღწეული არ იქნებოდა, რუსეთის არმია, ამ შეხედულების მიხედვით, საბრძოლოდ გამზადებული უნდა მდგარიყო. ბოლშევიკები კი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ზავს რადაც უნდა დამჯდარიყო, ისინი მზად იყვნენ, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა, სეპარატული ზავი დაედოთ, ისინი ცდილობდნენ ძალით გამოეწვიათ ასეთი ზავი, აძლიერებდნენ რა არმიის ისედაც უკვე დიდ დეზორგანიზაციას» (გვ. 27). ბოლშევიკებს, კაუცკის აზრით, ხელში არ უნდა აეღოთ ძალაუფლება და დამფუძნებელი კრებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამრიგად, კაუცკისა და მენშევიკების ინტერნაციონალიზმი აი რაში მდგომარეობს: იმპერიალისტური ბურჟუაზიული მთავრობისაგან მოეთხოვათ რეფორმები, მაგრამ განეგრძოთ მისთვის მხარისდაჭერა, განეგრძოთ ამ მთავრობის მიერ წარმოებული ომისათვის მხარისდაჭერა, ვიდრე ყველა მეომარი მხარე არ მიიღებდა ლოზუნგს: უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. ასეთი შეხედულება არა ერთხელ გამოუთქვამთ ტურატისაც და კაუცკელებსაც (ჰააზეს და სხვებს), ლონგეს და მის კომპანიასაც, რომლებიც აცხადებდნენ, ჩვენ «სამშობლოს დაცვის» მ ო მ ხ რ ე ნ ი ვართო.

თეორიულად ეს არის სრული უუნარობა — გამოეყონ სოციალ-შოვინისტებს და სრული დომხალი სამშობლოს დაცვის საკითხში. პოლიტიკურად ეს არის ინტერნაციონალიზმის შეცვლა მეშჩანური ნაციონალიზმით და რეფორმიზმის მხარეზე გადასვლა, რევოლუციაზე უარისთქმა.

«სამშობლოს დაცვის» აღიარება, პროლეტარიატის თვალსაზრისით, ახლანდელი ომის გამართლებაა, მისი კანონიერების აღიარებაა. ხოლო რადგან ომი იმპერიალისტური რჩება

(მონარქიის დროსაც და რესპუბლიკის დროსაც) — დამოუკიდებლად იმისა, თუ სად იმყოფებიან ამა თუ იმ მომენტში მტრის ჯარები, ჩემს თუ უცხო ქვეყანაში, — ამიტომ სამშობლოს დაცვის აღიარება ნამდვილად არის იმპერიალისტური, მძარცველური ბურჟუაზიისათვის მხარისდაჭერა, სოციალიზმის სრული ღალატი. რუსეთში კერენსკის დროსაც, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ომი ისევ იმპერიალისტური რჩებოდა, ვინაიდან მას აწარმოებდა ბურჟუაზია, როგორც გაბატონებული კლასი (ომი კი «პოლიტიკის განგრძობაა»); და ომის იმპერიალისტური ხასიათის განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოხატულება იყო ის საიდუმლო ხელშეკრულებანი მსოფლიოს გაყოფისა და უცხო ქვეყნების გაძარცვის შესახებ, რომლებიც ყოფილ მეფეს დადებული ჰქონდა ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებთან.

მენშევიკები ურცხვად ატყუებდნენ ხალხს, როდესაც ასეთ ომს თავდაცვითს ან რევოლუციურს უწოდებდნენ, და კაუცკი, იწონებს რა მენშევიკების პოლიტიკას, ამით იწონებს ხალხის მოტყუებას, იწონებს წვრილი ბურჟუების როლს, რომლებიც ემსახურებოდნენ კაპიტალს იმით, რომ ატყუებდნენ მუშებს, აბამდნენ მათ იმპერიალისტების ეტლზე. კაუცკი ტიპიურად მეშჩანურ, ფილისტერულ პოლიტიკას ატარებს, როდესაც ფიქრობს (და მასებს უნერგავს სულელურ აზრს), თითქოს ლოზუნგის წამოყენება ცვლიდეს საქმეს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი ისტორია ამხელს ამ ილუზიას: ხალხის მოსატყუებლად ბურჟუაზიული დემოკრატები ყოველთვის აყენებდნენ და ყოველთვის აყენებენ როგორსაც გნებავთ «ლოზუნგებს». საქმე ის არის, რომ შევამოწმოთ მათი გულწრფელობა, რომ სიტყვას დავუპირისპიროთ საქმე, რომ არ დავკმაყოფილდეთ იდეალისტური ან შარლატანური ფრაზით, არამედ გამოვარკვიოთ კლასობრივი რეალობა. იმპერიალისტური ომი იმპერიალისტური აღარ არის არა მაშინ, როდესაც შარლატნები ან ფრაზიორები, ან მეშჩან-ფილისტერები მოთაფლულ «ლოზუნგს» წამოაყენებენ, — არამედ მხოლოდ მაშინ, როდე-

საც კ ლ ა ს ი, რომელიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებს და მასთან მილიონი ეკონომიური ძაფით (ხანდახან ბაწრებითაც კი) არის დაკავშირებული, ნამდვილად დ ა მ ხ ო ბ ი ლ ი ა და როდესაც მის ნაცვლად ნამდვილად რევოლუციური კლასი, პროლეტარიატი დგება ხელისუფლების სათავეში. ს ხ ვ ა- ნ ა ი რ ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა თ ა ვ ი დ ა ა ღ წ ი ო ი მ- პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ო მ ს, ა გ რ ე თ ვ ე ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს- ტ უ რ, მ ძ ა რ ც ვ ე ლ უ რ ზ ა ვ ს.

როცა კაუცკი იწონებს მენშევიკების საგარეო პოლიტიკას, როცა აცხადებს მას ინტერნაციონალისტურ და ციმერვალ- დისტურ პოლიტიკად, ის ამით, ჯერ ერთი, ცხადყოფს ციმერ- ვალდური, ოპორტუნისტული, უმრავლესობის მთელ სი- დამპლეს (ტყუილად კი არ გავემიჯნეთ ჩვენ, ციმერვალდის მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ ი[108], მაშინვე ასეთ უმრავლესობას!), მეორეც, — და ეს უმთავრესია, — კაუცკი პროლეტარიატის პოზიციიდან გადადის წვრილი ბურჟუაზიის პოზიციაზე, რევო- ლუციური პოზიციიდან — რეფორმისტულ პოზიციაზე.

პროლეტარიატი იბრძვის იმპერიალისტური ბურჟუაზიის რევოლუციური დამხობისათვის, წვრილი ბურჟუაზია — იმპე- რიალიზმის რეფორმისტული «გაუმჯობესებისათვის», მასთან შეგუებისათვის ისე, რომ მას დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო ს. როცა კაუცკი ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, მაგალითად, 1909 წელს, როცა ის წერდა წიგნს «გზა ძალაუფლებისაკენ», ის იცავდა სწორედ იმ იდეას, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა გარდუვალია ომთან დაკავშირებით, ის ლაპარაკობდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ე ბ ი ს ე პ ო ქ ი ს მოახლოებაზე. ბაზელის 1912 წლის მანიფესტი[109] პირდაპირ და გარკვევით ლაპარაკობს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ზ ე სწორედ იმ იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, რომელმაც გერმანიისა და ინგლისის ჯგუფებს შორის 1914 წელს იფეთქა. და 1918 წელს, როდესაც ომთან დაკავშირებით რევოლუციები დაიწყო, ნაცვლად იმისა, რომ მათი გარდუვალობა განემარტა, ნაცვლად იმისა, რომ ბო- ლომდე მოესაზრა და გამოერკვია რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ტაქტიკა, რევოლუციისათვის მზადების საშუალებანი და

ხერხები, კაუცკი ინტერნაციონალიზმად ნათლავს მენშევიკეების რეფორმისტულ ტაქტიკას. განა ეს რენეგატობა არ არის?

მენშევიკებს კაუცკი იმისათვის აქებს, რომ ისინი არმიის საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. ბოლშევიკებს ის იმიტომ გმობს, რომ ისინი აძლიერებდნენ უმისოდაც უკვე დიდ «დეზორგანიზაციას არმიაში». ეს იმას ნიშნავს, რომ შეაქო რეფორმიზმი და იმპერიალისტური ბურჟუაზიისადმი დამორჩილება, დაგმო რევოლუცია, უარი თქვა მასზე. ვინაიდან კერენსკის დროს არმიის საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება იმას ნიშნავდა და წარმოადგენდა, რომ არმია შენარჩუნებული ყოფილიყო ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი სარდლობით (თუნდაც რესპუბლიკურით). ყველასათვის ცნობილია — და ეს მოვლენათა მსვლელობამ ნათლად დაადასტურა, — რომ ეს რესპუბლიკური არმია კ ო რ ნ ი ლ ო ვ ი ს ე ბ უ რ სულისკვეთებას ინარჩუნებდა კორნილოველ მეთაურთა შემადგენლობის წყალობით. ბურჟუაზიული ოფიცრობა არ შეიძლებოდა კორნილოვისებური არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა, რომ მას არა ჰქონოდა მიდრეკილება იმპერიალიზმისაკენ, პროლეტარიატის ძალდატანებით დათრგუნვისაკენ. იმპერიალისტური ომის ყველა საფუძვლის, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დიქტატურის ყველა საფუძვლის ძველებურად დატოვება, წვრილმანების შეკეთება, უმნიშვნელო რამეების შეფერადება («რეფორმები») — ეი რას ნიშნავდა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მენშევიკური ტაქტიკა.

და პირიქით. არმიის «დეზორგანიზაციის» გარეშე არც ერთი დიდი რევოლუცია არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. ვინაიდან არმია არის ძველი წყობილების დაცვის ყველაზე გაქვავებული ინსტრუმენტი, ბურჟუაზიული დისციპლინის, კაპიტალის ბატონობის დაცვის, მონური მორჩილების შენარჩუნებისა და აღზრდის და კაპიტალისადმი მშრომელთა დამორჩილების ყველაზე მტკიცე საყრდენი. კონტრრევოლუცია არასოდეს არ ითმენდა და ვერც მოითმენდა შეიარაღებულ მუშებს არმიის გვერდით. საფრან-

გეთში, — წერდა ენგელსი, — ყოველი რევოლუციის შემდეგ მუშები შეიარაღებული იყვნენ ხოლმე; «ამიტომ ბურჟუებისათვის, რომლებსაც ხელთ ეპყრათ სახელმწიფო საჭე, პირველი მცნება იყო მუშების განიარაღება» [110]. შეიარაღებული მუშები ახალი არმიის ჩანასახს, ახალი საზოგადოებრივი წყობილების ორგანიზაციულ უჯრედს წარმოადგენდნენ. ბურჟუაზიის პირველი მცნება იყო გაესრისა ეს უჯრედი, არ დაეშვა მისი გაზრდა. ყოველი ძლევამოსილი რევოლუციის პირველი მცნება — მარქსი და ენგელსი მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამას — იყო: ძველი არმიის დამსხვრევა, მისი დაშლა, მისი შეცვლა ახალი არმიით [111]. ახალ საზოგადოებრივ კლასს, ბატონობისაკენ რომ მიისწრაფვის, არასოდეს არ შეძლებია და არც ახლა შეუძლია მიაღწიოს ამ ბატონობას და განამტკიცოს იგი სხვაგვარად, თუ მან სავსებით არ გახრწნა ძველი არმია (რეაქციული ან პირდაპირ მხდალი მეშჩანები ამის გამო მოთქვამენ — «დეზორგანიზაციაო»); თუ მან სრულიად უარმიოდ არ გამოიარა უაღრესად მძიმე, უაღრესად დამტანჯველი პერიოდი (ეს დამტანჯველი პერიოდი გამოიარა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამაც); თუ მან თანდათან არ შექმნა, თუ მძიმე სამოქალაქო ომში არ შექმნა ახალი კლასის ახალი არმია, ახალი დისციპლინა, ახალი სამხედრო ორგანიზაცია. ისტორიკოს კაუცკის ეს წინათ ესმოდა. რენეგატ კაუცკის ეს დააავიწყდა.

რა უფლება აქვს კაუცკის «მთავრობის სოციალისტები» უწოდოს შეიდემანებს, თუ ის იწონებს მენშევიკების ტაქტიკას რუსეთის რევოლუციაში? მენშევიკები, როდესაც ისინი მხარს უჭერდნენ კერენსკის და მის სამინისტროში შედიოდნენ, სწორედ ასევე მთავრობის სოციალისტები იყვნენ. ამ დასკვნიდან კაუცკი ვერასგზით ვერ დაიძვრენს თავს, თუკი შეეცდება დასვას იმ გაბატონებული კლასის საკითხი, რომელიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებს. მაგრამ კაუცკი გაურბის დასვას გაბატონებული კლასის საკითხი, მარქსისტისათვის სავალდებულო საკითხი,

რადგან ასეთი საკითხის მარტოოდენ დასმაც კი ამხილებდა რენეგატს.

კაუცკიანელები გერმანიაში, ლონგეტისტები საფრანგეთში, ტურატი და მისი კომპანია იტალიაში ასე მსჯელობენ: სოციალიზმი გულისხმობს ერების თავისუფლებასა და თანასწორობას, მათ თვითგამორკვევას; ამიტომ, როცა ჩვენს ქვეყანას თავს ესხმიან ან როცა მტრის ჯარები ჩვენს მიწა-წყალს შემოესივნენ, სოციალისტებს უფლება აქვთ და ვალდებულნიც არიან სამშობლო დაიცვანო. მაგრამ ეს მსჯელობა თეორიულად ან სულერთიანად აბუჩად აგდებაა სოციალიზმისა, ან თაღლითურად თავის დაძვრენა, პრაქტიკულ-პოლიტიკურად კი ეს მსჯელობა თან ემთხვევა იმ სავსებით უმეცარი გლეხის მსჯელობას, რომელსაც ფიქრიც კი არ შეუძლია ომის სოციალურ, კლასობრივ ხასიათზე და რეაქციული ომის დროს რევოლუციური პარტიის ამოცანებზე.

სოციალიზმი ერების მიმართ ძალდატანების წინააღმდეგია. ეს უდავოა. მაგრამ სოციალიზმი საერთოდ წინააღმდეგია ძალდატანებისა ადამიანთა მიმართ. მიუხედავად ამისა, ქრისტიანი ანარქისტებისა და ტოლსტოველების გარდა, აქედან ჯერ კიდევ არავის გამოუყვანია დასკვნა, რომ სოციალიზმი რევოლუციური ძალდატანების წინააღმდეგია. მაშასადამე, საერთოდ «ძალდატანების» შესახებ ლაპარაკი, დამოუკიდებლად იმ პირობებისა, რომლებიც რეაქციულ ძალდატანებას რევოლუციური ძალდატანებისაგან განასხვავებენ, იმას ნიშნავს, რომ იყო მეშჩანი, რომელიც რევოლუციაზე ხელს იღებს, ან იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ მოატყუო თავის თავიც და სხვებიც სოფისტიკით.

იგივე ითქმის ერების მიმართ ძალდატანების შესახებაც. ყოველი ომი ერების მიმართ ძალდატანებით გამოიხატება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სოციალისტებს რევოლუციური ომის მომხრენი იყვნენ. ომის კლასობრივი ხასიათი — ეი ძირითადი საკითხი, რომელიც სოციალისტის წინაშე დგას (თუკი ის რენეგატი არ არის). 1914 — 1918 წლების იმპე-

რიალისტური ომი არის ომი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ორ ჯგუფს შორის მსოფლიოს გაყოფისათვის, ნადავლის გაყოფისათვის, პატარა და სუსტი ერების გაძარცვისა და ჩახრჩობისათვის. ამგვარად შეაფასა ომი 1912 წელს ბაზელის მანიფესტმა, ასეთი შეფასება დაადასტურეს ფაქტებმა. ვინც უარყოფს ასეთ თვალსაზრისს ომზე, ის სოციალისტი არ არის.

თუ ვილჰელმის დროს გერმანელი, ან კლემანსოს დროს ფრანგი ამბობს: მე, როგორც სოციალისტს, უფლება მაქვს და ვალდებულიც ვარ სამშობლო დავიცვა, თუ მტერი ჩემს ქვეყანას შემოესიაო, ეს არის მსჯელობა არა სოციალისტისა, არა ინტერნაციონალისტისა, არა რევოლუციური პროლეტარისა, არამედ მ ე შ ჩ ა ნ-ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ი ს ა. რადგან ამგვარ მსჯელობაში ქრება მუშის კლასობრივი რევოლუციური ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, ქრება მთლიანად აღებული მ თ ე ლ ი ომის შეფასება მსოფლიო ბურჟუაზიისა და მსოფლიო პროლეტარიატის თვალსაზრისით, ე. ი. ქრება ინტერნაციონალიზმი, რჩება უბადრუკი, დამყაყებული ნაციონალიზმი. რაკი ჩემს ქვეყანას ჩაგრავენ, მე მეტისათვის არა მცხელა, — აი სადამდე მიდის ამგვარი მსჯელობა, აი რაში მდგომარეობს მისი მეშჩანურ-ნაციონალისტური შეზღუდულობა. ეს იგივეა, ინდივიდუალური ძალდატანების, ერთი პირის მიმართ ძალდატანების გამო ვინმე რომ მსჯელობდეს: სოციალიზმი ძალდატანების წინააღმდეგია, ამიტომ სჯობს ღალატი ჩავიდინო, ვიდრე საპყრობილეში ჩავჯდეო.

ის ფრანგი, გერმანელი თუ იტალიელი, რომელიც ამბობს: სოციალიზმი ერების მიმართ ძალდატანების წინააღმდეგია, ა მ ი ტ ო მ მე თავს ვიცავ, როცა მტერი ჩემს ქვეყანას შემოესიაო, ღ ა ლ ა ტ ო ბ ს სოციალიზმს და ინტერნაციონალიზმს. ვინაიდან ასეთი ადამიანი მ ხ ო ლ ო დ თავის «ქვეყანას» ხ ე დ ა ვ ს, ყველაფერზე მაღლა «თავის»... ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს აყენებს და არ ფიქრობს იმ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ზ ე, რომელიც ომს

იმპერიალისტურ ომად აქცევს, რომელიც მ ი ს ბურჟუაზიას იმპერიალისტური ძარცვის ჯაჭვის რგოლად ხდის.

ყოველი მეშჩანი, ყოველი გონებაჩლუნგი და უმეცარი გლეხიც ისე მსჯელობს, როგორც რენეგატი კაუცკიანელები, ლონგეტისტები, ტურატი და მისი კომპანია მსჯელობენ, სახელდობრ: ჩემს ქვეყანას მტერი შემოესია და მე სხვა არაფრისათვის არა მცხელაო *.

სოციალისტი, რევოლუციური პროლეტარი, ინტერნაციონალისტი სხვაგვარად მსჯელობს: ომის ხასიათი (რეაქციულია იგი თუ რევოლუციური) იმაზე როდია დამოკიდებული, თუ ვინ ვის დაესხა თავს, თუ ვის ქვეყანაშია «მტერი», არამედ ი მ ა ზ ე, თ უ რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი აწარმოებს ომს, თუ როგორი პოლიტიკის განგრძობაა ესა თუ ის ომი. თუ მოცემული ომი რეაქციული იმპერიალისტური ომია, ე. ი. ისეთი ომი, რომელსაც აწარმოებს იმპერიალისტური, მოძალადე, მძარცველი, რეაქციული ბურჟუაზიის ორი მსოფლიო ჯგუფი, მაშინ ყოველი ბურჟუაზია (თვით პატარა ქვეყნისაც) ძარცვის მონაწილედ იქცევა, და ჩემს ამოცანას, რევოლუციური პროლეტარიატის წარმომადგენლის ამოცანას, შეადგენს მ ს ო ფ ლ ი ო პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს, როგორც მსოფლიო ომის საშინელებათაგან **ერთადერთი** ხსნის, მომზადება. მე «ჩემი» ქვეყნის თვალსაზრისით კი არ უნდა ვმსჯელობდე (ვინაიდან ეს არის

* სოციალ-შოვინისტები (შეიდემანები, რენოდელები, ჰენდერსონები, ჰომპერსები და მათი კომპანია) ომის დროს ხელს იღებენ «ინტერნაციონალის» შესახებ ყოველგვარ ლაპარაკზე. ისინი «თ ა ვ ი ა ნ თ ი» ბურჟუაზიის მტრებს... სოციალიზმის «მოღალატეებად» თვლიან. ისინი თ ა ვ ი ა ნ თ ი ბურჟუაზიის დაპყრობითი პოლიტიკის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან. სოციალ-პაციფისტები (ე. ი. სიტყვით სოციალისტები, ნამდვილად კი მეშჩანური პაციფისტები) ყოველგვარ «ინტერნაციონალისტურ» გრძნობებს გამოთქვამენ, ილაშქრებენ ანექსიებისა და სხვათა წინააღმდეგ, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი კ ვ ლ ა ვ მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ე ნ თ ა ვ ი ა ნ თ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. ამ ორ ტიპს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, დაახლოებით ისეთივე, როგორიც არის განსხვავება ტკბილად მოუბარ კაპიტალისტსა და ბოროტად მოუბარ კაპიტალისტს შორის.

მსჯელობა უბადრუკი რეგვენისა, ნაციონალისტი მეშჩანისა, რომელსაც არ ესმის, რომ ის სათამაშოა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელში), არამედ უნდა ვმსჯელობდე მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მომზადებაში, პროპაგანდასა და მოახლოებაში ჩემი მონაწილეობის თვალსაზრისით.

აი რა არის ინტერნაციონალიზმი, აი როგორია ინტერნაციონალისტის, რევოლუციური მუშის, ნამდვილი სოციალისტის ამოცანა. აი როგორი ანაბანა «დავიწყებია» რენეგატ კაუცკის. და მისი რენეგატობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა ის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტების (რუსეთში მენშევიკების, საფრანგეთში ლონგეტისტების, იტალიაში ტურატების, გერმანიაში ჰააზების და მათი კომპანიის) ტაქტიკის მოწონებიდან ბოლშევიკების ტაქტიკის კრიტიკაზე გადადის. აი ეს კრიტიკაც:

«ბოლშევიკური რევოლუცია იმ ვარაუდზე იყო აგებული, რომ იგი ევროპის საყოველთაო რევოლუციის გამოსავალი პუნქტი გახდებოდა; რომ რუსეთის გაბედული ინიციატივა მთელი ევროპის პროლეტარებს წაეკეზებდა ასამხედრებლად.

ასეთი ვარაუდის დროს, რა თქმა უნდა, სულ ერთი იყო, თუ რანაირ ფორმას მიიღებდა რუსეთის სეპარატული ზავი, რა სიმძიმესა და ტერიტორიის დაკარგვას (სიტყვასიტყვით: ასოთდაზიანებას ან დასახიჩრებას, Verstümmelungen) არგუნებდა ის რუს ხალხს, ერების თვითგამორკვევის რანაირ განსაზღვრას მოგვცემდა იგი. მაშინ სულ ერთი იყო აგრეთვე, შეეძლო თუ არა რუსეთს თავი დაეცვა. ევროპის რევოლუცია, ამ შეხედულების მიხედვით, რუსეთის რევოლუციის საუკეთესო დაცვას წარმოადგენდა, მას სრული და ნამდვილი თვითგამორკვევა უნდა მიენიჭებინა წინანდელი რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის.

ევროპის რევოლუცია, რომელიც იქ სოციალიზმს დაამყარებდა და ვანმტკიცებდა, ამასთანავე იმ დაბრკოლებათა დაძლევის საშუალებაც უნდა გამხდარიყო, რომლებსაც ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა უქმნიდა რუსეთში სოციალისტური წარმოების განხორციელებას.

ყველაფერი ეს ძალიან ლოგიკურად და კარგად იყო დასაბუთებული, თუკი ჩვენ ძირითად ვარაუდს მივიღებთ: რომ რუსეთის რევოლუციას აუცილებლად ევროპის რევოლუცია უნდა მოყვეს. მაგრამ თუ ასე არ მოხდება, მაშინ რაღა იქნება?

ეს ვარაუდი დღემდე არ გამართლებულა, და ახლა ევროპის პროლეტარებს ბრალს სდებენ, რომ მათ მიატოვეს და გასცეს რუსეთის რევოლუცია. ეს არის ბრალდება უცნობთა წინააღმდეგ, ვინაიდან ვინ უნდა გავხადოთ პასუხისმგებელი ევროპის პროლეტარიატის მოქმედებისათვის?» (გვ. 28).

და კაუცკი დამატებით ღეჭავს, რომ მარქსი, ენგელსი, ბებელი არა ერთხელ შემცდარან იმ რევოლუციის დადგომის საკითხში, რომელსაც ისინი მოელოდნენ, მაგრამ რომ ისინი თავიანთ ტაქტიკას არასოდეს არ აშენებდნენ რევოლუციის მოლოდინზე «გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ვ ა დ ა შ ი» (გვ. 29), მაშინ როცა ბოლშევიკებმა «ყველაფერი საყოველთაო ევროპული რევოლუციის სასწორზე დადესო».

ჩვენ განზრახ ამოვწერეთ ესოდენ გრძელი ციტატი, რათა მკითხველისათვის ნათლად გვეჩვენებინა, თუ რა «ოსტატურად» აყალბებს კაუცკი მარქსიზმს, ცვლის რა მას უხამსი და რეაქციული მეშჩანური შეხედულებით.

ჯერ ერთი, მოწინააღმდეგისათვის აშკარა სისულელის მიწერა და მერე მისი დარღვევა არცთუ ძალიან ჭკვიანი ადამიანების ხერხია. ბოლშევიკებს რომ თავიანთი ტაქტიკა იმის მოლოდინზე აეგოთ, რომ რევოლუცია სხვა ქვეყნებში გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ვ ა დ ი ს ა თ ვ ი ს მოხდებაო, ეს უეჭველად სისულელე იქნებოდა. მაგრამ ბოლშევიკურ პარტიას ეს სისულელე არ ჩაუდენია: ჩემს წერილში ამერიკელი მუშებისადმი (1918 წ. 20 აგვისტო) მე პირდაპირ ვემიჯნები ამ სისულელეს, როცა ვამბობ, რომ ჩვენ ვარაუდი გვაქვს ამერიკის რევოლუციისა, მაგრამ არა განსაზღვრული ვადისათვის. ჩემს პოლემიკაში მემარცხენე ესერებისა და «მემარცხენე კომუნისტების» წინააღმდეგ (1918 წ. იანვარი — მარტი) მე მრავალგზის გამივითარებია იგივე აზრი. კაუცკიმ პატარა... სულ პატარა სიყალბე ჩაიდინა და სწორედ მასზე ააგო თავისი კრიტიკა ბოლშევიზმისა. კაუცკიმ ერთმანეთში აურია ტაქტიკა, რომელიც ვარაუდობს ევროპის რევოლუციას ცოტად თუ ბევრად მოკლე, მაგრამ არა განსაზღვრულ ვადაში, და ტაქტიკა, რომელიც განსაზღვრულ ვადაში ვარაუდობს

ევროპის რევოლუციას. პატარა სიყალბეა, სულ მცირე სიყალბე!

მეორე ტაქტიკა სისულელეს წარმოადგენს. პირველი ტაქტიკა სავალდებულოა მარქსისტისათვის, ყოველი რევოლუციური პროლეტარისა და ინტერნაციონალისტისათვის, — სავალდებულოა, ვინაიდან მხოლოდ იგი ითვალისწინებს მარქსისტულად სწორად ომით შექმნილ ობიექტურ მდგომარეობას ევროპის ყველა ქვეყანაში, მხოლოდ იგი შეესაბამება პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ამოცანებს.

შეცვალა რა დიდი საკითხი — საერთოდ რევოლუციური ტაქტიკის საფუძვლების საკითხი მცირე საკითხით იმ შეცდომის შესახებ, რომელიც შესაძლებელი იყო რევოლუციონერ-ბოლშევიკებს ჩაედინათ, მაგრამ რომელიც მათ არ ჩაუდენიათ, კაუცკი გულდამშვიდებით გაემიჯნა რევოლუციურ ტაქტიკას საზოგადოდ!

მას, პოლიტიკაში რენეგატს, თეორიაში საკითხის დასმაც კი არ შეუძლია რევოლუციური ტაქტიკის ობიექტური წანამძღვრების შესახებ.

და აქ ჩვენ მეორე პუნქტს მივადექით.

მეორე. ევროპის რევოლუციის ვარაუდი სავალდებულოა მარქსისტისათვის, თუკი რევოლუციური სიტუაცია არსებობს. მარქსიზმის ანბანური ჭეშმარიტებაა ის, რომ სოციალისტური პროლეტარიატის ტაქტიკა არ შეიძლება ერთნაირი იყოს მაშინ, როდესაც ჩვენს წინაშეა რევოლუციური სიტუაცია, და მაშინ, როდესაც ასეთი სიტუაცია არ არსებობს.

კაუცკის რომ ეს, მარქსისტისათვის სავალდებულო, საკითხი დაეყენებინა, ის დაინახავდა, რომ პასუხი უცილობლად მის წინააღმდეგ არის მიმართული. ომამდე დიდი ხნით ადრე ყველა მარქსისტი, ყველა სოციალისტი თანახმა იყო იმაში, რომ ევროპის ომი რევოლუციურ სიტუაციას შექმნიდა. როდესაც კაუცკი ჯერ კიდევ რენეგატი არ იყო, იგი ამას აშკარად და გარკვეულად აღიარებდა — 1902 წელსაც

(«სოციალური რევოლუცია») და 1909 წელსაც («გზა ძალაუფლებისაკენ»). ბაზელის მანიფესტმა მთელი II ინტერნაციონალის სახელით აღიარა ეს: ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებს და კაუცკიანელებს («ცენტრისტებს» — რევოლუციონერებსა და ოპორტუნისტებს შუა მერყეევ ადამიანებს) ტყუილად კი არ ეშინიათ, როგორც ცეცხლის, ბაზელის მანიფესტის სათანადო განცხადებებისა!

მაშასადამე, ევროპაში რევოლუციური სიტუაციის მოლოდინი ბოლშევიკების გატაცება კი არ იყო, არამედ ყველა მარქსისტის საერთო აზრი. თუ კაუცკი ამ უდავო ჭეშმარიტებას თავიდან იშორებს ასეთი ფრაზებით, რომ ბოლშევიკებს «მუდამ სწამდათ ძალდატანებისა და ნებისყოფის ყოვლისშემძლეობაო», ეს სწორედ ცარიელი ფრაზაა, რომელიც ფარავს კაუცკის გაქცევას — და სამარცხვინო გაქცევას — რევოლუციური სიტუაციის საკითხის დასმისაგან.

შემდეგ. ნამდვილად შეიქმნა თუ არა რევოლუციური სიტუაცია? კაუცკიმ ამ საკითხის დასმაც ვერ შეძლო. ამ კითხვაზე ეკონომიური ფაქტები იძლევიან პასუხს: ომით ყველგან გამოწვეული შიმშილი და გაჩანაგება რევოლუციურ სიტუაციას მოასწავებენ. ხსენებულ კითხვაზე პოლიტიკური ფაქტებიც იძლევიან პასუხს: უკვე 1915 წლიდან ყველა ქვეყანაში ნათლად გამოაშკარავდა ძველი, დამპალი, სოციალისტური პარტიების გათიშვის პროცესი, სოციალ-შოვინისტი ბელადებისაგან პროლეტარიატის მასების ჩამოშორებისა და მარცხნივ, რევოლუციური იდეებისა და განწყობილებისაკენ, რევოლუციური ბელადებისაკენ მათი გადახრის პროცესი.

1918 წლის 5 აგვისტოს, როდესაც კაუცკი თავის ბროშურას წერდა, ამ ფაქტების არდანახვა მხოლოდ ისეთ კაცს შეეძლო, რომელსაც რევოლუციისა ეშინია, რომელიც მას ღალატობს. ახლა კი, 1918 წლის ოქტომბრის დამლევს, რევოლუცია ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ყველას თვალწინ იზრდება და ძალიან სწრაფადაც. «რევოლუციონერი» კაუცკი, რომელსაც სურს, რომ მას უწინდებურად მარქსისტად

თვლიდნენ, ისეთი ბეცი ფილისტერი აღმოჩნდა, რომელიც — მარქსის მიერ სასაცილოდ აგდებული 1847 წლის ფილისტერების მსგავსად — მოახლოებულ რევოლუციას ვერ ხედავდა!!

ჩვენ მივადექით მესამე პუნქტს.

მესამე. როგორია რევოლუციური ტაქტიკის თავისებურებანი ისეთ პირობებში, როცა ევროპაში გვაქვს რევოლუციური სიტუაცია? კაუცკის, გახდა რა ის რენეგატი, შეეშინდა დაესვა ეს, მარქსისტისათვის სავალდებულო, საკითხი. კაუცკი ისე მსჯელობს, როგორც ტიპიური ფილისტერ-მეშჩანი ან უმეცარი გლეხი: დაიწყო თუ არა «საყოველთაო ევროპული რევოლუცია»? თუ დაიწყო, მაშინ ი ს ი ც მზადაა რევოლუციონერი გახდეს! მაგრამ მაშინ — შევნიშნავთ ჩვენ — ყოველი გარეწარი (იმ არამზადების მსგავსად, რომლებიც ახლა ზოგჯერ ეტმასნებიან გამარჯვებულ ბოლშევიკებს) დაიწყებს თავისი თავის რევოლუციონერად გამოცხადებას!

თუ არა, მაშინ კაუცკი ზურგს აქცევს რევოლუციას! კაუცკის იმ ჭეშმარიტების შეგნების ნატამალიც კი არ გააჩნია, რომ რევოლუციონერ-მარქსისტს ობივატელისა და მეშჩანისაგან განასხვავებს უნარი — უ ქ ა დ ა გ ო ს ბნელ მასებს მოახლოებული რევოლუციის აუცილებლობა, ა მ ტ კ ი ც ო ს მისი გარდუვალობა, გ ა ნ მ ა რ ტ ო ს მისი სარგებლობა ხალხისათვის, ა მ ზ ა დ ო ს რევოლუციისათვის პროლეტარიატი და მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასები.

კაუცკიმ უაზრობა მიაწერა ბოლშევიკებს, თითქოს მათ სასწორზე დადეს ყველაფერი იმ ვარაუდით, რომ ევროპის რევოლუცია განსაზღვრულ ვადაში დაიწყებაო. ეს უაზრობა კაუცკის წინააღმდეგ შებრუნდა, ვინაიდან მას სწორედ ასე გამოუვიდა: ბოლშევიკების ტაქტიკა სწორი იქნებოდა, ევროპის რევოლუცია რომ 1918 წლის 5 აგვისტოსათვის დაწყებულიყო! სწორედ ამ თარიღს იხსენიებს კაუცკი, როგორც თავისი ბროშურის დაწერის დროს. და როდესაც 5 აგვისტოდან რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში რევოლუცია იწყება, მაშინ კაუცკის მთელი რენეგატობა, მთელი მისი

ფალსიფიკაცია მარქსიზმისა, მთელი მისი უუნარობა რევოლუციურად მსჯელობისა და საკითხების რევოლუციურად დასმისაც კი მთელი თავისი მშვენებით გამოაშკარავდა!

როდესაც ევროპის პროლეტარებს ღალატს აბრალებენ, — წერს კაუცკი, — ეს ბრალდება უცნობთა წინააღმდეგ არის მიმართულიო.

ცდებით, ბატონო კაუცკი! სარკეში ჩაიხედეთ და თქვენ დაინახავთ იმ «უცნობებს», რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ეს ბრალდება. კაუცკი ვითომ გულუბრყვილოა და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს არ ესმოდეს, თუ ვ ი ნ აყენებდა ასეთ ბრალდებას და რ ა ა ზ რ ი აქვს მას. ნამდვილად კი კაუცკიმ ჩინებულად იცის, რომ ამ ბრალდებას აყენებდნენ და აყენებენ გერმანელი «მემარცხენეები», სპარტაკელები [112], ლიბკნეხტი და მისი მეგობრები. ეს ბრალდება გამოხატავს იმის ნ ა თ ე ლ შ ე გ ნ ე ბ ა ს, რომ გერმანიის პროლეტარიატი ღალატობდა რუსეთის (და საერთაშორისო) რევოლუციას, როდესაც იგი ახრჩობდა ფინეთს, უკრაინას, ლატვიას, ესტონეთს. ეს ბრალდება უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად მიმართულია არა მ ა ს ი ს წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის დაბეჩავებულია, არამედ იმ ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს წინააღმდეგ, რომლებიც, შეიდემანებისა და კაუცკების მსგავსად, ა რ ა ს რ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ თავიანთ მოვალეობას — გაეწიათ რევოლუციური აგიტაცია, რევოლუციური პროპაგანდა, რევოლუციური მუშაობა მასებში მათი უძრაობის აღმოსაფხვრელად, მიმართულია იმ ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც ფაქტიურად მოქმედებდნენ იმ რევოლუციური ინსტინქტებისა და მისწრაფებათა ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ, რაც მუდამ ღვივის ჩაგრული კლასის მასის სიღრმეში. შეიდემანები პირდაპირ, ტლანქად, ცინიკურად, უმეტეს შემთხვევაში ანგარებით ღალატობდნენ პროლეტარიატს და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიოდნენ. კაუცკიანელები და ლონგეტისტები ამასვე ჩადიოდნენ ყოყმანით, ბორძიკით, თანაც ლაჩრულად შეყურებდნენ იმათ, ვინც ძლიერი იყო ამა თუ იმ წუთს. კაუცკი მთელი თავისი ნაწერებით ომის დროს

აქრობდა რევოლუციურ სულისკვეთებას ნაცვლად იმისა, რომ განემტკიცებინა, განევითარებინა იგი.

გერმანიის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის «შუათანა» ბელადის მეშჩანური გამოყეყეჩების პირდაპირ ისტორიულ ძეგლად დარჩება ის, რომ კაუცკის არც კი ესმის, თუ რა უზარმაზარი თეორიული მნიშვნელობა აქვს, თუ რა კიდევ მეტი საგიტაციო და საპროპაგანდო მნიშვნელობა აქვს ევროპის პროლეტარებისათვის იმის «დაბრალებას», რომ მათ რუსეთის რევოლუციას უღალატეს! კაუცკის არ ესმის, რომ ეს «ბრალდება» — გერმანიის «იმპერიის» საცენზურო პირობებში — თითქმის ერთადერთი ფორმაა, რომლითაც გერმანელი სოციალისტები, ლიბკნეხტი და მისი მეგობრები, რომლებსაც სოციალიზმისათვის არ უღალატნიათ, გამოხატავენ თავიანთ მოწოდებას გერმანელი მუშებისადმი — ჩამოაგდონ შეიდემანები და კაუცკები, თავიდან მოიშორონ ასეთი «ბელადები», განთავისუფლდნენ გამომაჩერჩეტებელი და გამათახსირებელი მათი ქადაგებისაგან და, მათი ნების წინააღმდეგ, მათთვის გვერდის ავლით, მათზე გადაბიჯებით, აღდგნენ რევოლუციისათვის, რევოლუციის მოსახდენად!

კაუცკის ეს არ ესმის. ან როგორ უნდა გაიგოს მან ბოლშევიკების ტაქტიკა? განა მოსალოდნელია ისეთი კაცისაგან, რომელიც ხელს იღებს რევოლუციაზე საერთოდ, რომ მან აწონ-დაწონოს და შეაფასოს რევოლუციის განვითარების პირობები ერთ-ერთ ყველაზე «ძნელ» შემთხვევაში?

ბოლშევიკების ტაქტიკა სწორი იყო, ერთადერთი ინტერნაციონალისტური ტაქტიკა იყო, ვინაიდან იგი ეყრდნობოდა არა მსოფლიო რევოლუციის ლაჩრულ შიშს, არა მეშჩანურ «ურწმენობას» მისდამი, არა ვიწრო-ნაციონალისტურ სურვილს — დაეცვათ «თავიანთი» სამშობლო (თავიანთი ბურჟუაზიის სამშობლო) და ყოველივე დანარჩენისათვის «მიეფურთხებინათ», — იგი ემყარებოდა ევროპის რევოლუციური სიტუაციის სწორ გათვალისწინებას (ომამდე,

სოციალ-შოვინისტებისა და სოციალ-პაციფისტების რენეგატობამდე საყოველთაოდ აღიარებულს). ეს ტაქტიკა ერთადერთი ინტერნაციონალისტური ტაქტიკა იყო, ვინაიდან იგი ერთ ქვეყანაში განსახორციელებლის მაქსიმუმს ატარებდა ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გამოწვევის მიზნით. ეს ტაქტიკა გაამართლა დიდმა წარმატებამ, ვინაიდან ბოლშევიზმი (სრულიადაც არა რუსი ბოლშევიკების დამსახურების გამო, არამედ იმის გამო, რომ მასები ყველგან უაღრესად თანაუგრძნობენ ნამდვილად რევოლუციურ ტაქტიკას) მსოფლიო ბოლშევიზმად გადაიქცა, მან მოგვცა იდეა, თეორია, პროგრამა, ტაქტიკა, რომელიც კონკრეტულად, პრაქტიკულად განსხვავდება სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმისაგან. ბოლშევიზმმა საბოლოოდ დაამარცხა ძველი, დამპალი ინტერნაციონალი შეიდემანებისა და კაუცკებისა, რენოდელებისა და ლონგეებისა, ჰენდერსონებისა და მაკდონალდებისა, რომლებიც ახლა ერთიმეორეს ფეხებში ედებიან, «ერთიანობის» ოცნებით და ლეშის გაცოცხლებით გართულნი. ბოლშევიზმმა შექმნა იდეური და ტაქტიკური საფუძვლები III ინტერნაციონალისა, მართლაც პროლეტარული და კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელიც ითვალისწინებს მშვიდობიანი ეპოქის მონაპოვრებსაც და დაწყებული რევოლუციების ეპოქის გამოცდილებასაც.

ბოლშევიზმმა მთელ მსოფლიოში პოპულარული გახადა «პროლეტარიატის დიქტატურის» იდეა, ლათინურიდან ეს სიტყვები ჯერ რუსულად, შემდეგ კი მსოფლიოს ყველა ენაზე გადათარგმნა და ცხადყო საბჭოთა ხელისუფლების მაგალითით, რომ თვით ჩამორჩენილი ქვეყნის, თვით ყველაზე ნაკლებად გამოცდილმა, ნაკლებად განათლებულმა და ორგანიზაციას ნაკლებად შეჩვეულმა მუშებმა და უღარიბესმა გლეხებმა შეძლეს მთელი წლის მანძილზე, უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, ექსპლოატატორებთან ბრძოლაში (რომლებსაც **მთელი** მსოფლიოს ბურჟუაზია უჭერდა მხარს) შეენარჩუნებინათ მშრომელთა ხელისუფლება,

შეექმნათ ისეთი დემოკრატია, რომელიც განუზომლად უფრო მაღალი და ფართოა, ვიდრე მსოფლიოს ყველა წინანდელი დემოკრატია, დაეწყოთ ათეულ მილიონობით მუშისა და გლეხის შემოქმედება სოციალიზმის პრაქტიკულად განსახორციელებლად.

ბოლშევიზმი საქმით ისე ძლიერ დაეხმარა პროლეტარული რევოლუციის განვითარებას ევროპასა და ამერიკაში, როგორც დღემდე არც ერთი ქვეყნის არც ერთ პარტიას არ შეძლებია დახმარებოდა. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს მუშებისათვის დღითი დღე უფრო აშკარა ხდება, რომ შეიდემანებისა და კაუცკების ტაქტიკა ვერ იხსნიდა მათ იმპერიალისტური ომისაგან და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული მონობისაგან, რომ ეს ტაქტიკა ყველა ქვეყნისათვის ნიმუშად არ გამოდგება, — ამ დროს ყველა ქვეყნის პროლეტართა მასებისათვის დღითი დღე უფრო აშკარა ხდება, რომ ბოლშევიზმმა გვიჩვენა სწორი გზა ომისა და იმპერიალიზმის საშინელებათაგან თავის დასაღწევად, რომ ბოლშევიზმი ყველასათვის გამოსადეგია როგორც ტაქტიკის ნიმუში.

არა მარტო საერთო-ევროპული, არამედ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციაც ყველას თვალწინ მწიფდება, და მას დაეხმარა, იგი დააჩქარა, მას მხარი დაუჭირა პროლეტარიატის გამარჯვებამ რუსეთში. ყოველივე ეს ცოტაა სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის? რა თქმა უნდა, ცოტაა. ერთ ქვეყანას მეტის გაკეთება არ შეუძლია. მაგრამ ამ ერთმა ქვეყანამ, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, მაინც იმდენი გააკეთა, რომ, მსოფლიო იმპერიალიზმმა თუნდაც ხვალვე გასრისოს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება, ვთქვათ, ინგლისსაფრანგეთის იმპერიალიზმთან გერმანიის იმპერიალიზმის შეთანხმების გზით, თვით ამ, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც, ბოლშევიკური ტაქტიკა ისეთი ტაქტიკა აღმოჩნდებოდა, რომელმაც უდიდესი სარგებლობა მოუტანა სოციალიზმს და ხელი შეუწყო უძლეველი მსოფლიო რევოლუციის ზრდას.

ბურჟუაზიისადმი სამსახური «ეკონომიური ანალიზის» ნიღაბით

როგორც უკვე ნათქვამი იყო, კაუცკის წიგნს — სათაური რომ სწორად გადმოსცემდეს შინაარსს — უნდა რქმეოდა არა «პროლეტარიატის დიქტატურა», არამედ «ბოლშევიკებზე ბურჟუაზიული თავდასხმების გადამღერება».

მენშევიკების ძველი «თეორიები» რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ, ე. ი. მენშევიკების მიერ მარქსიზმის ძველი დამახინჯება (1905 წელს კაუცკის მიერ უკუგდებული!), ახლა კვლავ გაცოცხლებულია ჩვენი თეორეტიკოსის მიერ. საჭირო გახდება ამ საკითხზე შეჩერება, რაც უნდა მოსაწყენი იყოს იგი რუსი მარქსისტებისათვის.

რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიულიაო, — ამბობდა რუსეთის ყველა მარქსისტი 1905 წლის წინ. მენშევიკები მარქსიზმს ლიბერალიზმით ცვლიდნენ და აქედან დაასკვნიდნენ: მაშასადამე, პროლეტარიატი არ უნდა გასცილდეს იმას, რაც მისაღებია ბურჟუაზიისათვის, მან უნდა აწარმოოს ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკაო. ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ ეს ლიბერალურ-ბურჟუაზიული თეორიაა. ბურჟუაზია მიისწრაფვის სახელმწიფო ბურჟუაზიულად გარდაქმნას რეფორმისტული და არა რევოლუციური გზით, შეძლებისამებრ შეინარჩუნოს მონარქიაც, მემამულური მიწათმფლობელობაც და ა. შ.. პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და ხელფეხი არ «შეიკრას» ბურჟუაზიის რეფორმიზმით. ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ძალთა კლასობრივი თანაფარდობა ბოლშევიკებს ასე ჰქონდათ ფორმულირებული: პროლეტარიატი, შემოიერთებს რა გლეხობას, ანეიტრალებს ლიბერალურ ბურჟუაზიას და ბოლომდე ანგრევს მონარქიას, შუასაუკუნეობრიობას, მემამულურ მიწათმფლობელობას.

პროლეტარიატის კავშირში გლეხობასთან საერთოდ აშკარავდება რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი, ვინაიდან გლეხობა საერთოდ წარმოადგენს წვრილ მწარმოებლებს,

რომლებიც სასაქონლო წარმოების ნიადაგზე დგანან. შემდეგ, დასძენდნენ მაშინვე ბოლშევიკები, შეიერთებს რა მთელ ნახევრადპროლეტარიატს (ყველა ექსპლოატირებულსა და მშრომელს), პროლეტარიატი საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციას ახდენს და ამხობს ბურჟუაზიას: ეს არის სოციალისტური რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაგან განსხვავებით (იხ. ჩემი 1905 წლის ბროშურა: «ორი ტაქტიკა», გადმობეჭდილი კრებულში: «12 წლის მანძილზე», პეტერბურგი, 1907 წელი).

კაუცკიმ 1905 წელს არაპირდაპირი მონაწილეობა მიიღო ამ დავაში, როცა მაშინდელი მენშევიკის პლეხანოვის შეკითხვის გამო არსებითად პლეხანოვის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, რამაც მაშინ ბოლშევიკური პრესის მხრივ განსაკუთრებული დაცინვა გამოიწვია. ახლა კაუცკი ერთი სიტყვითაც არ იხსენებს მაშინდელ დავას (ეშინია ამხილონ მისივე განცხადებებით!) და ამით გერმანელ მკითხველს უსპობს ყოველგვარ შესაძლებლობას გაიგოს საქმის არსი. ბატონ კაუცკის 1918 წელს არ შეეძლო მოეთხრო გერმანელი მუშებისათვის ის, თუ როგორ ემხრობოდა იგი 1905 წელს მუშების კავშირს გლეხობასთან, და არა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, და რა პირობით იცავდა ამ კავშირს, რა პროგრამას ითვალისწინებდა ამ კავშირისათვის.

კაუცკი უკან-უკან იხევს და, ვითომდა «ეკონომიური ანალიზიაო», ამპარტავნული ფრაზებით «ისტორიული მატერიალიზმის» შესახებ, ახლა იცავს მუშების დამორჩილებას ბურჟუაზიისადმი, ღეჭავს რა, მენშევიკ მასლოვიდან მოყვანილი ციტატების საშუალებით, მენშევიკების ძველ ლიბერალურ შეხედულებებს; ამასთან ციტატებით ამტკიცებს ახალ აზრს რუსეთის ჩამორჩენილობის შესახებ, დასკვნას კი ამ ახალი აზრიდან ძველს აკეთებს, იმ დასკვნას, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის დროს არ შეიძლება ბურჟუაზიაზე შორს წასვლაო! და ეს — წინააღმდეგ ყოველივე იმისა, რასაც ამბობდნენ მარქსი და ენგელსი, როდესაც საფრანგეთის

1789 — 1793 წლების ბურჟუაზიულ რევოლუციას ადარებდნენ გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას! [113].

ვიდრე კაუცკის მთავარ «საბუთზე» და მის მიერ მოცემული «ეკონომიური ანალიზის» მთავარ შინაარსზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ პირველივე ფრაზები ააშკარავებენ ავტორის აზრთა კურიოზულ დაბნეულობას ან აზრთა მოუფიქრებლობას:

«რუსეთის ეკონომიურ საფუძველს — გვამცნობს ჩვენი «თეორეტიკოსი» — დღემდე წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, და ისიც სწორედ წვრილი გლეხური წარმოება. ამით ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით $^4/_5$, იქნებ, $^5/_6$-იც კი» (გვ. 45). ჯერ ერთი, პატივცემულო თეორეტიკოსო, ჩაფიქრებიხართ თუ არა თქვენ იმას, თუ რამდენი შეიძლება იყოს ექსპლოატატორი წვრილ მწარმოებელთა ამ მასაში? რა თქმა უნდა, არაუმეტეს მთელი რაოდენობის $^1/_{10}$-ისა, ქალაქებში ხომ კიდევ ნაკლები, ვინაიდან იქ მსხვილი მრეწველობა უფრო განვითარებულია. აიღეთ თუგინდ წარმოუდგენლად დიდი ციფრი, ვთქვათ, რომ წვრილ მწარმოებელთა $^1/_5$ ექსპლოატატორები არიან, რომლებიც საარჩევნო უფლებას კარგავენ. მაშინაც კი მიიღებთ, რომ 66 პროცენტი ბოლშევიკები საბჭოების V ყრილობაზე მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს წარმოადგენდნენ. ამას კიდევ უნდა მიემატოს, რომ მემარცხენე ესერებში ყოველთვის იყო საგრძნობი ნაწილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას უჭერდა მხარს, ე. ი. პრინციპულად ყ ვ ე ლ ა მემარცხენე ესერი საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყო, ხოლო როდესაც 1918 წლის ივლისში მემარცხენე ესერების ნაწილი აჯანყდა — ავანტიურის გზას დაადგა, მათ გამოეყო მათი ყოფილი პარტიიდან ორი ახალი პარტია, «ნაროდნიკ-კომუნისტებისა» და «რევოლუციური კომუნისტებისა» [114] (ცნობილი მემარცხენე ესერებიდან, რომლებსაც ჯერ კიდევ ძველი პარტია აყენებდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პოსტებზე; პირველს ეკუთვნის, მაგალითად, ზაკსი, მეორეს — კოლეგაევი). მაშასადამე, კაუცკიმ თვითონ გააქარწყლა —

უნებურად! — სასაცილო ზღაპარი, თითქოს ბოლშევიკებს მოსახლეობის უმცირესობა უჭერდეს მხარს.

მეორე, პატივცემულო თეორეტიკოსო, ჩაფიქრებიხართ თუ არა თქვენ იმას, რომ წვრილი გლეხი-მწარმოებელი გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ მერყეობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის? ეს მარქსისტული ჭეშმარიტება, ევროპის მთელი უახლესი ისტორიით დადასტურებული, კაუცკიმ სწორედ კარგ დროს «დაივიწყა», ვინაიდან ეს ჭეშმარიტება აცამტვერებს მთელ მენშევიკურ «თეორიას», რომელსაც ის იმეორებს! კაუცკის რომ ეს არ «დაევიწყნა», ის ვერ უარყოფდა პროლეტარული დიქტატურის აუცილებლობას ისეთ ქვეყანაში, სადაც წვრილი გლეხი-მწარმოებელი ჭარბობს. — — —

განვიხილოთ ჩვენი თეორეტიკოსის «ეკონომიური ანალიზის» მთავარი შინაარსი.

საბჭოთა ხელისუფლება რომ დიქტატურაა, ეს უდავოა, — ამბობს კაუცკი. «მაგრამ არის თუ არა ეს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურა?» (გვ. 34).

«გლეხები, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, იმ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში. ის, რასაც ჩვენ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურად გვიხატავენ, აღმოჩნდებოდა, იგი რომ თანმიმდევრულად ყოფილიყო გატარებული და ერთ კლასს რომ შეძლებოდა, თუ საერთოდ ვიტყვით, უშუალოდ განეხორციელებინა დიქტატურა, რაც შეიძლება განახორციელოს მხოლოდ პარტიამ, — მაშინ იგი აღმოჩნდებოდა გ ლ ე ხ ო ბ ი ს დიქტატურა» (გვ. 35).

და, უაღრესად კმაყოფილი ესოდენ ღრმააზროვანი და გონებამახვილი მსჯელობით, გულკეთილი კაუცკი ცდილობს იოხუნჯოს: «თითქოს ისე გამოდის, რომ სოციალიზმის ყველაზე უფრო უმტკივნეულო განხორციელება უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც ეს საქმე გლეხთა ხელში გადავა» (გვ. 35).

უაღრესად დაწვრილებით, ნახევრადლიბერალ მასლოვიდან მოყვანილ ფრიად მეცნიერულ ციტატებთან ერთად, ჩვენი თეორეტიკოსი ამტკიცებს ახალ აზრს იმის შესახებ, რომ

გლეხები დაინტერესებული არიან პურის მაღალი ფასებით, ქალაქის მუშების დაბალი ხელფასით და სხვ. და სხვ.. ეს ახალი აზრები, სხვათა შორის, იმდენად უფრო თავმომაბეზრებლადაა გადმოცემული, რამდენადაც ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ომისშემდგომი დროის მართლაცდა ახალ მოვლენებს, მაგალითად, იმას, რომ გლეხები პურში ფულს კი არ მოითხოვენ, არამედ საქონელს, რომ გლეხებს აკლიათ იარაღები, რომლებსაც საკმაო რაოდენობით ვერ იშოვნით, რამდენი ფულიც არ უნდა დახარჯოთ. ამაზე კიდევ ცალკე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

აბრიგად, კაუცკი ბრალად სდებს ბოლშევიკებს, პროლეტარიატის პარტიას, რომ მან დიქტატურა ხელში ჩაუგდო, სოციალიზმის განხორციელების საქმე ხელში ჩაუგდო წვრილბურჟუაზიულ გლეხობას. კარგი, ბატონო კაუცკი! როგორი უნდა ყოფილიყო, თქვენი განათლებული აზრით, პროლეტარული პარტიის დამოკიდებულება წვრილბურჟუაზიული გლეხობისადმი?

ამაზე ჩვენმა თეორეტიკოსმა გაჩუმება ამჯობინა, — ალბათ, მას მოაგონდა ანდაზა: «თქმა ვერცხლია, გაჩუმება კი ოქრო». მაგრამ კაუცკიმ თავისი თავი ამხილა შემდეგი მსჯელობით:

«საბჭოთა რესპუბლიკის პირველ ხანებში გლეხთა საბჭოები საერთოდ **გ ლ ე ხ ობ ი ს** ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ახლა ეს რესპუბლიკა აცხადებს. რომ საბჭოები პროლეტარებისა და **ღ ა რ ი ბ ი** გლეხების ორგანიზაციებს წარმოადგენენ. შეძლებულნი კარგავენ საბჭოების არჩევის უფლებას. ღარიბი გლეხი აქ აღიარებულია სოციალისტური აგრარული რეფორმის მუდმივ და მასობრივ პროდუქტად «პროლეტარიატის დიქტატურის» დროს» (გვ. 48).

რა მომაკვდინებელი ირონიაა! რუსეთში მას ყოველი ბურჟუისაგან გაიგონებთ: ისინი ყველანი ბოროტად ხარობენ და ხითხითებენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა აშკარად აღიარებს ულარიბეს გლეხთა არსებობას. ისინი დასცინიან სოციალიზმს. ეს მათი უფლებაა. მაგრამ «სოციალისტი», რომელიც დასცინის იმას, რომ ოთხი წლის ფრიად გამაჩანაგებელი ომის

შემდეგ ჩვენში რჩებიან — და დიდხანსაც დარჩებიან — უღარიბესი გლეხები — ასეთი «სოციალისტი» შეიძლებოდა დაბადებულიყო მხოლოდ მასობრივი რენეგატობის ვითარებაში.

მოუსმინეთ შემდეგ:

...«საბჭოთა რესპუბლიკა ერევა მდიდარი და ღარიბი გლეხების ურთიერთობაში, მაგრამ არა მიწის ახალი განაწილების საშუალებით. რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ქალაქის მცხოვრებთა საჭიროება პურზე, სოფლებში იგზავნება შეიარაღებული მუშათა რაზმები, რომლებიც ნაჭარბ პურს ართმევენ მდიდარ გლეხებს. ამ პურის ნაწილი ეძლევა ქალაქის მოსახლეობას, ნაწილი — უღარიბეს გლეხებს» (გვ. 48).

რასაკვირველია, სოციალისტი და მარქსისტი კაუცკი ღრმად აღშფოთებულია იმ აზრით, რომ ასეთი ღონისძიება შეიძლებოდა გავრცელებულიყო დიდი ქალაქების ახლო მდებარე მიდამოების იქით (ჩვენში კი იგი მთელ ქვეყანაზე ვრცელდება). სოციალისტი და მარქსისტი კაუცკი დარიგების კილოთი, ფილისტერის უმაგალითო, შეუდარებელი, საოცარი გულდამშვიდებით (თუ გონებასიჩლუნგით) შენიშნავს: ...«მან (შეძლებულ გლეხთა ექსპროპრიაციებს) შეშფოთებისა და სამოქალაქო ომის ახალი ელემენტი შეაქვთ წარმოების პროცესში»... («წარმოების პროცესში» შეტანილი სამოქალაქო ომი — ეს უკვე რაღაც ზებუნებრივია!) ...«რომელიც თავისი გაჯანსაღებისათვის აუცილებლად საჭიროებს სიმშვიდესა და უშიშროებას» (გვ. 49).

დიახ, დიახ, ექსპლოატატორებისა და პურის სპეკულანტების სიმშვიდისა და უშიშროების გამო, რომლებიც მალავენ ნაჭარბ პურს, არღვევენ პურის მონოპოლიის კანონს, ამშევენ ქალაქის მოსახლეობას, — ამის გამო მარქსისტმა და სოციალისტმა კაუცკიმ, რასაკვირველია, უნდა იხვნეშოს და ცრემლები დაღვაროს. ჩვენ ყველანი სოციალისტები მარქსისტებიც და ინტერნაციონალისტებიც ვართო, — ერთხმად გაყვირიან ბატონები კაუცკები, ჰენრიხ ვებერები[115] (ვენა), ლონგეები (პარიზი), მაკდონალდები (ლონდონი) და სხვ. — ჩვენ ყველანი მუშათა რევოლუციის მომხრენი ვართ, ოღონდ... ოღონდ

ისე კი, რომ პურის სპეკულანტებს სიმშვიდე და უშიშროება არ დავუფრთხოთ! და კაპიტალისტების წინაშე ამ საზიზღარ სამსახურს ჩვენ ვფარავთ «წარმოების პროცესზე» «მარქსისტული» მითითებითო... თუ ეს მარქსიზმია, მაშინ რაღას ეწოდება ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობა?

შეხედეთ, რა გამოუვიდა ჩვენს თეორეტიკოსს. ის ბოლშევიკებს ბრალს სდებს იმაში, რომ ისინი გლეხობის დიქტატურას პროლეტარიატის დიქტატურად ასაღებენო. და ამავე დროს იგი ბრალად გვდებს იმას, რომ ჩვენ სამოქალაქო ომი შეგვაქვს სოფელში (ეს ჩვენ დ ა მ ს ა ხ ურ ე ბ ა დ მიგვაჩნია), რომ ჩვენ ვგზავნით სოფლებში მუშათა შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც აშკარად აცხადებენ, რომ «პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის დიქტატურას» ახორციელებენ, ეხმარებიან უღარიბეს გლეხობას, ართმევენ სპეკულანტებს, მდიდარ გლეხებს, ნაჭარბ პურს, რომელსაც ისინი, არღვევენ რა პურის მონოპოლიის კანონს, მალავენ.

ერთი მხრივ, ჩვენი მარქსისტ-თეორეტიკოსი ემხრობა წმინდა დემოკრატიას, რევოლუციური კლასის, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბელადის, დამორჩილებას მოსახლეობის უმრავლესობისადმი (მაშასადამე, ექსპლოატატორებისადმიც). მეორე მხრივ, ის ჩვენს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ განმარტავს რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის აუცილებლობას, ბურჟუაზიულისა იმიტომ, რომ გლეხობა, მთლიანად აღებული, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე დგას, და ამავე დროს პრეტენზიას აცხადებს — პროლეტარულ, კლასობრივ, მარქსისტულ თვალსაზრის ვიცავო!

«ეკონომიური ანალიზის» ნაცვლად ეს ნამდვილი არევ-დარევა და დომხალია. მარქსიზმის ნაცვლად ეს არის ლიბერალურ მოძღვრებათა ნაფლეთები და ბურჟუაზიის წინაშე და კულაკების წინაშე ლაქიობის ქადაგება.

კაუცკის მიერ აბნეული საკითხი ბოლშევიკებმა სავსებით განმარტეს ჯერ კიდევ 1905 წელს. დიახ, ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ვ ი დ რ ე ჩვენ გლეხობასთან ე რ თ ა დ

მივდივართ, როგორც მ თ ე ლ თ ა ნ. ეს ჩვენ ცხადზე უცხადესად გვქონდა შეგნებული, ეს ასჯერ და ათასჯერ გვითქვამს 1905 წლიდან, არასოდეს არ გვიცდია გადავხტომოდით ისტორიული პროცესის ამ აუცილებელ საფეხურს ან დეკრეტებით გაგვეუქმებინა იგი. კაუცკის ჭაპანწყვეტა — «გვამხილოს» ჩვენ ამ პუნქტში — ამხილებს მხოლოდ მის შეხედულებათა აღრევას და იმის გახსენების შიშს, რასაც ის წერდა 1905 წელს, როცა ჯერ კიდევ რენეგატი არ იყო.

მაგრამ 1917 წელს, ა პ რ ი ლ ი დ ა ნ, დიდი ხნით ადრე ოქტომბრის რევოლუციამდე, ჩვენ მიერ ძალაუფლების აღებამდე, ჩვენ აშკარად ვეუბნებოდით და განვუმარტავდით ხალხს: რევოლუციას არ შეუძლია ახლა ამაზე შეჩერდეს, ვინაიდან ქვეყანა წინ წავიდა, კაპიტალიზმმა გადადგა ნაბიჯი წინ, უნახავ ფარგლებს მიაღწია გაჩანაგებამ, რომელიც მ ო ი თ ხ ო ვ ს (სურს ეს ვინმეს თუ არა) ნაბიჯების გადადგმას წინ, ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. ვინაიდან სხვანაირად წინსვლა, სხვანაირად ომით განაწამები ქვეყნის ხსნა, სხვანაირად მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ტანჯვის შ ე მ ს უ ბ უ ქ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვამბობდით. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. ჯ ე რ «მთელ» გლეხობასთან ერთად მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეების წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რჩება). შ ე მ დ ე გ, უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ნახევრადპროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად, კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მათ შორის სოფლის ბობოლების, კულაკების, სპეკულანტების წინააღმდეგ, და ამდენად რევოლუცია ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ხდება. იმის ცდა, რომ ხელოვნური, ჩინური, კედელი აღმართო პირველსა და მეორეს შორის, გამოყო ისინი ერთმანეთისაგან სხვა რაიმე საშუალებით, თ უ ა რ ა პროლეტარიატის მომზადების დონისა და სოფლის ღარიბებთან მისი გაერთიანების დონის მიხედვით, არის

მარქსიზმის უდიდესი დამახინჯება, მისი შერყვნა, მისი ლიბერალიზმით შეცვლა. ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით ბურჟუაზიის პროგრესულობაზე კვაზი-მეცნიერულ მითითებათა საშუალებით გააპაროთ ბურჟუაზიის რეაქციული დაცვა სოციალისტური პროლეტარიატის მიმართ.

საბჭოები, სხვათა შორის, სწორედ იმიტომ წარმოადგენენ დემოკრატიზმის განუზომლად უფრო მაღალ ფორმასა და ტიპს, რომ ისინი, აერთიანებენ და აბამენ რა პოლიტიკაში მუშათა და გლეხთა მასას, იძლევიან «ხალხთან» ყველაზე ახლო მდგომ (იმ აზრით, როგორც მარქსი ლაპარაკობდა 1871 წელს ნამდვილად სახალხო რევოლუციაზე) [116], მასების პოლიტიკური, კლასობრივი სიმწიფის განვითარებისა და ზრდის ყველაზე მგრძნობიარე ბარომეტრს. საბჭოთა კონსტიტუცია რაიმე «გეგმის» მიხედვით კი არ იწერებოდა, კაბინეტებში კი არ მუშავდებოდა, ის ხალხისათვის ბურჟუაზიულ იურისტებს კი არ მოუხვევიათ თავზე. არა, ეს კონსტიტუცია იზრდებოდა კლასობრივი ბრძოლის განვითარების მსვლელობიდან, კლასობრივ წინააღმდეგობათა მომწიფების კვალობაზე. ამას ამტკიცებენ სწორედ ის ფაქტები, რომლებსაც კაუცკი ძალაუნებურად აღიარებს.

საბჭოები ჯერ აერთიანებდნენ გლეხობას მთლიანად. სწორედ უღარიბეს გლეხთა განუვითარებლობა, ჩამორჩენილობა, სიბნელე ხელმძღვანელობას ხელთ უგდებდა კულაკებს, მდიდრებს, კაპიტალისტებს, წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტებს. ეს იყო წვრილი ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და სოციალ-რევოლუციონერების (მათი სოციალისტებად აღიარება შეუძლიათ მხოლოდ ჩერჩეტებს ან კაუცკის მსგავს რენეგატებს) ბატონობის ხანა. წვრილი ბურჟუაზია აუცილებლად, გარდუვალად ქანაობდა ბურჟუაზიის დიქტატურასა (კერენსკი, კორნილოვი, სავინკოვი) და პროლეტარიატის დიქტატურას შორის, ვინაიდან დამოუკიდებლად წვრილ ბურჟუაზიას, თავისი ეკონომიური მდგომარეობის ძირითად

თვისებათა გამო, არაფრის გაკეთება არ შეუძლია. სხვათა შორის, კაუცკი სავსებით იღებს ხელს მარქსიზმზე, როდესაც რუსეთის რევოლუციის ანალიზის დროს კმაყოფილდება «დემოკრატიის» მხოლოდ იურიდიული, ფორმალური ცნებით, რომელსაც ბურჟუაზია იყენებს თავისი ბატონობის დასაფარავად და მასების მოსატყუებლად, და ივიწყებს იმას, რომ «დემოკრატია» სინამდვილეში გამოხატავს ხან ბურჟუაზიის დიქტატურას, ხან იმ მეშჩანობის უძლურ რეფორმიზმს, რომელიც ამ დიქტატურას ემორჩილება, და ა. შ.. კაუცკის მიხედვით გამოდის, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში იყვნენ ბურჟუაზიული პარტიები, იყო პროლეტარული პარტია, რომელსაც თან მიჰყავდა პროლეტარიატის უმრავლესობა, მისი მასა (ბოლშევიკები), მაგრამ არ ყოფილან წვრილბურჟუაზიული პარტიები! მენშევიკებსა და ესერებს არა ჰქონიათ კლასობრივი ფესვები, წვრილბურჟუაზიული ფესვები!

წვრილი ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და ესერების მერყეობამ თვალი აუხილა მასებს და მათი უდიდესი უმრავლესობა, ყველა «დაბალი ფენა», ყველა პროლეტარი და ნახევრადპროლეტარი, ჩამოაშორა ასეთ «ბელადებს». საბჭოებში უმრავლესობა ბოლშევიკებმა მოიპოვეს (პიტერსა და მოსკოვში 1917 წლის ოქტომბრისათვის), ესერებსა და მენშევიკებს შორის გათიშვა გაძლიერდა.

გამარჯვებული ბოლშევიკური რევოლუცია ნიშნავდა მერყეობის დასასრულს, ნიშნავდა მონარქიისა და მემამულური მიწათმფლობელობის სრულ დანგრევას (ოქტომბრის რევოლუციამდე იგი არ ყოფილა დანგრეული). ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვენ ბოლომდე მივიყვანეთ. გლეხობა, მთლიანად აღებული, ჩვენ მოგვყვებოდა. მისი ანტაგონიზმი სოციალისტური პროლეტარიატის მიმართ არ შეიძლებოდა უცბად გამომჟღავნებულიყო. საბჭოები აერთიანებდნენ გლეხობას საერთოდ. კლასობრივი დაყოფა გლეხობის შიგნით ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, ჯერ კიდევ არ იყო გამოაშკარავებული.

ეს პროცესი 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე განვითარდა. ჩეხოსლოვაკთა კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ გამოაღვიძა კულაკები. რუსეთის კულაკურ აჯანყებათა ტალღამ გადაუარა. უღარიბესი გლეხობა არა წიგნებით, არა გაზეთებით, არამედ ცხოვრებით სწავლობდა თავისი ინტერესების შეურიგებლობას კულაკების, მდიდრების, სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებთან. «მემარცხენე ესერები», ისევე როგორც ყოველი წვრილბურჟუაზიული პარტია, გამოხატავდნენ მასების მერყეობას, და სწორედ 1918 წლის ზაფხულში ისინი გაითიშნენ: ნაწილი გაყვა ჩეხოსლოვაკებს (აჯანყება მოსკოვში, როდესაც პროშიანი, რომელმაც ხელთ იგდო ტელეგრაფი — ერთი საათით! — ამცნობდა რუსეთს ბოლშევიკების დამხობას, შემდეგ ჩეხოსლოვაკთა წინააღმდეგ მოქმედი არმიების მთავარსარდლის მურავიოვის ღალატი, და სხვ.); ნაწილი, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, ბოლშევიკებთან დარჩა.

სასურსათო მდგომარეობის გამწვავება ქალაქებში სულ უფრო მკვეთრად აყენებდა პურის მონოპოლიის საკითხს (თეორეტიკოსმა კაუცკიმ ეს მონოპოლია «დაივიწყა» თავის ეკონომიურ ანალიზში, სადაც განმეორებულია ათი წლის წინათ მასლოვთან ამოკითხული გადაღეჭილი აზრები!).

ძველი, მემამულური და ბურჟუაზიული, თვით დემოკრატიულ-რესპუბლიკური, სახელმწიფო სოფლად გზავნიდა შვიარაღებულ რაზმებს, რომლებიც ფაქტიურად ბურჟუაზიის განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ეს ბატონმა კაუცკიმ არ იცის! ეს მას «ბურჟუაზიის დიქტატურად» არ მიაჩნია, ღმერთმა დაიფაროს! ეს არის «წმინდა დემოკრატია», განსაკუთრებით, თუ მას ბურჟუაზიული პარლამენტი მოიწონებდა! იმაზე კი, რომ ავქსენტიევი და ს. მასლოვი, კერენსკებთან, წერეთლებთან და სხვა ამგვარ ესერებთან და მენშევიკებთან ერთად, 1917 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აპატიმრებდნენ საადგილმამულო კომიტეტების წევრებს, ამაზე კაუცკის «არაფერი გაუგონია», ამაზე ის სდუმს!

მთელი საქმე ის არის, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის საშუალებით ბურჟუაზიის დიქტატურას ახორციელებს, არ შეუძლია აღიაროს ხალხის წინაშე, რომ ის ბურჟუაზიას ემსახურება, არ შეუძლია თქვას სიმართლე, ის იძულებულია ითვალთმაქცოს.

ხოლო კომუნის ტიპის სახელმწიფო, საბჭოთა სახელმწიფო, აშკარად და პირდაპირ ეუბნება ხალხს სიმართლეს, აცხადებს, რომ იგი არის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა, სწორედ ამ სიმართლით იზიდავს ათეულ და ათეულ მილიონობით ახალ მოქალაქეებს, რომლებიც დაბეჩავებული არიან ყოველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს და რომლებსაც საბჭოები აბამენ პოლიტიკაში, დემოკრატიაში, სახელმწიფოს მმართველობაში. საბჭოთა რესპუბლიკა სოფლად გზავნის შეიარაღებულ მუშათა რაზმებს, პირველ რიგში უფრო მოწინავეებს, დედაქალაქებიდან. ამ მუშებს შეაქვთ სოციალიზმი სოფელში, იმხრობენ ღარიბებს, რაზმავენ და ათვითცნობიერებენ მათ, ეხმარებიან მათ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვაში.

ყველა, ვინც კი საქმე იცის და სოფელში ყოფილა, ამბობს, რომ ჩვენი სოფელი მხოლოდ 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე განიცდის თვით «ოქტომბრის» (ე. ი. პროლეტარულ) რევოლუციას. ხდება გარდატეხა. კულაკურ აჯანყებათა ტალღა იცვლება ღარიბთა ამოძრავებით, «ღარიბთა კომიტეტების» ზრდით. არმიაში იზრდება რიცხვი კომისრებისა მუშებიდან, ოფიცრებისა მუშებიდან, დივიზიების და არმიების მეთაურებისა მუშებიდან. იმ დროს, როდესაც რეგვენი კაუცკი, ივლისის (1918 წ.) კრიზისით[117] და ბურჟუაზიის გოდებით დაშინებული, უკან ბისჩანჩალებს მას და წერს მთელ ბროშურას, რომელიც გამსჭვალულია იმ რწმენით, რომ ბოლშევიკებს აგერ-აგერ ჩამოაგდებს გლეხობაო, იმ დროს, როდესაც ამ რეგვენს მემარცხენე ესერების ჩამოშორება მიაჩნია იმათი წრის «შემცირებად» (გვ. 37), ვინც მხარს უჭერს ბოლშევიკებს, — ამ დროს ბოლშევიზმის მომხრეთა

ნამდვილი წრე განუსაზღვრელად იზრდება, ვინაიდან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის იღვიძებენ ათეულ და ათეულ მილიონობით სოფლის ღარიბნი, რომელნიც თავს აღწევენ კულაკებისა და სოფლის ბურჟუაზიის მეურვეობასა და გავლენას.

ჩვენ დავკარგეთ ასობით მემარცხენე ესერი, უნიათო ინტელიგენტები და კულაკები გლეხთა წრიდან, შევიძინეთ კი მილიონობით ღარიბთა წარმომადგენლები *.

დედაქალაქებში მომხდარი პროლეტარული რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ, მისი გავლენითა და დახმარებით, მივარდნილ სოფლებშიც მოხდა პროლეტარული რევოლუცია, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიზმი, საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით ბოლშევიზმის წინააღმდეგ ძალები არ არსებობენ.

რუსეთის პროლეტარიატი, მთელ გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების შემდეგ, საბოლოოდ გადავიდა სოციალისტურ რევოლუციაზე, როდესაც მან შეძლო გაეთიშა სოფელი, შემოეერთებინა სოფლის პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, გაეერთიანებინა ისინი კულაკებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მათ შორის გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

დედაქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ცენტრების ბოლშევიკურ პროლეტარიატს რომ ვერ მოეხერხებინა სოფლის ღარიბთა გაერთიანება თავის გარშემო მდიდარი გლეხობის წინააღმდეგ, მაშინ ამით დამტკიცდებოდა რუსეთის «მოუმწიფებლობა» სოციალისტური რევოლუციისათვის, მაშინ გლეხობა დარჩებოდა «მთლიანი», ე. ი. დარჩებოდა კულაკების, მდიდრების, ბურჟუაზიის ეკონომიური, პოლიტიკური და

* საბჭოების VI ყრილობას (1918 წლის 6—9 ნოემბერი) დაესწრო გადამწყვეტი ხმის მქონე 967 დეპუტატი, აქედან 950 ბოლშევიკი, და სათათბირო ხმის მქონე — 351 დეპუტატი, აქედან 335 ბოლშევიკი. სულ ბოლშევიკები 97 პროცენტი.

სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ, მაშინ რევოლუცია ვერ გასცილდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ფარგლებს. (მაგრამ, შევნიშნავთ ფრჩხილებში, ამითაც არ იქნებოდა დამტკიცებული, რომ პროლეტარიატს ხელთ არ უნდა აეღო ძალაუფლება, ვინაიდან მხოლოდ პროლეტარიატმა მიიყვანა ნამდვილად ბოლომდე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, მხოლოდ პროლეტარიატმა გააკეთა ცოტაოდენი სერიოზული რამ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოსაახლოებლად, მხოლოდ პროლეტარიატმა შექმნა საბჭოთა სახელმწიფო, გადადგა მეორე ნაბიჯი, კომუნის შემდეგ, სოციალისტური სახელმწიფოს მიმართულებით).

მეორე მხრივ, ბოლშევიკურ პროლეტარიატს რომ ვერ მოეხერხებინა დალოდებოდა სოფლის კლასობრივ დიფერენციაციას, ვერ მოეხერხებინა მ ო ე მ ზ ა დ ე ბ ი ნ ა და განეხორციელებინა ეს დიფერენციაცია და ერთბაშად, 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ცდილიყო «დეკრეტით» გამოეცხადებინა სამოქალაქო ომი ან «სოციალიზმის შემოღება» სოფლად, ცდილიყო უარეყო დროებითი ბლოკი (კავშირი) გლეხობასთან საერთოდ, არ დათანხმებულიყო მთელ რიგ დათმობებს საშუალო გლეხობის მიმართ და სხვ., — მაშინ ეს იქნებოდა მარქსიზმის ბ ლ ა ნ კ ი ს ტ უ რ ი[118] დამახინჯება, მაშინ ეს იქნებოდა უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს ცდა — თავს მოეხვია თავისი ნება უმრავლესობისათვის, მაშინ ეს იქნებოდა თეორიული სისულელე, იმის გაუგებლობა, რომ საერთოგლეხური რევოლუცია ჯ ე რ კ ი დ ე ვ ბურჟუაზიული რევოლუციაა და რომ მ თ ე ლ ი რ ი გ ი გ ა დ ა ს ვ ლ ე ბ ი ს, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი ს გარეშე შეუძლებელია ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევა ჩამორჩენილ ქვეყანაში.

კაუცკიმ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი არივ-დარია უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პოლიტიკურ საკითხში, პრაქტიკულად ის აღმოჩნდა პირდაპირ ბურჟუაზიის დამქაში, რომელიც გოდებს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

* *
*

ასეთივე არევ-დარევა, მეტი თუ არა, შეიტანა კაუცკიმ მეორე ფრიად საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვან საკითხში, სახელდობრ: პრინციპულად სწორად იყო თუ არა დაყენებული, შემდეგ კი მიზანშეწონილად იყო თუ არა გატარებული, საბჭოთა რესპუბლიკის საკანონმდებლო მოღვაწეობა აგრარული გარდაქმნის, ამ უძნელესი და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი სოციალისტური გარდაქმნის დარგში? ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვიქნებოდით ყოველი დასავლეთ-ევროპელი მარქსისტისა, თუკი ის, გაეცნობოდა რა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს მაინც, კრიტიკულად განიხილავდა ჩვენს პოლიტიკას, ვინაიდან ამით ის უდიდეს დახმარებას გაგვიწევდა ჩვენ, დახმარებას გაუწევდა რევოლუციასაც, რომელიც მთელ მსოფლიოში მწიფდება. მაგრამ კაუცკი კრიტიკის ნაცვლად გვაწვდის წარმოუდგენელ თეორიულ დომხალს, რომელიც მარქსიზმს ლიბერალიზმად აქცევს, პრაქტიკულად კი გვრჩება ცარიელი, ღვარძლიანი, მეშჩანური გამოლაშქრება ბოლშევიკების წინააღმდეგ. დეე მკითხველმა განსაჯოს:

«მსხვილი მიწათმფლობელობის შენარჩუნება არ შეიძლებოდა. ეს გააკეთა რევოლუციამ. ეს მაშინვე ცხადი გახდა. იგი არ შეიძლებოდა გლეხურ მოსახლეობას არ გადასცემოდა»... (მართალი არ არის, ბატონო კაუცკი: თქვენ ერთმანეთში ურევთ იმას, რაც თქვენთვის «ცხადია», და იმას, თუ როგორ უყურებდა საკითხს სხვადასხვა კლასი; რევოლუციის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ბურჟუებისა და წვრილი ბურჟუების, მენშევიკებისა და ესერების კოალიციური მთავრობა მსხვილი მიწათმფლობელობის შენარჩუნების პოლიტიკას ადგა. ეს განსაკუთრებით დაამტკიცა ს. მასლოვის კანონმა და საადგილმამულო კომიტეტების წევრთა დაპატიმრებამ [110]. თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, ისე «გლეხური მოსახლეობა» ვერ დაამარცხებდა მემამულეს, რომელიც გაერთიანებული იყო კაპიტალისტთან).

«მაგრამ არ იყო ერთიანობა იმის გამო, თუ რა ფორმებში უნდა მომხდარიყო ეს. შესაძლებელი იყო საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა»... (კაუცკი ყველაზე მეტად ზრუნავს «სოციალისტების» «ერთიანობაზე», ვინც არ უნდა უწოდოს თავის თავს ეს სახელი. კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები რომ საკითხის სხვადასხვაგვარ გადაწყვეტამდე უნდა მივიდნენ, ამას იგი ივიწყებს). ...«სოციალისტური თვალსაზრისით ყველაზე უფრო რაციონალური იქნებოდა გადაეცათ მსხვილი საწარმოები სახელმწიფო საკუთრებად და იმ გლეხებისათვის, რომლებიც დღემდე იქ მუშაობდნენ, როგორც დაქირავებული მუშები, შესაძლებლობა მიეცათ დაემუშავებინათ მსხვილი მამულები ამხანაგობის ფორმებში. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა გულისხმობს სოფლის ისეთ მუშებს, რომლებიც რუსეთში არ მოიპოვებიან. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა შეიძლებოდა ყოფილიყო მსხვილი მიწათმფლობელობის სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა, შემდეგ მისი დაყოფა მცირე ნაკვეთებად, რომლებიც იჯარით გადაეცემოდა მცირემიწიან გლეხებს. მაშინ ცოტაოდენი რამ მაინც იქნებოდა სოციალიზმიდან განხორციელებული»...

კაუცკი, როგორც ყოველთვის, აქაც თავს იძვრენს ცნობილი გამოთქმით: ერთი მხრივ, .არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ. ის ერთიმეორის გვერდით აყენებს საკითხის სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას და არ მოსდის აზრი — ერთადერთი რეალური, ერთადერთი მარქსისტული აზრი — იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გადასვლები კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ ამა თუ იმ განსაკუთრებულ პირობებში. რუსეთში არსებობენ სოფლის დაქირავებული მუშები, მაგრამ ისინი ცოტანი არიან, და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასმულ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გადავიდეთ მიწის კომუნალურ და ამხანაგურ დამუშავებაზე, კაუცკი არ შეხებია. მაინც ყველაზე უფრო კურიოზული ის არის, რომ კაუცკის სურს დაინახოს «ცოტაოდენი რამ სოციალიზმიდან» მიწის მცირე

ნაკვეთების იჯარით გაცემაში. ნამდვილად კი ეს წ ვ რ ი ლ-ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ლოზუნგია, და «სოციალიზმიდან» აქ ა რ ა ფ ე რ ი არ არის. თუ «სახელმწიფო», რომელიც მიწას იჯარით იძლევა, ა რ იქნება კომუნის ტიპის სახელმწიფო, არამედ იქნება პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკა (კაუცკი მუდამ სწორედ ამას გულისხმობს), მაშინ მიწის მცირე ნაკვეთებად გაცემა ტიპიური ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ფ ო რ მ ა იქნება.

საბჭოთა ხელისუფლებამ რომ მიწის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი საკუთრება გააუქმა, ამაზე კაუცკი სდუმს. კიდევ უარესი. ის წარმოუდგენელ თაღლითობას ჩადის და ისე მოჰყავს ციტატები საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებიდან, რომ ყველაზე არსებითი გამოტოვებულია.

აცხადებს რა, რომ «წვრილი წარმოება მიისწრაფვის წარმოების საშუალებათა სრული კერძო საკუთრებისაკენ», რომ დამფუძნებელი კრება იქნებოდა «ერთადერთი ავტორიტეტი», რომელიც შეძლებდა ხელი შეეშალა დაყოფისათვის (მტკიცება, რომელიც რუსეთში ხარხარს გამოიწვევს, ვინაიდან ყველამ იცის, რომ მუშებსა და გლეხებს ავტორიტეტულ ორგანოებად მ ხ ო ლ ო დ საბჭოები მიაჩნიათ, დამფუძნებელი კრება კი დიდი ხანია ჩეხოსლოვაკთა და მემამულეთა ლოზუნგად გადაიქცა), — კაუცკი განაგრძობს:

«საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთმა პირველმა დეკრეტმა დაადგინა: 1. დაუყოვნებლივ უქმდება მიწის მემამულური საკუთრება სრულიად გამოუსყიდველად; 2. მემამულეთა მამულები, ისევე როგორც ყველა საეფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწა, მთელი მისი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, საკარმიდამო ნაგებობით და მთელი კუთვნილებითურთ. გადადის გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების სათემო საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში, სანამ მიწის საკითხს დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდეს».

მოჰყავს რა **მხოლოდ ეს ორი პუნქტი**, კაუცკი დაასკვნის:

«დამფუძნებელ კრებაზე მითითება მკვდარ სიტყვად დარჩა. ფაქტიურად ცალკეული თემების გლეხებს ისე შეეძლოთ მოეხმარათ მიწა, როგორც მოესურვებოდათ» (47).

აი ნიმუშები კაუცკის «კრიტიკისა»! აი «მეცნიერული» ნაშრომი, რომელიც ყველაზე მეტად გავს ნაყალბევს. გერმანელ მკითხველს ჩააგონებენ, რომ ბოლშევიკებმა მიწის კერძო საკუთრების საკითხში ქედი მოიხარეს გლეხობის წინაშე! რომ ბოლშევიკებმა ნება მისცეს გლეხებს ცალ-ცალკე («ცალკეულ თემებს») მოიქცნენ ისე, როგორც სურთო!

ნამდვილად კი კაუცკის მიერ ციტირებული დეკრეტი — პირველი დეკრეტი, გამოცემული 1917 წლის 26 ოქტომბერს (ძველი სტილით), — შედგება არა 2, არამედ 5 მუხლისაგან პლუს «განაწესის» რვა მუხლი, ამასთან განაწესის შესახებ ნათქვამია, რომ იგი «მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ».

დეკრეტის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ მეურნეობები გადადის **«ხალხის ხელში»**, რომ სავალდებულოა «მთელი კოხფისკაციაქმნილი ქონების ზუსტი აღწერილობის» შედგენა და «უსასტიკესი რევოლუციური დაცვა». განაწესში კი ნათქვამია, რომ «მიწის კერძო საკუთრების უფლება სამუდამოდ უქმდება», რომ «მაღალკულტურული მეურნეობებით დაკავებული მიწის ნაკვეთები» «არ უნდა იქნეს დაყოფილი», რომ «კონფისკაციაქმნილი მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალიც და მკვდარიც, გამოუსყიდველად გადადის, მისი სიდიდისა და მნიშვნელობის მიხედვით, მხოლოდდამხოლოდ სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში», რომ «მთელი მიწა გადადის საერთო-სახალხო საადგილმამულო ფონდში».

შემდეგ, დამფუძნებელი კრების დათხოვნასთან ერთად (1918 წ. 5. I.), საბჭოების მესამე ყრილობამ მიიღო «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია», რომელიც ახლა შესულია საბჭოთა რესპუბლიკის ძირითად კანონში. ამ დეკლარაციის მუხლი II, 1 ამბობს, რომ «მიწის კერძო საკუთრება უქმდება» და რომ «სანიმუშო მამულები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ნაციონალურ კუთვნილებად ცხადდება».

მაშასადამე, დამფუძნებელ კრებაზე მითითება მკვდარ სიტყვად არ დარჩენილა, ვინაიდან აგრარული საკითხის გადაწყვეტა იკისრა სხვა საერთო-სახალხო წარმომადგენლობითმა დაწესებულებამ, რომელიც განუზომლად უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობს გლეხთა თვალში.

შემდეგ, 1918 წლის 6 (19) თებერვალს გამოქვეყნდა მიწის სოციალიზაციის კანონი, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს მიწის ყოველგვარი საკუთრების გაუქმებას, გადასცემს როგორც მიწის, ისე მთელი კერძომფლობელობაში არსებული ინვენტარის გამგებლობას საბჭოთა ხელისუფალთ ფედერალური საბჭოთა ხელისუფლების კონტროლქვეშ; მიწის გამგებლობის ამოცანებად სახავს

«კოლექტიური მეურნეობის განვითარებას მიწათმოქმედებაში, როგორც უფრო ხელსაყრელი მეურნეობისა შრომისა და პროდუქტთა ეკონომიის აზრით, ერთპიროვნულ მეურნეობათა ხარჯზე, სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის მიზნით» (მუხ. 11, პუნქტი ე).

აწესებს რა გათანაბრებითს მიწათსარგებლობას, ეს კანონი ძირითად კითხვაზე: «ვის აქვს მიწით სარგებლობის უფლება», უპასუხებს:

(მუხ. 20). «მიწის ზედაპირის ცალკეული ნაკვეთებით სარგებლობა საზოგადოებრივი და პირადი საჭიროებისათვის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში შეუძლიათ: ა) კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის: 1) სახელმწიფოს, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების სახით (ფედერალური, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, სათემო და სასოფლო ორგანოების სახით). 2) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების კონტროლქვეშ და მისი ნებართვით). ბ) სოფლის მეურნეობის საწარმოებლად: 3) სასოფლო-სამეურნეო კომუნებს. 4) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს. 5) სოფლის საზოგადოებებს. 6) ცალკეულ ოჯახებსა და პირებს»...

მკითხველი ხედავს, რომ კაუცკიმ სრულიად დაამახინჯა საქმე და გერმანელ მკითხველს აბსოლუტურად ყალბი სახით წარმოუდგინა რუსეთის პროლეტარული სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა და აგრარული კანონმდებლობა.

თეორიულად მნიშვნელოვანი, ძირითადი, საკითხების დასმა კაუცკიმ ვერც კი შეძლო!

ეს საკითხები შემდეგია:

(1) მიწათსარგებლობის გათანაბრება და

(2) მიწის ნაციონალიზაცია, — როგორც ერთის, ისე მეორე ღონისძიების დამოკიდებულება სოციალიზმისადმი საერთოდ და კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისადმი კერძოდ.

(3) მიწის საზოგადოებრივი დამუშავება, როგორც წვრილი დაქუცმაცებული მიწათმოქმედებიდან მსხვილ საზოგადოებრივ მიწათმოქმედებაზე გადასვლა; აკმაყოფილებს თუ არა ამ საკითხის დასმა საბჭოთა კანონმდებლობაში სოციალიზმის მოთხოვნებს?

პირველი საკითხის გამო აუცილებელია დადგენილ იქნეს უწინარეს ყოვლისა ორი შემდეგი ძირითადი ფაქტი: (ა) ბოლშევიკები 1905 წლის გამოცდილების გათვალისწინების დროსაც (დავიმოწმებ, მაგალითად, ჩემს შრომას აგრარული საკითხის შესახებ რუსეთის პირველ რევოლუციაში) აღნიშნავდნენ გათანაბრების ლოზუნგის დემოკრატიულ-პროგრესულ, დემოკრატიულ-რევოლუციურ მნიშვნელობას და 1917 წელსაც, ოქტომბრის რევოლუციამდე, სავსებით გარკვეულად ლაპარაკობდნენ ამაზე. (ბ) როცა ბოლშევიკები ატარებდნენ მიწის სოციალიზაციის კანონს, — კანონს, რომლის «სულსა და გულს» გათანაბრებითი მიწათსარგებლობის ლოზუნგი შეადგენს, — მათ სრული სიზუსტითაً და გარკვეულობით განაცხადეს: ეს ჩვენი იდეა არ არის, ჩვენ ასეთ ლოზუნგს არ ვეთანხმებით, ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია გავატაროთ იგი, ვინაიდან ასეთია გლეხთა უდიდესი უმრავლესობის მოთხოვნა. ხოლო მშრომელთა უმრავლესობის იდეა და მოთხოვნები თვითონ მათ უნდა დაძლიონ: ასეთი მოთხოვნების არც «გაუქმება» შეიძლება, არც მათზე «გადახტომა». ჩვენ, ბოლშევიკები, დავეხმარებით გლეხობას დაძლიოს წვრილბურჟუაზიული ლოზუნგები, ამ

ლოზუნგებიდან რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ადვილად გ ა დ ა ვ ი დ ე ს სოციალისტურ ლოზუნგებზე.

თეორეტიკოს-მარქსისტს, რომელიც კი მოისურვებდა დახმარებოდა მუშათა რევოლუციას თავისი მეცნიერული ანალიზით, პასუხი უნდა გაეცა, ჯერ ერთი, იმაზე, მართალია თუ არა, რომ მიწათსარგებლობის გათანაბრების იდეას აქვს დემოკრატიულ-რევოლუციური მნიშვნელობა, მნიშვნელობა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის? მეორეც, იმაზე, სწორად მოიქცნენ თუ არა ბოლშევიკები, როდესაც მათ თავიანთი ხმებით გაიყვანეს გათანაბრების წვრილბურჟუაზიული კანონი (და როდესაც ისინი ყველაზე უფრო ლოიალურად იცავდნენ მას)?

კაუცკიმ ისიც კი ვერ შ ე ა მ ჩ ნ ი ა, თუ რა არის, თეორიულად, საკითხის არსი!

კაუცკი ვერასოდეს ვერ შეძლებდა იმის უარყოფას, რომ გათანაბრების იდეას პროგრესული და რევოლუციური მნიშვნელობა აქვს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადატრიალებაში. ამაზე შორს ეს გადატრიალება ვერ წავა. რაც უფრო უახლოვდება იგი დასასრულს, მ ი თ უ ფ რ ო ნ ა თ ლ ა დ, მით უ ფ რ ო მ ა ლ ე, მით უ ფ რ ო ა დ ვ ი ლ ა დ ააშკარავებს მასების წინაშე, რომ **საკმაო არ არის** საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადაწყვეტა, რომ აუცილებელია გასცილდე მის ფარგლებს, გადახვიდე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ზ ე.

გლეხობა, რომელმაც დაამხო ცარიზმი და მემამულეები, ოცნებობს გათანაბრებაზე, და ვერავითარი ძალა ვერ შეუშლიდა ხელს გლეხებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან მემამულეებისაგანაც და ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-პარლამენტური, რესპუბლიკური სახელმწიფოსაგანაც. პროლეტარები ეუბნებიან გლეხებს: ჩვენ დაგეხმარებით მიხვიდეთ «იდეალურ» კაპიტალიზმამდე, ვინაიდან მიწათსარგებლობის გათანაბრება კაპიტალიზმის გაიდეალებაა წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისით. და ამავე დროს ჩვენ დაგანახვებთ, რომ ეს საკმაო არ არის, რომ აუცილებელია მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა.

საინტერესო იქნებოდა დაგვენახა, თუ როგორ შეეცდებოდა კაუცკი უარეყო პროლეტარიატის მხრივ გლეხთა ბრძოლისადმი ასეთი ხელმძღვანელობის სისწორე!

კაუცკიმ ამჯობინა თავი აერიდებინა საკითხისათვის...

შემდეგ, კაუცკიმ პირდაპირ მოატყუა გერმანელი მკითხველები, დაუმალა რა მათ, რომ მიწის კანონში საბჭოთა ხელისუფლებამ პირდაპირი უპირატესობა მიაკუთვნა კომუნებსა და ამხანაგობებს, ისინი პირველ ადგილზე რომ დააყენა.

გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრებამდე, — გლეხობის უღარიბეს, პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ნაწილთან ერთად წინ — სოციალისტური რევოლუციისაკენ! ასეთი იყო ბოლშევიკების პოლიტიკა, და ეს ერთადერთი მარქსისტული პოლიტიკა იყო.

კაუცკი კი იბნევა და ვერც ერთი საკითხის დასმას ვერ ახერხებს! ერთი მხრივ, ის ვერ ბედავს თქვას, რომ გათანაბრების საკითხში პროლეტარები უნდა დაშორებოდნენ გლეხობას, ვინაიდან ის გრძნობს ასეთი დაშორების უაზრობას (ამასთან, კაუცკი 1905 წელს, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო რენეგატი, აშკარად და პირდაპირ იცავდა მუშათა და გლეხთა კავშირს, როგორც რევოლუციის გამარჯვების პირობას). მეორე მხრივ, კაუცკის თანაგრძნობით მოჰყავს ლიბერალური უხამსობანი მენშევიკ მასლოვისა, რომელიც «ამტკიცებს» წვრილბურჟუაზიული თანასწორობის უტოპიურობასა და რეაქციულობას სოციალიზმის თვალსაზრისით და სდუმს იმაზე, რომ წვრილბურჟუაზიული ბრძოლა თანასწორობისათვის, გათანაბრებისათვის პროგრესული და რევოლუციურია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თვალსაზრისით.

კაუცკის სულ ერთიანად დომხალი გამოუდის: მიიღეთ მხედველობაში, რომ კაუცკი (1918 წელს) დაჟინებით ამტკიცებს რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათს. კაუცკი (1918 წელს) მოითხოვს: არ გასცილდეთ

ამ ფარგლებსო! და იგივე კაუცკი ხედავს «ცოტაოდენ რამეს სოციალიზმიდან» (ბურჟუაზიული რევოლუციისათვის) წვრილბურჟუაზიულ რეფორმაში — ღარიბი გლეხებისათვის მიწის მცირე ნაკვეთების გადაცემაში (ე. ი. გათანაბრებისადმი მიახლოებაში)!!

მოდით და გაიგეთ!

კაუცკი, გარდა ამისა, იჩენს ფილისტერულ უუნარობას — ანგარიში გაუწიოს გარკვეული პარტიის ნამდვილ პოლიტიკას. მას მოჰყავს მენშევიკ მასლოვის ფრაზები და არ სურს დაინახოს მენშევიკების პარტიის **ნამდვილი** პოლიტიკა 1917 წელს, როდესაც ეს პარტია, იმყოფებოდა რა მემამულეებთან და კადეტებთან «კოალიციაში», იცავდა ფაქტიურად ლიბერალურ აგრარულ რეფორმას და მემამულეებთან შეთანხმებას (დამამტკიცებელი საბუთი: საადგილმამულო კომიტეტების წევრთა დაპატიმრება და ს. მასლოვის კანონპროექტი).

კაუცკიმ ვერ შეამჩნია, რომ პ. მასლოვის ფრაზები წვრილბურჟუაზიული თანასწორობის რეაქციულობისა და უტოპიურობის შესახებ სინამდვილეში ფარავენ მემამულეებთან გლეხთა შეთანხმების მენშევიკურ პოლიტიკას (ე. ი. მემამულეთა მიერ გლეხთა მოტყუების პოლიტიკას) ნაცვლად მემამულეების რევოლუციური დამხობისა გლეხების მიერ.

აი როგორი «მარქსისტია» კაუცკი!

სწორედ ბოლშევიკებმა მკვეთრად გაითვალისწინეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განსხვავება სოციალისტურისაგან: პირველის ბოლომდე მიყვანით ისინი კარს აღებდნენ მეორეში გადასასვლელად. ეს ერთადერთი რევოლუციური და ერთადერთი მარქსისტული პოლიტიკაა.

და ტყუილად იმეორებს კაუცკი უკბილო ლიბერალურ გონებამახვილობას: «თეორიული დარწმუნების გავლენით წვრილი გლეხები ჯერ კიდევ არსად და არასოდეს არ გადაულან კოლექტიურ წარმოებაზეო» (50).

დიდი გონებამახვილობა კია!

არსად და **არასოდეს** **დიდი** ქვეყნის წვრილი გლეხები არ ყოფილან პროლეტარული სახელმწიფოს გავლენის ქვეშ.

არსად და არასოდეს წვრილი გლეხები არ მისულან უღარიბეს გლეხთა აშკარა კლასობრივ ბრძოლამდე მდიდარ გლეხებთან, თვით სამოქალაქო ომამდე მათ შორის, ი ს ე თ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, როდესაც პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება პროპაგანდისტულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას უწევს უღარიბეს გლეხებს.

არსად და არასოდეს არ ყოფილა ომის წყალობით სპეკულანტებისა და ბობოლების ასეთი გამდიდრება და ამავე დროს გლეხთა მასის ასეთი გაჩანაგება.

კაუცკი მოძველებულ აზრებს იმეორებს, ღეჭავს ძველად გადაღეჭილს, რადგან მას პროლეტარული დიქტატურის ახალ **ამოცანებზე** ფიქრისაც კი ეშინია.

. როგორ გგონიათ, პატივცემულო კაუცკი, თუ გლეხებს ა რ ყ ო ფ ნ ი თ იარაღები წვრილი წარმოებისათვის, ხოლო პროლეტარული სახელმწიფო ე ხ მ ა რ ე ბ ა მათ მანქანების შოვნაში მიწის კოლექტიურად დასამუშავებლად, არის თუ არა ეს «თეორიული დარწმუნება?» — — —

გადავიდეთ მიწის ნაციონალიზაციის საკითხზე. ჩვენი ნაროდნიკები, მათ შორის ყველა მემარცხენე ესერი, უარყოფენ, რომ ჩვენში განხორციელებული ღონისძიება მიწის ნაციონალიზაციაა. ისინი თეორიულად მართალნი არ **არიან**. რამდენადაც ჩვენ სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის ფარგლებში ვრჩებით, იმდენად მიწის კერძო საკუთრების გაუქმება არის მიწის ნაციონალიზაცია. სიტყვა «სოციალიზაცია» გამოხატავს მხოლოდ სოციალიზმზე გადასვლის ტენდენციას, სურვილს, მომზადებას.

როგორი-ღა უნდა იყოს მარქსისტების დამოკიდებულება მიწის ნაციონალიზაციისადმი?

კაუცკი აქაც ვერ ახერხებს საკითხის თეორიულად დასმასაც კი, ან — რაც კიდევ უარესია — განზრახ გვერდს უხვევს საკითხს. თუმცა რუსული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ

კაუცკიმ იცის რუს მარქსისტებს შორის დიდი ხნიდან წარმოებული დავა მიწის ნაციონალიზაციის, მიწის მუნიციპალიზაციის (მსხვილი მამულების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის) და გაყოფის საკითხზე.

მარქსიზმის პირდაპირ დაცინვას წარმოადგენს კაუცკის მტკიცება, თითქოს მსხვილი მამულების გადაცემა სახელმწიფოსათვის და მათი წვრილ ნაკვეთებად იჯარით გაცემა მცირემიწიანი გლეხებისათვის ახორციელებდეს «ცოტაოდენ რამეს სოციალიზმიდან». ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ არავითარი სოციალიზმი არ არის. მაგრამ ეს ცოტაა: აქ არ არის ბოლომდე მიყვანილი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რევოლუციაც. კაუცკის დიდი უბედურება მოუვიდა, რომ ის მენშევიკებს დაენდო. აქედან წარმოიშვა კურიოზი: კაუცკი, რომელიც იცავს ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათს და ბოლშევიკებს ბრალად სდებს იმას, რომ მათ სოციალიზმისაკენ სვლა განიზრახესო, თ ვ ი თ ო ნ ახასიათებს ლიბერალურ რეფორმას ვითომდა როგორც სოციალიზმს, ამასთან მას ა რ მ ი ჰ ყ ა ვ ს ე ს რ ე ფ ო რ მ ა მიწათმფლობელობის ურთიერთობაში მთელი შუასაუკუნეობრიობის სრულ აღმოფხვრამდე! კაუცკის, ისევე როგორც მის მრჩეველ მენშევიკებს, თანამიმდევრული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ნაცვლად, რევოლუციის მოშიშარი ლიბერალური ბურჟუაზიის დაცვა გამოუვიდა.

მართლაც. რატომ მარტო მსხვილი მამულები უნდა გადაიქცეს სახელმწიფო საკუთრებად და არა მთელი მიწა? ლიბერალური ბურჟუაზია ამით აღწევს ძველი წყობილების ყველაზე მეტად შენარჩუნებას (ე. ი. ყველაზე ნაკლებ თანმიმდევრობას რევოლუციაში) და ძველისაკენ დაბრუნების ყველაზე მეტ სიადვილეს. რადიკალური, ე. ი. ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიმყვანი, ბურჟუაზია მ ი წ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ლოზუნგს აყენებს.

კაუცკიმ, რომელმაც შორეულ, ძალიან შორეულ წარსულში, თითქმის 20 წლის წინათ, დაწერა მშვენიერი მარქსისტული შრომა აგრარული საკითხის შესახებ, არ

შეიძლება არ იცოდეს მარქსის მითითებანი იმაზე, რომ მიწის ნაციონალიზაცია სწორედ ბურჟუაზიის თანმიმდევრულ ლოზუნგს წარმოადგენს[120]. კაუცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს მარქსის პოლემიკა როდბერტუსთან და მარქსის შესანიშნავი განმარტებანი «ზედმეტი ღირებულების თეორიებში», სადაც განსაკუთრებით ნათლად არის ნაჩვენები მიწის ნაციონალიზაციის რევოლუციური მნიშვნელობაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრით.

მენშევიკი პ. მასლოვი, რომელიც კაუცკის ასე უხეიროდ აურჩევია თავის მრჩევლად, უარყოფდა იმას, რომ რუსი გლეხები დათანხმდებოდნენ მთელი (მათ შორის აგრეთვე გლეხური) მიწის ნაციონალიზაციას. მასლოვის ეს შეხედულება შეიძლებოდა რამდენიმედ დაკავშირებული ყოფილიყო მის «ორიგინალურ» თეორიასთან (რომელიც მარქსის ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს იმეორებს), სახელდობრ, აბსოლუტური რენტის უარყოფასთან და «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების» «კანონის» (ან «ფაქტის», როგორც მასლოვი ამბობდა) აღიარებასთან.

ნამდვილად უკვე 1905 წლის რევოლუციის დროს გამოაშკარავდა, რომ რუსეთის გლეხთა, როგორც მეთემურთა, ისე მეკომურთა, უდიდესი უმრავლესობა მთელი მიწის ნაციონალიზაციის მომხრეა. 1917 წლის რევოლუციამ ეს დაადასტურა და, პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, კიდევაც განახორციელა. ბოლშევიკები მარქსიზმის ერთგულნი დარჩნენ და არ ცდილან (წინააღმდეგ კაუცკის მტკიცებისა, რომელიც ამაში ბრალს გვდებს სრულიად უსაბუთოდ) «თავს გადახტომოდნენ» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას. ბოლშევიკები უწინარეს ყოვლისა დაეხმარნენ გლეხობის ყველაზე უფრო რადიკალურ, ყველაზე უფრო რევოლუციურ, პროლეტარიატთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგებს, სახელდობრ მემარცხენე ესერებს, გაეტარებინათ ის, რაც ფაქტიურად მიწის ნაციონალიზაცია იყო. მიწის კერძო საკუთრება რუსეთში 1917 წლის 26 ოქტომბრიდან, ე. ი.

პროლეტარული, სოციალისტური, რევოლუციის პირველი დღიდანვე, გაუქმებულია.

ამით შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულყოფილი საძირკველი (ამას ვერ უარყოფს კაუცკი, თუ მარქსთან კავშირს არ გაწყვეტს) და ამავე დროს შეიქმნა ისეთი საადგილმამულო წყობილება, რომელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ ო ქ ნ ი ლ ი ა სოციალიზმზე გადასვლის აზრით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თვალსაზრისით, რუსეთის რევოლუციური გლეხობა ა მ ა ზ ე შ ო რ ს ვ ე რ ს ა დ წ ა ვ ა: ამ თვალსაზრისით, მიწის ნაციონალიზაციაზე და მიწათსარგებლობის თანასწორობაზე უფრო «იდეალური», უფრო «რადიკალური» (ამავე თვალსაზრისით) ა რ ა ფ ე რ ი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს. სწორედ ბოლშევიკები, მხოლოდ ბოლშევიკები, მხოლოდ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რევოლუციის გამარჯვების წყალობით, დაეხმარნენ გლეხობას მართლა ბოლომდე მიეყვანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. და მხოლოდ ამით გააკეთეს მათ მაქსიმუმი სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის გასაადვილებლად და დასაჩქარებლად.

აქედან შეგვიძლია განვსაჯოთ, თუ რა წარმოუდგენელ დომხალს აწვდის მკითხველს კაუცკი, რომელიც ბოლშევიკებს ბრალად სდებს რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის გაუგებლობას და რომელიც თვითონ იმდენად შორდება მარქსიზმს, რომ ს დ უ მ ს მიწის ნაციონალიზაციაზე და აყენებს ყველაზე ნაკლებად რევოლუციურ (ბურჟუაზიული თვალსაზრისით), ლიბერალურ აგრარულ რეფორმას, როგორც «ცოტაოდენ რამეს სოციალიზმიდან»! — —

ჩვენ აქ მივადექით ზემოთ დასმული საკითხებიდან მესამე საკითხს, იმ საკითხს, თუ რამდენად გაითვალისწინა პროლეტარულმა დიქტატურამ რუსეთში მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლის აუცილებლობა. კაუცკი აქაც ისეთ რამეს ჩადის, რაც ძალიან წააგავს სიყალბეს: მას მოჰყავს ციტატები მხოლოდ ერთი ბოლშევიკის «თეზისებიდან»,

სადაც მიწის კოლექტიურად დამუშავებაზე გადასვლის შესახებ არის ლაპარაკი! მოჰყავს რა ერთ-ერთი ეს თეზისი, ჩვენი «თეორეტიკოსი» გამარჯვებულის კილოთი გაიძახის:

«გარკვეული რამ ამოცანად რომ გამოაცხადოთ, ამით, სამწუხაროდ, ამოცანა არ წყდება. კოლექტიური სასოფლო მეურნეობა რუსეთში ჯერ-ჯერობით განწირულია იმად, რომ ქაღალდზე დარჩეს. წვრილი გლეხები თეორიული დარწმუნების გზით ჯერჯერობით არსად და არასოდეს არ გადასულან კოლექტიურ წარმოებაზე» (50).

ჯერ კიდევ არსად და არასოდეს არ ყოფილა ისეთი ლიტერატურული თაღლითობა, როგორამდეც კაუცკი დაეცა. მას მოჰყავს «თეზისები» და ამავე დროს სდუმს საბჭოთა ხელისუფლების კ ა ნ ო ნ ზ ე. ის ლაპარაკობს «თეორიულ დარწმუნებაზე» და ამავე დროს სდუმს პროლეტარულ სახელმწიფო ხელისუფლებაზე, რომელსაც ხელთ აქვს ქარხნებიც და საქონელიც! რენეგატმა კაუცკიმ 1918 წელს დაივიწყა ყოველივე ის, რასაც მარქსისტი კაუცკი 1899 წელს წერდა «აგრარულ საკითხში» იმ საშუალებათა საკითხზე, რომლებიც ხელთ აქვს პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალიზმზე წვრილ გლეხთა თანდათანობით გადასაყვანად.

რა თქმა უნდა, რამდენიმე ასეული სასოფლო-სამეურნეო კომუნა და საბჭოთა მეურნეობა (ე. ი. მსხვილი მეურნეობანი, რომლებსაც მუშათა ამხანაგობანი სახელმწიფოს ხარჯზე ამუშავებენ), — ეს ძალიან ცოტაა. მაგრამ განა შეიძლება «კრიტიკა» ეწოდოს კაუცკის მიერ ამ ფაქტის გვერდის ავლას?

მიწის ნაციონალიზაციამ, რომელიც რუსეთში პროლეტარულმა დიქტატურამ განახორციელა, ყველაზე მეტად უზრუნველყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, — იმ შემთხვევისთვისაც კი, კონტრრევოლუციის გამარჯვებას რომ გამოეწვია ნაციონალიზაციიდან უკან — გაყოფისაკენ დაბრუნება (ეს შემთხვევა მე სპეციალურად მაქვს განხილული წიგნში მარქსისტების აგრარული პროგრამის შესახებ 1905 წლის რევოლუციაში). გარდა ამისა, მიწის ნაციონალიზაციამ პროლეტარულ სახელმწიფოს მისცა

უდიდესი შესაძლებლობანი — გადავიდეს სოციალიზმზე მიწათ-მოქმედებაში.

დასკვნა: თეორიულად კაუცკიმ ჩვენ მოგვცა წარმოუდგენელი დომხალი, მარქსიზმისაგან სრულ განდგომასთან ერთად, ხოლო პრაქტიკულად — ლაქიობა ბურჟუაზიისა და მისი რეფორმიზმის წინაშე. კარგი კრიტიკა კია, თქვენმა მზემ!

* *
*

მრეწველობის «ეკონომიურ ანალიზს» კაუცკი შემდეგი საუცხოო მსჯელობით იწყებს:

რუსეთში არსებობს მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა. ხომ არ შეიძლება ამ საფუძველზე აიგოს სოციალისტური წარმოება? «ასე შეიძლებოდა გვეფიქრნა, სოციალიზმი რომ ის იყოს, რომ ცალკეული ფაბრიკებისა და სამადნოების მუშები მათ საკუთრებად იღებდნენ» (სიტყვასიტყვით: ითვისებდნენ), «რომ თვითეულ ფაბრიკაში ცალკე უძღვებოდნენ მეურნეობას» (52). «სწორედ დღეს, 5 აგვისტოს, როდესაც მე ამ სტრიქონებს ვწერ, — დასძენს კაუცკი, — მოსკოვიდან იუწყებიან ლენინის მიერ 2 აგვისტოს წარმოთქმული ერთი სიტყვის შესახებ, რომელშიც მან, როგორც გადმოგვცემენ, თქვა: «მუშებს მაგრად უჭირავთ თავიანთ ხელში ფაბრიკები, ხოლო გლეხები არ დაუთმობენ მემამულეებს მიწას». პაროლი: ფაბრიკა — მუშებს, მიწა — გლეხებს დღემდე იყო არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ ანარქო-სინდიკალისტური» (52 — 53).

ჩვენ მთლიანად ამოვწერეთ ეს მსჯელობა, რათა რუსმა მუშებმა, რომლებიც წინათ პატივს სცემდნენ კაუცკის, და პატივს სცემდნენ მართებულად, თვითონ დაინახონ ბურჟუაზიის მხარეზე გადარბენილის ფანდები.

აბა იფიქრეთ: 5 აგვისტოს, როდესაც რუსეთში უკვე გამოცემული იყო უამრავი დეკრეტი ფაბრიკების ნაციონალიზაციის შესახებ, ამასთან არც ერთი ფაბრიკა არ ყოფილა მუშების მიერ «მითვისებული», არამედ ყველა ფაბრიკა

რესპუბლიკის საკუთრებად გადადიოდა, 5 აგვისტოს კაუცკი, ჩემი სიტყვიდან ამოღებული ერთი ფრაზის აშკარად თაღლითური განმარტების საფუძველზე, გერმანელ მკითხველებს იმ აზრს ჩააგონებს, თითქოს რუსეთში ფაბრიკები ცალკეულ მუშებს ეძლეოდეთ საკუთრებად! და ამის შემდეგ კაუცკი ათეული და ათეული სტრიქონების მანძილზე ღეჭავს იმ საღეჭს, რომ არ შეიძლება ფაბრიკები ცალ-ცალკე გადაეცეს მუშებსო!

ეს კრიტიკა კი არ არის, არამედ ფანდია ბურჟუაზიის ლაქიისა, რომელიც კაპიტალისტებს დაუქირავებიათ, რათა ცილი დასწამოს მუშათა რევოლუციას.

ფაბრიკები უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, ან თემს, ან სამომხმარებლო საზოგადოებებსო, — წერს კიდევ და კიდევ კაუცკი და ბოლოს დასძენს:

«სწორედ ამ გზაზე დადგომას შეეცადნენ ახლა რუსეთში»... ახლა!! ესე იგი რას ნიშნავს ეს? აგვისტოში? ნუთუ კაუცკიმ ვერ შეძლო შეეკვეთა თავისი შტეინისათვის, აქსელროდისათვის ან რუსეთის ბურჟუაზიის სხვა მეგობრებისათვის გადაეთარგმნათ თუნდაც ერთი დეკრეტი ფაბრიკების შესახებ?

...«თუ რამდენად შორს წავიდნენ ამ გზაზე, ეს ჯერ კიდევ არ ჩანს. საბჭოთა რესპუბლიკის ეს მხარე ყოველ შემთხვევაში ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სავსებით ბნელით არის მოცული. დეკრეტების მხრივ ნაკლებობა არ არის»... (ამიტომ უგულებელყოფს კაუცკი მათ შინაარსს ან უმალავს თავის მკითხველებს!), «მაგრამ ნაკლებადაა სანდო ცნობები ამ დეკრეტების მოქმედების შესახებ. სოციალისტური წარმოება შეუძლებელია ისე, თუ არ არის ყოველმხრივი, დეტალური, სანდო და ცნობების სწრაფად მომწოდებელი სტატისტიკა. ასეთი სტატისტიკის შექმნა საბჭოთა რესპუბლიკამ დღემდე ვერ შეძლო. ის, რასაც ჩვენ მისი ეკონომიური მოქმედების შესახებ ვეყობილობთ, მეტისმეტად წინააღმდეგურია და სრულიად არ შეიძლება შემოწმდეს. ესეც ერთ-ერთი შედეგია დიქტატურისა, შედეგია დემოკრატიის დათრგუნვისა. არ არის პრესისა და სიტყვის თავისუფლება»... (გვ. 53).

აი როგორ იწერება ისტორია! კაპიტალისტებისა და დუტოველების «თავისუფალი» პრესიდან კაუცკი მიიღებდა

ცნობებს ფაბრიკების შესახებ, რომლებიც მუშების ხელში გადადის... ჭეშმარიტად, დიდებულია ეს ზეკლასობრივი «სერიოზული მეცნიერი»! არც ერთ ფაქტზე უამრავი ფაქტებიდან, რომლებიც მოწმობენ, რომ ფაბრიკები **მ ხ ო ლ ო დ** რესპუბლიკის ხელში გადადის, რომ მათ განაგებს საბჭოთა ხელისუფლების ორგანო, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, შედგენილი უმთავრესად მუშათა პროფესიული კავშირებისაგან არჩეული მუშების მონაწილეობით, — არც ერთ ასეთ ფაქტზე კაუცკის არც კი სურს შეჩერდეს. ის დაჟინებით, ფუტლარის ადამიანის სიჯიუტით, ერთსა და იმავეს გაიძახის: მოიტათ მშვიდობიანი დემოკრატია, სამოქალაქო ომის გარეშე, დიქტატურის გარეშე, კარგი სტატისტიკითო (საბჭოთა რესპუბლიკამ შექმნა სტატისტიკური დაწესებულება და მოიზიდა რუსეთის მთელი საუკეთესო სტატისტიკური ძალები, მაგრამ, რა თქმა უნდა, იდეალური სტატისტიკის მალე შექმნა შეუძლებელია). ერთი სიტყვით, რევოლუცია ურევოლუციოდ, გააფთრებული ბრძოლის გარეშე, ძალდატანების გარეშე, — აი რას მოითხოვს კაუცკი. ეს იგივეა, რომ მოითხოვოთ ისეთი გაფიცვები, რომლებმაც მუშებისა და მეპატრონეების მძაფრი აღგზნება არ გამოიწვიონ. მოდით და გაარჩიეთ ამგვარი «სოციალისტი» ჩვეულებრივი ლიბერალური მოხელისაგან!

და, ემყარება რა ასეთ «ფაქტიურ მასალას», ე. ი. განზრახ გვერდს უვლის რა სრული ათვალწუნებით აუარებელ ფაქტს, კაუცკი «დაასკვნის»:

«საეჭვოა, მიიღო თუ არა რუსეთის პროლეტარიატმა არა დეკრეტების, არამედ ნამდვილ პრაქტიკულ მონაპოვართა აზრით საბჭოთა რესპუბლიკაში იმაზე მეტი, ვიდრე იგი მიიღებდა დამფუძნებელი კრებისაგან, რომელშიც, ისევე როგორც საბჭოებში, სოციალისტები სჭარბობდნენ, თუმცა სხვა ელფერის სოციალისტები» (58).

სწორედ ხომ მარგალიტია! ჩვენ ვურჩევთ კაუცკის პატივისმცემლებს რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ეს გამოთქმა რუს მუშებს შორის, ვინაიდან უკეთეს მასალას თავისი პოლიტიკური დაცემის დასახასიათებლად კაუცკი ვერ

მოგვცემდა. კერენსკიც «სოციალისტი» იყო, ამხანაგო მუშებო, ოღონდ «სხვა ელფერისა»! ისტორიკოსი კაუცკი კმაყოფილდება იმ მეტსახელით, იმ წოდებით, რომელიც «მიითვისეს» მემარჯვენე ესერებმა და მენშევიკებმა. ისტორიკოს კაუცკის გაგონებაც არ სურს იმ ფაქტებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ კერენსკის დროს მენშევიკები და მემარჯვენე ესერები მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას და მტაცებლობას, ის მორცხვად სდუმს იმაზე, რომ დამფუძნებელი კრება უმრავლესობას ანიჭებდა სწორედ იმპერიალისტური და ბურჟუაზიული დიქტატურის ამ გმირებს. და ამას ეწოდება «ეკონომიური ანალიზი»!..

დასასრულ, კიდევ ერთი ნიმუში «ეკონომიური ანალიზისა»:

...«საბჭოთა რესპუბლიკა თავისი არსებობის ცხრა თვის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ დაამყაროს საყოველთაო კეთილდღეობა, იძულებული ხდება განმარტოს, თუ საიდან წარმოსდგება საყოველთაო გაჭირვება» (41).

კადეტებმა ჩვენ შეგვაჩვიეს ასეთ მსჯელობას. ბურჟუაზიის ყველა მსახური რუსეთში ასე მსჯელობს: მოიტათ, მოიტათ 9 თვის შემდეგ საყოველთაო კეთილდღეობაო — ეს ოთხი წლის გამაჩანაგებელი ომის შემდეგ, ისეთ პირობებში, როდესაც უცხოეთის კაპიტალი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ბურჟუაზიის საბოტაჟსა და აჯანყებებს რუსეთში. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სრულიად არავითარი განსხვავება, განსხვავების ნატამალიც კი არ დარჩენილა კაუცკისა და კონტრრევოლუციურ ბურჟუებს შორის. მოთაფლული სიტყვები, «სოციალიზმის» ნიღაბით დაფარულნი, იმეორებენ იმას, რასაც ტლანქად, მიუკიბ-მოუკიბავად, შეუფერადებლად ამბობენ კორნილოველები, დუტოველები და კრასნოველები რუსეთში.

* *
*

წინა სტრიქონები დაიწერა 1918 წ. 9 ნოემბერს. 9 ნოემბერსავე ღამით გერმანიიდან მიღებულია ცნობები, რომ დაიწყო ძლევამოსილი რევოლუცია ჯერ კილში და

ჩრდილოეთსა და ზღვის პირას მდებარე სხვა ქალაქებში, სადაც ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდა, შემდეგ ბერლინში, სადაც ძალაუფლება აგრეთვე საბჭოს ხელში გადავიდა.

დასკვნა, რომელიც უნდა დამეწერა ბროშურისათვის კაუცკისა და პროლეტარული რევოლუციის შესახებ, ზედმეტი ხდება.

1918 წ. 10 ნოემბერი

დამატება I

თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ[121]

დამატება II

ვანდერველდეს ახალი წიგნი სახელმწიფოს შესახებ

მე მხოლოდ კაუცკის წიგნის წაკითხვის შემდეგ მომეცა შემთხვევა გავცნობოდი ვანდერველდეს წიგნს: «სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ» (პარიზი, 1918). უნებლიეთ იბადება ამ ორი წიგნის შედარების აზრი. კაუცკი II ინტერნაციონალის (1889 — 1914) იდეური ბელადია, ვანდერველდე მისი ფორმალური წარმომადგენელია, როგორც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარე. ორივენი II ინტერნაციონალის სრული გაკოტრების გამომხატველნი არიან, ორივენი «ოსტატურად», გამოცდილი ჟურნალისტების მთელი გაქნილობით, ფარავენ მარქსისტული სიტყვებით ამ გაკოტრებას, თავიანთ საკუთარ კრახს და ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას. ერთი განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს იმას, რაც ტიპიურია ტლანქ, თეორიულ გერმანულ ოპორტუნიზმში, რომელიც მარქსიზმს აყალბებს მარქსიზმისაგან იმის მოკვეთის საშუალებით, რაც ბურჟუაზიისათვის მიუღებელია. მეორე ტიპიურია გაბატონებული ოპორტუნიზმის რომანული — რამდენადმე შეიძლება ითქვას: დასავლეთ-ევროპული (გერმანიის დასავლეთით მდებარეს აზრით) — ნაირსახეობისათვის, რომელიც უფრო მოქნილია, ნაკლებ ტლანქია და უფრო ოსტატურად აყალბებს მარქსიზმს იმავე ძირითადი ხერხის საშუალებით.

ორივენი სრულიად ამახინჯებენ როგორც მარქსის მოძღვრებას სახელმწიფოზე, ისე მის მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურაზე, ამასთან ვანდერველდე უფრო პირველ

საკითხზე ჩერდება, კაუცკი კი — მეორეზე. ორივენი ჩქმალავენ ამ ორ საკითხს შორის არსებულ უმჭიდროეს, განუყრელ კავშირს. ორივენი სიტყვიერად რევოლუციონერები და მარქსისტები არიან, ნამდვილად კი არიან რენეგატები, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს იქით მიმართავენ, რომ თავი აარიდონ რევოლუციას. არც ერთს არ გააჩნია იმის ნასახიც კი, რითაც სულ ერთიანად გამსჭვალულია მარქსისა და ენგელსის ყველა ნაწარმოები, ის, რაც ნამდვილ სოციალიზმს განასხვავებს მისი ბურჟუაზიული კარიკატურისაგან, სახელდობრ: რევოლუციის ამოცანების გამორკვევა რეფორმის ამოცანებისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ, რევოლუციური ტაქტიკის გამორკვევა რეფორმისტული ტაქტიკისაგან განსხვავებით, დაქირავებული მონობის სისტემის ან წესწყობილების, წყობის მ ო ს პ ო ბ ა შ ი პროლეტარიატის როლის გამორკვევა «დიდ» სახელმწიფოთა პროლეტარიატის როლისაგან განსხვავებით, — პროლეტარიატისა, რომელიც ბურჟუაზიასთან იყოფს ამ უკანასკნელის იმპერიალისტური ზემოგების და ზენადავლის ნაწილაკს.

მოვიყვანოთ ვანდერველდეს რამდენიმე ყველაზე არსებითი მსჯელობა ასეთი შეფასების დასადასტურებლად.

ვანდერველდეს, კაუცკის მსგავსად, უაღრესი გულმოდგინებით მოჰყავს ციტატები მარქსიდან და ენგელსიდან. და, კაუცკის მსგავსად, მას მარქსიდან და ენგელსიდან მოჰყავს ყველაფერი, რაც გნებავთ, გ ა რ დ ა იმისა, რაც სრულიად მიუღებელია ბურჟუაზიისათვის, რაც რევოლუციონერს განასხვავებს რეფორმისტისაგან. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ — რამდენიც გნებავთ, ვინაიდან პრაქტიკით ეს უკვე მოქცეულია მარტოოდენ პარლამენტურ ჩარჩოებში. იმაზე კი, რომ მარქსმა და ენგელსმა კომუნის გამოცდილების შემდეგ საჭიროდ მიიჩნიეს შეეცვლოთ ნაწილობრივ მოძველებული «კომუნისტური მანიფესტი» იმ ჭეშმარიტების განმარტებით, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას, რომ მან უნდა დ ა ა მ ს ხ ვ რ ი ო ს

იგი, — ამაზე ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა! ვანდერველდე, ისევე როგორც კაუცკი, თითქოს პირი შეკრესო, სრული დუმილით უვლიან გვერდს სწორედ იმას, რაც ყველაზე უფრო არსებითია პროლეტარული რევოლუციის გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა შ ი, სწორედ იმას, რაც პროლეტარიატის რევოლუციას განასხვავებს ბურჟუაზიის რეფორმებისაგან.

ისევე როგორც კაუცკი, ვანდერველდე ლაპარაკობს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ იმისათვის, რომ თავი აარიდოს მას. კაუცკიმ ეს გააკეთა ტლანქი ფალსიფიკაციების გზით. ვანდერველდე კი ამასვე უფრო მოქნილად ახორციელებს. სათანადო პარაგრაფში, მე-4 პარაგრაფში, «პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ», ის «ბ» ქვეგანყოფილებას უძღვნის «პროლეტარიატის კოლექტიური დიქტატურის» საკითხს, «მოჰყავს ციტატები» მარქსიდან და ენგელსიდან (ვიმეორებ: ტოვებს რა სწორედ იმას, რაც ეხება ყველაზე მთავარს, ძველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო მანქანის დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა ს) და დაასკვნის:

...«სოციალისტურ წრეებში ჩვეულებრივ ასე აქვთ წარმოდგენილი სოციალური რევოლუცია: ახალი კომუნა, რომელიც ამჯერად იმარჯვებს, და არა ერთ პუნქტში, არამედ კაპიტალისტური მსოფლიოს მთავარ ცენტრებში.

ჰიპოთეზი; მაგრამ ისეთი ჰიპოთეზი, რომელიც დაუჯერებელს არაფერს შეიცავს ისეთ დროს, როდესაც უკვე აშკარა ხდება, რომ ომისშემდგომი პერიოდი ბევრ ქვეყანაში ნახავს კლასების გაუგონარ ანტაგონიზმებს და სოციალურ კონვულსიებს.

თუკი პარიზის კომუნის მარცხი — არაფერს ვამბობთ რუსეთის რევოლუციის სიძნელეებზე — რაიმეს ამტკიცებს, ეს სწორედ იმას, რომ შეუძლებელია ბოლო მოვუღოთ კაპიტალისტურ წყობილებას მანამდე, სანამ პროლეტარიატი საკმაოდ არ მოემზადება იმ ძალაუფლების გამოსაყენებლად, რომელიც გარემოებათა გამო შეიძლება მას ხელთ ჩაუვარდეს» (გვ. 73).

და მეტი სრულიად არაფერი საქმის არსის გამო!

აი ისინი, II ინტერნაციონალის ბელადები და წარმომადგენლები! 1912 წელს ისინი ხელს აწერენ ბაზელის მანიფესტს, სადაც პირდაპირ ლაპარაკობენ პროლეტარულ რევოლუციასთან სწორედ იმ ომის კავშირზე, რომელმაც იფეთქა

1914 წელს, და პირდაპირ იმუქრებიან ამ რევოლუციით. ხოლო როდესაც ომი ატყდა და რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, ისინი, ეს კაუცკები და ვანდერველდეები იწყებენ რევოლუციისათვის თავის არიდებას. თურმე: კომუნის ტიპის რევოლუცია მხოლოდ არა დაუჯერებელი ჰიპოთეზია! ეს სრულიად ანალოგიურია კაუცკის მსჯელობისა საბჭოების შესაძლებელ როლზე ევროპაში.

მაგრამ ასე ხომ ყოველი განათლებული ლ ი ბ ე რ ა ლ ი ც მსჯელობს, რომელიც ახლა, უთუოდ, დაგეთანხმებათ, რომ ახალი კომუნა «დაუჯერებელი არ არის», რომ საბჭოებს დიდი როლი მოელით და სხვ.. პროლეტარული რევოლუციონერი იმით განსხვავდება ლიბერალისაგან, რომ ის, როგორც თეორეტიკოსი, ანალიზს უკეთებს კომუნისა და საბჭოების სწორედ ახალ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ვ მნიშვნელობას. ვანდერველდე ს დ უ მ ს ყოველივე იმაზე, რასაც ამ თემაზე დაწვრილებით ლაპარაკობენ მარქსი და ენგელსი, როდესაც ანალიზს უკეთებენ კომუნის გამოცდილებას.

მარქსისტმა, როგორც პრაქტიკოსმა, როგორც პოლიტიკოსმა, უნდა გამოარკვიოს, რომ მხოლოდ სოციალიზმის მოლალატეებს შეუძლიათ ახლა განუდგნენ ამოცანას: გამოარკვიონ პროლეტარული რევოლუციის (კომუნის ტიპის, საბჭოების ტიპის ან, ვთქვათ, რომელიმე მესამე ტიპის) აუცილებლობა, განმარტონ მისთვის მზადების აუცილებლობა, გასწიონ მასებში რევოლუციის პროპაგანდა, გააქარწყლონ რევოლუციის საწინააღმდეგო მეშჩანური ცრურწმენანი და ა. შ.

არაფერს ამის მსგავსს არც კაუცკი და არც ვანდერველდე არ აკეთებენ, — და ეს სწორედ იმიტომ, რომ თვითონ ისინი სოციალიზმის მოღალატენი არიან, რომელთაც სურთ სოციალისტებისა და მარქსისტების რეპუტაცია შეინარჩუნონ მუშებში.

აიღეთ საკითხის თეორიული დასმა.

სახელმწიფო დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც სხვა არაფერია, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის

დასათრგუნავად. კაუცკიმ ეს ჭეშმარიტება იცის, ის აღიარებს, იზიარებს ამ ჭეშმარიტებას, — მაგრამ... მაგრამ გვერდს უვლის ყველაზე ძირითად საკითხს, თუ რომელი კლასი, რატომ და რა საშუალებებით უნდა დათრგუნოს პროლეტარიატმა, როდესაც იგი პროლეტარულ სახელმწიფოს მოიპოვებს.

ვანდერველდემ იცის მარქსიზმის ეს ძირითადი დებულება, ისიც აღიარებს, იზიარებს, მოჰყავს იგი (მისი წიგნი, გვ. 72), მაგრამ... კრინტსაც არ ძრავს «არასასიამოვნო» (ბატონ კაპიტალისტებისათვის) თემაზე ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის შესახებ!!

ვანდერველდემ, ისევე როგორც კაუცკიმ, სრულიად აუარა გვერდი ამ «არასასიამოვნო» თემას. სწორედ ეს არის მათი რენეგატობა.

ვანდერველდე, ისევე როგორც კაუცკი, დიდი ოსტატია დიალექტიკის ეკლექტიზმით შეცვლის საქმეში. ერთი მხრივ, არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ. ერთი მხრივ, სახელმწიფო შეგვიძლია გავიგოთ როგორც «ერის ერთობლიობა» (იხილეთ ლიტრეს ლექსიკონი, — თქმა არ უნდა, მეცნიერული ნაშრომი, — ვანდერველდეს წიგნში, გვ. 87), მეორე მხრივ, სახელმწიფო შეგვიძლია გავიგოთ როგორც «მთავრობაო» (იქვე). ვანდერველდე ამ მეცნიერულ უხამსობას წერს და იწონებს მარქსიდან ციტატების გვერდით.

სიტყვა «სახელმწიფოს» მარქსისტული გაგება განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, — წერს ვანდერველდე. ამის გამო შესაძლებელია «გაუგებრობაო». «სახელმწიფო, მარქსისა და ენგელსის მიხედვით, არ არის სახელმწიფო ფართო გაგებით, არ არის სახელმწიფო, როგორც გამგებლობის ორგანო, საზოგადოების საერთო ინტერესების წარმომადგენელი (intérêts généraux de la société). ეს არის სახელმწიფო — ძალაუფლება, სახელმწიფო — ავტორიტეტის ორგანო, სახელმწიფო — ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობის იარაღი» (ვანდერველდეს წიგნი, გვ. 75 — 76).

სახელმწიფოს მოსპობაზე მარქსი და ენგელსი მხოლოდ მეორენაირი გაგებით ლაპარაკობენ... «მეტისმეტად აბსოლუტური მტკიცებანი შეიძლებოდა არაზუსტი აღმოჩენილიყო. კაპიტალისტების სახელმწიფოსა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი კლასის ბატონობაზეა დამყარებული, და პროლეტარულ სახელმწიფოს შორის, რომელიც კლასების მოსპობას ისახავს მიზნად, ბევრი გარდამავალი საფეხურია» (გვ. 156).

აი ვანდერველდეს «მანერა», რომელიც მხოლოდ ოდნავად განსხვავდება კაუცკის მანერისაგან, არსებითად კი ისეთივეა. დიალექტიკა უარყოფს აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს, არკვევს რა დაპირისპირებათა ცვლას და კრიზისების მნიშვნელობას ისტორიაში. ეკლექტიკოსს არ სურს «მეტისმეტად აბსოლუტური» მტკიცებანი, რათა შემოაპაროს თავისი მეშჩანური, თავისი ფილისტერული სურვილი — «გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი თ» შეცვალოს რევოლუცია.

იმაზე კი, რომ კაპიტალისტთა კლასის ბატონობის ორგანოს — სახელმწიფოსა და პროლეტარიატის ბატონობის ორგანოს — სახელმწიფოს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, რაც გამოიხატება ბურჟუაზიის დ ა მ ხ ო ბ ი თ და მ ი ს ი სახელმწიფო მანქანის დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ი თ, დამტვრევით, ამაზე კაუცკები და ვანდერველდეები სდუმან.

იმას, რომ ბურჟუაზიის დიქტატურა უნდა შეიცვალოს ე რ თ ი კლასის, პროლეტარიატის, დიქტატურით, რომ რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს «გარდამავალ საფეხურებს» მოჰყვება პროლეტარული სახელმწიფოს თანდათან კვდომის «გარდამავალი საფეხურები», ამას კაუცკები და ვანდერველდეები ჩქმალავენ.

სწორედ ეს არის მათი პოლიტიკური რენეგატობა.

სწორედ ეს არის თეორიულად, ფილოსოფიურად, დიალექტიკის შეცვლა ეკლექტიზმითა და სოფისტიკით. დიალექტიკა კონკრეტული და რევოლუციურია, ერთი კლასის დიქტატურიდან მეორე კლასის დიქტატურაზე «გადასვლას»

ეგი განასხვავებს დემოკრატიული პროლეტარული სახელმწიფოს «გადასვლიდან» არა-სახელმწიფოზე («სახელმწიფოს კვდომა»). კაუცკებისა და ვანდერველდეების ეკლექტიკა და სოფისტიკა, ბურჟუაზიის საამებლად, ჩქმალავს ყოველივე კონკრეტულსა და ზუსტს კლასობრივ ბრძოლაში, აპარებს «გადასვლის» ზოგად ცნებას, რითაც შეიძლება რევოლუციისაგან განდგომის დამალვა (და რითაც მალავს ამას ჩვენი ეპოქის ოფიციალური სოციალ-დემოკრატების ცხრა მეათედი)!

ვანდერველდე, როგორც ეკლექტიკოსი და სოფისტი, უფრო გაწაფული და დაოსტატებულია, ვიდრე კაუცკი, ვინაიდან ისეთი ფრაზის საშუალებით, როგორიცაა: «გადასვლა სახელმწიფოდან ვიწრო გაგებით სახელმწიფოზე ფართო გაგებით» შეგიძლიათ გვერდი აუაროთ რევოლუციის ყველა, როგორიც გნებავთ, საკითხს, გვერდი აუაროთ მთელ განსხვავებას რევოლუციასა და რეფორმას შორის, მარქსისტსა და ლიბერალს შორის არსებულ განსხვავებასაც კი. ვინაიდან, რომელ ევროპულად განათლებულ ბურჟუას მოუვა აზრად უარყოს «საერთოდ» «გარდამავალი საფეხურები» ასეთი «საერთო» გაგებით?

«მე ვეთანხმები გედს იმაში, — წერს ვანდერველდე, — რომ შეუძლებელია წარმოებისა და გაცვლის საშუალებათა სოციალიზება, თუ წინასწარ შესრულებული არ იქნა ორი შემდეგი პირობა:

1. ახლანდელი სახელმწიფოს, ერთი კლასის, მეორე კლასზე ბატონობის ორგანოს, გადაქცევა იმად, რასაც მენგერი შრომის სახალხო სახელმწიფოს უწოდებს, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის საშუალებით.

2. ავტორიტეტის ორგანოს — სახელმწიფოს განცალკევება გამგებლობის ორგანოს — სახელმწიფოსაგან, ანუ, სენ-სიმონისტების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ადამიანთა მმართველობის განცალკევება ნივთების ადმინისტრირებისაგან» (89).

ამას ვანდერველდე კურსივით წერს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ასეთ დებულებათა მნიშვნელობას. მაგრამ ეს ხომ ნამდვილი ეკლექტიკური დომხალია, მარქსიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტაა! «შრომის სახალხო სახელმწიფო»

ხომ მხოლოდ სხვანაირად გამოთქმული ძველი «თავისუფალი სახალხო სახელმწიფოა», რომელსაც ელოლიავებოდნენ გერმანელი სოციალ-დემოკრატები 70-იან წლებში და რომელსაც ენგელსი სასტიკად გმობდა, როგორც უაზრობას[122]. გამოთქმა «შრომის სახალხო სახელმწიფო» ფრაზაა, რომელიც შეფერის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატს (ჩვენებური მემარცხენე ესერის მსგავსს), — ფრაზა, რომელიც კლასობრივ ცნებებს არაკლასობრივი ცნებებით ცვლის. ვანდერველდე ერთიმეორის გვერდით აყენებს პროლეტარიატის მიერ (ერთი კლასის მიერ) სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობასაც და «სახალხო» სახელმწიფოსაც და ვერ ამჩნევს იმას, რომ დომხალი გამოუდის. კაუცკის თავისი «წმინდა დემოკრატიით» გამოუდის ასეთივე დომხალი, კლასობრივი რევოლუციის, კლასობრივი, პროლეტარული, დიქტატურის, კლასობრივი (პროლეტარული) სახელმწიფოს ამოცანების ასეთივე ანტირევოლუციური, მეშჩანური უგულებელყოფა.

შემდეგ. ადამიანთა მმართველობა გაქრება და ადგილს დაუთმობს ნივთების ადმინისტრირებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველგვარი სახელმწიფო მოკვდება. ამ შედარებით შორეული მომავლით ვანდერველდე ფარავს, ჩრდილავს ხვალინდელი დღის ამოცანას: ბურჟუაზიის დამხობას.

ასეთი ფანდი ისევ და ისევ ბურჟუაზიის დამქაშობას უდრის. ლიბერალი თანახმაა ილაპარაკოს იმაზე, თუ რა იქნება მაშინ, როდესაც ადამიანთა მართვა საჭირო აღარ დარჩება. აბა რატომ არ უნდა გაირთონ თავი ესოდენ უწყინარი ოცნებით? ხოლო რაც შეეხება იმას, რომ პროლეტარიატმა დათრგუნოს წინააღმდეგობა ბურჟუაზიისა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს თავის ექსპროპრიაციას, — ამაზე სიჩუმე. ამას მოითხოვს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესი.

«სოციალიზმი სახელმწიფოს წინააღმდეგ». ეს ვანდერველდეს სალამია პროლეტარიატისადმი. სალამის მიცემა

ძნელი არ არის, ყოველ «დემოკრატიულ» პოლიტიკოსს ეხერხება თავისი ამომრჩევლებისათვის სალამის მიცემა. ხოლო «სალამის» საფარით ტარდება ანტირევოლუციური, ანტიპროლეტარული შინაარსი.

ვანდერველდე დაწვრილებით იმეორებს ოსტროგორსკის[123] ნათქვამს იმის შესახებ, თუ რამდენი მატყუარობა, ძალადობა, მოსყიდვა, სიცრუე, თვალთმაქცობა, ღარიბთა შევიწროებაა დაფარული თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატიის ცივილიზებული, მორთულ-მოკაზმული გარეგნობის ქვეშ. მაგრამ ვანდერველდეს აქედან დასკვნა არ გამოჰყავს. ბურჟუაზიული დემოკრატია რომ თრგუნავს მშრომელ და ექსპლოატირებულ მასას, ხოლო პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ მ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა მ რომ უნდა დ ა თ რ გ უ ნ ო ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა, ამას ის ვერ ამჩნევს. კაუცკი და ვანდერველდე ბრმანი არიან ამის მიმართ. კლასობრივი ინტერესი ბურჟუაზიისა, რომელსაც კუდში მისჩანჩალებენ მარქსიზმის ეს წვრილბურჟუაზიული მოღალატენი, მ ო ი თ ხ ო ვ ს ამ საკითხის გვერდის ავლას, მის მიჩქმალვას ან ასეთი დათრგუნვის საჭიროების პირდაპირ უარყოფას.

მეშჩანური ეკლექტიზმი მარქსიზმის წინააღმდეგ, სოფისტიკა დიალექტიკის წინააღმდეგ, ფილისტერული რეფორმიზმი პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ — აი რა სათაური უნდა მისცემოდა ვანდერველდეს წიგნს.

პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო კონტროლის გამოყენების შესახებ [124]

მუშაობის მოწესრიგებისა და თავდაცვაუნარიანობის აშაღლების მიზნით სახელმწიფო კონტროლის გამოყენების საკითხზე კომისიის უმრავლესობა მხარს უჭერს მოძრავ კონტროლს, ე. ი. დიდი რწმუნებებით აღჭურვილი ჯგუფების ან კომისიების გაგზავნას სხვადასხვა დაწესებულების საჩეკიზიოდ.

წარმოდგენილ იქნას კონკრეტული, ფაქტიური, რიცხობრივი მონაცემები იმ საკითხზე, თუ რა ძალები გვყავს ჩვენ (უწინარეს ყოვლისა პარტიულებიდან, შემდეგ არაპარტიულებიდან, მაგრამ აბსოლუტურად კეთილსინდისიერი პირებიდან) — რეალური კონტროლის გასახორციელებლად. სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა რიცხვი; — ადმინისტრაციაში, მმართველობის საქმეში გამოცდილი ამხანაგების რიცხვი.

კონტროლის ამოცანები ორნაირია:

უმარტივესი — საწყობების, პროდუქტების და მისთანათა შემოწმება.

უფრო რთული ამოცანა — მუშაობის სისწორის შემოწმება; ბრძოლა საბოტაჟთან, მისი სრული გამოაშკარავება; მუშაობის ორგანიზაციის სისტემის შემოწმება; მუშაობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტიულობის უზრუნველყოფა და სხვ.

პირველ რიგში ისმება საკითხი საქმის გაუმჯობესებისა სასურსათო და გზათა კომისარიატებში.

დაწერილია 1918 წ. 3 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა საბჭოების, ღარიბთა კომიტეტებისა და რკპ(ბ) რაიონული კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე 1918 წ. 8 დეკემბერს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ტ ა შ ი ს გ რ ი ა ლ ი.) ავსტრიისა და გერმანიის უკანასკნელი კვირეების ამბებმა, — დაიწყო თავისი სიტყვა ამხანაგმა ლენინმა, — ცხადყვეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში ჩვენ მართალი ვიყავით, როდესაც ჩვენს პოლიტიკას ვამყარებდით ოთხი წლის ომის ყველა შედეგის ზუსტ, ნათელ და სწორ გათვალისწინებაზე, — ომისა, რომელიც კაპიტალისტების მიერ ნადავლის გაყოფისათვის წარმოებული ომიდან გადაიქცა მათ ომად ყველა ქვეყნის პროლეტარიატის წინააღმდეგ. ძნელი იყო რევოლუციის დაწყება დასავლეთ ევროპაში, მაგრამ, რაკი დაიწყო, იგი ჩვენს რევოლუციაზე უფრო სწრაფად, უფრო მტკიცედ და უფრო ორგანიზებულად ვითარდება.

ამხანაგი ლენინი აღნიშნავს სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას, რომელიც ჩვენ დახმარებას გვიწევს, მოგვიწოდებს დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე და ამბობს, რომ ყოველი თვე ჩვენი არსებობისა, რომელსაც მძიმე მსხვერპლის გაღებით ვიცავთ, გვიახლოებს მტკიცე გამარჯვებას.

ამხანაგი ლენინი შემდეგ შეეხო მორიგ ამოცანას — საოემო და სასოფლო საბჭოების ხელახალ არჩევნებს — და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშრომელთა დამოუკიდებელი ორგანიზების ყველა სიძნელე დაძლეული იქნება სულ ძირიდან, თუ იმას შევიგნებთ, რომ ხელისუფლება უნდა ემყარებოდეს მუშებს, უღარიბეს და საშუალო გლეხობას, რომელიც, ვლადიმერ ილიჩის აზრით, ჩვენი მტერი კი არ არის, არამედ

მხოლოდ მერყეობს და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად ჩვენს მხარეზე გადმოვა.

ჩვენ, — ამთავრებს ამხანაგი ლენინი, — დავიწყეთ ისეთი საქმის შენება, რომელსაც ბოლომდე მიიყვანენ მთელი მსოფლიოს მუშები. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 271,
1918 წ. 11 დეკემბერი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიას»
ტექსტის მიხედვით

———

სიტყვა მუშათა კოოპერაციის III ყრილობაზე [125] 1918 წ. 9 დეკემბერს

(მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა.) ამხანაგებო, მუშათა კოოპერაციის წინაშე ახლა უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას სამეურნეო დარგში, ავრეთვე პოლიტიკურ დარგში. როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური ამოცანები ახლა მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის აზრით. რაც შეეხება კოოპერაციის უახლოეს ამოცანებს, მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო «კოოპერაციასთან შემთანხმებლობის» მნიშვნელობა. ის შემთანხმებლობა, რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ ამ ბოლო დროს პრესაში, არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ცნებისაგან; — ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობა ღალატს წარმოადგენს. ის შემთანხმებლობა, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, სრულიად სხვაგვარი შემთანხმებლობაა. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან საბჭოთა მთავრობის შემთანხმებლობა გერმანიასთან, რამაც გარკვეული შედეგები მოგვცა, და ქვეყნისათვის ფრიად მავნე და ფრიად დამღუპველი შემთანხმებლობა — მუშათა კლასის შემთანხმებლობა ბურჟუაზიასთან. მე ვლაპარაკობ ამ შემთანხმებლობის ნიღაბით როგორც კლასობრივი ბრძოლისადმი, ისე სოციალიზმის ძირითადი პრინციპებისადმი სრულ ღალატზე. სოციალისტებისათვის, რომლებიც გარკვეულ ამოცანად ისახავენ ბურჟუაზიასთან ბრძოლას და კაპიტალთან ბრძოლას, ეს განსხვავება თავისთავად გასაგებია.

ჩვენ ყველამ ჩინებულად ვიცით, რომ ჩვენი კლასობრივი ბრძოლისათვის შეიძლება იყოს ერთადერთი გადაწყვეტილება: ეს არის ან კაპიტალის ძალაუფლების, ან მუშათა კლასის ძალაუფლების აღიარება. ჩვენ ვიცით, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიების ყველა ცდა — შექმნან და გაატარონ თავიანთი პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში — წინასწარ განწირულია სრული მარცხისათვის. ჩვენ ნათლად ვნახეთ, განვიცადეთ მთელი რიგი ცდები ამა თუ იმ წვრილბურჟუაზიული პარტიისა და ჯგუფისა, რომლებიც ისწრაფვოდნენ გაეტარებინათ თავიანთი პოლიტიკა, და ჩვენ ვხედავთ, რომ შუათანა ძალების მთელმა ამ ცდებმა მარცხი უნდა განიცადონ. სავსებით გარკვეული პირობების გამო მხოლოდ ორ ცენტრალურ ძალას, რომლებიც სრულიად მოპირდაპირე პოლუსებზე არიან, შეუძლია განახორციელოს თავისი ბატონობა რუსეთში, შეუძლია შეაბრუნოს მისი ბედი ამა თუ იმ მიმართულებით. მეტსაც ვიტყვი: მთელ ქვეყნიერებას ქმნის და მართავს ერთი ან მეორე ამ ცენტრალურ ძალათაგანი. რუსეთის შესახებ გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ, ცხოვრების ამა თუ იმ ეკონომიური პირობების გამო, მხოლოდ ერთ ამ ძალთაგანს შეუძლია ჩადგეს მოძრაობის სათავეში. დანარჩენ, შუათანა, ძალებს — ისინი ბევრნი არიან, მაგრამ მათ არასოდეს არ ექნებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების წინაშე უნდა დადგეს საკითხი კოოპერაციის შეთანხმებისა საბჭოთა ხელისუფლებასთან. აპრილში ჩვენ გადავუხვიეთ ჩვენს დასახულ მიზნებს და დათმობაზე წავედით. რა თქმა უნდა, კლასობრივი კოოპერაცია არ უნდა არსებობდეს იმ ქვეყანაში, სადაც ისპობა ყველა კლასი, მაგრამ ვიმეორებ, რომ დროის პირობები მოითხოვენ ერთგვარ შეჩერებას, და ეს ჩვენ მოვიმოქმედეთ რამდენიმე თვით დაყოვნების სახით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იმ პოზიციას, რომელზეც ახლა დგას ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში, იგი არასოდეს არ დასტოვებს. ჩვენ უნდა წავსულიყავით ამ

დათმობაზე, იმიტომ რომ ჩვენ მაშინ მარტონი ვიყავით მთელ მსოფლიოში, და ჩვენი დათმობა აიხსნება ჩვენი მუშაობის სიძნელით. იმ ეკონომიური ამოცანების გამო, რომლებიც პროლეტარიატმა იკისრა, ჩვენ უნდა შეგვეთანხმებინა და დაგვეტოვებინა წვრილბურჟუაზიული ფენების გარკვეული ჩვეულებანი. აქ მთავარია ის, რომ, რა გზითაც უნდა იყოს, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასის საქმიანობა წარმართულ და შეთანხმებულ იქნას. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ რას მოითხოვს ჩვენგან პროლეტარიატი. სახალხო ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენა უფრო და უფრო ძლიერად შეუერთდება მმართველ მუშათა კლასს, როდესაც ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ცხადყოფს, რომ არჩევანი არ არის, რომ მთელი იმედი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხის საშუალო გადაწყვეტისა საბოლოოდ გაქარწყლებულია. ყველა ის საუცხოო ლოზუნგი, როგორიცაა ხალხის ნება, დამფუძნებელი კრება და სხვა ამგვარი, რომლებითაც ჰფარავდნენ ყველა ნახევარღონისძიებას, მაშინვე აღიგავა, როგორც კი ხალხის ნამდვილი ნება ამეტყველდა. თქვენ თვითონ ხედავთ, თუ რა მოხდა, თუ როგორ გაცამტვერდა ყველა ეს ლოზუნგი, ნახევარღონისძიებათა ლოზუნგები. ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ხდება არა მარტო რუსეთში, რომ ეს ხდება მთელი მსოფლიო რევოლუციის მასშტაბით.

მე მინდა ცხადვყო განსხვავება იმ შემთანხმებლობასა, რომელმაც ესოდენ საშინელი სიძულვილი გამოიწვია მთელ მუშათა კლასში, და იმ შემთანხმებლობას შორის, რომელსაც ჩვენ ახლა მოვითხოვთ, ე. ი. როცა მოვითხოვთ შეთანხმებას მთელ წვრილ გლეხობასთან, მთელ წვრილ ბურჟუაზიასთან. ბრესტის ზავის დროს, როდესაც ჩვენ ვიღებდით ამ ზავის მძიმე პირობებს, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ მსოფლიო რევოლუციის იმედი არ არის, რომ ასეთი რევოლუცია არ შეიძლება მოხდესო. ჩვენ სრულიად მარტონი ვიყავით მთელ მსოფლიოში. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი პარტია იმ დროს,

ბრესტის ზავის წყალობით, ჩვენ ჩამოგვშორდა და ბურჟუაზიის მხარეზე დადგა. იმ მომენტში ჩვენ მოგვიხდა მთელი რიგი ფრიად საშინელი განცდების გადატანა. ამ დროიდან რამდენიმე თვის შემდეგ ცხოვრებამ ცხადყო, რომ არჩევანი არ არის და არც შეიძლება იყოს, რომ საშუალო გზა არ არის.

როდესაც გერმანიის რევოლუცია დაიწყო, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რევოლუცია იწყება მთელ მსოფლიოში, რომ ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა აგრეთვე მოდიან აქეთკენვე — ჩვენი გზით! როდესაც ჩვენი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ფენები თავიანთ ქომაგებს მიჰყვებოდნენ, მათ არ ესმოდათ, თუ საით მიჰყავდათ მათ ისინი, მათ არ ესმოდათ, რომ ისინი კაპიტალიზმის გზით მიჰყავდათ. ახლა ჩვენ გერმანიის რევოლუციის მაგალითზე ვხედავთ, რომ დემოკრატიის ეს წარმომადგენლები, მისი ეს ქომაგები, ეს ბატონი ვილსონები და მათი კომპანია, დამარცხებულ ხალხს თავს ახვევენ თავიანთ, იმაზე უფრო უარეს ხელშეკრულებებს, ვიდრე იყო ბრესტის ზავი, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ, დასავლეთში მომხდარი ამბების გამო, შეცვლილი სიტუაციის გამო, საერთაშორისო დემაგოგიას ახლა აღსასრული დაუდგა. ახლა ნათლად გამოირკვა ყოველი ერის ფიზიონომია. ახლა ნიღაბი ჩამოგლეჯილია, ყველა ილუზია დამსხვრეულია ისეთი მძიმე ურნალის მიერ, როგორიც არის მსოფლიო ისტორიის ურნალი.

ბუნებრივია, რომ ასეთი მერყეევი ელემენტების დროს, რომლებიც ყოველთვის არიან ხოლმე გარდამავალ ხანაში, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მთელი თავისი წონა და თავისი გავლენა, რათა განახორციელოს ის ამოცანები, რომლებსაც ახლა ვისახავთ, ამოცანები, რომლებითაც ჩვენ ვამტკიცებთ ჯერ კიდევ აპრილში დაწყებულ ჩვენს პოლიტიკას. მაშინ ჩვენ რამდენიმე ხნით გადავდევით ჩვენ მიერ დასახული მიზნები, მაშინ ჩვენ შეგნებულად და აშკარად წავედით მთელ რიგ დათმობებზე.

აქ წამოყენებული იყო საკითხი, თუ სახელდობრ გზის რა წერტილზე ვიმყოფებით ჩვენ. ახლა მთელი ევროპა გარკვევით ხედავს, რომ ჩვენს რევოლუციაზე უკვე არავითარ ცდას არ ახდენენ, და მათ, ცივილიზებულმა ხალხებმა, შეცვალეს ჩვენდამი დამოკიდებულება. ისინი მიხვდნენ, რომ ამ აზრით ჩვენ ვაკეთებთ ახალ უზარმაზარ საქმეს, რომ ამ საქმეში ჩვენ განსაკუთრებით გვიმძიმს, რადგან თითქმის ყოველთვის სრულიად მარტონი ვიდექით და სრულიად დავიწყებულნი ვიყავით მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ. ამ აზრით ჩვენ წილად გვხვდა ბევრი სერიოზული შეცდომის ჩადენა, რასაც ჩვენ სრულიადაც არ ვმალავთ. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვცდილიყავით მთელი მოსახლეობის გაერთიანებას, არ დაგვედგინა არავითარი განსხვავება. თუ ეს დღემდე ვერ გავაკეთეთ, ოდესმე ჩვენ უნდა დავიწყოთ ამის გაკეთება. ჩვენ უკვე შევაერთეთ ბევრი ორგანიზაცია. ახლა ერთმანეთთან უნდა შევაერთოთ მუშათა კოოპერაცია და საბჭოთა ორგანიზაციები. მიმდინარე წლის აპრილიდან ჩვენ შევუდექით ორგანიზაციას, რათა დავიწყოთ მოქმედება გამოცდილების გზით, რათა გამოვიყენოთ ცხოვრებაში იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების დაგროვება, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. ჩვენ შევუდექით მთელ მოსახლეობაში საქონლის მომარაგებისა და განაწილების ორგანიზაციას. ჩვენ ვამოწმებდით თვითეულ ჩვენს ნაბიჯს და ისე შევუდექით ამ ორგანიზაციას, რის გატარებაც განსაკუთრებით ძნელი იყო ჩვენს, სამეურნეო მხრივ ჩამორჩენილ, ქვეყანაში. კოოპერაციასთან შეთანხმება ჩვენ დავიწყეთ აპრილიდან, და დეკრეტი, რომელიც ჩვენ გამოვეცით მომარაგებისა და განაწილების სრული შეერთებისა და ორგანიზაციის შესახებ, სწორედ ამავე ნიადაგზე დგას. ჩვენ ვიცით, რომ უთანხმოება, რომელიც აღნიშნული იყო წინა ორატორის სიტყვაში, როდესაც ის პეტერბურგზე მიგვითითებდა, თითქმის ყველგან არსებობს. ჩვენ ვიცით, რომ ეს უთანხმოება სრულიად გარდუვალია, იმიტომ რომ დგება ის მომენტი, როდესაც ერთმანეთს ხვდება და ერთიანდება ორი სრულიად სხვადასხვა

აპარატი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ეს გარდუვალია და რომ ჩვენ ეს გზა უნდა გავიაროთ. სწორედ ასევე თქვენც უნდა გაიგოთ, რომ მუშათა კოოპერაციის ესოდენ ხანგრძლივმა წინააღმდეგობამ, ბოლოს და ბოლოს, გამოიწვია უნდობლობა, და საკუთრივ კანონიერი უნდობლობაც, საბჭოთა ხელისუფლების მხრივ.

თქვენ ამბობთ: ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდაო. საკუთრივ ბუნებრივია, რომ ყველამ, ვინც კი ასეთ ლოზუნგს აყენებს, შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა. თუ უთანხმოებას უჩივი და გსურს თავი დააღწიო მას, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოეთხოვო დამოუკიდებლობის იდეას, რადგან ყველა, ვინც კი ამ თვალსაზრისზე დგას, უკვე არის საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე მაშინ, როდესაც ყველა ესწრაფვის უფრო და უფრო მჭიდროდ შეერთებას. როგორც კი მუშათა კოოპერაცია სრულიად ნათლად, პატიოსნად და აშკარად შეუერთდება საბჭოთა ხელისუფლებას, ეს უთანხმოება თანდათან გაქრება. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ როცა ორი ჯგუფი ერთ ჯგუფად ერთდება, პირველხანად მუშაობაში ერთგვარი უხერხულობა იქმნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში, როდესაც მოზიდული ჯგუფი მიმზიდველი ჯგუფის ნდობას დაიმსახურებს, მთელი ეს უთანხმოება თანდათან გაქრება. ამავე დროს კი, თუ ეს ორი ჯგუფი გაყოფილი დარჩა, შესაძლებელია მუდმივი უწყებათაშორისო შეხლა-შემოხლა. მე არ მესმის ერთი რამ, რა შუაშია აქ დამოუკიდებლობა? ჩვენ ყველანი ხომ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ მთელი საზოგადოება როგორც მომარაგების აზრით, ისე განაწილების აზრით ერთ საერთო კოოპერატივს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ ყველანი იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ კოოპერაცია ერთ-ერთი სოციალისტური მონაპოვარია. ამაშია სოციალისტურ მონაპოვართა უდიდესი სიძნელე. ამაშია გამარჯვების სიძნელე და ამოცანა. კაპიტალიზმი განზრახ განაცალკევებდა მოსახლეობის ფენებს. ეს განცალკევება საბოლოოდ და სამუდამოდ უნდა გაქრეს, და მთელი საზოგადოება მშრომელთა ერთიან კოოპერატივად

უნდა გადაიქცეს. ცალკეული ჯგუფების არავითარ დამოუკიდებლობაზე არ შეიძლება და არც უნდა იყოს ლაპარაკი.

ასეთ კოოპერატივზე მე ვლაპარაკობდი ახლა, როგორც სოციალიზმის გამარჯვების ამოცანაზე. აი რატომ ვამბობთ, რომ, როგორიც უნდა იყოს ჩვენი უთანხმოება კერძო საკითხებზე, ჩვენ არავითარ შეთანხმებას არ დავუშვებთ კაპიტალიზმთან, ჩვენ არ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ჩვენი ბრძოლის პრინციპებიდან გადახვევა იქნება. ის შეთანხმება, რომელსაც ჩვენ ახლა ვუშვებთ საზოგადოებრივი კლასების შუათანა ფენებთან, — ეს არის შეთანხმება არა ბურჟუაზიასთან და არა კაპიტალთან, არამედ პროლეტარიატისა და დემოკრატიის ცალკეულ რაზმებთან. ეს შეთანხმება საშიში არ არის, რადგან მთელი განსხვავება ამ ფენებს შორის სრულიად და უკვალოდ გაქრება რევოლუციის ცეცხლში. ახლა საჭიროა ერთი რამ, რომ იყოს მხოლოდ ერთსულოვანი მისწრაფება — გულღია შევიდეთ ამ ერთიან მსოფლიო კოოპერატივში. ის, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ, და ის, რაც დღემდე გააკეთა კოოპერაციამ, უნდა შეერთდეს. ასეთია საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი დეკრეტის შინაარსი. ასეთია ბევრ ადგილას ამ საკითხისადმი მიდგომა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისა, რომლებიც არ დალოდებიან ჩვენს დეკრეტებს. კოოპერაციის მიერ გაკეთებული უზარმაზარი საქმე უეჭველად უნდა შეუერთდეს იმ უზარმაზარ საქმეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა. მოსახლეობის ყველა ფენა, ვინც იბრძვის თავისი თავისუფლებისათვის, უნდა შეერთდეს ერთ მტკიცე ორგანიზაციად. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გასულ პირველ თვეებში. მაგრამ ახლა, დროთა განმავლობაში, ჩვენ ვეცდებით, რათა მოსახლეობაში იყოს სრული ერთიანობა და სრული თანხმობა. ამისათვის კი აუცილებელია, რათა ყველაფერი დაქვემდებარებული იყოს საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ყოველი ილუზია როგორც ცალკეული ფენების, ისე მუშათა კოოპერაციის რაღაც «დამოუკიდებლობისა»

რაც შეიძლება მალე იქნეს აღმოფხვრილი. ეს იმედი «დამოუკიდებლობისა» შეიძლება მხოლოდ იქ არსებობდეს, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება იყოს წინანდელი მდგომარეობისაკენ დაბრუნების რაღაც იმედი.

წინათ დასავლეთის ხალხები ჩვენ და მთელ ჩვენს რევოლუციურ მოძრაობას უყურებდნენ, როგორც კურიოზს. ისინი ამბობდნენ: დეე გაერთოს ხალხი, ჩვენ კი ვნახავთ, თუ რა გამოვა ყოველივე აქედან... ახირებული ხალხია რუსი ხალხი!

და აი «ახირებულმა რუსმა ხალხმა» მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რას ნიშნავს მისი «გართობა». (ტ ა შ ი).

ამჟამად, როდესაც გერმანიის რევოლუციის დასაწყისი მოახლოვდა, ერთმა უცხოელმა კონსულმა უთხრა ზინოვიევს: «ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ უფრო მეტად გამოიყენა ბრესტის ზავი, თქვენ თუ ჩვენო».

ეს მან იმიტომ თქვა, რომ ყველა ამასვე ამბობს. ყველამ დაინახა, რომ ეს დიდი მსოფლიო რევოლუციის მხოლოდ დასაწყისია. და დიდი რევოლუციის ამ დასაწყისს საფუძველი ჩავუყარეთ ჩვენ, ჩამორჩენილმა რუსმა «ახირებულმა» ხალხმა... უნდა ითქვას, რომ ისტორია უცნაური გზებით მიდის; ჩამორჩენილ ქვეყანას წილად ხვდა პატივი — იდგეს დიდი მსოფლიო მოძრაობის სათავეში. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ხედავს ამ მოძრაობას და ესმის იგი. ეს ხანძარი მოდებული აქვს: გერმანიას, ბელგიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას.

დღითი დღე უფრო და უფრო ძლიერ ფართოვდება ეს მოძრაობა, დღითი დღე იზრდება და მტკიცდება საბჭოთა რევოლუციური მთავრობა. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზია ახლა სრულიად სხვაგვარად ეკიდება საკითხებს. ამიტომ არის, რომ ცალკეული პარტიების დამოუკიდებლობაზე მაშინ, როცა მსოფლიო კაპიტალიზმს ცული მოვუქნიეთ, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება. ყველაზე დიდ მაგალითს ამერიკა გვაძლევს. ამერიკა ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა, უზარმაზარი დემოკრატიული სოციალური რესპუბლიკაა. სად უნდა გადაწყდეს სწორად სამართლის ყველა

საკითხი, თუ არა იქ, იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ყველა საარჩევნო უფლება, თავისუფალი სახელმწიფოს ყველა უფლება. და, მაინც, ჩვენ ვიცით, თუ რა უყვეს იქ, ამ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ერთ ხუცესს: კუპრი შემოასხეს და სცემეს მანამდე, სანამ სისხლი ტალახში არ აირია. და ეს ფაქტი მოხდა თავისუფალ ქვეყანაში, დემოკრატიული რესპუბლიკის ქვეყანაში. ეს დაუშვეს «ჰუმანურმა», «კაცთმოყვარულმა» ვილსონ-ვეფხვებმა და მათმა კომპანიამ. ხოლო რას უშვრებიან ახლა ეს ვილსონები დამარცხებულ ქვეყანას, გერმანიას? აი როგორ გადაიშლება ჩვენს წინაშე მსოფლიო ურთიერთობათა სურათები! ის სურათები, სადაც ჩვენ ვიღებთ იმის შინაარსს, რასაც ბატონი ვილსონები სთავაზობენ თავიანთ მეგობრებს, — ეს სურათები მილიონ და ტრილიონჯერ უფრო დამაჯერებელია. ჩვენ საქმეს ვილსონები წამსვე მიიყვანდნენ ბოლომდე. ეს ვაჟბატონები — თავისუფალი მილიარდერები, მთელ მსოფლიოში «უჰუმანურესი» ადამიანები — თავიანთ მეგობრებს წამსვე გადააჩვევდნენ არათუ ლაპარაკს, არამედ ფიქრსაც კი ყოველგვარ «დამოუკიდებლობაზე». ისინი პირდაპირ და გარკვევით დააყენებდნენ თქვენს წინაშე დილემას: თქვენ ან კაპიტალისტური წყობილების მომხრენი ხართ, ან საბჭოების მომხრენი ხართ. ისინი გეტყოდნენ: თქვენ ასე უნდა მოიქცეთ, რადგან ამას გეუბნებით ჩვენ, თქვენი მეგობრები, — ინგლისელები, ამერიკელები — ვილსონები და ფრანგები — კლემანსოს მეგობრებიო.

ამიტომ არ შეიძლება თქვენ გქონდეთ აბსოლუტურად რაიმე იმედი იმისა, რომ შეიძლება თუნდაც რაიმე დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს არ იქნება, და ამაზე ოცნება უიმედო საქმეა. როდესაც გარკვევით დადგა, ერთი მხრივ, თავისი საკუთრების დაცვის საკითხი, ხოლო მეორე მხრივ — პროლეტარიატმა მონახა თავისი ადგილი, — უკვე არ შეიძლება საშუალო რამ იყოს. ცხოვრებამ თავისი ტოტები მაგრად უნდა ჩააწნას ან კაპიტალს, ან უფრო მაგრად — საბჭოთა რესპუბლიკას. ყველასათვის სავსებით ცხადია, რომ

სოციალიზმი თავისი განხორციელების ეპოქაში შევიდა. ყველასათვის ცხადია, რომ წვრილბურჟუაზიულ დებულებათა დაცვა ან შენარჩუნება სრულიად შეუძლებელია, თუ მთელ მოსახლეობას მივცემთ საარჩევნო უფლებას. იქნებ, ბატონი ვილსონები საზრდოობენ ამ იმედებით, ე. ი. კი არ საზრდოობენ იმედებით, არამედ ცდილობენ შეაფერადონ თავიანთი საკუთარი მიზნები ამგვარი ილუზიების დანერგვით, მაგრამ მე მხოლოდ უნდა ვთქვა, რომ ახლა ცოტას იპოვნით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ამ ზღაპრებს დაიჯერებენ; თუ ასეთი ადამიანები კიდევაც დარჩენილან, ისინი წარმოადგენენ ისტორიულ იშვიათობას, კურიოზს, რომლის ადგილიც მუზეუმშია. (ტ ა შ ი).

უნდა ვთქვა, რომ უთანხმოება, რაც თქვენში იმთავიდანვე დაიწყო კოოპერაციის «დამოუკიდებლობის» შენარჩუნების საკითხზე, ეს მხოლოდ ცდებია, რომლებიც უნდა დამთავრდეს ისე, რომ მათი დადებითი გადაწყვეტისათვის არავითარი იმედი არ დარჩეს. ეს ბრძოლა არასერიოზულია და ეწინააღმდეგება დემოკრატიის საწყისებს. თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება არც უნდა გვიკვირდეს, იმიტომ რომ ვილსონებიც «დემოკრატები» არიან. ისინი ამბობენ, რომ დარჩენიათ მხოლოდ გაერთიანების განხორციელება, რადგან ისე ბევრი დოლარი აქვთ, რომ ამ დოლარებით იყიდიან მთელ რუსეთსაც, მთელ ინდოეთსაც, მთელ მსოფლიოსაც. ვილსონი დგას მათი კომპანიის სათავეში, მათ ჯიბეები გატენილი აქვთ დოლარებით, და რუსეთის, ინდოეთის და ყოველივე დანარჩენის ყიდვის შესახებ მათ შეუძლიათ ამ საბუთით ილაპარაკონ. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ძირითადი მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით სრულიად სხვაგვარად წყდება, რომ მათ მდგომარეობას შეუძლია შთაბეჭდილება მოახდინოს მხოლოდ გარკვეულ წრეში, მხოლოდ გარკვეულ ფენაში. მათ ავიწყდებათ, რომ ის რეზოლუციები, რომლებიც ყოველდღე გამოაქვს მსოფლიოს უძლიერეს კლასს, რომლებსაც, უეჭველია, ერთხმად გამოიტანს ჩვენი ყრილობაც, მიესალმებიან მხოლოდ და მარტოოდენ პროლეტარიატის დიქტატურას

მთელ მსოფლიოში. ამ რეზოლუციის გამოტანით ჩვენი ყრილობა ისეთ გზას დაადგება, საიდანაც არავითარი ხიდი იმ «დამოუკიდებლობისაკენ», რომელზედაც აქ დღეს ლაპარაკობენ, აღარ დარჩენილა და არც შეიძლებოდა დარჩენილიყო. თქვენ იცით, რომ კარლ ლიბკნეხტი არათუ ჩაუდგა გარკვეულ ოპოზიციაში წვრილბურჟუაზიულ გლეხობას, არამედ ის ოპოზიციაში ჩაუდგა კოოპერაციასაც. თქვენ იცით, რომ მას ამისათვის შეიდემანი და მისი კომპანია თვლიან ფანტაზიორად და ფანატიკოსად, და მიუხედავად ამისა თქვენ თვითონ მიესალმეთ მას, ისევე როგორც მიესალმეთ მაკლინს. დიდ მსოფლიო ბელადებთან ხაკითხებში ამ სოლიდარობის გამოთქმით თქვენ ყველა თქვენი ხომალდი დაწვით. თქვენ მტკიცედ უნდა იდგეთ თქვენს პოზიციებზე, რადგან ამჟამად თქვენ იცავთ არა მარტო საკუთარ თავს, არა მარტო თქვენს უფლებებს, არამედ ლიბკნეხტისა და მაკლინის უფლებებსაც. არა ერთხელ მსმენია, თუ როგორ გმობდნენ რუსი მენშევიკები შემთანხმებლობას, თუ როგორ აცამტვერებდნენ ისინი იმათ, ვინც კაიზერის ლაქიებს უთანხმდებოდა. და არა მარტო რუსი მენშევიკები სცოდავენ ამაში. მთელი მსოფლიო მოუთითებდა ჩვენზე და მკაცრად გვესროდა — «შემთანხმებელნიო». ახლა კი, როდესაც მსოფლიო რევოლუცია დაიწყო, როდესაც მათ უხდებათ ლაპარაკი ჰააზესთან და კაუცკისთან, ახლა ჩვენ უფლება გვაქვს დავახასიათოთ ჩვენი მდგომარეობა კარგი რუსული ანდაზით და ვთქვათ: «დრო გვიჩვენებს, თუ ვინ რა კაცია»...

ჩვენ ვიცით ჩვენი ნაკლოვანებანი, და მათზე მითითება ადვილია. მაგრამ გარედან ყოველივე ეს ისე არა ჩანს, როგორც ეს ნამდვილადაა. თქვენ იცით, რომ იყო მომენტი, როდესაც სხვა პარტიებიდან არც ერთი ისეთი კაცი არ ყოფილა, რომელსაც არ დაეგმოს ჩვენი მოქმედება და ჩვენი პოლიტიკა, ახლა კი ჩვენ ვიცით მთელი პარტიები, რომლებიც მოვიდნენ ჩვენთან, რომლებსაც უნდათ ჩვენთან ერთად იმუშაონ [126]. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ჩარხი ახლა იმგვარად შეტრიალდა, რომ ჩვენთვის გადაჭრით

არავითარი შემთანხმებლობა არ არის საშიში. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ყრილობაც იპოვნის თავის სწორ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. ეს გამოსავალი კი ერთია — კოოპერაციის შეერთება საბჭოთა ხელისუფლებასთან. თქვენ იცით, რომ ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, ესპანეთი ჩვენს მოქმედებას უყურებდნენ, როგორც ექსპერიმენტს, ახლა კი ისინი სხვანაირად უყურებენ: ისინი უყურებენ, ყველაფერი რიგზეა თუ არა მათსავე საკუთარ სახელმწიფოებში. რა თქმა უნდა, ფიზიკური, მატერიალური, ფინანსური თვალსაზრისით ისინი ჩვენზე საგრძნობლად უფრო ძლიერნი არიან, მაგრამ, მათი გარეგნული ბრწყინვალების მიუხედავად, ჩვენ ვიცით, რომ შიგნით ისინი ლპებიან; ისინი ამჟამად ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან სწორედ იმ ძალით, იმ ძლიერებით, რითაც ძლიერი იყო გერმანია ბრესტის ზავის დადების მომენტში. და რას ვხედავთ ჩვენ ახლა? მაშინ ჩვენ გადაჭრით ყველა ჩამოგვშორდა. ახლა კი ყოველ თვეს, ვიცავთ რა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებას, ჩვენ ვიცავთ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ლიბკნეხტისა და მაკლინის მიერ დაწყებულ საქმესაც, და ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკასა და ესპანეთს როგორ ედება იგივე სენი, როგორ ეკიდება იგივე ცეცხლი, რაც გერმანიას, — იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის საყოველთაო და მსოფლიო ბრძოლის ცეცხლი. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1918 წ. 10 დეკემბერს სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიაში», № 270

მთლიანად დაიბეჭდა 1919 წ.

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

სიტყვა საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე [127] 1918 წ. 11 დეკემბერს

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან.) ამხანაგებო, უკვე ამ ყრილობის თვით შემადგენლობა გვიჩვენებს, ჩემი აზრით, იმ სერიოზულ ცვლილებას და იმ დიდ ნაბიჯს, რომელიც განხორციელებული და გადადგმულია ჩვენ მიერ, საბჭოთა რესპუბლიკის მიერ, სოციალისტური მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო, სამიწათმოქმედო ურთიერთობათა — ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ურთიერთობათა დარგში. ეს ყრილობა აერთიანებს საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო კომუნების წარმომადგენლებს, და ეს გაერთიანება გვიჩვენებს, რომ ჩვენმა რევოლუციამ მოკლე ხანში, ერთი წლის განმავლობაში, მოასწრო შორს წასულიყო წინ იმ ურთიერთობათა გარდაქმნის დარგში, რომელთა გარდაქმნაც ყველაზე უფრო ძნელია, რომლებიც ყველა წინანდელი რევოლუციის დროს ყველაზე მეტად აფერხებდნენ სოციალიზმის საქმეს და რომლებიც ყველაზე უფრო ღრმად უნდა გარდაიქმნას, რათა სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველვყოთ.

ოქტომბრის შემდეგ ჩვენი რევოლუციის განვითარების პირველი სტადია, პირველი ხანა, უმთავრესად, მთელი გლეხობის საერთო მტერზე გამარჯვებას, მემამულეებზე გამარჯვებას მიეძღვნა.

თქვენ ყველამ ჩინებულად იცით, ამხანაგებო, რომ ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუცია — ბურჟუაზიის რევოლუცია, შემთანხმებელთა რევოლუცია — დაპირდა გლეხებს ამ გამარჯვებას მემამულეებზე და რომ მან თავისი დაპირება არ შეასრულა. მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალებამ, მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვებამ ქალაქებში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა შესაძლებლობა ნამდვილად გაგვეწმინდა მთელი რუსეთი, თავიდან ბოლომდე, ძველი ბატონყმური მემკვიდრეობის, ძველი ბატონყმური ექსპლოატაციის წყლულისაგან, მემამულური მიწათმფლობელობისაგან და მემამულეთა მიერ მთელი გლეხობის, განურჩევლად ყველა გლეხის ჩაგვრისაგან.

მემამულეთა წინააღმდეგ ამ ბრძოლისათვის არ შეიძლებოდა არ აღმდგარიყო, და ნამდვილად აღდგა, მთელი გლეხობა. ამ ბრძოლამ გააერთიანა უღარიბესი მშრომელი გლეხობა, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციით არ ცხოვრობს. ამ ბრძოლამ გააერთიანა აგრეთვე გლეხობის ყველაზე უფრო შეძლებული და ყველაზე მდიდარი ნაწილიც კი, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს.

ვიდრე ჩვენი რევოლუცია ჯერ კიდევ ამ ამოცანას წყვეტდა, ვიდრე ჩვენ ჯერ კიდევ გვიხდებოდა მთელი ძალღონის დაძაბვა იმისათვის, რომ გლეხთა დამოუკიდებელი მოძრაობით, ქალაქის მუშათა მოძრაობის დახმარებით, ნამდვილად აღგვეგავა და საბოლოოდ მოგვესპო მემამულეთა ძალაუფლება, — მანამდე რევოლუცია საერთო-გლეხური რჩებოდა და ამიტომ არ შეიძლებოდა გასცილებოდა ბურჟუაზიულ ჩარჩოებს.

იგი ჯერ კიდევ არ ახლებდა ხელს ყველა მშრომელის უფრო ძლიერ, უფრო თანამედროვე მტერს — კაპიტალს. ამიტომ საშიში იყო, რომ იგი ისევე ნახევრულად დამთავრდებოდა, როგორც დამთავრდა რევოლუციების უმეტესობა დასავლეთ ევროპაში, სადაც ქალაქის მუშებისა და მთელი გლეხობის დროებითი კავშირის წყალობით ხერხდებოდა მონარქიის აღგვა, შუასაუკუნეობრიობის აღგვა, მემამულური

მონათმფლობელობის ან მემამულური ძალაუფლების მეტად თუ ნაკლებად პირწმინდად აღგვა, მაგრამ არასოდეს არ მოხერხებულა თვით კაპიტალის ძალაუფლების საფუძველთა გამოთხრა.

და აი ამ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და უფრო ძნელ საქმეზე დაიწყო გადასვლა ჩვენმა რევოლუციამ მიმდინარე წლის ზაფხულიდან და შემოდგომიდან. კონტრრევოლუციონერთა აჯანყებების ტალღამ, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში აზვირთდა, როდესაც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა ლაშქრობას რუსეთის წინააღმდეგ, მათ მიერ დაქირავებულთა — ჩეხოსლოვაკთა ლაშქრობას შეუერთდა ყოველივე, რაც კი არის რუსეთის ცხოვრებაში ექსპლოატატორული და მჩაგვრელური, — ამ ტალღამ გააღვიძა სოფლად ახალი სულისკვეთება და ახალი ცხოვრება.

ყველა ამ აჯანყებამ პრაქტიკულად გააერთიანა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლისათვის ევროპის იმპერიალისტებიც, მათ მიერ დაქირავებულნიც — ჩეხოსლოვაკებიც და ყოველივე ის, რაც კიდევ დარჩა რუსეთში მემამულეთა და კაპიტალისტთა მხარეზე. მათი მიყოლით კი სოფლის ყველა კულაკიც აჯანყდა.

სოფელი ერთიანი აღარაა. იმ სოფელში, რომელიც, როგორც ერთი კაცი, იბრძოდა მემამულეთა წინააღმდეგ, ორი ბანაკი გაჩნდა — ბანაკი მშრომელი უღარიბესი გლეხობისა, რომელიც მუშებთან ერთად მტკიცედ განაგრძობდა სოციალიზმის განხორციელებისაკენ სვლას და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლიდან გადადიოდა კაპიტალის წინააღმდეგ, ფულის ბატონობის წინააღმდეგ, საადგილმამულო დიადი გარდაქმნის კულაკური გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაზე, და უფრო შეძლებულ გლეხთა ბანაკი. ამ ბრძოლამ, საბოლოოდ ჩამოაშორა რა რევოლუციას მქონებელი, ექსპლოატატორული კლასები, ჩვენი რევოლუცია სავსებით გადაიყვანა იმ სოციალისტურ რელსებზე, რომლებზეც ქალაქის მუშათა კლასს მტკიცედ და გადაჭრით უნდოდა დაეყენებინა იგი ოქტომბერში, მაგრამ რომლებზეც იგი ვერასოდეს ვერ შეძ-

ლებს ძლევამოსილად წარმართოს რევოლუცია, თუ შეგნებულ, მტკიცედ დარაზმულ მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს სოფლად.

აი როგორია იმ გადატრიალების მნიშვნელობა, რაც მოხდა ამ ზაფხულს და ამ შემოდგომაზე რუსეთის სოფლის სულ მიყრუებულ და მივარდნილ კუთხეებში, გადატრიალება, რომელიც არ იყო მყვირალა, არ ჩანდა ისე ცხადად და არ ეცემოდა ისე ყველას თვალში, როგორც გასული წლის ოქტომბრის გადატრიალება, მაგრამ რომელსაც შეუდარებლად უფრო ღრმა და დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოფლად ღარიბთა კომიტეტების შექმნა მობრუნების პუნქტი იყო, და მან ცხადყო, რომ ქალაქის მუშათა კლასი, რომელიც ოქტომბერში გაერთიანდა მთელ გლეხობასთან იმისათვის, რომ დაემარცხებინა მთავარი მტერი თავისუფალი, მშრომელი და სოციალისტური რუსეთისა, რომ დაემარცხებინა მემამულეები, — ამ ამოცანიდან წავიდა წინ, გაცილებით უფრო ძნელი, ისტორიულად უფრო მაღალი და ნამდვილად სოციალისტური ამოცანისაკენ — სოფელშიც შეეტანა შეგნებული სოციალისტური ბრძოლა, სოფელშიც გაეღვიძებინა შეგნება. უდიდესი საადგილმამულო გადატრიალება — მიწის კერძო საკუთრების გაუქმების გამოცხადება ოქტომბერში, მიწის სოციალიზაციის გამოცხადება, — ეს გადატრიალება უსათუოდ ქაღალდზე დარჩებოდა, ქალაქის მუშებს რომ არ გამოეფხიზლებინათ, ფეხზე არ დაეყენებინათ სოფლის პროლეტარიატი, სოფლის ღარიბნი, მშრომელი გლეხობა, რომელიც უდიდეს უმრავლესობას შეადგენს, რომელიც საშუალო გლეხობასთან ერთად არ ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას, დაინტერესებული არ არის ექსპლოატაციით, და რომელსაც ამიტომ შეუძლია წავიდეს და ახლა კიდევაც წავიდა წინ — მემამულეთა წინააღმდეგ ერთად ბრძოლიდან საერთო-პროლეტარული ბრძოლისაკენ კაპიტალის წინააღმდეგ, ფულის ძალაზე, მოძრავი ქონების ძალაზე დაყრდნობილი ექსპლოატატორთა ძალაუფლების წინააღმდეგ, წავიდა მემამულეებისაგან რუსეთის გაწმენდიდან სოციალისტური წესწყობილების შექმნისაკენ.

ეს ნაბიჯი, ამხანაგებო, ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამ ნაბიჯის გამო ყველა ის, ვისაც ჩვენი რევოლუციის სოციალისტურ ხასიათში ეჭვი შეჰქონდა, ჩვენ გარდუვალ მარცხს გვიწინასწარმეტყველებდა, და ამ ნაბიჯზე არის ახლა დამოკიდებული სოფლად სოციალისტური მშენებლობის მთელი საქმე. ღარიბთა კომიტეტების შექმნა, ამ კომიტეტების ფართო ქსელი, რომელიც მთელ რუსეთს მოეფინა. ახლა განზრახული და ნაწილობრივ უკვე დაწყებული მათი გარდაქმნა სოფლის სრულძალაუფლებიან დეპუტატთა საბჭოებად, რომლებმაც უნდა განახორციელონ სოფლად საბჭოთა მშენებლობის — მშრომელთა ძალაუფლების — ძირითადი საწყისები, — აი სად არის ნამდვილი საწინდარი იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიზღუდავს ჩვენი მუშაობა იმით, რასაც სჯერდებოდნენ ჩვეულებრივი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მოვსპეთ რა მონარქია და მემამულეთა შუასაუკუნეობრივი ძალაუფლება, ჩვენ ახლა ნამდვილი სოციალისტური მშენებლობის საქმეზე გადავდივართ. ეს საქმე სოფლად ყველაზე ძნელია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვანიც. ეს ყველაზე მადლიანი სამუშაოა. თუ თვით სოფელში მოვახერხეთ გაგვეთვითცნობიერებინა გლეხობის მშრომელი ნაწილი, თუ იგი სწორედ კაპიტალისტურ აჯანყებათა ტალღამ საბოლოოდ ჩამოაშორა კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს, თუ მშრომელი გლეხობა, ღარიბთა კომიტეტებში და გარდაქმნის პროცესში მყოფ საბჭოებში, უფრო და უფრო მჭიდროდ უერთდება ქალაქის მუშებს, — ჩვენ ამაში ვხედავთ იმის ერთადერთსა და ამავე დროს ფრიად უტყუარ და უეჭველად მტკიცე საწინდარს, რომ რუსეთში სოციალისტური მშენებლობის საქმე ახლა უფრო მკვიდრი გახდა. ახლა მან საფუძველი მოიპოვა სოფლის მიწათმოქმედი მოსახლეობის უზარმაზარ მასაშიც.

ეჭვს გარეშეა, რომ ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სოციალისტური მშენებლობა მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ ისეთი მტრის აღგვა,

როგორიც იყო ცარიზმი, როგორიც იყო მემამულეთა ძალაუფლება, როგორიც იყო მემამულური მიწათმფლობელობა, შედარებით ადვილად შეიძლებოდა. შეიძლებოდა ცენტრში ეს ამოცანა რამდენიმე დღეში გადაწყვეტილიყო, შეიძლებოდა მთელ ქვეყანაში იგი რამდენიმე კვირაში გადაწყვეტილიყო, მაგრამ ის ამოცანა, რომელსაც ჩვენ ახლა ხელს ვკიდებთ, თვით თავისი არსით, შეიძლება მხოლოდ უაღრესად შეუპოვარი და ხანგრძლივი შრომით გადაწყდეს. აქ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე, ყოველ თითის დადებაზე მოგველის ბრძოლა; მოგვიხდება ბრძოლა ახალი, სოციალისტური რუსეთის მონაპოვართათვის, ბრძოლა მიწის საზოგადოებრივი დამუშავებისათვის.

და თავისთავად გასაგებია, რომ ამგვარი გადატრიალება, წვრილი ცალკეული გლეხური მეურნეობებიდან მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა — დიდ დროს მოითხოვს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთბაშად განხორციელდეს.

ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყნებში სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია მთელი რიგი თანდათანობითი წინასწარი საფეხურების გაუვლელად. ამის შეგნებით ოქტომბრის გადატრიალებამ თავის პირველ ამოცანად დაისახა მხოლოდ მემამულეთა ძალაუფლების აღგვა და მოსპობა. თებერვლის ძირითადი კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, გატარებულ იქნა როგორც კომუნისტების, ისე საბჭოთა ხელისუფლების იმ მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რომელნიც კომუნისტების თვალსაზრისზე არ იდგნენ, ეს კანონი ამავე დროს გლეხთა უდიდესი უმრავლესობის ნებისა და შეგნების გამოხატულებაცაა და იმის დამამტკიცებელიც, რომ მუშათა კლასი, მუშათა კომუნისტური პარტია, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ამოცანა, დაჟინებით, მოთმინებით, მთელი რიგი თანდათანობითი გადასვლებით, ათვითცნობიერებს რა გლეხობის მშრომელ ნაწილს და მიდის რა წინ მხოლოდ ამ გათვითცნობიერების

კვალობაზე, მხოლოდ გლეხობის დამოუკიდებელი ორგანიზების კვალობაზე, მიემართება ახალი სოციალისტური მშენებლობის გზით.

ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ათეულ მილიონობით ხალხის ცხოვრებაში ისეთ უდიდეს გადატრიალებათა მოხდენა, რომელნიც ცხოვრებისა და ყოფის უღრმეს საფუძვლებს ეხებიან, როგორიცაა წვრილი ცალკეული გლეხური მეურნეობიდან მიწის საერთო დამუშავებაზე გადასვლა, მხოლოდ ხანგრძლივი შრომით შეიძლება, რომ საერთოდ მათი განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხალხს აუცილებლობა აიძულებს გარდაქმნას თავისი ცხოვრება.

მთელ მსოფლიოში წარმოებული გააფთრებული, ხანგრძლივი ომის შემდეგ კი — ჩვენ ნათლად ვხედავთ სოციალისტური რევოლუციის დასაწყისს მთელ მსოფლიოში. უფრო ჩამორჩენილი ქვეყნებისთვისაც კი შეიქმნა ეს აუცილებლობა, რომელიც უმტკიცებს, — ყოველგვარი თეორიული შეხედულებისა თუ სოციალისტური მოძღვრების დამოუკიდებლად, — ფრიად დამაჯერებელი ენით უმტკიცებს ყველას და თვითეულს, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია.

როცა ქვეყანამ ასეთი უდიდესი გაჩანაგება და ასეთი კრახი განიცადა, როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს კრახი მთელ მსოფლიოზე ვრცელდება, რომ კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარნი, რომლებიც კაცობრიობას მრავალი საუკუნის მანძილზე შეუძენია, ამ ოთხი წლის დანაშაულებრივმა, გამაჩანაგებელმა და მძარცველურმა ომმა გაანიავა და რომ მარტო რუსეთი კი არა, არამედ მთელი ევროპაც უბრუნდება ბარბაროსობის მდგომარეობას, — მაშინ ფრიად ფართო მასების წინაშე, განსაკუთრებით გლეხობის წინაშე, რომელიც ამ ომით, იქნებ, ყველაზე მეტად იტანჯებოდა, ცხადად დგება იმის შეგნება, რომ საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომ საჭიროა მთელი ძალ-ღონის დაძაბვა, რათა თავი დავაღწიოთ წყეული ომის ამ მემკვიდრეობას, ომისა, რომელმაც

მხოლოდ გაჩანაგება და გაჭირვება დაგვიტოვა. ძველებურად ცხოვრება, როგორც ომამდე ცხოვრობდნენ, არ შეიძლება, და ადამიანთა ძალებისა და შრომის ისეთი განიავება, როგორიც დაკავშირებულია წვრილ ცალკეულ გლეხურ მეურნეობასთან, აღარ შეიძლება გაგრძელდეს. ორმაგად და სამმაგად აიწევდა შრომის ნაყოფიერება, ორმაგად და სამმაგად დაიზოგებოდა ადამიანის შრომა მიწათმოქმედებისა და ადამიანის მეურნეობისათვის, ამ დაქუცმაცებული წვრილი მეურნეობიდან საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლა რომ მომხდარიყო.

ომის მიერ მემკვიდრეობად დატოვებული გაჩანაგება ჩვენ პირდაპირ საშუალებას არ გვაძლევს აღვადგინოთ ეს ძველი წვრილი გლეხური მეურნეობა. ცოტაა ითქვას, რომ ომმა გამოაფხიზლა გლეხთა მასა, ცოტაა ითქვას, რომ ომმა მათ უჩვენა, თუ ტექნიკის რა საკვირველებანი არსებობენ ამჟამად და რომ ტექნიკის ეს საკვირველებანი ადამიანთა გასაქლეტადაა მოწყობილი; ომმა ის აზრიც წარმოშვა, რომ ტექნიკის საკვირველებანი უწინარეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს იმას, რომ გარდაიქმნას ყველაზე საერთო-სახალხო, ყველაზე ჩამორჩენილი წარმოება — სამიწათმოქმედო წარმოება, რომელსაც ადამიანთა ყველაზე მეტი რაოდენობა ეწევა. ეს კიდევ ცოტაა, რომ ამის შეგნება გაღვიძებულია, ამასთან ერთად თანამედროვე ომის საოცარმა საშინელებამ ხალხი დაარწმუნა, თუ რა ძალები შექმნა თანამედროვე ტექნიკამ და თუ როგორ იფლანგება ეს ძალები უსაშინელეს, ყოვლად უაზრო ომში, და რომ ამ საშინელებათაგან თავის დახსნის ერთადერთ საშუალებას იგივე ტექნიკის ძალები წარმოადგენენ. ჩვენი მოვალეობა და ვალდებულებაა იქითკენ წარვმართოთ ეს ძალები, რომ ყველაზე ჩამორჩენილი წარმოება, სამიწათმოქმედო, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ახალ რელსებზე დავაყენოთ, რომ იგი გარდავქმნათ და მიწათმოქმედება ისეთი სარეწავიდან, რომელიც შეუგნებლად, ძველებურად წარმოებს, მეცნიერებასა და ტექნიკის მონაპოვრებზე დაყრდნობილ სარე-

წავად გადავაქციოთ. ომ̆ძა ეს შეგნება იმაზე გაცილებით უფრო მეტად გააღვიძა, ვიდრე ყოველ ჩვენგანს შეუძლია იფიქროს. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ომმა ეს შეგნება გააღვიძა, მან წარმოების ძველებურად აღდგენის შესაძლებლობაც მოსპო.

ცდებიან ისინი, ვინც ოცნებობს, რომ ომის შემდეგ შესაძლებელია მიღწეულ იქნას იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ომამდე იყო, ძველი წესების პირობებში მეურნეობის სისტემის აღდგენა და მოწყობა, — და ამ თავიანთ შეცდომას დღითი დღე უფრო და უფრო ხედავენ. ომმა ისეთი საშინელი გაჩანაგება გამოიწვია, რომ ჩვენში ახლა ცალკეულ წვრილ მეურნეობებს არც მუშა პირუტყვი გააჩნიათ, არც ინვენტარი, არც იარაღები. ჩვენ აღარ შეგვიძლია ხალხის შრომის ასეთი განიავება განვაგრძოთ. მშრომელმა, უღარიბესმა გლეხობამ, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო რევოლუციისათვის და ყველაზე მეტი ზარალი ნახა ომისაგან, იმიტომ კი არ წაართვა მიწა მემამულეებს, რომ ეს მიწა ახალ კულაკებს ჩაუვარდეთ ხელში. ამ მშრომელ გლეხობას ახლა თვით ცხოვრება უყენებს პირდაპირ საკითხს — გადავიდეს მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე, როგორც ერთადერთ საშუალებაზე, რომ აღადგინოს ის კულტურა, რომელიც ახლა გაჩანაგებული და დანგრეულია ომით, როგორც ერთადერთ საშუალებაზე, რომ თავი დააღწიოს იმ სიბნელეს, სიბეჩავესა და ჩაგვრას, რასაც კაპიტალიზმი წილად ახვედრებდა სოფლის მოსახლეობის მთელ მასას, იმ სიბნელესა და სიბეჩავეს, რომელიც კაპიტალისტებს საშუალებას აძლევდა ოთხი წლის განმავლობაში ეტანჯათ ომით კაცობრიობა და რომლისგან თავის დაღწევაც ახლა, რაც უნდ̆ დაჯდეს, რევოლუციური ენერგიითა და მგზნებარებით გადაუწყვეტია ყველა ქვეყნის მშრომელს.

აი, ამხანაგებო, რა პირობები უნდა შექმნილიყო მსოფლიო მასშტაბით, რათა ამ უძნელესი და ამავე დროს უმთავრესი სოციალისტური რეფორმის, ამ ყველაზე მთავარი და ძირითადი

სოციალისტური გარდაქმნის საკითხი დღის წესრიგში ყოფილიყო დასმული, და ეს საკითხი დღის წესრიგში დასმულია რუსეთში. ღარიბთა კომიტეტების შექმნა, საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო კომუნების ახლანდელი გაერთიანებული ყრილობა, — ყოველივე ეს გვიჩვენებს იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც ამა წლის ზაფხულში და შემოდგომაზე წარმოებდა სოფლის შიგნით, ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ მშრომელი გლეხობის უფართოეს მასებში გაიღვიძა შეგნებამ და რომ თვით გლეხობაში, მშრომელი გლეხობის უმრავლესობაში არსებობს მისწრაფება — შემოიღონ მიწის საზოგადოებრივი დამუშავება. რა თქმა უნდა, ვიმეორებ, ამ უდიდეს გარდაქმნას ჩვენ თანდათანობით უნდა მივუდგეთ. აქ დაუყოვნებლივ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ მე უნდა მოგაგონოთ, რომ მიწის სოციალიზაციის იმ ძირითად კანონშიც, რომელიც 25 ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღესვე, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე ორგანოს — საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის პირველსავე სხდომაზე, წინასწარ იყო გადაწყვეტილი, გამოიცა კანონი არა მარტო იმის შესახებ, რომ მიწის კერძო საკუთრება სამუდამოდ უქმდება, არა მარტო იმის შესახებ, რომ მემამულური საკუთრება ისპობა, არამედ, სხვათა შორის, იმის შესახებაც, რომ ინვენტარი, მუშა პირუტყვი და იარაღები, რაც ხალხის მფლობელობაში და შრომითს მეურნეობათა მფლობელობაში გადადის, აგრეთვე უნდა იქცეს საზოგადოებრივ კუთვნილებად, აგრეთვე აღარ უნდა შეადგენდეს ცალკეულ მეურნეობათა კერძო საკუთრებას. მიწის სოციალიზაციის კანონშიც, რომელიც მიღებულია 1918 წლის თებერვალში, ამ კანონშიც იმ ძირითად საკითხზე, თუ რა მიზნებს ვისახავთ ჩვენ ახლა, თუ მიწის გამგებლობის რა ამოცანები გვსურს განვახორციელოთ და რის განხორციელებისაკენ მოვუწოდებთ ჩვენ ამ საკითხში საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებს, მშრომელ გლეხობას, — ამ საკითხზე მიწის სოციალიზაციის კანონის 11-ე მუხლი უპასუხებს, რომ ასეთ

ამოცანას წარმოადგენს მიწათმოქმედებაში კოლექტიური მეურნეობის განვითარება, როგორც ისეთი მეურნეობისა, რომელიც უფრო ხელსაყრელია შრომისა და პროდუქტების ეკონომიის მხრივ, — კოლექტიური მეურნეობის განვითარება ერთპიროვნულ მეურნეობათა ხარჯზე, სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის მიზნით.

ამხანაგებო, როდესაც ჩვენ ამ კანონს ვიღებდით, ჩვენში სრულიადაც არ იყო კომუნისტების სრული ერთსულოვნება და თანხმობა სხვა პარტიებთან. პირიქით, ჩვენ ამ კანონს მაშინ ვიღებდით, როცა საბჭოთა მთავრობაში არსებობდა კომუნისტების ერთიანობა მემარცხენე ესერების პარტიასთან, რომლებიც კომუნისტურ შეხედულებებს არ იზიარებდნენ, და ამისდა მიუხედავად ჩვენ მივედით ერთსულოვან და ერთხმივ გადაწყვეტილებამდე, რომლის ნიადაგზეც ჩვენ ვრჩებით ახლაც, ამასთან ვიცით, რომ ასეთი გადასვლა ერთპიროვნული მეურნეობებიდან მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე, ერთხელ კიდევ ვიტყვი, არ შეიძლება ერთბაშად განხორციელდეს, რომ ბრძოლა, რომელიც ქალაქებში გაჩაღდა, ეს ბრძოლა საკითხს უფრო მარტივად აყენებდა. იქ ათასი მუშის წინააღმდეგ ერთი კაპიტალისტი იდგა, და მისი აღგვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. სოფლად გაჩაღებული ბრძოლა კი გაცილებით უფრო რთული იყო. თავდაპირველად იყო გლეხების საერთო შეტევა მემამულეთა წინააღმდეგ; თავდაპირველად სავსებით მოსპობილ იქნა მემამულეთა ძალაუფლება, იმგვარად, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი ყოფილიყო; შემდეგ იყო ბრძოლა გლეხობის შიგნით, სადაც კულაკების სახით, ექსპლოატატორებისა და სპეკულანტების სახით, რომლებიც ნაჭარბი პურით სარგებლობდნენ, რათა რუსეთის არამიწათმოქმედი დამშეული ნაწილის ხარჯზე გამდიდრებულიყვნენ, ახალი კაპიტალისტები გაჩნდნენ. აქ ახალი ბრძოლა აუცილებელი იყო, და თქვენ ყველამ იცით, რომ ამ ბრძოლამ ამა წლის ზაფხულში მთელი რიგ აჯანყებათა აზვირთება გამოიწვია. კულაკის შესახებ ჩვენ ისე არ ვლაპარაკობთ, როგორც მემამულე-კაპიტალისტის შესახებ,

რომ მას მთელი საკუთრება უნდა ჩამოერთვას. ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა გავტეხოთ ამ კულაკის წინააღმდეგობა აუცილებელ ღონისძიებათა მიმართ, მაგალითად, პურის მონოპოლიის მიმართ, რომელსაც ის არ ასრულებს, რათა გამდიდრდეს ნაჭარბი პურის სპეკულანტური გაყიდვით, მაშინ, როცა მუშები და არასამიწათმოქმედო ადგილების გლეხები საშინლად შიმშილობენ, და ჩვენი პოლიტიკა აქ ის იყო, რომ მუდამ ვაწარმოებდით ისეთსავე ულმობელ ბრძოლას, როგორც მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. მაგრამ, შემდეგ, კიდევ რჩებოდა მშრომელი გლეხობის უღარიბესი ნაწილის ურთიერთობა საშუალო გლეხობასთან. საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის იყო მასთან კავშირის დამყარება. იგი არასგზით არ არის საბჭოთა დაწესებულებების მტერი, არც პროლეტარიატის მტერი, არც სოციალიზმის მტერი. იგი, რა თქმა უნდა, იყოყმანებს და მხოლოდ მაშინ დათანხმდება სოციალიზმზე გადასვლას, როდესაც დაინახავს იმის მტკიცე, ნამდვილად სანიმუშო მაგალითს, რომ ეს გადასვლა აუცილებელია. რა თქმა უნდა, ამ საშუალო გლეხობის დარწმუნება არ შეიძლება თეორიული მსჯელობით ან სააგიტაციო სიტყვებით, — ამის იმედი ჩვენ არა გვაქვს, — მაგრამ მას დაარწმუნებს გლეხობის მშრომელი ნაწილის მაგალითი და დარაზმულობა; მას დაარწმუნებს ამ მშრომელი გლეხობის კავშირი პროლეტარიატთან, და აქ ჩვენ იმედს ვამყარებთ ხანგრძლივ, თანდათანობით დარწმუნებაზე, მთელ რიგ გარდამავალ ღონისძიებებზე, რომლებიც განახორციელებენ მოსახლეობის პროლეტარული, სოციალისტური ნაწილის შეთანხმებას, ყოველი სახის კაპიტალის წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლთა — კომუნისტთა შეთანხმებას საშუალო გლეხობასთან.

აი, ვითვალისწინებთ რა ამ ვითარებას, ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ჩვენ სოფლად გაცილებით უფრო ძნელ ამოცანასთან გვაქვს საქმე, ჩვენც სწორედ ისე ვსვამთ საკითხს, როგორც იგი მიწის სოციალიზაციის კანონშია დაყენებული. თქვენ იცით, რომ იქ გამოცხადებულია მიწის კერძო საკუთ-

რების გაუქმება, გამოცხადებულია მიწის გათანაბრებითი გაყოფა, თქვენ იცით, რომ ამ კანონის განხორციელება სწორედ ამგვარად არის დაწყებული და რომ იგი ჩვენ განვახორციელეთ გლეხთა მოსახლეობის მეტწილ ადგილებში. და ამავე დროს, როგორც კომუნისტების, ისე ყველა იმათი საერთო ერთსულოვანი თანხმობით, ვინც მაშინ კომუნიზმის შეხედულებებს ჯერ კიდევ არ იზიარებდა, კანონში არის ის დებულება, რომელიც ახლა წაგიკითხეთ და რომელიც ამბობს, რომ ჩვენი საერთო ამოცანა, ჩვენი საერთო მიზანი არის სოციალისტურ მეურნეობაზე, კოლექტიურ მიწათმფლობელობაზე, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა. რაც უფრო წინ მიდის მშენებლობის პერიოდი, მით უფრო ცხადი ხდება ახლა მიწებზე უკვე დამკვიდრებული გლეხებისთვისაც და იმ სამხედრო ტყვეებისთვისაც, რომლებიც ასეულ ათასობით და მილიონობით ბრუნდებიან ახლა ტყვეობიდან გატანჯულნი და გაწამებულნი, სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება მათთვის იმის უზარმაზარი ფარგლები, რაც უნდა გავაკეთოთ ჩვენ მეურნეობის აღდგენისათვის, იმისათვის, რომ სამუდამოდ გამოვიყვანოთ გლეხობა მივიწყებულობის, სიბეჩავისა და სიბნელის ძველი მდგომარეობიდან, უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ნამდვილად მტკიცე გამოსავალი, რომელიც გლეხთა მასას კულტურულ ცხოვრებასთან აახლოებს, სხვა მოქალაქეებთან ნამდვილად თანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ, — ასეთი გამოსავალი მხოლოდ მიწის საზოგადოებრივი დამუშავებაა, და მიწის ამ საზოგადოებრივი დამუშავებისაკენ მიისწრაფვის ახლა სისტემატურად, თანდათანი ღონისძიებებით საბჭოთა ხელისუფლება. მიწის ამ საზოგადოებრივი დამუშავებისათვის იქმნება კომუნები და საბჭოთა მეურნეობანი. ამგვარ მეურნეობათა მნიშვნელობა აღნიშნულია მიწის სოციალიზაციის კანონში. მის იმ ნაწილში, სადაც დასმულია საკითხი, თუ ვის შეუძლია მიწით ისარგებლოს, თქვენ წაიკითხავთ, რომ იმ პირთა და დაწესებულებათა შორის, რომელთაც შეუძლიათ მიწით სარგებლობა, პირველი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს, მეორე — საზოგადოებრივ

ორგანიზაციებს, შემდეგ — სასოფლო-სამეურნეო კომუნებს და მეოთხე ადგილი — სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს. ისევ მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ მიწის სოციალიზაციის კანონის ეს ძირითადი დებულებანი მაშინ არის შედგენილი, როდესაც კომუნისტური პარტია ახორციელებდა არა მარტო თავის ნებას, როდესაც იგი შეგნებულად უთმობდა იმათ, ვინც ასე თუ ისე გამოხატავდა საშუალო გლეხობის შეგნებასა და ნებას. ამგვარ დათმობებს ჩვენ დავთანხმდით და ვთანხმდებით. ამგვარი შეთანხმების გზას ჩვენ დავადექით და ვადგავართ იმიტომ, რომ მიწათმფლობელობის ამ კოლექტიურ ფორმაზე, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კომუნებზე გადასვლა ერთბაშად შეუძლებელია; აქ საჭიროა შეუპოვარი და დაჟინებითი ზემოქმედება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც ერთი მილიარდი მანეთი გადადო სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლის პირობით. ეს კანონი გვიჩვენებს, რომ ჩვენ გვინდა ყველაზე მეტად მაგალითის ძალით, მეურნეობის გაუმჯობესებაში ჩაბმის ძალით ვიმოქმედოთ საშუალო გლეხთა მასაზე და იმედს ვამყარებთ მხოლოდ იმაზე, რომ ამგვარი ღონისძიებანი თანდათან გამოიწვევენ ამ ღრმა და უმნიშვნელოვანეს გადატრიალებას მიწათმოქმედი რუსეთის მეურნეობაში.

ღარიბთა კომიტეტების, სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა და საადგილმამულო განყოფილებათა კავშირი, კავშირი, რომელიც ჩვენ ამ ყრილობაზე გვაქვს, გვიჩვენებს და სრულ რწმენას გვაძლევს, რომ ამ გადასვლით — მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლით საქმე ახლა სწორად, ნამდვილად სოციალისტური მასშტაბით არის დაყენებული. ამ განუხრელი და სისტემატური მუშაობით უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამისათვის ჩვენ უნდა ვიხმაროთ მიწათმოქმედების საუკეთესო ხერხები და მოვიზიდოთ რუსეთის აგრონომიული ძალები ისე, რომ ჩვენ შეგვეძლოს გამოვიყენოთ ყველა საუკეთესოდ მოწყობილი მეურნეობა, რომლებიც დღემდე მხოლოდ ცალკეულ პირთა

გამდიდრების წყაროს წარმოადგენდნენ, კაპიტალიზმის აღორძინების, დაქირავებული მუშების ახალი კაბალის, ახალი დამონების წყაროს წარმოადგენდნენ და რომლებიც ახლა, მიწის სოციალიზაციის კანონის დროს და მიწის კერძო საკუთრების სრული გაუქმების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და კულტურის წყაროს, შრომის ნაყოფიერების გადიდების წყაროს უნდა წარმოადგენდნენ ყველა მშრომელთათვის, მილიონობით მშრომელთათვის. ქალაქის მუშათა ეს კავშირი მშრომელ გლეხობასთან, ღარიბთა კომიტეტების ეს შექმნა და მათი საბჭოთა დაწესებულებებად გადარჩევა იმის საწინდარია, რომ მიწათმოქმედი რუსეთი ახლა იმ გზას დაადგა, რომელსაც ჩვენზე უფრო გვიან, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენზე უფრო მტკიცედ დაადგებიან ერთიმეორეზე მიყოლებით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. მათთვის გაცილებით უფრო ძნელი იყო გადატრიალების დაწყება, იმიტომ რომ მათი მტერი დამპალი თვითმპყრობელობა კი არ იყო, არამედ ყველაზე კულტურული და გაერთიანებული კაპიტალისტური კლასი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ეს გადატრიალება დაიწყო, თქვენ იცით, რომ რევოლუცია რუსეთის საზღვრებით არ შემოფარგლულა, რომ ჩვენი მთავარი იმედი, ჩვენი მთავარი დასაყრდენი — ეს არის დასავლეთ ევროპის, უფრო მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატი, რომ მსოფლიო რევოლუციის ეს მთავარი დასაყრდენი ამოძრავდა, და ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, გერმანიის რევოლუციის მსვლელობაც გვიჩვენებს ამას სინამდვილეში, რომ იქ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლა, უფრო მაღალი სამიწათმოქმედო ტექნიკის გამოყენება, სოფლის მშრომელი მოსახლეობის უფრო სწრაფად გაერთიანება უფრო სწრაფად წავა და უფრო ადვილად მოხდება, ვიდრე ჩვენში.

ქალაქის მუშებთან შეკავშირებულს, მთელი მსოფლიოს სოციალისტურ პროლეტარიატთან შეკავშირებულს, რუსეთის მშრომელ გლეხობას შეუძლია ახლა დარწმუნებული იყოს, რომ იგი დაძლევს ყოველგვარ გაჭირვებას, იმპერიალისტების

ყველა შემოტევას და განახორციელებს იმ საქმეს, ურომლისოდაც მშრომელთა განთავისუფლება შეუძლებელია, — მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საქმეს, წვრილი ერთპიროვნული მეურნეობებიდან მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე თანდათანობით, მაგრამ განუხრელად გადასვლის საქმეს. (მ ქ უ ხ ა რ ე დ ა ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

«პრავდა» № 272, 1918 წ.
14 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საბჭოთა დაწესებულებების მართვის წესების მონახაზი [128]

1

საბჭოთა დაწესებულებებში მმართველობის ყველა საკითხის კოლეგიურ განხილვას და გადაწყვეტას თან უნდა სდევდეს როგორიც გნებავთ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი **ყოველი** პირის უაღრესად ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული, ნათლად და მკვეთრად შემოფარგლული, დავალებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისათვის.

ამ წესის შესრულება, ურომლისოდაც შეუძლებელია ნამდვილი კონტროლის განხორციელება და ყველაზე უფრო შესაფერისი პირების შერჩევა თვითეული თანამდებობისათვის და თვითეული სამუშაოსათვის, ამიერიდან უთუოდ სავალდებულო უნდა გახდეს.

ამიტომ თვითეული საბჭოთა კოლეგია და თვითეული საბჭოთა დაწესებულება, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ:

ჯერ ერთი, მიიღონ დადგენილება კოლეგიის ყველა წევრსა ან თანამდებობის პირთა შორის მუშაობისა და პასუხისმგებლობის ზუსტად განაწილების შესახებ;

მეორეც, სრული სიზუსტით განსაზღვრონ იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელნიც ასრულებენ როგორიც უნდა იყოს ცალკეულ დავალებებს, განსაკუთრებით კი ისეთ დავალებებს, რომლებიც ეხება მასალებისა და პროდუქტების სწრაფად და სწორად შეგროვებასა და განაწილებას.

ამ წესის შესრულება, რომელიც სავალდებულოა ყველა საბჭოთა დაწესებულებისათვის, განსაკუთრებით სავალდებულოა ადგილობრივი, სამაზრო, საქალაქო და ა. შ. სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და აღმასკომების სამეურნეო (ან ეკონომიური) განყოფილებებისათვის. ასეთი განყოფილებანი და სახალხო მეურნეობის საბჭოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დააკისრონ გარკვეულ პირებს პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის საჭირო ყ ვ ე ლ ა სახის ნედლი მასალებისა და პროდუქტების სწრაფად და სწორად შეგროვებისათვის.

ყველა ხელმძღვანელი საბჭოთა დაწესებულება, როგორიცაა: აღმასკომები, დეპუტატთა საგუბერნიო და საერთო-საქალაქო საბჭოები და სხვ., ვალდებულია დაუყოვნებლივ გარდაქმნას თავისი მუშაობა იმგვარად, რომ პირველ ადგილზე იყოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი დაწესებულებების დადგენილებათა ნამდვილი განხორციელების ფაქტიური კონტროლი, სხვაგვარი სამუშაო კი მაქსიმალურად შესაძლებელ ფარგლებში გადაეცეს უწყებული დაწესებულების წევრთა მცირე რიცხვისაგან შედგენილ დამხმარე კომისიებს.

2

საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის მიზნით და ბოროტმოქმედებათა უფრო წარმატებით გამოსააშკარავებლად, აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებში შეპარულ უპატიოსნო თანამდებობის პირთა სამხილებლად და თავიდან მოსაშორებლად,

შემოღებულ იქნას შემდეგი წესები:

ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში გამოკიდულ უნდა იქნას არა მარტო შენობის შიგნით, არამედ გარეთაც, ისე რომ ყველასათვის მისაწვდომი იყოს ყოველი საშვების გარეშე, წესები ხალხის მიღების დღეებისა და საათების შესახებ. მისაღები სადგომი აუცილებლად ისე უნდა იყოს მოწყობილი,

რომ იქ შესვლა თავისუფალი იყოს და უსათუოდ არ საჭიროებდეს არავითარ საშვებს.

ყოველ საბჭოთა დაწესებულებაში შემოღებული უნდა იყოს წიგნი, სადაც ჩაიწერება, სულ მოკლე ფორმით, მთხოვნელის სახელი, მისი განცხადების არსი და საქმის მიმართულება.

კვირა და სადღესასწაულო დღეებში დანიშნული უნდა იყოს მიღების საათები.

სახელმწიფო კონტროლის თანამდებობითს პირებს უფლება ეძლევათ დაესწრონ ყველა მიღებას და ევალებათ დროდადრო იარონ მიღებაზე, შეამოწმონ ჩანაწერთა წიგნი და შეადგინონ მისვლის, წიგნის გასინჯვის და ხალხის გამოკითხვის ოქმი.

შრომის, სახელმწიფო კონტროლისა და იუსტიციის კომისარიატები ვალდებული არიან ყველგან მოაწყონ საცნობო ბიუროები, ამასთან მოსახლეობას აუწყონ მიღების დღე და საათი; მიღება უნდა იყოს ყველასათვის თავისუფალი, უსაშვებო და უფასო, მიღება უნდა ხდებოდეს აუცილებლად კვირა დღეებშიც. ეს საცნობო ბიუროები ვალდებული არიან გასცენ არათუ ყველა მოთხოვნილი ცნობა, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, არამედ აგრეთვე შეადგინონ უფასოდ წერილობითი განცხადებანი იმ პირთათვის, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან და არ შეუძლიათ გარკვეული განცხადების შედგენა. ამ საცნობო ბიუროებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებლად მიზიდულ უნდა იქნენ როგორც საბჭოებში დაშვებული ყ ვ ე ლ ა პარტიის წარმომადგენლები, ამასთან აუცილებელია იმ პარტიების მიზიდვაც, რომლებიც მთავრობაში არ მონაწილეობენ, ისე ვრაპარტიული პროფესიული კავშირებისა და ინტელიგენციის არაპარტიული კავშირების წარმომადგენლები.

3

საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საქმე დაჟინებით მოითხოვს ძალთა რაც შეიძლება მეტ ეკონომიას და ხალხის შრომის რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოყენებას.

ამ მიზნით დგინდება — უწინარეს ყოვლისა ყველა საბჭოთა დაწესებულების მიმართ, შემდგომ კი ვრცელდება ყველა და ყოველგვარ საწარმოსა და კოლეგიაზე — შემდეგი:

1. უკლებლივ ყველა საბჭოთა დაწესებულების ყოველმა, რამდენადმე მაინც დამოუკიდებელმა, განყოფილებამ 3 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს ადგილობრივ აღმასკომს (მოსკოვში კი, გარდა ამისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატს) მოკლე ცნობები შემდეგი პროგრამის მიხედვით: ა) უწყება; ბ) განყოფილების სახელწოდება; გ) მისი მუშაობის შინაარსი, სულ მოკლედ აწერილი; დ) ქვეგანყოფილებათა, საქმისწარმოებათა ან სხვა დაყოფათა რიცხვი მათი სიითურთ; ე) მამრობითი და მდედრობითი სქესის მოსამსახურეთა რიცხვი; ვ) საქმისწარმოების მოცულობა, რამდენადაც იგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, საქმეების რიცხვით, მიწერ-მოწერის ოდენობით და სხვა ამგვარი ნიშნებით.

ადგილობრივი აღმასკომები (მოსკოვში კი დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და ცაკის პრეზიდიუმთან შეთანხმებით) ვალდებული არიან დაუყოვნებლივ (1) მიიღონ ზომები ზემოაღნიშნული წესის სწორად და თავის დროზე შესრულების შესამოწმებლად; (2) აღნიშნული ცნობების წარდგენის დღიდან ერთი კვირის ვადაში იმ განყოფილებათა შეთანხმების, გაერთიანებისა და შ ე ე რ თ ე ბ ი ს გეგმის შესამუშავებლად, რომლებიც ერთნაირ ან ერთგვაროვან საქმეებს განაგებენ.

კომისიებში, რომლებსაც ზემოაღნიშნული დაწესებულებანი დაავალებენ ამის განხორციელებას, უნდა შედიოდნენ შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო კონტროლისა და შრომის უწყებათა წარმომადგენლები, ამასთან, საჭიროების მიხედვით, მოწვეულ იქნან სხვა უწყებებიც; სავალდებულოა ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ა დ წარედგინოს სახკომსაბჭოს და ცაკის პრეზიდიუმს მოკლე ანგარიში იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული ერთგვაროვან განყოფილებათა შესაერთებლად და შრომის ეკონომიისათვის.

2. ყოველ ქალაქში, სადაც არის ერთგვაროვანი განყოფილებანი ან უწყებანი, ცენტრალური, საოლქო, საქალაქო, საგუბერნიო, სამაზრო, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას უმაღლეს დაწესებულებასთან კომისიები ყველა ასეთი დაწესებულების შესათანხმებლად და გასაერთიანებლად, მაქსიმალური ეკონომიის მიზნით, ამასთან ეს კომისიები მუშაობენ იმ წესების მიხედვით და იმ ვადების დაცვით, რომლებიც აღნიშნულია 1-ლ მუხლში.

3. ამავე კომისიებს (მუხ. 1 და 2) და ამავე საფუძველზე ევალებათ სწრაფად გაატარონ ღონისძიებანი მამაკაცთა შრომის მაქსიმალური შეცვლისათვის ქალთა შრომით და იმ მამაკაცთა სიების შედგენისათვის, რომლებიც შეიძლება გადაყვანილ იქნან სამუშაოდ ჯარში ან ჯართან ან სხვა არა კანცელარული, არამედ აღმასრულებელი და პრაქტიკული ხასიათის სხვა სამუშაოებზე.

4. ამავე კომისიებს (მუხ. 1 და 2) ევალება, რკპ ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, განახორციელონ პირთა ისეთი შეცვლა, რომ რკპ წევრები (არა ნაკლებ 2 წლის წევრობის სტაჟისა) დარჩნენ მხოლოდ ხელმძღვანელ და მეტად პასუხსაგებ ადგილებზე, დანარჩენ ადგილებზე კი დაინიშნონ უპარტიოები ან სხვა პარტიების წევრები, რათა რკპ წევრთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნას განთავისუფლებული სხვა სამუშაოებისათვის.

დაწერილია 1918 წ. 12 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი

რკპ ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, რკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის ვადაში, შეიტანოს ყველა საწევრო ბილეთსა და ბარათში ცნობები იმის შესახებ, თუ რა დროიდან იმყოფება ესა თუ ის პირი ბოლშევიკების პარტიაში.

თუ ასეთი ცნობები არ არის და შეუძლებელია მათი შეკრება (და შემოწმება რკპ 3 წევრის მიერ მაინც, რომელთაც 2 წლის სტაჟი აქვთ), თვითეულ საწევრო ბილეთს ან ბარათს გაუკეთდეს შენიშვნა: «რა დროიდან არის პარტიაში, გამოურკვეველია».

რკპ ყველა წევრი, რომლებიც კი რაიმე საბჭოთა თანამდებობაზე არიან, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს თავის საწევრო ბილეთში, პარტიული ორგანიზაციების თავმჯდომარეების ან მათი მდივნების მიერ დადასტურებული მოკლე ცნობები იმის შესახებ, თუ რა პარტიას ეკუთვნოდა ან ემხრობოდა ესა თუ ის პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

დაწერილია 1918 წ. 12 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1928 წ.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა პრესნიას რაიონის მუშათა კონფერენციაზე

1918 წ. 14 დეკემბერს

ამხანაგებო, ნება მომეცით შევეხო დღეისათვის გათვალისწინებულ რამდენიმე საკითხს. პირველი საკითხია საერთაშორისო მდგომარეობა და მეორე — წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიებისადმი დამოკიდებულება.

მე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. თქვენ იცით, რომ ახლა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოცხადებულია ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალიზმის დიდი ლაშქრობა. ამ ქვეყნების იმპერიალისტები თავიანთ მუშებში აგიტაციას ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ, ბრალად სდებენ რა ბოლშევიკებს იმას, რომ ისინი უმცირესობას ეყრდნობიან და უმრავლესობას ჩაგრავენო; რადგან საფრანგეთისა და ინგლისის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების უდიდესი უმრავლესობა ბურჟუაზიის ხელშია, სიცრუე საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იქ სწრაფად და შეუფერხებლად იზრდება. და აი რატომ არის, რომ ისეთი სასაცილო და სულელური ზღაპარი, თითქოს ბოლშევიკები რუსეთში ეყრდნობოდნენ მოსახლეობის უმცირესობას, — ზღაპარი, რომელსაც არც კი აბათილებენ, იმდენად სულელურია იგი ყველასათვის, ვინც აკვირდება იმას, თუ რა ხდება ჩვენში, — ეს ზღაპარი ყურადღებასაც კი არ იქცევს. მაგრამ როდესაც გადახედავ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის გაზეთებს, — სხვათა შორის, ჩვენამდე აღწევს მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული გაზეთები, — დაინახავ,

რომ იქ ბურჟუაზია დღევანდლამდე ავრცელებს ამ ზღაპრებს.

ჩვენში საარჩევნო უფლებას და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის და მასზე გავლენის მოხდენის უფლებას მოკლებული არიან მხოლოდ ექსპლოატატორები, ისინი, ვინც ცხოვრობს არა თავისი შრომით, არამედ ეწევა სხვების ექსპლოატაციას. ასეთ ადამიანთა რიცხვი სრულიად უმნიშვნელოა მოსახლეობის საერთო მასაში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენი მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა ქალაქებში. ახლა კერძო მიწათმფლობელობა მოსპობილია. მემამულეებს ჩამორთმეული აქვთ ადგილ-მამულები, მენაკვეთურეებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ სტოლიპინის დროს ძარცვავდნენ გლეხებს, ჩამორთმეული აქვთ მიწები, და სოფლად იმათი რიცხვი, ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევა, ძალიან მცირეა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება არ ეუბნება მათ, საარჩევნო უფლებას გართმევთო. იგი ეუბნება: ჩვენ მმართველობაში მონაწილეობის უფლებას ვცნობთ ყველა იმისათვის, ვისაც სურს შეწყვიტოს სხვისი შრომის ექსპლოატაცია. გსურს მუშა იყო — გთხოვთ. გსურს ექსპლოატატორი იყო — ასეთ ადამიანებს ჩვენ არათუ არ დავუშვებთ, ან არ ავირჩევთ, არამედ მათ სხვისი შრომით ცხოვრების საშუალებასაც არ მივცემთ.

და აი ჩვენი კონსტიტუციის ამ საფუძვლიდან უკვე ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა იმათ, ვინც შრომობს, მათ იგი აძლევს უფლებას მოაწყონ სახელმწიფო ცხოვრება, იგი ეყრდნობა მოსახლეობის უდიდეს, გადამწყვეტ უმრავლესობას. საბჭოების ყოველი ყრილობა — ასეთი ყრილობა სულ ექვსი იყო — ყოველი ყრილობა გვიჩვენებს, რომ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა წარმომადგენლები, არა სხვისი, არამედ თავისი შრომით მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლები, რომ სწორედ ისინი შეადგენენ საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს, რომელიც სულ უფრო და უფრო მტკიცდება. საბჭოების I ყრილობა ჩვენში

შედგა 1917 წლის ივნისში, როდესაც რუსეთი ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყო და იმპერიალისტურ ომს აწარმოებდა. ეს ყრილობა შედგა სწორედ 1917 წლის ივნისში, როდესაც კერენსკი შეტევაზე მიერეკებოდა ჯარებს და როდესაც მან მილიონობით ხალხი გაჟლიტა ბრძოლებში. ამ ყრილობაზე კომუნისტები ანუ ბოლშევიკები მხოლოდ 13% შეადგენდნენ, — მაშასადამე, მეშვიდედ ნაწილს. საბჭოების II ყრილობაზე, რომელმაც დასაბამი მისცა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ბოლშევიკები უკვე 51% შეადგენდნენ, — ნახევარს, ხოლო V ყრილობაზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის ივლისში, ბოლშევიკები უკვე 66% შეადგენდნენ. მაშინ უკვე მემარცხენე ესერებმა, რაკი დაინახეს, თუ რა სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა ბოლშევიზმი, მიმართეს ავანტიურას, და ბოლოს ისინი სავსებით გაითიშნენ. ამ გათიშვიდან წარმოიშვა სამი სხვადასხვა პარტია, და სულ უკანასკნელი პარტია — ნაროდნიკ-კომუნისტებისა, ბოლშევიკების მხარეზე გადმოვიდა, და მთელი რიგი ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეებიც, როგორიცაა კოლეგაევი, ბოლშევიკების პარტიის მხარეზე გადმოვიდნენ.

საბჭოების VI ყრილობაზე ბოლშევიკები შეადგენდნენ 97%, ე. ი. მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა თითქმის ყველა წარმომადგენელს. ეს გვიჩვენებს, თუ როგორ ირაზმება ახლა მშრომელთა დიდი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, თუ რამდენად სასაცილო და უაზროა ბურჟუაზიის ეს მოგონილი ზღაპარი და ეს მტკიცება, თითქოს ბოლშევიკები მოსახლეობის უმცირესობას ეყრდნობოდნენ. ეს ბურჟუაზია ასე იმიტომ ცრუობს, რომ მეფის მთავრობის 17 მილიარდი, რაც მას კაპიტალისტებისა ემართა, ეს 17 მილიარდი, რაც ჩვენ გავაუქმეთ და რაზედაც უარი ვთქვით (ჩვენ არ ვაპირებთ მათ მაგივრად, წინანდელ მმართველთა მაგივრად, ამ ვალის გადახდას, — ჩვენ ვალიარებთ, რომ ეს ვალი იყო, და ვამბობთ: კარგი, ეს სესხი თქვენ გაქვთ გაცემული, თქვენვე გაუსწორეთ ერთმანეთს ანგარიში), — მოკავშირეებს სურთ ჩვენ დაგვაკისრონ ეს ვალი

და აღადგინონ მემამულის, მეფის ძალაუფლება. ჩვენ ვიცით, თუ რას შვრებოდნენ ისინი არხანგელსკში, სამარასა და ციმბირში. იქ თვით მენშევიკები და მემარჯვენე ესერებიც კი, რომლებიც ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ ბრესტის ზავის შემდეგ და ფიქრობდნენ, რომ ჩვენი ვარაუდი გერმანიის რევოლუციის მიმართ არ გამართლდებოდა, დარწმუნდნენ, რომ თვითონ მათ მიერეკებიან და ინგლისელთა და ჩეხოსლოვაკთა ჯარების დახმარებით აღადგენენ მემამულეებსა და კერძო საკუთრებას.

ინგლისსა და საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ იქაური გაზეთები ყოველნაირად მალავენ სიმართლეს, მაინც ეს სიმართლე ახლა გზას იკაფავს. მუშები გრძნობენ, მათ ესმით, რომ რევოლუცია რუსეთში არის მათი, მუშათა, სოციალისტური რევოლუცია. და თვით საფრანგეთსა და ინგლისში ჩვენ ახლა ვხედავთ მუშათა მოძრაობას ლოზუნგით «გაიყვანეთ ჯარები რუსეთიდან!», «ბოროტმოქმედია ის, ვინც ომს გააჩაღებს რუსეთის წინააღმდეგ!». ამას წინათ ლონდონში, ალბერტის დარბაზში, სოციალისტების მიტინგი მიმდინარეობდა, და აი ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, მიუხედავად ინგლისის მთავრობის მთელი ცდებისა, რომ სიმართლე ჩაეხშო; ეს ცნობები მეტყველებენ, რომ მიტინგზე წამოყენებული იყო მოთხოვნა «გაიყვანეთ ჯარები რუსეთიდან!», და მუშათა ყველა ბელადმა ის აზრი გამოთქვა, რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ძარცვისა და ძალადობის პოლიტიკაა. და არის ცნობები, რომ მაკლინი — ის მასწავლებლად იყო შოტლანდიაში — ინგლისის ყველაზე სამრეწველო ოლქებში მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდა და ეუბნებოდა, რომ ეს ომი მძარცველური ომია. ის ჯერ კიდევ მაშინ ჩასვეს საპყრობილეში. ახლა ის ხელმეორედ ჩასვეს საპყრობილეში. მაგრამ როდესაც ევროპაში რევოლუციურმა მოძრაობამ იფეთქა, მაკლინი განთავისუფლებულ იქნა და პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს გლაზგოში, ჩრდილოეთ ინგლისისა და შოტლანდიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში. ეს გვიჩვენებს, რომ ინგლისის

მუშათა მოძრაობა მისი რევოლუციური მოთხოვნებითურთ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ინგლისის მთავრობა იძულებული იყო გაეთავისუფლებინა მაკლინი, თავისი ყველაზე სასტიკი მტერი, რომელიც თავის თავს ინგლისელ ბოლშევიკს უწოდებს.

საფრანგეთში, სადაც შოვინიზმი დღევანდლამდე მოიცავს მუშებს, სადაც ფიქრობენ, რომ ომს მხოლოდ სამშობლოს დასაცავად აწარმოებენ, რევოლუციური სულისკვეთება იზრდება. ახლა, როდესაც ინგლისმა და საფრანგეთმა დაამარცხეს გერმანელები, თქვენ იცით, რომ მათ გერმანელებს ასკეცად უფრო მძიმე პირობები წაუყენეს, ვიდრე ბრესტის ზავის პირობები იყო. ახლა რევოლუცია ევროპაში რეალობად იქცევა. მოკავშირენი, რომელნიც ტრაბახობდნენ, გერმანიისათვის თავისუფლება მოგვაქვს კაიზერისა და მილიტარიზმისაგანო, იმ როლამდე დაქვეითდნენ, რომელსაც ასრულებდნენ ნიკოლოზ I დროის რუსეთის ჯარები, როდესაც რუსეთი ბნელი ქვეყანა იყო, როდესაც ნიკოლოზ I რუსეთის ჯარებს უნგრეთის რევოლუციის ჩასახშობად მიერეკებოდა. ეს იყო ძველი ბატონყმური წესწყობილების დროს, 60 წელზე მეტი ხნის წინათ. ახლა კი თავისუფალი ინგლისი და სხვა ქვეყნები ჯალათებად გადაიქცნენ და ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ ჩაახშონ რევოლუცია და ჩააჩუმონ სიმართლე; მაგრამ ეს სიმართლე გადალახავს ყველა დაბრკოლებას საფრანგეთშიც და ინგლისშიც, და მუშები მიხვდებიან, რომ ისინი მოატყუეს და ჩააბეს ომში არა საფრანგეთის ან ინგლისის გასათავისუფლებლად, არამედ სხვისი ქვეყნის გასაძარცვავად. საფრანგეთში, სოციალისტურ პარტიაში, რომელიც დღევანდლამდე ეკუთვნოდა სამშობლოს დაცვის მომხრეთა რიცხვს, ჩვენ ახლა გვაქვს ცნობა, რომ იქ მხურვალედ თანაუგრძნობენ საბჭოთა რესპუბლიკას და პროტესტს აცხადებენ რუსეთის საქმეებში ჯარების ჩარევის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი რუსეთზე შემოტევით იმუქრება და მხარს უჭერს კრასნოვებს, დუტოვებს, მხარს უჭერს მონარქიის აღდგენას რუსეთში და

ფიქრობს მოატყუოს თავისუფალი ხალხი. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო მხრივ იმპერიალისტები ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან. ეს ჩვენ ვიცოდით, ამას დიდი ხანია ვამბობდით. ჩვენ ყველას მოვუწოდებდით წითელი არმიის დასახმარებლად, რათა თავი დაგვეცვა და გავმკლავებოდით მტაცებლებსა და ავაზაკებს. მაგრამ როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: «თუ ინგლისსაფრანგეთის იმპერიალიზმი უფრო ძლიერია, მაშასადამე, ჩვენი საქმე უიმედოაო», — მაშინ ჩვენ ამ ადამიანებს ვუპასუხებთ: «გაიხსენეთ ბრესტის ზავი. განა მაშინ მთელი რუსეთის ბურჟუაზია არ გაყვიროდა, რომ ბოლშევიკებმა რუსეთი გერმანელებს მიჰყიდესო? განა მაშინ არ გაყვიროდნენ, რომ ბოლშევიკებს, რომლებსაც გერმანიის რევოლუციის იმედი აქვთ, აჩრდილის, ფანტაზიის იმედი აქვთო?». აღმოჩნდა კი, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ჩვენზე შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო, რომელსაც სრული შესაძლებლობა ჰქონდა ეძარცვა რუსეთი, რადგან ჩვენ არმია არ გვყავდა, ხოლო ძველ არმიას არ შეეძლო და უნარი არა ჰქონდა ომი ეწარმოებინა, ვინაიდან ადამიანები ისე გატანჯული იყვნენ ომით, რომ არ შეეძლოთ ომი ეწარმოებინათ, და ყველამ, ვინც იცის, თუ რა ხდებოდა მაშინ, ყველამ იცის, რომ მაშინ ჩვენ სრულიად არ შეგვეძლო თავი დაგვეცვა და, მაშასადამე, სრული ძალაუფლება რუსეთის მიმართ შეიძლებოდა ხელთ ჩავარდნოდათ გერმანიის კაიზერის ავაზაკებს, — აღმოჩნდა, რომ გავიდა რამდენიმე თვე და გერმანელები ისე ჩაეფლნენ ამ რუსეთში, ისეთ წინააღმდეგობას შეხვდნენ აქ, ისეთ აგიტაციას გერმანელ ჯარისკაცთა შორის, რომ ახლა, როგორც მითხრა ზინოვიევმა, პეტროგრადში არსებული ჩრდილოეთის კომუნის თავმჯდომარემ, როდესაც გერმანიის წარმომადგენლები რუსეთიდან გარბოდნენ, გერმანიის კონხულმა თქვა: «დიახ, ახლა, — ამბობს ის, — ძნელია გარკვევით ითქვას, — ვინ მოიგო უფრო, ჩვენ თუ თქვენო». ის ხედავდა, რომ გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც ჩვენზე ესოდენ უფრო ძლიერნი არიან, რომ მათ ეს ბოლშევიკური სენი მოედო. და გერმანიას ახლა მოედო რევოლუცია, იქ

წარმოებს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. და ბრესტის ზავი, რომელსაც ბოლშევიზმის სრულ კრახად აცხადებდნენ, მხოლოდ გადასვლა გამოდგა იქითკენ, რომ ჩვენ ახლა, განვმტკიცდით რა რუსეთში, დავიწყეთ წითელი არმიის შექმნა, გერმანიის ჯარებს ბოლშევიზმი მოედო, მისი მოჩვენებითი გამარჯვებანი კი მხოლოდ ნაბიჯი გამოდგა გერმანიის იმპერიალიზმის სრული კრახისაკენ, გარდამავალი საფეხური გამოდგა მსოფლიო რევოლუციის გაფართოებისა და ზრდისაკენ.

ბრესტის ზავის დროს ჩვენ მარტონი ვიყავით. მთელ ევროპას რუსეთის რევოლუცია გამონაკლისად მიაჩნდა; ეს არის «აზიური რევოლუცია», რომელიც ასე სწრაფად დაიწყო და მეფე დაამხო იმიტომ, რომ რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, და ასე სწრაფად გადავიდა საკუთრების ჩამორთმევაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე თავისი ჩამორჩენილობის გამოო, — ასე ფიქრობდნენ ევროპაში ჩვენს რევოლუციაზე; მაგრამ დაავიწყდათ, რომ რუსეთის რევოლუციას სხვა მიზეზი ჰქონდა, — რუსეთს სხვა გამოსავალი არ გააჩნდა. ომმა ისეთი გაჩანაგება და შიმშილი გამოიწვია ყველგან, ისეთი გაბოროტება ხალხისა და ჯარისა, რომლებმაც დაინახეს, რომ მათ ასე დიდხანს ატყუებდნენ, რომ რუსეთისათვის შეიქმნა ერთადერთი გამოსავალი — რევოლუცია.

გერმანელებს ეუბნებოდნენ, აუცილებელია თავი დაიცვათ რუსეთის შემოსევის წინააღმდეგო. ახლა კი ეს სიცრუე დღითი დღე სულ უფრო და უფრო აშკარავდება. გერმანიის კაპიტალისტებს და გენერლებს თავიანთი ჯარები მიჰყავდათ რუსეთის წინააღმდეგ მაშინაც, როდესაც იგი სოციალისტური ქვეყანა გახდა. და სწორედ აქ ყველაზე გონებაბნელი ჯარისკაცისთვისაც კი ცხადი გახდა, რომ ომის მთელი ოთხი წლის განმავლობაში მას ატყუებდნენ და ომში მიერეკებოდნენ, რათა გერმანელ კაპიტალისტებს შეძლებოდათ რუსეთის ძარცვა. სწორედ იგივე, რამაც გამოიწვია გერმანიის იმპერიალიზმის კრახი, რამაც გამოიწვია რევოლუცია გერმანიაში, იგივე ახლა ყოველდღე და ყოველ საათს აახლოებს

რევოლუციას საფრანგეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. ჩვენ მარტონი ვიყავით. ჩვენ ახლა მარტონი არა ვართ. ახლა რევოლუციაა ბერლინში, ავსტრიაში, უნგრეთში; შვეიცარიაში, ჰოლანდიასა და დანიაშიც კი, ამ თავისუფალ ქვეყნებში, რომლებსაც ომი არ განუცდიათ, — ამ ქვეყნებშიც კი იზრდება რევოლუციური მოძრაობა, იქ მუშები უკვე მოითხოვენ საბჭოების ჩამოყალიბებას. ახლა აღმოჩნდა, რომ სხვა გამოსავალი არ არის. რევოლუცია მთელ მსოფლიოში მწიფდება. ჩვენ პირველნი გავხდით ამ საქმეში და ჩვენი საქმეა დავიცვათ ეს რევოლუცია მანამდე, სანამ მოგვეშველებოდნენ ჩვენი მოკავშირენი, ეს მოკავშირენი კი არიან ევროპის ყველა ქვეყნის მუშები. ეს მოკავშირენი მით უფრო ახლოს იქნებიან ჩვენთან, რაც უფრო შეტოპავენ მათი მთავრობანი.

როდესაც გერმანელები ბატონ-პატრონებად თვლიდნენ თავს, ბრესტის ზავის დროს, ისინი ერთი ნაბიჯის სიახლოეზე იყვნენ თავიანთი დაღუპვისაგან. ახლა კი საფრანგეთი და ინგლისი, რომლებმაც გერმანელებს თავს მოახვიეს ზავის პირობები, გაცილებით უფრო მძიმე და სამარცხვინო, ვიდრე მაშინ ჩვენ თავს მოგვახვია გერმანიამ, ახლა ისინი უფსკრულის პირას დადგნენ. რაც უნდა იცრუონ მათ, — ისინი თავიანთი დაღუპვისაგან რამდენიმე ნაბიჯის სიახლოეზე დგანან. მათ ეშინიათ ამ დაღუპვისა, მათი სიცრუე დღითი დღე უფრო და უფრო აშკარავდება, და ჩვენ ვამბობთ: რაც უნდა იცრუონ ამ იმპერიალისტებმა თავიანთ გაზეთებში — ჩვენი საქმე მტკიცეა, უფრო მტკიცეა, ვიდრე მათი საქმე, რადგან იგი ეყრდნობა ყველა ქვეყნის მუშათა მასის შეგნებას; ეს შეგნება იშვა ომიდან, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში სისხლით რწყავდა მთელ მსოფლიოს. ამ ომიდან ძველი მთავრობები ვერ გამოვლენ დღის სინათლეზე. ძველი მთავრობები ახლა ამბობენ, რომ ისინი მსოფლიო ბოლშევიზმის წინააღმდეგი არიან. მუშებმა იციან, თუ რა ხდება რუსეთში: იქ დევნიან მემამულეებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც თავის დასახმარებლად მოუწოდებენ დაქირავებულ პირებს, უცხოელ ჯარისკაცებს. მდგომარეობა ახლა ყველასათვის ნათელია. ამ

მდგომარეობაში ყველა ქვეყნის მუშები ერკვევიან. და მიუხედავად იმპერიალისტების მთელი ველურობისა, მათი გაბოროტებისა, ჩვენ თამამად ვებმებით მათთან ბრძოლაში და ვიცით, რომ ყოველი მათი ნაბიჯი რუსეთის შიგნით იქნება მათი დაღუპვისაკენ გადადგმული ნაბიჯი და მათ მოუვათ იგივე, რაც შეემთხვათ გერმანიის ჯარებს, რომლებმაც უკრაინიდან პურის ნაცვლად რუსული ბოლშევიზმი გაიტანეს.

რუსეთში არის მშრომელთა ძალაუფლება და თუ ძალაუფლება მათ ხელში არ იქნება, ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს ამ სისხლისმღვრელი, მძიმე ომით მიყენებულ ჭრილობათა მოშუშებას. ძალაუფლების დატოვება ძველი კაპიტალისტების ხელში იმას ნიშნავს, რომ ომის მთელი სიმძიმე მშრომელ კლასს დაეკისროს, რომ მან იხადოს მთელი ხარკი ამ ომისათვის.

ინგლისსა, ამერიკასა და იაპონიას შორის ახლა ბრძოლა წარმოებს იმის გამო, თუ ვინ რა მიიტაცოს ნაძარცვი დავლიდან. ახლა ყველაფერი გაყოფილია. ვილსონი მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტია. და მერე რას ამბობს ის? ამ ქვეყანაში ერთი სიტყვისათვის, რომელიც ზავისაკენ მოუწოდებს, შოვინისტების ბრბო ხვრეტს ადამიანებს ქუჩაში. ერთი მღვდელი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რევოლუციონერი, მხოლოდ იმისათვის, რომ ის ზავს ქადაგებდა, ქუჩაში გამოათრიეს და ცემით გაასისხლიანეს. და იქ, სადაც ყოვლად ველური ტერორი ბატონობს, — იქ ჯარს მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რომ ჩაახშონ რევოლუცია, რომ დათრგუნვით დაემუქრონ გერმანიის რევოლუციას. გერმანიაში რევოლუცია სულ ახლახან დაიწყო, მხოლოდ ერთმა თვემ განვლო მისი დაწყებიდან, — და იქ ყველაზე მწვავე საკითხია — დამფუძნებელი კრება თუ საბჭოთა ხელისუფლება. მთელი ბურჟუაზია იქ დამფუძნებელი კრების მომხრეა და ყველა სოციალისტი — ისინი, ვინც კაიზერის ლაქიშ იყო და რევოლუციური ომის დაწყებას ვერ ბედავდა, — ისინი დამფუძნებელი კრების მომხრენი არიან. მთელი გერმანია ორ ბანაკად გაიყო. სოციალისტები ახლა

დამფუძნებელი კრების მომხრენი არიან, ხოლო ლიბკნეხტი, რომელმაც სამი წელი გაატარა საპყრობილეში, ის, ისევე როგორც როზა ლუქსემბურგი, სათავეში უდგას «წითელ დროშას» [129]. გუშინ მოსკოვში მიღებულ იქნა ამ გაზეთის ერთი ეგზემპლარი. მიღებულ იქნა დიდი სიძნელეებისა და ფათერაკის გამოვლის შემდეგ. ამ გაზეთში თქვენ ნახავთ მთელ რიგ სტატიებს, — ისინი ყველანი, რევოლუციის ბელადები, ამ გაზეთში ლაპარაკობენ ბურჟუაზიის მიერ ხალხის მოტყუებაზე. გერმანიის ნება კაპიტალისტების ხელში იყო. ისინი მხოლოდ თავიანთ გაზეთებს ბეჭდავდნენ, და აი «წითელი დროშა» ამბობს, რომ მხოლოდ მუშათა მასებს აქვთ ხალხის ქონებით სარგებლობის უფლება. გერმანიაში უკვე ახლა, თუმცა რევოლუციის მხოლოდ ერთმა თვემ განვლო, მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო. ყველა სოციალისტ-გამცემელი გაყვირის, რომ ისინი დამფუძნებელი კრების მომხრენი არიან, ხოლო სოციალისტები — ნამდვილი, პატიოსანი სოციალისტები — ამბობენ: «ჩვენ ყველანი მუშათა და ჯარისკაცთა ძალაუფლების მომხრენი ვართო». არ ამბობენ: «გლეხთა მომხრენი ვართო», რადგან გერმანიაში გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ქირაობს მუშებს, არამედ ამბობენ: «მუშათა და ჯარისკაცთა მომხრენი ვართო». ამბობენ: «წვრილ გლეხთა მომხრენი ვართო». საბჭოთა ხელისუფლება იქ უკვე იქცა მმართველობის ფორმად.

საბჭოთა ხელისუფლება — ეს მსოფლიო ხელისუფლებაა. იგი მოდის ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესაცვლელად. არა მარტო მონარქია, არამედ რესპუბლიკაც, თუ იგი კაპიტალისტებს უტოვებს მათ საკუთრებას — ფაბრიკებს, ქარხნებს, ბანკებს, სტამბებს, — ასეთი რესპუბლიკა ბურჟუაზიის მიერ ხალხის ძარცვის ერთ-ერთი ფორმაა. და ბოლშევიკები მართალნი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, მსოფლიო რევოლუცია იზრდებაო. სხვადასხვა ქვეყანაში იგი სხვადასხვანაირად ვითარდება. იგი ყოველთვის დიდხანს და მძიმედ მიმდინარეობს. ცუდია ის სოციალისტი, რომელიც ფიქრობს,

რომ კაპიტალისტები ერთბაშად აიღებენ ხელს თავიანთ უფლებებზე. არა. ასეთი კეთილი კაპიტალისტები ქვეყანას ჯერ კიდევ არ შეუქმნია. სოციალიზმი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ არ ყოფილა ქვეყნად ისეთი გაბატონებული კლასი, რომელსაც უბრძოლველად დაეთმოს. კაპიტალისტებმა იციან, თუ რა არის ბოლშევიზმი. წინათ ამბობდნენ: «რუსული სისულელე და რუსული ჩამორჩენილობა ქმნიან იქ ისეთ ფოკუსებს, რომლებიდანაც არაფერი არ გამოვა. ისინი შინ, რუსეთში, გამოკიდებიან რაღაც მოჩვენებებს, საიქიოდან მოვლენილ ლანდებსო». ახლა კი თვითონ ეს ბატონი კაპიტალისტები ხედავენ, რომ ეს რევოლუცია მსოფლიო ხანძარია და რომ მხოლოდ მშრომელთა ძალაუფლებას შეუძლია გაიმარჯვოს. ახლა ჩვენში ღარიბთა კომიტეტებს ქმნიან. გერმანიაში კი დიდი უმრავლესობა ან მოჯამაგირეები არიან, ან წვრილი გლეხები. მსხვილი გლეხები გერმანიაში ძალიან ხშირად თავისებური მემამულეები არიან.

გუშინ შვეიცარიის მთავრობამ შვეიცარიაში ჩვენი წარმომადგენელი გააძევა შვეიცარიიდან, და ჩვენ ვიცით, თუ რით არის ეს გამოწვეული. ჩვენ ვიცით, ფრანგ და ინგლისელ კაპიტალისტებს ეშინიათ იმისა, რომ ის ჩვენ ყოველდღე გვიგზავნიდა დეპეშებს და ამბებს ლონდონში შემდგარი მიტინგების შესახებ, სადაც ინგლისის მუშები აცხადებდნენ: «გაიყვანეთ ბრიტანეთის ჯარები რუსეთიდან!». ის აგზავნიდა ცნობებს საფრანგეთზეც. ამბობენ, იმპერიალისტები ულტიმატუმს უყენებდნენ რუსეთის წარმომადგენლებსო. მათ განდევნეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები შვეციიდანაც, და ისინი უნდა დაბრუნდნენ რუსეთში. მაგრამ მათთვის ჯერ კიდევ ნაადრევია ზეიმი. ეს იაფფასიანი გამარჯვებაა. ეს ნაბიჯი ჯერ კიდევ არაფერს არ იძლევა. რაც უნდა მალავდნენ «მოკავშირენი» სიმართლეს, რაც უნდა ატყუებდნენ ისინი ხალხს, რაც უნდა ცდილობდნენ თავიდან მოიშორონ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები, — ბოლოს და ბოლოს ხალხი გაიგებს მთელ ამ სიმართლეს.

და ჩვენ გეუბნებით — მთელი ძალით შეებრძოლეთ «მოკავშირეებს» და მხარი დაუჭირეთ წითელ არმიას! ეს გასაგებია, გასაგებია ყოველივე ის, რაც ხდებოდა ჩვენში, როდესაც წითელი არმია არ გვყავდა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ახლა წითელი არმია მტკიცდება და გამარჯვებას აღწევს. ჩვენი არმიის წინააღმდეგ დგანან ინგლისის ჯარები. ჩვენს არმიას კი ჰყავს მუშათა კლასიდან მხოლოდ გუშინ აყვანილი ოფიცრები, რომლებმაც მხოლოდ გუშინ გაიარეს პირველად სამხედრო სწავლის კურსები. როდესაც ჩვენ ხელთ გვივარდებიან ტყვეები, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ეს ტყვეები, როცა კითხულობენ ინგლისურ ენაზე გადათარგმნილ ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციას, ეუბნებიან თავიანთ თავს: «ჩვენ მოგვატყუეს. საბჭოთა რუსეთი ის არ არის, რადაც იგი მიგვაჩნდა. საბჭოთა ხელისუფლება — ეს მშრომელთა ხელისუფლება არისო». და ჩვენ ვეუბნებით: «დიახ, ამხანაგებო, ჩვენ ვომობთ არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის, — ჩვენ ვიბრძვით მთელი მსოფლიოს მუშათა და მშრომელთა ძალაუფლებისათვის». ჯერჯერობით ჩვენ ვაკავებთ იმპერიალიზმის შემოტევას, მტკიცდება გერმანიის რევოლუცია. მტკიცდება რევოლუცია ყველა დანარჩენ ქვეყანაშიც. აი რატომ არის, რომ, როგორც უნდა უწოდებდნენ მას ევროპაში, — იგი, ეს მსოფლიო რევოლუცია, მთელი სიგრძე-სიგანით წარმოსდგა, და მსოფლიო იმპერიალიზმი დაიღუპება. და ჩვენი მდგომარეობა, რაც უნდა ძნელი იყოს იგი, გვინერგავს რწმენას, რომ მართალი საქმისათვის არა მარტო ჩვენ ვიბრძვით, არამედ რომ ჩვენ გვყავს მოკავშირეები, — ყველა ქვეყნის მუშები.

ამხანაგებო, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ამ შენიშვნების შემდეგ მინდა ვთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა სხვა საკითხებზე. მე მინდა ვილაპარაკო წვრილბურჟუაზიულ პარტიებზე. ეს პარტიები სოციალისტებად თვლიდნენ თავიანთ თავს. მაგრამ ისინი სოციალისტები არ არიან. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ისეთ დაწესებულებებს, როგორიცაა ბანკები, სალაროები,

ურთიერთდახმარების საზოგადოებანი, «თვითდახმარება» ეწოდება, მაგრამ ყოველივე ეს სრულიად არაფერს არ ნიშნავს: ნამდვილად კი ამ სახელწოდების ქვეშ იფარება ძარცვა. და აი სწორედ ეს პარტიები, რომლებიც თითქოს ხალხის მომხრენი იყვნენ, ისინი მაშინ, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი კრასნოვის იერიშებს იგერიებდა (ის დააპატიმრეს ჩვენმა ჯარებმა და, სამწუხაროდ, განთავისუფლებულ იქნა, იმიტომ რომ პეტროგრადელები ძალიან გულკეთილნი არიან), — მაშინ ეს ვაჟბატონები — მენშევიკები და მემარჯვენე ესერები ბურჟუაზიის მხარეზე დადგნენ. წვრილი ბურჟუაზიის ამ პარტიებმა არასოდეს არ იციან, საით წავიდნენ — კაპიტალისტების მხარეზე დადგნენ თუ მუშების მხარეზე. ეს პარტიები შედგებიან ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც იმ იმედით ცხოვრობენ, რომ როდისმე გამდიდრდებიან. ისინი მუდამ ხედავენ, თუ როგორ ცუდად ცხოვრობს მათ ირგვლივ წვრილ მეპატრონეთა უმრავლესობა, — მთელი ეს მშრომელი ხალხი. და აი პარტიებმა, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი, წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა, ყოყმანი იწყეს. ეს ახალი რამ არ არის. ეს იყო ყოველთვის, არის ჩვენშიც. როდესაც ბრესტის ზავის პერიოდი დადგა — ჩვენი რევოლუციის ყველაზე მძიმე პერიოდი, როდესაც ჩვენ არმია არ გვყავდა და ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვედო ზავი, მაგრამ ვამბობდით: ჩვენს სოციალისტურ მუშაობას ერთი წუთითაც არ შევწყვეტთ-თქო, — ისინი ყველანი ჩამოგვშორდნენ. მათ დაავიწყდათ, რომ რუსეთი თავის უდიდეს მსხვერპლს იღებს სოციალისტური რევოლუციისათვის, და ისინი დამფუძნებელი კრების მომხრეებს შეუერთდნენ. გაჩნდნენ დამფუძნებელი კრების მომხრენი სამარაში, ციმბირში. ახლა მათ იქიდან აძევებენ და უჩვენებენ — ან მემამულეთა ძალაუფლება, ან ბოლშევიკების ძალაუფლება. საშუალო რამ არ შეიძლება იყოს. ან ჩაგრულთა ძალაუფლება, ან მჩაგვრელთა ძალაუფლება. მხოლოდ ჩვენ შეიძლება გაგვყვეს მთელი უღარიბესი გლეხობა. და მხოლოდ მაშინ გაგვყვება, როცა დაინახავს, რომ ძველ

რეჟიმს არ ებოდიშებიან, არამედ ყველაფერს ხალხის კეთილ-დღეობისათვის აკეთებენ. მხოლოდ საბჭოების ასეთი ხელისუფლებისათვის შეეძლო მხარი დაეჭირა ხალხს მთელი წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პირობებისა და შიმშილისა. მუშებმა და გლეხებმა იციან, რომ რაც უნდა მძიმე იყოს ომი, — ყოველივეს, რის გაკეთებაც შეიძლება კაპიტალისტ-ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რათა ომის მთელი სიმძიმე დაეკისროს არა მუშებს, არამედ ამ ვაჟბატონებს — გააკეთებს მუშურ-გლეხური მთავრობა. და აი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას უკვე წელზე მეტია მხარს უჭერს ხალხი.

ახლა, როდესაც დაიწყო გერმანიის რევოლუცია, დაიწყო შემობრუნება მენშევიკებსა და ესერებში. მათგან საუკეთესონი სოციალიზმს ესწრაფვოდნენ. მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, ბოლშევიკები მოჩვენებას, ზღაპარს გამოედევნენო. ახლა კი ისინი დარწმუნდნენ, რომ ის, რასაც ბოლშევიკები მოელოდნენ, ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ რეალური სინამდვილეა, რომ ეს მსოფლიო რევოლუცია დაიწყო და იზრდება მთელ მსოფლიოში, და საუკეთესო ადამიანები მენშევიკებიდან და ესერებიდან უკვე ინანიებენ, რომ ცდებოდნენ, და იგნებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა მარტო რუსეთის მუშების, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა ხელისუფლებაა, და რომ ვერავითარი დამფუძნებელი კრება ვერ გვიშველისო.

ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკამ იციან, რომ ახლა, როდესაც მსოფლიო რევოლუციამ იფეთქა, გარეშე მტრები მათ აღარ ჰყავთ. მტრები არიან თვითეული ქვეყნის შიგნით. ახლა დგება ახალი გარდატეხა, როდესაც მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა ყოყმანი იწყეს, ხოლო მათგან საუკეთესონი ბოლშევიკებს ეტანებიან და ხედავენ, რომ რამდენიც არ უნდა იფიცონ მათ დამფუძნებელი კრება, ისინი მაინც თეთრების მხარეზე არიან. მთელ მსოფლიოში ახლა საკითხი ასე დგას: ან საბჭოთა ხელისუფლება, ან ხელისუფლება მძარცველებისა, რომელთაც ათი მილიონი კაცი დაღუპეს ამ

ომში, ოცი მილიონი კაცი დაასახიჩრეს და რომელნიც ახლა განაგრძობენ სხვა ქვეყნების ძარცვას.

აი, ამხანაგებო, ის საკითხი, რომელიც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეობას იწვევს. ჩვენ ვიცით, რომ ეს პარტიები ყოველთვის მერყეობენ, მათ ყოველთვის ექნებათ ეს მერყეობა. ადამიანთა უმრავლესობას თავისი შეხედულებანი ცხოვრებიდან გამოაქვს, წიგნაკებსა და სიტყვებს კი არ უჯერის. ჩვენ საშუალო გლეხს ვეუბნებით: შენ ჩვენი მტერი არა ხარ; ჩვენ მას არ უნდა ვაწყენინოთ, ხოლო თუ სადმე ადგილობრივი საბჭო ძლიერ დაარტყამს საშუალო გლეხს და მას ეტკინება, ეს საბჭო უნდა მოვიშოროთ თავიდან, რადგან ის ვერ მოქმედებს ისე, როგორც უნდა მოქმედებდეს. საშუალო, წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ყოველთვის იმერყეევებს. და თუ იგი ქანქარასავით ჩვენკენ გადმოიხარა, მას მხარი უნდა დავუჭიროთ. ჩვენ ვამბობთ: «თუ თქვენ გააფუჭებთ ჩვენს მუშაობას, — მაშინ არ გვსურხართ. მაგრამ თუ დაგვეხმარებით, — მაშინ გღებულობთ». მენშევიკებს ჰყავთ სხვადასხვა ჯგუფი, ჰყავთ «აქტივისტების» (მოქმედების მომხრეების) ჯგუფი. ეს ლათინური სახელწოდებაა, ამ სახელწოდებით იმალებოდნენ ისინი, ვინც ამბობდა: «საკმარისი არ არის გაკრიტიკება. უნდა დავეხმაროთ მოქმედებით». ჩვენ ვამბობდით: ჩეხოსლოვაკებს უნდა ვეომოთ, ხოლო ვინც ამ ადამიანებს ეხმარება, ჩვენ მათთან ულმობელნი ვიქნებით. მაგრამ როცა არიან ადამიანები, რომლებმაც დაინახეს თავიანთი შეცდომა, მაშინ უნდა მივიღოთ ისინი, ლმობიერად მოვეპყრათ მათ. საშუალო, ვინც მუშასა და კაპიტალისტს შორის დგას, ყოველთვის იმერყეევებს. იგი ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე გატყდებოდა. ნამდვილად კი სხვა რამ აღმოჩნდა. ევროპის იმპერიალიზმს არ ძალუძს გატეხოს ჩვენი ხელისუფლება. რევოლუცია ახლა საერთაშორისო მასშტაბით ვითარდება. და ახლა ჩვენ ვამბობთ, — ვინც მერყეობდა, ვინც ახლა შეიგნო და დაინახა თავისი შეცდომა, — მოვიდეს ჩვენთან. ჩვენ თქვენზე უარს არ ვამბობთ. ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება უწინარეს

ყოვლისა იქით უნდა წარვმართოთ, რომ სწორედ ეს ადამიანები, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი წინათ, მერყეობდნენ თუ არა, — თუ ისინი გულწრფელად ჩვენთან არიან, დეე მოვიდნენ ჩვენთან. ჩვენ ახლა საკმაოდ ძლიერნი ვართ, რომ არავისი არ გვეშინოდეს. ჩვენ ყველას გადავხარშავთ. ისინი კი ჩვენ ვერ გადაგვხარშავენ. გახსოვდეთ, რომ ამ პარტიების მერყეობა გარდუვალია. დღეს ქანქარა იქით გადაიხარა, ხვალ აქეთ გადმოიხრება. ჩვენ მუშათა და ჩაგრულთა პროლეტარულ პარტიად უნდა დავრჩეთ. მაგრამ ახლა ჩვენ მთელ რუსეთს ვმართავთ, და ჩვენი მტერია მხოლოდ ის, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. დანარჩენები ჩვენი მტრები არ არიან. ისინი მხოლოდ მერყეობენ. მაგრამ მერყეევნი ჯერ კიდევ მტრები არ არიან.

ახლა კიდევ ერთი საკითხიც. სურსათის საკითხი. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენში სასურსათო მდგომარეობა, რომელიც შემოდგომაზე ცოტათი თითქოს გაუმჯობესდა, ისევ უარესდება. ხალხი კვლავ შიმშილობს, გაზაფხულისათვის კი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი კი ახლა ძალიან მოშლილია. ახლა იგი, გარდა ამისა, გადატვირთულია ტყვეებით, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. გერმანიიდან ახლა რუსეთისაკენ ორი მილიონი კაცი გამორბის. ეს ორი მილიონი გატანჯული და გაწამებულია. ისინი წარმოუდგენლად შიმშილობდნენ. ესენი არიან არა ადამიანები, არამედ ადამიანთა აჩრდილები, ჩონჩხები. ჩვენი ტრანსპორტი შინაური ომით კიდევ უფრო მეტად არის დანგრეული. ორთქლმავლები არა გვაქვს, ვაგონები არა გვაქვს. და სასურსათო მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმე ხდება. და აი, ამ მძიმე მდგომარეობის გამო, სახალხო კომისართა საბჭომ თქვა: თუ ჩვენში ახლა არის არმია და დისციპლინა, შექმნილი იმ პარტიული უჯრედების მიერ, რომლებიც თვითეულ პოლკშია, — და ოფიცერთა უმრავლესობა ახლა მუშათა წრიდან გამოსული ოფიცრებია და არა «ნაშიერნი»; თუ ესენი არიან ოფიცრები, რომლებიც მიხვდნენ, რომ მუშათა კლასმა უნდა მოგვცეს ისეთი ადამიანები, რომ-

ლებიც უნდა მართავდნენ სახელმწიფოს, და წითელი ოფიცრები, — მაშინ სოციალისტური არმია მართლაც სოციალისტური იქნება, სადაც იქნება ოფიცერთა შემადგენლობა, წითელი ოფიცრების მონაწილეობით განახლებული. ჩვენ ვიცით, რომ ახლა გარდატეხა მოხდა. არმია გვყავს. არმიაში ახალი დისციპლინაა. დისციპლინას იცავენ უჯრედები, მუშები და კომისრები, რომლებიც ასეულ ათასობით მიდიოდნენ ფრონტზე და განუმარტავდნენ მუშებსა და გლეხებს, თუ რის გამო წარმოებს ომი. აი რატომ მოხდა გარდატეხა ჩვენს არმიაში. აი რატომ აღმოჩნდა ეს გარდატეხა ასე ძლიერი. ინგლისური გაზეთები ამბობენ, რუსეთში ახლა სერიოზულ მტერს ვხვდებითო.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ უხეიროა ჩვენი სურსათის აპარატი. ამ აპარატს მიეტმასნენ პირთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც გვატყუებენ, გვატყუებდნენ და გვძარცვავენ. ჩვენ ვიცით, რომ რკინიგზელთა მასაში ყველანი, ვისაც მუშაობის მთელი სიმძიმე აწვება, ისინი ყველანი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე არიან. ზედა წრეებში კი ძველ რეჟიმს მისდევენ — ან საბოტაჟს გვიწევენ, ან საქმეს დაუდევრად ეკიდებიან. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ეს ომი რევოლუციური ომია. ამ ომის საწარმოებლად უნდა მოვიზიდოთ ხალხის მთელი ძალები. მთელი ჩვენი ქვეყანა რევოლუციურ ბანაკად უნდა გადაიქცეს. ყველანი დასახმარებლად! ეს დახმარება კი არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ფრონტზე წავიდეს, არამედ იმაშიც, რომ სახელმწიფოს ის კლასი, რომელსაც ყველა მიჰყავს განთავისუფლებისაკენ, რომელიც მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, — რომ ის მართავდეს, რადგან მხოლოდ მას აქვს ამის უფლება. ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელი საქმეა ეს, როდესაც მუშათა კლასი ამდენ ხანს ჩამოშორებული იყო არა მარტო მმართველობას, არამედ მოკლებული იყო წერა-კითხვის შესწავლის საშუალებასაც, ჩვენ ვიცით, თუ რა მძიმეა მისთვის ერთბაშად შეისწავლოს ყოველივე. მუშათა კლასმა სამხედრო საქმეში, ყველაზე ძნელ და საშიშ საქმეში, მაინც განახორციელა ეს

გარდატეხა. შეგნებული მუშები უნდა დაგვეხმარონ განვახორციელოთ ასეთივე გარდატეხა სურსათისა და რკინიგზის საქმეშიც. საჭიროა, რათა ყოველი რკინიგზელი და სურსათის დარგის ყოველი მუშაკი თავის თავს უყურებდეს, როგორც თავის პოსტზე მდგომ ჯარისკაცს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ის აწარმოებს ომს შიმშილთან. მან უნდა უკუაგდოს საქმის გაჭიანურების ძველი ჩვეულებანი. დადგენილია, რომ ამ დღეებში შეიქმნას მუშათა სასურსათო ინსპექცია. ჩვენ ვამბობთ, — რათა გარდატეხა მოხდეს რკინიგზის აპარატში, რათა იგი გადაიქცეს თავისებურ წითელ არმიად, — საჭიროა მუშების მონაწილეობა. შემოიკრიბეთ თქვენი ადამიანები. მოაწყვეთ კურსები, ასწავლეთ მათ, დააყენეთ ისინი კომისრებად. მხოლოდ ისინი, თუ მოგვცემენ თავიანთ მუშაკებს, მხოლოდ ისინი მიაღწევენ იმას, რომ ძველ მოხელეთა არმიიდან ჩვენ მივიღებთ სურსათის საქმეში თავისებურ წითელ სოციალისტურ არმიას, რომელსაც უხელმძღვანელებენ მუშები და რომელიც იმუშავებს არა ჯოხის შიშით, არამედ კეთილი ნებით, ისე როგორც ფრონტზე მუშაობენ და კვდებიან წითელი ოფიცრები, რომლებმაც იციან, რომ ისინი სოციალისტური რესპუბლიკისათვის სდებენ თავს.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა
1918 წ. 18 დეკემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 275

მთლიანად იბეჭდება პირველად

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

დეპეშა სამარის ოლქის უკრაინელებს

სამარა, გუბერნიის სამხედრო კომისარს
სამარის ოლქის უკრაინელებისათვის

საჭიროდ მიგვაჩნია გაუწყოთ სამარის ოლქის უკრაინელთა დეპეშის პასუხად, რომ უკრაინელ მოხალისეთა მოზღვავებისა და თვით უკრაინაში მობილიზებულთა სიმრავლის გამო, რომელთაც საჭურველი ჯერ კიდევ არ მიუღიათ, უკრაინის მუშურ-გლეხურ მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია რუსეთში მყოფ უკრაინელთაგან ნაწილების შედგენა და მათი უკრაინაში გაგზავნა. გაუწყებთ რა ამას, სახკომსაბჭოს სახელით წინადადებას გაძლევთ შეწყვიტოთ უკრაინელთა ნაწილების გაგზავნა უკრაინაში.

ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 16 ან 17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1942 წელს

იბეჭდება ტელეგრაფის
ბლანკის ტექსტის
მიხედვით

«დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ

ბერლინის «წითელი დროშისა» და გერმანული ავსტრიის კომუნისტური ორგანოს, ვენის «მოწოდების» (Weckruf) [130] რამდენიმე ნომერი, რამაც მოსკოვამდე მოაღწია, გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის გამცემლებს, რომლებიც მხარს უჭერენ მტაცებელ-იმპერიალისტთა ომს, ყველა ამ შეიდემანებს და ებერტებს, აუსტერლიცებსა და რენერებს, ღირსეულ წინაამდეგობას უწევენ გერმანიისა და ავსტრიის რევოლუციური პროლეტარების ჭეშმარიტი წარმომადგენლები. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ორივე ორგანოს, რომლებიც III ინტერნაციონალის სიცოცხლისუნარიანობასა და ზრდას მოასწავებენ.

როგორც ჩანს, რევოლუციის მთავარ საკითხს გერმანიაშიც და ავსტრიაშიც ახლა წარმოადგენს საკითხი: დამფუძნებელი კრება თუ საბჭოების ძალაუფლება? გაკოტრებული II ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ყველანი შეიდემანიდან კაუცკამდე, პირველს უჭერენ მხარს და თავიანთ თვალსაზრისს უწოდებენ «დემოკრატიის» დაცვას (კაუცკი «წმინდა დემოკრატიაზეც» კი ლაპარაკობს) დიქტატურის საპირისპიროდ. კაუცკის შეხედულებანი მე დაწვრილებით გავარჩიე ბროშურაში: «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», რომელიც ახლახან გამოვიდა მოსკოვსა და პეტროგრადში. შევეცდები მოკლედ გადმოვცე იმ სადავო საკითხის არსი, რომელიც ახლა პრაქტიკულად დადგა დღის წესრიგში ყველა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

შეიდემანები და კაუცკები «წმინდა დემოკრატიაზე» ან «დემოკრატიაზე» საერთოდ ლაპარაკობენ იმიტომ, რომ მოატყუონ ძასები და დაუმალონ მათ თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიული ხასიათი. დეე ბურჟუაზიამ განაგრძოს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატის შენარჩუნება თავის ხელში, დეე ერთმა მუჭა ექსპლოატატორებმა განაგრძონ წინანდელი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანით სარგებლობა! ბურჟუაზიას, თავისთავად ცხადია, უყვარს ასეთ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს უწოდოს «თავისუფალი», «თანასწორი», «დემოკრატიული», «საყოველთაო-სახალხო» არჩევნები, რადგან ეს სიტყვები ემსახურება სიმართლის დამალვას, იმის დამალვას, რომ საკუთრება წარმოების საშუალებებზე და პოლიტიკური ძალაუფლება ექსპლოატატორთა ხელში რჩება, რომ ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ექსპლოატირებულების, ე. ი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, ნამდვილ თავისუფლებაზე, ნამდვილ თანასწორობაზე. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი და აუცილებელია დაუმალოს ხალხს თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიული ხასიათი, დასახოს იგი დემოკრატიად საერთოდ ან «წმინდა დემოკრატიად», და შეიდემანები, აგრეთვე კაუცკები, ამას რომ იმეორებენ, სინამდვილეში სტოვებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან.

მარქსი და ენგელსი, როდესაც ისინი უკანასკნელად ერთად აწერდნენ ხელს «კომუნისტური მანიფესტის» წინასიტყვაობას (ეს იყო 1872 წელს), აუცილებლად თვლიდნენ განსაკუთრებით მიექციათ მუშების ყურადღება იმისათვის, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ (ე. ი. ბურჟუაზიულ) სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი მიზნებისათვის, რომ მან უნდა დაამსხვრიოს, დაამტვრიოს ეს მანქანა. რენეგატმა კაუცკიმ, დაწერა რა მთელი ბროშურა «პროლეტარიატის დიქტატურის» შესახებ, დაუმალა მუშებს ეს უმნიშვნელოვანესი მარქსისტული

ჭეშმარიტება, სრულიად დაამახინჯა მარქსიზმი, და გასაგებია, რომ ის ქება, რომლითაც ბატონი შეიდემანები და მათი კომპანია ამკობდნენ ამ ბროშურას, სავსებით დამსახურებული იყო, როგორც ბურჟუაზიის აგენტების მიერ იმის შექება, ვინც ბურჟუაზიის მხარეზე გადადის.

ლაპარაკი წმინდა დემოკრატიაზე, დემოკრატიაზე საერთოდ, თანასწორობაზე, თავისუფლებაზე, საყოველთაოხალხურობაზე, როდესაც მუშები და ყველა მშრომელნი მშიერნი, შიშველ-ტიტველნი, გაჩანაგებულნი, განაწამებნი არიან არა მარტო კაპიტალისტური დაქირავებული მონობით, არამედ 4 წლის მძარცველური ომითაც, ხოლო კაპიტალისტები და სპეკულანტები კვლავ ფლობენ თავიანთ ნაძარცვ «საკუთრებას» და სახელმწიფო ხელისუფლების «მზამზარეულ» აპარატს, — ეს ნიშნავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა აბუჩად აგდებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პირდაპირ გაილაშქრო მარქსიზმის ძირითად ჭეშმარიტებათა წინააღმდეგ, რომელიც ასწავლიდა მუშებს: თქვენ უნდა გამოიყენოთ ბურჟუაზიული დემოკრატია, როგორც უდიდესი ისტორიული პროგრესი ფეოდალიზმთან შედარებით, მაგრამ ერთი წუთითაც ნუ დაივიწყებთ ამ «დემოკრატიის» ბურჟუაზიულ ხასიათს, მის ისტორიულ პირობითობას და შეზღუდულობას, ნუ გაიზიარებთ «ცრურწმენას» «სახელმწიფოსადმი», ნუ დაივიწყებთ, რომ სახელმწიფო თვით ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც, და არა მარტო მონარქიის დროს, სხვა არა არის რა, თუ არა ერთი კლასის მიერ მეორის დათრგუნვის მანქანა.

ბურჟუაზია იძულებულია ითვალთმაქცოს და «საერთოსახალხო ხელისუფლება» ან საერთოდ დემოკრატია, ან წმინდა დემოკრატია უწოდოს (ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ) დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიის დიქტატურას, ექსპლოატატორთა დიქტატურას მშრომელ მასებზე. შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები (ახლა, სამწუხაროდ, ფრიდრიხ ადლერის დახმარებით) მხარს უჭერენ ამ სიცრუესა და ამ

თვალთმაქცობას. ხოლო მარქსისტები, კომუნისტები, ამხელენ მას და პირდაპირსა და აშკარა სიმართლეს ეუბნებიან მუშებსა და მშრომელ მასებს: დემოკრატიული რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება, საყოველთაო-სახალხო არჩევნები და სხვა ნამდვილად არის ბურჟუაზიის დიქტატურა, და კაპიტალისაგან შრომის გასათავისუფლებლად არ არსებობს სხვა გზა, თუ არა ამ დიქტატურის შეცვლა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი თ. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას ძალუძს გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატიის, მ დ ი დ რ ე ბ ი ს ამ დემოკრატიის სიცრუისა, სიყალბისა და თვალთმაქცობისაგან, მხოლოდ მას ძალუძს დაამყაროს დემოკრატია ღ ა რ ი ბ თ ა თ ვ ი ს, ე. ი. დემოკრატიის სიკეთენი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მისაწვდომი გახადოს მუშებისა და უღარიბესი გლეხებისათვის, მაშინ როდესაც ახლა (თვით ყველაზე დემოკრატიული — ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი — რესპუბლიკის დროს) დემოკრატიის ეს სიკეთენი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მიუწვდომელია მშრომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის.

ავიღოთ, მაგალითად, კრებების თავისუფლება და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები არწმუნებენ მუშებს, დამფუძნებელი კრების ახლანდელი არჩევნები გერმანიასა და ავსტრიაში «დემოკრატიულად» ხდებაო. ეს სიცრუეა, რადგან ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კაპიტალისტებს, ექსპლოატატორებს, მემამულეებს, სპეკულანტებს ხელთ უპყრიათ კრებებისათვის გამოსადეგ, საუკეთესო შენობათა $^{9}/_{10}$ და ქაღალდის მარაგის, სტამბების და სხვათა $^{9}/_{10}$. მუშა ქალაქად, მოჯამაგირე და დღიური მუშა სოფლად ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ჩამოცილებული არიან დემოკრატიისაგან როგორც ამ «საკუთრების წმიდათა წმიდა უფლების» წყალობით (რომელსაც იცავენ ბატონები კაუცკები და რენერები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ფრიდრიხ ადლერიც მიემხრო), ისე სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატის, ე. ი. ბურჟუაზიული მოხელეების, ბურჟუაზიული მოსამართლეების და

სხვათა მიერ. ახლანდელი «კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» გერმანიის «დემოკრატიულ» (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) რესპუბლიკაში სიცრუე და თვალთმაქცობაა, რადგან სინამდვილეში ეს არის თავისუფლება მდიდრებისათვის — იყიდონ და მოისყიდონ პრესა, არის თავისუფლება მდიდრებისა — გააბრუონ ხალხი ბურჟუაზიული საგაზეთო სიცრუის რახით, თავისუფლება მდიდრებისა — თავიანთ «საკუთრებად» იქონიონ მემამულეთა სახლები, საუკეთესო შენობები და სხვ.. პროლეტარიატის დიქტატურა ჩამოართმევს კაპიტალისტებს მშრომელთა სასარგებლოდ მემამულეთა სახლებს, საუკეთესო შენობებს, სტამბებს, ქაღალდის საწყობებს.

ეს იქნება «საყოველთაო-სახალხო», «წმინდა» დემოკრატიის შეცვლა «ერთი კლასის დიქტატურითო», — გოდებენ შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები (თავიანთ საზღვარგარეთელ თანამოაზრეებთან, ჰომპერსებთან, ჰენდერსონებთან, რენოდელებთან, ვანდერველდეებთან და მათ კომპანიასთან ერთად).

მართალი არ არის — ვუპასუხებთ ჩვენ. ეს იქნება ბურჟუაზიის ფაქტიური დიქტატურის (რა დიქტატურასაც თვალთმაქცურად ფარავს დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფორმები) შეცვლა პროლეტარიატის დიქტატურით. ეს იქნება შეცვლა დემოკრატიისა მდიდრებისათვის დემოკრატიით ღარიბთათვის. ეს იქნება შეცვლა კრებებისა და პრესის თავისუფლებისა უმცირესობისათვის, ექსპლოატატორებისათვის, კრებებისა და პრესის თავისუფლებით მოსახლეობის უმრავლესობისათვის, მშრომელებისათვის. ეს იქნება დემოკრატიის უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული გაფართოება, მისი გადაქცევა სიცრუიდან სიმართლედ, კაცობრიობის განთავისუფლება კაპიტალის ბორკილებისაგან, რომელიც ამახინჯებს და კვეცავს ყოველგვარ, თვით ყველაზე «დემოკრატიულ» და რესპუბლიკურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ეს იქნება ბურჟუაზიული სახელმწიფოს შეცვლა პროლეტარული სახელმწიფოთი, რა

შეცვლაც ერთადერთი გზაა საერთოდ სახელმწიფოს კვდომისაკენ.

რატომ არ შეიძლება ასეთი მიზნის მიღწევა ერთი კლასის დიქტატურის გარეშე? რატომ არ შეიძლება «წმინდა» დემოკრატიაზე პირდაპირ გადასვლა? გვეკითხებიან ბურჟუაზიის თვალთმაქცი მეგობრები ან მის მიერ გაბრიყვებული გულუბრყვილო კლაინბიურგერები და ფილისტერები.

ჩვენ ვუპასუხებთ: იმიტომ, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ან ბურჟუაზიას, ან პროლეტარიატს, ხოლო წვრილი მეპატრონენი გარდუვალად რჩებიან მერყევნი, უძლურნი, ბრიყვი მეოცნებენი «წმინდა», ე. ი. გარეკლასობრივ ან ზეკლასობრივ დემოკრატიაზე. იმიტომ, რომ იმ საზოგადოებიდან, სადაც ერთი კლასი მეორეს ჩაგრავს, არ შეიძლება სხვანაირად გამოსვლა, თუ არა ჩაგრული კლასის დიქტატურის საშუალებით. იმიტომ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვება, მისი დამხობა ძალუძს მხოლოდ პროლეტარიატს, რადგან ის არის ერთადერთი კლასი, რომელიც გაერთიანებული და «გაწვრთნილია» კაპიტალიზმის მიერ და რომელსაც ძალუძს თან გაიყოლიოს წვრილბურჟუაზიულად მცხოვრებ მშრომელთა მერყევი მასა, — თან გაიყოლიოს ან ყოველ შემთხვევაში «გაანეიტრალოს» იგი. იმიტომ, რომ მხოლოდ ენატკბილ მეშჩანებსა და ფილისტერებს შეუძლიათ იოცნებონ კაპიტალის უღლის დამხრბაზე ექსპლოატატორთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს ხანგრძლივი და ძნელი დ ა თ რ გ უ ნ ვ ი ს გარეშე და ამ ოცნებით ატყუონ თავიანთი თავიც და მუშებიც. გერმანიასა და ავსტრიაში ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ აშკარად არ გაშლილა, რადგან ჯერ კიდევ არ დაწყებულა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ეს წინააღმდეგობა გააფთრებული, გაშმაგებული იქნება, როცა ასეთი ექსპროპრიაცია ღაიწყება. როდესაც შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები ამას უმალავენ თავიანთ თავსა და მუშებს, ამით ისინი ღალატობენ პროლეტარიატის ინტერესებს, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში გადადიან კლასობრივი

ბრძოლისა და ბურჟუაზიის უღლის დამხობის პოზიციიდან ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის შეთანხმების პოზიციაზე, «სოციალური ზავის» ანუ ექსპლოატირებულებთან ექსპლოატატორების შერიგების პოზიციაზე.

რევოლუციები ისტორიის ლოკომოტივებიაო, — ამბობდა მარქსი [131]. რევოლუციები სწრაფად გვასწავლიან. გერმანიისა და ავსტრიის ქალაქის მუშები, სოფლის მოჯამაგირენი მალე მიხვდებიან, რომ შეიდემანებმა და კაუცკებმა, აუსტერლიცებმა და რენერებმა უღალატეს სოციალიზმის საქმეს. პროლეტარიატი შორს გადაისვრის ამ «სოციალ-გამცემლებს», სიტყვით სოციალისტებს, საქმით კი სოციალიზმის მოღალატეებს, როგორც გადაისროლა მან რუსეთში ასეთივე წვრილი ბურჟუები და ფილისტერები, მენშევიკები და «სოციალისტ-რევოლუციონერები». პროლეტარიატი დაინახავს, — მით უფრო მალე, რაც უფრო სრული იქნება ხსენებული «ბელადების» ბატონობა, — რომ მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს, თვით ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკაც რომ იყოს იგი, — პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოთი (რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდა მარქსი, რომელიც დაამახინჯეს და გასცეს შეიდემანებმა და კაუცკებმა), ან საბჭოების ტიპის სახელმწიფოთი შეცვლას ძალუძს გაუხსნას გზა სოციალიზმს. პროლეტარიატის დიქტატურა იხსნის კაცობრიობას კაპიტალის უღლისაგან და ომებისაგან.

მოსკოვი, 23. XII. 1918.

«პრავდა» № 2, 1919 წ. 3 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პრესნიას მუშების გმირობა

ცამეტი წლის წინათ მოსკოვის პროლეტარებმა აღმართეს ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების დროშა. ეს იყო ცარიზმის წინააღმდეგ პირველი მუშათა რევოლუციის განვითარების უმაღლესი პუნქტი. მუშები დამარცხდნენ, და პრესნია მუშათა სისხლით შეიღება.

მოსკოვის მუშების დაუვიწყარმა გმირობამ ბრძოლის ნიმუში მისცა რუსეთის მთელ მშრომელ მასებს. მაგრამ ეს მასები მაშინ ჯერ კიდევ ძალიან განუვითარებელნი, ძალიან დაქსაქსულნი იყვნენ, და მათ მხარი არ დაუჭირეს პრესნიას და მოსკოვის გმირებს, რომლებიც შეიარაღებულნი აღდგნენ მეფის, მემამულეების მონარქიის წინააღმდეგ.

მოსკოველი მუშების დამარცხებას მთელი პირველი რევოლუციის დამარცხება მოჰყვა. ყოვლად ველური მემამულური რეაქცია თორმეტი ხანგრძლივი, მტანჯველი წლის განმავლობაში სჯიჯგნიდა რუსეთის ყველა ხალხთა ყველა მუშასა და გლეხს.

პრესნიას მუშების გმირობა ამაოდ არ დაკარგულა. მათი მსხვერპლი ტყუილუბრალოდ არ ყოფილა მიტანილი. მეფის მონარქია პირველად იქნა შენგრეული, და ეს ნგრევა ნელა, მაგრამ განუხრელად მატულობდა და ასუსტებდა ძველ, შუასაუკუნეობრივ წესწყობილებას. ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასებში მოსკოველი მუშების გმირობამ ღრმა მღელვარება შეიტანა, რომლის კვალი, ყოველგვარი დევნის მიუხედავად, უკვე არ ქრებოდა.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე რუსეთის ხალხს არ აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ ეწარმოებინა მასობრივი შეიარაღებული ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. დეკემბრის შემდეგ ეს უკვე სხვა ხალხი გახდა. ის გარდაიქმნა. ის ბრძოლაში მოინათლა. ის აჯანყებაში გამოიწრთო. მან მოამზადა მებრძოლთა რიგები, რომლებმაც გაიმარჯვეს 1917 წელს და რომლებიც ახლა, — ყოველგვარი წარმოუდგენელი სიძნელეების მიუხედავად, სძლევენ რა იმპერიალისტური ომით გამოწვეული შიმშილისა და ნგრევის ტანჯვას, — იცავენ სოციალიზმის მსოფლიო გამარჯვების საქმეს.

გაუმარჯოს წითელი პრესნიას მუშებს, მსოფლიო მუშათა რევოლუციის მოწინავე რაზმს!

«ბედნოტა» № 222, 1918 წ. 24 დეკემბერი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ბედნოტას» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე [132] 1918 წ. 25 დეკემბერს

(ო ვ ა ც ი ა.) ამხანაგებო! ნება მომეცით ვთქვა რამდენიმე სიტყვა უწინარეს ყოვლისა საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ იცით, რომ საერთაშორისო მდგომარეობის მთავარ საკითხს წარმოადგენს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალიზმის გამარჯვება და მისი ცდები — საბოლოოდ დაეუფლოს მთელ დედამიწას, უმთავრესად კი — დაღუპოს საბჭოთა რუსეთი.

თქვენ იცით, რომ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში არა მარტო დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა უმრავლესობა, არამედ რუსეთის ბურჟუაზიის ზოგიერთი ნაწილიც საქმეს იმნაირად უყურებდა, რომ ჩვენში ხდება ერთგვარი სოციალისტური ექსპერიმენტი, რომელსაც მსოფლიო თვალსაზრისით არ შეიძლება არსებითი და სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდესო. ბურჟუაზიის განსაკუთრებით თავხედსა და ბეც წარმომადგენლებს არა ერთხელ გამოუთქვამთ ის აზრი, რომ კომუნისტური ექსპერიმენტები რუსეთში გერმანიის იმპერიალიზმს, გარდა კმაყოფილებისა, სხვა ვერაფერს მოუტანენო. და, სამწუხაროდ, იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავს აბრმავებინებდნენ ამ გამოსვლებით, და, სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით აფასებდნენ ბრესტის ზავის წარმოუდგენლად მძიმე და წარმოუდგენლად ძალდატანებითს პირობებს. ვრსებითად რომ ითქვას,

ეს ადამიანები შეგნებულად და შეუგნებლად აღვივებდნენ კლასობრივ წვრილბურჟუაზიულ პატრიოტიზმს და მდგომარეობის გაუარესებას აფასებდნენ არა მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაზრისით, არა მოვლენების მსოფლიო მასშტაბით განვითარების თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისით, თითქოს გერმანიის იმპერიალიზმი წარმოადგენს მთავარ მტერს და თითქოს ეს ძალდატანებითი, არაჩვეულებრივად მძარცველური ზავი გერმანიის იმპერიალისტების ზეიმს წარმოადგენს.

მართლაც, თუ მაშინდელი დროის მოვლენებს რუსეთის მდგომარეობის თვალსაზრისით განვიხილავთ, უფრო დამღუპველი პირობები არც კი არის წარმოსადგენი. მაგრამ გერმანელი იმპერიალისტების დასკვნების უაზრობა გამოაშკარავდა რამდენიმე თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გერმანელები, იპყრობდნენ რა უკრაინას, ტრაბახობდნენ გერმანიის ბურჟუაზიის წინაშე, უფრო მეტად კი გერმანიის პროლეტარიატის წინაშე, რომ დადგა იმპერიალისტური პოლიტიკის ნაყოფის მომკის მომენტი, რომ უკრაინაში ვიშოვნით ყოველივეს, რაც კი გერმანიისათვის აუცილებელიაო. ეს იყო მოვლენათა მეტისმეტად წინდაუხედავი და ბეცი შეფასება.

მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მართალნი, ვინც მოვლენებს მსოფლიო რევოლუციის განვითარებაზე მათი გავლენის თვალსაზრისით განიხილავდა. სწორედ უკრაინის მაგალითმა, უკრაინისა, რომელმაც გაუგონარი ტანჯვა-წამება განიცადა, ამ მაგალითმა გვიჩვენა, რომ მოვლენათა ერთადერთი სწორი შეფასება იყო ის შეფასება, რომელიც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის შესწავლას, ყურადღებით დაკვირვებას ემყარებოდა: იმპერიალიზმი მოშთობილი აღმოჩნდა აუტანლად მძიმე პირობებში ჩაყენებული მშრომელი მასების მიერ. და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინის ეპიზოდი მსოფლიო რევოლუციის ზრდის პროცესის ერთ-ერთი რგოლი იყო.

გერმანელმა იმპერიალისტებმა გაცილებით ნაკლები მატერიალური დოვლათის მიღება შეძლეს უკრაინიდან, ვიდრე ვარაუდობდნენ. ამავე დროს ომის ამ გადაქცევამ აშკარად მძარცველურ ომად მთელი გერმანიის არმია მოშალა, ხოლო საბჭოთა რუსეთთან უშუალო ურთიერთობამ გერმანიის მშრომელი მასების ამ არმიაში შეიტანა ის რღვევა, რომელმაც თავი იჩინა რამდენიმე თვის შემდეგ. და ახლა, როდესაც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი კიდევ უფრო გათავხედდა და თავს თვლის მბრძანებლად, რომელსაც წინააღმდეგობას ვერავინ უწევს, ჩვენ თვალებს არ ვხუჭავთ იმ უაღრესად მძიმე მდგომარეობაზე, რომლის წინაშეც ჩვენ ვიმყოფებით. შეთანხმების სახელმწიფოებმა ახლა გადალახეს ბურჟუაზიისათვის შესაძლო პოლიტიკის ზღვარი და ისევე შესტოპეს, როგორც შესტოპეს გერმანელმა იმპერიალისტებმა 1918 წლის თებერვალსა და მარტში, როდესაც ისინი ბრესტის ზავს სდებდნენ. იგივე მიზეზი, რომელმაც გერმანიის იმპერიალიზმი დაღუპვამდე მიიყვანა, აშკარად ისახება ჩვენს წინაშე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მიმართაც. ამ უკანასკნელმა გერმანიას თავს მოახვია ზავის გაცილებით უფრო ცუდი, უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ის პირობები იყო, რომლებიც გერმანიამ ჩვენ თავს მოგვახვია ბრესტის ზავის დადების დროს. ამით ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა გადალახა ის ზღვარი, რომელიც შემდეგ სწორედ საბედისწერო აღმოჩნდება მისთვის. ამ ზღვარის იქით იმპერიალიზმი კარგავს იმედს — მორჩილებაში იყოლიოს მშრომელი მასები.

მიუხედავად იმ ხმაურისა, რაც შოვინისტებმა ატეხეს გამარჯვებისა და გერმანიის დანგრევის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ომი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ჩვენ უკვე ახლა გვაქვს საფრანგეთსა და ინგლისში მუშათა მოძრაობის მეტად ძლიერი ზრდის ნიშნები და იმ პოლიტიკოსთა პოზიციის შეცვლა, რომელნიც შოვინისტურ თვალსაზრისზე იდგნენ, ახლა კი თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ გამოდიან რუსეთის საქმეებში ჩარევის ცდის გამო. თუ ამას შევადარებთ ამ ბოლო დროს გაზეთებში მოთავსებულ

ცნობებს ინგლისელ-ამერიკელ ჯარისკაცთა დაძმობილების დაწყების შესახებ, თუ გავიხსენებთ, რომ იმპერიალისტური ჯარები შედგებიან მოქალაქეებისაგან, რომლებსაც ატყუებენ და ემუქრებიან, ჩვენ შეგვიძლია ვალიაროთ, რომ საბჭოთა რუსეთის ნიადაგი საკმაოდ მტკიცეა. ვითვალისწინებთ რა მსოფლიო ომისა და რევოლუციის ამ საერთო სურათს, ჩვენ სავსებით გულდამშვიდებულნი ვართ და აბსოლუტური რწმენით ვუყურებთ მომავალს და ვამბობთ: ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა იმდენად შესტოპა, რომ გადალახა მშვიდობის ყველა ზღვარი, რომელთა მიღწევაც შესაძლებელი იყო იმპერიალისტებისათვის, რომ მას სრული კრახი ემუქრება.

რევოლუციის ჩახშობა, ყველა ქვეყნის ხელში ჩაგდება და გაყოფა, — აი ამოცანები, რაც დაისახეს შეთანხმების სახელმწიფოებმა, რომლებიც განაგრძობენ იმპერიალისტურ ომს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი და ამერიკა გაცილებით უფრო განზე იდგნენ ომის საშინელებათაგან, ვიდრე გერმანია, რომ მათი დემოკრატიულად ორგანიზებული ბურჟუაზია გაცილებით უფრო შორსმჭვრეტელია, ვიდრე გერმანიის ბურჟუაზია, ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებს თავგზა აებნათ და ახლა ისინი ობიექტური პირობების გამო იძულებული არიან ხელი მოჰკიდონ ისეთ ამოცანას, რომელიც მათ ძალ-ღონეს აღემატება, იძულებული არიან იყოლიონ ჯარები დასამშვიდებლად და დასამორჩილებლად.

მაგრამ პირობები, რომლებშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, მოითხოვენ ჩვენი ძალების უაღრესად დაძაბვას. ახლაც ჩვენ ყოველ თვეს უფრო მეტად უნდა ვაფასებდეთ, ვიდრე წინანდელ ათ წელს, რადგან ჩვენ ასკეცად უფრო მეტ საქმეს ვაკეთებთ: ჩვენ არა მარტო ვიცავთ რუსეთის რესპუბლიკას, არამედ დიად საქმესაც ვაკეთებთ მსოფლიო პროლეტარიატისათვის. ჩვენ მოგვეთხოვება ძალების დიდი დაძაბვა, დიდი მუშაობა ორგანიზაციული გეგმის შესადგენად და საერთო ურთიერთობის შესამუშავებლად.

გადავდივარ რა ჩვენი უახლოესი ამოცანების საკითხზე, უნდა ვთქვა, რომ საფუძველი უკვე ჩაყრილია, და სახალხო მეურნეობის საბჭოების პირველ და მეორე ყრილობას შორის განვლილ პერიოდში მუშაობის ძირითადი ტიპი დაისახა. მრეწველობის, ნაციონალიზებული საწარმოების მართვის, მრეწველობის მთელი დარგების მართვის საერთო გეგმა შემუშავებულია და მკვიდრ საფუძველზეა დაყენებული პროფესიული კავშირების მონაწილეობით, ამასთან ყოველგვარი სინდიკალისტური, სეპარატისტული, კუთხური ცდების წინააღმდეგ, რომლებსაც საქმისათვის ზიანი მოაქვთ, ჩვენ მომავალშიც ისევე ვიბრძოლებთ, როგორც დღემდე ვიბრძოდით.

სამხედრო მდგომარეობა ჩვენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და მძიმე ამოცანებს გვაკისრებს. აუცილებელია კოლეგიური მმართველობა პროფესიული კავშირების მონაწილეობით. კოლეგიები აუცილებელია, მაგრამ კოლეგიური მმართველობა პრაქტიკული საქმის დაბრკოლებად არ უნდა გადაიქცეს. და როდესაც ახლა მე, კერძოდ, ვაკვირ**დებოდი,** თუ როგორ ახორციელებენ ეკონომიურ ამოცანებს ჩვენი საწარმოები, განსაკუთრებით გვხვდება თვალში, რომ ჩვენი მუშაობის აღმასრულებელი ნაწილი, რომელიც კოლეგიურ განხილვასთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ აფერხებს შესრულებას. ეს გადასვლა კოლეგიური შესრულებიდან პირად პასუხისმგებლობაზე შეადგენს სადღეისო ამოცანას.

სახალხო მეურნეობის საბჭოებისაგან, მთავარი კომიტეტებისა და ცენტრებისაგან ჩვენ უთუოდ მოვითხოვთ, რათა მმართველობის კოლეგიური სისტემა არ გამოიხატოს ლაყბობით, რეზოლუციების წერით, გეგმების შედგენითა და კუთხურობით. ეს დაუშვებელია. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რათა სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოველმა მუშაკმა, მთავარი კომიტეტის ყოველმა წევრმა იცოდეს, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის, ვიწრო აზრით, აგებს ის პასუხს. როდესაც ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ არის ნედლეული, მაგრამ ადამიანებმა არ იციან, რამდენია ნედლეული, რომ მათ ვერ

შეძლეს ამის გამორკვევა, როდესაც გვესმის გოდება, რომ საქონლის საწყობები დაკეტილია, ამავე დროს კი გლეხები მოითხოვენ საქონელგაცვლას, მოითხოვენ სამართლიანად და უარს ამბობენ მოგვცენ პური გაუფასურებულ ქაღალდის ფულში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ სახელდობრ რომელი კოლეგიური სამმართველოს რომელი წევრი აჭიანურებს საქმეს, და ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ეს წევრი საქმის გაჭიანურებისათვის პასუხს აგებს, პასუხს აგებს თავდაცვის თვალსაზრისით, ე. ი. დაუყოვნებლივ დაპატიმრებისა და სამხედრო გასამართლების თვალსაზრისით, თუნდაც ის უმნიშვნელოვანეს მთავარ კომიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირის წარმომადგენელი იყოს. ამ კაცმა პასუხი უნდა აგოს იმისათვის, თუ რამდენად პრაქტიკულად განხორციელებულია უმარტივესი, ელემენტარული წესი: პროდუქტების აღრიცხვა სამეურნეო საწყობებში და მათი სწორი გამოყენება. ჩვენში მეტწილად სწორედ ასეთი ელემენტარული ამოცანების შესრულება ფერხდება.

ისტორიული თვალსაზრისით ეს არავითარ შიშს არ იწვევს, რადგან ახალი და დღემდე უნახავი ფორმების მშენებლობაში განსაზღვრული დრო უნდა მოვანდომოთ იმას, რომ დავსახოთ ორგანიზაციის ზოგადი გეგმა, რომელიც მუშაობის პროცესში გაიშლება. პირიქით, უნდა გვიკვირდეს ის, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგში ასე მოკლე ხნის მანძილზე. მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით, სოციალისტური თვალსაზრისით, როდესაც პროლეტარიატი მოითხოვს ჩვენის მხრივ მაქსიმალური ენერგიის გამოჩენას, რომ პური და კურტაკი იყოს, რომ მუშები ნაკლებად განიცდიდნენ ფეხსაცმლის, პროდუქტების და სხვა მისთანათა ნაკლებობას, აუცილებელია ახლანდელთან შედარებით ერთისამად, ერთიათად გავადიდოთ საქონელგაცვლა. საქმის ეს მხარე სახალხო მეურნეობის საბჭოების უახლოეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ გვჭირდება პრაქტიკული მუშაობა ადამიანებისა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან იმისათვის, რომ პური გაიცვალოს პროდუქტებზე, რომ პური არ ჩაწვეს, რომ ყოველ

საწყობში ნედლეული არა მარტო აღრიცხული იყოს, არამედ აგრეთვე არ ჩაწვეს, რომ ნამდვილი დახმარება იყოს წარმოების დარგში.

რაც შეეხება კოოპერატივებს, მათაც საქმიანი მხრივ უნდა მივუდგეთ. როდესაც მე ვხედავ სახალხო მეურნეობის საბჭოების წევრებს, რომლებიც აცხადებენ, რომ კოოპერაცია სადუქნო საქმეა, რომ იქ არიან მენშევიკები, რომ იქ არიან თეთრგვარდიელები და ამიტომ მათგან რაც შეიძლება შორს უნდა ვიდგეთო, მე ვამტკიცებ, რომ ეს ადამიანები საქმის სრულ გაუგებლობას ამჟღავნებენ. მათ აბსოლუტურად არ ესმით მომენტის ამოცანა, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ მიგვითითონ გამოსადეგ კოოპერატორებზე, როგორც სპეციალისტებზე, მიგვითითებენ მათზე, როგორც ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ხელს უწვდიან თეთრგვარდიელებს. მე ვამტკიცებ, რომ ისინი თავიანთ საქმეს არ აკეთებენ: თეთრგვარდიელთა დასაჭერად ჩვენ გვყავს საგანგებო კომისიები, და სწორედ მათ უნდა მიენდოს აკეთონ თავიანთი საქმე. კოოპერატივები კი კაპიტალისტური საზოგადოების მიერ შექმნილი ერთადერთი აპარატია, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. ამიტომ ყოველ ცდას — შეცვალონ საქმე მსჯელობით, რომელიც სიბეცისა და მეტად ტლანქი გონებასიჩლუნგის, ინტელიგენტური თავმომწონეობის განსახიერებას წარმოადგენს, ჩვენ შევებრძოლებით ულმობელი რეპრესიებით სამხედრო მდგომარეობის თანახმად. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

თუ დღემდე, ერთი წლის შემდეგ, საქმე ისე არ არის მოგვარებული, როგორც საჭიროა, თუ იმ დროს, როცა ჩვენს წინაშე პრაქტიკული ამოცანები დგას, ჩვენ მაინც განვაგრძობთ გეგმების განხილვას, ქვეყანა კი მოითხოვს პურს, ქეჩის ფეხსაცმელს, ნედლეულის თავის დროზე განაწილებას, საქმის ამგვარი გაჭიანურება და სხვის დარგში შეჭრა შეუწყნარებელია.

ჩვენს აპარატში ზოგჯერ არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც თეთრგვარდიელებისკენ იხრებიან, მაგრამ, ყველა ჩვენს დაწესებულებაში კომუნისტური კონტროლის

არსებობისას, ეს ადამიანები პოლიტიკურ მნიშვნელობას და ხელმძღვანელ როლს ვერ მოიპოვებენ. ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ჩვენ კი ისინი გვესაჭიროება, როგორც პრაქტიკული მუშაკები, და მათი შიში არ უნდა გვქონდეს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ კომუნისტები საუცხოო ადამიანები არიან, მათ შორის ჩინებული ორგანიზატორები მოიპოვებიან, მაგრამ ეს ორგანიზატორები დიდი რაოდენობით რომ მივიღოთ, საჭიროა წლები და წლები, ჩვენ კი მოცდა არ შეგვიძლია.

ახლა ჩვენ ასეთი მუშაკები შეგვიძლია მივიღოთ ბურჟუაზიის წრიდან, სპეციალისტებისა და ინტელიგენციის წრიდან. და ჩვენ სახალხო მეურნეობის საბჭოში მომუშავე თვითეულ ამხანაგს შევეკითხებით: რა გააკეთეთ თქვენ, ბატონებო, იმისათვის, რომ ჩაგებათ მუშაობაში გამოცდილი ადამიანები, რა გააკეთეთ თქვენ იმისათვის, რომ მოგეზიდათ სპეციალისტები, რომ მოგეზიდათ ნოქრები, საქმიანი ბურჟუაზიული კოოპერატორები, რომლებიც თქვენთან სრულიადაც არ უნდა მუშაობდნენ უფრო ცუდად, ვიდრე ისინი მუშაობდნენ ვიღაც კოლუპაევებთან და რაზუვაევებთან? დროა ხელი ავიღოთ წინანდელ ცრურწმენაზე და ჩავაბათ ჩვენთვის საჭირო ყველა სპეციალისტი ჩვენს მუშაობაში. ეს უნდა იცოდეს ყველა ჩვენმა კოლეგიურმა სამმართველომ, ყველა ჩვენმა კომუნისტმა მუშაკმა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებაა ჩვენი წარმატების საწინდარი.

გვეყოფა ყოველგვარი ფუჭი ლაპარაკი, ახლა დადგა დრო გადავიდეთ პრაქტიკულ საქმეზე, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ჩვენი ქვეყანა იმ რკალიდან, რასაც მას გარს ავლებენ იმპერიალისტები. ამ თვალსაზრისზე უნდა იდგეს ყველა საბჭოთა, ყველა კოოპერაციული აპარატი. ჩვენ საქმე, საქმე უნდა ვაკეთოთ! თუ პროლეტარიატი, რომელმაც ხელთ აიღო ძალაუფლება, ვერ შეძლებს გამოიყენოს თავისი ძალაუფლება, ვერ შეძლებს პრაქტიკულად დასვას საკითხი და პრაქტიკულადვე გადაწყვიტოს იგი, ის ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს. დროა უკუვაგდოთ ის ცრურწმენა, თითქოს მხოლოდ კომუნისტებს, რომელთა შორის, უეჭველია, ძალიან

კარგი ადამიანებიც არიან, — მხოლოდ მათ შეეძლოთ გარკვეული სამუშაოს შესრულება. დროა უკუვაგდოთ ეს ცრურწმენა: ჩვენ გვესაჭიროება საქმის და საქმის მუშაკები, და ჩვენ ისინი ყველანი უნდა ჩავაბათ მუშაობაში.

კაპიტალიზმმა ჩვენ უზარმაზარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, დაგვიტოვა თავისი უდიდესი სპეციალისტები, რომლებიც ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და გამოვიყენოთ ფართო, მასობრივი მასშტაბით, ყველანი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ სრულიადაც არა გვცალია იმისათვის, რომ მოვანდომოთ დრო ჩვენი კომუნისტებიდან სპეციალისტების მომზადებას, რადგან ახლა მთელი საქმე პრაქტიკული მუშაობაა, პრაქტიკული შედეგებია.

საკითხი ისე უნდა დაისვას, რომ კოლეგიის თვითეულმა წევრმა, პასუხისმგებელი დაწესებულების თვითეულმა წევრმა ხელთ აიღოს საქმე და მთლიანად აგოს მისთვის პასუხი. აუცილებლად საჭიროა, რათა ყველამ, ვინც კი ხელთ აიღო გარკვეული დარგი, პასუხი აგოს ყველაფრისათვის: წარმოებისთვისაც და განაწილებისთვისაც. მე უნდა გითხრათ, ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა ისეთია, რომ, პურისა და სხვა პროდუქტების სწორად განაწილებისას, ჩვენ ძალიან და ძალიან დიდხანს შეგვიძლია გავძლოთ. მაგრამ ამისათვის აუცილებლად საჭიროა საქმის ყოველგვარი გაჭიანურების გადაჭრით უკუგდების სწორი პოლიტიკა, საჭიროა სწრაფად და გადაჭრით ვიმოქმედოთ, საჭიროა დავნიშნოთ გარკვეული პირნი გარკვეულ პასუხსაგებ სამუშაოზე, საჭიროა, რათა თვითეულმა ამ პირთაგანმა გარკვევით იცოდეს თავისი საქმე, გარკვევით აგოს პასუხი მისთვის, რათა ის პასუხისმგებელი იყოს თვით დახვრეტამდე. აი პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ სახკომსაბჭოშიც და თავდაცვის საბჭოშიც[133], და ამ პოლიტიკას უნდა დავუმორჩილოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და კოოპერატივების მთელი საქმიანობა. აი ის გზა, რომელსაც უნდა ადგეს პროლეტარიატის პოლიტიკა.

საჭიროა საკითხი ისე დავსვათ, რომ ჩვენში სწორად ბრუნავდეს საქონელგაცვლის ბორბალი. ეს არის ახლა მთელი

ამოცანა, ამ დარგში ჩვენ დიდი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი, და იმის დასასკვნელად, რასაც ახლა ვამბობ, ნებას მივცემ ჩემ თავს მოგიწოდოთ თქვენ ყველას ამ მუშაობისაკენ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია 1918 წ. 26 დეკემბერს სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 284

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1919 წელს წიგნში: «სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შრომები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

პროფკავშირთა ამოცანების შესახებ

I

ტომსკის, რადუს-ზენკოვიჩისა და ნოგინის თეზისები გამოხატავენ თვითეული — სათანადო «სპეციალობის», სახელდობრ პროფესიული კავშირების, კომისარიატისა და დამზღვევი სალაროების მქონე კოოპერატივების მოღვაწის თვალსაზრისს.

ამიტომ თეზისების თვითეულ ჯგუფს ის ნაკლი აქვს, რომ იგი ცალმხრივად ხაზს უსვამს საქმის ერთ-ერთ მხარეს და ჩრდილავს, ჩქმალავს ძირითად პრინციპულ საკითხებს.

თანამედროვე პროფესიული მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მისი დამოკიდებულების ამ პრინციპული საკითხების სწორად დასმა ყველაზე მეტად მოითხოვს იმას, რომ სწორად გავითვალისწინოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ახ ლ ა ნ დ ე ლ ი, მ ო ც ე მ უ ლ ი მომენტის თავისებურებანი.

საქმის ეს, ძირითადი, მხარე სამივე ავტორს არასაკმაოდ აქვს წამოყენებული ან თითქმის სულაც არ წამოუყენებია.

II

ახლანდელი მომენტის მთავარი თავისებურება აღნიშნული მხრივ შემდეგია:

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურამ, გაიმარჯვა ქალაქის პროლეტარულ მასებშიც და სოფლის უღარიბეს გლეხობაშიც, მაგრამ მას ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოუცავს კომუნისტური პროპაგანდითა და

მტკიცე ორგანიზაციით არც ყველა პროფესია, არც ნახევრادپროლეტარიატის მთელი მასა.

აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული, ახლანდელი მომენტისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა გაძლიერებული პროპაგანდისა და ორგანიზაციული მუშაობისა, ერთი მხრივ, იმ მიზნით, რომ გავავრცელოთ ჩვენი გავლენა მუშამოსამსახურეთა იმ ფენებზე, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არიან საბჭოთა ფენები (ე. ი. ყველაზე დაშორებული არიან საბჭოთა პლატფორმის სავსებით აღიარებას), დავუმორჩილოთ ეს ფენები პროლეტარიატის საერთო მოძრაობას; — ხოლო მეორე მხრივ, იმ მიზნით, რომ იდეურად ავამოძრაოთ და ავამაღლოთ, ორგანიზაციულად შევაკავშიროთ პროლეტარიატისა და ნახევრادپროლეტარიატის ყველაზე განუვითარებელი ფენები და ელემენტები, როგორიც არიან, მაგალითად, შავი მუშები, შემდეგ შინამოსამსახურენი ქალაქებში, ნახევრادپროლეტარები სოფლებში და სხვ.

შემდეგ, ახლანდელი მომენტის მეორე ძირითადი თავისებურება ის არის, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა ჩვენში უკვე შედგა რელსებზე, ე. ი. არა მარტო გამოირკვა როგორც დავალება და როგორც უახლოესი პრაქტიკული მიზანი, არამედ მან შექმნა ამ მშენებლობის მთელი რიგი უმთავრესი ორგანოებიც (მაგალითად, სახალხო მეურნეობის საბჭოები), შეიმუშავა მასობრივ ორგანიზაციებთან (პროფკავშირები, კოოპერატივები) მათი ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული პრაქტიკა, მოიპოვა გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება. მაგრამ, ამასთან ერთად, მშენებლობა ჯერ სრულიადაც არ არის დამთავრებული, არ არის დასრულებული, ნაკლი ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს, ყველაზე არსებითი ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი (მაგალითად, პურის სწორად შეგროვება და განაწილება, სათბობის წარმოება და განაწილება), მშრომელთა ფართო მასის მონაწილეობა ამ მშენებლობაში ჯერ კიდევ მეტისმეტად არასაკმარისია.

III

ახლანდელი მდგომარეობიდან გამომდინარეობს პროფესიულ კავშირთა შემდეგი ამოცანები მიმდინარე მომენტში.

პროფკავშირთა არავითარ «ნეიტრალობაზე» ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ნეიტრალობის ყოველგვარი პროპაგანდა ან კონტრრევოლუციურობის თვალთმაქცურ დაფარვას წარმოადგენს, ან სრული შეუგნებლობის გამოხატულებას.

ჩვენ ახლა საკმაოდ ძლიერნი ვართ პროფესიული მოძრაობის ძირითადი ბირთვის მხრივ, რომ შესაძლებლობა გვქონდეს დავუმორჩილოთ ჩვენს გავლენას და საერთო-პროლეტარულ დისციპლინას როგორც ჩამორჩენილი ან პასიური, არაკომუნისტური ელემენტები პროფკავშირების შიგნით, ისე მშრომელთა ის ფენებიც, რომლებიც ზოგიერთი მხრივ ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული რჩებიან.

ამიტომ ახლა მთავარი ამოცანაა არა ის, რომ გავტეხოთ ძლიერი მტრის წინააღმდეგობა, რადგან ასეთი მტერი საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის მასებს შორის ახლა უკვე არ არის, არამედ ის, რომ დაეძლიოთ შეუპოვარი, დაჟინებითი, უფრო ფართო საგანმანათლებლო და ორგანიზაციული მუშაობით პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის გარკვეული წვრილბურჟუაზიული ფენების ცრურწმენანი, განუხრელად გავაფართოოთ საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ არასაკმაოდ ფართო ბაზა (ე. ი. გავადიდოთ სახელმწიფოს მმართველობაში უშუალოდ მონაწილე მუშათა და უღარიბეს გლეხთა რიცხვი), გავათვითცნობიეროთ მშრომელთა ჩამორჩენილი ფენები (არა მარტო წიგნაკით, ლექციით, გაზეთით, არამედ მმართველობაში პრაქტიკული მონაწილეობით), გამოვნახოთ ა ხ ა ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი როგორც საერთოდ პროფესიული მოძრაობის ამ ახალი ამოცანებისათვის, ისე ნახევრადპროლეტარიატის, მაგალითად, უღარიბესი გლეხობის, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მასების მოსაზიდად.

მაგალითად, ჩავაბათ პროფკავშირთა წევრები უკლებლივ სახელმწიფო მმართველობის საქმიანობაში — კომისრობის მეშვეობით, კონტროლის მფრინავ ჯგუფებში მონაწილეობის მეშვეობით და ა. შ. და ა. შ. . ჩავაბათ შინამოსამსახურენი — ჯერ კოოპერატივების მუშაობაში, პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში, პროდუქტთა წარმოების; მეთვალყურეობაში და ა. შ., მერე — უფრო პასუხსაგებ და ნაკლებად «ვიწრო» მუშაობაში, — რა თქმა უნდა, აუცილებელი თანდათანობის დაცვით.

ჩავაბათ «სპეციალისტები» სახელმწიფო მუშაობაში მუშებთან ერთად და მეთვალყურეობა გავუწიოთ სპეციალისტებს.

გარდამავალი ფორმების გათვალისწინება ახალ ორგანიზაციულ ჩარჩოებს მოითხოვს. მაგალითად, ღარიბთა კომიტეტები სოფლად უზარმაზარ როლს ასრულებენ. არის საშიშროება, რომ საბჭოებთან მათ შეერთებას აქა-იქ მოჰყვება ნახევრად-პროლეტარიატის მასების დატოვება მუდმივი ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ. არ შეიძლება ხელი ავიღოთ სოფლად ღარიბთა დარაზმვის ამოცანებზე იმ საბაბით, რომ ისინი დაქირავებული მუშები არ არიან. შესაძლებელია და უნდა ვეძებოთ, ვეძებოთ და ვეძებოთ ახალი ფორმები, თუნდაც, მაგალითად, შევქმნათ ღარიბთა კავშირები (დეე იგივე ღარიბთა კომიტეტები), როგორც უღარიბესთა კავშირები, რომლებიც (α) დაინტერესებული არ არიან პურის სპეკულაციით და პურის მაღალი ფასებით, (β) ისწრაფვიან გაიუმჯობესონ ცხოვრება ყველასათვის საერთო ღონისძიებებით, (γ) ისწრაფვიან გააძლიერონ მიწის საზოგადოებრივი დამუშავება, (δ) ეძებენ მუდმივ კავშირს ქალაქის მუშებთან და სხვ.

სოფლის ღარიბთა ასეთ კავშირს შეეძლო შეედგინა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის საბჭოს ცალკე განყოფილება, რათა ამ კავშირმა ვერ შეძლოს სავსებით პროლეტარული ელემენტების დაძლევა. ფორმა შეიძლება შევცვალოთ და იგი უნდა ვეძიოთ პრაქტიკასთან, იმ ახალ

ამოცანასთან შეფარდებით, რომ მოვიცვათ ახალი, გარდამავალი სოციალური ტიპები (სოფლის ღარიბნი არ შეადგენენ პროლეტარიატს, ახლა ნახევრადპროლეტარიატსაც კი, არამედ ი მ ა თ, ვინც ყველაზე ახლოს დგას ნახევრადპროლეტარიატთან, რამდენადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, და ამავე დროს ეს ი ს ი ნ ი არიან, ვ ი ნ ც ყველაზე მეტი თანაგრძნობით ეკიდება სოციალიზმზე გადასვლას)... *

დაწერილია 1918 წ. დეკემბერში —
1919 წ. იანვარში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ხელნაწერი აქ წყდება. რ ე დ.

პატარა სურათი
დიდი საკითხების გამოსარკვევად

ამხანაგმა სოსნოვსკიმ, «ბედნოტას»[134] რედაქტორმა, შესანიშნავი წიგნი მომიტანა. ეს წიგნი რაც შეიძლება მეტ მუშასა და გლეხს უნდა გავაცნოთ. ამ წიგნიდან სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე უნდა გამოვიტანოთ ფრიად სერიოზული გაკვეთილები, რომლებიც საუცხოოდ განმარტებულია ცოცხალი მაგალითებით. ეს არის ამხანაგ ალექსანდრე ტოდორსკის წიგნი: «ერთი წელი შაშხანითა და გუთნით», გამოცემული ქალაქ ვესეგონსკში იქაური სამაზრო აღმასკომის მიერ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის გამო.

ავტორი აგვიწერს ვესეგონსკის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობის ხელმძღვანელთა მოღვაწეობის ერთი წლის გამოცდილებას, — ჯერ სამოქალაქო ომს, ადგილობრივი კულაკების აჯანყებას და მის ჩახშობას, შემდეგ «ცხოვრების მშვიდობიან მშენებლობას». მივარდნილ მაზრაში რევოლუციის მსვლელობის აღწერა ავტორს ისეთი მარტივი და ამასთან ერთად ისეთი ცოცხალი გამოუვიდა, რომ მისი შინაარსის გადმოცემა მხოლოდ შეასუსტებდა შთაბეჭდილებას. რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ ეს წიგნი და ვისურვოთ, რათა მასაში და მასასთან მომუშავე, ნამდვილი ცხოვრების შიგ შუაგულში

მოქმედ მუშაკთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მოჰკიდოს ხელი თავისი გამოცდილების აღწერას. რამდენიმე ასეული ან თუნდაც რამდენიმე ათეული საუკეთესო, უაღრესად მარ-თალი, მეტად სადა, საგულისხმო ფაქტიური შინაარსით მეტად მდიდარი ასეთი აღწერის გამოცემა შეუდარებლად უფრო სასარგებლო იქნებოდა სოციალიზმის საქმისათვის, ვიდრე ბევრი საგაზეთო თუ საჟურნალო ნაშრომი და წიგნი გაწაფული ლიტერატორებისა, რომლებიც ძალიან ხშირად ქაღალდის იქით ცხოვრებას ვერ ხედავენ.

ავიღებ ერთ პატარა მაგალითს ამხ. ა. ტოდორსკის ნაამ-ბობიდან. საქმე ეხებოდა იმას, რომ «უმუშევრად» არ დაე-ტოვებინათ «ვაჭრები», არამედ აეძულებინათ ისინი «ხელი მოეკიდათ მუშაობისათვის».

...«ამ მიზნით აღმასკომში დაბარებულ იქნა სამი ახალგაზრდა, ენერ-გიული და განსაკუთრებით საქმიანი მრეწველი, ე. ე. ეფრემოვი, ა. კ. ლო-გინოვი, ნ. მ. კოზლოვი, და თავისუფლების აღკვეთისა და მთელი ქონების კონფისკაციის დამუქრებით ჩაბმული იქნენ ხე-ტყის სახერხი და ქრომის (ტყავეულის) ქარხნების შექმნაში, რომელთა მოწყობაც მაშინვე იქნა და-წყებული.

საბჭოთა ხელისუფლება არ შემცდარა მუშაკთა არჩევაში, მრეწველები კი, მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, თითქმის პირველნი მიხვდნენ, რომ საქმე აქვთ არა «ორი კვირის შემთხვევით სტუმრებთან», არამედ ნამ-დვილ პატრონებთან, რომლებმაც ძალაუფლება მტკიცე ხელში აიღეს.

რაკი ეს სავსებით სწორად გაიგეს, მათ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი აღმასკომის განკარგულებათა შესრულებას, და ახლა უკვე ვესეგონსკს აქვს მთლიანად გამართული ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც მომსა-ხურებას უწევს ადგილობრივი მოსახლეობის მთელ მოთხოვნილებას და ასრულებს ახლადასაშენებელი რკინიგზის დაკვეთებს.

რაც შეეხება ქრომის გამომქნელ ქარხანას, ახლა გაწყობილია შენობა და იდგმება მოსკოვიდან მოტანილი ძრავი, ბორბლები და სხვა მანქანები, და, სულ ბევრი, 1½ — 2 თვის შემდეგ ვესეგონსკს ექნება საკუთარი წარ-მოების ქრომის ტყავი.

ორი საბჭოთა ქარხნის მოწყობა «არასაბჭოთა» ხელით კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ჩვენდამი მტრულ კლასს.

ეს ჯერ კიდევ ნახევარი საქმეა, თუ ჩვენ დავცხებთ ექსპლოატატორებს, უვნებელს გავხდით მათ ან «ბოლოს მოვუღებთ». საქმე წარმატებით

შესრულდება მაშინ, თუ ჩვენ ვაიძულებთ მათ იმუშაონ, და მათ მიერ შესრულებული საქმით ხელს შევუწყობთ ახალი ცხოვრების გაუმჯობესებას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას».

კარგი იქნებოდა, რომ ეს საუცხოო და სავსებით სწორი მსჯელობა ამოეჭრათ დაფებზე და გამოეფინათ სახალხო მეურნეობის თვითეულ საბჭოში, სასურსათო ორგანოში, ყოველ ქარხანაში, საადგილმამულო განყოფილებაში და ასე შემდეგ. ვინაიდან ის, რაც გაიგეს მივარდნილ ვესეგონსკში მომუშავე ამხანაგებმა, ძალიან ხშირად დაჟინებით არ სურთ გაიგონ დედაქალაქების საბჭოთა მუშაკებმა. იშვიათი არ არის შეხვდეთ საბჭოთა ინტელიგენტს ან მუშას, კომუნისტს, რომელიც ათვალწუნებით ცხვირს მაღლა სწევს კოოპერაციის ხსენებისას და ფრიად დიდი მედიდურობით — და ასევე დიდი სიბრიყვით — აცხადებს, რომ ეს საბჭოთა ხელი არ არის, რომ ესენი ბურჟუები, მედუქნეები, მენშევიკები არიან, რომ აი ამ დროს და ამ ადგილას კოოპერატორებმა თავისი ფინანსური ბრუნვით ფარულად დახმარება გაუწიეს თეთრგვარდიელებს, რომ მომარაგებისა და განაწილების აპარატს ჩვენს სოციალისტურ რესპუბლიკაში სუფთა საბჭოთა ხელები უნდა ქმნიდნენო.

ამგვარი მსჯელობა ტიპიურია იმ მხრივ, რომ ჭეშმარიტება აქ არეულია სიცრუეში ისე, რომ გამოდის კომუნიზმის ამოცანების ფრიად საშიში დამახინჯება, რომელსაც უამრავი ზიანი მოაქვს ჩვენი საქმისათვის.

დიახ, კოოპერაცია არის ბურჟუაზიული საზოგადოების აპარატი, რომელიც შეიქმნა «მედუქნეობის» ატმოსფეროში, რომელმაც აღზარდა ხელმძღვანელები ბურჟუაზიული პოლიტიკისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით, რომელიც ამიტომ იძლევა თეთრგვარდიელთა ან თეთრგვარდიელობის ხელშემწყობთა მაღალ პროცენტს. ეს უდავოა. მაგრამ ცუდია ის, როდესაც უდავო ჭეშმარიტებიდან მისი გამარტივებისა და ტლანქად გამოყენების გზით იწყებენ უაზრო დასკვნების გამოყვანას. ჩვენ არ შეგვიძლია ავაშენოთ კომუნიზმი სხვანაირად, თუ არა იმ მასალებისაგან,

რომლებიც კაპიტალიზმმა შექმნა, სხვანაირად, თუ არა იმ კულტურული აპარატისაგან, რომელიც აღზრდილია ბურჟუაზიული ვითარებით და ამიტომ გარდუვალად გაჟღენთილია — რაკი საქმე ეხება ადამიანთა მასალას, როგორც კულტურული აპარატის ნაწილს — ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით. ეს არის კომუნისტური საზოგადოების აშენების სიძნელე, მაგრამ ესევეა მისი აშენების შესაძლებლობისა და წარმატების გარანტია. მარქსიზმი სწორედ იმით განსხვავდება ძველი უტოპიური სოციალიზმისაგან, რომ ამ უკანასკნელს სურდა აეშენებინა ახალი საზოგადოება ადამიანთა მასალის არა იმ მასობრივი წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ქმნის პირსისხლიანი, ბინძური, მძარცველური, მედუქნური კაპიტალიზმი, არამედ განსაკუთრებულ სათბურებში გამოზრდილი განსაკუთრებით კეთილი ადამიანებისაგან. ეს სასაცილო აზრი ახლა ყველასათვის სასაცილოა და ყველას მიერ მიტოვებულია, მაგრამ ყველას როდი სურს ან როდი შეუძლია გაიაზროს ამის საწინააღმდეგო მარქსიზმის მოძღვრება, გაიაზროს, თუ როგორ შეიძლება (და უნდა) ვაშენოთ კომუნიზმი ადამიანთა მასობრივი მასალისაგან, რომელიც გაფუჭებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მონობით, ბატონყმობით, კაპიტალიზმით, წვრილი დაქუცმაცებული მეურნეობრიობით, ყველას ომით ყველას წინააღმდეგ ბაზარზე ადგილისათვის, პროდუქტის ან შრომის უფრო მაღალი ფასისათვის.

კოოპერაცია ბურჟუაზიული აპარატია. აქედან გამომდინარეობს, რომ ის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ნდობის ღირსი არ არის, მაგრამ სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ დასაშვებია ხელი ავიღოთ იმ ამოცანაზე, რომ გამოვიყენოთ იგი მმართველობისა და მშენებლობის მიზნებისათვის. პოლიტიკური უნდობლობიდან გამომდინარეობს ის, რომ არ შეიძლება არასაბჭოთა ადამიანებს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ პასუხსაგები პოსტები ჩავაბაროთ. პოლიტიკური უნდობლობიდან გამომდინარეობს ის, რომ უაღრესი ყურადღებით ვადევნოთ თვალყური იმ კლასების, ფენების ან ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც თეთრგვარდიელობას ეტანებიან. (ამასთან,

ფრჩხილებში ვიტყვით, სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთ სისულელემდე მისვლა, როგორიც დაწერა ყაზანის ჟურნალ «კრასნი ტერორში» ამხანაგმა ლაცისმა, ერთ-ერთმა საუკეთესო, ნაცადმა კომუნისტმა, რომელსაც უნდოდა ეთქვა, რომ წითელი ტერორი არის ძალდატანებითი დათრგუნვა ექსპლოატატორებისა, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ თავიანთი ბატონობა, ხოლო ამის ნაცვლად თავისი ჟურნალის № 1-ში მე-2 გვერდზე დაწერა: «ნუ ეძებთ (!!?) საქმეში გამამტყუნებელ საბუთს, აჯანყდა თუ არა ის საბჭოს წინააღმდეგ იარაღით ან სიტყვითო»).

პოლიტიკური უნდობლობა ბურჟუაზიული აპარატის წარმომადგენლებისადმი კანონიერია და აუცილებელი. მმართველობისა და მშენებლობის საქმისათვის მათ გამოყენებაზე უარისთქმა უდიდესი სისულელეა, რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს კომუნიზმისათვის. ვინც მოისურვებდა და რეკომენდაციას გაუწევდა მენშევიკს, როგორც სოციალისტს ან როგორც პოლიტიკურ ხელმძღვანელს ან როგორც პოლიტიკურ მრჩეველსაც კი, ის უზარმაზარ შეცდომას ჩაიდენდა, ვინაიდან რუსეთის რევოლუციის ისტორიამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მენშევიკები (და სოციალისტ-რევოლუციონერები) არიან არა სოციალისტები, არამედ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებსაც ემარჯვებათ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ბრძოლის ყოველი სერიოზული გამწვავების დროს ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს მხარეზე დადგნენ. მაგრამ წვრილბურჟუაზიული დემოკრატია როდია შემთხვევითი პოლიტიკური მოვლენა, როდია რაღაც გამონაკლისი, არამედ კაპიტალიზმის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი პროდუქტია, ამასთან არა მარტო ძველი, წინაკაპიტალისტური, ეკონომიურად რეაქციული საშუალო გლეხობა წარმოადგენს ამ დემოკრატიის «მიმწოდებელს», არამედ კულტურულ-კაპიტალისტური, მსხვილი კაპიტალიზმის ნიადაგზე წარმოშობილი კოოპერაცია, ინტელიგენცია და ა. შ.. ჩამორჩენილ რუსეთშიც კი კოლუპაევებისა და რაზუვაევების გვერდით ხომ გაჩნდნენ კაპიტალისტები, რომლებსაც უნარი შესწევდათ

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 17 იანვარს [136]

(მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა.) ამხანაგებო, ნება მომეცით დავიწყო მოკლე მითითებით იმაზე, თუ რა მთავარი ფაქტები განიცადა ჩვენმა სასურსათო პოლიტიკამ. ვფიქრობ, ეს მოკლე მითითებანი სასარგებლო იქნება არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენ სწორად შევაფასოთ იმ დადგენილების მნიშვნელობა, რომლის მიღების წინადადებასაც ჩვენ დღეს ვაყენებთ სრულიად რუსეთის ცაკის წინაშე, არამედ აგრეთვე სასარგებლო იქნება მთელი ჩვენი სასურსათო პოლიტიკისათვის საერთოდ და იმ როლის შეფასებისათვის, რომელიც ახლა, როდესაც ძნელი შემობრუნება იწყება, წილად ხვდება ორგანიზებული პროლეტარიატის — საბჭოთა რუსეთისა და სოციალისტური რევოლუციის ამ ავანგარდისა და მთავარი დასაყრდენის — წარმომადგენლებს.

ამხანაგებო, ჩვენი სასურსათო პოლიტიკა ხასიათდება სამი მთავარი აქტით, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამგვარად გვევლინება: პირველი აქტი — დადგენილება ღარიბთა კომიტეტების შექმნის შესახებ, ეს არის ნაბიჯი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სასურსათო პოლიტიკის მთელ საფუძველს და ამასთან ერთად უზარმაზარი მნიშვნელობის გარდატეხის პუნქტს ჩვენი რევოლუციის განვითარების მთელ მსვლელობასა და წყობილებაში. ამ ნაბიჯით ჩვენ გადავლახეთ ის ზღვარი, რომლითაც იყოფა ბურჟუაზიული რევოლუცია სოციალისტურისაგან, ვინაიდან მარტოოდენ მუშათა კლასის გამარჯვება ქალაქად და

მარტოოდენ ყველა ფაბრიკის გადასვლა პროლეტარული სახელმწიფოს ხელში, ყოველივე ეს ვერ შეძლებდა განემტკიცებინა და შეექმნა სოციალისტური წესწყობილების საფუძვლები, სოფლადაც რომ არ შეგვექმნა აგრეთვე არა საერთო-გლეხური, არამედ ნამდვილად პროლეტარული დასაყრდენი. ოქტომბერში ჩვენ უნდა დავჯერებოდით იმას, რომ ვაერთიანებდით პროლეტარიატს გლეხებთან მთლიანად და საერთოდ, და ასეთი კავშირის მეოხებით შესაძლებლობა მივიღეთ სწრაფად მოგვესპო მემამულური მიწათმფლობელობა და აღგვეგავა იგი პირისაგან მიწისა. მაგრამ როდესაც ჩვენ გადავედით უღარიბესი გლეხობის, გლეხური პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ორგანიზებაზე, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მტკიცედ მოწყობილიყო ქალაქის პროლეტარიატის მშრომელი მასების კავშირი სოფლის პროლეტარიატთან. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჯეროვნად მოწყობილიყო ომი კულაკობისა და გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს ძირითადი ნაბიჯი ჩვენს სასურსათო პოლიტიკაში კვლავ წარმოადგენს მთელი ჩვენი სასურსათო პოლიტიკის ძირითად მომენტს.

მეორე ნაბიჯი, იქნებ, ნაკლებ მნიშვნელოვანი, იყო დეკრეტი, გატარებული ჩვენი წარმომადგენლების მონაწილეობითა და ინიციატივით, ეს არის დეკრეტი კოოპერაციის გამოყენების შესახებ. აქ ჩვენ დავადგინეთ, რომ აპარატი, რომელიც კოოპერაციამ შექმნა და რომელიც შექმნილია მთელი კაპიტალისტური საზოგადოების მიერ და რომელიც რუსეთში, გასაგები მიზეზების გამო, უფრო სუსტი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უნდა იქნეს ჩვენ მიერ გამოყენებული. ამ მხრივ ჩვენ ბევრი ცოდვა ჩავიდინეთ და ბევრი რამ არ გაგვიკეთებია, არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც, მსხვილ პროლეტარულ ცენტრებშიც. აქ ჩვენ ვხვდებით გაუგებლობას, უუნარობას, ცრურწმენებსა და ტრადიციებს, რომლებიც ჩვენ გვაშორებენ კოოპერაციას. სავსებით ბუნებრივია, რომ კოოპერაციის ზედაფენებს შო-

რის ბევრია არაპროლეტარული ელემენტი; ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ამ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც შეუძლიათ გადაირბინონ ბურჟუაზიის მხარეზე, — კონტრრევოლუციური ელემენტებისა და მათი ზრახვების წინააღმდეგ, — და ამასთან ერთად შევინარჩუნოთ აპარატი, კოოპერაციის აპარატი, — ესეც კაპიტალიზმისაგან მიღებული მემკვიდრეობაა, — მილიონებს შორის განაწილების აპარატი, ურომლისოდაც სოციალიზმის რამდენადმე წარმატებით შენება არ შეიძლება. აქ სასურსათო კომისარიატმა სწორი პოლიტიკა დასახა, მაგრამ ჩვენ იგი მთლად ჯერ კიდევ არ ჩამოგვიყალიბებია, და ის დებულებანი, რომლებსაც ჩვენ კომუნისტების ფრაქციის სახელით დღეს წარვუდგენთ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, წინ დგამენ კიდევ ერთ ნაბიჯს ამ გზაზე და დაჟინებით მოითხოვენ იმას, რომ კოოპერაციის აპარატი გამოყენებულ იქნას. უნდა გვქონდეს უნარი ვაწარმოოთ ბრძოლა კოოპერაციის აპარატის უვარგისი ზედაფენური ელემენტის წინააღმდეგ — ჩვენ საკმაო ძალა და უფლება გვაქვს, რათა ეს გავატაროთ, რადგან სასაცილოა იმის ფიქრი, რომ წინააღმდეგობა სერიოზული იყოს, — უნდა გვქონდეს უნარი ვაწარმოოთ ასეთი ბრძოლა და აუცილებლად გამოვიყენოთ კოოპერაციის აპარატი, რათა ჩვენ არ შემოგვეფანტოს ჩვენი ძალები, რათა ეს აპარატი ერთიანი იყოს, რათა კომუნისტებმა გამოიყენონ თავიანთი ძალები არა მარტო პოლიტიკური მუშაობისათვის, არამედ ორგანიზაციული მუშაობისთვისაც, და ტექნიკურად ისარგებლონ იმ აპარატით, რომელიც მომზადებულია ამ მუშაობისათვის, — კოოპერაციის აპარატით.

მესამე ნაბიჯი, რომელიც ახასიათებს ჩვენს სასურსათო პოლიტიკას, არის მუშათა სასურსათო ორგანიზაციების შექმნა. აქ, ამხანაგებო, სურსათის დარგის მუშაკებო, თქვენს წინაშე პასუხსაგები ამოცანა დგება. გზა, რომელსაც ჩვენ დავადექით, ეს არის გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ, და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა ამ გზას დავადგეთ ყველა კომი-

სარიატში, ეს არის ღონისძიება, რომელსაც არა მარტო სასურსათო მნიშვნელობა აქვს, მას საერთო-სოციალური და საერთო-კლასობრივი მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ სოციალისტური გადატრიალება მტკიცე იყოს, ამისათვის მმართველობის სათავეში ახალი კლასი უნდა ჩადგეს. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში, 1861 წლამდე, ხელისუფლებას, რომელიც მართავდა, მებატონე-მემამულენი შეადგენდნენ. ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, საერთოდ და მთლიანად, ხელისუფლება, რომელიც მართავდა, იყო ბურჟუაზია, იყვნენ შეძლებული ფენების წარმომადგენლები. ახლა სოციალისტური გადატრიალება მტკიცე იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ შევძლებთ მმართველობის სათავეში ჩავაყენოთ ახალი კლასი, პროლეტარიატი, საქმე მოვაწყოთ ისე, რომ რუსეთს პროლეტარიატი მართავდეს. საქმე მოვაწყოთ ისე, რომ ეს მმართველობა იყოს გადასვლა იქითკენ, რათა ყველა მშრომელმა უკლებლივ ისწავლოს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, ისწავლოს არა წიგნებისა და გაზეთების საშუალებით, არა სიტყვებისა და ბროშურების გზით, არამედ ისწავლოს პრაქტიკულად, რათა ყველას შეეძლოს სცადოს თავისი უნარი ამ საქმის გასაკეთებლად.

აი, ამხანაგებო, ჩვენი სასურსათო პოლიტიკის მთავარი ეტაპი, რომელიც ამასთან ერთად გამოხატავს ამ სასურსათო პოლიტიკის აგების ხასიათსაც. უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენს ამხანაგ მესურსათეებს მეტად მძიმე ამოცანა ეკისრებათ. გასაგებია, რომ შიმშილი ყველაზე საშინელი, ყველაზე შემაძრწუნებელი უბედურებაა, რომ ყოველგვარ მოუწესრიგებლობას ამ დარგში მასები გასაგები მოუთმენლობით, გაბოროტებითა და აღშფოთებით ეკიდებიან, ვინაიდან ასეთი უბედურების გადატანა სრულიად შეუძლებელია. და გასაგებია ამავე დროს, რომ სასურსათო კომისარიატს უაღრესად ძნელი ამოცანა ხვდება წილად. თქვენ ჩინებულად იცით, და მეტადრე იციან პროფესიულ კავშირებში მომუშავე ამხანაგებმა, თუ რა ბევრი ნგრევა და უწესრიგობაა მსხვილი

საწარმოების მართვაში, მსხვილ საწარმოთა პროდუქტების აღრიცხვაში. და ეს ხომ რამდენიმე ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე მილიონობით გლეხის მიერ მოყვანილი სურსათის აღრიცხვა. სხვა გზა კი არ არის. ჩვენს ქვეყანაში პროდუქტები საერთოდ ცოტაა. ეს პროდუქტები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ყველა გამოვკვებოთ.

რას ნიშნავს, როდესაც ამბობენ, ზოგიერთი პროდუქტი ძლივს გვყოფნისო? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ახლა მათ გავანაწილებთ მთელ მოსახლეობაში, თუ ყოველი გლეხი მოიტანს ყველა პროდუქტს, თუ ყველანი თავიანთ მოხმარებას ცოტათი უფრო შეამცირებენ, ვიდრე ეს მაძღარი ცხოვრებისთვისაა საჭირო, რადგან ყველა ვერ იქნება სავსებით მაძღარი, თუ ყოველი გლეხი ნებაყოფლობით დათანხმდება შეამციროს თავისი მოხმარება მაძღარი ცხოვრების ნორმაზე ცოტა ნაკლებად და ყველა დანარჩენი მთლიანად მისცეს სახელმწიფოს, და თუ ყოველივე ამას ჩვენ სწორად გავანაწილებთ, — მაშინ ჩვენ ვიარსებებდით შემცირებული კვებით, მაგრამ უშიმშილოდ. მაგრამ ცხადია, თუ ასეთ ამოცანას დავისახავთ, მისი შესრულება ჩვენი ნგრევისას, ჩვენი უუნარობისას, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, — ეს უნარი მხოლოდ ახლა მუშავდება, წინათ მას ვერსად შეიძენდი, — გასაგებია, რომ ასეთი ამოცანა ჩვეულებრივი გზებით არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას. თუ სურსათი საკმარისი არ არის, — ეს ნიშნავს... რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ ნებას დართავთ ვაჭრობის თავისუფლებას, პროდუქტების არასაკმაო რაოდენობისას, რომლებზეც დამოკიდებულია მოსახლეობის სიცოცხლე თუ სიკვდილი, თქვენ შექმნით გააფთრებულ სპეკულაციას, შექმნით იმას, რომ პროდუქტების ფასები გაიზრდება ისეთ ფასამდე, რომელსაც მონოპოლიური ან საშიმშილო ფასი ეწოდება, და ამ უსაზომო ფასების დროს თავის დაკმაყოფილებას შეძლებენ მცირერიცხოვანი ზედაფენები, რომლებიც საშუალოზე მნიშვნელოვნად მეტ შემოსავალს იღებენ, ხოლო უდიდესი მასა დამშეული დარჩება. აი, რას ნიშნავს

მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში პროდუქტები საკმარისად არ მოიპოვება, როდესაც ქვეყანა დამშეულია. მას შემდეგ კი, რაც იმპერიალისტები დაიძრნენ რუსეთის წინააღმდეგ, იგი გარშემორტყმულია. იმპერიალისტებს არ შეუძლიათ აშკარად გამოვიდნენ თავიანთი მძარცველური გეგმებით, მაგრამ ეს მათი ჩარევის აღსასრული არ არის, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხ. კამენევმა. ჩვენ ალყაშემორტყმულ ქვეყანას, ციხე-სიმაგრეს წარმოვადგენთ. ამ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში გაჭირვება გარდუვალია, და ამიტომ სასურსათო კომისარიატის ამოცანა ყველაზე ძნელია რომელიც გნებავთ კომისარიატის ორგანიზაციული ამოცანებიდან.

ახლა ჩვენი მტერია, თუ შინაურ მტერზე ვილაპარაკეთ, არა იმდენად კაპიტალისტი და მემამულე — ექსპლოატატორთა ამ უმცირესობის დამარცხება ადვილი იყო და იგი დამარცხებულია, — ჩვენი მტერია სპეკულანტი და ბიუროკრატი, — სპეკულანტი, როგორიც თავისი მიდრეკილებით არის ყოველი გლეხი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ქალაქებისა და ცალკეული სოფლების საშინელი გაჭირვებითა და მწვავე შიმშილით და გამდიდრდეს. ხოლო თქვენ ჩინებულად იცით, განსაკუთრებით პროფესიულ კავშირებში მომუშავე ამხანაგებმა, რომ სპეკულანტებად გადაქცევის მისწრაფება-ტენდენციას, ამ ტენდენციას ვხვდებით საფაბრიკო-საქარხნო ცენტრებშიც, როდესაც პროდუქტი არ არის, როდესაც იგი ცოტაა, და ყველა, ვისაც პროდუქტი ხელში ჩაუვარდა, ცდილობს სხვას ჩაუსაფრდეს და გამდიდრდეს. ვაჭრობის თავისუფლება რომ დავუშვათ, ფასები ახლა უსაზომო, მოსახლეობის უდიდესი მასებისათვის მიუწვდომელ სიმაღლემდე ავარდება.

აი, ამხანაგებო, როგორია მდგომარეობა, აი რატომ არის, რომ განუვითარებელ მასებში, მასებში, რომლებიც ძალიან დაიღალნენ, დამშივდნენ და გაიტანჯნენ, ადგილი აქვს სასურსათო საქმეზე მომუშავე ამხანაგების წინააღმდეგ აღშფოთების, გულისწყრომის მიდრეკილებას ან ჩამოუყალიბებელ გრძნობას. ყველა ასეთი პირნი არიან ადამიანები, რომლებსაც

არ შეუძლიათ ფიქრი, რომლებიც თავიანთ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ, მათ ჰგონიათ, რომ პროდუქტების შოვნა, იქნებ, შესაძლებელია. ასეთ ადამიანებს გაუგონიათ, რომ სადღაც პროდუქტები არის, რომ იქ პროდუქტები იშოვნეს, მაგრამ იმის მთლიანად გამოანგარიშება, საკმარისია თუ არა ეს 10 მილიონისათვის, რამდენია ამისათვის საჭირო, — მათ არ შეუძლიათ. ასეთ ადამიანებს ეჩვენებათ, რომ მათ ხელს უშლიან, დაბრკოლებებს უქმნიან ამხანაგი მესურსათენი. მათ არ ესმით, რომ მესურსათენი ისე იქცევიან, როგორც ანგარიშიანი, გონიერი მეურნენი, რომლებიც ამბობენ, რომ თუ თქვენ გამოიჩენთ უაღრეს სისასტიკეს, უდიდეს ორგანიზებულობას, მაშინ უკეთეს შემთხვევაში, უკეთეს შემთხვევაში გაძლებთ ისეთი ნორმისას, რომელიც მაძღრის ნორმაზე ნაკლებია, მაგრამ შიმშილობას არ უდრის. ასეთია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, სადაც საზრდოს მიმწოდებელი უმსხვილესი ცენტრები მოწყვეტილია ჩვენგან — ციმბირი, დონეცის რაიონი, — ახლა მოწყვეტილია სათბობი, ნედლეული, მთელი პური ადამიანებისთვისაც და მრეწველობისთვისაც, და ამიტომ ქვეყანა იძულებულია საშინელი ტანჯვა განიცადოს.

მესურსათენი იქცევიან როგორც გონიერი მეურნენი, რომელნიც ამბობენ: დარაზმულად უნდა ვიყოთ, და მაშინ შევძლებთ თავის გატანას, თუ სისტემატურად შევებრძოლებით ცალ-ცალკე მოქმედების ცდებს და აღვკვეთთ სურვილს — გადაიხადონ რაც უნდა იყოს და არაფერს არ გაუწიონ ანგარიში, ოღონდ მაძღარნი იყვნენ. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ და ვმოქმედებდეთ არა თვითეული ცალკე და შეუთანხმებლად, ვინაიდან ეს დაღუპვაა, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ მისწრაფებას, ამ ჩვევებს, რომლებიც ყველა ჩვენში, მილიონობით მშრომელში, დატოვა კაპიტალისტურმა კერძო მეურნეობამ, დატოვა ბაზრისათვის მუშაობის სისტემამ: — მე გავყიდი, მე მოვიგებ, რაც უფრო მეტს გამოვიმუშავებ, მით უფრო ნაკლებად ვიშიმშილებ და — მით უფრო მეტს იშიმშილებენ სხვებიო. აი კერძო საკუთრების ის წყეული

მემკვიდრეობა, რომელიც მასებს მშივრებს ტოვებდა მაშინაც კი, როცა პროდუქტები ქვეყანაში ბლომად იყო, როცა უმნიშვნელო უმცირესობა მდიდრდებოდა როგორც სიმდიდრის, ისე სიღატაკის მეოხებით, ამავე დროს კი ხალხი გაჭირვებული იყო და ომში იღუპებოდა. აი, ამხანაგებო, მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ჩვენი სასურსათო პოლიტიკა. აი ის ეკონომიური კანონი, რომელიც ამბობს: პროდუქტების ნაკლებობისას ჩნდება საშინელი სპეკულაცია ეგრეთწოდებული თავისუფალი ვაჭრობისაკენ ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს. აი რატომ არის, რომ ყოველი ლაპარაკი ამ თემაზე, ასეთი ლაპარაკის წახალისების ყოველი ცდა უაღრესად საზიანოა და წარმოადგენს დაცემას, ნაბიჯის უკან გადადგმას იმ სოციალისტური მშენებლობიდან, რასაც სასურსათო კომისარიატი არაჩვეულებრივი სიძნელით ახორციელებს მილიონობით სპეკულანტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვეს კაპიტალიზმმა და ძველმა წვრილბურჟუაზიულმა მესაკუთრულმა ჩვეულებამ: «თვითეული თავისთვის, მარტო ღმერთია ყველასათვისო», და თუ ჩვენ ამ წესს ბოლო არ მოვუღეთ, ისე სოციალიზმის აშენებას ვერ შევძლებთ.

მხოლოდ გაერთიანება, მხოლოდ უმჭიდროესი კავშირი, რომელსაც ახორციელებს ყოველდღიური ცხოვრება ესოდენ ჩვეულებრივი მუშაობის დროს, სადაც ამ კავშირის განხორციელება ყველაზე უფრო ძნელია: ლუკმაპურის გაყოფის საკითხში, როცა ეს პური საკმაოდ არ მოიპოვება, — მხოლოდ ამნაირად შეიძლება ნამდვილად ვაშენოთ სოციალიზმი. ჩვენ ვიცით, რომ ამის განხორციელება ერთ წელიწადში არ შეიძლება, რომ ადამიანები, რომლებიც შიმშილისაგან გაიტანჯნენ, უდიდეს მოუთმენლობას იჩენენ და მოითხოვენ, რათა ჩვენ თუნდაც ხანდახან გადავუხვიოთ ამ ერთადერთ სასურსათო პოლიტიკას. და ზოგჯერ იძულებული ვართ გადავუხვიოთ, მაგრამ მთლიანად ჩვენს პოლიტიკას არ გადავუხვევთ და უკან არ დავიხევთ.

აი, ამხანაგებო, ის მდგომარეობა, რომლის დროსაც ნახევარი წლის წინათ, როდესაც სასურსათო კრიზისმა უმაღლეს

წერტილს მიაღწია, როდესაც ჩვენ არავითარი მარაგი არა გვქონდა, როდესაც ჩეხოსლოვაკთა წარმატებანი ჩვენ ვოლგის დიდ ნაწილს ხელიდან გვაცლიდნენ, ჩვენ იძულებული გავხდით რკინიგზით ფუთნახევრის წაღების ნება დაგვერთო[137]. ამ ღონისძიებას დიდი ბრძოლა დასჭირდა, მწვავე ბრძოლა დასჭირდა, — ორივე მხარის მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. მესურსათენი ამბობენ: დიახ, მდგომარეობა ცუდია, მაგრამ არ შეიძლება, რომ იგი კიდევ უფრო ცუდი იყოს. თუ თქვენ ერთი კვირით შეამსუბუქებთ მცირეოდენთა მდგომარეობას, სამაგიეროდ მილიონების მდგომარეობას აუარესებთო. მეორე მხრივ, ამბობენ: თქვენ შიმშილით ქანცგაწყვეტილი და გატანჯული ხალხისაგან იდეალურ ორგანიზაციას მოითხოვთ, თქვენ შეუძლებელს მოითხოვთ, თქვენ უნდა შეამსუბუქოთ მისი მდგომარეობა, თუნდაც ეს საერთო პოლიტიკას დროებით აფუჭებდეს. ეს ღონისძიება კვლავ შეგვმატებს სიმხნევეს, ეს კი უმთავრესიაო. აი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, როდესაც ჩვენ ფუთნახევრიანობას ვაყენებდით. აი საერთო, პრინციპული, ძირითადი მდგომარეობა; როდესაც იგი აუტანელი გახდა, ჩვენ უნდა გადაგვეხვია მისგან, რათა თუნდაც დროებით დავხმარებოდით საქმეს, რათა სიმხნევე და სულის სიმტკიცე შეგვენარჩუნებინა. ეს მდგომარეობა მეორდება ახლა, როდესაც ჩვენ საზღვარზე ვდგავართ, როდესაც ჩვენ გამოვიარეთ უფრო იოლი ნახევარწელი და იწყება მძიმე ნახევარწელი. რათა სურათი ნათელვყოთ, გეტყვით, რომ 1918 წლის პირველ ნახევარში სასურსათო კომისარიატმა დაამზადა 28 მილიონი ფუთი, წლის მეორე ნახევარში კი 67 000 000 ფუთი, ე. ი. ორნახევარჯერ მეტი. აი მდგომარეობა, რომლის დროსაც თქვენ ნათლად ხედავთ, რომ პირველი ნახევარწელი წარმოადგენს განსაკუთრებით მწვავე, მძიმე გაჭირვების ნახევარწელს, მეორე ნახევარწელი კი მოსავალთან დაკავშირებით წელში გამართვის შესაძლებლობას იძლევა. ახლა, მეცხრამეტე წელს, წარმატება, რომელიც ჰქონდათ ჩვენს სასურსათო ორგანიზაციებს, უმთავრესად იმის შეოხებით,

რომ სოფლად მოქმედებდნენ ღარიბთა კომიტეტები, ქალაქად კი მუშათა სასურსათო ინსპექცია, უდიდესი წარმატება იყო, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ორნახევარჯერ გაგვედიდებინა დამზადება. მაგრამ ჩვენი მუშაობის პირველი წლის ეს წარმატება, როდესაც საჭირო იყო ახალი შენობის აგება, ახალი ხერხების გამოცდა, იგი მთელი წლისათვის არ უზრუნველგვყოფდა და ვერც უზრუნველგვყოფდა, მაგრამ მან ნახევარი წლით სულის მოთქმის საშუალება მოგვცა. ეს მდგომარეობა თავდება, იწყება მეორე ნახევარწელი, ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე, საჭიროა ყველაფერი და ყოველნაირად ავამოქმედოთ, რათა დავეხმაროთ, რათა მუშებს მივცეთ ცოტაოდნად სულის მოთქმის შესაძლებლობა, რათა გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა ყველაფრით, რითაც კი შეიძლება. და გასაგებია, რომ მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმი თავმჯდომარის კამენევის მეთაურობით განსაკუთრებით ენერგიულად ცდილობდა, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი სიცხადე შეგვეტანა პოლიტიკაში, პროდუქტების მონოპოლიურ და არამონოპოლიურ პროდუქტებად დაყოფაში, რომლის დროსაც მოსახერხებელი იქნებოდა დროებით მიგვეღწია შესაძლო შედეგებისათვის, რათა ქალაქებისა და არასამიწათმოქმედო ადგილების მუშებს თუნდაც ცოტაოდენი შემსუბუქება ეგრძნოთ, რათა შეგვემატებინა მათთვის სიმხნევე და ენერგია, რაც განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როდესაც ჩვენ მძიმე ნახევარწლის წინაშე ვდგავართ, მაგრამ როცა არის ნიშნები, რომ იმპერიალისტთა ბანაკში სუსტდება ძალები და იერიშები ჩვენს წინააღმდეგ.

ამხ. კამენევმა აქ აღნიშნა, უეჭველია, არა მარტო ნიშნები, არამედ ფაქტებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ, მიუხედავად მძიმე განსაცდელისა და დამარცხებისა, რაც ჩვენ პერმთან განვიცადეთ, — წითელი არმია მკვიდრ საძირკველზე შენდება, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს და რომ იგი კიდევაც გაიმარჯვებს. მაგრამ ნახევარწელი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ყველაზე მძიმეა. ამიტომ ამთავითვე აუცილებელია გავაკეთოთ რაც საჭიროა და რაც შესაძლებელია, რათა

შევამსუბუქოთ მდგომარეობა, რათა ნათლად გავატაროთ ჩვენი სასურსათო პოლიტიკა, ეს არის ჩვენი უაღრესად გადაუდებელი ამოცანა. ჩვენს შორის, კომუნისტებს შორის, სწორედ ასევე იყო ბრძოლა ფუთნახევრიანობის გამო, ეს ბრძოლა ზოგჯერ მკვეთრ ფორმებს იღებდა, მას მივყავართ არა დასუსტებისაკენ, არამედ იქითკენ, რომ ჩვენ უფრო და უფრო მეტად გადავსინჯავთ ჩვენს პოლიტიკას დაჟინებით, სიფრთხილით და ურთიერთთავდასხმებით, მაგრამ ჩვენ ვადგებით გადაწყვეტილებას, რომელსაც სწრაფად და ერთსულოვნად ვიღებთ და რომელიც ამ ძნელ მომენტში, როცა ახალ ძნელ ნახევარწელს ვუახლოვდებით, მოითხოვს ჩვენგან კიდევ და კიდევ ვუთხრათ საკუთარ თავს, რატომ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც გვაიძულებს კიდევ და კიდევ გამოვიჩინოთ სიბეჯითე, დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე.

ჩვენ განვიცადეთ განსაკუთრებით ძნელი წელი და განვიცდით კიდევ უფრო ძნელ ნახევარწელს. მაგრამ ყოველი ნახევარწელი გერმანიის რევოლუციის შემდეგ, ინგლისსა და საფრანგეთში დაწყებული მღელვარების შემდეგ ჩვენ წინ გვწევს და გვიახლოებს არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებასაც. აი ის მდგომარეობა, რომლის წინაშეც ჩვენ ვიმყოფებით, და ჩვენ გადავწყვიტეთ წამოვაყენოთ პროექტი სასურსათო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა, რომელთა დამტკიცებასაც ჩვენ ვთხოვთ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ეს დებულებანი დაუყოვნებლივ გადაამუშაონ სათანადო დეკრეტებად სურსათის დარგის მუშაკებმა, ხოლო ჩვენ, — ცენტრის წარმომადგენლებს, ქალაქისა და არასამეწარმეო ადგილების მუშებს, — მათ მოგვცენ შესაძლებლობა კიდევ უფრო გავაათკეცოთ ჩვენი ენერგია, რადგან მხოლოდ ეს ენერგიაა იმის საწინდარი, რომ ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას, რომ ჩვენ, ვთანხმდებით რა დროებით დათმობებს, რომლებიც აუცილებელია დაღლილობისა და შიმშილის დროს, დავიცავთ ჩვენი სასურსათო კომუნისტური

პოლიტიკის საფუძვლებს და ურყევად მივიტანთ მათ იმ დრომდე, როდესაც დადგება კომუნიზმის სრული და მსოფლიო გამარჯვების ჟამი. მე წაგიკითხავთ მუხლობრივ იმ წინადადებას, რომლითაც სრულიად რუსეთის ცაკის კომუნისტების ფრაქცია გამოდის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე:

«სრულიად რუსეთის ცაკის, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის, მოსკოვის საბჭოს, ქალაქ მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა იღებს ქვემოჩამოთვლილ ძირითად დებულებებს სურსათის საკითხზე და ავალებს სასურსათო სახალხო კომისარიატს ფრიად სასწრაფო წესით შეიმუშაოს დეკრეტები ამ დებულების მიხედვით.

1. დასტურდება სისწორე და ურყეობა საბჭოთა სასურსათო პოლიტიკისა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ა) აღრიცხვა და სახელმწიფოებრივი განაწილება კლასობრივი პრინციპის მიხედვით;

ბ) კვების ძირითადი პროდუქტების მონოპოლია და

გ) მომარაგების საქმის გადაცემა კერძო ხელიდან სახელმწიფოს ხელში.

2. თუ განუხრელად არ განხორციელდა უკვე დეკრეტირებული სახელმწიფო მონოპოლია კვების ძირითადი პროდუქტებისა (პური, შაქარი, ჩაი, მარილი) და თუ არ განხორციელდა მასობრივი სახელმწიფოებრივი დამზადება მტკიცე ფასებში სხვა უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტებისა (ხორცი, ზღვის თევზი, კანაფის, მზესუმზირის და სელის ზეთი და ცხოველის ცხიმეული, გარდა ძროხის ერბო-კარაქისა, და კარტოფილი), — ისე ახლანდელ პირობებში შეუძლებელია მოსახლეობის სწორი მომარაგება სურსათით, ამასთან აღნიშნული მასობრივი დამზადება მტკიცე ფასებში მხოლოდ მოსამზადებელი ღონისძიებაა, რომ შემოღებულ იქნას ამ პროდუქტების სახელმწიფო მონოპოლიაც, რომლის განხორციელება სასურსათო კომისარიატის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

ამ მუხლში ჩამოთვლილი ყველა სასურსათო პროდუქტის დამზადება და გადაზიდვა, კარტოფილის გამოკლებით, გარდა სურსათის სახელმწიფო ორგანოებისა, არავის არა აქვს ნებადართული. დადგენილ მტკიცე ფასებში კარტოფილის მასობრივად დამზადების უფლება, სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, ენიჭება აგრეთვე მუშათა ორგანიზაციებს და პროფესიულ და კოოპერაციულ გაერთიანებებს.

3. დროებითი ღონისძიების სახით მუშათა ორგანიზაციებსა და კოოპერაციულ გაერთიანებებს ენიჭებათ მე-2 მუხლში ჩამოთვლილი ყველა პროდუქტის დამზადების უფლება.

4. ადგილობრივი სასურსათო ორგანოები უნდა ვაიძულოთ, რათა მათ ხელი შეუწყონ დამამზადებელ ორგანიზაციებს ამ უფლების გამოყენებაში».

ამხანაგებო, თქვენ, იქნებ, გაგაკვირვოთ ამ სიტყვამ, ძველი ჩვეულებების, ძველი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით: «უნდა ვაიძულოთ» შეასრულონ დეკრეტი. თქვენ, იქნებ, თქვათ, განა ასე ცუდადაა საქმე საბჭოთა რესპუბლიკაში, რომ სრულიად რუსეთის ცაკის ნების შესრულებისათვის საჭიროა იძულებაო. საჭირო ხდება, ამხანაგებო, იძულება, და სჯობია ეს პირდაპირ ვთქვათ, ვიდრე იღლიაში თავი დავმალოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ყველაფერი რიგზეა. დეე ამხანაგებმა — სრულიად რუსეთის ცაკის წარმომადგენლებმა და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე გამოგზავნილმა დელეგატებმა კარგად გაიხსენონ, თუ რას ამბობენ ერთმანეთს შორის, რამდენად სწორად ატარებენ ისინი ყოველივე იმას, რაც დიდი ხანია დეკრეტირებულია პროდუქტების სწორი აღრიცხვისა და სახელმწიფოსათვის იმ პროდუქტების სრულად ჩაბარების დარგში, რომელთა დატოვება საქონელგაცვლისათვის არ შეიძლება, ხოლო თუ საქონელგაცვლა არ არის, გლეხები ამბობენ: არა, კერენკებში ვერაფერს ვერ მოგცემთო. და აი თუ თქვენ ამას გაიხსენებთ ერთმანეთთან პირისპირ საუბარში და შეხედავთ, თუ ცენტრალური ხელისუფლების რამდენი განკარგულება რჩება შეუსრულებელი, მაშინ იტყვით და დაგვეთანხმებით, სჯობია სიმართლე ვთქვათ, რომ ჩვენი ადგილობრივი ორგანოები იძულებულ უნდა ვყოთ განუხრელად და ულმობლად. (ტ ა შ ი). სწორედ აქ, სადაც შეკრებილია სრულიად რუსეთის ცაკი, როგორც უმაღლესი ორგანო, პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის ყრილობის ორგანოებთან ერთად, რომლებმაც ყველაზე მრავალრიცხოვან წარმომადგენლობას მოუყარეს თავი, — და ეს ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, — და ამ ჩვენმა ყველაზე უფრო ავტორიტეტულმა ამხანაგებმა სწორედ აქ მტკიცედ უნდა თქვან და ადგილებს აცნობონ — ადგილობრივი ორგანოები უნდა შეეჩვიონ იმას, რომ ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი

თანმიმდევრულად განახორციელონ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა. ეს მეტად ძნელია, და აქ ბუნებრივია, რომ მრავალ მილიონ ადამიანს, რომლებიც შეეჩვივნენ ცენტრალურ ხელისუფლებაში ხედავდნენ მძარცველებს, მემამულეებს, ექსპლოატატორებს, ბუნებრივია, რომ მათ ცენტრისადმი ნდობა არ შეიძლება ჰქონდეთ, და ეს უნდობლობა უნდა დავძლიოთ, და თუ ეს ვერ დავძლიეთ, ისე სოციალიზმის აშენება არ შეიძლება, რადგან ეს არის ცენტრალიზებული მეურნეობის, ცენტრიდან დაგეგმილი მეურნეობის მოწყობა, და ასეთი მეურნეობის შექმნა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ამ სულისკვეთებით არის აღზრდილი ფაბრიკისა და ცხოვრების მიერ, მხოლოდ მას ძალუძს ამის გაკეთება. ძნელია ბრძოლა კუთხურობასთან, წვრილმესაკუთრულ ჩვეულებებთან. ჩვენ ვიცით, რომ ამის გაკეთება ერთბაშად არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის დაუღალავად ვეცდებით, რათა პროლეტარიატის წარმომადგენლები ამ ჭეშმარიტებას იმეორებდნენ და ახორციელებდნენ, რადგან უამისოდ სოციალიზმის აშენება შეუძლებელია.

შემდეგ, მეოთხე მუხლი განმარტავს:

«ამ პროდუქტების გადაზიდვა და ბაზარზე გაყიდვა სავსებით თავისუფლად ხდება. არავითარ გადამღობ რაზმებს, კორდონებსა და მცველებს და სხვებს უფლება არა აქვთ ხელი შეუშალონ აღნიშნული პროდუქტების თავისუფლად მიტანას და თავისუფლად გაყიდვას ბაზარზე, ურმიდან და სხვ.».

•

ამხანაგებო, ამ მუხლს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ამხ. კამენევმა ბევრი რამის მოცემა შეძლო, რასაც ჩვენ, ცხადია, ჩვენს ნაჩქარევ მუშაობაში ვერ ვასრულებდით, რადგან ჩვენი სასურსათო და სხვა კომისარიატები იძულებული არიან ერთიმეორეზე გამოსცენ დადგენილებანი, რის გამოც ადგილობრივი ორგანოებისათვის მეტად ძნელია ყველაფერში გაერკვნენ. ჩვენ ბრალს გვდებენ, დეკრეტებს ნაჩქარევად სცემთო, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც საჭირო ხდება აჩქარება იმპერიალიზმის შემოტევის გამო და

როდესაც ჩვენ გვაჩქარებს უბედურება, რომელზე ძლიერს ვერ წარმოიდგენ, — პურისა და სათბობის უქონლობა. მაშინ ჩვენ გვიხდება ყველაფერი ავამოქმედოთ ჩვენი ამოცანების გამოსარკვევად, კერძო შეცდომების გამოსარკვევად, და ამიტომ ესოდენ მნიშვნელოვანია ზუსტი და ნათელი გამიჯვნა, რომელიც ახლა მიღწეულია ამ ბრძოლით. რათა ეს გაცილებით უფრო მეტი მასშტაბით გავახორციელოთ, ჩვენ ახლა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი ადგილობრივი ორგანო არ იჩენდეს თვითნებობას, რომ ისინი ვერ ბედავდნენ იმაზე მითითებას, გუშინდელი დღის დეკრეტი გავიხსენეთ და დღევანდელი დღის დეკრეტი დაგვავიწყდაო, რომ მათ სავსებით ზუსტად და ნათლად იცოდნენ, რა პროდუქტები შეადგენენ სახელმწიფოს მონოპოლიას, რა პროდუქტები შეადგენენ თავისუფალი გადაზიდვისა და თავისუფალი გაყიდვის საგანს: ესაა და ეს, გარდა პირველ და მეორე პარაგრაფში ზუსტად ჩამოთვლილისა. დეე ეს საყოველთაოდ გახდეს ცნობილი, დეე იმათ, ვინც ახლა მიდიან, ადგილებს შეატყობინონ ეს, დეე აკეთონ ის, რასაც მათ ოფიციალური მდგომარეობა აკისრებს, დეე თან წაიღონ სათანადო დეკრეტები, რომლებიც შემუშავებული იქნება, რათა ადგილებზე მათ განუხრელად ასრულებდნენ და ატარებდნენ, რათა ცენტრის დადგენილებანი მართლაც ხორციელდებოდეს, რათა ყოყმანი, რომელიც წინათ იყო, აღარ იყოს. და შემდეგ, მეოთხე პარაგრაფის უკანასკნელ სიტყვებში ნათქვამია:

«შენიშვნა. კვერცხისა და ძროხის ერბო-კარაქის მიმართ ეს დადგენილება მხოლოდ იმ რაიონებზე ვრცელდება, სადაც კვერცხისა და ძროხის ერბო-კარაქის მასობრივად დამზადებას სასურსათო კომისარიატი არ აწარმოებს».

ამხანაგებო, მე მოკლედ წაგიკითხავთ დეკრეტის დანარჩენ პარაგრაფებსაც. შესაძლებლობა არა მაქვს დაწვრილებით შევჩერდე მათზე და ზედმეტადაც ვთვლი ამას, ვინაიდან ჩემს შემდეგ ილაპარაკებს კიდევ რამდენიმე ამხანაგი, მათ შორის უფრო კომპეტენტურნიც, — ხაზგასმით აღვნიშნავ მხოლოდ

იმას, რაც განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია. მოკლედ წაგიკითხავთ იმ ძირითად დებულებებს, რომელთა მიღებასაც ჩვენ ვთხოვთ სრულიად რუსეთის ცაკს, თანაც ვთხოვთ დაავალოს სახკომსაბჭოს და საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დანარჩენ ხელისუფალთ გადააქციონ ისინი დეკრეტებად და განახორციელონ უთუოდ და აუცილებლად. (ტაში).

«5. დამზადების გაძლიერებისა და ცალკეული ამოცანების უფრო წარმატებით შესრულების მიზნით გამოიყენება არამონოპოლიზებული პროდუქტების გაწერისა და დამზადების პრინციპი და შემოიღება პრემიული სისტემა კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აწარმოებენ როგორც მონოპოლიზებული, ისე არამონოპოლიზებული პროდუქტების დამზადებას სახელმწიფოსათვის.

ორგანიზაციული ღონისძიებანი სასურსათო ორგანოების განახლებისა და მუშების მონაწილეობის გაძლიერების მიზნით:

ა) მუშათა სასურსათო ინსპექციის ფართოდ გამოყენება და მისი გავრცელება სასურსათო ორგანოების მიერ 10/XII დეკრეტების დაცვის და არამონოპოლიზებული პროდუქტების დამზადების კონტროლზე.

ბ) მუშათა ინსპექციის რაც შეიძლება მალე შექმნა ყველა ადგილობრივ სასურსათო ორგანოში და მუშათა ინსპექციის გავრცელება სასურსათო. კომისარიატის განყოფილებებზე ბიუროკრატიზმისა და საქმის კანცელარული გაჭიანურების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მიზნით;

გ) კავშირის განმტკიცება მუშათა ორგანიზაციებთან — პროფესიულ კავშირებთან და მუშათა კოოპერაციასთან — ადგილობრივი ორგანოების შემდგომი გაძლიერების გზით, რისთვისაც გამოყენებულ იქნან ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მოღვაწეთა წრეში მყოფი ძალები;

დ) პრაქტიკანტი მუშების ინსტიტუტის შემოღება ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოსა და დაწესებულებაში მუშათა წრიდან სურსათის დარგის პრაქტიკული მოღვაწეების მოსამზადებლად, რომლებსაც შეეძლებათ დაიკავონ პასუხსაგები თანამდებობანი.

6. კოოპერაციის აპარატის მთლიანად გამოყენება დამზადებისა და განაწილების საქმეში. კოოპერაციის აპარატების შემადგენლობაში მომარაგების სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შეყვანა კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის საკონტროლოდ და მთავრობის სასურსათო პოლიტიკასთან ამ საქმიანობის შესათანხმებლად».

აი ეს არის, სხვათა შორის, კოოპერაციული ორგანიზაციების ზედა ელემენტებთან ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი. მაგრამ უდიდესი შეცდომა და საქმისათვის უაღრესად დამ-

ღუპველი იქნება, თუ თქვენ უგულებელყოფთ მთელ კოოპერაციულ აპარატს, ათვალწუნებით, ან ვითომდა ქედმაღლურად უკუაგდებთ მას და ეტყვით: ჩვენ თვითონ ავაშენებთ ახალს, ეს თქვენი საქმე არ არის, ამის გაკეთება მხოლოდ კომუნისტებს შეუძლიათო. აუცილებელია ვისარგებლოთ მზამზარეული აპარატით, — სოციალიზმის აშენება არ შეიძლება, თუ არ გამოვიყენეთ კაპიტალიზმის დანატოვარი. აუცილებელია გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც ჩვენს წინააღმდეგ შეუქმნია კაპიტალიზმს კულტურულ ღირებულებათა აზრით. სოციალიზმის სიძნელე ის არის, რომ იგი უნდა ვაშენოთ უცხო ადამიანთა მიერ შექმნილი მასალისაგან, მაგრამ სწორედ ეს არის სოციალიზმის შესაძლებლობა, და ეს ჩვენ თეორიულად ყველამ ვიცით, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს წელი გამოვიარეთ, ჩვენ პრაქტიკულადაც დავრწმუნდით, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება მხოლოდ იმისგან, რაც კაპიტალიზმს შეუქმნია ჩვენს წინააღმდეგ, და რომ ყოველივე ეს ჩვენ უნდა მოვიხმაროთ სოციალიზმის ასაშენებლად, მის განსამტკიცებლად.

შემდეგი, მეშვიდე, პარაგრაფი ამბობს:

«7. პროდუქტთა გადაზიდვის წესების დაცვისა და მონოპოლიების განუხრელად განხორციელების კონტროლი ეკისრება მუშებს შეიარაღებული რაზმების დახმარებით, რომლებსაც სასურსათო კომისარიატი შექმნის.

ყველა გადამღობი სასურსათო რაზმი, გარდა სასურსათო კომისარიატის და საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების რაზმებისა, დაუყოვნებლივ მოიხსნება. სასურსათო კომისარიატისა და საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების რაზმები მოიხსნება ადგილებზე მუშათა ინსპექციის სათანადო ორგანოების შექმნის მიხედვით».

ამხანაგებო, ჩემთვის მოცემული დრო გათავდა, და ნებას მივცემ თავს აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ აქ, უკანასკნელ პარაგრაფებში, ჩვენ ვხედავთ იმის მთავარ საფუძვლებს, რაც ჩვენი სასურსათო და მთელი საბჭოთა პოლიტიკის დედააზრს შეადგენს. მე უკვე აღვნიშნე, რომ დადგა მძიმე დრო, დაიწყო უფრო მძიმე ნახევარწელი, გათავდა შესვენება სურსათის

მხრივ, და დადგა ყველაზე მძიმე დრო. ყოველთვის, როცა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სოციალიზმის მშენებლობის არაჩვეულებრივად ძნელ საქმეში სიძნელეები აღიმართება, საბჭოთა ხელისუფლებამ იცის მათთან ბრძოლის მხოლოდ ერთი საშუალება: მიმართვა მუშებისადმი, ყოველთვის და მუდამ მუშათა უფრო და უფრო ფართო ფენებისადმი. მე უკვე ვთქვი, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ შეიძლება აშენდეს, როცა წინანდელზე 10-ჯერ და 100-ჯერ უფრო მეტი მასები თვითონ დაიწყებენ სახელმწიფოს შენებას და ახალი სამეურნეო ცხოვრების შენებას. ჩვენმა მესურსათეებმა მიაღწიეს იმას, რომ, მათი ცნობების მიხედვით, ახლა სამაზრო სასურსათო კომიტეტებში მუშები უკვე ერთ მესამედს მაინც შეადგენენ, — ესენი არიან უმთავრესად პიტერის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის მუშები — ჩვენი პროლეტარული არმიის საუკეთესო ნაწილი. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. საჭიროა, რათა იყოს ორი მესამედი, — უფრო და უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა. თქვენ იცით, რომ მუშათა მოწინავე ფენებმა უკვე მოჰკიდეს ხელი სახელმწიფო მმართველობის საქმეს, ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეს. ჩვენ ვიცით, რომ უნდა ჩავიდეთ უფრო დაბლა, უფრო ღრმად, უფრო გაბედულად ავიყვანოთ ახალ-ახალი ფენები. ისინი ჯერ კიდევ არ არიან გაწვრთნილნი, ისინი აუცილებლად ჩაიდენენ შეცდომებს, მაგრამ ჩვენ ამისა არ გვეშინია. ჩვენ ვიცით, რომ ეს შეგვიქმნის მუშაკთა ახალგაზრდა კადრებს, ასკეცად მოგვიზღავს იმით, რომ მოგვცემს ათობით ახალგაზრდა, უფრო ცოცხალ ძალებს. ჩვენ ძალებს სხვაგან ვერსად ვერ ვიშოვნით. ჩვენ უნდა ვიაროთ მხოლოდ წინ, აშკარად ავიყვანოთ ახალგაზრდა მუშები, უფრო და უფრო პასუხსაგებ პოსტებზე დავაყენოთ პროლეტარიატის წარმომადგენლები.

ახლანდელი სასურსათო კრიზისი უფრო მძიმე ნახევარწლის დადგომით აიხსნება. იგი აიხსნება ტრანსპორტის მდგომარეობითაც. მე უკვე ვთქვი, რომ 1918 წლის მეორე ნახევარში ჩვენ 67½ მილიონი ფუთი დავამზადეთ. მაგრამ ამ

67½ მილიონი ფუთიდან 20 მილიონის გამოზიდვა ვერ შევძელით. უკანასკნელი საშინელი კრიზისი პიტერში იმით აიხსნება, რომ ჩვენი მარაგი ვოლგა-ბუგულმინის რკინიგზაზე დარჩა და იქიდან შეუძლებელია მისი გამოზიდვა. ტრანსპორტის მდგომარეობა საშინელია. მოძრავი შემადგენლობა წარმოუდგენლად არის გაცვეთილი, იმიტომ რომ არც ერთ ქვეყანას არ გამოუვლია ისეთი განსაცდელი, როგორიც რუსეთმა გამოიარა, იმ ჩამორჩენილობისას, როგორიც რუსეთში არსებობს, და იმიტომ რომ რკინიგზის ორგანიზაციაში ჩვენ ასეთი დარაზმული პროლეტარული მასები არ გვყავს. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამ კრებით და გთხოვოთ, ამხანაგებო, შეიტანოთ მასებში ის შეგნება, რომ ჩვენ გვესაჭიროება ახალ-ახალი მუშაკები სურსათის საქმისათვის, ტრანსპორტისათვის, რომ მათ საკუთარი გამოცდილებით გაგვიწიონ დახმარება. დააყენეთ ისინი სამუშაოზე, თვალყური ადევნეთ ახალ მუშაკებს, და ისინი გაცილებით მეტს გააკეთებენ, ვიდრე წინანდელი ორგანიზაციები აკეთებდნენ. ყველაფერი სურსათისა და ტრანსპორტისათვის! დეე ორგანიზაციამ, რა საამქროსიც უნდა იყოს ის, დეე მან გადასინჯოს მთელი თავისი ძალები და თქვას, საკმაოდ ავიყვანეთ თუ არა ადამიანები, ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა, რათა გაგვეგზავნა კომისრები, როგორც ჩვენ მათ ვგზავნით არმიაში. მუშებს ქანცი უწყდებათ, რადგან ისინი სურსათს არასაკმაოდ იღებენ. საჭიროა გავგზავნოთ იქ საუკეთესო მუშაკები, რათა ყველანი იყვნენ პასუხსაგებ სამხედრო, სასურსათო და სატრანსპორტო პოსტებზე. აქ ყველას შეუძლია იმოქმედოს, არა სპეციალისტსაც კი. ტრანსპორტის საქმეში ზოგჯერ საჭიროა პარტიული ამხანაგის დახმარება, ზემოქმედება იდეური პროლეტარისა, რომელსაც სკოლა გაუვლია, რომელიც რკინიგზელ მოსამსახურეთა ნაკლებად პროლეტარულ ფენებზე გავლენას მოახდენს კონტროლისა და მეთვალყურეობის საშუალებით. ამხანაგებო, მე ერთხელ კიდევ ვიმეორებ ამ ლოზუნგს: «ყველაფერი სურსათისა და ტრანსპორტისათვის!». აქ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ არმიის მიმართ, სადაც მიდიოდნენ

პოლიტიკური კომისრები და სადაც ჩვენ ჩვენსას მივაღწიეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მომენტში, ამ მძიმე ნახევარწელს, ჩვენ ერთხელ კიდევ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენ დავამარცხებთ შიმშილსა და ნგრევას!

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1919 წ. 18 იანვარს სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტიაში» № 12

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1929 წელს

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციის სხდომაზე 1919 წ. 18 იანვარს [138]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

რამდენადაც შეიძლებოდა გავცნობოდი რეზოლუციების მიხედვით ორ პროექტს, — ამბობს ლენინი, — რომლებიც წამოყენებულია ცენტრისა და რაიონების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განხილვის შედეგად, — პირველი პროექტი ეხება საბჭოთა მოღვაწეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე, — საბჭოთა მექანიზმის სრულ რეორგანიზაციას, — უნდა ვთქვა, რომ მეორე პროექტი, რომელიც გამოხატულია ამხანაგთა ჯგუფის რეზოლუციით, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იქ ყველაფერი არ არის ბოლომდე ნათქვამი, რადგან არავითარი კონკრეტული მიზეზი საბჭოთა მექანიზმის შესაცვლელად, რასაც მოითხოვს ეს რეზოლუცია, არ მოიპოვება.

ახლა ჩვენი მტერია ბიუროკრატიზმი და სპეკულაცია. ნგრევის გამო ჩვენ ვერ ვხედავთ გაუმჯობესებას, მაგრამ ნგრევის მოსპობა მხოლოდ ცენტრალიზაციით შეიძლება, როცა ხელს ავიღებთ წმინდა კუთხურ ინტერესებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, იწვევდნენ ოპოზიციას ცენტრალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ცენტრალიზმი ერთადერთი გამოსავალია ჩვენი მდგომარეობიდან. ამხანაგების ჯგუფი, რომელიც ამ რეზოლუციას აყენებს, შორდება ცენტრალიზმს და კუთხურობის ჭაობში ეფლობა.

თურმე, რაიონები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი დადგენილება რაიონებთან განუხილველად ტარდება; თუ ეს ასეა,

მაშინ რაიონებს სრული უფლება აქვთ მოიწვიონ თათბირები, სადაც შეიძლება განხილულ იქნას ყველა საკითხი, რომლებიც კი მათ აღელვებს. ჩვენ გვახრჩობს ბიუროკრატიზმი, რომლის დაძლევა მეტად ძნელია. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გავაძლიეროთ, დაწესებულებებში რაც შეიძლება მეტი მუშა უნდა დავსვათ. მაგრამ როცა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას არა იქით წარმართავენ, საითკენაც იგი უნდა წარიმართოს, მდგომარეობა მეტად საშიში ხდება, მაგალითად, სპეციალისტების მიმართ. ჩვენი მდგომარეობა ცუდია არა იმიტომ, რომ ჩვენ ბევრი სპეციალისტი გვყავს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში მტკიცე ცენტრალიზაცია არ არის. საბჭოთა მუშაობის ზოგიერთი დარგი, პირიქით, სპეციალისტების ნაკლებობის გამო ფერხდება. დაწესებულებებში უნდა დავსვათ რაც შეიძლება მეტი საშუალოდ მომზადებული მუშა, რომელიც სპეციალისტების ახლოს შეეჩვეოდა მუშაობას, შეძლებდა მათ შეცვლას და პრაქტიკული მუშაობის დამოუკიდებლად გაწევას. ამრიგად, — ამთავრებს ლენინი, — ამხ. იგნატოვის მიერ წარმოდგენილ თეზისებში, როგორც ჩანს, არ არის გამოთქმული იმის არსი, თუ რა სურთ ამ ამხანაგებს. ბრძოლა იქით არ არის მიმართული, საითკენაც მიმართული უნდა იყოს.

«პრავდა» № 19, 1919 წ. 28 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე[139]
1919 წ. 18 იანვარს

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის.) ამხანაგებო, ნება მომეცით მივესალმო თქვენს ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. ამხანაგებო, ახლა მასწავლებელთა წინაშე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები დგება, და მე იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ, რაც განვიცადეთ ამ წელიწადში, იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც წარმოებდა მასწავლებელთა წრეში, იმათ შორის, ვინც იმთავითვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, სოციალისტური გადატრიალებისათვის ბრძოლის მხარეზე, და მასწავლებლობის იმ ნაწილს შორის, რომელიც დღემდე რჩებოდა ძველი წესების ნიადაგზე, ძველ ცრურწმენათა ნიადაგზე, თითქოს შესაძლებელი იყოს სწავლის დატოვება ამ ძველი წესების ნიადაგზე, — მე ვფიქრობ, რომ ახლა, ერთი წლის ბრძოლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობაში მოხდა, — ამ ბრძოლას ბოლო უნდა მოეღოს და ეღება კიდევაც. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მასწავლებელთა პერსონალის დიდი უმრავლესობა, რომელიც ახლოს დგას მუშათა კლასთან და გლეხობის მშრომელ ნაწილთან, რომ მისი დიდი უმრავლესობა დარწმუნდა ახლა, თუ რა ღრმაა სოციალისტური რევოლუციის ფესვები, თუ რა გარდუვალად ვრცელდება იგი მთელ მსოფლიოში, და ვფიქრობ, რომ ახლა მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა უსათუოდ გულწრფელად დადგება, თანდათან დადგება მშრომელთა და

ექსპლოატირებულთა ხელისუფლების მხარეზე სოციალისტური გადატრიალებისათვის ბრძოლაში და ბრძოლაში მასწავლებელთა იმ ნაწილთან, რომელიც დღემდე, რჩებოდა რა ძველ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ძველი წესებისა და თვალთმაქცობის ნიადაგზე, ფიქრობდა, რომ შეძლებდა ამ წესებიდან რაიმეს შენარჩუნებას.

ერთ-ერთი ასეთი ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა ის რწმენა, თითქოს სკოლა შეიძლება იყოს პოლიტიკის გარეშე. თქვენ ჩინებულად იცით, თუ რამდენად ყალბია ეს რწმენა. და ბურჟუაზია, რომელიც ასეთ დებულებას აყენებს, თვითონ სასკოლო საქმეს ქვაკუთხედად უდებდა თავის ბურჟუაზიულ პოლიტიკას და ცდილობდა იქამდე დაეყვანა სასკოლო საქმე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე ხელშემწყობნი, ცდილობდა საყოველთაო სწავლებაც კი თავიდან ბოლომდე დაეყვანა იქამდე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე მსახურნი, კაპიტალის ნების შემსრულებლები და მონები და არასოდეს არ ზრუნავდა იმისათვის, რომ სკოლა ადამიანის პიროვნების აღზრდის იარაღად ექცია. და ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ სკოლას, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ყველა მშრომელთან და ექსპლოატირებულთან და არა შიშით, არამედ გულწრფელად დგას საბჭოთა პლატფორმაზე.

რა თქმა უნდა, სკოლის გარდაქმნის საქმე ძნელი საქმეა. და, ცხადია, აქ იყო ხოლმე და ახლაც არის შეცდომები და ცდები, რომ პოლიტიკასთან სკოლის კავშირის პრინციპი უკუღმართად განმარტონ, ტლანქად და უხეშად დაამახინჯონ, როდესაც ცდილობენ უხეიროდ ჩაუნერგონ ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ ნორჩ, მოზარდ თაობას, რომელიც უნდა მომზადდეს. და უეჭველია, რომ ძირითადი პრინციპის ამ უხეში გამოყენების წინააღმდეგ ჩვენ მუდამ მოგვიხდება ბრძოლა. მაგრამ ახლა მასწავლებელთა იმ ნაწილის მთავარი ამოცანა, რომელიც დადგა ინტერნაციონალის ნიადაგზე, რომელიც დადგა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე,

არის ზრუნვა იმისათვის, რომ შექმნას მასწავლებელთა უფრო ფართო და შეძლებისამებრ ყოვლისმომცველი კავშირი.

მასწავლებელთა ძველ კავშირს, რომელიც ბურჟუაზიულ ცრურწმენებს იცავდა, გაუგებლობას იჩენდა და ყოველნაირად იცავდა პრივილეგიებს გაცილებით უფრო მეტ ხანს, ვიდრე ასეთსავე პრივილეგიებს იცავდნენ ზედაფენების სხვა კავშირები, რომლებიც 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე შეიქმნა და რომლებსაც ჩვენ ცხოვრების ყველა დარგში ვებრძოდით, — ამ კავშირს ნიადაგი არა აქვს თქვენს კავშირში, ინტერნაციონალისტების კავშირში. მე ვფიქრობ, რომ თქვენი კავშირი ინტერნაციონალისტებისა სავსებით შეიძლება გადაიქცეს მასწავლებელთა ერთიან სასკოლო პროფესიულ კავშირად, რომელიც იდგომება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე — ისევე, როგორც ყველა პროფესიული კავშირი, — რასაც განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობა. მასწავლებელთა წინაშე უზარმაზარი ამოცანა დგას. აქ საჭირო ხდება ბრძოლა მოდუნებულობისა და განცალკევებულობის იმ ნაშთებთან, რაც ჩვენ წარსულმა რევოლუციამ დაგვიტოვა.

შემდეგ პროპაგანდა და აგიტაცია. ახლა ცხადია, რომ მასწავლებელთა შემადგენლობისადმი იმ უნდობლობის დროს, რაც დაგვიტოვა მასწავლებელთა ბურჟუაზიული შემადგენლობის საბოტაჟის პრაქტიკამ და ცრურწმენებმა, იმ მასწავლებლებისა, რომლებიც შეეჩვივნენ ფიქრს, რომ ნამდვილი განათლების მიღება მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ და რომ მშრომელთა უმრავლესობისათვის საკმარისია მხოლოდ კარგი მსახურებისა და კარგი მუშების მომზადება, მაგრამ არა ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონებისა, — ასეთ პირობებში გასაგებია, რომ რჩებოდა დაქუცმაცებულობა პროპაგანდისა და განათლების ყველა დარგში. ეს მასწავლებელთა ნაწილს ხვედრად არგუნებს ვიწრო სფეროს, ვითომდა სწავლების სფეროს, და ჩვენ შესაძლებლობას არ გვაძლევს მთლიანად შევქმნათ ერთიანი აპარატი, რომელშიც

მეცნიერების მთელი ძალები შევლენ და ჩვენთან ერთად იმუშავებენ. ჩვენ ამის გაკეთებას იმდენად შევძლებთ, რამდენადაც უკუვაგდებთ ძველ ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, და აქ თქვენი კავშირის ამოცანაა მოიზიდოს მასწავლებელთა ფრიად ფართო მასები თქვენს ოჯახში, აღზარდოს მასწავლებელთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, დაუმორჩილოს ისინი საერთო-პროლეტარულ პოლიტიკას, შეაკავშიროს საერთო ორგანიზაციად.

პროფესიული გაერთიანების საქმეში მასწავლებლებს აწევთ დიდი ამოცანა იმ მდგომარეობაში, რაც ახლა შეიქმნა ჩვენში, როდესაც მკაფიოდ ირკვევა სამოქალაქო ომის ყველა საკითხი და როდესაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ელემენტები გარემოებათა ძალით იძულებული არიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ყოველი სხვა გზა მათ ძალაუნებურად თეთრგვარდიელებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის დაცვის გზაზე აყენებს. როცა მთელ მსოფლიოში ისმება ერთი მთავარი ამოცანა, საქმე ისმება ისე, რომ ან უკიდურესი რეაქცია, ან სამხედრო დიქტატურა და დახვრეტანი, რომელთა შესახებ ჩვენ მკაფიო ცნობები გვქონდა ბერლინიდან; ან ეს გაშმაგებული რეაქციაა გამხეცებული კაპიტალისტებისა, რომლებიც გრძნობენ, რომ ეს ოთხი წლის ომი მათ დაუსჯელად არ ჩაუვლის, და ამიტომ ისინი მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, მზად არიან კიდევ მორწყონ მიწა მშრომელთა სისხლით, ან მშრომელთა სრული გამარჯვება სოციალისტურ რევოლუციაში. ისეთ მომენტში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საშუალო რამ არ შეიძლება იყოს. და ამიტომ ის მასწავლებლები, რომლებიც თავიდანვე დადგნენ ინტერნაციონალის პოზიციაზე და რომლებიც ახლა ნათლად ხედავენ, რომ სხვა ბანაკში მყოფ მათ მოწინააღმდეგეებს არავითარი სერიოზული ოპოზიციის გაწევა არ შეუძლიათ, უნდა დაადგნენ უფრო ფართო მუშაობის გზას. თქვენი კავშირი ახლა უნდა გადაიქცეს ფართო, მასწავლებელთა დიდი მასების მომცველ კავშირად, მასწავლებელთა ისეთ პროფესიულ კავშირად,

რომელიც გადაჭრით დადგება საბჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისათვის ბრძოლის ნიადაგზე.

სწორედ ასეთია ფორმულა, რომელიც მიიღო პროფესიულ კავშირთა ამჟამად მიმდინარე II ყრილობამ. ეს ყრილობა მოითხოვს, რომ ყველა, ვინც მუშაობს გარკვეულ პროფესიაში, ვინც ეწევა გარკვეულ საქმიანობას, ერთ მთლიან კავშირად გაერთიანდეს, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ პროფესიული მოძრაობა არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითად ამოცანებს. და ამიტომ პროფესიულ კავშირთა სრულუფლებიანი წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის კავშირები, რომლებიც აღიარებენ რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას სოციალიზმისათვის პროლეტარიატის დიქტატურის გზით. ასეთია თქვენი კავშირი. თუ თქვენ ამ პოზიციას დაადგებით, — თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება წარმატება მასწავლებელთა დიდი მასის მოზიდვის საქმეში და იმ მუშაობაში, რომ ცოდნა და მეცნიერება აღარ შეადგენდეს პრივილეგიურთა საქმეს, აღარ შეადგენდეს იმ მასალას, რომელიც განამტკიცებს მდიდართა და ექსპლოატატორთა პოზიციას, არამედ გადაიქცეს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა განთავისუფლების იარაღად. ნება მომეცით, ამხანაგებო, ყოველგვარი წარმატება გისურვოთ ამ სარბიელზე.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1919 წ. 19 იანვარს სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 13

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1926 წელს

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

მეცნიერების მთელი ძალები შევლენ და ჩვენთან ერთად იმუშავებენ. ჩვენ ამის გაკეთებას იმდენად შევძლებთ, რამდენადაც უკუვაგდებთ ძველ ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, და აქ თქვენი კავშირის ამოცანაა მოიზიდოს მასწავლებელთა ფრიად ფართო მასები თქვენს ოჯახში, აღზარდოს მასწავლებელთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, დაუმორჩილოს ისინი საერთო-პროლეტარულ პოლიტიკას, შეაკავშიროს საერთო ორგანიზაციად.

პროფესიული გაერთიანების საქმეში მასწავლებლებს აწევთ დიდი ამოცანა იმ მდგომარეობაში, რაც ახლა შეიქმნა ჩვენში, როდესაც მკაფიოდ ირკვევა სამოქალაქო ომის ყველა საკითხი და როდესაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ელემენტები გარემოებათა ძალით იძულებული არიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ყოველი სხვა გზა მათ ძალაუნებურად თეთრგვარდიელებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის დაცვის გზაზე აყენებს. როცა მთელ მსოფლიოში ისმება ერთი მთავარი ამოცანა, საქმე ისმება ისე, რომ ან უკიდურესი რეაქცია, ან სამხედრო დიქტატურა და დახვრეტანი, რომელთა შესახებ ჩვენ მკაფიო ცნობები გვქონდა ბერლინიდან; ან ეს გაშმაგებული რეაქცია გამხეცებული კაპიტალისტებისა, რომლებიც გრძნობენ, რომ ეს ოთხი წლის ომი მათ დაუსჯელად არ ჩაუვლის, და ამიტომ ისინი მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, მზად არიან კიდევ მორწყონ მიწა მშრომელთა სისხლით, ან მშრომელთა სრული გამარჯვება სოციალისტურ რევოლუციაში. ისეთ მომენტში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საშუალო რამ არ შეიძლება იყოს. და ამიტომ ის მასწავლებლები, რომლებიც თავიდანვე დადგნენ ინტერნაციონალის პოზიციაზე და რომლებიც ახლა ნათლად ხედავენ, რომ სხვა გზაკში მყოფ მათ მოწინააღმდეგეებს არავითარი სერიოზული ოპოზიციის გაწევა არ შეუძლიათ, უნდა დაადგნენ უფრო ფართო მუშაობის გზას. თქვენი კავშირი ახლა უნდა გადაიქცეს ფართო, მასწავლებელთა დიდი მასების მომცველ კავშირად, მასწავლებელთა ისეთ პროფესიულ კავშირად,

რომელიც გადაჭრით დადგება საბჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისათვის ბრძოლის ნიადაგზე.

სწორედ ასეთია ფორმულა, რომელიც მიიღო პროფესიულ კავშირთა ამჟამად მიმდინარე II ყრილობამ. ეს ყრილობა მოითხოვს, რომ ყველა, ვინც მუშაობს გარკვეულ პროფესიაში, ვინც ეწევა გარკვეულ საქმიანობას, ერთ მთლიან კავშირად გაერთიანდეს, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ პროფესიული მოძრაობა არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითად ამოცანებს. და ამიტომ პროფესიულ კავშირთა სრულუფლებიანი წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის კავშირები, რომლებიც აღიარებენ რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას სოციალიზმისათვის პროლეტარიატის დიქტატურის გზით. ასეთია თქვენი კავშირი. თუ თქვენ ამ პოზიციას დაადგებით, — თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება წარმატება მასწავლებელთა დიდი მასის მოზიდვის საქმეში და იმ მუშაობაში, რომ ცოდნა და მეცნიერება აღარ შეადგენდეს პრივილეგიურთა საქმეს, აღარ შეადგენდეს იმ მასალას, რომელიც განამტკიცებს მდიდართა და ექსპლოატატორთა პოზიციას, არამედ გადაიქცეს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა განთავისუფლების იარაღად. ნება მომეცით, ამხანაგებო, ყოველგვარი წარმატება გისურვოთ ამ სარბიელზე.

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1919 წ. 19 იანვარს სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 13

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1926 წელს

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

სიტყვა როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის გამო 1919 წ. 19 იანვარს [140]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

დღეს ბერლინში ბურჟუაზია და სოციალ-გამცემლები ზეიმობენ, — მათ შეძლეს კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მოკვლა. ებერტმა და შეიდემანმა, რომლებიც 4 წლის განმავლობაში მუშებს მძარცველთა ინტერესების გულისათვის დასახოცად მიერეკებოდნენ, ახლა პროლეტარების ბელადთა ჯალათების როლი იკისრეს. გერმანიის რევოლუციის მაგალითით ჩვენ ვრწმუნდებით, რომ «დემოკრატია» მხოლოდ ბურჟუაზიული ძარცვისა და ყოვლად ველური ძალადობის საფარს წარმოადგენს.

სიკვდილი ჯალათებს!

«პრავდა» № 14, 1919 წ. 21 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მოხსენება პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე[141] 1919 წ. 20 იანვარს

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.) ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ცოტა შეუძლოდ ყოფნის გამო დღეს იძულებული ვარ მხოლოდ მოკლედ შევეხო იმ საკითხს, რომელიც ახლა დასმულია თქვენს წინაშე. ეს არის პროფესიულ კავშირთა ამოცანების საკითხი.

რეზოლუცია, რომელიც თქვენ წარმოგედგინათ, პროფესიულ კავშირთა ყრილობისადმი წარდგენილია კომუნისტების ფრაქციის სახელით, სადაც იგი ყოველმხრივ იქნა განხილული. რადგან ეს რეზოლუცია ახლა უკვე დაბეჭდილია, ვფიქრობ, ყველა აქ დამსწრე იცნობს მას, და ამიტომ ნებას მივცემ ჩემ თავს შევჩერდე მხოლოდ ორ მთავარ პუნქტზე, რომლებიც ჩემი აზრით ყველაზე არსებითი პუნქტებია მათ შორის, რასაც, საერთოდ რომ ითქვას, ეხება ეს რეზოლუცია.

მე მგონია, რომ პირველი ამ პუნქტთაგანი, ასე ვთქვათ, უარყოფითი ხასიათისა, არის განცხადება პროფესიული მოძრაობის ერთიანობის ან დამოუკიდებლობის დროშის გამო, იმ დროშის გამო, რომლის შესახებაც რეზოლუციის მე-3 პუნქტი ამბობს, რომ მან ამ ლოზუნგის დამცველი ჯგუფები პრაქტიკულად მიიყვანა აშკარა ბრძოლამდე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და ამ ცდამ ისინი, ე. ი. ეს ჯგუფები, მუშათა კლასის რიგების გარეთ დააყენა.

მე მგონია, ამხანაგებო, რომ დამოუკიდებლობის ეს ყბადაღებული ლოზუნგი ყურადღების ღირსია არა მარტო პროფესიული თვალსაზრისით. მე ვფიქრობ, რომ მთელი ბრძოლა, რომელიც ახლა აღავსებს მსოფლიოს და გაუგონარი სისწრაფით აშკარად მახვილდება საკითხზე, პროლეტარიატის დიქტატურა იყოს თუ ბურჟუაზიის დიქტატურა, ვფიქრობ, რომ მთელი ეს ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია სწორად გავიგოთ, სწორად გავითვალისწინოთ, ამ ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მისცეს საშუალება მუშათა კლასს, მის შეგნებულ წარმომადგენლებს, სწორად მიიღონ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, თუ გვესმის, რა თავისმოტყუებას წარმოადგენს ერთთათვის და რა მოტყუებას მეორეთათვის დამოუკიდებლობის ეს ლოზუნგი. უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, თუნდაც მოკლედ, თუ რამდენად შემცდარია თეორიულად ეს ლოზუნგი, რამდენად ვერ უძლებს იგი თეორიულად კრიტიკის ნასახსაც კი.

ამხანაგებო, უკანასკნელი ამბავი გერმანიაში, ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის მხეცური, გამცემლური მკვლელობა, არა მარტო უაღრესად დრამატული და ტრაგიკული მოვლენაა გერმანიის ახლადდაწყებულ რევოლუციაში, — იგი, გარდა ამისა, არაჩვეულებრივად მკაფიო შუქს ჰფენს იმას, თუ როგორ არის დაყენებული ამჟამად ბრძოლის საკითხები სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა ახლანდელ მიმდინარეობებში და ახლანდელ თეორიულ დებულებებში. სწორედ გერმანიიდან ყველაზე მეტად გვესმოდა სიტყვები, თუნდაც, მაგალითად, ყბადაღებულ დემოკრატიაზე, საერთოდ დემოკრატიის ლოზუნგებზე, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მუშათა კლასის დამოუკიდებლობის ლოზუნგებზე. ეს ლოზუნგები ერთი შეხედვით, თითქოს, ერთმანეთთან დაკავშირებულნი არ არიან, ნამდვილად კი მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ისინი ერთიმეორესთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმიტომ, რომ გვიჩვენებენ, თუ დღემდე კიდევ რამდენად ძლიერია წვრილბურჟუაზიული

ცრურწმენანი, მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლის უზარმაზარი გამოცდილება აქვს შეძენილი; ეს ლოზუნგები გვიჩვენებენ, რომ დღემდე კლასობრივი ბრძოლა ძალიან ხშირად აღიარებულია, როგორც გერმანელები იტყვიან, მხოლოდ ტუჩებით, ისე რომ იგი ნამდვილად ვერ ატანს იმ ადამიანთა ვერც თავამდე და ვერც გულამდე, ვინც ამ კლასობრივ ბრძოლაზე ლაპარაკობს. მართლაც, თუ გავიხსენეთ პოლიტიკური ეკონომიის თუნდაც ანბანი, როგორც იგი შეგვითვისებია მარქსის «კაპიტალიდან», კლასობრივი ბრძოლის იმ მოძღვრებიდან, რომელზეც ჩვენ ყველანი ორივე ფეხით ვდგავართ, მაშინ როგორ შეიძლება ახლა ლაპარაკი დემოკრატიაზე საერთოდ, ან როგორ შეიძლება ახლა ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე, როდესაც ბრძოლა ასეთ ფარგლებში და ესოდენი მასშტაბით არის გამწვავებული, როდესაც ცხადია, რომ სოციალისტური რევოლუცია დღის წესრიგში დგას მთელ მსოფლიოში, როდესაც ეს პრაქტიკულად ცხადია ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებში გაჩაღებული მოქმედებიდან. ვინც ამგვარად ფიქრობს, ის — პოლიტიკური ეკონომიის თეორიის მიხედვით რომ ვილაპარაკოთ, — ამყოვნებს, რომ მას ვერც ერთი გვერდი ვერ გაუგია მარქსის «კაპიტალისა», რომელსაც ახლა უკლებლივ ყველა ქვეყნის ყველა სოციალისტი იფიცავს.

ნამდვილად კი, იფიცავენ რა ამ ნაწარმოებს, ისინი, როცა თითქმის მიადგნენ იმ მთავარ ბრძოლას, რომლისკენაც მარქსის «კაპიტალს» მივყავდით, ზურგს აქცევენ ამ კლასობრივ ბრძოლას და ფიქრობენ, რომ შეიძლება არსებობდეს გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივი დემოკრატია, რომ დემოკრატია თანამედროვე საზოგადოებაში, ვიდრე საკუთრება კაპიტალისტების ხელში რჩება, შეიძლება იყოს სხვანაირი, არა ბურჟუაზიული დემოკრატია, მაშინ როდესაც ეს არის ყალბი, ცრუ დემოკრატიული აბრებით დაფარული, ბურჟუაზიული დიქტატურა. სწორედ ამ გერმანიიდან მოგვესმოდა ამ ცოტა ხნის წინათ ხმები იმის შესახებ, რომ აი, ეგეზ, და უეჭველადაც კი, პროლეტარიატის დიქტატურა დემოკრატიის ფარგლებს

არ გასცილდება, რომ დემოკრატია განხორციელებული დარჩებაო. სწორედ იქ ის ადამიანები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ, მარქსიზმის მასწავლებლები ვართო, ადამიანები, რომლებიც მთელი II ინტერნაციონალის იდეოლოგები იყვნენ 1889 წლიდან 1914 წლამდე, მაგალითად, კაუცკი, დემოკრატიის დროშით გამოდიოდნენ და ის კი არ ესმოდათ, რომ დემოკრატია, ვიდრე საკუთრება კაპიტალისტების ხელში რჩება, არის მხოლოდ თავიდან ბოლომდე თვალთმაქცური საბურველი ბურჟუაზიის დიქტატურისა და რომ კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების საკითხის რაიმე სერიოზულ გადაწყვეტაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ ეს თვალთმაქცური საბურველი არ იქნება ჩამოგლეჯილი, თუ ჩვენ ისე არ დავსვამთ საკითხს, როგორც ყოველთვის გვასწავლიდა საკითხის დასმას მარქსი და როგორც გვასწავლიდა მის დასმას პროლეტარიატის ყოველდღიური ბრძოლა, როგორც გვასწავლიდა მის დასმას ყოველი გაფიცვა, პროფესიული ბრძოლის ყოველი გამწვავება; საკითხის დასმას ისე, რომ, ვიდრე საკუთრება კაპიტალისტების ხელში რჩება, ყოველგვარი დემოკრატია მხოლოდ თვალთმაქცურად დაფარული ბურჟუაზიული დიქტატურა იქნება. ყოველგვარი სიტყვები საყოველთაო ხმისმიცემაზე, საყოველთაო სახალხო ნებაზე, ხმისმიმცემთა თანასწორობაზე სულ ერთიანად მატყუარობა იქნება, რადგან შეუძლებელია თანასწორობა ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს შორის, კაპიტალისა და საკუთრების მფლობელსა და თანამედროვე დაქირავებულ მონას შორის.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული დემოკრატია ისტორიულად უზარმაზარი პროგრესია ცარიზმთან, თვითმპყრობელობასთან, მონარქიასთან და ფეოდალიზმის ყოველგვარ ნაშთებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი და მაშინ ისე დავაყენებთ საკითხს, რომ, ვიდრე დღის წესრიგში არ დგას მუშათა კლასის ბრძოლა მთელი ძალაუფლებისათვის, ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმების გამოყენება ჩვენთვის სავალდებულოა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ სწორედ მივადექით ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტს

საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ახლა საკითხი ასე დადგა: შეინარჩუნებენ თუ არა კაპიტალისტები ძალაუფლებას წარმოების საშუალებათა მიმართ და უწინარეს ყოვლისა, — წარმოების იარაღთა საკუთრებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ახალ ომებს ამზადებენ. იმპერიალისტურმა ომმა ჩვენ სრული სიცხადით დაგვანახვა, თუ როგორ არის დაკავშირებული კაპიტალისტური საკუთრება ხალხთა ამ ხოცვა-ჟლეტასთან და როგორ თავშეუკავებლად და განუხრელად მიგვიყვანა ამ საკუთრებამ ხოცვა-ჟლეტამდე. მაგრამ მაშინ ყოველგვარი ლაპარაკი დემოკრატიაზე იმ აზრით, თითქოს იგი ხალხის საყოველთაო ნებას გამოხატავდეს, ყველასათვის თვალსაჩინოდ მატყუარობა გამოდის, გამოდის მხოლოდ კაპიტალისტებისა და მდიდრების პრივილეგია — გააბრიყვონ ᲫᲨრომელთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები თავიანთი პრესითაც, რომელიც მესაკუთრეთა ხელში რჩება, და პოლიტიკური ზემოქმედების ყველა სხვა საშუალებითაც.

საკითხი ასე და მხოლოდ ასე დგას. ან ბურჟუაზიის დიქტატურა, შენიღბული დამფუძნებელი კრებებით, ყოველგვარი ხმისმიცემით, დემოკრატიით და ამგვარი ბურჟუაზიული მატყუარობით, რითაც სულელებს უბრმავებენ თვალებს და რითაც ახლა შეუძლიათ თავი მოჰქონდეთ და თავი მოსწონდეთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სულ ერთიანად და მთელი ხაზით მარქსიზმის რენეგატები და სოციალიზმის რენეგატები გამხდარან, — ან პროლეტარიატის დიქტატურა, რათა რკინის ხელით დაითრგუნოს ბურჟუაზია, რომელიც ყველაზე შეუგნებელ ელემენტებს მსოფლიო პროლეტარიატის საუკეთესო ბელადების წინააღმდეგ ამხედრებს. ან პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიის დასათრგუნავად, რომელიც ახლა მით უფრო გააფთრებით აწყობს უმძაფრეს წინააღმდეგობას პროლეტარიატისადმი, რაც უფრო ნათლად ხედავს, რომ ეს საკითხი დასმულია მასების მიერ. ვინაიდან დღემდე, უმეტეს შემთხვევაში, ბურჟუაზიას მუშების დრტვინვა და აღშფოთება მათი უკმაყოფილების დროებით გამოხატულებად მიაჩნდა. დღემდე, მაგალითად, ინგლისელი კაპიტალისტები,

მუშების პოლიტიკური მოტყუების საქმეში იქნებ ყველაზე უფრო დახელოვნებულნი, პოლიტიკურად ყველაზე უფრო გაწვრთნილნი და ორგანიზებულნი, ისინი დღემდეც, ძალიან ხშირად, სწორედ ისე უყურებენ საქმეს, რომ ომმა, რა თქმა უნდა, უკმაყოფილება წარმოშვა, და ეს გარდუვალად იწვევს და გამოიწვევს მუშათა მღელვარებას, მაგრამ საკითხი ახლა იმაზე რომ იდგეს, ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში, ვის ხელში იქნება სახელმწიფო ძალაუფლება და შერჩებათ თუ არა საკუთრება ბატონ კაპიტალისტებს, — ამაზე მათ ჯერ არაფერი უთქვამთ. ამავე დროს კი, მოვლენებმა ცხადყვეს, რომ სწორედ ეს საკითხი უეჭველად იყო დღის წესრიგში დასმული არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებშიც, და არა მარტო ომის მონაწილე ქვეყნებში, არამედ ისეთ ნეიტრალურ ქვეყნებშიც, რომლებიც, შვეიცარიისა და ჰოლანდიის მსგავსად, შედარებით ნაკლებად დაზარალდნენ.

ბურჟუაზია ყველაზე მეტად იზრდებოდა და ზრდიდა მასებს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის სულისკვეთებით, ხოლო მასებში, რაც ცხადზე უცხადესი გახდა, მწიფდებოდა საბჭოთა მოძრაობა, მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. საბჭოთა მოძრაობა უკვე აღარ არის პროლეტარიატის ხელისუფლების რუსული ფორმა, იგი გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარიატის პოზიციად მის ბრძოლაში ხელისუფლებისათვის, გადაიქცა მეორე ნაბიჯად სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო განვითარებაში. პირველი ნაბიჯი იყო პარიზის კომუნა, რომელმაც ცხადყო, რომ სოციალიზმამდე მუშათა კლასი მხოლოდ დიქტატურის გზით, ექსპლოატატორთა ძალდატანებით დათრგუნვის გზით მივა. პირველი, რაც პარიზის კომუნამ გვიჩვენა, ის არის, რომ მუშათა კლასი ვერ შეძლებს სოციალიზმისაკენ სვლას ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტური სახელმწიფოს გზით, არამედ იგი ამას შეძლებს მხოლოდ ახალი ტიპის სახელმწიფოს გზით, რომელიც პარლამენტარიზმსაც და მოხელეობასაც თავიდან ბოლომდე ამსხვრევს.

მეორე ნაბიჯი, სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით, არის საბჭოთა ხელისუფლება. და თუ იგი თავდაპირველად მხოლოდ რუსულ მოვლენად მიაჩნდათ, იგი კი შეიძლებოდა და კიდევაც უნდა მიჩნეულიყო ასეთ მოვლენად, თუ ფაქტების ნიადაგს არ დავტოვებთ, — ახლა ამბებმა ცხადყვეს, რომ ეს მხოლოდ რუსული მოვლენა არ არის, რომ ეს პროლეტარიატის ბრძოლის საერთაშორისო ფორმაა, რომ ომებმა, რომლებმაც ახლებურად გადააჯგუფეს პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასები, მისცეს მათ ახალი ორგანიზაცია, რომელიც აშკარად უპირისპირდება მძარცველურ იმპერიალიზმს, უპირისპირდება კაპიტალისტთა კლასს მისი ომამდე უნახავი, გაუგონარი მოგებითურთ; ომებმა ყველგან შექმნეს ბრძოლის ეს ახალი მასობრივი ორგანიზაციები, პროლეტარიატის ორგანიზაციები ბურჟუაზიის ძალაუფლების დასამხობად.

ყველას როდი ჰქონდა შეგნებული საბჭოების ეს მნიშვნელობა, როცა ხაბჭოები წარმოიშვნენ. ახლაც ყველას როდი აქვს შეგნებული ეს მნიშვნელობა. ჩვენთვის კი, რომლებსაც გვინახავს ამ საბჭოების ჩანასახები 1905 წელს, ჩვენთვის კი, რომლებმაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოვიარეთ მასების საბჭოთა ორგანიზაციასა და წვრილბურჟუაზიულ, შემთანხმებლურ, გამცემლურ იდეოლოგიას შორის მერყეობისა და ქანაობის ხანგრძლივი დრო, — ჩვენთვის ახლა სურათი ნათელზე ნათელია. ეს სურათი თითქოს ჩვენს ხელის გულზეა გადაშლილი, და ჩვენ საკითხის გადაწყვეტას ვუდგებით ამ სურათის თვალსაზრისით, იმის თვალსაზრისით, თუ დღითი დღე როგორ უფრო და უფრო ფართოდ და ღრმად ჩაღდებოდა და ჩაღდება პროლეტარიატის ბრძოლა ძალაუფლებისათვის სახელმწიფოში, ბრძოლა კაპიტალისტური საკუთრების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით აბა რა ფასი აქვს ყველა მითითებას დემოკრატიაზე და ყველა ფრაზას «დამოუკიდებლობის» შესახებ და სხვა ამგვარ სიტყვებს, რომლებიც ყოველთვის უქცევს რაღაც გარეკლასობრივი პოზიციისაკენ, როცა ივიწყებენ, რომ კაპიტალისტურ

საზოგადოებაში ბურჟუაზია ბატონობს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება წარმოიშობა სწორედ ბურჟუაზიის ძალაუფლებიდან როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში. სწორედ პროლეტარიატის ძალაუფლება, მაგრამ არაფერი საშუალო, რამდენადმე სერიოზულ საკითხებში, რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეიძლება იყოს. ხოლო ვინც ლაპარაკობს დამოუკიდებლობაზე, ვინც ლაპარაკობს დემოკრატიაზე საერთოდ, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად გულისხმობს რაღაც საშუალოს, რაღაც კლასთაშორის მდებარეს, რაღაც ზეკლასობრივს. და ყველა შემთხვევაში ეს არის თავის მოტყუება, ეს არის მატყუარობა, ეს არის იმის დაფარვა, რომ ვიდრე კაპიტალისტების ძალაუფლება რჩება, ვიდრე წარმოების იარაღთა საკუთრება კაპიტალისტების ხელში რჩება, — მანამდე დემოკრატია შეიძლება იყოს ნაკლებად ფართო, შეიძლება იყოს უფრო ფართო, ცივილიზებული და სხვა ამგვარი, ნამდვილად კი ბურჟუაზიული დიქტატურა რჩება, და მით უფრო ნათლად, მით უფრო აშკარად გადმოჩქეფს სამოქალაქო ომი ყოველი დიდი წინააღმდეგობიდან.

რაც უფრო ახლოსაა დემოკრატიასთან საფრანგეთის პოლიტიკური ფორმები, მით უფრო გამომდინარეობს იქ სამოქალაქო ომი ისეთი საქმიდან, როგორიცაა დრეიფუსის საქმე. რაც უფრო ფართოა დემოკრატია ამერიკაში, პროლეტარიატით, ინტერნაციონალისტებით და უბრალო პაციფისტებითურთაც კი, მით უფრო ხშირია ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევები და მით უფრო ხშირად იფეთქებს ხოლმე სამოქალაქო ომი. ამის მნიშვნელობა მით უფრო ნათელია ჩვენთვის ახლა, როდესაც გერმანიაში ბურჟუაზიული თავისუფლების, დემოკრატიის პირველ კვირას მოჰყვა უაღრესად გააფთრებული, გაცილებით უფრო მწვავე, გაცილებით უფრო საშინელი სამოქალაქო ომის გაჩაღება, ვიდრე ეს ჩვენში იყო. და ვინც მსჯელობს ამ აფეთქებებზე იმ თვალსაზრისით, შექმნილია თუ არა ამა თუ იმ პარტიის სასამართლო; ვინც მსჯელობს ლიბკნეხტის და ლუქსემბურგის მკვლელობაზე, როგორც უბრალოდ მკვლელობაზე, მას

აზროვნების სიბრმავე და სილაჩრე ახასიათებს და არ სურს იმის გაგება, რომ ჩვენს წინაშე აქ არის აფეთქებანი თავშეუკავებელი სამოქალაქო ომისა, რომელიც გარდუვალად გამომდინარეობს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობიდან. შუათანა რამ არ არის და არც შეიძლება იყოს. ყოველგვარი ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე ან დემოკრატიაზე საერთოდ, რა სანელებლითაც უნდა შეაზავონ იგი, არის უდიდესი მატყუარობა, სოციალიზმის უდიდესი გამცემლობა. და თუ თეორიული პროპაგანდა ბოლშევიკებისა, რომლებიც ახლა ინტერნაციონალის ფაქტიური დამაარსებელნი არიან, თუ ბოლშევიკების თეორიული ქადაგება სამოქალაქო ომისა შორს არ წვდებოდა და ძალიან ხშირად იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცენზურული ზღუდეებისა და სამხედრო შემაფერხებელ ღონისძიებათა წინაშე ჩერდებოდა, სამაგიეროდ ახლა უკვე არა ქადაგება, არა თეორია, არამედ სამოქალაქო ომის ფაქტები მით უფრო მძაფრი ხდება, რაც უფრო ძველია, რაც უფრო ხანგრძლივია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატია. ეს ფაქტები ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე გონებაჩლუნგი ადამიანების თავის ქალაშიც შეიჭრებიან. ისეთ ადამიანებზე, რომლებიც მსჯელობენ საერთოდ დემოკრატიის შესახებ, დამოუკიდებლობის შესახებ, ასეთ ადამიანებზე ახლა შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ როგორც სამუზეუმო ეგზემპლარებზე.

და მაინც, ვიღებთ რა მხედველობაში ბრძოლის იმ მძიმე პირობებს, რომლებიდანაც რუსეთის პროფესიული მოძრაობა მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ წარმოიშვა და გაიზარდა, ახლა კი თითქმის უკვე საბოლოოდ გაიზარდა, საჭირო ხდება გაკვრით მივიხედოთ უკან, გავიხსენოთ გუშინდელი დღე. ჩემი აზრით ასეთი გახსენება, მოგონება მით უფრო აუცილებელია, რომ პროფესიულ მოძრაობას, სწორედ როგორც პროფესიულ მოძრაობას, დაწყებული მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებით მძაფრი გარდატეხის განცდა უხდება.

ბურჟუაზიის იდეოლოგები განსაკუთრებით ფართოდ ცდილობდნენ ამ პროფესიულ მოძრაობაში, როგორც მღვრიე წყალში, თევზი დაეჭირათ. ისინი ცდილობდნენ პოლიტიკური ბრძოლისაგან დამოუკიდებელი გაეხადათ ეკონომიური ბრძოლა, რომელიც პროფესიული მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს კი, პროფესიულ კავშირებს, როგორც კლასობრივი მასშტაბით პროლეტარიატის ყველაზე ფართო ორგანიზაციას, სწორედ ახლა, საქმით, განსაკუთრებით იმ პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ, რომელმაც ძალაუფლება პროლეტარიატს მიანიჭა, სწორედ ასეთ მომენტში უხდებათ განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება, უხდებათ ყველაზე ცენტრალური მდგომარეობის დაკავება პოლიტიკაში, უხდებათ, ამ სიტყვის გარკვეული აზრით, მთავარ პოლიტიკურ ორგანოდ გადაქცევა, ვინაიდან ამ პოლიტიკის ყველა ძველი ცნება, ძველი კატეგორიები გაქარწყლებული და გადაყირავებულია პოლიტიკური გადატრიალებით, რომელმაც ძალაუფლება პროლეტარიატს გადასცა ხელში. ვიმეორებ, ძველი სახელმწიფო, როგორც მას აშენებდნენ, თუნდაც საუკეთესონი და უდემოკრატიულესნი ბურჟუაზიული რესპუბლიკებიდან, არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა ბურჟუაზიის დიქტატურა, ე. ი. იმათი დიქტატურა, ვის ხელშიც არის ფაბრიკები, წარმოების იარაღები, მიწა, რკინიგზები, ერთი სიტყვით, ყველა მატერიალური საშუალებანი, შრომის ყველა იარაღი, რომელთა უქონლად შრომა მონური რჩება.

სწორედ ამიტომ, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდა, პროფესიულ კავშირებს სულ უფრო და უფრო უხდებოდათ გამოსვლა მუშათა კლასის პოლიტიკის მშენებელთა როლში, ისეთ ადამიანთა როლში, რომელთა კლასის ორგანიზაციამ უნდა შეცვალოს წინანდელი ექსპლოატატორული კლასი, უკუაგდოს ყველა ძველი ტრადიცია და ცრურწმენანი ძველი მეცნიერებისა, რომელიც ერთ-ერთი სწავლულის პირით ეუბნებოდა პროლეტარიატს:

თქვენ თქვენს ეკონომიკას გაუძეხით, პოლიტიკას კი ბურჟუაზიული ელემენტების პარტია გაუძღვებაო. მთელი ეს ქადაგება პირდაპირ იარაღი გამოდგა ექსპლოატატორთა კლასისა და მათი ჯალათების ხელში იმისათვის, რომ დათრგუნონ პროლეტარიატი, რომელიც ყველგან აჯანყებებსა და ბრძოლაზე გადადის.

და აქ, ამხანაგებო, პროფესიულ კავშირებს სახელმწიფო შეზღუდულობის ხაზით გასაწევ თავიანთ მუშაობაში უხდებათ სიფულიად ახალი საკითხის დასმა — პროფესიულ კავშირთა «გასახელმწიფოებრივების» საკითხისა, როგორც ამ საკითხს კომუნისტთა ფრაქციის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში უწოდებენ. აქ პროფესიული კავშირები ყველაზე მეტად უნდა ჩაუფიქრდნენ თანამედროვე კომუნიზმის დამაარსებელთა ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და შესანიშნავ აზრს: «რაც უფრო ფართო და რაც უფრო ღრმაა საზოგადოებაში მომხდარი გადატრიალება, მით უფრო ბევრნი უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ გადატრიალებას ახდენენ, რომლებიც ამ გადატრიალების შემოქმედნი არიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით» [142]. აიღეთ ძველი ბატონყმური, თავადაზნაურული საზოგადოება. იქ გადატრიალებათა მოხდენა ისე ადვილი იყო, რომ კაცს სიცილი შეიძლება მოგვაროს, ვიდრე საქმე ეხებოდა იმას, რომ ძალაუფლება წართმეოდა თავადაზნაურთა ან ფეოდალთა ერთ ჯგუფს და გადასცემოდა მეორე ჯგუფს. აიღეთ ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც თავისი საყოველთაო ხმისმიცემით იკვეხნის. ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ეს საყოველთაო ხმისმიცემა, მთელი ეს აპარატი მატყუარობად იქცევა, რადგან მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა დაჩაგრული და დაბეჩავებულია ყველაზე მოწინავე, კულტურულ და დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, — ისეა დაბეჩავებული კაპიტალისტური კატორღით, რომ ფაქტიურად პოლიტიკაში არ მონაწილეობს და ვერც მიიღებს მონაწილეობას. და აი ახლა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხდება გადატრიალება, რომელსაც შეუძლია სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე მიგვიყვანოს, — და ეს

მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალი ვეებერთელა მასები დამოუკიდებლად მოკიდებენ ხელს მართვა-გამგეობის საქმეს. სოციალისტური გადატრიალება ნიშნავს არა სახელმწიფოს ფორმების შეცვლას, არა მონარქიის შეცვლას რესპუბლიკით, არა ადამიანთა ახალ ხმისმიცემას, რომელიც გულისხმობს სავსებით «თანასწორ» ადამიანებს და რომელიც ნამდვილად წარმოადგენს იმის ოსტატურ მიჩქმალვასა და დაფარვას, რომ ერთი მესაკუთრეა, მეორე კი — უქონელი. ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანთა თვალსაზრისით, — რაკი არსებობს «დემოკრატია» და რაკი კაპიტალისტი და პროლეტარი მონაწილეობენ ამ ხმისმიცემაში, — ეს არის «ხალხის ნება», ეს არის «თანასწორობა», ეს არის მისი ნება-სურვილის გამოხატვა. ჩვენ ვიცით, თუ რა საზიზღარ მატყუარობას წარმოადგენს ეს ლაპარაკი, რომელიც ებერტისა და შეიდემანის მსგავსი ჯალათებისა და მკვლელების საფარია მხოლოდ. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელთა მასას განაგებდა ბურჟუაზია, ამა თუ იმ მეტად თუ ნაკლებად დემოკრატიული ფორმების საშუალებით, განაგებდა უმცირესობა, განაგებდნენ მქონებელი, კაპიტალისტური საკუთრების მონაწილე ელემენტები, რომლებმაც განათლება და მეცნიერება, კაპიტალისტური ცივილიზაციის ეს უმაღლესი დასაყრდენი და უმაღლესი მიღწევა, ექსპლოატაციის იარაღად, მონოპოლიად გადააქციეს, რათა ხალხის უდიდესი უმრავლესობა მონობაში იყოლიონ. გადატრიალება, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, რომელსაც ჩვენ უკვე ორი წელია ვახდენთ და რომლის ბოლომდე მიყვანაც ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი (ტ ა შ ი), — ეს გადატრიალება მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი და განსახორციელებელი, თუ ჩვენ მივაღწევთ ძალაუფლების ახალი კლასის ხელში გადასვლას, თუ ბურჟუაზიის, კაპიტალისტი მონათმფლობელების, ბურჟუაზიული ინტელიგენტების, ყველა მქონებელის, ყველა მესაკუთრის წარმომადგენლების ადგილს, — მართვა-გამგეობის მთელ საქმეში, სახელმწიფო მშენებლობის მთელ საქმეში, ახალი

ცხოვრების ხელმძღვანელობის მთელ საქმეში — თავიდან ბოლომდე ახალი კლასი დაიჭერს.

აი ამოცანა, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე დგას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ახალი კლასი აღიზრდება არა წიგნების, არა მიტინგების, არა სიტყვების საშუალებით, — არამედ თავისი მართვა-გამგეობის პრაქტიკით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ამაში ჩააბამს მშრომელთა ფრიად ფართო მასებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეიმუშავებს ისეთ ფორმებს, რომლებიც ყველა მშრომელს შესაძლებლობას მისცემს ადვილად შეეგუოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წესრიგის შექმნის საქმეს, — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მტკიცე იყოს სოციალისტური გადატრიალება და მხოლოდ ამ პირობით არ შეიძლება იგი მტკიცე არ იყოს. ამ პირობის არსებობისას იგი ისეთი ძალა იქნება, რომელიც უკუაგდებს კაპიტალიზმს და მთელ მის ნაშთებს, როგორც ხავსს, როგორც ფერფლს.

აი ამოცანა, რომელიც, კლასობრივი თვალსაზრისით, საერთოდ რომ ითქვას, დგას ჩვენს წინაშე, როგორც ძლევამოსილი სოციალისტური გადატრიალების პირობა, ის ამოცანა, რომელიც ასე ახლო და ასე უშუალოდ უკავშირდება იმ ორგანიზაციების ამოცანას, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებშიც კი ესწრაფვოდნენ უაღრესად ფართო მასობრივ ბრძოლას ამ საზოგადოების მოსპობისათვის. მაგრამ მაშინდელი ორგანიზაციებიდან პროფესიული კავშირები ყველაზე ფართო ორგანიზაციები იყვნენ, რომლებიც ახლა, რჩებიან რა ფორმალურად დამოუკიდებელ ორგანიზაციებად, შეძლებენ და ვალდებულიც არიან, როგორც ამბობს თქვენთვის წარმოდგენილი რეზოლუციის ერთ-ერთი დებულება, ენერგიული მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში იმ გზით, რომ უშუალოდ იმუშაონ ყველა სახელმწიფო ორგანოში, მოაწყონ მათი საქმიანობის მიმართ მასობრივი კონტროლი და სხვა, შექმნან მთელი წარმოებისა და განაწილების აღრიცხვის, კონტროლისა და მოწესრიგების ახალი ორგანოები, რაც დამყარებული

იქნება თვით დაინტერესებული ფართო მშრომელი მასების ორგანიზებულ თვითმოქმედებაზე.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში საუკეთესო შემთხვევებში, ყველაზე მოწინავე ქვეყნებში, ცივილიზაციისა და კულტურის ათეული წლობით, ზოგჯერ ასეული წლობით განვითარების შემდეგაც კი, ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს არასოდეს არ ყოფილა, რომ პროფესიულ კავშირებში დაქირავებული მუშების ერთ მეხუთედზე მეტი ყოფილიყოს ჩაბმული. პროფკავშირებში მცირერიცხოვანი ზედაფენა მონაწილეობდა, და ამ ზედაფენიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს გადაიბირებდნენ, მოისყიდდნენ ხოლმე კაპიტალისტები, რათა მათ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადგილები დაეჭირათ როგორც მუშათა ბელადებს. ამერიკელი სოციალისტები ამ ადამიანებს «კაპიტალისტთა კლასის მუშა ლეიტენანტებს» უწოდებდნენ. ყველაზე თავისუფალი ბურჟუაზიული კულტურის ქვეყანაში, ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში ისინი ყველაზე უკეთ ხედავდნენ ამ როლს პროლეტარიატის სრულიად უმნიშვნელო ზედაფენებისას, რომლებიც ფაქტიურად დგებოდნენ ბურჟუაზიის სამსახურში, მის ცვლას შეადგენდნენ, რომლებსაც ბურჟუაზია მოისყიდდა და შეისყიდდა ხოლმე და რომლებიც ქმნიდნენ სოციალ-პატრიოტებისა და ობორონცების იმ კადრებს, რომელთა გმირებად სამუდამოდ დარჩებიან ებერტი და შეიდემანი.

ჩვენში, ამხანაგებო, ახლა სხვა მდგომარეობაა. პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ ახლებურად დაიწყონ სახელმწიფოებრივი ეკონომიური მშენებლობა, ამასთან დაეყრდნონ ყოველივე იმას, რაც კაპიტალისტურ კულტურას შეუქმნია, დაეყრდნონ იმას, რაც კაპიტალისტურ წარმოებას შეუქმნია და აშენონ სოციალიზმი სწორედ ამ მატერიალურ ბაზაზე, იმ მსხვილი წარმოების ბაზაზე, რომლის უღელიც ჩვენ გვაწვა, რომელიც ჩვენს საწინააღმდეგოდაა შექმნილი, რომელიც მუშათა მასების უსაზღვრო ჩაგვრისათვის იქმნებოდა, მაგრამ რომელიც მათ აერთიანებდა, რაზმავდა და რომელმაც

ამით შექმნა ახალი საზოგადოების ავანგარდი. და ამ ავანგარდმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, ხელი მიჰყო თავის ნამდვილ საქმეს — მშრომელი ექსპლოატირებული მასის აღზრდას, მის ჩაბმას სახელმწიფოს მმართველობაში, წარმოების მმართველობაში უმოხელეებოდ, უბურჟუაზიოდ, უკაპიტალისტებოდ. აი რატომ არის, რომ თქვენდამი წარდგენილი რეზოლუცია უკუაგდებს ყოველგვარ ბურჟუაზიულ გეგმას და მთელ ამ გამცემლურ სიტყვებს. აი რატომ ამბობს ეს რეზოლუცია, რომ პროფესიული კავშირების გასახელმწიფოებრივება აუცილებელია. ამასთან ერთად, ეს რეზოლუცია ნაბიჯს დგამს წინ. ჩვენ ახლა უკვე არა მარტო თეორიულად ვაყენებთ პროფესიულ კავშირთა გასახელმწიფოებრივების საკითხს. მადლობა ღმერთს, ჩვენ გავცილდით იმ სტადიას, როდესაც ამ საკითხებს მარტო თეორიული დისკუსიისათვის ვაყენებდით. ჩვენ ისე შორს წავედით, რომ ზოგჯერ, იქნებ, კიდეც გვავიწყდება ის დრო, როდესაც ჩვენ გართული ვიყავით ასეთი თავისუფალი დისკუსიებით წმინდა თეორიულ თემაზე. დიდი ხანია, რაც ეს დრო დასამარებულია, და ამ საკითხებს ჩვენ ახლა ვაყენებთ პროფესიული კავშირების ერთი წლის გამოცდილების საფუძველზე, — პროფესიული კავშირებისა, რომლებმაც, როგორც წარმოების ორგანიზატორთა როლის შემსრულებლებმა, შექმნეს ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლებმაც ამ წარმოუდგენლად ძნელ საქმეში მრავალი შეცდომა ჩაიდინეს და რომლებიც, თავისთავად ცხადია, მუდამ სჩადიან შეცდომებს, არ აქცევენ რა ყურადღებას, თუ რა ბოროტად ხითხითებს ბურჟუაზია, რომელიც ამბობს: აი პროლეტარებმა ხელი მოჰკიდეს შენებას, და აი რა შეცდომები ჩაიდინესო.

ბურჟუაზიას ჰგონია, რომ როდესაც მან მეფესა და თავადაზნაურობას ჩამოართვა საქმე, ის შეცდომებს არ სჩადიოდა. ბურჟუაზიას ჰგონია, რომ 1861 წლის რეფორმამ, რომელიც

ბატონყმობის შენობის შეკეთება იყო და მემამულეთა ხელში აუარებელ შემოსავალსა და ძალაუფლებას ტოვებდა, რომ ამ რეფორმამ უმტკივნეულოდ ჩაიარა, რომ მას ათეული წლებით ქაოსი არ შეუქმნია რუსეთში. არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც ბატონ თავადაზნაურებს სასაცილოდ არ აეგდოთ ბურჟუაზიის წრიდან გამოსული მეტიჩრები და რაზნოჩინელები, რომლებიც ხელს ჰკიდებდნენ სახელმწიფოს მართვის ამოცანას.

თავისთავად გასაგებია, რომ ახლა ბურჟუაზიული ინტელიგენციის მთელი ნაღები ან, უკეთ რომ ითქვას, ამ ინტელიგენციის ფშუტყვავილანი დასცინიან ყოველ შეცდომას, რომელსაც ახალი ხელისუფლება სჩადის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალ კლასს მოუხდა, ექსპლოატატორთა გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და ყველაზე ნაკლებად მომზადებული ქვეყნის — რუსეთის წინააღმდეგ ექსპლოატატორთა მსოფლიო კავშირის გამოლაშქრების გამო, — როდესაც მშრომელთა კავშირს მოუხდა გადატრიალების განხორციელება საშინელი სისწრაფით და ისეთ პირობებში, როდესაც უნდა გვეფიქრნა არა იმდენად ამ გადატრიალების უმტკივნეულოდ მიმდინარეობაზე, რამდენადაც იმაზე, რომ როგორმე გაგვეძლო მანამდე, სანამ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი დაიწყებდა გამოღვიძებას. ეს ამოცანა ჩვენ გადავწყვიტეთ. ამ მხრივ, ამხანაგებო, ჩვენ უკვე ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ბევრად უფრო ბედნიერნი ვართ, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწენი იყვნენ; ეს რევოლუცია დაამარცხა მონარქიული და ჩამორჩენილი ქვეყნების კავშირმა, რომელმაც მაშინდელი ბურჟუაზიის ქვედა ფენების ძალაუფლების სახით მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო, რომელმაც ერთბაშად ვერ გამოიწვია იმგვარივე მოძრაობა სხვა ქვეყნებში და რომელმაც, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიისათვის, ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის იმდენი რამ გააკეთა, რომ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის მთელი განვითარება მთელ XIX საუკუნეში —

ყველაფერი საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან გამომდინარეობს, ყველაფერს მას უნდა უმადლოდეს.

ჩვენ გაცილებით უფრო ბედნიერნი ვართ. ის, რაც მაშინდელმა მოღვაწეებმა ერთი წლის განმავლობაში გააკეთეს ბურჟუაზიული დემოკრატიის გასავითარებლად, ეს ჩვენ იმავე ვადაში, ამ გასული წლის მანძილზე, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით გავაკეთეთ ახალი პროლეტარული რეჟიმისათვის, გავაკეთეთ ისე, რომ უკვე ახლა რუსეთში გაჩაღებულმა მოძრაობამ, რაც დაიწყო არა ჩვენ დამსახურებათა წყალობით, არამედ გარემოებათა განსაკუთრებული თანადამთხვევისა და განსაკუთრებული პირობების გამო, რომლებიც რუსეთს თანამედროვე კულტურული მსოფლიოს ორ იმპერიალისტურ გიგანტს შუა აყენებენ, — ამ მოძრაობამ და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ამ წლის განმავლობაში იმას მიაღწიეს, რომ თვითონ მოძრაობა საერთაშორისო გახდა, რომ დაარსებულია კომუნისტური ინტერნაციონალი, იმას მიაღწიეს, რომ ძველი ბურჟუაზიული დემოკრატიის ლოზუნგები და იდეალები დამსხვრეულია, და ახლა მთელ მსოფლიოში არ არის არც ერთი შეგნებული პოლიტიკოსი, რა პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს ის, რომელიც ვერ ხედავდეს, რომ საერთაშორისო სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, რომ იგი უკვე ხდება. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, მე ცოტათი განზე გადავუხვიე, როცა იმ თემას შევეხე, თუ როგორ შორს წავედით, როდესაც საკითხის თეორიული დაყენების მაგივრად მის პრაქტიკულად გადაწყვეტას მივადექით. ჩვენ გვაქვს ერთი წლის გამოცდილება, რომელმაც უკვე ახლა განუზომლად მეტი წარმატებანი მოგვცა პროლეტარიატისა და მისი რევოლუციის გამარჯვების საქმეში, ვიდრე XVIII საუკუნის დამლევს ბურჟუაზიული დემოკრატიის დიქტატურის ერთმა წელმა მოგვცა ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელ მსოფლიოში გასამარჯვებლად. მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ, გარდა ამისა, შევიძინეთ უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თუ ზუსტად ვერ

გავითვალისწინებთ თვითეულ ჩვენს ნაბიჯს, ყოველ შემთხვევაში, დავსახოთ განვითარების ტემპი, მისი სისწრაფე, დავინახოთ პრაქტიკული სიძნელეები, დავინახოთ პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც ბურჟუაზიის დამხობის საქმეში ერთი ნაწილობრივი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ წაგვიყვანს.

უკან რომ გავყურებთ, ჩვენ ვხედავთ, თუ რა შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, ნათლად ვხედავთ, თუ რა უნდა ვაშენოთ და როგორ უნდა ვაშენოთ შემდეგ. აი რატომ არ სჯერდება ჩვენი რეზოლუცია პროფესიული კავშირების გასახელმწიფოებრივების აღიარებას, პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპულ აღიარებას, იმის აუცილებლობის აღიარებას, რომ ჩვენ, როგორც ეს რეზოლუციის ერთ ადგილასაა ნათქვამი, მივდივართ «გარდუვალად პროფესიული ორგანიზაციების შეერთებისაკენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან», — ეს ჩვენ თეორიულადაც ვიცით, ეს ჩვენ ოქტომბრის წინაც დავსახეთ, ეს უფრო ადრეც უნდა დაგვესახა. მაგრამ ეს ცოტაა. პარტიისათვის, რომელიც სავსებით მიადგა სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობას, პროფესიული კავშირებისათვის, რომლებმაც უკვე გამოჰყვეს მრეწველობის მართვის ორგანოები სრულიად რუსეთისა და საერთო-სახელმწიფო მასშტაბით, რომლებმაც უკვე შექმნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომლებმაც ათასობით შეცდომა ჩაიდინეს და ამის წყალობით შეიძინეს თავიანთი საკუთარი ორგანიზაციული გამოცდილების ათასობით ელემენტი, საკითხის არსი ის კი არ არის, რაც წინათ იყო.

ახლა ჩვენთვის უკვე საკმარისი არ არის პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებას დავჯერდეთ. აუცილებელია პროფესიული კავშირების გასახელმწიფოებრივება, აუცილებელია მათი შეერთება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, აუცილებელია მათ ხელში გადავიდეს მთლიანად მსხვილი წარმოების მშენებლობის საქმე. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი როდია.

საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა გავითვალისწინოთ უახლოესი, ახლანდელი მომენტი. ეს არის ახლა ჩვენთვის ამოცანის არსი. და აი რეზოლუცია ამ მომენტს ეხება, როცა ამბობს: ახლა რომ პროფესიულმა კავშირებმა სცადონ და თვითნებურად იკისრონ სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციები, აქედან მხოლოდ დომხალი გამოვაო. ამ დომხალმა ჩვენ საკმაო ზიანი მოგვაყენა. ჩვენ ბევრს ვებრძოდით წყეული ბურჟუაზიული წყობილების იმ ნაშთებს, წვრილმესაკუთრულ, ანარქისტულ თუ ეგოისტურ, მისწრაფებებს, რომლებიც მუშებშიც ღრმადაა გამჯდარი.

მუშა ძველი საზოგადოებისაგან არასოდეს არ ყოფილა ჩინური კედლით გამოყოფილი. მასაც ბლომად აქვს შერჩენილი კაპიტალისტური საზოგადოების ტრადიციული ფსიქოლოგია. მუშები ახალ საზოგადოებას აშენებენ, ხოლო თვითონ არ გადაქცეულან ახალ ადამიანებად, არ გასუფთავებულან ძველი სამყაროს ჭუჭყისაგან, არამედ მუხლებამდე ჯერ კიდევ ამ ჭუჭყში არიან ჩაფლულნი. ჩვენი ოცნებაა მხოლოდ, რომ ეს ჭუჭყი ჩამოვიცილოთ. უდიდესი უტოპია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს შეიძლება დაუყოვნებლივ გაკეთდეს. ეს ისეთი უტოპია იქნებოდა, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ უაღრესად დაგვაშორებდა სოციალიზმის სამეფოს.

არა, სოციალიზმის აშენებას ჩვენ ასე არ ვუდგებით. ჩვენ მას ვუდგებით ისე, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ნიადაგზე ვდგავართ, ვიბრძვით ყველა იმ სუსტი მხარისა და ნაკლის წინააღმდეგ, რაც მშრომელებსაც აქვთ და რაც პროლეტარიატს დაბლა ეწევა. ამ ბრძოლაში ბევრია სეპარატისტული, ძველი წვრილმესაკუთრული ჩვეულებანი და მიდრეკილებანი, ჯერ კიდევ ძალა აქვს ძველ ლოზუნგს: «თვითეული თავისთვის, მარტო ღმერთია ყველასათვისო». ეს საკმაოზე მეტი იყო თვითეულ პროფესიულ კავშირში, თვითეულ ფაბრიკაში, რომელიც ძალიან ხშირად მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, დანარჩენზე კი უფალმა ღმერთმა და უფროსებმა იზრუნონო. ეს ჩვენ ვნახეთ, ეს ჩვენ საკუთარ ზურგზე

გამოვცადეთ, ეს ჩვენ იმდენ შეცდომად, იმდენ მძიმე შეცდომად დაგვიჯდა, რომ ამ გამოცდილებას ჩვენ ახლა ვითვალისწინებთ და ვეუბნებით ამხანაგებს: უაღრესად გადაჭრით გაფრთხილებთ — არ ჩაიდინოთ არავითარი თვითნებური მოქმედება ამ დარგში-თქო. და ჩვენ ვამბობთ: ეს სოციალიზმის მშენებლობა კი არ იქნება, ეს იქნება ის, რომ ჩვენ ყველანი კაპიტალიზმის სუსტ მხარეებს დავემორჩილებით.

ახლა ჩვენ ვისწავლეთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის მთელი სიძნელის გათვალისწინება. ჩვენ სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებული მუშაობის ცენტრში ვიმყოფებით და ასეთი მუშაობის თვალსაზრისით გეუბნებით — არავითარი თვითნებური მოქმედება არ ჩაიდინოთ ამ დარგში. შეგნებული მუშები გაფრთხილებულ უნდა იქნენ ამ თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ. უნდა ითქვას: ჩვენ ახლა, ხელის ერთი დაკვრით, არ შეგვიძლია პროფესიული კავშირები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შევუერთოთ. ეს შეცდომა იქნება. ამოცანა ასე არ ისმება.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარიატმა სახელმწიფოს მართვის საქმისათვის წამოაყენა რამდენიმე ათასი და, იქნებ, რამდენიმე ათეული ათასი პროლეტარი. ჩვენ ვიცით, რომ ახალ კლასს — პროლეტარიატს — ახლა თავისი წარმომადგენლები ჰყავს სახელმწიფო მმართველობის ყოველ დარგში, სოციალიზებული ან სოციალიზაციის პროცესში მყოფი საწარმოს ყოველ უბანზე ან მეურნეობის ყოველ დარგში. ეს პროლეტარიატმა იცის. იგი პრაქტიკულად შეუდგა საქმეს და ახლა ხედავს, რომ შემდგომაც უნდა წარიმართოს საქმე ამავე გზით, რომ საჭიროა კიდევ ბევრი ნაბიჯის გადადგმა, ვიდრე შეიძლებოდეს ვთქვათ: მშრომელთა პროფესიული გაერთიანებანი საბოლოოდ შეუერთდნენ მთელ სახელმწიფო აპარატსო. ეს მაშინ იქნება, როდესაც მუშები საბოლოოდ დაეპატრონებიან ერთი კლასის მიმართ მეორე კლასის ძალადატანების ორგანოებს. და ეს მოხდება, ეს ჩვენ ვიცით.

ჩვენ გვინდა ახლა მთელი ჩვენი ყურადღება უახლოეს პრაქტიკულ საქმეს მივაპყროთ. აუცილებელია კიდევ და კიდევ გავაფართოოთ თვით მშრომელთა მონაწილეობა მეურნეობის გამგებლობაში და ახალი საწარმოების მშენებლობაში. თუ ჩვენ ამ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, თუ ჩვენ პროფესიულ კავშირებს ვერ გადავაქცევთ ისეთ ორგანოებად, რომლებიც ახლანდელზე ერთიათად უფრო მეტ მასებს აღზრდიან სახელმწიფო მართვა-გამგეობაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად, — ისე ჩვენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანთ. ამას ჩვენ ნათლად ვხედავთ. ეს ნათქვამია ჩვენს რეზოლუციაში, და მინდა სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებას ყველაზე მეტად მივაქციო თქვენი ყურადღება.

იმ უდიდეს გადატრიალებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ისტორიაში, როდესაც პროლეტარიატმა ხელთ აიღო სახელმწიფო ძალაუფლება, პროფესიული კავშირები უდიდეს გარდატეხას განიცდიან მთელ თავიანთ მოღვაწეობაში. ისინი ახალი საზოგადოების მთავარი შემქმნელნი ხდებიან, რადგან ამ საზოგადოების შემქმნელნი მხოლოდ მრავალმილიონიანი მასები შეიძლება იყვნენ. როგორც ბატონყმობის ეპოქაში ასეულები იყვნენ ეს შემქმნელნი, როგორც კაპიტალიზმის ეპოქაში ათასები და ათეული ათასები აშენებდნენ სახელმწიფოს, ისე ახლა სოციალისტური გადატრიალება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ათეული მილიონები მიიღებენ აქტიურ, უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ჩვენ აქეთკენ მივდივართ, მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ არ მივსულვართ.

პროფესიულმა კავშირებმა უნდა იცოდნენ, რომ იმ ამოცანებთან ერთად, რომლებიც ნაწილობრივ დგას, ნაწილობრივ კი მოიხსნა, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც დარჩენილი იყოს, არ შეიძლება ჩვენთვის წვრილმან ამოცანებს არ წარმოადგენდნენ, — რომ აღრიცხვის, ნორმირების, ორგანიზაციათა გაერთიანების ამ ამოცანებთან ერთად ისმება უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი ამოცანა: ვასწავლოთ

მასას მართვა-გამგეობა, ვასწავლოთ არა მწიგნობრულად, არა ლექციებით, არა მიტინგებით, არამედ გამოცდილებით; ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ იმ მოწინავე ფენის ადგილზე, რომელიც პროლეტარიატმა თავისი წრიდან მოგვცა, რომელიც მან დააყენა მეთაურების, ორგანიზატორების როლის შესასრულებლად, — რომ ამ ფენის ადგილზე უფრო და უფრო მეტნი შედიოდნენ ამ უწყებებში მუშათა სულ ახალ-ახალი ფენები, რომ ამ ახალი ფენის ადგილზე ათი ასეთივე მოვიდეს. ეს ამოცანა უზარმაზარი და ძნელი გვეჩვენება. მაგრამ რომ ჩავუფიქრდეთ, თუ რევოლუციის გამოცდილებამ რა სწრაფად მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ოქტომბრიდან დასახული უზარმაზარი დავალებანი შეგვესრულებინა, თუ როგორ დაეწაფნენ ცოდნას მშრომელთა ის ფენები, რომლებისთვისაც ეს ცოდნა არც მისაწვდომი იყო და არც საჭირო, ამას რომ ჩავუფიქრდეთ, მაშინ ეს ამოცანა არ მოგვეჩვენება უზარმაზარი.

ჩვენ ვნახავთ, რომ შევძლებთ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, შევძლებთ მშრომელთა განუზომლად უფრო მეტ მასებს ვასწავლოთ ისეთი საქმე, როგორიც არის სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და მრეწველობის მართვა-გამგეობა, შევძლებთ გავაჩაღოთ პრაქტიკული მუშაობა, დავანგრიოთ ის, რაც საუკუნეებისა და ათეული წლების მანძილზე ინერგებოდა მუშათა მასებში, — ის მავნე ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე პრივილეგიურთა საქმე იყოს, რომ ეს განსაკუთრებულ ხელოვნებას წარმოადგენდეს. ეს მართალი არ არის. ჩვენ აუცილებლად ჩავიდენთ შეცდომებს, მაგრამ თვითეულ შეცდომაზე ახლა ისწავლიან არა ჯგუფები სტუდენტებისა, რომლებიც თეორიულად შეისწავლიან ხოლმე სახელმწიფო მმართველობის რომელიმე კურსს, არამედ მილიონობით მშრომელნი, რომლებიც თავიანთ თავზე იწვნევენ თვითეული შეცდომის შედეგებს, რომლებიც თვითონვე დაინახავენ, რომ მათ წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანები — პროდუქტთა აღრიცხვისა და განაწილების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანები, და რომლებიც გამოცდილებით

ხედავენ, რომ ძალაუფლება მათ ხელშია, რომ მათ არავინ დაეხმარება, თუ თავიანთ თავს თვითონ არ დაეხმარებიან, — აი ის ახალი ფსიქოლოგია, რომელიც მუშათა კლასში იქმნება, აი ის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც პროლეტარიატის წინაშე დგას, რომელიც ყველაზე მეტად უნდა ჩაინერგოს პროფესიული კავშირების შეგნებაში და პროფესიული მოძრაობის მოღვაწეთა შეგნებაში. ისინი მარტო პროფესიული კავშირები როდი არიან. ახლა ისინი პროფესიულ კავშირებს იმდენად წარმოადგენენ, რამდენადაც გაერთიანებული არიან ერთადერთ შესაძლებელ, ძველ კაპიტალიზმთან დაკავშირებულ ფარგლებში, და რამდენადაც აერთიანებენ მშრომელთა უდიდეს რიცხვს. პროფესიული კავშირების ამოცანა კი არის დასძრან მშრომელთა ეს მილიონები და ათეული მილიონები ერთი, უფრო მარტივი, საქმიანობიდან უფრო მაღალი საქმიანობისაკენ, ამასთან დაუღალავად წამოსწიონ ახალი ფენები მშრომელთა რეზერვიდან და განუხრელად აამაღლონ ისინი უაღრესად ძნელ ამოცანებამდე; ამრიგად, აღზარდონ უფრო და უფრო ფართო მასა სახელმწიფოს სამართავად, შეუერთდნენ იმ პროლეტარიატის ბრძოლას, რომელმაც მოიპოვა დიქტატურა, რომელსაც ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე ხელთ უპყრია იგი და რომელიც ყოველდღე იმხრობს ყველა ქვეყანაში მრეწველობის მუშებისა და სოციალისტების ახალ-ახალ რაზმებს, ჯერ კიდევ გუშინ რომ სოციალ-გამცემლებისა და სოციალ-ობორონცების მითითებებს ითმენდნენ და ახლა რომ სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან კომუნიზმისა და კომუნისტური ინტერნაციონალის დროშას.

ხელთ გვეჭიროს ეს დროშა და, ამასთან ერთად, განუხრელად ვამრავლოთ სოციალიზმის მშენებელთა რიგები, გვახსოვდეს, რომ პროფესიული კავშირების ამოცანაა იყვნენ ახალი ცხოვრების მშენებელნი, იყვნენ აღმზრდელნი ახალი მილიონებისა და ათეული მილიონებისა, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით ისწავლიდნენ არ ჩაიდინონ შეცდომები, უკუაგდონ ძველი ცრურწმენანი, თავიანთი გამოცდილებით

ისწავლიდნენ სახელმწიფოს მართვას და წარმოების მართვას,— მხოლოდ ეს არის შეუცდომელი გარანტია იმისა, რომ სოციალიზმის საქმე სავსებით გაიმარჯვებს და უკან დაბრუნება სრულიად შეუძლებელი გახდება.

საგაზეთო ანგარიში
გამოქვეყნებულია
1919 წ. 22 და 24 იანვარს
«პრავდაში» №№ 15 და 16

იბეჭდება შემდეგი წიგნის ტექსტის
მიხედვით: «პროფესიულ
კავშირთა მეორე
სრულიად რუსეთის ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში». მ., 1921

წერილი ევროპისა და ამერიკის მუშებს

ამხანაგებო! ამერიკელი მუშებისადმი მიმართული ჩემი 1918 წლის 20 აგვისტოს წერილის დასასრულს ვწერდი, რომ ჩვენ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში ვიმყოფებით, ვიდრე საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის სხვა არმიები არ დაგვეხმარებიან. მუშები კავშირს წყვეტენ თავიანთ სოციალ-გამცემლებთან, გომპერსებთან და რენერებთან, — დავძენდი მე. მუშები ნელა, მაგრამ განუხრელად უახლოვდებიან კომუნისტურ და ბოლშევიკურ ტაქტიკას.

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა, 5 თვეზე ნაკლებმა დრომ განვლო, და უნდა ითქვას, რომ მსოფლიო რევოლუციის მომწიფება კომუნიზმისა და ბოლშევიზმის მხარეზე სხვადასხვა ქვეყნის მუშების გადასვლასთან დაკავშირებით ამ ხნის განმავლობაში უაღრესად სწრაფად მიმდინარეობდა.

მაშინ, 1918 წლის 20 აგვისტოს, მხოლოდ ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას ჰქონდა გადაჭრით გაწყვეტილი კავშირი ძველ, II, 1889 — 1914 წლების ინტერნაციონალთან, რომელიც ესოდენ სამარცხვინოდ გაკოტრდა 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დროს. მხოლოდ ჩვენი პარტია დაადგა სავსებით ახალ გზას, მძარცველურ ბურჟუაზიასთან კავშირით შერცხვენილი სოციალიზმიდან და სოციალ-დემოკრატიზმიდან გადავიდა კომუნიზმზე, წვრილბურჟუაზიული რეფორმიზმიდან და ოპორტუნიზმიდან, რომლებიც თავიდან ბოლომდე ეღენთავდნენ და ეღენთავენ სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს, გადავიდა ნამდვილად პროლეტარულ, რევოლუციურ ტაქტიკაზე.

ახლა, 1919 წლის 12 იანვარს, ჩვენ უკვე ვხედავთ მთელ რიგ კომუნისტურ პროლეტარულ პარტიებს, არა მარტო მეფის ყოფილი იმპერიის ფარგლებში, მაგალითად, ლატვიაში, ფინეთში, პოლონეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც,

ავსტრიაში, უნგრეთში, ჰოლანდიაში, ბოლოს, გერმანიაში. როდესაც გერმანულმა «სპარტაკის კავშირმა» ისეთი საქვეყნოდ ცნობილი და საქვეყნოდ განთქმული ბელადებითურთ, მუშათა კლასის ისეთი ერთგული მომხრეებითურთ, როგორიც არიან ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, კლარა ცეტკინი, ფრანც მერინგი, საბოლოოდ გაწყვიტა თავისი კავშირი შეიდემანისა და ზიუდეკუმის მაგვარ სოციალისტებთან, ამ სოციალ-შოვინისტებთან (სოციალისტებთან სიტყვით, შოვინისტებთან საქმით), რომლებმაც საბოლოოდ შეირცხვინეს თავი გერმანიის მძარცველურ, იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და ვილჰელმ II-თან კავშირით, როდესაც «სპარტაკის კავშირმა» თავის თავს «გერმანიის კომუნისტური პარტია» უწოდა, — მაშინ ნამდვილად პროლეტარული, ნამდვილად ინტერნაციონალისტური, ნამდვილად რევოლუციური III ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება ფაქტი გახდა. ფორმალურად ეს დაარსება ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული, მაგრამ ფაქტიურად III ინტერნაციონალი ახლა უკვე არსებობს.

ახლა უკვე არც ერთ შეგნებულ მუშას, არც ერთ გულწრფელ სოციალისტს არ შეუძლია არ ხედავდეს, თუ სოციალიზმის რა საზიზღარი გამცემლობა ჩაიდინეს იმათ, ვინც, მსგავსად მენშევიკებისა და «სოციალისტ-რევოლუციონერებისა» რუსეთში, მსგავსად შეიდემანებისა და ზიუდეკუმებისა გერმანიაში, მსგავსად რენოდელებისა და ვანდერველდეებისა საფრანგეთში, ჰენდერსონებისა და ვებებისა ინგლისში, გომპერსებისა და მათი კომპანიისა ამერიკაში, მხარს უჭერდა «თავის» ბურჟუაზიას 1914 — 1918 წლების ომში. ამ ომმა სავსებით გამოააშკარავა თავი, როგორც იმპერიალისტურმა, რეაქციულმა, მძარცველურმა ომმა გერმანიის მხრივაც და ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის კაპიტალისტების მხრივაც, რომლებიც ახლა იწყებენ ჩხუბს ნაძარცვი დავლის გაყოფის გამო, თურქეთის, რუსეთის, აფრიკული და პოლინეზიური კოლონიების, ბალკანეთის და სხვათა გაყოფის გამო. ვილსონისა და «ვილსონისტების» თვალთმაქცური ფრაზები

«დემოკრატიაზე» და «ხალხთა კავშირზე» გასაოცარი სისწრაფით აშკარავდება, როდესაც ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ დაიპყრო რეინის მარცხენა ნაპირი საფრანგეთის ბურჟუაზიამ, თუ როგორ დაიპყრეს თურქეთი (სირია, მესოპოტამია) და რუსეთის ნაწილი (ციმბირი, არხანგელსკი, ბაქო, კრასნოვოდსკი, აშხაბადი და ა. შ.) ფრანგმა, ინგლისელმა და ამერიკელმა კაპიტალისტებმა, — როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სულ უფრო და უფრო ძლიერდება მტრობა ნაძარცვი დავლის გაყოფის გამო იტალიასა და საფრანგეთს შორის, საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ინგლისსა და ამერიკას შორის, ამერიკასა და იაპონიას შორის.

და იმ მხდალი, ორჭოფი, ბურჟუაზიული დემოკრატიის ცრურწმენით მთლად გაჟღენთილი, «სოციალისტების» გვერდით, რომლებიც გუშინ იცავდნენ «თავიანთ» იმპერიალისტურ მთავრობებს, ხოლო დღეს კმაყოფილდებიან პლატონური «პროტესტებით» რუსეთში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ, — მათ გვერდით ანტანტის ქვეყნებში იზრდება ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მიდიან კომუნისტური გზით, მაკლინის, დებსის, ლორიოს, ლაძარის, სერატის გზით, ისეთი ადამიანებისა, რომლებმაც შეიგნეს, რომ მხოლოდ ბურჟუაზიის დამხობას, ბურჟუაზიული პარლამენტების დანგრევას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებასა და პროლეტარიატის დიქტატურას ძალუძთ დათრგუნონ იმპერიალიზმი, უზრუნველყონ სოციალიზმის გამარჯვება, უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა.

მაშინ, 1918 წლის 20 აგვისტოს, პროლეტარული რევოლუცია რუსეთით იფარგლებოდა, და «საბჭოთა ხელისუფლება», ე. ი. ის, რომ მ თ ე ლ ი ძალაუფლება სახელმწიფოში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ეკუთვნის, ჯერ კიდევ მხოლოდ რუსეთის დაწესებულებად ჩანდა (და ნამდვილადაც ასე იყო).

ახლა, 1919 წლის 12 იანვარს, ჩვენ ვხედავთ მძლავრ «საბჭოთა» მოძრაობას არა მარტო მეფის ყოფილი იმპერიის ნაწილებში, მაგალითად, ლატვიაში, პოლონეთში, უკრაინაში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, როგორც ნეიტრალურ

ქვეყნებში (შვეიცარია, ჰოლანდია, ნორვეგია), ისე ომით დაზარალებულ ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია). გერმანიაში — რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა — რევოლუციამ ერთბაშად მიიღო «საბჭოთა» ფორმები. გერმანიის რევოლუციის განვითარების მთელი მსვლელობა და განსაკუთრებით «სპარტაკელთა», ე. ი. პროლეტარიატის ჭეშმარიტ და ერთადერთ წარმომადგენელთა, ბრძოლა გამცემელი არამზადების, შეიდემანებისა და ზიუდეკუმების, ბურჟუაზიასთან კავშირის წინააღმდეგ, — ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ არის დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ისტორიის მიერ საკითხი გერმანიის მიმართ:

«საბჭოთა ხელისუფლება» ან ბურჟუაზიული პარლამენტი, რა აბრითაც არ უნდა გამოდიოდეს იგი (მაგალითად, «ნაციონალური» ან «დამფუძნებელი» კრების აბრით).

ასეთია საკითხის მ ს ო ფ ლ ი ო-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დაყენება. ახლა ეს შეიძლება სრულიად გაუზვიადებლად ითქვას და კიდევაც უნდა ითქვას.

«საბჭოთა ხელისუფლება» პროლეტარიატის დიქტატურის განვითარების მეორე მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი ანუ ეტაპია. პირველი ნაბიჯი პარიზის კომუნა იყო. ამ კომუნის შინაარსისა და მნიშვნელობის გენიალურმა ანალიზმა, რაც მარქსმა მოგვცა თავის შრომაში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», ცხადყო, რომ კომუნამ შექმნა სახელმწიფოს ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი, პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო. ყოველი სახელმწიფო, მათ შორის ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკაც, სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დათრგუნვისა. პროლეტარული სახელმწიფო არის მანქანა პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის დათრგუნვისა, ასეთი დათრგუნვა კი აუცილებელია იმ გაშმაგებული, გააფთრებული, სავსებით თავაწყვეტილი წინააღმდეგობის გამო, რომელსაც გვიწევენ მემამულეები და კაპიტალისტები, მთელი ბურჟუაზია და ყველა მისი დამქაში, ყველა ექსპლოატატორი, როდესაც

იწყება მათი დამხობა, როდესაც იწყება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია.

ბურჟუაზიული პარლამენტი, თუნდაც ყველაზე დემოკრატიული პარლამენტი ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკისა, სადაც შენარჩუნებულია კაპიტალისტების საკუთრება და მათი ძალაუფლება, არის მანქანა ერთი მუჭა ექსპლოატატორების მიერ მილიონობით მშრომელთა დათრგუნვისა. სოციალისტებს, ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლებს, უნდა გამოეყენებინათ ბურჟუაზიული პარლამენტები, როგორც ტრიბუნა, როგორც პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის ერთ-ერთი ბაზა, **სანამ ჩვენი ბრძოლა ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებით იფარგლებოდა.** ახლა, როდესაც მსოფლიო ისტორიამ დღის წესრიგში დასვა მთელი ამ წყობილების დანგრევის, ექსპლოატატორთა დამხობისა და დათრგუნვის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საკითხი, — ახლა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმით, ბურჟუაზიული დემოკრატიით დაკმაყოფილება, მისი შეფერადება, როგორც «დემოკრატიისა» საერთოდ, მისი ბურჟუაზიული ხასიათის მიჩქმალვა, იმის დავიწყება, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება, ვიდრე კაპიტალისტების საკუთრება რჩება, ბურჟუაზიული ბატონობის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს, — ეს იმას ნიშნავს, რომ სამარცხვინოდ უღალატო პროლეტარიატს, გადახვიდე მისი კლასობრივი მტრის, ბურჟუაზიის მხარეზე, იყო მოღალატე და რენეგატი.

მსოფლიო სოციალიზმის სამი მიმართულება, რომლებზეც ბოლშევიკური პრესა 1915 წლიდან დაუღალავად ლაპარაკობდა, ახლა, გერმანიაში წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლასა და სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, განსაკუთრებული სიცხადით დგას ჩვენს წინაშე.

კარლ ლიბკნეხტი — ეს სახელი ცნობილია ყველა ქვეყნის მუშებისათვის. ყველგან, მეტადრე კი ანტანტის ქვეყნებში, ეს სახელი პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბელადის თავდადებულობის, სოციალისტური რევოლუციისადმი

ერთგულების სიმბოლოა. ეს სახელი არის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ნამდვილად გულწრფელი, ნამდვილად მსხვერპლის გასაღებად მზადყოფი, ულმობელი ბრძოლის სიმბოლო. ეს სახელი სიმბოლოა იმპერიალიზმის წინააღმდეგ არა სიტყვით, არამედ საქმით შეურიგებელი ბრძოლისა, რომელიც მზად არის გაიღოს მსხვერპლი სწორედ მაშინ, როდესაც «თავისი» ქვეყანა გაბრუებულია იმპერიალისტური გამარჯვებებით. ლიბკნეხტსა და «სპარტაკელებს» მიჰყვება ყოველივე, რაც კი პატიოსანი და ნამდვილად რევოლუციური დარჩენილა გერმანიის სოციალისტებს შორის, ყოველივე, რაც კი საუკეთესო და მტკიცეა პროლეტარიატში, მიჰყვებიან ექსპლოატირებულთა მთელი მასები, რომლებშიც ჩქეფს აღშფოთება და იზრდება მზადყოფნა რევოლუციისათვის.

ლიბკნეხტის წინააღმდეგ არიან შეიდემანები, ზიუდეკუმები და კაიზერისა და ბურჟუაზიის საზიზღარი ლაქიების მთელი ეს ბანდა. ესენი სოციალიზმის ისეთივე გამცემლები არიან, როგორც გომპერსები და ვიქტორ ბერგერები, ჰენდერსონები და ვებები, რენოდელები და ვანდერველდეები. ეს არის ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული იმ მუშების ზედაფენა, რომლებსაც ჩვენ, ბოლშევიკები, ვუწოდებდით (ვარქმევდით რა ამ სახელს რუს ზიუდეკუმებს, მენშევიკებს) «ბურჟუაზიის აგენტებს მუშათა მოძრაობაში» და რომლებიც ამერიკის საუკეთესო სოციალისტებმა მონათლეს ექსპრესიულობითა და ღრმა სიმართლით საუცხოო გამოთქმით: «labor lieutenants of the capitalist class», «კაპიტალისტთა კლასის მუშა ლეიტენანტები». ეს არის სოციალისტური გამცემლობის უ ა ხ ლ ო ე ს ი, «moderne», ტ ი პ ი, რადგან ყველა ცივილიზებულ, მოწინავე ქვეყანაში ბურჟუაზია ძარცვავს — კოლონიური ჩაგვრის გზით თუ ფორმალურად დამოუკიდებელ სუსტ ხალხთაგან «სარგებლობის» ფინანსურად ამოქაჩვის გზით — ძარცვავს მოსახლეობას, რომელიც ბევრად აღემატება «თავისი» ქვეყნის მოსახლეობას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აქვს ეკონომიური შესაძლებლობა მიიღოს «ზემოგება» და ამ ზემოგების ნაწილი

მოახმაროს პროლეტარიატის გარკვეული ზედაფენის მოსყიდვას, მის გადაქცევას რეფორმისტულ, ოპორტუნისტულ, რევოლუციის მოშიშარ წვრილ ბურჟუაზიად.

სპარტაკელებსა და შეიდემანელებს შუა დგანან მერყევი, უნიათო «კაუცკიანელები», კაუცკის თანამოაზრენი, სიტყვით «დამოუკიდებელნი», საქმით კი სავსებით და მთელი ხაზით დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ნ ი დღეს ბურჟუაზიისა და შეიდემანელებისაგან, ხვალ — სპარტაკელებისაგან, ნაწილობრივ პირველთა მიმყოლნი, ნაწილობრივ მეორეებისა, ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ იდეები, ხასიათი, პოლიტიკა, ღირსება, სინდისი, წარმოადგენენ ფილისტერთა დაბნეულობის ცოცხალ განსახიერებას, სიტყვით რომ მხარს უჭერენ სოციალისტურ რევოლუციას, საქმით კი მოკლებული არიან მისი გაგების უნარს, როდესაც იგი დაიწყო, და რენეგატულად იცავენ «დემოკრატიას» საერთოდ, ესე იგი **საქმით** იცავენ **ბურჟუაზიულ** დემოკრატიას.

თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ყოველმა მოაზროვნე მუშამ იცის, ეროვნულ და ისტორიულ პირობათა შესაბამისად შეცვლილ ვითარებაში, სწორედ ეს სამი ძირითადი მიმართულება სოციალისტებს შორისაც და სინდიკალისტებს შორისაც, რადგან იმპერიალისტური ომი და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დასაწყისი მთელ მსოფლიოში წარმოშობს ერთგვაროვან იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს.

* *
*

წინა სტრიქონები დაწერილი იყო მანამდე, სანამ ებერტისა და შეიდემანის მთავრობა მხეცურად და ვერაგულად მოკლავდა კარლ ლიბკნეხტსა და როზა ლუქსემბურგს. ეს ჯალათები, მლიქვნელობენ რა ბურჟუაზიის წინაშე, გერმანელ თეთრგვარდიელებს, წმიდათა წმიდა კაპიტალისტური საკუთრების მოდარაჯე ქოფაკებს საშუალებას აძლევდნენ ჩაექოლათ როზა ლუქსემბურგი, მუხანათურად, ზურგში ტყვიის დაშენით მოეკლათ კარლ ლიბკნეხტი, მის «გაქცევაზე» აშკარად ცრუ მითითებით (რუსეთის ცარიზმს, როდესაც იგი

სისხლში ახრჩობდა 1905 წლის რევოლუციას, ბევრჯერ ჩაუდენია ამგვარი მკვლელობა და ასევე ყალბად მიუთითებია დაპატიმრებულთა «გაქცევაზე»), — და ამავე დროს ეს ჯალათები ფარავდნენ თეთრგვარდიელებს ვითომდა სრულიად უმანკო, ვითომდა კლასებზე მაღლა მდგომი მთავრობის ავტორიტეტით! სიტყვები ვერ გვიპოვნია ამ ჯალათობის მთელი სისაძაგლისა და საზიზღრობის გამოსახატავად, რასაც ეს ვითომდა-სოციალისტები სჩადიან. როგორც ჩანს, ისტორიას აურჩევია ისეთი გზა, რომელზეც «კაპიტალისტური კლასის მუშა ლეიტენანტების» როლი მხეცობის, სისაძაგლისა და საზიზღრობის «უკანასკნელ მიჯნამდე» უნდა იქნას მიყვანილი. დეე რეგვენმა კაუცკიანელებმა ილაპარაკონ თავიანთ გაზეთ «ფრეიჰაიტში»[143] «ყველა» «სოციალისტური» პარტიის წარმომადგენელთა «სასამართლოზე» (ეს ლაქიური სულით გაჟღენთილი პირნი ჯალათ შეიდემანებს ისევ სოციალისტს უწოდებენ!). ფილისტერული გონებასიჩლუნგისა და მეშჩანური სიმხდალის ამ გმირებს ისიც კი არ ესმით, რომ სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, ხოლო ბრძოლა და სამოქალაქო ომი გერმანიაში სწორედ იმის გამო წარმოებს, თუ ვის ხელში უნდა იყოს ეს ხელისუფლება: ბურჟუაზიის ხელში, რომელსაც «ემსახურებიან» შეიდემანები, როგორც ჯალათები და დამრბევები, კაუცკები, როგორც «წმინდა დემოკრატიის» მეხოტბენი, თუ პროლეტარიატის ხელში, რომელიც დაამხობს ექსპლოატატორ-კაპიტალისტებს და გასრესს მათ წინააღმდეგობას.

მსოფლიო პროლეტარული ინტერნაციონალის საუკეთესო ადამიანების, საერთაშორისო რევოლუციის დაუვიწყარი ბელადების სისხლი გამოაწრთობს მუშათა ახალ-ახალ მასებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. და ეს ბრძოლა გამარჯვებამდე მიგვიყვანს. ჩვენ რუსეთში 1917 წლის ზაფხულს განვიცადეთ «ივლისის დღეები», როდესაც რუსი შეიდემანები, მენშევიკები და ესერები, ასევე «სახელმწიფოებრივად» ხელს აფარებდნენ თეთრგვარდიელთა «გამარჯვებას» ბოლშევიკებზე, როდესაც პეტროგრადის ქუჩებში კაზაკები კლავდნენ მუშა

ვოინოვს ბოლშევიკურ მოწოდებათა გავრცელებისათვის[144]. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, თუ რა სწრაფად კურნავენ მასებს ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების ასეთი «გამარჯვებანი» ბურჟუაზიული დემოკრატიზმის, «საყოველთაო სახალხო ხმისმიცემის» და სხვა ამგვარი ილუზიებისაგან.

* *
*

ანტანტის ბურჟუაზიასა და მთავრობებს შორის ახლა ერთგვარ მერყეობას ვამჩნევთ. ნაწილი ხედავს, რომ რუსეთში უკვე იწყება რღვევა მოკავშირეთა ჯარებისა, რომლებიც ეხმარებიან თეთრგვარდიელებს, ემსახურებიან მეტად შავბნელ მონარქისტულ და მემამულურ რეაქციას; — რომ სამხედრო ჩარევის განგრძობა და რუსეთის დამარცხების ცდები, რაც მილიონნიან საოკუპაციო არმიას მოითხოვს დიდი ხნით, რომ ეს გზა მეტად უტყუარი გზაა, რათა პროლეტარული რევოლუცია ფრიად სწრაფად იქნას გადატანილი ანტანტის ქვეყნებში. უკრაინაში მყოფ გერმანელთა საოკუპაციო ჯარების მაგალითი საკმაოდ დამაჯერებელია.

ანტანტის ქვეყნების ბურჟუაზიის მეორე ნაწილი წინანდებურად მომხრეა რუსეთში სამხედრო ჩარევისა, საბჭოთა რესპუბლიკის «ეკონომიური გარემოცვისა» (კლემანსო) და დახრჩობისა. მთელი პრესა, რომელიც კი ამ ბურჟუაზიას ემსახურება, ე. ი. ინგლისისა და საფრანგეთის მოსყიდული კაპიტალისტური ყოველდღიური გაზეთების უმრავლესობა, წინასწარმეტყველებს საბჭოთა ხელისუფლების სწრაფ კრახს, ფართოდ გვიხატავს შიმშილის საშინელებას რუსეთში, ცრუობს «უწესრიგობაზე» და საბჭოთა მთავრობის «უმტკიცობაზე». თეთრგვარდიელთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ჯარები, რომლებსაც ეხმარება ანტანტა ოფიცრებითაც, ყუმბარებითაც, ფულითაც და მაშველი რაზმებითაც, ეს ჯარები რუსეთის დამშეულ ცენტრსა და ჩრდილოეთ ნაწილს წყვეტენ ყველაზე პურიან რაიონებს, ციმბირსა და დონს.

დამშეული მუშების გაჭირვება პეტროგრადსა და მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში და მუშათა სხვა ცენტრებში

მართლაც დიდია. მუშათა მასები ვერასოდეს ვერ აიტანდნენ ასეთ გაჭირვებას, შიმშილით გამოწვეულ ასეთ წამებას, რასაც მათ არგუნებს ანტანტის სამხედრო ჩარევა (ჩარევა, რომელიც ზოგჯერ იფარება თვალთმაქცური დაპირებებით, რომ «თავიანთ» ჯარებს არ გამოგზავნიან, მაშინ როცა გრძელდება «შავკანიანების», აგრეთვე ყუმბარების, ფულის, ოფიცრების გამოგზავნა), — მასები ვერ აიტანდნენ ასეთ გაჭირვებას, მუშებს რომ არ ესმოდეთ, რომ ისინი სოციალიზმის საქმეს იცავენ რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც.

«მოკავშირეთა» და თეთრგვარდიელთა ჯარებს უკავიათ არხანგელსკი, პერმი, ორენბურგი, დონის როსტოვი, ბაქო, აშხაბადი, მაგრამ «საბჭოთა მოძრაობამ» დაიპყრო რიგა და ხარკოვი. ლატვია და უკრაინა საბჭოთა რესპუბლიკები ხდებიან. მუშები ხედავენ, რომ მათ ტყუილად კი არ მიაქვთ დიდი მსხვერპლი, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებს, რომ ეს გამარჯვება ფართოვდება, იზრდება და მტკიცდება მთელ მსოფლიოში. მძიმე ბრძოლისა და დიად მსხვერპლთა ყოველი თვე აძლიერებს საბჭოთა ხელისუფლების საქმეს მთელ მსოფლიოში, ასუსტებს მის მტრებს, ექსპლოატატორებს.

ექსპლოატატორებს ჯერ კიდევ აქვთ საკმაო ძალა, რომ მოკლან და ჩაქოლონ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საუკეთესო ბელადები, რომ გაამრავლონ მუშათა მსხვერპლი, გააძლიერონ მათი ტანჯვა-წამება იმ ქვეყნებსა და ოლქებში, რომელთა ოკუპაცია თუ დაპყრობა ხდება. მაგრამ მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორებს არ ეყოფათ ძალები, რომ შეაჩერონ გამარჯვება მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა, რომელსაც მოაქვს კაცობრიობის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, ახალი და კაპიტალიზმის დროს გარდუვალი იმპერიალისტური ომების მუდმივი მუქარისაგან.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1919 წ. 21 იანვარი

«პრავდა» № 16, 1919 წ. 24 იანვარი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს

ამხანაგებო! თქვენ აქ შეკრებილხართ, როგორც საგუბერნიო საბჭოების ადგილობრივ სკოლისგარეშე განყოფილებათა წარმომადგენლები. მე, სამწუხაროდ, ახლოს არ ვიცნობ თქვენს მოღვაწეობას, და ამიტომ რამდენიმე შენიშვნას დავჯერდები. მივესალმები თქვენს სკოლისგარეშე განათლების მოღვაწეთა ყრილობას, — თავისი ამოცანებით ესოდენ მნიშვნელოვან ყრილობას!

ჩვენს სკოლაში დარჩენილია ბევრი მასწავლებელი, რომლებიც ძველ პირობებში არიან აღზრდილნი, რაც სიძნელეებს ქმნის კაპიტალისტური წყობილებიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს. უცნაური კია, მაგრამ ჩვენ შეუპოვარ წინააღმდეგობას ვხვდებით იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ცოდნა აქვთ. ვინც შეჩვევია იმას, რომ ძველი აპარატი თავის სამფლობელოდ მიაჩნია, ის თავის თავსა და მქონებელ კლასს ემსახურება.

სკოლისგარეშე მუშაობა უკეთეს პირობებშია, ვიდრე საასკოლო მუშაობა.

ჩვენთან, სახკომსაბჭოში, იდგა საკითხი, რომ შექმნილიყო კომისია მთელ რიგ დაქუცმაცებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გასაერთიანებლად. სკოლისგარეშე განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ცხოვრების გარდასაქმნელად. საჭიროა ახალი გზები ვეძიოთ.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი ახალი და გამოუცდელი წარმომადგენელი ხშირად ძველ მეთოდებს იყენებს და ამით სახელს უტეხს ხელისუფლებას.

ვფიქრობ, რომ სკოლისგარეშე განათლების მოღვაწეებს ძნელი ამოცანა აწევთ. პარტიულ მუშაობაში ჩვენ გამოვიმუშავეთ ჩვენი ჩვევები მასებზე ფართო ზემოქმედებისა, მაგრამ ეს ჩვევები უნდა შევაერთოთ კულტურულ-საგანმანათლებლო, კერძოდ, სასკოლო და განსაკუთრებით სკოლისგარეშე მეთოდებთან, რაც ყოველთვის როდი ხერხდებოდა.

სკოლისგარეშე მუშაობაში თქვენ ხვდებით მშრომელი მასების დახმარებას, ცოდნისადმი მათი უძლიერესი მისწრაფების სახით, და მით უფრო ადვილია თქვენთვის გამონახოთ მათთან ურთიერთობის ფორმები. ნახტომებით აქ შეიძლება ყველაზე ნაკლებს მივაღწიოთ, განსაკუთრებით მასებში, რომლებიც დაბალ კულტურულ დონეზე დგანან. უნდა ესწრაფოთ პარტიულ ორგანიზაციებთან, როგორც პარტიული პროპაგანდის ორგანოებთან, დაახლოებას, და ჩააბათ მასები სკოლისგარეშე მუშაობაში. თუ მასების ინიციატივა ჯეროვან თანაგრძნობას შეხვდება, შეგვიძლია უკეთესი შედეგების იმედი ვიქონიოთ. ნება მომეცით მოგესალმოთ და გისურვოთ წარმატება.

«ვნეშკოლნოე ობრაზოვანიე» № 2 — 3, 1919 წ. თებერვალი — მარტი

იბეჭდება ჟურნალ «ვნეშკოლნოე ობრაზოვანიეს» ტექსტის მიხედვით

ყველანი — სასურსათო და სატრანსპორტო სამუშაოზე!

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, რომ დაიწყო განსაკუთრებით ძნელი ნახევარწელი საბჭოთა რესპუბლიკისათვის. 1918 წლის პირველ ნახევარში დამზადებულია 28 მილიონი ფუთი პური, მეორე ნახევარში — 67 მილიონი ფუთი. 1919 წლის პირველი ნახევარი გასულ ნახევარწელზე უფრო სამძიმო იქნება.

შიმშილი სულ უფრო ძლიერდება. პარტახტიანი ტიფი ფრიად საშინელი საფრთხე ხდება. აუცილებელია გმირული ღონისძიებანი, ჩვენში კი ძალიან და ძალიან ცოტა რამ კეთდება.

შესაძლებელია თუ არა გადავრჩეთ და მდგომარეობა გამოვასწოროთ?

უეჭველია, რომ შესაძლებელია. უფისა და ორენბურგის აღება, გამარჯვებანი სამხრეთში, შემდეგ საბჭოთა აჯანყების გამარჯვებანი უკრაინაში [145] მეტად ხელსაყრელ პერსპექტივებს გვისახავენ.

ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გაცილებით უფრო მეტი პური ვიშოვნოთ, ვიდრე ეს აუცილებელია ნახევრადსაშიმშილო სასურსათო ნორმისათვის.

აღმოსავლეთ რაიონში უკვე შეგროვებულია მილიონობით ფუთი პური. მას აჩერებს ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა. სამხრეთში მთელი ვორონეჟის გუბერნიისა და დონის ოლქის ნაწილის განთავისუფლება კრასნოველი კაზაკებისაგან სრულ შესაძლებლობას გვაძლევს, მთელი ჩვენი წინანდელი

ვარაუდების გადამეტებით, ბლომად მივიღოთ პური. ბოლოს, პირდაპირ უზარმაზარია ნაჭარბი პური უკრაინაში, და უკრაინის საბჭოთა მთავრობა ჩვენ დახმარებას გვთავაზობს.

ჩვენ ახლა შეგვიძლია არა მარტო გადავურჩეთ შიმშილობას, არამედ მაძღრისად გამოვკვებოთ აგრეთვე არამიწათმოქმედი რუსეთის დამშეული მოსახლეობა.

საქმეს აფერხებს ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა და სურსათის დარგის მუშაკთა მეტისმეტი ნაკლებობა.

უნდა დავძაბოთ მთელი ძალები, კიდევ და კიდევ გავაღვივოთ ენერგია მუშათა მასებში. გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ ჩვეულებრივი ცხოვრებისა და ჩვეულებრივი მუშაობის ჩვეული გზა. უნდა ავმოძრავდეთ. უნდა შევუდგეთ მუშაკთა რევოლუციურ მობილიზაციას სურსათისა და ტრანსპორტისათვის, კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ «მიმდინარე» მუშაობის ჩარჩოებით, არამედ უნდა გავცდეთ მათ ფარგლებს, უნდა ვეძიოთ ახალი და ახალი ხერხები დამატებითი ძალების გამოსანახავად და მოსაზიდავად.

ჩვენ ახლა გვაქვს ყოვლად ურყევი საბუთები ვიფიქროთ, — უაღრესად «ფრთხილი» და პესიმისტური ვარაუდის თვალსაზრისითაც კი, — რომ შიმშილობასა და ტიფზე გამარჯვება ამ ნახევარწელში (გამარჯვება სავსებით შესაძლებელია) მოგვცემს სრულ შემობრუნებას მთელი სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რადგან კავშირი უკრაინასთან და ტაშკენტთან გვიხსნის ჩვენ ნედლეულის სიმცირისა და ნაკლებობის მთავარი და ძირითადი მიზეზებისაგან.

რასაკვირველია, დამშეული მასები დაიღალნენ, ზოგჯერ ეს დაღლილობა ზეადამიანურად დიდია, მაგრამ გამოსავალი არის, და ენერგიის აღმავლობა მაინც უეჭველად შესაძლებელია, — მით უმეტეს, რომ პროლეტარული რევოლუციის ზრდა მთელ მსოფლიოში სულ უფრო აშკარა ხდება და გვპირდება არა მარტო ჩვენი შინაური, არამედ აგრეთვე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

უნდა ავმოძრავდეთ.

საჭიროა, რათა პარტიის თვითეულმა ორგანიზაციამ, თვითეულმა პროფესიულმა კავშირმა, პროფესიულად ორგანიზებული ან თუნდაც არაორგანიზებული, მაგრამ შიმშილთან «შებრძოლების» სურვილის მქონე მუშების თვითეულმა ჯგუფმა, — რათა საზოგადოდ საბჭოთა მუშაკებისა და მოქალაქეების თვითეულმა ჯგუფმა დასვას თავის წინაშე საკითხი:

რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ შიმშილობის წინააღმდეგ, საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად?

ხომ არ შეგვიძლია, რომ მამაკაცის შრომა დედაკაცის შრომით შევცვალოთ და კიდევ და კიდევ დავძრათ მამაკაცები სატრანსპორტო და სასურსათო მუშაობის უძნელესი ამოცანების შესასრულებლად?

ხომ არ შეგვიძლია მივცეთ კომისრები ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხნებს?

ხომ არ შეგვიძლია მივცეთ რიგითი მუშაკები მესურსათეთა არმიას?

ხომ არ არის საჭირო, რომ ყოველი მეათე ან მეხუთე კაცი ჩვენი წრიდან, ჩვენი ჯგუფიდან, ჩვენი ქარხნიდან და ა. შ. გამოვყოთ მესურსათეთა არმიისათვის ან გავგზავნოთ ჩვეულებრივზე უფრო საძნელო და სამძიმო სამუშაოზე რკინიგზის სახელოსნოებში?

ხომ არ იმყოფება ზოგიერთი ჩვენგანი ისეთ საბჭოთა ან საერთოდ სხვა სამუშაოზე, რომლის შესუსტება ან შეწყვეტაც კი შეიძლება სახელმწიფოს ძირითად და უმთავრეს საფუძველთა დაუნგრეველად? ხომ არა ვართ ვალდებულნი დაუყოვნებლივ მოვახდინოთ ამ მუშაკთა მობილიზაცია სასურსათო და სატრანსპორტო საქმისათვის?

კიდევ და კიდევ აღვდგეთ რაც შეიძლება უფრო ფართო მასად, რათა ხელახლა დავცხოთ ძველი, კაპიტალისტური, საზოგადოების წყეულ წესს, იმ წესს, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ამ საზოგადოებისაგან, იმ წესს, რომელსაც ყოველი ჩვენგანი, მეტად თუ ნაკლებად, შეუპყრია და გაურყვნია, წესს: «თვითეული თავისთვის, მხოლოდ ღმერთია

ყველასათვის». ჩვენ ყველაზე მეტად გვახრჩობს, გვაწვება, გვწვავს, სულს გვიხუთავს, გვღუპავს მძარცველური, ბინძური და სისხლისმსმელი კაპიტალიზმის ეს მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობისაგან თავის დაღწევა ერთბაშად შეუძლებელია, საჭიროა დაუცხრომელი ბრძოლა მის წინააღმდეგ, ერთხელ და ორხელ კი არა, მრავალჯერ უნდა გამოვაცხადოთ და ჩავატაროთ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა მის წინააღმდეგ.

მილიონებისა და ათეული მილიონების ხსნა შიმშილისა და ტიფისაგან შეიძლება, ხსნა ახლოსაა, შიმშილით და ტიფით გამოწვეული კარსმომდგარი კრიზისი შეიძლება დავძლიოთ და სავსებით დავამარცხოთ. სასოწარკვეთა უაზრობაა, სიბრიყვეა, სამარცხვინოა. სათითაოდ, აქეთ-იქით გაქცევა, ვისაც როგორ ემარჯვება, რომ როგორმე თვითონ «დაიძვრინო თავი», როგორმე კრა ხელი უფრო სუსტებს და გზა გაიკაფო, — ეს იმას ნიშნავს, რომ გასწიო დეზერტირობა, მიატოვო ავადმყოფები და დაღლილი ამხანაგები, გააუარესო საერთო მდგომარეობა.

ჩვენ შევქმენით მტკიცე საძირკველი წითელი არმიისა, რომელმაც ახლა გზა გაიკაფა გაუგონარ სიძნელეთა პირობებში, მემამულეთა და კაპიტალისტთა ჯარების რკინის კედელში, ჯარებისა, რომლებსაც მხარს უჭერენ უმდიდრესი ინგლისელი და ფრანგი მილიარდერები, — გზა გაიკაფა ნედლეულის მთავარი წყაროებისაკენ, პურისა, ბამბისა და ქვანახშირისაკენ. ჩვენ ეს საძირკველი შევქმენით ახლებურად მუშაობით, პოლიტიკური პროპაგანდით ფრონტზე, კომუნისტების ორგანიზებით ჩვენს არმიაში, მუშათა მასის საუკეთესო ადამიანთა თავდადებული ორგანიზებითა და ბრძოლით.

ჩვენ მოვიპოვეთ მთელი რიგი გამარჯვებანი საგარეო, სამხედრო ფრონტზეც, საშინაო ფრონტზეც, ექსპლოატატორებთან ბრძოლაში, საბოტაჟთან ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის ძნელი, მძიმე, ეკლიანი, მაგრამ სწორი გზისათვის ბრძოლაში. ჩვენ ახლოს ვართ სრულ და გადამწყვეტ გამარჯვებასთან არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

კიდევ ძალთა რამდენადმე დაძაბვა, — და ჩვენ თავს დავაღწევთ შიმშილის სასტიკ კლანჭებს.

ის, რაც გავაკეთეთ და რასაც ვაკეთებთ წითელი არმიისათვის, გავაკეთოთ ეს კიდევ ერთხელ და ახალი ენერგიით სურსათისა და ტრანსპორტის ხაზით მუშაობის გასაცხოველებლად, გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. ყველა საუკეთესო მუშაკი ასეთ სამუშაოზე უნდა იყოს. ვისაც სურს და შეუძლია იმუშაოს, ყველასათვის მოინახება ადგილი, თუ სურვილი იქნება, ყველას შეუძლია დაგვეხმაროს ნგრევასა და შიმშილზე ორგანიზებულ და მასობრივ გამარჯვებაში, ყოველ აქტიურ ძალას, ყოველ ნიჭს, ყოველ სპეციალობას, ყოველ პროფესიას, ყოველ გულშემატკივარ ადამიანს შეიძლება და უნდა აღმოვუჩინოთ საქმე მესურსათეთა და ტრანსპორტელთა ამ მშვიდობიან არმიაში — მშვიდობიან არმიაში, რომელმაც ახლა, სრული გამარჯვებისათვის, მხარი უნდა დაუჭიროს წითელ არმიას, განამტკიცოს და გამოიყენოს მისი გამარჯვებანი.

ყველანი — სასურსათო და სატრანსპორტო სამუშაოზე!

ნ. ლენინი

1919 წ. 26 იანვარი

«პრავდა» № 19, 1919 წ. 28 იანვარი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბურჟუაზიულ-კოოპერაციულიდან პროლეტარულ-კომუნისტურ მომარაგებასა და განაწილებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ [146]

კოოპერატივებისა და სამომხმარებლო კომუნების საკითხი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ განხილულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოში (შეადარეთ 2 თებერვლის «იზვესტია»), დღის წესრიგში აყენებს, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, ბურჟუაზიული კოოპერაციიდან მთელი მოსახლეობის კომუნისტურ სამომხმარებლო-საწარმოო გაერთიანებაზე გადასვლის ღონისძიებებს.

ვთქვათ, კოოპერაცია მოსახლეობის 90%-ს აერთიანებს? სოფლად ეს შეიძლება იყოს.

იქცევა თუ არა უკვე ამის გამო კოოპერაცია კომუნად?

არა, თუ ეს კოოპერაცია (1) სარგებლობას (პაის დივიდენდებს და სხვ.) აძლევს განსაკუთრებულ მეპაიეთა ჯგუფს; (2) ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ აპარატს და არ აბამს მასში საერთოდ მოსახლეობას, პირველ რიგში პროლეტარიატს და ნახევრადპროლეტარებს; (3) პროდუქტების განაწილებისას არ აძლევს სარგებლობას ნახევრადპროლეტარებს საშუალო გლეხებთან შედარებით, საშუალო გლეხებს — მდიდრებთან შედარებით; (4) პროდუქტების შეგროვებისას ზედმეტს არ ჩამოართმევს ჯერ მდიდრებს, შემდეგ საშუალო გლეხებს, ამასთან არ ეყრდნობა პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს. და ა. შ. და მისთ.

ამოცანის მთელი სიძნელე (და მთელი შინაარსი ამ ამოცანისა, რომელიც დაუყოვნებლივ დგება ჩვენს წინაშე) ის არის, რომ შევიმუშაოთ ძველი კოოპერაციიდან (აუცი-

ლებლობის გამო ბურჟუაზიული კოოპერაციიდან, რამდენადაც გამოიყოფა მეპაიეთა ფენა, რომლებიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, აგრეთვე სხვა მიზეზების გამო) ახალ და ნამდვილ კომუნაზე **გადასვლის პრაქტიკულ** ღონისძიებათა სისტემა, — ბურჟუაზიულ-კოოპერაციულიდან პროლეტარულ-კომუნისტურ მომარაგებასა და განაწილებაზე გადასვლის ღონისძიებათა სისტემა.

აუცილებელია

(1) დაისვას ეს საკითხი პრესაში;

(2) გაჩაღდეს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულების (განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სახალხო მეურნეობის საბჭოების, სასურსათო კომისარიატისა და სასურსათო ორგანოების, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და მიწსახკომის) შეჯიბრება ამ ამოცანის გადასაწყვეტად;

(3) დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კოოპერაციულ განყოფილებას და მე-2 §-ში მოხსენებულ ყველა დაწესებულებას შეიმუშაონ ასეთ ღონისძიებათა პროგრამა და ფორმულარი ამგვარი ღონისძიებებისა და ისეთი ფაქტების შესახებ ცნობების შეკრებისა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ განვავითაროთ ეს ღონისძიებანი;

(4) დაინიშნოს პრემია ასეთ ღონისძიებათა საუკეთესო პროგრამისათვის, ყველაზე უფრო პრაქტიკული პროგრამისათვის, ამის შესახებ ცნობების შეკრების ყველაზე მარჯვე და განსახორციელებელი ფორმულარისა და წესისათვის.

დაწერილია 1919 წ. 2 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დეპეშა უფის გუბრევკომს [147]

უფა, გუბრევკომის თავმჯდომარეს

წინადადებას გაძლევთ ხელი არ ჰკრათ ხალიკოვს, დათანხმდით ამნისტიას იმ პირობით, რომ შეიქმნას ერთიანი ფრონტი ბაშკირთა პოლკებთან კოლჩაკის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების მხრივ სრული გარანტიაა ბაშკირთა ეროვნული თავისუფლებისა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად აუცილებელია უსასტიკესად მოვკვეთოთ ბაშკირი მოსახლეობის კონტრრევოლუციური ელემენტები და მივაღწიოთ ფაქტიურ კონტროლს ბაშკირთა ჯარების პროლეტარული საიმედობის საქმეში.

ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 5 ან 6 თებერვალს

დაიბეჭდა 1919 წ. 16 თებერვალს
გაზეთ «ქიზნ ნაციონალნოსტეი»-ში,
№ 5 (13)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რადიოტელეგრამის პროექტი [148]

თქვენი ამა და ამ რიცხვის რადიოტელეგრამის პასუხად ვიჩქარი გაცნობოთ, რომ, თუმცა ჩვენ ბერნის კონფერენცია არც სოციალისტურ კონფერენციად მიგვაჩნია, არც ისეთ კონფერენციად, რომელიც ოდნავ მაინც წარმოადგენდეს მუშათა კლასს, მიუხედავად ამისა ნებას ვრთავთ თქვენ მიერ დასახელებულ კომისიას ჩამოვიდეს რუსეთში და უზრუნველვყოფთ მისთვის მდგომარეობის ყოველმხრივ გაცნობის შესაძლებლობას, ისევე როგორც ჩვენ ჩამოსვლის ნებას დავრთავთ ყოველ ბურჟუაზიულ კომისიას, რომლის მიზანიც იქნება მდგომარეობის გაცნობა, კომისიას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულს რომელიც გნებავთ ბურჟუაზიულ მთავრობასთან, თუნდაც ისეთ მთავრობასთან, რომელიც სამხედრო თავდასხმას ახდენს საბჭოთა რესპუბლიკაზე. უეჭველად ვთანხმდებით რა თქვენ მიერ დასახელებული კომისიის ჩამოსვლას, ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, დათანხმდება თუ არა თქვენი დემოკრატიული მთავრობა, აგრეთვე მთავრობები სხვა დემოკრატიული ქვეყნებისა, რომელთა მოქალაქენი მონაწილეობენ კომისიაში, ნება დართონ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის კომისიას ჩავიდეს ამ ქვეყნებში.

დაწერილია 1919 წლის 19 თებერვალს

დაიბეჭდა 1919 წ. 20 თებერვალს
სრულიად რუსეთის ცაკის
გაზეთ «იზვესტიაში» № 39

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ქვეყნის თავდაცვის ძირისგამომთხრელი მენშევიკური გაზეთის დახურვის შესახებ

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის პროექტი [149]

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ მენშევიკურმა გაზეთმა «ვსეგდა ვპერიოდ»-მა 1919 წ. 20 თებერვლის №-ის სტატიით «შეწყვიტეთ სამოქალაქო ომი» საბოლოოდ დაამტკიცა თავისი კონტრრევოლუციური მიმართულება;

2) რომ ლოზუნგი «ძირს სამოქალაქო ომი», რომელსაც პირდაპირ აყენებს ეს გაზეთი ახლა, ისეთ დროს, როდესაც მემამულეთა და კაპიტალისტთა ჯარებს, რომლებსაც კოლჩაკი წინამძღოლობს, უკავიათ არა მარტო ციმბირი, არამედ პერმიც, უდრის კოლჩაკის მხარდაჭერას და რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის ხელის შეშლას — გამარჯვებამდე მიიყვანონ ომი კოლჩაკის წინააღმდეგ;

3) რომ ამრიგად მენშევიკები, რომლებმაც თავიანთი პარტიული თათბირის რეზოლუციაში დაგმეს პარტიულ მეწშევიკთა უმეტესი ნაწილი, რომელნიც ახორციელებენ კავშირს მქონებელ კლასებთან, ე. ი. მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ციმბირში, არხანგელსკში, ვოლგაზე, საქართველოსა და სამხრეთში, საქმით ახლა იწყებენ იმავე პოლიტიკის გატარებას, თუმცა სიტყვით თვალთმაქცურად უარს ამბობენ მასზე;

4) რომ ის მენშევიკები, რომლებიც, არ არიან რა მემამულეთა და კაპიტალისტთა პირმოთნე მეგობრები, კვლავ იჩენენ უნიათო მერყეობას, რასაც ისინი კოლჩაკისადმი სამსახურის გაწევამდე მიჰყავს;

5) რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მემამულეთა და კაპიტალისტთა ჯარების წინააღმდეგ უკანასკნელი, გადამწყვეტი და უაღრესად მძაფრი შეიარაღებული ბრძოლის მომენტში, არ შეუძლია მოითმინოს შინ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ სურთ გადაიტანონ მძიმე გაჭირვება მართალი საქმისათვის მეომარ მუშებთან და გლეხებთან ერთად;

6) რომ ასეთ ადამიანთა მისწრაფება ისევ და ისევ მიმართულია კოლჩაკური დემოკრატიისაკენ, სადაც ბურჟუაზია და მისი დამქაშები ასე კარგად ცხოვრობენ,

— ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს

ა) გაზეთი «ვსეგდა ვპერიოდ» დაიხუროს მანამდე, ვიდრე მენშევიკები თავიანთი საქმეებით არ დაამტკიცებენ თავიანთ მზადყოფნას — თანამიმდევრულად გაწყვიტონ კავშირი კოლჩაკთან და მტკიცედ დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და მხარდაჭერის ნიადაგზე;

ბ) მიღებულ იქნას ყველა მოსამზადებელი ღონისძიება იმისათვის, რომ ის მენშევიკები, რომლებიც ხელს უშლიან მუშებისა და გლეხების გამარჯვებას კოლჩაკზე, გაძევებულ იქნან კოლჩაკური დემოკრატიის ფარგლებში.

დაწერილია 1919 წ. 22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

В Наз. К-ниат Просв.

Прошу передать в ваши библ. отдел (как библ. отд.) рук. и госуд. б-к и др. учреждения мои дополнительные соображения по вопросу, недавно мной поданному в СНК., и сообщить мне ваше (и соотв. отделов) заключение по этому поводу.

Библиотечное дело, включительно, конечно, „чудо-книжки", детские книжки и т.п., более всего требует полного соревнования между отдельными публицистами, группами, издательствами и пр. и т.п.

Правильная постановка дела, которой потребует Декрет СНК., должна обеспечить прежде всего:

1) правильное и полное ознакомление кн. с. выпуском книг, как и вообще прочтен., о том, что делается;

2) привлечение к работе самых талантливых;

3) полное соревнование библиотечных работников.

Для этой цели необходимо немедленная выработка всех формулировок и форм дела, которые удовлетворяли бы этим целям.

По моему, формулировка дела должна быть такова: в центре, работы направляются по публицистам, и распределяются по всем отдел. нар. проф. и по всем библиотекам, читальням, клубам и т.п.

В этих формулировках должен быть выдвинут (в помещении, скорее, прилежащем и отдельном) на видное место, в каждом) на видное место библ. журнал, б-ками и т.п. отдел) на суд. А рядом к этим объявлениям должны прибавить очень

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ვანათლების სახალხო კომისარიატს». — 1919 წ. თებერვალი
დაპატარავებულია

განათლების სახალხო კომისარიატს

გთხოვთ გადასცეთ თქვენს საბიბლიოთეკო განყოფილებებს (როგორც სკოლისგარეშე განათლებისას, ისე სახელმწიფო ბიბლიოთეკებისას და სხვ.) ჩემი ქვემომოყვანილი დამატებითი მოსაზრებანი სახკომსაბჭოში ამ ცოტა ხნის წინათ აღძრულ საკითხზე [150] და მაცნობოთ თქვენი (და სათანადო განყოფილებათა) დასკვნა ამის გამო.

* *
*

საბიბლიოთეკო საქმე, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიცავს «ქოხ-სამკითხველოებს», ყოველგვარ სამკითხველოებს და სხვ., ყველაზე მეტად მოითხოვს შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს გამოწვევას ცალკეულ გუბერნიებსა, ჯგუფებსა, სამკითხველოებსა და სხვებს შორის.

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ი ს სწორად დაყენება, რომელიც ახლა სახკომსაბჭომ მოითხოვა, უნდა ემსახურებოდეს ს ა მ მიზანს:

1) როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე ყველა მოქალაქის სწორ და სრულ გ ა ც ნ ო ბ ა ს იმასთან, თუ რა კეთდება;

2) თ ვ ი თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ჩაბმას მუშაობაში;

3) ბიბლიოთეკის მუშაკთა შორის შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს გამოწვევას.

ამისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ შემუშავდეს ანგარიშის ისეთი ფორმულარები და ფორმები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ამ მიზნებს.

ჩემი აზრით, ანგარიშების ფორმულარები უნდა დამზადდეს ცენტრში, შემდეგ გადაიბეჭდოს გუბერნიების მიხედვით და დაეგზავნოს სახალხო განათლების ყველა განყოფილებას და ყ ვ ე ლ ა ბიბლიოთეკას, სამკითხველოს, კლუბს და სხვ.

ამ ფორმულარებში უნდა გ ა მ ო ი ყ ო ს (და დაიბეჭდოს, ვთქვათ, შავი შრიფტით) ის ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო საკითხები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობისათვის ბიბლიოთეკების გამგეები და სხვ. პასუხს აგებენ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს წ ე ს ი თ. შემდეგ კი ამ სავალდებულო პასუხებს დაემატოს **ძალიან** ბევრი ა რ ა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო პასუხი (იმ აზრით, რომ მათზე პასუხის გაუცემლობა არ იწვევს აუცილებლად სამართალში მიცემას).

ფორმულარების სავალდებულო §§-ს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ბიბლიოთეკის (სამკითხველოს და სხვ.) მისამართი, გამგისა და გამგეობის წევრების სახელები მათი მისამართებითურთ, წიგნებისა და გაზეთების რაოდენობა, გახსნის დრო და სხვ. (დიდი ბიბლიოთეკებისათვის სხვა ცნობებიც).

არასავალდებულო §§-ს უნდა მიეკუთვნოს, კითხვების სახით, **ყ ვ ე ლ ა** გაუმჯობესება, რაც შეაქვთ შვეიცარიასა და ამერიკაში (და სხვა ქვეყნებში), რათა შესაძლებელი იყოს იმათი **წ ა ხ ა ლ ი ს ე ბ ა** (ძვირფასი გამოცემების, კომპლექტების და სხვა სახით პრემიების მიცემა), ვინც ყველაზე მეტი გაუმჯობესება შემოიღო და საუკეთესოდაც განახორციელა).

მაგალითად: 1) შეგიძლიათ თუ არა თქვენ ზუსტი მონაცემებით დაამტკიცოთ წიგნების მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ზრდა თქვენს ბიბლიოთეკაში? ან 2) ბევრი ხალხი დაიარება თქვენს სამკითხველოში? ან 3) ხდება თუ არა წიგნებისა და გაზეთების გაცვლა სხვა ბიბლიოთეკებთან და სამკითხველოებთან? ან 4) შედგენილია თუ არა ცენტრალური კატალოგი? ან 5) გამოყენებულია თუ არა კვირა დღეები? ან 6) გამოყენებულია თუ არა საღამოები? ან 7) მოზიდული არიან თუ არა მკითხველთა ახალი ფენები, ქალები, ბავშვები, არარუსები და სხვ.? ან 8) რამდენად აკმაყოფილებთ მკითხველს ცნობების მიწოდებით?

ან 9) შემოღებულია თუ არა მარტივი და პრაქტიკული წესები წიგნების და გაზეთების შენახვისა? მათი მოვლისა? არის თუ არა მექანიკური შეერთება წაკითხვისა და ადგილზე გადადების დროს? ან 10) შემოღებულია თუ არა შინ გაცემა? ან 11) გამარტივებულია თუ არა გარანტიები შინ გაცემისას? ან 12) ფოსტით გაგზავნისას?

და ა. შ. და ა. შ. და მისთ.

საუკეთესო ანგარიშისა და წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ პრემიებით.

განსახკომის საბიბლიოთეკო განყოფილების ანგარიშებში აუცილებლად უნდა ეუწყოს სახკომსაბჭოს, რამდენი ანგარიში შემოდის ყოველთვიურად და რა კითხვებზე იძლევიან პასუხს; შენაჯამი.

დაწერილია 1919 წ. თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი [151]

1919 წ. 2 — 6 მარტი

1

სიტყვა კონგრესის გახსნისას
2 მარტი

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვხსნი პირველ საერთაშორისო კომუნისტურ კონგრესს. უწინარეს ყოვლისა ვთხოვ ყველა დამსწრეს ფეხზე ადგომით პატივი სცეს III ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენლების — კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხსოვნას. (ყ ვ ე ლ ა ნ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ი ა ნ).

ამხანაგებო! ჩვენს კრებას დიდი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი ამტკიცებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ილუზიის კრახს. სამოქალაქო ომი ხომ ფაქტი გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, როგორც, მაგალითად, გერმანიაში.

ბურჟუაზია ველურ შიშს განიცდის პროლეტარიატის მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინაშე. ეს გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ მოვლენათა მსვლელობა გარდუვალად უწყობს ხელს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, რომ საერთაშორისო, მსოფლიო რევოლუცია ყველა ქვეყანაში იწყება და ძლიერდება.

ხალხს შეგნებული აქვს იმ ბრძოლის სიდიადე და მნიშვნელობა, რომელიც ახლა ჩაღდება. საჭიროა მხოლოდ მოვნახოთ ის პრაქტიკული ფორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროლეტარიატს განახორციელოს თავისი ბატონობა. ასეთ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა სისტემა პროლეტარიატის დიქტატურითურთ. პროლეტარიატის დიქტატურა! — დღემდე ეს სიტყვები მასებისათვის გაუგებარი რამ იყო. მთელ ქვეყნიერებაზე საბჭოების სისტემის გავრცელების წყალობით, ეს გაუგებარი რამ ყველა თანამედროვე ენაზეა გადათარგმნილი; მუშათა მასებმა იპოვნეს დიქტატურის პრაქტიკული ფორმა. ეს ფორმა გასაგები გახდა მუშათა ფართო მასებისათვის, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, გერმანიის სპარტაკელების და სხვა ქვეყნებში არსებული ანალოგიური ორგანიზაციების მეოხებით, როგორიცაა, მაგალითად, Shop Stewards Committees ინგლისში [152]. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ პროლეტარული დიქტატურის რევოლუციური ფორმა ნაპოვნია, რომ პროლეტარიატს ახლა შეუძლია პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ბატონობა.

ამხანაგებო! ვფიქრობ, რომ რუსეთში მომხდარი ამბების შემდეგ, გერმანიაში იანვრის ბრძოლის შემდეგ — განსაკუთრებით საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებშიც იკაფავს გზას და ბატონობას აღწევს პროლეტარიატის მოძრაობის უახლესი ფორმა. მაგალითად, დღეს, ერთ ანტისოციალისტურ გაზეთში წავიკითხე ტელეგრაფის ცნობა, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ბირმინგამის მუშათა დეპუტატების საბჭო და განაცხადა, მზად ვარ ვიცნო საბჭოები, როგორც ეკონომიური ორგანიზაციებიო. საბჭოთა სისტემამ გაიმარჯვა არა მარტო ჩამორჩენილ რუსეთში, არამედ ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც — გერმანიაში, აგრეთვე ყველაზე ძველ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც — ინგლისში.

დეე ბურჟუაზია ჯერ კიდევ მძვინვარებდეს, დეე იგი ჯერ კიდევ ხოცავდეს ათასობით მუშას, — გამარჯვება ჩვენია, მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ამხანაგებო! გულითადად მოგესალმებით რა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, წინადადებას ვიძლევი შევუდგეთ პრეზიდიუმის არჩევნებს. გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე 1920 წელს წიგნში: «Der I Kongress der Kommunistischen Internationale. Protokoll». Petrograd

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1921 წელს წიგნში: «კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი. ოქმები». პეტროგრადი

იბეჭდება ოქმების რუსული გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გერმანული გამოცემის ტექსტთან

2

თეზისები და მოხსენება ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

4 მარტი

1. პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ზრდამ ყველა ქვეყანაში გამოიწვია ბურჟუაზიისა და მუშათა ორგანიზაციებში მყოფი მისი აგენტების გააფთრებული ჭაპანწყვეტა — მონახონ იდეურ-პოლიტიკური საბუთები ექსპლოატატორთა ბატონობის დასაცავად. ამ საბუთებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დიქტატურის დაგმობა და დემოკრატიის დაცვა. სიყალბე და თვალთმაქცობა ასეთი საბუთისა, რომელსაც ათასგვარ ყაიდაზე იმეორებენ კაპიტალისტურ პრესაში და ყვითელი ინტერნაციონალის ბერნის 1919 წლის თებერვლის კონფერენციაზე, აშკარაა ყველასათვის, ვისაც არ სურს უღალატოს სოციალიზმის ძირითად დებულებებს.

2. უწინარეს ყოვლისა, ეს საბუთი ცნებებს «დემოკრატია საერთოდ» და «დიქტატურა საერთოდ» ისე ხმარობს, რომ არ აყენებს საკითხს, თუ რომელ კლასზეა ლაპარაკი. საკითხის ასეთი გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივი, ვითომდა საერთო-სახალხო, დასმა არის პირდაპირ აბუჩად აგდება სოციალიზმის ძირითადი მოძღვრებისა, სახელდობრ კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებისა, რომელსაც სიტყვით ცნობენ, საქმით კი ივიწყებენ ბურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალისტები. ვინაიდან არც ერთ ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არსებობს «დემოკრატია საერთოდ», არამედ არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატია, და ლაპარაკია არა «დიქტატურაზე საერთოდ», არამედ ჩაგრული

კლასის, ე. ი. პროლეტარიატის, დიქტატურაზე მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა, ე. ი. ბურჟუაზიის მიმართ იმ წინააღმდეგობის დასაძლევად, რომელსაც გვიწევენ ექსპლოატატორები თავიანთი ბატონობისათვის ბრძოლაში.

3. ისტორია გვასწავლის, რომ არც ერთი ჩაგრული კლასი არასოდეს არ გაბატონებულა და ვერც გაბატონდებოდა ისე, რომ მას არ გამოევლო დიქტატურის პერიოდი, ე. ი. პერიოდი პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და იმ უაღრესად გააფთრებული, უაღრესად გაშმაგებული წინააღმდეგობის ძალდატანებით დათრგუნვისა, რომელიც არავითარ დანაშაულს არ ერიდება და რომელსაც მუდამ ეწეოდნენ ექსპლოატატორები. ბურჟუაზია, რომლის ბატონობასაც ახლა იცავენ სოციალისტები, რომლებიც ლაპარაკობენ «საერთოდ დიქტატურის» წინააღმდეგ და თავს იდებენ «დემოკრატიისათვის საერთოდ», მოწინავე ქვეყნებში ძალაუფლებას იპყრობდა მთელი რიგი აჯანყებების, სამოქალაქო ომების, მეფეების, ფეოდალების, მონათმფლობელების და მათი რესტავრაციის ცდების ძალდატანებით დათრგუნვის გზით. ყველა ქვეყნის სოციალისტებს ათასჯერ და მილიონჯერ განუმარტავთ ხალხისათვის ამ ბურჟუაზიული რევოლუციების, ამ ბურჟუაზიული დიქტატურის კლასობრივი ხასიათი თავიანთ წიგნებსა და ბროშურებში, თავიანთ ყრილობათა რეზოლუციებში, თავიანთ სააგიტაციო სიტყვებში. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატიის ახლანდელი დაცვა «საერთოდ დემოკრატიის» შესახებ ლაპარაკით და ახლანდელი გოდება და ყვირილი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ «საერთოდ დიქტატურაზე» ყვირილის სახით არის სოციალიზმის პირდაპირი ღალატი, ფაქტიური გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, უარყოფა პროლეტარიატის უფლებისა — მოახდინოს თავისი, პროლეტარული, რევოლუცია, არის ბურჟუაზიული რეფორმიზმის დაცვა სწორედ ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც ბურჟუაზიულმა რეფორმიზმმა მთელ მსოფლიოში კრახი განიცადა და როდესაც ომმა რევოლუციური სიტუაცია შექმნა.

4. ყველა სოციალისტი, განმარტავდა რა ბურჟუაზიული ცივილიზაციის, ბურჟუაზიული დემოკრატიის, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კლასობრივ ხასიათს, იმ აზრს გამოთქვამდა, რომელიც უდიდესი მეცნიერული სიზუსტით გამოთქვეს მარქსმა და ენგელსმა სიტყვებით, რომ ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა ბურჟუაზიის მიერ მუშათა კლასის, ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ მშრომელთა მასის დათრგუნვისა [158]. არ არის არც ერთი რევოლუციონერი, არც ერთი მარქსისტი იმათ შორის, ვინც ახლა გაყვირის დიქტატურის წინააღმდეგ და დემოკრატიის სასარგებლოდ, რომელსაც არ დაეფიცნოს მუშების წინაშე, რომ ის აღიარებს სოციალიზმის ამ ძირითად ჭეშმარიტებას; ახლა კი, როდესაც რევოლუციური პროლეტარიატი იწყებს მღელვარებასა და მოძრაობას, რომელიც მიმართულია ჩაგვრის ამ მანქანის დამსხვრევისაკენ და პროლეტარული დიქტატურის მოპოვებისაკენ, სოციალიზმის ეს მოღალატენი საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს ბურჟუაზიამ მშრომელებს უბოძა «წმინდა დემოკრატია», თითქოს ბურჟუაზიამ ხელი აიღო წინააღმდეგობის გაწევაზე და მზადაა დაემორჩილოს მშრომელთა უმრავლესობას, თითქოს არავითარი სახელმწიფო მანქანა კაპიტალის მიერ შრომის დასათრგუნავად დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ყოფილა და არც არის.

5. პარიზის კომუნამ, რომელსაც სიტყვიერად ადიდებენ ყველანი, ვისაც სურს სოციალისტად იწოდებოდეს, ვინაიდან მათ იციან, რომ მუშათა მასები მხურვალედ და გულწრფელად თანაუგრძნობენ კომუნას, — განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყო ისტორიული პირობითობა და შეზღუდული ღირებულება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისა — დაწესებულებებისა, რომლებიც უაღრესად პროგრესულნი არიან შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით, მაგრამ რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ ძირეულ ცვლილებას პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში. სწორედ მარქსმა, რომელმაც ყველაზე უკეთ შეაფასა კომუ-

ნის ისტორიული მნიშვნელობა, მისი ანალიზის დროს ცხადყო ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ექსპლოატატორული ხასიათი, როდესაც ჩაგრულ კლასებს უფლება ენიჭებათ, რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაწყვიტონ, თუ მქონებელი კლასების რომელი წარმომადგენელი იქნება ხალხის «წარმომადგენელი და დამთრგუნველი» (ver- und zertreten) პარლამენტში [154]. სწორედ ახლა, როდესაც საბჭოთა მოძრაობა, ედება რა მთელ მსოფლიოს, ყველას თვალწინ განაგრძობს კომუნის საქმეს, სოციალიზმის მოღალატენი ივიწყებენ პარიზის კომუნის კონკრეტულ გამოცდილებას და კონკრეტულ გაკვეთილებს, იმეორებენ რა ძველ ბურჟუაზიულ აბდაუბდას «დემოკრატიაზე საერთოდ». კომუნა არ ; პარლამენტური დაწესებულება იყო.

6. შემდეგ, კომუნის მნიშვნელობა ის არის, რომ მან სცადა ძირფესვიანად დაემსხვრია, დაენგრია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, მოხელეური, სამოსამართლო, სამხედრო, პოლიციური აპარატი, შეცვალა რა იგი მუშათა თვითმმართველი მასობრივი ორგანიზაციით, რომლისათვის უცხო იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დანაწილება. ყველა თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, მათ შორის გერმანიის რესპუბლიკაც, რომელსაც სოციალიზმის მოღალატენი, დასცინიან რა ჭეშმარიტებას, პროლეტარულს უწოდებენ, ინარჩუნებს ამ სახელმწიფო აპარატს. ამრიგად, კიდევ და კიდევ სავსებით ნათლად დასტურდება, რომ ყვირილი «საერთოდ დემოკრატიის» დასაცავად ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიისა და მისი ექსპლოატატორული პრივილეგიების დაცვას.

7. «კრებების თავისუფლება» შეიძლება ავიღოთ «წმინდა დემოკრატიის» მოთხოვნების ნიმუშად. ყოველი შეგნებული მუშა, რომელსაც თავის კლასთან კავშირი არ გაუწყვეტია, ერთბაშად მიხვდება, რომ უაზრო იქნებოდა კრებების თავისუფლებას დავპირებოდით ექსპლოატატორებს იმ პერიოდში და იმ ვითარებაში, როდესაც ექსპლოატატორები წინააღმდეგობას უწევენ თავიანთ დამხობას და იცავენ თავიანთ

პრივილეგიებს. ბურჟუაზია, როდესაც იგი რევოლუციური იყო, არც ინგლისში 1649 წელს, არც საფრანგეთში 1793 წელს, არ აძლევდა «კრებების თავისუფლებას» მონარქისტებსა და თავადაზნაურებს, რომლებიც მოუხმობდნენ უცხოეთის ჯარებს და «იკრიბებოდნენ» რესტავრაციის ცდების მოსაწყობად. თუ ახლანდელი, დიდი ხანია რეაქციულად ქცეული, ბურჟუაზია მოითხოვს პროლეტარიატისაგან, რომ მან წინასწარ უზრუნველყოს «კრებების თავისუფლება» ექსპლოატატორებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა წინააღმდეგობას გაუწევენ კაპიტალისტები თავიანთ ექსპროპრიაციას, მაშინ მუშები მხოლოდ სიცილს დააყრიან ბურჟუაზიის თვალთმაქცობას.

მეორე მხრივ, მუშებმა ჩინებულად იციან, რომ «კრებების თავისუფლება» თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან მდიდრების განკარგულებაშია ყველა საუკეთესო საზოგადოებრივი და კერძო შენობა, აგრეთვე მათ საკმაო თავისუფალი დრო აქვთ კრებებისთვის და მათ იცავს ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატი. ქალაქისა და სოფლის პროლეტარებს და წვრილ გლეხებს, ე. ი. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, არა აქვთ არც პირველი, არც მეორე, არც მესამე. ვიდრე ასეთი მდგომარეობაა, «თანასწორობა», ე. ი. «წმინდა დემოკრატია», მატყუარობას წარმოადგენს. ნამდვილი თანასწორობა რომ მოიპოვო, ნამდვილად რომ განახორციელო დემოკრატია მშრომელთათვის, საჭიროა ჯერ წაართვა ექსპლოატატორებს ყველა საზოგადოებრივი და საუცხოო კერძო შენობა, საჭიროა ჯერ მისცე თავისუფალი დრო მშრომელებს, საჭიროა, რომ მათი კრებების თავისუფლებას იცავდნენ შეიარაღებული მუშები და არა თავადაზნაურები ან კაპიტალისტ-ოფიცრები დაბეჩავებული ჯარისკაცებითურთ.

მხოლოდ ასეთი ცვლილების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი კრებების თავისუფლებაზე, თანასწორობაზე ისე, რომ სასაცილოდ არ აიგდო მუშები, მშრომელები, ღარიბები. ასეთი ცვლილების მოხდენა კი შეუძლია მხოლოდ მშრომელთა

ავანგარდს, პროლეტარიატს, რომელიც ამხობს ექსპლოატატორებს, ბურჟუაზიას.

8. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაც» «წმინდა დემოკრატიის» ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგია. მუშებმა ისევ და ისევ იციან, და ყველა ქვეყნის სოციალისტებს მილიონჯერ უღიარებიათ, რომ ეს თავისუფლება მატყუარობაა, ვიდრე საუკეთესო სტამბები და ქაღალდის უდიდესი მარაგი ხელში ჩაგდებული აქვთ კაპიტალისტებს და ვიდრე პრესის მიმართ რჩება კაპიტალის ძალაუფლება, რომელიც მით უფრო მკაფიოდ, მით უფრო მკვეთრად, მით უფრო ცინიკურად იჩენს თავს მთელ მსოფლიოში, რაც უფრო განვითარებულია დემოკრატიზმი და რესპუბლიკური წყობილება, როგორც, მაგალითად, ამერიკაში. ნამდვილი თანასწორობა და ნამდვილი დემოკრატია რომ მოიპოვო მშრომელებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, ჯერ საჭიროა წაართვა კაპიტალს შესაძლებლობა დაიქირავოს მწერლები, იყიდოს გამომცემლობანი და მოისყიდოს გაზეთები, ამისათვის კი აუცილებელია კაპიტალის უღლის დამხობა, ექსპლოატატორების დამხობა, მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა. კაპიტალისტები «თავისუფლებას» ყოველთვის უწოდებდნენ გამდიდრების თავისუფლებას მდიდრებისათვის, შიმშილით სიკვდილის თავისუფლებას მუშებისათვის. კაპიტალისტები ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრების მიერ ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ სიმდიდრე გამოყენებულ იქნეს ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრის საფაბრიკაციოდ და გასაყალბებლად. «წმინდა დემოკრატიის» დამცველები ნამდვილად ისევ და ისევ გვევლინებიან მასების განათლების საშუალებებზე მდიდრების ბატონობის უაღრესად ბინძური, გათახსირებული სისტემის დამცველებად, გვევლინებიან ხალხის მატყუარებად, რომლებიც მას კეთილსახიერი, ლამაზი და მთლად ყალბი ფრაზების საშუალებით აშორებენ კონკრეტულ ისტორიულ ამოცანას — გაათავისუფლოს პრესა კაპიტალის მიერ მისი დამონებისაგან. ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა იქნება ისეთი წესწყობილება,

რომელსაც კომუნისტები აშენებენ და რომელშიც არ იქნება სხვის ხარჯზე გამდიდრების შესაძლებლობა, არ იქნება ობიექტური შესაძლებლობა, რომ არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ დაუმორჩილონ პრესა ფულის ბატონობას, ხელი არ შეეშლება იმას, რომ ყოველ მშრომელს (ან მშრომელთა ჯგუფს, დამოუკიდებლად მისი რიცხობრივი შემადგენლობისა) ჰქონდეს თანასწორი უფლება საზოგადოებრივი სტამბებითა და საზოგადოებრივი ქაღალდით სარგებლობის მხრივ და რომ იგი ამ უფლებას ახორციელებდეს.

9. XIX და XX საუკუნეთა ისტორიამ ჯერ კიდევ ომამდე გვიჩვენა, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად ყბადაღებული «წმინდა დემოკრატია» კაპიტალიზმის დროს. მარქსისტები ყოველთვის ამბობდნენ, რომ რაც უფრო განვითარებულია, რაც უფრო «წმინდაა» დემოკრატია, მით უფრო გაშიშვლებული, მით უფრო მძაფრი, მით უფრო ულმობელი ხდება კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო «წმინდად» ვლინდება ჩაგვრა კაპიტალის მხრივ და ბურჟუაზიის დიქტატურა. დრეიფუსის საქმე რესპუბლიკურ საფრანგეთში, კაპიტალისტების დაქირავებული და შეიარაღებული რაზმების მიერ გაფიცულთა ხოცვა-ჟლეტა ამერიკის თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — ეს და ათასობით ამის მსგავსი ფაქტები გვიჩვენებენ იმ სიმართლეს, რომლის დამალვასაც ამაოდ ცდილობს ბურჟუაზია, სახელდობრ, რომ ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც ნამდვილად ბატონობს ბურჟუაზიის ტერორი და დიქტატურა, რაც აშკარად იჩენს თავს ყოველთვის, როდესაც ექსპლოატატორებს ეჩვენებათ, რომ კაპიტალის ძალაუფლება ირყევა.

10. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ გამოააშკარავა ჩამორჩენილი მუშების წინაშეც კი ბურჟუაზიული დემოკრატიის, როგორც ბურჟუაზიის დიქტატურის, ეს ჭეშმარიტი ხასიათი თვით ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებში. მილიონერთა და მილიარდერთა გერმანული თუ ინგლისური ჯგუფის გამდიდრებისათვის ათეული მილიონები გაიჟლიტა, და თვით ყველაზე თავისუფალ რეს-

პუბლიკებში ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ეს სამხედრო დიქტატურა გერმანიის განადგურების შემდეგაც გრძელდება ანტანტის ქვეყნებში. სწორედ ომმა ყველაზე მეტად აუხილა თვალი მშრომელებს, ჩამოაგლიჯა ყალბი ყვავილები ბურჟუაზიულ დემოკრატიას, დაანახვა ხალხს მთელი უფსკრული სპეკულაციისა და გამდიდრებისა ომის დროს და ომის გამო. «თავისუფლებისა და თანასწორობის» სახელით აწარმოებდა ბურჟუაზია ამ ომს, «თავისუფლებისა და თანასწორობის» სახელით გაუგონრად მდიდრდებოდნენ სამხედრო მასალის მიმწოდებელნი. ბერნის ყვითელი ინტერნაციონალის ვერავითარი ღონისძიება ვერ დაუფარავს მასებს ბურჟუაზიული თავისუფლების, ბურჟუაზიული თანასწორობის, ბურჟუაზიული დემოკრატიის ახლა უკვე ბოლომდე მხილებულ ექსპლოატატორულ ხასიათს.

11. ევროპის კონტინენტის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, გერმანიაში, იმპერიალისტური გერმანიის განადგურების შედეგად შექმნილი სრული რესპუბლიკური თავისუფლების პირველსავე თვეებმა დაანახვეს გერმანელ მუშებს და მთელ მსოფლიოს, თუ რა არის ბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკის ნამდვილი კლასობრივი არსი. კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო იმიტომ, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ ჭეშმარიტი პროლეტარული, კომუნისტური ინტერნაციონალის საუკეთესო ადამიანები და ბელადები, არამედ იმიტომაც, რომ ევროპის მოწინავე — გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: მსოფლიო მასშტაბით მოწინავე — სახელმწიფოს კლასობრივი არსი ბოლომდე გაშიშვლდა. თუ დაპატიმრებული, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თავის დაცვის ქვეშ აყვანილი ადამიანები შეიძლებოდა დაუსჯელად მოეკლათ ოფიცრებსა და კაპიტალისტებს, სოციალ-პატრიოტების მთავრობის დროს, მაშასადამე, დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც ასეთი რამ შესაძლებელი იყო, ბურჟუაზიის დიქტატურას წარმოადგენს. ადამიანები, რომლებიც თავიანთ აღშფოთებას

გამოთქვამენ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობის გამო, მაგრამ რომლებსაც ეს ჭეშმარიტება არ ესმით, ამით მხოლოდ ამჟღავნებენ ან თავიანთ გონებრივ სიჩლუნგეს, ან თავიანთ თვალთმაქცობას. «თავისუფლება» მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ და მოწინავე რესპუბლიკაში, გერმანიის რესპუბლიკაში, არის პროლეტარიატის დაპატიმრებული ბელადების დაუსჯელად მოკვლის თავისუფლება. და ეს არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, ვინაიდან დემოკრატიზმის განვითარება კი არ ანელებს, არამედ ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, რომელიც, ომის მთელი შედეგებისა და გავლენის გამო, დუღილის უკანასკნელ წერტილამდეა მიყვანილი.

ახლა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში აძევებენ ბოლშევიკებს, დევნიან მათ, ამწყვდევენ საპატიმროებში, როგორც, მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, არბევენ ბოლშევიკებს ამერიკაში და სხვ.. «საერთოდ დემოკრატიის» ან «წმინდა დემოკრატიის» თვალსაზრისით პირდაპირ სასაცილოა, რომ მოწინავე, ცივილიზებულ, დემოკრატიულ, თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ ქვეყნებს ეშინიათ იმისა, რომ იქ იმყოფება რამდენიმე ათეული ადამიანი ჩამორჩენილი, დამშეული, გაჩანაგებული რუსეთიდან, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები ათეულ მილიონობით ეგზემპლარებში უწოდებენ ველურს, დანაშაულებრივს და ა. შ.. ცხადია, რომ ის საზოგადოებრივი ვითარება, რომელსაც შეეძლო ასეთი აშკარა წინააღმდეგობა წარმოეშვა, ნამდვილად ბურჟუაზიის დიქტატურას წარმოადგენს.

12. ასეთ ვითარებაში პროლეტარიატის დიქტატურა არათუ სავსებით კანონიერია, როგორც ექსპლოატატორთა დამხობისა და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალება, არამედ აბსოლუტურად აუცილებელიცაა მშრომელთა მთელი მასისათვის, როგორც ერთადერთი დაცვა ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ, რომელმაც ომი გამოიწვია და რომელიც ახალ ომებს ამზადებს.

მთავარი, რაც სოციალისტებს არ ესმით და რაც მათ თეორიულ სიბეცეს შეადგენს, რაც მათ ამყოფებს ბურჟუაზიულ ცრურწმენათა ტყვეობაში და წარმოადგენს მათ პოლიტიკურ ღალატს პროლეტარიატის მიმართ, არის ის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როდესაც რამდენადმე მაინც სერიოზულად მწვავდება მის საფუძველში ჩაქსოვილი კლასობრივი ბრძოლა, არ შეიძლება იყოს არაფერი შუათანა, გარდა ბურჟუაზიის დიქტატურისა ან პროლეტარიატის დიქტატურისა. ყოველგვარი ოცნება რაიმე მესამეზე წვრილი ბურჟუის რეაქციული ლამენტაციაა. ამას მოწმობს ყველა მოწინავე ქვეყანაში ბურჟუაზიული დემოკრატიისა და მუშათა მოძრაობის განვითარების ას წელზე მეტი ხნის გამოცდილებაც და განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთეული წლის გამოცდილება. ამას მეტყველებს აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის მთელი მეცნიერება, მთელი შინაარსი მარქსიზმისა, რომელიც არკვევს, რომ ყოველგვარი სასაქონლო მეურნეობის დროს გარდუვალია ბურჟუაზიის დიქტატურა, რომელსაც ვერავინ შეცვლის, გარდა იმ კლასისა, რომელსაც ავითარებს, ამრავლებს, რაზმავს, განამტკიცებს თვით კაპიტალიზმის განვითარება, ე. ი. გარდა პროლეტარების კლასისა.

13. სოციალისტების მეორე თეორიული და პოლიტიკური შეცდომა იმის გაუგებლობაა, რომ დემოკრატიის ფორმები გარდუვალად იცვლებოდა ათასეული წლების მანძილზე, დაწყებული მისი ჩანასახებიდან შორეულ წარსულში, იმისდა მიხედვით, როგორც ცვლიდა ერთ გაბატონებულ კლასს მეორე კლასი. საბერძნეთის ძველ რესპუბლიკებში, შუასაუკუნეობრიობის ქალაქებში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიას სხვადასხვა ფორმა და გამოყენების სხვადასხვა ფარგლები აქვს. უდიდესი სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველაზე ღრმა რევოლუცია კაცობრიობის ისტორიაში, ქვეყნად ძალაუფლების პირველი გადასვლა ექსპლოატატორთა უმცირესობისაგან ექსპლოატირებულთა უმრავლესობის ხელში შეიძლება მოხდეს ძველი, ბურჟუაზიული, პარლამენტური დემოკრატიის ძველი ჩარჩოების შიგნით, შეიძლება მოხდეს

ისე, რომ არ ექნეს ადგილი უაღრესად მძაფრ გარდატეხებს, რომ არ შეიქმნას დემოკრატიის ახალი ფორმები, ახალი დაწესებულებანი, რომლებიც ასახიერებენ მისი გამოყენების ახალ პირობებს და ა. შ.

14. პროლეტარიატის დიქტატურა იმით გავს სხვა კლასების დიქტატურას, რომ იგი, ისევე როგორც ყოველგვარი დიქტატურა, გამოწვეულია აუცილებლობით, რომ ძალდატანებით დათრგუნვილ იქნეს იმ კლასის წინააღმდეგობა, რომელიც პოლიტიკურ ბატონობას კარგავს. პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი განსხვავება სხვა კლასების დიქტატურისაგან, — მემამულეთა დიქტატურისაგან შუა საუკუნეებში, ბურჟუაზიის დიქტატურისაგან ყველა ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, — ის არის, რომ მემამულეებისა და ბურჟუაზიის დიქტატურა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, სახელდობრ მშრომელების წინააღმდეგობის ძალდატანებითი დათრგუნვა იყო. პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურა არის ექსპლოატატორთა, ე. ი. მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგობის ძალდატანებითი დათრგუნვა.

აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ გარდუვალად უნდა გამოიწვიოს, ზოგადად თუ ვიტყვით, არა მარტო დემოკრატიის ფორმებისა და დაწესებულებების ცვლილება, არამედ მათი სწორედ ისეთი ცვლილება, რომელიც იძლევა კაპიტალიზმის მიერ ჩაგრულთა მხრივ, მშრომელთა კლასების მხრივ დემოკრატიზმის ფაქტიური გამოყენების ისეთ გაფართოებას, როგორიც მსოფლიოში ჯერ კიდევ არ ნახულა.

და მართლაც, პროლეტარიატის დიქტატურის ის ფორმა, რომელიც ფაქტიურად უკვე შემუშავდა, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, Räte-System * გერმანიაში, Shop Stewards Committees და სხვა ანალოგიური საბჭოთა დაწესებულებანი სხვა ქვეყნებში, ყველანი ისინი მოასწავებენ და ახორციელებენ სწორედ მშრომელი კლასებისათვის, ე. ი.

* — საბჭოების სისტემა. რ ე დ.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის, დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ისეთ ფაქტიურ შესაძლებლობას, როგორიც არასოდეს არ ყოფილა, დაახლოებითაც კი, თვით ყველაზე უკეთეს და დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში.

საბჭოთა ხელისუფლების არსი ის არის, რომ მთელი სახელმწიფო ხელისუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის მუდმივსა და ერთადერთ საფუძველს შეადგენს სწორედ იმ კლასების მასობრივი ორგანიზაცია, რომლებიც დაჩაგრული იყვნენ კაპიტალიზმის მიერ, ე. ი. მუშებისა და ნახევრად-პროლეტარებისა (გლეხებისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან და მუდმივად ყიდიან თავიანთი სამუშაო ძალის თუნდაც ნაწილს). სწორედ ის მასები, რომლებსაც თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში, თუმცა ისინი კანონით თანასწორუფლებიანნი იყვნენ, ნამდვილად ათასგვარი ხრიკებითა და ხერხებით უსპობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ახლა მუდმივ და უცილობელ, ამასთან გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში.

15. მოქალაქეთა იმ თანასწორობას, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა, რომლის დაპირებასაც ბურჟუაზიული დემოკრატია ყოველთვის და ყველგან იძლეოდა, მაგრამ რომელიც მას არასოდეს არ განუხორციელებია და, კაპიტალიზმის ბატონობის გამო, არც შეეძლო განეხორციელებინა, საბჭოთა ხელისუფლება, ანუ პროლეტარიატის დიქტატურა, ერთბაშად და მთლიანად ახორციელებს, ვინაიდან ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მუშების ხელისუფლებას, რომლებიც დაინტერესებული არ არიან წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებით და მათი გაყოფისა და ხელახალი გაყოფისათვის ბრძოლით.

16. ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, დემოკრატია და პარლამენტარიზმი ისე იყო მოწყობილი, რომ მმართველობის

აპარატისაგან ყველაზე მეტად სწორედ მშრომელთა მასები იყვნენ ჩამოცილებულნი. საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა, პირიქით, სწორედ ისეა აგებული, რომ მშრომელთა მასები მმართველობის აპარატს დაუახლოოს. ამავე მიზანს ემსახურება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შეერთება სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციის დროს და ტერიტორიული საარჩევნო ოლქების შეცვლა საწარმოო ერთეულებით, როგორიცაა: ქარხანა, ფაბრიკა.

17. ჯარი ჩაგვრის აპარატი იყო არა მარტო მონარქიის დროს. იგი ასეთად დარჩა აგრეთვე ყველა ბურჟუაზიულ, თვით ყველაზე დემოკრატიულ, რესპუბლიკებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სწორედ კაპიტალიზმის მიერ ჩაგრული კლასების მუდმივ სახელმწიფო ორგანიზაციას, ძალუძს მოსპოს ჯარის დამორჩილება ბურჟუაზიული სარდლობისადმი და ნამდვილად შეუერთოს პროლეტარიატი ჯარს, ნამდვილად განახორციელოს პროლეტარიატის შეიარაღება და ბურჟუაზიის განიარაღება, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის გამარჯვება.

18. სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაცია მოწყობილია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისათვის, როგორც ისეთი კლასისა, რომელიც ყველაზე მეტად კონცენტრირებული და გათვითცნობიერებულია კაპიტალიზმის მიერ. ყველა რევოლუციისა და ჩაგრული კლასების ყველა მოძრაობის გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ პროლეტარიატს ძალუძს გააერთიანოს და თან გაიყოლიოს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის დაქსაქსული და ჩამორჩენილი ფენები.

19. მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციას ძალუძს ნამდვილად დაამსხვრიოს ერთბაშად და დაანგრიოს საბოლოოდ ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, მოხელეური და სასამართლო აპარატი, რომელიც რჩებოდა და გარდუვალად უნდა დარჩენილიყო კაპიტალიზმის დროს ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი, წარმოადგენდა რა ფაქტიურად ყველაზე

დიდ დაბრკოლებას მუშებისა და მშრომელებისათვის დემოკრატიზმის განხორციელების საქმეში. პარიზის კომუნამ გადადგა პირველი მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი ამ გზაზე, საბჭოთა ხელისუფლებამ — მეორე ნაბიჯი.

20. სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობა არის მიზანი, რომელსაც ისახავდა ყველა სოციალისტი, მათ შორის და მათ სათავეში მარქსი. ამ მიზნის განუხორციელებლად ჭეშმარიტი დემოკრატიზმი, ე. ი. თანასწორობა და თავისუფლება, განუხორციელებელია. ამ მიზნისაკენ კი პრაქტიკულად მივყავართ მხოლოდ საბჭოთა, ანუ პროლეტარულ, დემოკრატიას, რადგან იგი, მუდმივ და აუცილებელ მონაწილეობას აღებინებს რა მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს სახელმწიფოს მმართველობაში, იწყებს ყოველგვარი სახელმწიფოს სრული კვდომის დაუყოვნებლივ მომზადებას.

21. ბერნში შეკრებილი სოციალისტების სრული გაკოტრება, მათ მიერ ახალი, ე. ი. პროლეტარული, დემოკრატიის სრული გაუგებლობა განსაკუთრებით ჩანს შემდეგიდან. 1919 წლის 10 თებერვალს ბრანტინგმა ბერნში დახურა ყვითელი ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენცია. 1919 წლის 11 თებერვალს ბერლინში, ამ ინტერნაციონალის მონაწილეთა გაზეთ «Die Freiheit»-ში, დაბეჭდილია «დამოუკიდებელთა» პარტიის მიმართვა პროლეტარიატისადმი. ამ მიმართვაში აღიარებულია შეიდემანის მთავრობის ბურჟუაზიული ხასიათი, მას უსაყვედურებენ სურვილს — გააუქმოს საბჭოები, რომლებსაც ეწოდება Träger und Schützer der Revolution — რევოლუციის მატარებლები და მცველები, და წინადადებას იძლევიან — მოახდინონ საბჭოების ლეგალიზება, მიენიჭოს მათ სახელმწიფო უფლებები, მიენიჭოს მათ უფლება — შეაჩერონ ეროვნული კრების გადაწყვეტილებანი და ჩატარდეს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა საქმის გადასაწყვეტად.

ასეთი წინადადება სრული იდეური კრახია იმ თეორეტიკოსებისა, რომლებიც დემოკრატიას იცავდნენ და რომლებსაც არ ესმოდათ მისი ბურჟუაზიული ხასიათი. სასაცილო ცდა — შეაერთონ საბჭოების სისტემა, ე. ი. პროლეტარიატის

დიქტატურა, ეროვნულ კრებასთან, ე. ი. ბურჟუაზიის დიქტატურასთან, ბოლომდე ამხელს ყვითელი სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატების აზროვნების უბადრუკობასაც, მათი — წვრილი ბურჟუების — პოლიტიკურ რეაქციულობასაც და მათ ლაჩრულ დათმობებსაც ახალი, პროლეტარული დემოკრატიის შეუჩერებლივ მზარდი ძალისადმი.

22. გმობდა რა ბოლშევიზმს, ბერნის ყვითელი ინტერნაციონალის უმრავლესობა, რომელმაც ვერ გაბედა ფორმალურად კენჭი ეყარა სათანადო რეზოლუციისათვის მუშათა მასების წინაშე შიშის გამო, სწორად იქცეოდა კლასობრივი თვალსაზრისით. სწორედ ეს უმრავლესობა სავსებით სოლიდარულია რუსი მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისა, გერმანიაში კი — შეიდემანებისა. რუსი მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ჩივიან რა, რომ მათ დევნიან ბოლშევიკები, ცდილობენ დამალონ ის ფაქტი, რომ ეს დევნა გამოწვეულია მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მონაწილეობით სამოქალაქო ომში ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. სწორედ ასევე შეიდემანებმა და მათმა პარტიამ უკვე დაამტკიცეს გერმანიაში, რომ ისინი ასეთსავე მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო ომში ბურჟუაზიის მხარეზე მუშების წინააღმდეგ.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ბერნის ყვითელი ინტერნაციონალის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ბოლშევიკების დაგმობას. ამით გამოიხატა არა «წმინდა დემოკრატიის» დაცვა, არამედ იმ ადამიანთა თავდაცვა, რომლებმაც იციან და გრძნობენ, რომ სამოქალაქო ომში ისინი დგანან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ.

აი რატომ არ შეიძლება კლასობრივი თვალსაზრისით სწორად არ ვაღიაროთ ყვითელი ინტერნაციონალის უმრავლესობის გადაწყვეტილება. პროლეტარიატი სიმართლეს არ უნდა შეუშინდეს; მან პირდაპირ უნდა გაუსწოროს მას თვალი და აქედან გამოიტანოს ყველა პოლიტიკური დასკვნა.

ამხანაგებო! მე მინდა ზოგი რამ დავუმატო ორ უკანასკნელ პუნქტს. ეფიქრობ, რომ ამხანაგები, რომლებმაც უნდა

გაგვიკეთონ მოხსენება ბერნის კონფერენციის შესახებ, უფრო დაწვრილებით ილაპარაკებენ ამაზე.

მთელი ბერნის კონფერენციის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ თქმულა საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობის შესახებ. უკვე ორი წელია ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს რუსეთში. 1917 წლის აპრილში პარტიულ კონფერენციაზე ჩვენ უკვე თეორიულად და პოლიტიკურად დავაყენეთ საკითხი: «რა არის საბჭოთა ხელისუფლება, როგორია მისი შინაარსი, რაშია მისი ისტორიული მნიშვნელობა?». უკვე თითქმის ორი წელია, რაც ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს, და ჩვენს პარტიულ ყრილობაზე მივიღეთ რეზოლუციაც ამის შესახებ [155].

ბერლინის «Freiheit»-მა 11 თებერვალს დაბეჭდა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი, რომელსაც ხელს აწერენ არა მარტო გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების ბელადები, არამედ დამოუკიდებელთა ფრაქციის ყველა წევრიც. 1918 წლის აგვისტოში ამ დამოუკიდებელთა უდიდესი თეორეტიკოსი, კაუცკი, თავის ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურა» წერდა, რომ ის დემოკრატიისა და საბჭოთა ორგანოების მომხრეა, მაგრამ რომ საბჭოებს მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ და რომ ისინი სრულიადაც არ უნდა იქნენ აღიარებულნი სახელმწიფო ორგანიზაციებადო. კაუცკი ამასვე იმეორებს «Freiheit»-ის 11 ნოემბრისა და 12 იანვრის ნომრებში. 9 თებერვალს ქვეყნდება სტატია რუდოლფ ჰილფერდინგისა, რომელიც აგრეთვე ითვლება II ინტერნაციონალის ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტულ თეორეტიკოსად. ის წინადადებას იძლევა, რომ იურიდიულად, სახელმწიფო კანონმდებლობის გზით, გაერთიანებულ იქნეს საბჭოების სისტემა ეროვნულ კრებასთან. ეს იყო 9 თებერვალს. 11-ს ამ წინადადებას იღებს დამოუკიდებელთა მთელი პარტია და იგი მოწოდების სახით ქვეყნდება.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კრება უკვე არსებობს, იმის შემდეგაც კი, რაც «წმინდა დემოკრატია» სინამდვილედ იქცა, იმის შემდეგ, რაც დამოუკიდებელი

სოციალ-დემოკრატების ყველაზე დიდმა თეორეტიკოსებმა გამოაცხადეს, რომ საბჭოთა ორგანიზაციები არ უნდა იყვნენ სახელმწიფო ორგანიზაციებიო, მიუხედავად ყოველივე ამისა — ისევ მერყეობა! ეს ამტკიცებს, რომ ამ ვაჟბატონებს მართლაც ვერაფერი გაუგიათ ახალი მოძრაობისა და მისი ბრძოლის პირობებისა. მაგრამ ეს სხვა რამესაც ამტკიცებს, სახელდობრ: უნდა არსებობდეს პირობები, მიზეზები, რომლებიც ამ მერყეობას იწვევენ! ყველა ამ მოვლენათა შემდეგ, რუსეთის ამ თითქმის ორი წლის ძლევამოსილი რევოლუციის შემდეგ, როდესაც ჩვენ გვთავაზობენ ისეთ რეზოლუციებს, როგორიც არის ბერნის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები, რომლებშიც არაფერი არ არის ნათქვამი საბჭოებზე და მათ მნიშვნელობაზე, სადაც არც ერთ დელეგატს არც ერთ სიტყვაში კრინტიც კი არ დაუძრავს ამის შესახებ, ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყველა ეს ვაჟბატონი, როგორც სოციალისტი და თეორეტიკოსი, ჩვენთვის მოკვდა.

მაგრამ პრაქტიკულად, პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს, ამხანაგებო, იმის დამამტკიცებელია, რომ მასებში დიდი ძვრა ხდება, — რაკი ეს დამოუკიდებელნი, რომელნიც თეორიულად და პრინციპულად ამ სახელმწიფო ორგანიზაციების წინააღმდეგი იყვნენ, უცებ გვთავაზობენ ისეთ სისულელეს, როგორიცაა ეროვნული კრების «მშვიდობიანი» შეერთება საბჭოების სისტემასთან, ე. ი. ბურჟუაზიის დიქტატურის შეერთება პროლეტარიატის დიქტატურასთან. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაკოტრდნენ ყველა ისინი სოციალისტური და თეორიული მხრივ და თუ რა უზარმაზარი ცვლილება ხდება მასებში. გერმანიის პროლეტარიატის ჩამორჩენილი მასები ჩვენკენ მოდიან, ჩვენთან მოვიდნენ! ამრიგად, გერმანელი სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებელი პარტიის, ბერნის კონფერენციის ამ საუკეთესო ნაწილის, მნიშვნელობა თეორიული და სოციალისტური თვალსაზრისით ნულს უდრის; მაგრამ ერთგვარი მნიშვნელობა მას რჩება, და ეს მნიშვნელობა ის არის, რომ ეს მერყევი ელემენტები ჩვენთვის წარმოადგენენ პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილების განწყობილების მაჩვე-

ნებელს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ამ კონფერენციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. ჩვენც რაღაც ამის მსგავსი განვიცადეთ ჩვენს რევოლუციაში. ჩვენმა მენშევიკებმა თითქმის ზუსტად გაიარეს განვითარების იგივე გზა, როგორიც გერმანიაში — დამოუკიდებელთა თეორეტიკოსებმა. პირველად, როდესაც მათ უმრავლესობა ჰყავდათ საბჭოებში, ისინი საბჭოების მომხრენი იყვნენ. მაშინ მხოლოდ ესღა გაისმოდა: «გაუმარჯოს საბჭოებს!», «საბჭოებისათვის!», «საბჭოები რევოლუციური დემოკრატიაა!». ხოლო როცა საბჭოებში უმრავლესობა ჩვენ, ბოლშევიკებმა, მივიღეთ, მაშინ მათ სხვანაირად დაიწყეს მღერა: საბჭოები არ უნდა არსებობდნენ დამფუძნებელი კრების გვერდითო; ხოლო სხვადასხვა მენშევიკური თეორეტიკოსი თითქმის ისეთსავე წინადადებებს იძლეოდა, როგორიცაა საბჭოების სისტემის შეერთება დამფუძნებელ კრებასთან და მათი მოქცევა სახელმწიფო ორგანიზაციაში. აქ ერთხელ კიდევ აშკარავდება, რომ პროლეტარული რევოლუციის საერთო მსვლელობა მთელ მსოფლიოში ერთნაირია. ჯერ საბჭოების სტიქიურად გაჩენა, შემდეგ მათი გავრცელება და განვითარება, მერე პრაქტიკულად წარმოშობა საკითხისა: საბჭოები თუ ეროვნული კრება, ანუ დამფუძნებელი კრება, ანუ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი; სრული დაბნეულობა წინამძღოლებს შორის და, ბოლოს, — პროლეტარული რევოლუცია. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რევოლუციის თითქმის ორი წლის შემდეგ ჩვენ ასე კი არ უნდა დავაყენოთ საკითხი, არამედ უნდა გამოვიტანოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რადგან საბჭოების სისტემის გავრცელება ჩვენთვის, განსაკუთრებით კი დასავლეთ-ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მე მინდოდა აქ მომეყვანა მენშევიკების მხოლოდ ერთი რეზოლუცია. მე ვთხოვე ამხ. ობოლენსკის გადაეთარგმნა იგი გერმანულ ენაზე. ის დამპირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ არის. მე შევეცდები აღვადგინო ეს რეზოლუცია მეხსიერებით, რადგანაც ამ რეზოლუციის სრული ტექსტი არა მაქვს.

უცხოელისათვის, რომელსაც ბოლშევიზმის შესახებ არაფერი სმენია, ძალიან ძნელია შეიმუშაოს საკუთარი აზრი ჩვენს სადავო საკითხებზე. ყველაფერს, რასაც ბოლშევიკები ამტკიცებენ, მენშევიკები სადავოდ აცხადებენ, და პირიქით. რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მენშევიკების უკანასკნელმა, 1918 წლის დეკემბრის კონფერენციამ მიიღო გრძელი, დაწვრილებითი რეზოლუცია, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა მენშევიკურ «გაზეტა პეჩატნიკოვ»-ში [156]. ამ რეზოლუციაში თვითონ მენშევიკები მოკლედ გადმოგვცემენ კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ისტორიას. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ისინი გმობენ თავიანთი პარტიის იმ ჯგუფებს, რომლებსაც კავშირი აქვთ მქონებელ კლასებთან ურალში, სამხრეთში, ყირიმსა და საქართველოში, — და ჩამოთვლილია ყველა ეს ოლქი. მენშევიკური პარტიის ის ჯგუფები, რომლებიც მქონებელ კლასებთან შეკავშირებულნი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ახლა დაგმობილი არიან რეზოლუციაში, ხოლო უკანასკნელი პუნქტი გმობს იმათაც, ვინც კომუნისტების მხარეზე გადავიდა. აქედან გამომდინარეობს: მენშევიკები იძულებული არიან აღიარონ, რომ მათ პარტიაში არ არის ერთიანობა და რომ ისინი დგანან ან ბურჟუაზიის მხარეზე, ან პროლეტარიატის მხარეზე. მენშევიკების მეტი ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა და სამოქალაქო ომის დროს ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვდევნით მენშევიკებს, ჩვენ მათ ვხვრეტთ კიდეც, როდესაც ისინი ჩვენს წინააღმდეგ ომში იბრძვიან ჩვენი წითელი არმიის წინააღმდეგ და ხვრეტენ ჩვენს წითელ მეთაურებს. ბურჟუაზიის ომს ჩვენ პროლეტარიატის ომით ვუპასუხეთ, — სხვა გამოსავალი არ შეიძლება იყოს. ამრიგად, პოლიტიკური თვალსაზრისით ყოველივე ეს მხოლოდ მენშევიკური თვალთმაქცობაა. ისტორიულად გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ადამიანებს, რომლებიც ოფიციალურად გიჟებად არ არიან გამოცხადებულნი, ბერნის კონფერენციაზე, მენშევიკებისა და ესერების დავალებით,

შეეძლოთ ელაპარაკნათ ბოლშევიკების ბრძოლაზე მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი ეთქვათ თავიანთ ბრძოლაზე ბურჟუაზიასთან შეკავშირებით პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ყველანი ისინი გააფთრებით ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ, რადგან ჩვენ მათ ვდევნით. ეს მართალია. მაგრამ ისინი კრინტსაც არ ძრავენ იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ თვითონ ისინი სამოქალაქო ომში! მე ვფიქრობ, რომ ოქმისათვის უნდა წარმოვადგინო რეზოლუციის სრული ტექსტი, ხოლო უცხოელ ამხანაგებს ვთხოვ ყურადღება მიაქციონ ამ რეზოლუციას, რადგან იგი ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც საკითხი სწორად არის დასმული და რომელიც საუკეთესო მასალას იძლევა რუსეთის «სოციალისტურ» მიმართულებათა ურთიერთდავის შესაფასებლად. პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შუა არსებობს კიდევ ისეთ ადამიანთა კლასი, რომლებიც ხან ერთი, ხან მეორე მხრისაკენ იხრებიან; ასე იყო ყოველთვის და ყველა რევოლუციაში, და აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც პროლეტარიატი და ბურჟუაზია ორ მტრულ ბანაკს წარმოადგენენ, მათ შორის შუათანა ფენები არ არსებობდნენ. ამ მერყევი ელემენტების არსებობა ისტორიულად გარდუვალია, და, სამწუხაროდ, ასეთი ელემენტები, რომლებმაც თვითონ არ იციან, თუ ვის მხარეზე იბრძოლებენ ისინი ხვალ, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს იარსებებენ.

მე მინდა შემოვიტანო პრაქტიკული წინადადება, რომ მივიღოთ რეზოლუცია, რომელშიც სპეციალურად აღნიშნულ უნდა იქნეს სამი პუნქტი.

პ ი რ ვ ე ლ ი: დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში მომუშავე ამხანაგებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა განუმარტონ მასებს საბჭოების სისტემის მნიშვნელობა, სიდიადე და აუცილებლობა. ამ საკითხში საკმაო გაგებულობა არ ჩანს. თუ კაუცკი და ჰილფერდინგი, როგორც თეორეტიკოსები, გაკოტრდნენ, «Freiheit»-ში უკანასკნელად მოთავსებული სტატიები მაინც ამტკიცებენ, რომ ისინი სწორად ბვიხატავენ გერმანიის პროლეტარიატის ჩამორჩენილი

ნაწილების განწყობილებას. ჩვენშიც იგივე ხდებოდა: რუსეთის რევოლუციის პირველი რვა თვის განმავლობაში საკითხი საბჭოთა ორგანიზაციის შესახებ ძალიან ბევრჯერ იყო განხილული, და მუშებისათვის ნათელი არ იყო, თუ რაში მდგომარეობს ახალი სისტემა და შეიძლება თუ არა საბჭოებიდან სახელმწიფო აპარატის შექმნა. ჩვენს რევოლუციაში ჩვენ წინ მივდიოდით არა თეორიული გზით, არამედ პრაქტიკული გზით. მაგალითად, დამფუძნებელი კრების საკითხს ჩვენ წინათ თეორიულად არ ვაყენებდით და არ ვამბობდით, რომ დამფუძნებელ კრებას არ ვცნობთ. მხოლოდ უფრო გვიან, როდესაც საბჭოთა ორგანიზაციები გავრცელდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში და როდესაც მათ დაიპყრეს პოლიტიკური ძალაუფლება, მხოლოდ მაშინ გადავწყვიტეთ ჩვენ დამფუძნებელი კრების გარეკვა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ უნგრეთსა და შვეიცარიაში საკითხი გაცილებით უფრო მწვავედ დგას. ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგია: ჩვენ აქედან ვიღებთ იმის მტკიცე რწმენას, რომ რევოლუცია დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში უფრო სწრაფად ვითარდება და დიდ გამარჯვებას მოგვიტანს. მეორე მხრივ კი, ამაში არის ერთგვარი საფრთხე, სახელდობრ ის საფრთხე, რომ ბრძოლა იმდენად სწრაფი იქნება, რომ მუშათა მასების შეგნება ასეთ განვითარებას ვერ მიჰყვება. საბჭოების სისტემის მნიშვნელობა ახლაც ჯერ კიდევ არ არის ნათელი პოლიტიკურად განათლებული გერმანელი მუშების დიდი მასებისათვის, რადგან ისინი პარლამენტარიზმის სულისკვეთებისა და ბურჟუაზიულ ცრურწმენათა პირობებში არიან აღზრდილნი.

მ ე ო რ ე: საბჭოების სისტემის გავრცელების შესახებ. როდესაც ჩვენ გვესმის, თუ რა სწრაფად ვრცელდება საბჭოების იდეა გერმანიაში და ინგლისშიც კი, ჩვენთვის ეს უმნიშვნელოვანესი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს. მისი მსვლელობის შეჩერება მხოლოდ მოკლე ხნით შეიძლება. სხვა საქმეა, როდესაც ამხანაგები ალბერტი და პლატენი ჩვენ გვეუბნებიან, რომ მათ სოფლებში სოფლის მუშებსა და წვრილ გლეხობას

შორის თითქმის არ არსებობენ საბჭოები. მე წავიკითხე «Rote Fahne»-ში სტატია გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ, სავსებით სწორად, მოჯამაგირეთა და სოფლის ღარიბთა საბჭოების სასარგებლოდ [157]. ბურჟუაზიამ და მისმა ლაქიებმა, როგორიც არიან შეიდემანი და მისი კომპანია, უკვე წამოაყენეს ლოზუნგი: გლეხთა საბჭოები. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ მოჯამაგირეთა და სოფლის ღარიბთა საბჭოები. სამწუხაროდ, ამხანაგების ალბერტის, პლატენის და სხვათა მოხსენებებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ, უნგრეთის გამოკლებით, სოფლად საბჭოთა სისტემის გასავრცელებლად ძალიან ცოტა კეთდება. შეიძლება, ამაში მდგომარეობს კიდეც პრაქტიკული და საკმაოდ დიდი საფრთხე იმისათვის, რომ გერმანიის პროლეტარიატმა უტყუარ გამარჯვებას მიაღწიოს. გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, როდესაც ორგანიზებული იქნებიან არა მარტო ქალაქის მუშები, არამედ სოფლის პროლეტარებიც, და ამასთან ორგანიზებული იქნებიან არა ისე, როგორც წინათ იყვნენ — პროფკავშირებში და კოოპერატივებში, — არამედ საბჭოებში. ჩვენ უფრო ადვილად იმიტომ მოვიპოვეთ გამარჯვება, რომ 1917 წლის ოქტომბერში ჩვენ მივდიოდით გლეხობასთან ერთად, მთელ გლეხობასთან ერთად. ამ აზრით ჩვენი რევოლუცია მაშინ ბურჟუაზიული იყო. ჩვენი პროლეტარული მთავრობის პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ მთელი გლეხობის ძველი მოთხოვნები, რაც ჯერ კიდევ კერენსკის დროს გამოთქვეს გლეხთა საბჭოებმა და ყრილობებმა, აღიარებულ იქნა კანონით, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოსცა 1917 წლის 26 ოქტომბერს (ძველი სტილით), რევოლუციის მეორე დღეს. ეს შეადგენდა ჩვენს ძალას, ამიტომ იყო ჩვენთვის ასე ადვილი უდიდესი უმრავლესობის მოპოვება. სოფლისათვის ჩვენი რევოლუცია ისევ ბურჟუაზიული რჩებოდა, და მხოლოდ უფრო გვიან, ნახევარი წლის შემდეგ, ჩვენ იძულებული ვიყავით სახელმწიფო ორგანიზაციის ფარგლებში დასაწყისი მიგვეცა კლასობრივი ბრძოლისათვის სოფლად, შეგვექმნა ყოველ სოფელში ღარიბთა, ნახევრადპროლეტართა კომიტეტები

და სისტემატურად გვებრძოლნა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენში ეს გარდუვალი იყო რუსეთის ჩამორჩენილობის გამო. დასავლეთ ევროპაში საქმე სხვანაირად მოხდება, ამიტომაც ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საბჭოების სისტემის გავრცელება სოფლის მოსახლეობაზეც სათანადო, იქნებ ახალ, ფორმებში აბსოლუტურად აუცილებელია.

მ ე ს ა მ ე: ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საბჭოებში კომუნისტური უმრავლესობის მოპოვება მთავარი ამოცანაა ყველა ქვეყანაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია. ჩვენმა რეზოლუციების კომისიამ გუშინ განიხილა ეს საკითხი. იქნებ, სხვა ამხანაგები კიდევ გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამის შესახებ, მაგრამ მე მინდა შემოვიტანო წინადადება, რომ მივიღოთ ეს სამი პუნქტი, როგორც განსაკუთრებული რეზოლუცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვუკარნახოთ გზა განვითარებას. ძალიან შესაძლებელია, რომ დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში რევოლუცია მეტად მალე მოხდეს, მაგრამ ჩვენ, როგორც მუშათა კლასის ორგანიზებული ნაწილი, როგორც პარტია, მივისწრაფვით და უნდა მივისწრაფვოდეთ, რომ მოვიპოვოთ უმრავლესობა საბჭოებში. მაშინ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, და ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს რაიმე გააწყოს კომუნისტური რევოლუციის წინააღმდეგ. სხვაგვარად გამარჯვებას არც ისე იოლად მივაღწევთ და იგი ხანგრძლივი არ იქნება. ამრიგად, მე მინდა შემოვიტანო წინადადება — მივიღოთ ეს სამი პუნქტი სპეციალური რეზოლუციის სახით.

თეზისები დაიბეჭდა 1919 წ. 6 მარტს გაზეთ «პრავდაში» № 51; მოხსენება პირველად დაიბეჭდა 1920 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის ოქმების გერმანულ გამოცემაში და 1921 წელს — ოქმების რუსულ გამოცემაში

იბეჭდება: თეზისები გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით; მოხსენება — ოქმების რუსული გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გერმანული გამოცემის ტექსტთან

3

რეზოლუცია
თეზისებისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ

ამ თეზისებისა და სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების მოხსენებათა საფუძველზე კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი აცხადებს, რომ კომუნისტური პარტიების მთავარი ამოცანა ყველა ქვეყანაში, სადაც კი საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობს, შემდეგია:

1) განუმარტონ მუშათა კლასის ფართო მასებს ახალი, პროლეტარული, დემოკრატიის პოლიტიკური და ისტორიული აუცილებლობის ისტორიული მნიშვნელობა, პროლეტარული დემოკრატიისა, რომელმაც უნდა შეცვალოს ბურჟუაზიული დემოკრატია და პარლამენტარიზმი.

2) გაავრცელონ და მოაწყონ საბჭოები მრეწველობის ყველა დარგის მუშებს შორის და არმიისა და ფლოტის ჯარისკაცთა შორის, აგრეთვე მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის.

3) შექმნან საბჭოების შიგნით მტკიცე კომუნისტური უმრავლესობა.

«პრავდა» № 54, 1919 წ. 11 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

4

საბოლოო სიტყვა კონგრესის დახურვისას
6 მარტი

თუ ჩვენ, ყოველგვარი პოლიციური სიძნელისა და დევნის მიუხედავად, შევძელით შევკრებილიყავით, თუ ჩვენ შევძელით არსებით უთანხმოებათა გარეშე მოკლე ხანში გამოგვეტანა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი თანამედროვე რევოლუციური ეპოქის ყველა საჭირბოროტო საკითხზე, ეს იმის გამო, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარულმა მასებმა თავიანთი გამოსვლებით პრაქტიკულად დასვეს ეს საკითხები დღის წესრიგში და დაიწყეს მათი პრაქტიკულად გადაჭრა.

ჩვენ აქ მოგვიხდა მხოლოდ იმის ჩაწერა, რაც მასებმა უკვე მოიპოვეს თავიანთი რევოლუციური ბრძოლით.

არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, არა მარტო დამარცხებულ ქვეყნებში, არამედ გამარჯვებულ ქვეყნებშიც, როგორც, მაგალითად, ინგლისში, — სულ უფრო და უფრო ვრცელდება მოძრაობა საბჭოების სასარგებლოდ, და ეს მოძრაობა სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობა, რომლის მიზანია ახალი, პროლეტარული, დემოკრატიის შექმნა, — ეს მოძრაობა ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

დეე მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია განაგრძობდეს მძვინვარებას, დეე იგი დევნიდეს, საპყრობილეებში ამწყვდევდეს, თუნდაც კლავდეს სპარტაკელებსა და ბოლშევიკებს, — ყოვე-

ლივე ეს მას ვეღარ უშველის. ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს მასების გათვითცნობიერებას, ძველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ცრურწმენათაგან მათ განთავისუფლებას და მათ გამოწრთობას ბრძოლაში. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია. შეიქმნება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

პირველად დაიბეჭდა 1920 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის ოქმების გერმანულ გამოცემაში და 1921 წელს— ოქმების რუსულ გამოცემაში

იბეჭდება ოქმების რუსული გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გერმანული გამოცემის ტექსტთან

მოკოვებული და ჩაწერილი

რევოლუციაში მხოლოდ ის არის მტკიცე, რაც მოპოვებულია პროლეტარიატის მასების მიერ. მხოლოდ იმის ჩაწერა ღირს, რაც მართლაც მტკიცედ არის მოპოვებული.

III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება მოსკოვში 1919 წლის 2 მარტს იმის ჩაწერა იყო, რაც მოიპოვეს არა მარტო რუსმა, არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, ფინეთის, შვეიცარიის, — ერთი სიტყვით, საერთაშორისო პროლეტარულმა მასებმა.

და სწორედ ამიტომ არის მტკიცე საქმე III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება.

სულ რაღაც ოთხი თვის წინათ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, სახელმწიფოს საბჭოთა ფორმა საერთაშორისო მონაპოვარია. მასში იყო რაღაც, და ამასთან არსებითი, რაც ეკუთვნოდა არა მარტო რუსეთს, არამედ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასაც. მაგრამ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა იმის თქმა, საქმით შემოწმებამდე, თუ რა ცვლილებებს, რა სიღრმისა და რა მნიშვნელობის ცვლილებებს მოიტანდა მსოფლიო რევოლუციის შემდგომი განვითარება.

გერმანიის რევოლუციამ მოგვცა ეს შემოწმება. მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყანამ — ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის შემდეგ — მთელ მსოფლიოს დაანახვა მოკლე ხანში, რაღაც ასიოდე დღეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, არა მარტო იგივე ძირითადი ძალები რევოლუციისა, მისი არა მარტო იგივე ძირითადი მიმართულება, არამედ ახალი, პრო-

ლეტარული, დემოკრატიის იგივე ძირითადი ფორმა: საბ-ჭოები.

ამასთან ერთად ინგლისში, გამარჯვებულ ქვეყანაში, კოლონიებით ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მეტხანს იყო და ითვლებოდა «სოციალური მშვიდობის» ნიმუშად, უძველესი კაპიტალიზმის ქვეყანაში, — ჩვენ ვხედავთ საბჭოებისა და მასობრივი პროლეტარული ბრძოლის ახალი საბჭოთა ფორმების — «Shop Stewards Committees», — საფაბრიკო მამასახლისთა კომიტეტების ფართო, შეუჩერებელ, მჩქეფარე და მძლავრ ზრდას.

ამერიკაში, ყველაზე ძლიერ და ყველაზე ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყანაში — მუშათა მასები უდიდეს თანაგრძნობას იჩენენ საბჭოებისადმი.

ყინული დაიძრა.

საბჭოებმა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვეს.

მათ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად იმ მხრივ გაიმარჯვეს, რომ მოიპოვეს პროლეტარული მასების თანაგრძნობა. ეს უმთავრესია. მასებისათვის ამ მონაპოვრის წართმევას იმპერიალისტური ბურჟუაზიის ვერავითარი სიმხეცე, ბოლშევიკების ვერავითარი დევნა და მკვლელობა ვერ შეძლებს. რაც უფრო იმძვინვარებს «დემოკრატიული» ბურჟუაზია, მით უფრო განმტკიცდება ეს მონაპოვარი პროლეტარული მასების გულში, მათ განწყობილებაში, მათ შეგნებაში, ბრძოლისათვის მათ გმირულ მზადყოფნაში.

ყინული დაიძრა.

და ამიტომაც ასე იოლად, ასე შეუფერხებლად, ასეთი დინჯი და მტკიცე გაბედულებით მუშაობდა კომუნისტების მოსკოვის საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც III ინტერნაციონალი დააარსა.

ჩვენ ვწერდით იმას, რაც უკვე მოპოვებულია. ჩვენ ქაღალდზე გადაგვქონდა ის, რაც მასების შეგნებაში უკვე მტკიცედ იყო გამჯდარი. ყველამ იცოდა, — ეს კიდევ ცოტაა: ყველა ხედავდა, გრძნობდა, განიცდიდა, თვითეული თავისი ქვეყნის გამოცდილებით, რომ გაჩაღდა ახალი, თავისი

სიძლიერითა და სიღრმით მსოფლიოში უმაგალითო, პროლეტარული მოძრაობა, რომ ეს მოძრაობა ვეღარ ეტევა ვერავითარ ძველ ჩარჩოებში, რომ მას ვერ შეაკავებენ წვრილმანი პოლიტიკანობის დიდი ოსტატები, ვერც ინგლის-ამერიკის «დემოკრატიული» კაპიტალიზმის საქვეყნოდ-გამოცდილი, საქვეყნოდ-გაქნილი ლოიდ-ჯორჯები და ვილსონები, ვერც ქარცეცხლში გამოვლილი ჰენდერსონები, რენოდელები, ბრანტინგები და სოციალ-შოვინიზმის ყველა სხვა გმირი.

ახალი მოძრაობა მიდის პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, მიდის, მიუხედავად ყოველგვარი რყევისა, მიუხედავად საშინელი დამარცხებებისა, მიუხედავად გაუგონარი და წარმოუდგენელი «რუსული» ქაოსისა (თუ განვსჯით გარეგნულად, ზერელედ), — მიდის ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ მილიონობით და ათეულ მილიონობით პროლეტარის ტალღის, თავისი გზიდან ყველაფრის წამლეკი ტალღის სიძლიერით.

ჩვენ ეს ჩავწერეთ. ჩვენს რეზოლუციებში, თეზისებში, მოხსენებებსა და სიტყვებში აღბეჭდილია უკვე მოპოვებული.

მარქსიზმის თეორია, გაშუქებული რევოლუციური მუშების ახალი, საქვეყნოდ-მდიდარი, გამოცდილების კაშკაშა სინათლით, დაგვეხმარა ჩვენ გაგვეგო მიმდინარე მოვლენების მთელი კანონზომიერება. იგი დაეხმარება კაპიტალისტური დაქირავებული მონობის დამხობისათვის მებრძოლებს — მთელი მსოფლიოს პროლეტარებს უფრო ნათლად შეიგნონ თავიანთი ბრძოლის მიზნები, უფრო მტკიცედ წავიდნენ უკვე დასახული გზით, უფრო მარჯვედ და უფრო მტკიცედ მიაღწიონ გამარჯვებას და დაიმკვიდრონ გამარჯვება.

III, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსება საბჭოების ინტერნაციონალური რესპუბლიკის შესავალს, კომუნიზმის საერთაშორისო გამარჯვების შესავალს წარმოადგენს.

1919 წ. 5 მარტი.

«პრავდა» № 51, 1919 წ. 6 მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ

სიტყვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, რკკ(ბ) მოსკოვის კომიტეტის, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს, მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საზეიმო გაერთიანებულ სხდომაზე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების ზეიმის დღეს

1919 წ. 6 მარტს

(მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ა.) ამხანაგებო, ჩვენ ვერ შევძელით შეგვეკრიბა კომუნისტური ინტერნაციონალის I ყრილობაზე ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც არიან ამ ორგანიზაციის ფრიად ერთგული მეგობრები, სადაც არიან სავსებით ჩვენი თანამგრძნობი მუშები. ამიტომ ნება მომეცით დავიწყო სიტყვა პატარა ციტატით, რომელიც დაგანახვებთ, თუ სინამდვილეში რამდენად უფრო მეტი მეგობრები გვყავს ჩვენ, ვიდრე ვხედავთ, ვიდრე ვიცით და ვიდრე შევძელით შეგვეკრიბა აქ, მოსკოვში, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, მიუხედავად მთელი მსოფლიოს ვითომდა ყოვლისშემძლე ბურჟუაზიის მთელი გაერთიანებისა. ეს დევნა იქამდე მივიდა, რომ ცდილობდნენ თითქოს ჩინური კედელი შემოევლოთ ჩვენთვის და რომ ბოლშევიკებს ათობით და დუჟინობით აძევებენ მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი რესპუბლიკებიდან, თითქოს ეშინიათ, რომ ათეულ და დუჟინ ბოლშევიკს შეუძლია სენი გადასდოს მთელ მსოფლიოს, — მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს შიში სასაცილოა, ვინაიდან მათ უკვე გადადეს სენი მთელ მსოფლიოს, ვინაიდან რუსი მუშების ბრძოლამ უკვე გამოიღო ის ნაყოფი, რომ ყველა ქვეყნის მუშათა მასებმა იციან, რომ აქ, რუსეთში, წყდება საერთო მსოფლიო რევოლუციის ბედი.

ამხანაგებო, აი მე ხელთ მაქვს გაზეთი «L'Humanité» [158], ფრანგული გაზეთი, რომელიც თავისი მიმართულებით ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენს მენშევიკებს ან მემარჯვენე ესერებს. ომის დროს ეს გაზეთი სრულიად დაუზოგავად დევნიდა ადამიანებს, რომლებიც ჩვენს თვალსაზრისზე იდგნენ. ახლა ეს გაზეთი იცავს იმათ, ვინც ომის დროს თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან ერთად მიდიოდა. და აი ეს გაზეთი, 1919 წლის 13 იანვრის ნომერში, მოგვითხრობს, რომ პარიზში შემდგარა, როგორც თვითონ გაზეთი აღიარებს, დიდი კრება პარტიის აქტივისა და სენის ფედერაციის, ე. ი. პარიზთან ყველაზე ახლო მდებარე ოლქის, პროლეტარული მოძრაობის ცენტრის, საფრანგეთის მთელი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის — მუშათა კავშირებისა. ამ კრებაზე უწინარეს ყოვლისა გამოსულა ბრაკი — სოციალისტი, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ჩვენი მენშევიკებისა და მემარჯვენე ობორონცების თვალსაზრისზე იდგა. ახლა მას უმანკო კრავივით ეჭირა თავი. კრინტიც არ დაუძრავს არც ერთ მტკივნეულ საკითხზე! გამოსვლა იმით დაამთავრა, რომ წინააღმდეგი ვარ ჩემი ქვეყნის მთავრობის ჩარევისა სხვა ქვეყნების პროლეტარიატის ბრძოლაშიო. მისი სიტყვები ტაშით დაფარეს. შემდეგ გამოვიდა მისი ერთ-ერთი თანამოაზრე, ვიღაც პიერ ლავალი. საქმე ეხება დემობილიზაციას, ყველაზე მტკივნეულ საკითხს დღევანდელი საფრანგეთისათვის, იმ ქვეყნისათვის, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ყოველ სხვა ქვეყანაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ დანაშაულებრივ ომში. და ეს ქვეყანა ახლა ხედავს, რომ დემობილიზაცია ჭიანურდება, ფერხდება, რომ არ არის მისი განხორციელების სურვილი და რომ მზადდება ახალი ომი, რომელიც ფრანგ მუშებს აშკარად აკისრებს ახალ მსხვერპლს იმის გამო, თუ კიდევ რამდენ ნადავლს მიიღებენ ფრანგი თუ ინგლისელი კაპიტალისტები. და აი გაზეთი აცხადებს, რომ ორატორ პიერ ლავალს ხალხი უსმენდა, მაგრამ ბოლშევიზმისადმი მისი მტრული განცხადებანი ისეთ პროტესტებს იწვევენ, ისეთი მღელვარება ხდება, რომ კრების გაგრძელება შეუძლებელია. ამის შემდეგ

მოქალაქე პიერ რენოდელს სიტყვა არ ეძლევა, და კრება მოქალაქე პერიკის ხანმოკლე ჩარევით თავდება. ეს საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია ცოტაოდენთაგან, რომელიც ძირითადად სოლიდარულია ჩვენთან. ამრიგად, გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ კრებამ ორატორს ლაპარაკის საშუალება არ მისცა, როგორც კი მან ლაპარაკი დაიწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ამხანაგებო, ჩვენ ვერ შევძელით, რომ ამჟამად უშუალოდ საფრანგეთიდან აქ თუხდაც ერთი დელეგატი ჩამოსულიყო და დიდი გაჭირვებით მოვიდა მხოლოდ ერთი ფრანგი — ამხ. გილბო. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). ის დღეს ილაპარაკებს. ის თვეობით იჯდა შვეიცარიის, ამ თავისუფალი რესპუბლიკის საპყრობილეებში; მას ბრალად დებდნენ ლენინთან ურთიერთობას და შვეიცარიაში რევოლუციის მზადებას. გერმანიაზე ის გამოატარეს ჟანდარმებისა და ოფიცრების თანხლებით, ალბათ, ეშინოდათ, ვაი თუ ხელიდან ასანთი გაუვარდეს, რომელიც გერმანიას ცეცხლს მოუკიდებდაო. მაგრამ გერმანია ასეთი ასანთის გარეშეც იწვის. საფრანგეთშიც, როგორც ჩვენ ვხედავთ, არიან ბოლშევიკური მოძრაობის თანამგრძნობნი. საფრანგეთის მასები, იქნებ, ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ, პოლიტიკურად ყველაზე აღზრდილ, ყველაზე ცოცხალ და გულისხმიერ მასათაგანს წარმოადგენენ. ისინი ორატორს ნებას არ მისცემენ თუნდაც ერთი ყალბი ხმა ამოიღოს სახალხო კრებაზე — მას აჩერებენ. კიდევ კარგი, თუ ფრანგულ ტემპერამენტს მივიღებთ მხედველობაში, ის რომ ტრიბუნიდან არ ჩამოათრიეს! ამიტომ, როდესაც ჩვენდამი მტრულად განწყობილი გაზეთი აღიარებს, თუ რა ხდებოდა ამ დიდ კრებაზე, ჩვენ ვამბობთ: საფრანგეთის პროლეტარიატი ჩვენ მომხრეა.

მე მოვიყვან კიდევ ერთ პატარა ციტატს იტალიური გაზეთიდან. იმდენად ცდილობენ მოგვწყვიტონ ჩვენ მთელ მსოფლიოს, რომ სხვა ქვეყნებიდან სოციალისტური გაზეთების ნომრები ჩვენ მოგვდის როგორც ფრიად იშვიათი რამ. როგორც ასეთი იშვიათობა, მივიღეთ ჩვენ იტალიის სოციალის-

ტური პარტიის ორგანოს — იტალიურ გაზეთ «Avanti!»-ს [159] ერთი ნომერი; ეს პარტია მონაწილეობდა ციმერვალდში, იბრძოდა ომის წინააღმდეგ; ახლა მას დაუდგენია არ წავიდეს ყვითლების ყრილობაზე ბერნში, ძველი ინტერნაციონალის ყრილობაზე, სადაც მონაწილეობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ მთავრობებთან ერთად ხელს უწყობდნენ ამ დანაშაულებრივი ომის გაჭიანურებას. დღემდე გაზეთი «Avanti!» სასტიკი ცენზურის ქვეშ გამოდის. მაგრამ აი ამ ნომერში, რომელიც ჩვენ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელთ, მე ვკითხულობ კორესპონდენციას რომელიღაც დაბა კავრიაგოს პარტიული ცხოვრების შესახებ, — ეს დაბა ძალიან მივარდნილი კუთხე უნდა იყოს, რადგან მას რუკაზე ვერ იპოვნი, — და ირკვევა, რომ იქ შეკრებილი მუშები იღებენ რეზოლუციას, რომელიც თანაგრძნობას გამოთქვამს თავიანთი გაზეთისადმი მისი შეურიგებლობისათვის, და აცხადებენ, რომ ისინი იწონებენ გერმანელ სპარტაკელებს, — და შემდეგ მისდევს სიტყვები, რომლებიც თუმცა იტალიურადაა დაწერილი, მაგრამ გასაგებია მთელ მსოფლიოში «Sovietisti russi», — მიესალმებიან რუს «საბჭოელებს» და გამოთქვამენ სურვილს, რომ რუსი და გერმანელი რევოლუციონერების პროგრამა მიღებულ იქნეს მთელ მსოფლიოში და რომ ამ პროგრამამ ხელი შეუწყოს ბურჟუაზიისა და სამხედრო ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ბოლომდე მიყვანას. და აი, როდესაც ვკითხულობთ რომელიღაც იტალიურ პოშეხონიეში მიღებულ ასეთ რეზოლუციას, მაშინ შეგვიძლია სრული უფლებით ვუთხრათ ჩვენს თავს: «იტალიელთა მასები ჩვენს მხარეზე არიან, იტალიელთა მასები მიხვდნენ, თუ რანი არიან რუსი «საბჭოელები», თუ რა არის რუსი «საბჭოელებისა» და გერმანელი სპარტაკელების პროგრამა. მაშინ კი ჩვენ ასეთი პროგრამა არც კი გვქონია! ჩვენ არა გვქონია არავითარი, გერმანელ სპარტაკელებთან საერთო, პროგრამა, იტალიელი მუშები კი უკუაგდებენ ყოველივე იმას, რაც მათ უნახავთ თავიანთ ბურჟუაზიულ პრესაში, რომელიც, მილიონერებისა და მილიარდერების მიერ მოსყიდული, მილიონობით ეგზემპლარებში ავრ-

ცელებს ჩვენს შესახებ ცილისწამებას. იტალიელი მუშები ბურჟუაზიულმა პრესამ ვერ მოატყუა. იტალიელი მუშები მიხვდნენ, თუ რას წარმოადგენენ სპარტაკელები და «საბჭოელები», და თქვეს, რომ ისინი თანაუგრძნობენ მათ პროგრამას, — როცა ეს პროგრამა ჯერ კიდევ სრულიადაც არ ყოფილა. აი რატომ იყო ასე ადვილი ჩვენი ამოცანა ამ კონგრესზე. ჩვენ მხოლოდ უნდა ჩაგვეწერა როგორც პროგრამა ის, რაც უკვე აღიბეჭდა რომელიღაც მივარდნილი კუთხის მუშების — ჩვენგან პოლიტიკური და სამხედრო ზღუდეებით მოწყვეტილი მუშების შეგნებასა და გულში. აი რატომ ასე იოლად, ასეთი სრული ერთსულოვნებით მივაღწიეთ ჩვენ იმას, რომ ყველა მთავარ საკითხში ჩვენ მივედით ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე, და ჩვენ სრული რწმენა გვაქვს, რომ ეს გადაწყვეტილებანი მძლავრ გამოხმაურებას ჰპოვებენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატში.

საბჭოთა მოძრაობა, ამხანაგებო, აი ის ფორმა, რომელიც მოპოვებულია რუსეთში, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოში ვრცელდება, რომელიც მარტოოდენ თავისი სახელწოდებით მთელ პროგრამას აძლევს მუშებს. ამხანაგებო, იმედი მაქვს, რომ ჩვენ, ვისაც წილად გვხვდა დიდი ბედნიერება გამარჯვებამდე გაგვევითარებინა საბჭოთა ფორმა, რომ ჩვენ არ ჩავიარდებით იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებზეც შეიძლებოდეს ითქვას, რომ მათ თავს გაუვიდათო.

ამხანაგებო, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენ პირველებს მოგვიხდა საბჭოთა პროლეტარულ რევოლუციაში მონაწილეობის მიღება არა იმიტომ, რომ ჩვენ თანაბრად მომზადებული ვიყავით, ან უკეთ ვიყავით მომზადებულნი, ვიდრე სხვა მუშები, არამედ იმიტომ, რომ უფრო ცუდად ვიყავით მომზადებულნი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ჩვენს წინაშე იდგა ყველაზე ველური, ყველაზე დამპალი მტერი, სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია რევოლუციის გარეგნული გაქანება. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ საბჭოები ჩვენში დღემდე არსებობენ, რომ ისინი ებრძვიან უზარმაზარ სიძნელეებს, რომლებიც განპირობებულია

არასაკმაო კულტურული დონით და იმ სიმძიმით, რომელიც წელზე მეტია რაც დაგვაწვა ჩვენ, რომელნიც მარტოდმარტონი ვდგავართ ჩვენს პოსტზე, როდესაც ჩვენ ყოველი მხრიდან გარს გვერტყმიან მტრები და როდესაც, თქვენ ეს ძალიან კარგად იცით, ჩვენ წარმოუდგენელი წამება, შიმშილის სიმძიმე და საშინელი ტანჯვა დაგვატყდა თავს.

ამხანაგებო, ის ადამიანები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბურჟუაზიის მხარეზე დგებიან, არაიშვიათად ცდილობენ მიმართონ მუშებს და გამოიწვიოხ მათი აღშფოთება იმაზე მითითებით, თუ რა დიდ ტანჯვას განიცდიან ახლა მუშები. ჩვენ კი მათ ვეუბნებით: დიახ, ეს ტანჯვა დიდია, და ჩვენ ამას არ ვმალავთ. ასე ვეუბნებით ჩვენ მუშებს, და ეს მათ მტკიცედ იციან თავიანთი საკუთარი გამოცდილებით. თქვენ ხედავთ, ჩვენ ვიბრძვით არა მარტო იმისათვის, რომ მოვიპოვოთ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენთვის, არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენი შვილები კაპიტალისტებსა და მემამულეებს იგონებდნენ, როგორც წინაისტორიულ ურჩხულებს, — ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოს მუშებმა ჩვენთან ერთად გაიმარჯვონ.

და კომუნისტური ინტერნაციონალის ეს I ყრილობა, რომელმაც ცხადყო, რომ საბჭოები მთელ მსოფლიოში იმსახურებენ მუშების თანაგრძნობას, გვიჩვენებს ჩვენ, რომ საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციის გამარჯვების საქმე უზრუნველყოფილია. (ტაში). ბურჟუაზია ჯერ კიდევ იმძვინვარებს მთელ რიგ ქვეყნებში, იქ ბურჟუაზია ახლა-და ამზადებს საუკეთესო ადამიანების, სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლების დაღუპვას, როგორც ამას გვიჩვენებს თეთრგვარდიელთა მიერ როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მხეცური მკვლელობა. ასეთი მსხვერპლი გარდუვალია. ჩვენ არ ვეძებთ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას, ჩვენ ვებმებით უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში მასთან; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ომით გამოწვეული ტანჯვა-წამებისა და უბედურების შემდეგ, როდესაც მასები მთელ მსოფლიოში იბრძვიან დემობილიზაციისათვის, მოტყუებულებად გრძნობენ

თავს, ესმით, თუ რა წარმოუდგენლად მძიმეა ის გადასახადები, რაც მათ დააკისრეს კაპიტალისტებმა, რომლებმაც ათეული მილიონობით ადამიანი გაჟლიტეს იმისათვის, თუ ვინ მიიღებს მეტ მოგებას, — რომ ამ ყაჩაღების ბატონობის ჟამმა განვლო!

ახლა, როდესაც სიტყვა «საბჭო» ყველასათვის გასაგები გახდა, კომუნისტური რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია. ამხანაგებო, ამ დარბაზში მყოფმა ადამიანებმა ნახეს, თუ როგორ დაარსდა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, ისინი ახლა ხედავენ, თუ როგორ დაარსდა III, კომუნისტური ინტერნაციონალი (ტ ა შ ი), ისინი ყველანი ნახავენ, თუ როგორ დაარსდება საბჭოების მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკა. (ტ ა შ ი).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია
1919 წ. 7 მარტს გაზეთ
«პრავდაში» № 52

მთლიანად დაიბეჭდა 1919 წ. მაისში

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით

მიწერ-მოწერა ი. ბ. სტალინთან სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის შესახებ [160]

1

ი. ბ. სტალინს

ჩემი აზრით, კონტროლის შესახებ დეკრეტს უნდა დაემატოს:

1) შეიქმნას მუშათა მონაწილეობის ცენტრალური (და ადგილობრივი) ორგანოები.

2) დაწესდეს კანონით პროლეტარული მოსახლეობიდან მოწმეთა სისტემატური მონაწილეობა, მათ შორის ქალები აუცილებლად უნდა შეადგენდნენ დაახლოებით ⅔-ს.

3) პირველ რიგში მაშინვე წამოყენებულ იქნეს, როგორც უახლოესი ამოცანები:

(α) სახელდახელო რევიზიები მოქალაქეთა საჩივრების გამო

(β) ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან

(γ) ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის რევოლუციური ღონისძიებანი

(δ) განსაკუთრებული ყურადღება შრომის ნაყოფიერების გადიდებას და

(ε) პროდუქტების რაოდენობის გადიდებას და სხვ.

2

ი. ბ. სტალინის პასუხი

ეს რეორგანიზებული სახელმწიფო კონტროლის პოლიტიკის საკითხებია. არსებითად არაფერი მაქვს ასეთი პუნქტების საწინააღმდეგო, პირიქით, ეს პუნქტები აუცილებელია.

ს ტ ა ლ ი ნ ი

დაწერილია 1919 წ. 8 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები

1 სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ-კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვისა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებული სხდომა მოწვეული იყო 1918 წლის 29 ივლისს საბჭოთა რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით: უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და თეთრგვარდიელების ამბოხებათა გამო, საბჭოთა რესპუბლიკა მოწყვეტილი იყო თავის სურსათის, ნედლეულისა და სათბობის ძირითად ბაზებს. გაერთიანებულმა სხდომამ ლენინის მოხსენების გამო ერთხმად მიიღო კომუნისტების ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. — 1.

2 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «საფრანგეთის მილიონები», გამოქვეყნებული 1918 წლის 28 ივნისს ჩეხოსლოვაკთა კომუნისტური ჯგუფის ცენტრალურ ორგანოში — «Prukopnik Svobody»-ში («თავისუფლების დროშა»), რომელიც გამოდიოდა მოსკოვში 1918 — 1919 წლებში; სტატია იმავე დღეს გადმობეჭდილ იქნა გაზეთ «პრავდაში» და ნაწილობრივ სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში». — 2.

3 ლენინს მხედველობაში აქვს კონტრრევოლუციური ამბოხება, მოწყობილი «მემარცხენე» ესერების მიერ მოსკოვში 1918 წლის 6 ივლისს, საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობის სხდომების დროს. ამბოხება ჩახშობილ იქნა ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

როგორც ცხადყო ანტისაბჭოთა «მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის» საქმის 1938 წლის სასამართლო პროცესმა, ეს ამბოხება ნაწილი იყო იმ კონტრრევოლუციური შეთქმულებისა, რომელსაც აწყობდნენ ბუხარინი და ტროცკი «მემარცხენე» და მემარჯვენე ესერებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. — 4.

4 დ ა შ ნ ა კ ც უ ტ ი უ ნ ი (დაშნაკები) — სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია; წარმოიშვა XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს; ეწეოდა ბრძოლას მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

1918 — 1920 წლებში დაშნაკები სათავეში ჩაუდგნენ სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობას და ცდილობდნენ გადაექციათ სომხეთი ინგლისელი და ფრანგი ინტერვენტებისა და რუსი თეთრგვარდიელების დასაყრდენ პუნქტად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაშნაკური მთავრობა დამხობილ იქნა 1920 წლის ნოემბერში სომხეთის მშრომელთა შეიარაღებული აჯანყების შედეგად, რომელთაც მხარი დაუჭირა წითელმა არმიამ. — 5.

5 ბაქოს საბჭოს 1918 წლის 25 ივლისის სხდომაზე დაშნაკ-ესერ-მენშევიკმა გამცემლებმა თურქეთის ჯარების შემოტევისაგან ბაქოს დაცვის საბაბით შეძლეს გაეტარებინათ მოღალატური გადაწყვეტილება დასახმარებლად ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევის შესახებ. მთელ ძირგამომთხრელ კონტრრევოლუციურ მუშაობას ბაქოში, ქალაქის მომარაგების ჩაშლას, კონტრრევოლუციურ აგიტაციას არმიასა და ფლოტში ხელმძღვანელობდა ინგლისის კონსული მაკ-დონელი.

ი. ბ. სტალინმა, რომელიც იმ დროს ცარიცინში იმყოფებოდა, ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ს. გ. შაუმიანის სახელზე 1918 წლის 20 ივლისს გამოგზავნილი დეპეშით სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს სახელით კატეგორიულად მოითხოვა ბაქოს საბჭოსაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უყოყმანოდ გატარება და გადამწყვეტი ბრძოლა უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ. ეს მოთხოვნა დადასტურებულ იქნა სახკომსაბჭოს სახელით ვ. ი. ლენინის მიერ და სრულიად რუსეთის ცაკის სახელით ი. მ. სვერდლოვის მიერ. ბაქოს საბჭოს 25 ივლისის სხდომაზე ბოლშევიკების ფრაქციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც დაკონებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ბაქოს დასაცავად საკუთარი ძალებით. ბაქოს საბჭოს ბოლშევიკმა წევრებმა, რაკი ისინი უმცირესობაში დარჩნენ, უარი თქვეს თავიანთ რწმუნებულებაზე, რის შემდეგ ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა კონტრრევოლუციური მთავრობის ხელში, რომელმაც თავის თავს «ცენტროკასპიის დიქტატურა» უწოდა. ბაქოს საბჭოს ბოლშევიკი წევრები — ბაქოს 26 კომისარი — მხეცურად იქნენ მოკლულნი ინგლისელი ინტერვენტების მიერ მენშევიკებისა და ესერების უშუალო მონაწილეობით (იხ. ი. ბ. სტალინი. «ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო». თხზულებანი, ტომი 4, 1948 წ., გვ. 276 — 280). — 7.

იგულისხმება თეთრგვარდიელთა ამბოხება ქალაქ იაროსლავლში, რაც დაიწყო 1918 წლის 6 ივლისს. ამბოხება მოაწყო კონტრრევოლუციურმა «სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კავშირმა», რომლის სათავეში იდგა მემარჯვენე ესერი ბ. სავინკოვი. იაროსლავლში მომხდარი ამბოხება, ისევე როგორც იმ დროს სხვა კონტრრევოლუციური ამბოხებანი საბჭოთა რუსეთში, მომზადებული იყო ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტების მიერ მენშევიკებისა და ესერების აქტიური მონაწილეობით. ამბოხება ჩაქრობილ იქნა 1918 წლის 21 ივლისს წითელი არმიის რაზმების მიერ. — **12.**

იგულისხმება დეკრეტი «ს ო ფ ლ ი ღ ა რ ი ბ თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა დ ა მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ», დამტკიცებული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918 წლის 11 ივნისს. — **14.**

სახკომსაბჭოს 1918 წლის 28 ივნისის დეკრეტით ნაციონალიზებულ იქნა მთელი მსხვილი მრეწველობა. — **16.**

ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ო ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე თ ა ყ რ ი ლ ობ ა შედგა 1918 წლის 30 ივლისს — 1 აგვისტოს მოსკოვში. ყრილობას ესწრებოდა 122 დელეგატი. ლენინი 30 ივლისის საღამოს სხდომაზე სახკომსაბჭოს სახელით მიესალმა ყრილობას. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე და მოუწოდა ყველა მუშასა და გლეხს იარაღით დაეცვათ სოციალისტური სამშობლო. — **23.**

რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი ს ა ბ ჭ ო თ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა (ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა ნ ო ნ ი) მიღებულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობის მიერ 1918 წლის 10 ივლისს და გამოქვეყნდა 1918 წლის 19 ივლისს, როგორც ძირითადი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

კონსტიტუციის პროექტი შეადგინა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918 წლის 1 აპრილს შექმნილმა კომისიამ ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის მეთაურობით. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო ლენინის «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია» და რეზოლუცია «რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ» (პროექტი დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ), მიღებული საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო 1918 წლის იანვარში. ი. ბ. სტალინის მიერ

შედგენილი პროექტი «რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგადი დებულებებისა» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948 წ., გვ. 85 — 86) განხილულ და მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის სხდომაზე 1918 წლის 19 აპრილს.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი 1918 წლის 3 ივლისს განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ ლენინის თავმჯდომარეობით, რის შემდეგაც დასამტკიცებლად წარედგინა საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობას. — **24.**

11 ლენინი ვარშავის რევოლუციური პოლკის მიტინგზე 1918 წლის 2 აგვისტოს, პარასკევს, საღამოს გამოვიდა ზამოსკვორეჩიეში, ყოფილი კომერციული ინსტიტუტის შენობაში (ახლა სახალხო მეურნეობის მოსკოვის ინსტიტუტი პლეხანოვის სახელობისა). — **27.**

12 რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტი 1918 წელს ყოველკვირეულად, პარასკევობით, მართავდა დიდ მიტინგებს მოსკოვის ყველა რაიონში. ბევრ მიტინგზე ლენინი გამოდიოდა. 1918 წლის 2 აგვისტოს გამოსვლები მიტინგებზე მიძღვნილი იყო თემისადმი «საბჭოთა რესპუბლიკა საფრთხეშია». ბუტირკის რაიონში ლენინი გამოვიდა ზიკოვის (ახლა წითელარმიელის) ქუჩაზე, № 3/5 სახლში. — **31.**

13 ეს თეზისები საფუძვლად დაედო დეკრეტებს სასურსათო საკითხის შესახებ; დეკრეტები განხილულ და მიღებულ იქნა სახკომსაბჭოს 1918 წლის 3, 4, 5 და 6 აგვისტოს სხდომებზე. დეკრეტების პროექტებში ლენინს შეჰქონდა შესწორებანი და დამატებანი. — **36.**

14 ლენინის მიერ დაწერილი პროექტი დადგენილებისა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ 1918 წლის 2 აგვისტოს. — **40.**

15 იგულისხმება «ს ო ვ ე ტ ს კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ორიოლის გუბერნიის ელეცის სამაზრო აღმასკომის ორგანო; გამოდიოდა 1918 წლის 16 მაისიდან 1919 წლის 2 მარტამდე. — **41.**

16 მ ი წ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს კ ა ნ ო ნ ი მიღებულ იქნა 1918 წლის 18 (31) იანვარს საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის მიერ (ყრილობა შედგა 1918 წლის 10 — 18 (23 — 31) იანვარს) და გამოქვეყნდა 1918 წლის 19 თებერვალს. კანონის დახასიათება, მოცემული ლენინის მიერ, იხ. ამ ტომში, გვ. 378 — 380. — **48.**

17 ლენინი 1918 წლის 9 აგვისტოს პარასკევ-საღამოს გამოვიდა მოსკოვის სოკოლნიკის რაიონში შემდგარ მიტინგზე სოკოლნიკის რკალში. ამ დღეს მიტინგებზე გამოსვლების თემა იყო: «მსოფლიო ხოცვა-ულეტის მეხუთე წელი». — **44.**

18 ლენინს მხედველობაში აქვს ჩეხოსლოვაკთა ჯარების მიერ დაკავებული ქალაქები და რაიონები, სადაც, მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით, შეიქმნა თეთრგვარდიელთა მთავრობები, რომლებიც მხეცურად უსწორდებოდნენ მშრომელებს. — **48.**

19 ლენინს მხედველობაში აქვს სახკომსაბჭოს 1918 წლის 6 აგვისტოს დადგენილება 1918 წლის მოსავლის პურის დამზადების მტკიცე ფასების ერთისამად გადიდების შესახებ. — **50.**

20 ეს პროექტი საფუძვლად დაედო იმ დეპეშას, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმოწერით 1918 წლის 17 აგვისტოს დაეგზავნა დეპუტატთა ყველა საგუბერნიო საბჭოს და სასურსათო კომიტეტებს და გამოქვეყნდა 1918 წლის აგვისტოში. — **52.**

21 ღ ა რ ი ბ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი (ღარიბკომები) დამტკიცებულ იქნენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით «სოფლის ღარიბთა ორგანიზაციისა და მომარაგების შესახებ». საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო VI ყრილობის (1918 წლის ნოემბერი) გადაწყვეტილებით ღარიბთა კომიტეტები, რომლებმაც თავიანთი ამოცანები შეასრულეს, სოფლად საბჭოებს შეუერთდნენ. — **52.**

22 იგულისხმება სახკომსაბჭოს 1918 წლის 6 აგვისტოს დადგენილება პურის დამზადების მტკიცე ფასების გადიდების შესახებ და დეკრეტი «წარმოების იარაღებითა და ლითონით სოფლის მეურნეობის მომარაგების შესახებ». ეს უკანასკნელი დეკრეტი ხელმოწერილ იქნა ლენინის მიერ 1918 წლის 24 აპრილს და გამოქვეყნდა 1918 წლის 27 აპრილს. ამ დეკრეტის პროექტი რედაქტირებულ და შევსებულ იქნა ლენინის მიერ. — **52.**

23 რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის 1918 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე ლენინის ინიციატივით განხილულ იქნა თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის საკითხი. ლენინი ორჯერ გამოვიდა კამათში. ლენინის წინადადებათა საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შედგომოდნენ მუშაობას თანამგრძნობთა ჯგუფების შესაქმნელად და შეეშუშავებინათ ამ ორგანიზაციის წესდება. — **53.**

24 «წ ე რ ი ლ ი ა მ ე რ ი კ ე ლ მ უ შ ე ბ ს» გამოქვეყნდა 1918 წლის დეკემბერში შემოკლებული სახით ერთ-ერთ ჟურნალში, რომელსაც სცემდნენ სოციალისტ-ინტერნაციონალისტები ნიუ-იორკში, შემდეგ ცალკე ბროშურად გამოიცა ამ ჟურნალის ანაბეჭდის სახით; წერილი მრავალჯერ იქნა გადაბეჭდილი ამერიკის პერიოდულ პრესაში — 55.

25 იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკის რეცენზია გ. ჩ. კერის წიგნის გამო «პოლიტიკურ-ეკონომიური წერილები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი» (ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული ეკონომიური ნაწერები, ტ. II, 1948, გვ. 550). — 68.

26 «მ ო წ ო დ ე ბ ა გ ო ნ ე ბ ი ს ა დ მ ი» («Appeal to Reason») — ამერიკელი სოციალისტების გაზეთი; დაარსდა კანზასის შტატში (ამერიკის შეერთებული შტატები) 1895 წელს; პირველი მსოფლიო ომის დროს ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა. — 66.

27 1917 წლის გაზაფხულზე (მაისი — ივნისი) საფრანგეთის ჯარებში წარმოიშვა რევოლუციური მოძრაობა იმპერიალისტური ომის განგრძობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. სოციალ-შოვინისტების — მემარჯვენე სოციალისტებისა და სინდიკალისტების — დახმარებით მთავრობამ შეძლო ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა არმიაში. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ლუი ჟან მალეის აჯანყების ჩახშობის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ ბრალად დასდო არასაკმაოდ ენერგიული ბრძოლის წარმოება «პორაჟენცებთან» და სამართალში მისცა ის. — 81.

28 იგულისხმება ოხრანკის აგენტი ხუცესი გაპონი, რომელმაც 1905 წლის 9 იანვარს პროვოკაციული მიზნებით მოაწყო მუშების მშვიდობიანი მსვლელობა ზამთრის სასახლისაკენ მეფისათვის პეტიციის გადასაცემად. უიარაღო მუშები მეფის ბრძანებით დახვრიტეს ჯარებმა. 9 იანვარი 1905 — 1907 წლების რევოლუციის დასაწყისი შეიქნა. — 84.

29 ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს I ყ რ ი ლ ო ბ ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ზ ე მიმდინარეობდა 1918 წლის 26 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე მოსკოვში. ყრილობის შემადგენლობაში შედიოდნენ სახალხო განათლების განყოფილებათა დელეგატები, მასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები. ყრილობამ ლენინი საპატიო თავმჯდომარედ აირჩია და ყრილობაზე მოიწვია. ლენინი გამოვიდა ყრილობის მესამე დღეს, 1918 წლის 28 აგვისტოს. — 85.

30 ლენინი თემაზე «ორი ხელისუფლება (პროლეტარიატის დიქტატურა და ბურჟუაზიის დიქტატურა)» გამოვიდა მოსკოვის ბასმანის (ახლა ბაუმანის) რაიონში, პურის ბირჟის შენობაში. — 90.

31 მიტინგი მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიონში, ყოფ. მიხელსონის ქარ-ხანაში (ახლა ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხანა) შედგა ქარხნის შენობაში. ლენინი მიტინგზე მოვიდა მაშინვე, როგორც კი მან ბასმანის რაიონში სიტყვა წარმოთქვა, და გამოვიდა ქარხნის მუშების წინაშე თემაზე «ორი ხელისუფლება (პროლეტარიატის დიქტატურა და ბურ-ჟუაზიის დიქტატურა)». მიტინგიდან გამოსვლისას, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, ქარხნის ეზოში მას ვერაგულად დაესხნენ თავს: ტერო-რისტმა ქალმა ფ. კაპლანმა, რომელიც მემარჯვენე ესერების ცენტრა-ლური კომიტეტის დირექტივით მოქმედებდა, რევოლვერის მოწამლული ტყვიებით ორი მძიმე ჭრილობა მიაყენა ლენინს.

როგორც ანტისაბჭოთა «მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის» საქ-მეზე 1938 წელს შემდგარმა სასამართლო პროცესმა ცხადყო, 1918 წელს ვ. ი. ლენინის სიცოცხლის ავაზაკური ხელყოფის მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე «მემარცხენე კომუნისტებიც» ბუ-ხარინის მეთაურობით, რომლებსაც კონტრრევოლუციური შეთქმულება ჰქონდათ «მემარცხენე» და მემარჯვენე ესერებთან და ტროცკისტებთან, იმ მიზნით, რომ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და მოეკლათ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი. — 92.

32 ქალაქი სიმბირსკი წითელმა არმიამ აიღო 1918 წლის 12 სექტემბერს. ეს დეპეშა ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა ვ. ვ. კუიბიშევს I არმიის მებრძო-ლებისათვის, რომლებმაც ლენინს გამოუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: «ძვირფასო ვლადიმერ ილიას-ძე! თქვენი მშობლიური ქალაქის აღება თქვენი ერთი ჭრილობის პასუხია, მეორისა კი იქნება სამარა!». ლენინის დეპეშის ტექსტი გამოქვეყნდა პეტროგრადის წითელარმიელთა და მუშათა კრებაზე. — 96.

33 «წ ე რ ი ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ უ ლ-ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ-ლ ებ ლ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ი ს პ რ ე ზ ი-დ ი უ მ ს» ლენინმა გაგზავნა მის მიერ კონფერენციისაგან მიღებული მისალმების პასუხად.

პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების სრულიად რუსეთის პირველი კონფერენცია შედგა 1918 წლის 15 — 20 სექტემბერს მოსკოვში. ლენინის წერილი გამოქვეყნდა კონფერენციის მეხუთე სხდომაზე, 1918 წლის 19 სექტემბერს. — 97.

34 ლენინის წერილი წითელარმიელებისადმი, რომლებიც ყაზანის აღებაში მონაწილეობდნენ, გამოუცხადეს ქალაქ სვიაჟსკის გარნიზონის წითელ-არმიელებს. — 104.

35 ეს წერილი გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს 1918 წლის 3 ოქტომბრის

გაერთიანებულ სხდომაზე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან ერთად; სხდომა ლენინის ინიციატივით მოწვეული იყო გერმანიაში პოლიტიკურ კრიზისთან და კავშირებით. — **105.**

86 «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა» («The Socialist Review») — ინგლისის ოპორტუნისტული დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ყოველთვიური ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1908 წლიდან 1934 წლამდე. — **109.**

87 ფ ა ბ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — წევრები რეფორმისტული, უკიდურესად ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოებისა», რომელიც დაარსებულ იქნა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფის მიერ ლონდონში 1884 წელს. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსის და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 12, გვ. 451 — 452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 15, გვ. 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 21, გვ. 311) და სხვ. — **112.**

88 დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ნ ი — წევრები ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა (Independent Labour Party), რომელიც დაარსებულ იქნა 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-გარდი, რ. მაკდონალდი და სხვ.. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელიც ჩემულობდა ბურჟუაზიული პარტიებისაგან დამოუკიდებლობას, ნამდვილად იყო «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული» (ლ ე ნ ი ნ ი). — **112.**

89 იგულისხმება კ. მარქსის მოსაზრებანი, რომლებიც მან გამოთქვა 1871 წლის 12 აპრილის წერილში კუგელმანისადმი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 285) და ჰაგის კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ ამსტერდამში 1872 წლის 8 სექტემბერს შემდგარ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 669). ამის შესახებ იხ. აგრეთვე ფ. ენგელსის წინასიტყვაობა კ. მარქსის «კაპიტალის» პირველი ტომის ინგლისური გამოცემისათვის (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 32) და ვ. ლენინის წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 25, გვ. 510 — 511). — **118.**

40 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 323. — **118.**

41 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 275. — **116.**

42 იხ. ფ. ენგელსი, «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 172 — 173. — **116.**

43 «ციმერვალდელები» — იმ' გაერთიანების მომხრენი, რომელიც შეიქმნა ინტერნაციონალისტების 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის (ახ. სტ.) პირველ კონფერენციაზე ციმერვალდში (შვეიცარია). ციმერვალდის კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 21, გვ. 468 — 475, 476 — 481). — **117.**

44 სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებული სხდომა 1918 წლის 22 ოქტომბერს შედგა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. სხდომა მოწვეული იყო საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხების განსახილველად. მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობაზე, გამოჯანსაღების შემდეგ, პირველად, გამოვიდა ლენინი. სხდომაზე მიიღეს ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია (იხ. ეს ტომი, გვ. 140 — 142), რომელიც შემდეგ მცირეოდენი ცვლილებებით დაამტკიცა საბჭოების VI ყრილობამ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ლენინის მიერ გაკეთებული მოხსენების გამო. — **121.**

45 გერმანიის «დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების პარტია» — ცენტრისტული პარტია, რომელიც შეიქმნა 1917 წლის აპრილში.

1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც ჰალეში შედგა, მოხდა გათიშვა. ამ პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდა. მემარჯვენე ელემენტებმა შეადგინეს ცალკე პარტია და მიიღეს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი სახელწოდება; ამ პარტიამ იარსება 1922 წლამდე. — **123.**

46 იტალიის სოციალისტური პარტია დაარსდა 1892 წელს როგორც «იტალიელი მუშების პარტია»; 1893 წელს მან მიიღო «იტალიის სოციალისტური პარტიის» სახელწოდება. რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იტალიის

სოციალისტური პარტიის რიგებში მემარცხენე ფრთა გაძლიერდა. 1921 წლის იანვარში პარტიის ყრილობაზე, რომელიც ლივორნოში შედგა, მემარცხენეებმა კავშირი გაწყვიტეს სოციალისტურ პარტიასთან, მოიწვიეს თავიანთი ყრილობა და დააარსეს იტალიის კომუნისტური პარტია.

იტალიაში ფაშისტური დიქტატურის დროს სოციალისტურ პარტიაში კვლავ შეიქმნა გავლენიანი მემარცხენე ფრთა. 1934 წელს იტალიის სოციალისტურმა პარტიამ შეთანხმება დასდო იტალიის კომუნისტურ პარტიასთან მოქმედების ერთიანობის შესახებ. ეს შეთანხმება ბაზა გახდა ორივე პარტიის თანამშრომლობისა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და ომისშემდგომ პერიოდში. 1947 წლის იანვარში იტალიის სოციალისტური პარტია გაითიშა. მისი რიგებიდან გავიდა მემარჯვენე სოციალისტების ჯგუფი ამერიკის იმპერიალიზმის აგენტის სარაგატის მეთაურობით. ამ ჯგუფმა შექმნა ეგრეთწოდებული «იტალიის მშრომელთა სოციალისტური პარტია». — **124.**

47 ლენინს მხედველობაში აქვს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელიც შედგა 1918 წლის 6 — 11 ოქტომბერს პარიზში. — **124.**

48 ლაპარაკია ინგლისის შემდეგი სამი პარტიის — ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის, სოციალისტური მუშათა პარტიისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შესახებ.

ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა (**British Socialist Party**) დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. პარტია ეწეოდა მარქსისტული ხასიათის პროპაგანდასა და აგიტაციას და იყო პარტია «არა ოპორტუნისტული, ლიბერალებისაგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დამოუკიდებელი» (ლ ე ნ ი ნ ი). პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისაგან მოწყვეტა მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს პარტიაში ორი მიმდინარეობა დაისახა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური — ჰაინდმანის მეთაურობით და მეორე — ინტერნაციონალისტური — ა. ინკპინისა და სხვათა მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტიაში მოხდა გათიშვა. ჰაინდმანი და მისი მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გავიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან დაწყებული ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია იყო ინიციატორი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს.

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (**Socialist Labour Party**) — რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაცია; შექმნილია

შოტლანდიაში სოციალ-დემოკრატიული ფედერაციისაგან 1903 წელს გამოთიშული მისი მემარცხენე ნაწილის მიერ, რომელიც უმთავრესად შოტლანდიელებისაგან შედგებოდა. 1911 წელს საგაფიცვო ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით სოციალისტურმა მუშათა პარტიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ბრძოლაში და პირველი მსოფლიო ომის წლებში დიდი როლი შეასრულა «Shop Stewards» («ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა») კომიტეტების მოძრაობის მოწყობაში.

1920 წელს სოციალისტური მუშათა პარტია გაერთიანდა ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიასთან.

ნ ე ზ ა ვ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს შ ე ს ა ხ ებ (Independent Labour Party) იხ. შენიშვნა 38. — **124.**

49 იგულისხმება ესპანეთის III სოციალისტური კონგრესისა და ესპანელი მუშების VIII კონგრესის გადაწყვეტილებანი საბჭოთა რესპუბლიკასთვის სოლიდარობის დეპეშის გაგზავნის შესახებ. — **124.**

50 იგულისხმება ყოველდღიური გაზეთი «La Victoire» («გამარჯვება»), რომელიც გამოდიოდა პარიზში 1916 წლიდან სოციალ-შოვინისტის, ნახევრადანარქისტის გუსტავ ერვეს რედაქციით. — **180.**

51 ლენინს მხედველობაში აქვს გერმანიის აღმოსავლეთ არმიის ჯარებში შექმნილი სამხედრო-რევოლუციური საბჭო, რომელიც სცემდა გაზეთ «წითელ ჯარისკაცს». — **133.**

52 პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს დ ა მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს ს ა ზ ე ი მ ო ს ხ დ ო მ ა შ ე დ გ ა 1918 წლის 6 ნოემბერს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ ყველა პროფესიული გაერთიანების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. — **144.**

53 მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა, კ ა ზ ა კ თ ა დ ა წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა ნ გ ებ ო VI ყ რ ი ლ ო ბ ა შ ე დ გ ა მოსკოვში 1918 წლის 6—9 ნოემბერს. ლენინი არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

ლენინმა 6 ნოემბერს, პირველ სხდომაზე, წარმოთქვა სიტყვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ და 8 ნოემბერს, მეორე სხდომაზე, — სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომელიც 1918 წლის 22 ოქტომბერს მიღებული იყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის,

მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებული სხდომის მიერ (იხ. ეს ტომი, გვ. 140 — 142).

ყრილობამ იმ მთავრობებს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდნენ, მიმართა წინადადებით — დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის დადების შესახებ. — **149.**

54 ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ო ლ ქ ი ს ს ო ფ ლ ი ს ღ ა რ ი ბ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს ს ა ო ლ ქ ო ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა 1918 წლის 3 — 6 ნოემბერს პეტროგრადში. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ღარიბთა კომიტეტები შეერთებოდა ადგილობრივ საბჭოებს და სოფლის ღარიბთაგან შედგენილი ყოფილიყო სანიმუშო პოლკები. — **150.**

55 ლაპარაკია იმ რადიოდეპეშაზე, რომელიც გაეგზავნა «ყ ვ ე ლ ა ს ა მ ხ ე დ რ ო კ ო მ ი ს ა რ ს, ს ა მ ხ ე დ რ ო ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ს, ა რ მ ი ე ბ ი ს ს ა რ დ ლ ებ ს, ყ ვ ე ლ ა დ ე პ უ ტ ა ტ თ ა ს ა ბ ჭ ო ს» ვ. ი. ლენინისა და ი. მ. სვერდლოვის ხელმოწერით გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტასთან დაკავშირებით. — **168.**

56 ლენინს მხედველობაში აქვს მეფე ნიკოლოზ I მიერ რუსეთის ჯარების გაგზავნა ავსტრიის იმპერატორის დასახმარებლად უნგრეთის რევოლუციის ჩასახშობად.— **182.**

57 ლენინს მხედველობაში აქვს მეფის ჯარების მიერ პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩახშობა. — **182.**

58 «T h e T i m e s» («დროება») — ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეების ერთ-ერთი დიდი ყოველდღიური გაზეთი. — **182.**

59 იგულისხმება ის გარემოება, რომ ჰოლანდიის მთავრობამ უეცრად უარი უთხრა ჰოლანდიაში შესვლის ნებართვაზე უკვე გზაში მყოფ რუსეთის სფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს, მიუხედავად იმისა, რომ იყო წინასწარი თანხმობა წარმომადგენლობათა გაცვლის გამო და რუსეთის სფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელს ჰოლანდიის მოსკოველი კონსულისაგან ვიზა ჰქონდა მიღებული. — **184.**

60 «L'E c h o d e P a r i s» («პარიზის გამოძახილი») — ყოველდღიური ბურჟუაზიული, უკიდურესად რეაქციული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1884 წლიდან 1938 წლამდე. — **186.**

61 «მ ე ს ა მ ე ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი» («III-me Internationale») — ფრანგი კომუნისტების ჯგუფის ყოველკვირეული ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1918 — 1919 წლებში. — **186.**

62 «T h e M a n c h e s t e r G u a r d i a n» («მანჩესტერის გუშაგი») — ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდის 1821 წლიდან მანჩესტერში. — **187.**

63 მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატთა თათბირი, რომელზეც 1918 წლის 8 ნოემბერს ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა სოფლის ღარიბთა ამოცანებზე ჩვენს რევოლუციაში, მოწვეული იყო გაზეთ «ბედნოტას» რედაქციის მიერ. — **196.**

64 მ უ შ ა ქ ა ლ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს I ყ რ ი ლ ო ბ ა, მოწვეული რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, შედგა მოსკოვში 1918 წლის 16 — 21 ნოემბერს. ყრილობას ესწრებოდა ფაბრიკების, ქარხნების და სოფლის ღარიბთა 1 147 დელეგატი ქალი. — **207.**

65 1918 წლის 20 ნოემბერს კრება, მოწყობილი რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და პრესნიას რაიონული კომიტეტის მიერ, შედგა «კინო-არსის» შენობაში. კრება გაიმართა ლენინის როგორც ბოლშევიკების პარტიის ბელადისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელის პატივსაცემად. დღის წესრიგში იყო ი. მ. სვერდლოვის მოხსენება «ვ. ი. ლენინი როგორც III ინტერნაციონალისთვის მებრძოლი» და სხვა მოხსენებანი. — **210.**

66 «ვ ო ლ ი ა ნ ა რ ო დ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წელს; დახურულ იქნა 1917 წლის ნოემბერში. უფრო გვიან გამოდიოდა სხვა სახელწოდებებითაც; საბოლოოდ დახურულ იქნა 1918 წლის თებერვალში. — **210.**

67 ლენინს პიტირიმ სოროკინის წერილიდან ციტატი მოჰყავს გაზეთ «პრავდის» 1918 წლის 20 ნოემბრის № 251-ის მიხედვით, სადაც ციტატის წყაროდ შეცდომით დასახელებული იყო ჩრდილოეთ დვინის აღმასრულებელი კომიტეტის «იზვესტია». ნამდვილად კი წერილი დაბეჭდილი იყო ჩრდილოეთ დვინის საგუბერნიო აღმასკომის გაზეთ «კრესტიანსკიე ი რაბოჩიე დუმი»-ში № 75, 1918 წლის 29 ოქტომბერს. — **213.**

68 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია, რომელიც მიიღო მოსკოვის სახალხო ბანკის აქციონერთა საგანგებო ყრილობამ 1918 წლის 16 ნოემბერს. — **228.**

69 «წითელი ოფიცრის დღე» მოეწყო იმ მიზნით, რომ მშრომელთა ფართო მასების ყურადღება მიპყრობილი ყოფილიყო საბჭოთა მეთაურების შემადგენლობის კადრების შექმნისა და აღზრდის საქმისადმი. წითელ მოედანზე 1918 წლის 24 ნოემბერს, დღის 2 საათზე, გაიმართა სამხედრო კურსების მოსწავლეთა პარადი. პარადის შემდეგ კურსანტები გაემართნენ საბჭოთა მოედნისკენ, სადაც მოსკოვის საბჭოს შენობის აივნიდან ლენინმა მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. — **226.**

70 მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრება შედგა 1918 წლის 26 — 27 ნოემბერს. კრება საანგარიშო-საარჩევნო იყო. მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, ახალი გამგეობის შემადგენლობა არჩეულ იქნა კომუნისტთა ფრაქციის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა პირველ დღეს, საღამოს სხდომის დასასრულს. — **228.**

71 ლაპარაკია მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაზე — დაეწყოთ კამპანია რუსეთის რევოლუციის საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ, რომელიც გამოქვეყნდა 1918 წლის 26 ნოემბერს, გაზეთ «პრავდის» № 256-ში. მაგრამ მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ეს «შემობრუნება», რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებით და დასავლეთ ევროპაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებით იყო ნაკარნახევი, მათ მიერ მხოლოდ სიტყვიერად იყო მოხდენილი. ნამდვილად კი მენშევიკები წინანდებურად ხალხის შეურიგებელ მტრებად რჩებოდნენ და პრაქტიკულად — უკრაინაში, კავკასიაში, ურალსა და ციმბირში — ატარებდნენ გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტებისა და რუსი თეთრგვარდიელების პოლიტიკას საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ პერიოდში მენშევიკების პოზიციის კრიტიკა მოცემულია ლენინის მიერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის პროექტში «ქვეყნის თავდაცვის ძირისგამომთხრელი მენშევიკური გაზეთის დახურვის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 562 — 563) და სხვა ნაწარმოებებში, აგრეთვე ი. ბ. სტალინის მიერ მის სტატიაში «საგანთა ლოგიკა (მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის «თეზისების» გამო)» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 143 — 156). — **231.**

72 ლენინს მხედველობაში აქვს სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების შესახებ დეკრეტის განხილვა სახალხო კომისართა საბჭოში 1918 წლის 10 აპრილს. დეკრეტი დამტკიცებულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1918

წლის 11 აპრილს და გამოქვეყნდა 1918 წლის 13 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 71. დეკრეტის დახასიათება, მოცემული ლენინის მიერ, იხ. სტატიაში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (თხზულებანი, გამოცემა 4, ტომი 27, გვ 300 — 301). — **232.**

73 იგულისხმება დეკრეტი «მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ», მიღებული სახკომსაბჭოს მიერ 1918 წლის 21 ნოემბერს და გამოქვეყნებული 1918 წლის 24 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიაში» № 257. — **232.**

74 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი 1918 წელს იწყობდა პარტიული აქტივის კრებებს მიმდინარე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. 1918 წლის 27 ნოემბერს მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება მიეძღვნა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხს. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ლენინი. — **235.**

75 ფ. ენგელსის სტატია «გ ლ ე ხ თ ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს ა დ ა გ ე რ მ ა ნ ი ა ში». დაიბეჭდა ჟურნალ «Die Neue Zeit»-ში («ახალი დრო») 1894 წელს. (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 507 — 532). — **236.**

76 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 524 — 525, 526). — **237.**

77 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 530). — **237.**

78 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 530). — **253.**

79 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 599 — 600). — **255.**

80 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 524 — 525). — **255.**

81 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 436, 443. — **258.**

82 იგულისხმება მოსამსახურეთა პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუცია, გამოქვეყნებული «ვესტნიკ სლუჟაშჩის» 1918 წლის ნოემბერ-დეკემბრის მე-11 — 12 ნომერში. — 266.

83 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი» — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო, არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდგომ გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე ჟენევაში. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — 278.

84 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ ი» — ლენინის მიერ შექმნილი ჟურნალი; სცემდა ჟენევაში 1915 წელს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია. გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა», «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, გამოცემა 4, ტომი 21, გვ. 237 — 309, 424 — 434, 435 — 447).

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი აწარმოებდა ბრძოლას ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ამხილებდა ამ ჯგუფის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნებისათვის. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება მისცა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა და შეეწყვიტა ჟურნალის ერთად გამოცემა. 1916 წლის ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია უშვებდა თავის «სოციალ-დემოკრატის კრებულს». — 278.

85 იგულისხმება ბროშურა «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ო მ ი»; გამოიცა 1915 წლის სექტემბერში გერმანულ ენაზე და დაურიგდა სოციალისტთა ციმერვალდის კონფერენციის დელეგატებს. ფრანგულ ენაზე ბროშურა გამოიცა 1916 წელს. — 278.

86 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 27). — 278.

87 იხ. ფ. ენგელსის 1875 წლის 18 — 28 მარტის წერილი ა. ბებელისადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 323).

ქვემოთ, ტომის 292, 324 გვერდზე ლენინს ციტატი მოჰყავს ენგელსის ამავე წერილიდან (იხ. იქვე). — 284.

88 ეს აზრი ფ. ენგელსის მიერ გამოთქმულია «შესავალში» კ. მარქსის ნაშრომისა «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 550—551). — **287.**

89 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 743. — **288.**

90 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1952, გვ. 6. — **288.**

91 იხ. ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 386—387). — **292.**

92 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 555). — **292.**

93 იხ. ფ. ენგელსი. «ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 388). — **292.**

94 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 597, 599—600. — **293.**

95 იგულისხმება ირლანდიის 1916 წლის აჯანყების მონაწილეთა ხოცვა-ჟლეტა ინგლისის ბურჟუაზიის მიერ, — აჯანყებისა, რომელიც მიმართული იყო ინგლისის მიერ ირლანდიის დამონების წინააღმდეგ. «ევროპაში... აჯანყდა ირლანდია, რომელსაც იმორჩილებდნენ იმით, რომ «თავისუფლებისმოყვარე» ინგლისელები ირლანდიელებს მასობრივად სჯიდნენ სიკვდილით», — წერდა ლენინი 1916 წელს.

ულსტერი (ოლსტერი) — ირლანდიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც უმთავრესად ინგლისელებითაა დასახლებული; ულსტერის ჯარები ინგლისელებთან ერთად მონაწილეობდნენ ირლანდიელი ხალხის აჯანყების ჩახშობაში. — **295.**

96 შ ე ი ლ ო კ ი — ვ. შექსპირის კომედიის «ვენეციელი ვაჭრის» პერსონაჟი. — **300.**

97 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 88, 91. — **303.**

98 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 743. — **303.**

99 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 323. — **304.**

100 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1952, გვ. 67. — **315.**

101 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ნაშრომისა «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 553—554). — **316.**

102 ვ. ი. ლენინის ბროშურა «პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი რ უ ს ე თ შ ი და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე გაზეთ «The New York Evening Post»-ში («ნიუ-იორკის საღამოს ფოსტა») 1918 წლის 15 იანვარს და, გარდა ამისა, გამოიცა ცალკე ბროშურად ნიუ-იორკში. — **322.**

103 «T h e N e w Y o r k E v e n i n g P o s t» («ნიუ-იორკის საღამოს ფოსტა») — ბურჟუაზიული ამერიკული გაზეთი; დაარსდა 1801 წელს. მთელი რიგი წლების განმავლობაში ლიბერალური მიმართულების ბურჟუაზიის ორგანო იყო. შემდეგ გაზეთი იყიდა ჯ. პირპონტ მორგანის ფირმამ და გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების ორგანო. ახლა გამოდის სახელწოდებით «The New York Post». («ნიუ-იორკის ფოსტა»). — **322.**

104 ლ ი ბ ე რ დ ა ნ ე ბ ი — ირონიული მეტსახელი, რომელიც მიეკუთვნა მენშევიკების ლიდერებს — ლიბერსა და დანს და მათ მომხრეებს მას შემდეგ, რაც მოსკოვის ბოლშევიკურ გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 141-ში, 1917 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს), გამოქვეყნდა დ. ბედნის ფელეტონი «ლიბერდანის» სახელწოდებით. — **336.**

105 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბებელის სიტყვა, წარმოთქმული 1891 წლის 19 ოქტომბერს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერფურტის ყრილობაზე. — **338.**

106 «ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი ს გ ა ზ ე თ ი» («Frankfurter Zeitung») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856 წლიდან 1943 წლამდე. — **339.**

107 «V o r w ä r t s» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან

ვ. ლიბკნეხტის რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას აწარმოებდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც გაბატონებული იყვნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. პირველი მსოფლიო ომის წლებში «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts»-ი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთ ცენტრად იქცა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე.

1946 წლის აპრილიდან «Vorwärts»-ი კვლავ გამოდის ბერლინში; მას სცემს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაცია. — **339.**

108 «ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ი ს მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ნ ი» — ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი შექმნა ლენინმა ინტერნაციონალისტების პირველ კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1915 წლის სექტემბრის დამდეგს (ახ. სტ.) ციმერვალდში (შვეიცარია). ამ კონფერენციას ლენინი უწოდებდა «პირველ ნაბიჯს» ომის წინააღმდეგ ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ეკავათ ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანმიმდევრული პოზიცია ომის წინააღმდეგ. ამ ჯგუფში არათანმიმდევარი ინტერნაციონალისტებიც იყვნენ. მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიებში «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «თვითგამორკვევის შესახებ გამართული დისკუსიის შედეგები» (თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 22, გვ. 385 — 405, 406 — 459) და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» მიმართ «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (ი. ბ. სტალინი, «ლენინიზმის საკითხები», გამოც. 11, გვ. 449 — 463). — **345.**

109 ბ ა ზ ე ლ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ომის შესახებ მიღებულ იქნა 1912 წელს II ინტერნაციონალის ბაზელის საგანგებო ყრილობაზე (მანიფესტის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 21, გვ. 240 — 253, 372 — 373). — **345.**

110 ლენინს ციტატი მოჰყავს ფ. ენგელსის «შესავლიდან», რომელიც წამძღვარებული აქვს კ. მარქსის ნაშრომს «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 543). — **347.**

111 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 597). — **347.**

112 კავშირი «სპარტაკი» შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1916 წლის 1 იანვარს. ომის დასაწყისში გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისაგან ჩამოყალიბდა ჯგუფი «ინტერნაციონალი», რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, ფ. მერინგი, კ. ცეტკინი და სხვ. ამ ჯგუფს ეწოდებოდა აგრეთვე კავშირი «სპარტაკი». სპარტაკელები რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ მასებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხილებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელებმა, გერმანელმა მემარცხენეებმა, თავი ვერ დააღწიეს ნახევრადმენშევიკურ შეცდომებს თეორიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გერმანელი მემარცხენეების შეცდომათა კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 22, გვ. 385—405), «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 23, გვ. 22—90) და სხვა და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» მიმართ «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», გამოც. 11, გვ. 449—463). 1917 წლის აპრილში სპარტაკელები გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდნენ, სადაც მათ თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ სპარტაკელებმა კავშირი გაწყვიტეს «დამოუკიდებლებთან» და იმავე წლის დეკემბერში დააარსეს გერმანიის კომუნისტური პარტია. — **356.**

113 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 55—56. — **362.**

114 «მემარცხენე» ესერების პარტიას ორი ახალი პარტია — «ნაროდნიკ-კომუნისტებისა» და «რევოლუციური კომუნისტებისა» — გამოეყო «მემარცხენე» ესერების მიერ გერმანიის ელჩის მირბახის პროვოკაციული მკვლელობისა და «მემარცხენე» ესერების 1918 წლის 6—7 ივლისის ამბოხების შემდეგ. «ნაროდნიკ-კომუნისტებმა» დაგმეს «მემარცხენე» ესერების ანტისაბჭოთა საქმიანობა და 1918 წლის სექტემბრის კონფერენციაზე შექმნეს თავიანთი პარტია. 1918 წლის ნოემბერში «ნაროდნიკ-კომუნისტების» პარტიის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მისი დაშლისა და ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიასთან შეერთების შესახებ.

«რევოლუციური კომუნისტები» — როგორც წევრთა რაოდენობის მხრივ უმნიშვნელო პარტია — 1920 წლამდე არსებობდნენ. 1920 წლის

ოქტომბერში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო პარტიულ ორგანიზაციებს მიეღოთ რკპ(ბ) პარტიაში «რევოლუციური კომუნისტების» ყოფილი პარტიის წევრები. — 362.

115 ჰ ა ი ნ რ ი ხ ვ ე ბ ე რ ი — ოტო ბაუერი. — 365.

116 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 285. — 368.

117 ლენინს მხედველობაში აქვს 1918 წლის ივლისის კონტრრევოლუციური კულაკური აჯანყებანი, მოწყობილი ესერ-თეთრგვარდიელთა მიერ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების სახსრებითა და მითითებებით (იხ. ეს ტომი, გვ. 159). — 368.

118 ბ ლ ა ნ კ ი ზ მ ი — მიმდინარეობა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში; ამ მიმდინარეობას მეთაურობდა ლუი ოგიუსტ ბლანკი (1805 — 1881). მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, რომლებსაც ბლანკი გამოჩენილ რევოლუციონერად და სოციალიზმის მომხრედ მიაჩნდათ, ამავე დროს აკრიტიკებდნენ მას სექტანტობისათვის და მოღვაწეობის შეთქმულებითი მეთოდებისათვის. ბლანკიზმი კლასობრივ ბრძოლას უარყოფდა და დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებას მოელოდა არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზით, არამედ უმნიშვნელო ინტელიგენტური უმცირესობის შეთქმულების გზით. — 378.

110 ლენინს მხედველობაში აქვს ესერების კანონპროექტი «საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ», «საიჯარო ფონდის შესახებ» და სხვა საკითხებზე, რაც ნაწილობრივ გამოქვეყნდა ესერულ პრესაში 1917 წლის ოქტომბერში. «ს. ლ. მასლოვის პროექტი, — წერდა ლენინი, — არის «მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი» პროექტი, დაწერილი მემამულეებთან შეთანხმების მ ი ზ ნ ი თ, მათი ხსნის მ ი ზ ნ ი თ» (იხ. ვ. ლენინის სტატია «გლეხების ახალი მოტყუება´ ესერების პარტიის მიერ», თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 26, გვ. 261 — 268).

დროებითი მთავრობა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში აპატიმრებდა საადგილმამულო კომიტეტების წევრებს გლეხთა აჯანყებებისა და გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდების პასუხად. — 374.

120 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. I, 1936, გვ. 138. — 385.

121 თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 26, გვ. 440 — 445. — 398.

122 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 323. — **400.**

123 იგულისხმება მ. ოსტროგორსკის წიგნი «La Démocratie et les Partis Politiques» («დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები»); პირველი გამოცემა გამოვიდა 1903 წელს, მეორე, გადამუშავებული, 1912 წელს). — **401.**

124 პ რ ო ე ქ ტ ი დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი ს ა ს ახ ე ლ მ წ ი ფ ო კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ შეიტანა ლენინმა 1918 წლის 3 დეკემბერს თავდაცვის საბჭოს მიერ ფაქტიური კონტროლის საკითხზე შექმნილი კომისიის სხდომაზე. ლენინის მიერ წარმოდგენილი პროექტი საფუძვლად დაედო კომისიის გადაწყვეტილებას. — **402.**

125 მ უ შ ა თ ა კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს III ყ რ ი ლ ობ ა შედგა 1918 წლის 6 — 11 დეკემბერს მოსკოვში. ლენინი გამოვიდა ყრილობის 9 დეკემბრის საღამოს სხდომაზე. ეგრეთწოდებული «დამოუკიდებელი» კოოპერაციის მომხრენი (ე. ი. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, რომლებიც ამ დროშით გამოდიოდნენ) ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ყრილობის მუშაობისათვის, მაგრამ მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა მუშათა კოოპერაციის III ყრილობამ უკუაგდო ბურჟუაზიული, ანტისაბჭოთა მისწრაფება კოოპერაციის «დამოუკიდებლობისაკენ» და მხარი დაუჭირა მუშათა კოოპერაციის სრულ შეერთებას საბჭოთა ორგანიზაციებთან და მათთან საერთო მუშაობას. — **405.**

126 იგულისხმება «ნაროდნიკ-კომუნისტებისა» და «რევოლუციური კომუნისტების» პარტიები, რომლებიც გამოეთიშნენ «მემარცხენე» ესერების პარტიას. — **415.**

127 ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი ს, ღ ა რ ი ბ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ებ ი ს ა დ ა კ ო მ უ ნ ებ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს I ყ რ ი ლ ობ ა შედგა 1918 წლის 11 — 20 დეკემბერს მოსკოვში, კავშირთა სახლში. ყრილობას 550 დელეგატი ესწრებოდა. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა 11 დეკემბრის სხდომაზე, ყრილობის გახსნის დღეს. ყრილობის მუშაობა უმთავრესად მიძღვნილი იყო სოციალისტური მიწათმოწყობის შესახებ და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა დებულების პროექტის შემუშავებისადმი (დებულება მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის მიერ 1919 წლის თებერვალში და გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 34, 1919 წლის 14 თებერვალს). — **417.**

128 «ს ა ბ ჭ ო თ ა დ ა წ ე ს ებ უ ლ ებ ის მ ა რ თ ვ ის წ ე ს ებ ის მ ო ნ ა ხ ა ზ ი» ლენინის მიერ განკუთვნილი იყო თავდაცვის საბ-

ჭოში განსახილველად. თავის ბარათში ამ დოკუმენტის გამო, რომელიც ი. ბ. სტალინსა და ი. მ. სვერდლოვს გაეგზავნა აზრის გამოსათქმელად, ლენინი წერდა: «გთხოვთ წაიკითხოთ ეს მონახაზი, ჩემ მიერ თავდაცვის საბჭოსათვის განკუთვნილი, უჩვენოთ ამხანაგებს და განიხილოთ 14/XII შ ა ბ ა თ ი ს ა თ ვ ი ს; სასურველია შესწორებანი შაბათისათვის წერილობით». — **438.**

129 «წ ი თ ე ლ ი დ რ ო შ ა» («Die Rote Fahne») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის მიერ როგორც კავშირ «სპარტაკის» ცენტრალური ორგანო; შემდეგ — გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 9 ნოემბრიდან ბერლინში; არაერთხელ ყოფილა შეიდემანნოსკეს მთავრობის მიერ რეპრესირებული და აკრძალული. დახურულ იქნა 1933 წელს, როცა ჰიტლერი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, მაგრამ განაგრძობდა არალეგალურად გამოსვლას. 1935 წელს გამოცემა გადატანილ იქნა პრაღაში (ჩეხოსლოვაკია); 1936 წლის ოქტომბრიდან 1939 წლის შემოდგომამდე «Die Rote Fahne» გამოდიოდა ბრიუსელში (ბელგია). — **448.**

130 «მ ო წ ო დ ე ბ ა» («Der Weckruf») — გერმანული ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1918 წლის ნოემბრიდან 1919 წლის 11 იანვრამდე. — **458.**

131 იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 232—233). — **464.**

132 ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს II ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა მოსკოვში, საბჭოების მე-2 სახლში.

ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ამოცანების შესახებ ყრილობის მეექვსე დღეს, 25 დეკემბერს. ყრილობის მიერ ლენინის მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციით წესდებოდა ერთმმართველობა, ე. ი. ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა იმ საწარმოებისა და ორგანოების მუშაობისათვის, რომელთა სათავეშიც ისინი დგანან. — **467.**

133 თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შექმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 30 ნოემბერს ფრონტზე და ზურგში მთელი მუშაობის სახელმძღვანელოდ: არმიების ორგანიზაციისა და შევსებისა, ფრონტის სურსათით, ჩაცმულობითა და საჭურვლით მომარაგების და ამ მიზნით ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაციის სახელმძღვანელოდ. სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ მუშათა და გლეხთა თავდაცვის

საბჭო იქმნება სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 2 სექტემბრის დეკრეტის გასატარებლად, რომლითაც საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკად იყო გამოცხადებული. თავდაცვის საბჭოს დაეკისრა ამოცანა — დაემყარებინა სურსათისა და ტრანსპორტის საქმეში, აგრეთვე სამხედრო მრეწველობის დარგში, სამხედრო რეჟიმი. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ი. ლენინი; მისი ფაქტიური მოადგილე გახდა ი. ბ. სტალინი, რომელიც სრულიად რუსეთის ცაკმა გამოჰყო თავის წარმომადგენლად თავდაცვის საბჭოში.

თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, მის მიერ შექმნილი კომისიების გადაწყვეტილებებს, რომლებიც ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ იქნებოდა ხელმოწერილი, თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალა ჰქონდათ. — **475.**

434 «ბ ე დ ნ ო ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი გლეხთათვის; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 27 მარტიდან 1931 წლის 31 იანვრამდე. გაზეთი შექმნილი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გაზეთების «დერევენსკაია ბედნოტას», «დერევენსკაია პრავდას» და «სოლდატსკაია პრავდას» ნაცვლად. 1931 წლის 1 თებერვლიდან «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს»; ახლა ეს უკანასკნელი გამოდის. — **482.**

435 1918 წლის 30 დეკემბერს იმ კატასტროფულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე შეიქმნა, რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება გაეგზავნა ი. ბ. სტალინი აღმოსავლეთის ფრონტზე. 1919 წლის 1 იანვარს შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავდაცვის საბჭოს კომისია ცენტრალური კომიტეტის წევრების ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის შემადგენლობით პერმის დათმობისა და ფრონტზე დამარცხებათა მიზეზების გამოსაკვლევად.

ვ. ი. ლენინის დეპეშა პასუხი იყო ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკისაგან მიღებული «მოკლე წინასწარი ანგარიშისა» გამოკვლევის მსვლელობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნული იყო აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებიც დასახა კომისიამ III არმიის უბანზე მდგომარეობის აღსადგენად და არმიის შეტევაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად.

კომისიის მუშაობის შედეგად აღმოსავლეთის ფრონტზე 1919 წლის იანვრის დამლევისათვის მოხდა გარდატეხა, და წითელი არმია შეტევაზე გადავიდა. — **488.**

436 სრ ულ ი ად რ უ ს ე თ ი ს ც ა კ ი ს, მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ს დ ა პ რ ო ფ ე ს ი ულ კ ა ვ შ ი რ თ ა ს რ ულ ი ად რ უ ს ე თ ი ს ურ ი ლ ობ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ულ ი ს ხ დ ო მ ა 1919 წლის 17 იანვარს

მოწვეული იყო სურსათის მხრივ შექმნილი მძიმე მდგომარეობის საკითხის განსახილველად. სხდომა შედგა დიდ თეატრში. ლენინი გამოვიდა მომხსენებლად სრულიად რუსეთის ცაკის კომუნისტთა ფრაქციის სახელით. ლენინის მიერ ფრაქციის სახელით შეტანილი პროექტი სასურსათო პოლიტიკის ძირითადი დებულებებისა გაერთიანებული სხდომის მიერ ერთხმად იქნა მიღებული. — **489.**

137 იგულისხმება მოსკოვის საბჭოს 1918 წლის 24 აგვისტოს და პეტროგრადის საბჭოს 5 სექტემბრის დადგენილებანი, რომელთა თანახმადაც მოსკოვისა და პეტროგრადის მუშებსა და მოსამსახურეებს მძიმე სასურსათო მდგომარეობასთან დაკავშირებით ნება ეძლეოდათ გადაეზიდათ ფუთ-ნახევრამდე სასურსათო პროდუქტები მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ამ დადგენილებათა მოქმედების ვადა დაწესებული იყო 1918 წლის 1 ოქტომბრამდე. — **497.**

138 რ კ პ (ბ) მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ე რ თ ო-ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა მოწვეული იყო 1919 წლის 18 იანვარს ცენტრისა და რაიონების საბჭოთა ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განსახილველად. ლენინმა კონფერენციაზე მკაცრად გააკრიტიკა ანტიპარტიული რეზოლუციის პროექტი, შეტანილი დელეგატთა ჯგუფის მიერ, იგნატოვის მეთაურობით, რომელიც შემდეგ, 1920 — 1921 წლებში, «მუშათა ოპოზიციასთან» ახლო მდგომი ოპოზიციური დაჯგუფების ლიდერი გახდა. პარტიულმა კონფერენციამ გადაჭრით უკუაგდო ამ ჯგუფის ანტიპარტიული, დეზორგანიზატორული წინადადებანი. — **500.**

139 მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ-ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს II ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა 1919 წლის 12 — 19 იანვარს მოსკოვში. ყრილობამ მოისმინა მთელი რიგი მოხსენებანი ერთიანი შრომითი სკოლის ორგანიზაციისა და განათლების მუშაკთა გაერთიანების საკითხებზე. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აუცილებლად იქნა მიჩნეული შეექმნათ განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირი. ლენინმა ყრილობაზე 1919 წლის 18 იანვარს წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. — **515.**

140 1919 წლის 15 იანვარს კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი მხეცურად მოკლეს გერმანელმა თეთრგვარდიელებმა მთავრობის დავალებით, რომლის სათავეშიც იდგნენ სოციალ-გამცემლები ებერტი და შეიდემანი. ამასთან დაკავშირებით რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოწყობილიყო ყველგან მასობრივი საპროტესტო

დემონსტრაციები და მიტინგები. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა დემონსტრანტების წინაშე მოსკოვის საბჭოს შენობის აივნიდან. — **516.**

141 პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობა შედგა მოსკოვში, კავშირთა სახლში, 1919 წლის 16 — 25 იანვარს. ყრილობას ესწრებოდა 648 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, აქედან 449 კომუნისტი და მათი თანამგრძნობი; დანარჩენ დელეგატებს შორის იყვნენ «მემარცხენე» ესერები, მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, ბუნდელები. ლენინი გამოვიდა ყრილობის მესამე პლენარულ სხდომაზე, 1919 წლის 20 იანვარს, საღამოს, დღის წესრიგის ცენტრალურ პუნქტზე — პროფესიული კავშირების ამოცანების შესახებ. — **517.**

142 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 105. — **527.**

143 «Die Freiheit» («თავისუფლება») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1918 წლის ნოემბრიდან 1922 წლის ოქტომბრამდე. — **548.**

144 ლენინს მხედველობაში აქვს მუშა-ბოლშევიკის ი. ა. ვოინოვის მხეცურად მოკვლა 1917 წლის 6 (19) ივლისს, იუნკრების მიერ პეტროგრადში გაზეთ «პრავდის» რედაქციის დარბევის შემდეგ. ი. ა. ვოინოვი მონაწილეობდა «ლისტოკ «პრავდის»» გამოშვებაში ივლისის დღეებში და მოკლულ იქნა «ლისტოკის» გავრცელებისათვის შპალერის ქუჩაზე (ახლა ვოინოვის ქუჩა). — **549.**

145 უკრაინელი მუშებისა და გლეხების აჯანყება გერმანელი ოკუპანტებისა და მათი მსახურის, გეტმან სკოროპადსკის წინააღმდეგ მიმდინარეობდა 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში. 1918 წლის 14 დეკემბერს გეტმანი სკოროპადსკი გაიქცა კიევიდან, 1919 წლის 3 იანვარს წითელმა არმიამ დაიკავა ხარკოვი, ხოლო 5 თებერვალს — უკრაინის დედაქალაქი კიევი. — **558.**

146 ეს წერილი, ლენინის მითითებით, დაეგზავნა სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. კოოპერატივებისა და სამომხმარებლო კომუნების საკითხი განხილულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოში 1919 წლის 28 იანვარს. — **558.**

147 დეპეშა უფის გუბრევკომს გაეგზავნა პასუხად ამ უკანასკნელის შეკითხვისა, როგორ მოვიქცეთ ბაშკირეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის წარმომადგენლის ხალიკოვის მიმართ, რომელიც გუბრევკომში მოსალაპარაკებლად გამოცხადდაო. ხალიკოვი

აყენებდა იმ ბაშკირების ამნისტირების საკითხს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, და იუწყებოდა ბაშკირთა ჯარების გადასვლას წითელი არმიის მხარეზე.

უფის გუბრევკომის დეპეშაზე არის წარწერები: დეპეშის ბოლოს — ლენინის ხელით: «ს ტ ა ლ ი ნ ს», პირველ გვერდზე — ი. ბ. სტალინის ხელით: «უნდა მოველაპარაკო ილიჩს (დ ა დ ე ბ ი თ ა დ)».

უფის გუბრევკომისადმი გაგზავნილი დეპეშის პირველი ნაწილი დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ; მეორე ნაწილი, სიტყვებიდან: «რა თქმა უნდა, აუცილებელია», — ვ. ი. ლენინის მიერ. — **560.**

148 რადიოტელეგრამის ეს პროექტი, შედგენილი ლენინის მიერ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ვ. ჩიჩერინის ხელმოწერით გაეგზავნა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხად სოციალ-შემთანხმებელთა ბერნის კონფერენციის თხოვნისა, რაც ამ სამინისტროს მიერ 1919 წლის 19 თებერვალს იყო გადმოცემული, — ნება დაერთოთ რუსეთში შემოსულიყო ამ კონფერენციის მიერ დანიშნული სპეციალური კომისია. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იყვნენ ფ. ადლერი, კ. კაუცკი, რ. ჰილფერდინგი და სხვა სოციალ-გამცემლები. «ბერნის წარჩინებული რევიზორები» (ლ ე ნ ი ნ ი) რუსეთში არ ჩამოსულან.

ბერნის კონფერენციის კრიტიკა ლენინის მიერ იხ. «თეზისები და მოხსენება ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ» (ეს ტომი, გვ. 588 — 592). — **561.**

149 რეზოლუციის ეს პროექტი საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, რომელიც სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო 1919 წლის 26 თებერვალს. — **562.**

150 იგულისხმება ლენინის მიერ სახკომსაბჭოს 1919 წლის 30 იანვრის სხდომაზე წამოყენებული საკითხი საბჭოთა რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, რომელიც ლენინის ხელით არის დაწერილი, განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა ყოველთვიურად გამოექვეყნებინა და სახკომსაბჭოში გამოეგზავნა მოკლე ფაქტიური ცნობები ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების რიცხვის გადიდებისა და წიგნების გავრცელების ზრდის შესახებ. — **567.**

151 კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს I კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1919 წლის 2 — 6 მარტს მოსკოვში. კონგრესს ესწრებოდა 52 დელეგატი 30 ქვეყნიდან, მათგან გადამწყვეტი ხმით — 34, სათათბირო ხმით — 18. რკპ(ბ) დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. ვოროვსკი და სხვები.

ლენინის მოხსენება კონგრესის დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ — წაკითხულ იქნა 1919 წლის 4 მარტის დღის სხდომაზე. კონგრესმა უკამათოდ მოიწონა ლენინის მიერ შეტანილი თეზისები, გადასცა ისინი კომინტერნის აღმასკომის ბიუროს, რომელსაც დაავალა ეზრუნა მათი უაღრესად ფართო გავრცელებისათვის და დაამტკიცა ლენინის მიერ თეზისების დამატებად წარდგენილი რეზოლუცია (იხ. ეს ტომი, გვ. 599). თეზისები ლენინის მიერ დაწერილი იყო რუსულ ენაზე და შემდეგ გადათარგმნილ იქნა გერმანულად. ყველა სიტყვა კონგრესზე ლენინის მიერ წარმოთქმული იყო გერმანულ ენაზე.

ლენინის წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება ციმერვალდის გაერთიანების . ლიკვიდაციის შესახებ. I კონგრესმა დაამტკიცა კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა, მანიფესტი მთელი მსოფლიოს პროლეტარებისადმი და მთელი რიგი სხვა რეზოლუციები და დადგენილებანი. კონგრესმა დაადგინა შეექმნა ორი ხელმძღვანელი ორგანო: აღმასრულებელი კომიტეტი და ბიურო, რომელსაც ეს კომიტეტი ირჩევდა ხუთი კაცის შემადგენლობით. — **571.**

152 Shop Stewards Committees (ფაბრიკის მამასახლისთა კომიტეტები) — არჩევითი მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც არსებობდნენ ინგლისის ბევრ წარმოებაში პირველი მსოფლიო ომის დროიდან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში, ფაბრიკის მამასახლისთა კომიტეტები აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარდასაჭერად. ფაბრიკის მამასახლისთა კომიტეტების მთელი რიგი მოღვაწენი (ვ. გალახერი და სხვები) შევიდნენ ინგლისის კომუნისტურ პარტიაში. — **574.**

153 იხ. ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის შრომისადმი «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 554 — 555). — **578.**

154 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 599 — 600). — **579.**

155 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) VII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 153 — 154). — **591.**

156 «გ ა ზ ე ტ ა პ ე ჩ ა ტ ნ ი კ ო ვ» — გამოცემა მოსკოვის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიული კავშირისა, რომელიც იმ დროს მენშევიკების

გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; გამოდიოდა 1918 წლის 8 დეკემბრიდან; დახურულ იქნა 1919 წლის მარტში. — **594.**

157 ლენინს მხედველობაში აქვს რ. ლუქსემბურგის სტატია «Der Anfang» («დასაწყისი»), დაბეჭდილი გაზეთ «Die Rote Fahne»-ში («წითელი დროშა»), № 3, 1918 წლის 18 ნოემბერს. — **597.**

158 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე იდგა. მალე მას შემდეგ, რაც 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე მოხდა სოციალისტური პარტიის გათიშვა და შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, გაზეთი ამ უკანასკნელის ორგანო გახდა; გამოდის პარიზში ამჟამადაც როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო.

ლენინი გადმოსცემს იმ შენიშვნის შინაარსს, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ «L'Humanité»-ს № 5384-ში, 1919 წლის 13 იანვარს, სათაურით «Le meeting de la Fédération de la Seine» («სენის ფედერაციის მიტინგი»). — **605.**

159 «Avanti!» («წინ!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთს არათანმიმდევრულ-ინტერნაციონალისტური პოზიცია ეჭირა და კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. გაზეთი ახლაც გამოდის.

ლენინის მიერ მოხსენებული კორესპონდენცია კავრიაგოდან «Vita del partito» («პარტიული ცხოვრება») დაბეჭდილია გაზეთ «Avanti!»-ს № 12-ში 1919 წლის 12 იანვარს. — **607.**

160 1919 წლის 8 მარტს სახკომსაბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა პროექტი დეკრეტისა სახელმწიფო კონტროლის შესახებ და მიიღეს ლენინის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება, რომელშიც შევიდა ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილი და აქ გამოქვეყნებულ ბარათში დასახული ძირითადი დებულებანი.

ეს დებულებანი შევიდა სახელმწიფო კონტროლის შესახებ დეკრეტის პროექტში, რომელიც ი. ბ. სტალინმა შეიტანა სახკომსაბჭოს განსახილველად 1919 წლის 3 აპრილს. დეკრეტი დამტკიცებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო 9 აპრილს და ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის და მ. ი. კალინინის ხელმოწერით გამოქვეყნდა 1919 წლის 12 აპრილს. — **612.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1918* წლის ივლისი — *1919* წლის მარტი)

1918

ივლისი, 29. ლენინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ; ავტოტრანსპორტით სამხედრო უწყების მომარაგების შესახებ; ჩეხოსლოვაკთა ამბოხებისა და ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციის წინააღმდეგ საბრძოლველად ფულადი სახსრების ასიგნების შესახებ და სხვ.

ივლისი, 30. ლენინი საგუბერნიო საბჭოების თავმჯდომარეთა ყრილობაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების ადმინისტრაციული აპარატის უახლოესი ამოცანების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: სოციალიზმის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოღვაწეებისათვის ძეგლების დადგმის შესახებ; ვოლგის ფლოტილიის შექმნის შესახებ, — შეაქვს შესწორებანი დადგენილების პროექტში.

ივლისი, 31. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, შეაქვს დასამტკიცებლად «შეთანხმების» ქვეყნების

მუშებისადმი სახკომსაბჭოს მიმართვის პროექტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მათი მთავრობების მტრულ მოქმედებასთან დაკავშირებით; სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე საკითხებს: სათბობის შესახებ; კოოპერაციის საშუალებით პურის მიწოდების შესახებ; სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების შესახებ და სხვ.

აგვისტო, 2. ლენინი სიტყვას ამბობს ჩეხოსლოვაკთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯარებში მიმავალ აგიტატორთა კრებაზე და დარიგებას აძლევს მათ.

ლენინი მიტინგებზე ბუტირკის რაიონში, ვარშავის რევოლუციურ პოლკში, ზამოსკვორეჩიეს რაიონში და წითელარმიელთა მიტინგზე ხოდინკაში გამოდის სიტყვებით თემაზე «საბჭოთა რესპუბლიკა საფრთხეშია».

აგვისტო, 6. ლენინი წერს «წერილს ელეცის მუშებს» სოფლად პარტიის პოლიტიკის შესახებ.

აგვისტო, 7. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ წითელარმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის საკითხს.

აგვისტო, 8. სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» ქვეყნდება სახკომსაბჭოს მიმართვა ყველა მშრომელისადმი «პურისათვის საბრძოლველად», ხელმოწერილი ლენინის მიერ.

აგვისტო, 9. ლენინი სოკოლნიკის რაიონში შემდგარ მიტინგზე ამბობს სიტყვას თემაზე «მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მეხუთე წელი».

ლენინი ტელეგრაფით ეკითხება ასტრახანის საბჭოს თავმჯდომარეს, თუ რა მდგომარეობაა ბაქოში, და წინადადებას იძლევა გაიგონ ი. ბ. სტალინის აზრი.

აგვისტო, 9 — 12. ლენინი მთელ რიგ დეპეშებში პენზის გუბერნიისადმი იძლევა დირექტივებს კულაკთა აჯანყების დაუზოგავად ჩახშობის, მათი პურის კონფისკაციის და კულაკობასთან საბრძოლველად ღარიბი გლეხობის მასობრივი მობილიზაციის ჩატარების შესახებ.

აგვისტო, 10. ლენინი მუშაობს მანქანათმშენებელი ქარხნების ნაციონალიზაციის საკითხზე და შეაქვს ეს საკითხი სახკომსაბჭოს განსახილველად.

ლენინი განკარგულებას აძლევს უმაღლეს სამხედრო საბჭოს გააძლიეროს აღმოსავლეთის ფრონტი.

აგვისტო, 11. გამოქვეყნდა ვ. ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით სახკომსაბჭოს მიმართვები «საფრანგეთსა და ინგლისში მყოფ რუსეთის მოქალაქეებისადმი» მოწოდებით — იბრძოლონ იმის წინააღმდეგ, რომ ისინი არ იქნან ჩარიცხულნი საფრანგეთისა და ინგლისის არმიების რიგებში.

აგვისტოს პირველი ნახევარი. ლენინი წერს მიმართვას მუშებისადმი: «ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!».

აგვისტო, 16. ლენინი პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე გამოდის სიტყვებით თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ.

ლენინი წერს დეპეშის პროექტს დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ.

აგვისტო, 17. ლენინი დეპეშაში ვორონეჟის გუბერნიის ზადონის აღმასკომისადმი იძლევა დირექტივას უაღრესად გადაჭრით იმოქმედონ კულაკების და «მემარცხენე» ესერების წინააღმდეგ, მიმართონ მოწოდებებით ღარიბებს და შეაკავშირონ ისინი.

აგვისტო, 19. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: სასურსათო პოლიტიკის შესახებ; რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების გაერთიანების შესახებ; სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ და სხვ.

ლენინი ორიოლის გუბერნიის ზდოროვეცის აღმასკომისადმი გაგზავნილ დეპეშაში იძლევა დირექტივას დაუზოგავად ჩაახშონ კულაკური «მემარცხენე»-ესერული აჯანყება, ჩამოართვან პური კულაკებს და ამ პურის ნაწილი უფასოდ დაურიგონ ღარიბებს.

აგვისტო, 20. ლენინი წერს «წერილს ამერიკელ მუშებს».

აგვისტო, 21. ლენინი წერს დეპეშას ასტრახანის გუბაღმასკომისადმი, სადაც მოითხოვს დაუყოვნებლივ მოაწყონ ასტრახანის დაცვა ინგლისელთა შემოტევის შემთხვევაში.

აგვისტო, 23. ლენინი ალექსეევის სახალხო სახლში და პოლიტექნიკურ მუზეუმში შემდგარ მიტინგებზე ამბობს სიტყვებს თემაზე «რისთვის იბრძვიან კომუნისტები».

აგვისტო, 26. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: მოსკოვის სამთო აკადემიის დაარსების შესახებ; წითელ არმიაში იმ მუშების მობილიზაციის შესახებ, რომლებიც წინათ არტილერიაში, საინჟინრო და ტექნიკურ ჯარებში მსახურობდნენ; ქალაქ იაროსლავლში თეთრგვარდიელების მიერ დანგრეულ შენობათა აღდგენის შესახებ და სხვ.

აგვისტო, 28. ლენინი განათლების საკითხების გამო მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე ამბობს სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ.

ლენინი ეკითხება სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბს, შესრულებულია თუ არა ი. ბ. სტალინის თხოვნა კასპიის ზღვაში ორი წყალქვეშა ნავის გაგზავნის შესახებ.

აგვისტო, 29. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების მთავრობებთან ყოფილი რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე უარისთქმის შესახებ; სახალხო კომისარიატების ანგარიშების შესახებ, — წერს დადგენილების პროექტს.

აგვისტო, 30. ლენინი ბასმანის რაიონში — პურის ბირჟის შენობაში და ზამოსკვორეჩიეში — ყოფ. მიხელსონის ქარხანაში შემდგარ მიტინგებზე ამბობს სიტყვებს თემაზე «ორი ძალაუფლება (პროლეტარიატის დიქტატურა და ბურჟუაზიის დიქტატურა)».

ქარხნიდან გამოსვლისას ლენინი მძიმედ იქნა დაჭრილი ტერორისტ ქალ ფ. კაპლანის მიერ.

აგვისტო, 30 — სექტემბერი, 15.	ლენინის ავადმყოფობა დაჭრის შემდეგ.
სექტემბერი, 6.	ლენინი პეტროგრადში გზავნის, როგორც თავის დირექტივას, ი. ბ. სტალინის წერილს მისდამი ცარიცინის ფრონტიდან; წერილში მოთხოვნილია ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები.
სექტემბერი, 11.	ლენინი აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობისა და ჯარებისადმი გაგზავნილ დეპეშაში მიესალმება წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებას — ყაზანის აღებას.
სექტემბერი, არაუგვიანეს 12.	ლენინი ვ. ვ. კუიბიშევის სახელზე გაგზავნილი დეპეშით მიულოცავს წითელარმიელებს გამარჯვებას სიმბირსკის აღების გამო.
სექტემბერი, 15.	ე. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის თათბირი ცარიცინის ფრონტის საკითხებზე.
სექტემბერი, 16.	ლენინი ავადმყოფობის შემდეგ პირველად მონაწილეობს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში.
სექტემბერი, 17.	ლენინი ავადმყოფობის შემდეგ პირველად თავმჯდომარეობს სახკომსაბჭოს სხდომას. ლენინი მისალმების წერილს წერს პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონფერენციის პრეზიდიუმს.
სექტემბერი, 18.	ლენინი დეპეშაში მეთაურთა შემადგენლობის პეტროგრადის კურსებისადმი მიესალმება მუშებს, რომლებიც კურსებს ამთავრებენ და წითელი არმიის რიგებში შედიან. ლენინი ოფიციალურ ბიულეტენს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წააწერს: «ამ ბიულეტენის საფუძველზე და იმის გამო, რომ თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი უმორჩილესი პირადი თხოვნაა ნუ აწუხებთ ექიმებს ტელეფონის რეკვით და კითხვებით».
სექტემბერი, 19.	ვ. ი. ლენინი და სტალინი დეპეშით მიესალმებიან ცარიცინის ფრონტის ჯარებს მუშათა და გლეხთა

ძალაუფლების განმტკიცებისათვის მათ გმირულ ბრძოლასთან დაკავშირებით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომლებზეც განიხილავენ შემდეგ საკითხებს: მხატვრული და ისტორიული ღირებულების საგნების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვის შესახებ; ბანკების ნაციონალიზაციის შემდგომი გატარების წესის შესახებ და სხვ.

სექტემბერი, 20. ლენინის სტატია «ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ» ქვეყნდება «პრავდაში» № 202.

ლენინი წერს წერილს ვ. ვ. ვოროვსკის იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბრძოლა კაუცკის მიერ მარქსიზმის თეორიული შერყვნისა და დამახინჯების წინააღმდეგ; აძლევს დავალებას რაც შეიძლება მალე გამოსცეს ბროშურა «სახელმწიფო და რევოლუცია» გერმანულ ენაზე.

სექტემბერი, 21. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ შემდეგ საკითხებს: სოფლის მეურნეების ნატურალური გადასახადით დაბეგვრის შესახებ, — წერს დეკრეტის ძირითად დებულებებს; ყოფ. რუსეთის იმპერიის მთავრობის ხელშეკრულებათა დენონსირების შესახებ და სხვ.

სექტემბერი, 24 ან 25. ლენინი დასასვენებლად მიდის გორკაში.

სექტემბერი, არაუგვიანეს 27. ლენინი წერილში წითელარმიელებისადმი, რომლებიც მონაწილეობდნენ ყაზანის აღებაში, მიესალმება მათ და მიულოცავს გამარჯვებას.

ოქტომბერი, 2 ან 3. ლენინი გერმანიის პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით წერს წერილს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, რომელიც შედგა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან ერთად.

ოქტომბერი, 9. ლენინი წერს სტატიას «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი».

ოქტომბერი, 15. ვ. ი. ლენინი და ი. მ. სვერდლოვი დირექტივას აძლევენ რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ცარიცინის ფრონტის დასახმარებლად სასწრაფო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ოქტომბერი, 22. ლენინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; სხდომაზე იღებენ ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას.

ლენინი წერს ბროშურის — «პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები»-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობას; პირველი გამოცემა გამოვიდა 1917 წლის ივლისში.

ოქტომბერი, 23. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინთან და ი. მ. სვერდლოვთან ერთად მისალმებას უგზავნის კ. ლიბკნეხტს მისი საპყრობილიდან განთავისუფლების გამო.

ოქტომბერი, 29. ვ. ი. ლენინი ი. მ. სვერდლოვთან ერთად განკარგულებას აძლევს სამხრეთის ფრონტის სარდალს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს იარაღით ცარიცინის ფრონტს.

ნოემბერი, 2. ლენინი წერს მონახაზის სახით თეზისებს საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის დადგენილებისას — კანონების ზუსტად დაცვის შესახებ.

ნოემბერი, 3. ლენინი წარმოსთქვამს სიტყვას ავსტრია-უნგრეთის რევოლუციის აღსანიშნავად შემდგარ დემონსტრაციაზე.

ნოემბერი, 6 — 9. მუშათა, გლეხთა, კაზაკთა და წითელარმიელთა დეპუტატების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობა. ლენინი ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას.

ნოემბერი, 6. ლენინი ყრილობის პირველ სხდომაზე გამოდის სიტყვით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ.

ლენინი პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის

საბჭოს საზეიმო სხდომაზე და მოსკოვის პროლეტკულტის საღამოზე გამოდის სიტყვებით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის შესახებ.

ნოემბერი, 7. ლენინი დღისით ამბობს სიტყვებს რევოლუციის მოედანზე მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნისას და წითელ მოედანზე ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლთა მემორიალური დაფის გახსნისას.

საღამოთი ლენინი ამბობს სიტყვას სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთა მიტინგ-კონცერტზე.

ლენინი მისალმების დეპეშას უგზავნის II არმიის წითელარმიელთა ჯარებს იჟევსკის აღებასთან დაკავშირებით.

ნოემბერი, 8. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის მეორე სხდომაზე გამოდის სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატთა თათბირზე გამოდის სიტყვით სოფლის ღარიბთა ორგანიზაციის შესახებ.

ნოემბერი, 10. ლენინმა დაამთავრა წერა ბროშურისა «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი».

ლენინი წერს დეპეშას «დეპუტატთა ყველა საბჭოს, ყველას, ყველას» გერმანიაში რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით.

ლენინი ხამოვნიკის რაიონში ოქტომბრის რევოლუციის კლუბის გახსნისას გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ.

ნოემბერი, 11. ლენინი დიდ თეატრში მოსკოველი კომუნისტების საღამოზე გამოდის სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ნოემბერი, 13. ლენინი დეპეშით სადირექტივო მითითებებს აძლევს ნ. ა. შჩორსს მიიღოს ფრიად სასწრაფო ზომები უცხოელი ოკუპანტებისა და თეთრგვარდიელებისაგან უკრაინის გასათავისუფლებლად.

ლენინი პარტიის ორიოლის საგუბერნიო კომიტეტისათვის გაგზავნილ დეპეშაში უპასუხებს გერმანიის იმპერიალისტური ჯარისკაცების მისალმებაზე, რომლებიც უკრაინაში იმყოფებიან, და მოუწოდებს მათ დაეხმარონ უკრაინის განთავისუფლებას გერმანელი ოკუპანტებისაგან.

ნოემბერი, 14. ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის საინფორმაციო მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

«პრავდაში» № 246 დაბეჭდილია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, ხელმოწერილი ვ. ი. ლენინისა და ი. მ. სვერდლოვის მიერ.

ნოემბერი, 19. ლენინი გამოდის სიტყვით მუშა ქალთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე.

ნოემბერი, 20. ლენინი წერს სტატიას «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღსარება».

ლენინი გამოდის მის, როგორც ბოლშევიკების პარტიის ბელადისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელის, პატივსაცემად გამართულ კრებაზე.

ნოემბერი, 23. ლენინი იღებს ინდოეთის ხალხთა წარმომადგენლებს, რომლებმაც ჩამოიტანეს მიმართვა — ინდოეთის ხალხთა მისალმება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ნოემბერი, 24. ლენინი მიტინგზე «წითელი ოფიცრის დღეს» მისალმებით გამოდის სახკომსაბჭოს სახელით.

ნოემბერი, 26. ლენინი მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე გამოდის სიტყვით სოციალისტური მეურნეობის სისტემაში კოოპერაციული ორგანიზაციების როლის შესახებ.

ნოემბერი, 27. ლენინი მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრებაზე გამოდის მოხსენებით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ.

ნოემბერი, 29. ლენინი ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილ დირექტივას მთავარსარდლისადმი დასავლეთისა და უკრაინისაკენ ჩვენი ჯარების წინწაწევასთან დაკავშირებით; შეაქვს დამატება დეპეშის პროექტში.

ნოემბერი, 30. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ქმნის მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლად თავდაცვის საბჭოში ინიშნება ი. ბ. სტალინი, რომელიც გახდა ლენინის ფაქტიური მოადგილე.

დეკემბერი, 1. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს პირველ სხდომას; სახავს თავდაცვის საბჭოს უახლოეს ამოცანებს და შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი სურსათის, ტრანსპორტის, სათბობის და სხვა საკითხების დასამუშავებლად.

თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს ენიჭებათ უფლება თავდაცვის საბჭოს სახელით დაამტკიცონ მის მიერ შექმნილი კომისიების დადგენილებანი.

დეკემბერი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, სადაც განიხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ საკითხებს: რკინიგზის ტრანსპორტის მოწესრიგების შესახებ; პროექტს დადგენილებისას კუთხურობისა და საქმის კანცელარული გაჭიანურების წინააღმდეგ და სხვ.; წერს პროექტს დადგენილებისას სურსათის დამზადების ტემპის გაძლიერებისა და დამზადების ოდენობის გადიდების შესახებ.

დეკემბერი, 5. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს მიერ ვაზნების საკითხზე შექმნილი კომისიის სხდომას; ი. ბ. სტალინთან ერთად თავდაცვის საბჭოს სახელით ხელს აწერს დადგენილებებს ტულის, პოდოლსკისა და სიმბირსკის ქარხნების შესახებ.

დეკემბერი, 7. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, —

შეტანილია სტალინის მიერ; რკინიგზის პროგრამის შესახებ და სხვ.; ლენინს შეაქვს წინადადება, რომ დაინიშნოს სპეციალური კორესპონდენტი სახკომსაბჭოსაგან გაზეთებში სახკომსაბჭოს მოღვაწეობის გასაშუქებლად.

დეკემბერი, 8. ლენინი სიტყვით გამოდის საბჭოების, ღარიბთა კომიტეტებისა და რკპ(ბ) რაიონული კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას; შეაქვს სამხედრო ქონების აღრიცხვის საკითხი; ამტკიცებს და ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ პროექტს დადგენილებისას კუთხურობისა და საქმის კანცელარული გაჭიანურების წინააღმდეგ.

დეკემბერი, 9. ლენინი სიტყვით გამოდის მუშათა კოოპერაციის III ყრილობაზე კოოპერაციის სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

დეკემბერი, 11. ლენინი სიტყვით გამოდის კავშირთა სახლში საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე სოფლის მდგომარეობის საკითხის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას; ამტკიცებს და ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ დადგენილების პროექტს რკინიგზის ტრანსპორტის მოწესრიგების შესახებ; შეაქვს წინადადება სურსათით მომარაგების გაუმჯობესების სასწრაფო ღონისძიებათა საკითხზე.

დეკემბერი, 12. ლენინი წერს თავდაცვის საბჭოსათვის «საბჭოთა დაწესებულებების მართვის წესების მონახაზს» და უგზავნის მას დასკვნისათვის ი. ბ. სტალინსა და ი. მ. სვერდლოვს.

დეკემბერი, 18. ვ. ი. ლენინი ი. მ. სვერდლოვთან ერთად დირექტივას აძლევს რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს პერმის დამცველი ჯარებისათვის დამხმარე ძალების გაგზავნის შესახებ.

დეკემბერი, 14. ლენინი პრესნიას რაიონის მუშათა კონფერენციაზე ალექსეევის სახალხო სახლში გამოდის სიტყვით საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

დეკემბერი, 15. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: რკინიგზებზე და ელევატორებში პურის რაოდენობის შესახებ; არმიაში პოლიტიკური აგიტაციისა და ახლად შედგენილ დივიზიებში კომისრების გაგზავნის შესახებ; ვოლგის ხიდის შესახებ, — ორი უკანასკნელი საკითხი შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ.

დეკემბერი, 16 ან 17. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად დეპეშას უგზავნის სამარის გუბერნიის სამხედრო კომისარს და დირექტივას აძლევს შეწყვიტონ უკრაინელთა ნაწილების გაგზავნა უკრაინაში უკრაინელ მოხალისეთა მოზღვავებისა და თვით უკრაინაში მობილიზებულთა სიმრავლის გამო.

დეკემბერი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: არმიის რიცხობრივი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ; ცხენებით არმიის უზრუნველყოფის შესახებ; სადგომებით არმიის უზრუნველყოფის შესახებ, — შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ; ცარიცინში სამხედრო ქარხნის აგების შესახებ და სხვ.

დეკემბერი, 22. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: რკინიგზელ მუშათა ჩაცმულობის შესახებ; ახლად შედგენილ დივიზიებში გაგზავნილი კომისრების ანგარიშების შესახებ, — ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო, აგრეთვე ი. ბ. სტალინის შეკითხვებს ორენბურგის და პერმის შესახებ, დასავლეთით ჩვენი ჯარების წინწაწევის შესახებ და სხვ.

დეკემბერი, 23. ლენინი წერს სტატიას ««დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ».

ლენინი ხელს აწერს ტელეფონოგრამას მთავარსარდლობისადმი შეკითხვით — ორენბურგის აღების დირექტივის შეუსრულებლობის მიზეზების და პერმში გაგზავნილი დამხმარე ძალების შესახებ.

დეკემბერი, 24. ლენინის სტატია «პრესნიას მუშების გმირობა» ქვეყნდება გაზეთ «ბედნოტაში» № 222.

დეკემბერი, 25. ლენინი იღებს რკპ(ბ) სამარის გუბერნიის მელეკესის კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც მოახსენებს მას, რომ მაზრაში არ არის სატრანსპორტო საშუალებანი პურის გამოსაზიდად; შეაქვს თავდაცვის საბჭოში საკითხი სამარის გუბერნიიდან პურის გამოსაზიდად სასწრაფო ზომების მიღების შესახებ.

ლენინი გამოდის სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე საბჭოების მე-2 სახლში (სასტუმრო «მეტროპოლი») სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისა და სამეურნეო ამოცანების შესახებ.

დეკემბერი, 29. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: აღმოსავლეთის ფრონტისაკენ მაშველი ძალების წინწაწევის შესახებ; ფრონტისპირა ზოლში სასურსათო მდგომარეობის შესახებ, — შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ; სიმბირსკისა და იეკატერინოსლავის ქარხნების შესახებ და სხვ.

დეკემბერი, 30. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: საერთო-საფინანსო და ეკონომიური პოლიტიკის შესახებ; ესტონეთის შრომითი კომუნის მთავრობისათვის და ლატვიის მუშურ-გლეხური მთავრობისათვის სესხის მიცემის შესახებ, — ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო.

ლენინს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეაქვს წინადადება — გაიგზავნოს ი. ბ. სტალინი აღმოსავლეთის ფრონტზე III არმიის კატასტროფული მდგომარეობის გამო.

1918 წელი. ლენინი წერს ინსტრუქციას განათლების სახალხო კომისარიატისათვის პოპულარული წიგნების შედგენისა და გამოცემის შესახებ; სახავს მათ თემატიკას.

1918 წლის დეკემბერი — 1919 წლის იანვარი. ლენინი წერს პროექტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისებისას «პროფკავშირთა ამოცანების შესახებ».

1918 წლის დამლევი ან 1919 წლის დამდეგი.

ლენინი წერს სტატიას «პატარა სურათი დიდი საკითხების გამოსარკვევად». სტატია დაუმთავრებელი დარჩა.

ლენინი ხელმძღვანელობს სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა დებულების შემმუშავებელ კომისიას, მომხსენებლად გამოდის კომისიაში, წერს შენიშვნებს მიწის საზოგადოებრივი დამუშავების დებულების პროექტისათვის.

1919

იანვარი, 2.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას; განსახილველად შეაქვს საბიბლიოთეკო საქმის საკითხი; სხდომაზე განიხილავენ აგრეთვე საკითხებს: წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ; მანქანათმშენებელი ქარხნების შესახებ და სხვ.

ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: სამხედრო და სასურსათო გადაზიდვათა შესახებ; მუშების მიერ არანორმირებული პროდუქტების შესყიდვის ნებართვის შესახებ; ასტრახანში შექმნილი თავდაცვის საბჭოს შესახებ, — შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ.

თავდაცვის საბჭო ქმნის სამხედრო კომისიას ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონაწილეობით ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ მთავარსარდლის მოხსენების მოსასმენად.

იანვარი, 2 ან 3.

ლენინი ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილ დეპეშას რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო-საბჭოსადმი კრასნოვის წინააღმდეგ საერთო შეტევის მომზადებასთან დაკავშირებით.

იანვარი, 3.

ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის წერილზე პერმთან III არმიის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ წერს, რომ ის იზიარებს წერილში აღნიშნულ მოთხოვნებს და გადასცემს ამ წერილს როგორც დირექტივას სამხედრო ხელისუფალთა შესასრულებლად.

იანვარი, 12 — 21. ლენინი წერს «წერილს ევროპისა და ამერიკის მუშებს».

იანვარი, 14. ვ. ი. ლენინი გლაზოვში ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში თხოვს მათ პირადად შეასრულონ ადგილზე მათ მიერ დასახული ღონისძიებანი III არმიის უბანზე მდგომარეობის აღსადგენად და შეტევაზე არმიის გადასვლის უზრუნველსაყოფად.

იანვარი, 17. ლენინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე დიდ თეატრში გამოდის სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის შესახებ; შეაქვს რეზოლუციის პროექტი.

იანვარი, 18. ლენინი რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციის სხდომაზე გამოდის სიტყვით ცენტრისა და რაიონების საბჭოთა ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ლენინი მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა მასწავლებლობის ამოცანების შესახებ.

იანვარი, 19. ლენინი მოსკოვის საბჭოს შენობის აივნიდან ამბობს სიტყვას როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის გამო გამართულ საპროტესტო მიტინგზე.

იანვარი, 20. ლენინი კავშირთა სახლში პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე გამოდის მოხსენებით პროფკავშირთა ამოცანების შესახებ.

იანვარი, 21. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკისაგან იღებს მოხსენებას პერმის დაცემის მიზეზების შესახებ; მოხსენებაზე წააწერს რეზოლუციას, რომ გაუქმებულ იქნას მთავარსარდლის განკარგულება III არმიის დასახმარებლად შეპირებული სამი პოლკის სხვაგან გაგზავნის შესახებ.

იანვარი, 28. ვ. ი. ლენინი იღებს დეპეშას ი. ბ. სტალინისა და ფ. ე. ძერჟინსკისაგან ფრონტზე არსებული მდგომარეობის

შესახებ; გზავნის ამ დეპეშას რევოლუციურ სამხედრო საბჭოში ზომების მისაღებად.

იანვარი, 24. ლენინი გამოდის სიტყვით სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა ამოცანების შესახებ.

ლენინი დირექტივას აძლევს რევოლუციურ სამხედრო საბჭოს დაძაბოს მთელი ძალ-ღონე, რათა ერთი თვის განმავლობაში აღებულ იქნას როსტოვი, ჩელიაბინსკი და ომსკი.

იანვარი, 26. ლენინი წერს მიმართვას «ყველანი — სასურსათო და სატრანსპორტო სამუშაოზე!».

იანვარი, 27. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: იეევსკის ქარხნის მუშებისათვის შაშხანების წარმოების გადიდების გამო მადლობის გაგზავნის შესახებ; რკინიგზებისათვის საჭირო სათბობის შესახებ და სხვ.

თებერვალი, 2. ლენინი წერს წერილს სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბურჟუაზიულ-კოოპერაციულიდან პროლეტარულ-კომუნისტურ მომარაგებასა და განაწილებაზე გადასვლის შესახებ.

თებერვალი, 5 ან 6. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად ტელეგრაფით აძლევს მითითებებს უფის გუბერნიის რევკომს კოლჩაკის წინააღმდეგ ბაშკირთა პოლკებთან ერთად გამოსვლის შესახებ.

თებერვალი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: წყლის ტრანსპორტის შესახებ; ორთქლმავლების რემონტის შესახებ; ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ საკითხებს ვორონეჟში ლაზარეთების მოთავსების შესახებ, ცარიცინ-ვლადიმიროვკის რკინიგზის შტოს გაყვანის შესახებ და სხვ.

თებერვალი, 17. ლენინი ხელმძღვანელობს თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ საკითხებს: პურისა და ნახშირის გადასაზიდად სამარშრუტო მატარებლების

მოწყობის შესახებ, — ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო; მტრის ჯარების უკანდახევისას დანგრეული რკინიგზების აღდგენის შესახებ და სხვ.

თებერვალი, 19. ლენინი წერს პროექტს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1919 წლის 19 თებერვლის რადიოტელეგრამაზე, რომლითაც ეს სამინისტრო ითხოვს შეუშვან რუსეთში სოციალ-შემთანხმებელთა ბერნის კონფერენციის კომისია.

თებერვალი, 22. ლენინი წერს პროექტს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციისას იმის შესახებ, რომ დაიხუროს მენშევიკური გაზეთი «ვსეგდა ვპერიოდ», რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის თავდაცვას.

თებერვალი. ლენინი წერს წერილს განათლების სახალხო კომისარიატს და მითითებებს აძლევს მას საბიბლიოთეკო საქმეში ანგარიშგების სწორად დაყენების საკითხებზე.

თებერვლის დამლევი — მარტის დამდეგი. ლენინი წერს სტატიას «გერმანელ დამოუკიდებელთა მოწოდების გამო». სტატია დაუმთავრებელი დარჩა.

ლენინი წერს «თეზისებს ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ» კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესისათვის.

მარტი, 1. ლენინი ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესის დელეგატთა ჯგუფის წინასწარ თათბირს, რომელიც მოწვეული იყო კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების განსახილველად.

მარტი, 2 — 6. კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესი. ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს კონგრესის მუშაობაში; მას ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

მარტი, 2. ლენინი წარმოსთქვამს შესავალ სიტყვას კონგრესის გახსნისას.

მარტი, 4. ლენინი გამოდის კომინტერნის კონგრესის მესამე სხდომაზე მოხსენებით ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და აქვეყნებს მის მიერ დაწერილ თეზისებს.

მარტი, 5. ლენინი წერს სტატიას «მოპოვებული და ჩაწერილი» კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების გამო.

მარტი, 6. ლენინი გამოდის კომინტერნის კონგრესის მეხუთე სხდომაზე საბოლოო სიტყვით კონგრესის დახურვისას.

ლენინი სიტყვით გამოდის დიდ თეატრში სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და სხვა ორგანიზაციების საზეიმო გაერთიანებულ სხდომაზე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

მარტი, 7. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზეც განიხილავენ კოოპერაციის საკითხს, — გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ლენინის თეზისები.

მარტი, 8. ლენინი გამოდის სიტყვით სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების ექვსკვირიანი კურსების პირველ გამოშვებაზე.

ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ი. ბ. სტალინთან სახელმწიფო კონტროლის შესახებ დეკრეტის პროექტში საჭირო დამატებათა შეტანის საკითხის გამო.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX—XII

1918 წ.

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 29 ივლისს . . . . . 1—22

სიტყვა საგუბერნიო საბჭოების თავმჯდომარეთა ყრილობაზე 1918 წ. 30 ივლისს. *საგაზეთო ანგარიში* 23—26

სიტყვა ვარშავის რევოლუციური პოლკის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს. *საგაზეთო ანგარიში* . . . 27—30

სიტყვა გუტირკის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს. *საგაზეთო ანგარიში* . . . . . 31—34

სიტყვა წითელარმიელთა ხოდინკის მიტინგზე 1918 წ. 2 აგვისტოს. *მოკლე საგაზეთო ანგარიში* . . . 35

თეზისები სასურსათო საკითხზე. *სასურსათო, მიწათმოქმედების, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატებს* . . . . . 36—39

რსფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. *სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი* 40

წერილი ელეცის მუშებს . . . . . 41—43

სიტყვა სოკოლნიკის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 9 აგვისტოს. *მოკლე საგაზეთო ანგარიში* . . . . 44—45

ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ! . . . . . 46—51

პროექტი დეპეშისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ 52

სიტყვები პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ 1918 წ. 16 აგვისტოს. საოქმო ჩანაწერი . . . . . 53—54

წერილი ამერიკელ მუშებს . . . . . 55—73

სიტყვა ალექსეევის სახალხო სახლში შემდგარ მიტინგზე 1918 წ. 23 აგვისტოს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 74—77

სიტყვა პოლიტექნიკურ მუზეუმში შემდგარ მიტინგზე 1918 წ. 23 აგვისტოს . . . . . 78—84

სიტყვა განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1918 წ. 28 აგვისტოს . . . 85—89

სიტყვა ბასმანის რაიონის მიტინგზე 1918 წ. 30 აგვისტოს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 90—91

სიტყვა ყოფ. მიხელსონის ქარხნის მიტინგზე 1918 წ. 30 აგვისტოს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . 92—94

მისალმება წითელ არმიას ყაზანის აღების გამო . . 95

დეპეშა ვ. ვ. კუიბიშევს 96

წერილი პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონფერენციის პრეზიდიუმს 97—98

დეპეშა მეთაურთა შემადგენლობის პეტროგრადის კურსებს 99

ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ . . . . . 100—103

წერილი ყაზანის აღებაში მონაწილე წითელარმიელებს 104

წერილი სრულიად რუსეთის ცაკის და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, გამართულს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით 1918 წ. 3 ოქტომბერს . . . . . 105—108

პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი . 109—120

მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 22 ოქტომბერს . . . . . 121—139

რეზოლუცია, მიღებული სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 22 ოქტომბერს . . . . . 140—142

სიტყვა ავსტრია-უნგრეთის რევოლუციის აღსანიშნავად გამართულ დემონსტრაციაზე 1918 წ. 3 ნოემბერს. *მოკლე საგაზეთო ანგარიში* 143

სიტყვა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1918 წ. 6 ნოემბერს. *საგაზეთო ანგარიში* . . . . . 144—147

მუშათა, გლეხთა, კაზაკთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობა 1918 წ. 6—9 *ნოემბერი* . . . . . 149—189

1. სიტყვა რევოლუციის წლისთავის შესახებ 6 ნოემბერს 151

2. სიტყვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 8 ნოემბერს 171

სიტყვა მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნისას 1918 წ. 7 ნოემბერს . . . . . 190—191

სიტყვა ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლთა მემორიალური დაფის გახსნისას 1918 წ. 7 ნოემბერს . . 192—193

სიტყვა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელთა მიტინგ-კონცერტზე 1918 წ. 7 ნოემბერს 194—195

სიტყვა მოსკოვის ოლქის ღარიბთა კომიტეტების დელეგატებისადმი 1918 წ. 8 ნოემბერს . . . . . 196—205

დეპეშა დეპუტატთა ყველა საბჭოს, ყველას, ყველას 206

სიტყვა მუშა-ქალთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 19 ნოემბერს . . . . . 207—209

სიტყვა 1918 წ. 20 ნოემბერს ვ. ი. ლენინის პატივსაცემად შემდგარ კრებაზე. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 210—212

პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღსარება . . . 213—225

სიტყვა «წითელი ოფიცრის დღეს» 1918 წ. 24 ნოემბერს 226—227

სიტყვა მოსკოვის ცენტრალური მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრებაზე 1918 წ. 26 ნოემბერს . 228—234

მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება 1918 წ. 27 ნოემბერს . . . . . 235—268

1. მოხსენება პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი 235

2. საბოლოო სიტყვა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 258

დეპეშა მთავარსარდალს 269

პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი . 271—401

წინასიტყვაობა 273

როგორ გადააქცია კაუცკიმ მარქსი ჩვეულებრივ ლიბერალად 276

ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია . . 290

შესაძლებელია თუ არა არსებობდეს თანასწორობა ექსპლოატირებულსა და ექსპლოატატორს შორის? . . 301

საბჭოებმა არ უნდა გაბედონ სახელმწიფო ორგანიზაციებად გადაქცევა 311

დამფუძნებელი კრება და საბჭოთა რესპუბლიკა . . 319

საბჭოთა კონსტიტუცია 330

რა არის ინტერნაციონალიზმი? 342

ბურჟუაზიისადმი სამსახური «ეკონომიური ანალიზის» ნიღაბით 360

დამატება I. თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ 393

დამატება II. ვანდერველდეს ახალი წიგნი სახელმწიფოს შესახებ 393

პროექტი დადგენილებისა სახელმწიფო კონტროლის გამოყენების შესახებ 402

სიტყვა საბჭოების, ღარიბთა კომიტეტებისა და რკპ(ბ) რაიონული კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო ყრილობაზე 1918 წ. 8 დეკემბერს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 403—404

სიტყვა მუშათა კოოპერაციის III ყრილობაზე 1918 წ. 9 დეკემბერს . . . . . 405—416

სიტყვა საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1918 წ. 11 დეკემბერს . . . . 417—432

საბჭოთა დაწესებულებების მართვის წესების მონახაზი . . . . . 433—437

1 433
2 434
3 435

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტი 438

სიტყვა პრესნიას რაიონის მუშათა კონფერენციაზე 1918 წ. 14 დეკემბერს . . . . . 439—456

დეპეშა სამარის ოლქის უკრაინელებს 457

«დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ . . . . 458—464

პრესნიას მუშების გმირობა . . . . . 465—466

სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1918 წ. 25 დეკემბერს . . . 467—476

პროფკავშირთა ამოცანების შესახებ . . . . . 477—481

I 477
II 477
III 479

პატარა სურათი დიდი საკითხების გამოსარკვევად . 482—487

1919 წ.

დეპეშა ი. ბ. სტალინს და ფ. ე. ძერჟინსკის 488

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 17 იანვარს 489—508

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციის სხდომაზე 1919 წ. 18 იანვარს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 509—510

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 18 იანვარს . 511—515

სიტყვა როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის გამო 1919 წ. 19 იანვარს. მოკლე საგაზეთო ანგარიში 516

მოხსენება პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 20 იანვარს . . . . . 517—540

წერილი ევროპისა და ამერიკის მუშებს . . . . 541—550

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს . . . . . 551—552

ყველანი — სასურსათო და სატრანსპორტო სამუშაოზე! . . . . . 553—557

გურჟუაზიულ-კოოპერაციულიდან პროლეტარულ-კომუნისტურ მომარაგებასა და განაწილებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ . . . . . 558—559

დეპეშა უფის გუბერნიებს 560

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რადიოტელეგრამის პროექტი 561

ქვეყნის თავდაცვის ძირისგამომთხრელი მენშევიკური გაზეთის დახურვის შესახებ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის პროექტი . . . . . 562—563

განათლების სახალხო კომისარიატს . . . . . 567—569

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი 1919 წ. 2—6 მარტი . . . . . 571—601

1. სიტყვა კონგრესის გახსნისას 2 მარტს . . . 573

2. თეზისები და მოხსენება გურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ 4 მარტს 576

3. რეზოლუცია თეზისებისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ 599

4. საბოლოო სიტყვა კონგრესის დახურვისას 6 მარტს 600

მოპოვებული და ჩაწერილი . . . . . 602—604

კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ. სიტყვა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს, მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საზეიმო გაერთიანებულ სხდომაზე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების ზეიმის დღეს 1919 წ. 6 მარტს . . . . . 605—611

მიწერ-მოწერა ი. ბ. სტალინთან სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის საკითხის შესახებ . . 612

შენიშვნები . . . . . 613—643

ვ. ი. ლენინის მოღვაწეობისა და ცხოვრების თარიღები . . . . . 645—664

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1918 წ. ოქტომბერი . . . . XII—1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ!». — 1918 წ. აგვისტოს პირველი ნახევარი . . . . . 46—47

გარეკანი წიგნისა «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» ვ. ი. ლენინის აღნიშვნებით. — 1918 წ. . . . 272—273

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «განათლების სახალხო კომისარიატს». — 1919 წ. თებერვალი 565

ტირაჟი 20. 000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-1952.
უე 02824. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 42,75.
ფასი 8 მან.

*

აიწყო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში.
თბილისი, ჟორესის ქ., 5.

*

დაიბეჭდა და აიკინძა
საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლ სტამბაში.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.
შეკვეთის № 156.